საქართველოს ისტორია 11



მოსწავლის წიგნი

გიორგი არქანია
ლალი მექერიშვილი
ნიკოლოზ სარაჯიშვილი
თეიმურაზ შალამბერიძე
ლაშა ხართიშვილი
ჯონდი ხუხია

ლოგოს პრესი

საქართველოს ისტორია 11

მოსწავლის წიგნი

გიორგი არქანია
ლალი მექერიშვილი
ნიკოლოზ სარაჯიშვილი
თეიმურაზ შალამბერიძე
ლაშა ხართიშვილი
ჯონდი ხუხია

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს.

ლოგოს პრესი

შინაარსი

თემა 1 განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში 1

1.1 საქართველოს სამეფო აღმავლობის გზაზე 2

საკითხი 1. ***დაპირისპირება ბიზანტიასა და საქართველოს შორის. 3***

1/2 რატომ დაუპირისპირდა ერთიანი საქართველო ბიზანტიის იმპერიას? . 4

3/4 როგორ იყენებდა ბიზანტია საქართველოში არსებულ შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებას? 18

5 როგორი იყო შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქი და სოფელი . 30

6/7 ვინ იყვნენ თურქ-სელჩუკები და რა საფრთხე შეუქმნეს მათ საქართველოს? 38

8/9/10 როგორ დაასრულა დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანება? 49

11/12 რა მნიშვნელობა ჰქონდა დიდგორის ბრძოლას საქართველოსთვის, მეზობელი ქვეყნებისა და ჯვაროსნული სამყაროსთვის? 64

13 რატომ გაჩაღდა ბრძოლა ძალაუფლებისთვის დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებს შორის? 72

საკითხი 2. ***თამარის მეფობა – საქართველოს „ოქროს ხანა“. 78***

14 როგორ აღმოჩნდა პირველად ქალი საქართველოს სამეფო ტახტზე და როგორ გაიმყარა თამარ მეფემ ძალაუფლება? 79

15/16 რატომ ვუწოდებთ თამარ მეფის მმართველობის პერიოდს „ოქროს ხანას“? 84

1.2 საქართველოს სამეფოს დასუსტების პერიოდი 98

საკითხი 3. ***საქართველოს სამეფო და ჯვაროსნული ლაშქრობები. 99***

17/18 რამ შეუშალა ხელი ქართველების მონაწილეობას მეხუთე და მეექვსე ჯვაროსნულ ლაშქრობებში? 100

საკითხი 4. ***მონღოლები და გიორგი ბრწყინვალე. 108***

19/20 როგორი იყო მონღოლთა ბატონობა საქართველოში? 109

21/22 როგორ შეძლო გიორგი ბრწყინვალემ მონღოლთა მმართველობის დასრულება და საქართველოს ხელახლა გაერთიანება? 122

23 რა მიზნებს მიაღწია გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკამ? . 129

24/25 რა მნიშვნელობა ჰქონდა თემურლენგისთვის საქართველოს დაპყრობას? 135

თემა 2 საქართველო XV-XVIII საუკუნეებში 143

2.1 ერთიანი სამეფოს დაშლა და დანაწევრებული საქართველო 144

საკითხი 5. ***საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად*** ***145***

26 რა მიზეზებმა განაპირობა ერთიანი საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად? 146

27 რატომ ვერ შეიქმნა ანტიოსმალური კოალიცია? 153

საკითხი 6. ***საქართველო XVII ს-ში – კათოლიკე მისიონერები და ევროპელი მოგზაურები*** ***157***

28/29 რატომ ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოზე ევროპულმა „აღორძინებამ“ და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა? 158

30/31 როგორ შეიცვალა ვითარება საქართველოში შაჰ აბას I-ის მმართველობის პერიოდში? 173

32/33 სად და როგორ ეძებდნენ ქართველი მეფე-მთავრები მხარდაჭერას ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში? . . . 184

34/35 როგორი მდგომარეობა იყო ქართლ-კახეთში ადგილობრივი გამუსლიმებული ბაგრატიონების მმართველობის პერიოდში? 192

36/37 რატომ იყო XVII საუკუნე განსაკუთრებით ქაოსური დასავლეთ საქართველოში? 205

38 რატომ მოღვაწეობდნენ კათოლიკე მისიონერები დასავლეთ საქართველოში? 215

39 რატომ დაშორდა ქართულ კულტურულ სივრცეს ახალციხის საფაშო? 219

2.2 საქართველო XVIII ს-ში – სამი იმპერიის დაპირისპირების ფონზე **227**

საკითხი 7. ***ქართველი მეფეების ღონისძიებები ქვეყნის მოდერნიზაციისთვის XVIII ს-ში*** ***228***

40/41 რატომ უწოდეს ვახტანგ VI-ის პერიოდს „ენციკლოპედიური ხანა“? . 229

42/43 რატომ დამარცხდა ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკა? 238

44/45 როგორ იბრძოდნენ თეიმურაზ II და ერეკლე II აღმოსავლეთ კავკასიაში წამყვანი პოზიციების მოსაპოვებლად? 246

46 რა ინტერესები ჰქონდათ დიდ სახელმწიფოებს კავკასიაში XVIII ს-ის მეორე ნახევარში? 254

47/48 რა ღონისძიებებს მიმართავდა ერეკლე II ქართლ-კახეთის სამეფოში შიდასტაბილურობის მისაღწევად? 261

49/50 რამ განაპირობა გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერა და რა შედეგები მოჰყვა ამას საქართველოსთვის? 274

თემა 3 საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში **285**

3.1 რუსეთის იმპერიული წესრიგის დამყარება საქართველოში XIX ს-ის I ნახევარში **286**

საკითხი 8. ***რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში*** ***287***

51/52 როგორ მოახდინა რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფოების ანექსია? 288

53 როგორ გააუქმა რუსეთმა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა? . 298

54/55 როგორ შეხვდნენ ქართველები რუსეთის მიერ ქართული სამეფოების ანექსიას? 303

საკითხი 9. ***XIX ს-ში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს ტერიტორიული ცვლილებები.*** ***310***

56/57 რა ტიპის მმართველობა დაამყარა რუსეთის იმპერიამ საქართველოში? 311

საკითხი 10. ***ახალი დროის კულტურული ცვლილებები საქართველოში XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში.*** ***324***

58/59 როგორ შემოდიოდა ახალი დრო საქართველოში? 325

60 რა სახით მონაწილეობდა საქართველო რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის ომებში? 334

61 რა მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის ომს საქართველოსთვის? . . . 342

62/63 როგორ გატარდა ალექსანდრე II-ის რეფორმები საქართველოში? . 348

3.2 საქართველო თერგდალეულთა მოღვაწეობის პერიოდში **360**

საკითხი 11. ***საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები და მოვლენები საქართველოში XIX ს-ის მეორე ნახევარში.*** ***361***

64/65 ვინ იყვნენ თერგდალეულები და რა მიზნები ჰქონდათ მათ? . . . 362

66 როგორ და რა მიზნით აშუქებდა ქართული პრესა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს? 371

67 როგორ დაუბრუნდა აჭარა საქართველოს და როგორ იქცა ბათუმი პორტო ფრანკოდ? 377

68/69 როგორ იქმნებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები საქართველოში? 384

70 რამ გამოიწვია და როგორ დასრულდა 1905-1907 წლების რევოლუციური მოვლენები საქართველოში? 394

დანართები. **401**

დანართი №1 მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. VIII

დანართი №2 კავკასიის ფიზიკური რუკა. X

დანართი №3 საქართველოს ზოგადგეოგრაფიული რუკა. XII

დანართი №4 II–VIII ჯვაროსნული ლაშქრობები. XIV

დანართი №5 ქართული წელთაღრიცხვის სისტემა. XV

დანართი №6 ამონარიდები გიორგი V ბრწყინვალის დროს მიღებული სამართლის წიგნიდან „ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ“, 1334-1335. . . XVI

დანართი №7 ნაწყვეტი დოკუმენტიდან „ხელმწიფის კარის გარიგება“, XIV ს.. XVII

დანართი №8 „ბრძენი აღმოსავლეთისა“. XIX

დანართი №9 საქართველოს მოსახლეობა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით 1800-1897. XXI

წიგნში გამოყენებული პირობითი ნიშნები და მათი განმარტება

გაკვეთილის შესავალი აბზაცი გაცნობს გაკვეთილის შინაარსს ან/და მიზანს.

გაკვეთილის ნომერი და სათაური

ცნობა გაწვდის დამატებით ინფორმაციას გაკვეთილში განხილულ საკითხთან დაკავშირებით.



3/4 **როგორ იყენებდა ბიზანტია საქართველოში არსებულ შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებას?**

გაერთიანებული საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა შიდაპოლიტიკური დაპირისპირებებისა და ფეოდალური პარტიკულარიზმის დაძლევა იყო. ერთი მხრივ, ბაგრატიონთა სამეფო კარს ჰქონდა მისწრაფება, შეექმნა ცენტრალიზებული ხელისუფლება, მეორე მხრივ, არსებობდა ფეოდალების სურვილი, შეენარჩუნებინათ შეუვალობა. ეს დაპირისპირება საქართველოს პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც ასუსტებდა. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ იყენებდა მას ბიზანტიის იმპერია საკუთარი ინტერესების გასატარებლად.

პარტიკულარიზმი (ლათ. Particularis – ნაწილობრივი, კერძო, ცალკეული) – ძირითადად, ადნიშნავს სახელმწიფოს ზოგიერთი ნაწილის განცალკევებისკენ სწრაფვას. აქ: ფეოდალების მისწრაფება შეუ საუკუნეების ფეოდალურ სახელმწიფოში უფრო მეტი პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური ან სხვა სახის დამოუკიდებლობისკენ.

შეუვალობა – იგივე იმუნიტეტი, ხელშეუხებლობა და რაიმესგან თავისუფლება (მაგ., გადასახადებისგან).

საქართველოს სამეფო ტახტზე ბაგრატ IV-ის ასცლამ ფეოდალთა ნაწილს დაუმორჩილებლობის კენ უბიძგა. მათ მოისურვეს, ახალგაზრდა მონარქის გამეფებით ესარგებლათ და ცენტრალიზებული ხელისუფლების გაველენა შეესუსტებინათ. თავის მხრივ, სამეფო კარი პოზიციებს არ თმობდა, ბიზანტიის იმპერია კი შექმნილ ვითარებას სათავისოდ იყენებდა იმისათვის, რომ მეფის ხელისუფლება, შესაბამისად კი – საქართველო და რეგიონში მისი პოზიციები დაესუსტებინა. საქმე ისაა, რომ ბიზანტია ქრისტიანული სამყაროს ლიდერობაზე აცხადებდა პრეტენზიას, მას ქრისტიანული საქართველო მხოლოდ ვასალად წარმოედგინა. ამიტომ არის, რომ ის მხარს უჭერდა მეფის მონინააღმდეგე ბაგრატიონებსა და მასთან დაპირისპირებულ დიდებულებს. ეს ნაცადი იმპერიული პოლიტიკის – „დაყავი და იბატონე“ – გამოყენება იყო. საიმპერატორო კარი სხვადასხვა ტიტულით, პრივილეგიებითა თუ ქრთამის მეშვეობით ცდილობდა ქართველი ფეოდალების გულის მოგებას. შედეგად, ბაგრატის მეფობის დასაწყისშივე მათგანი ბიზანტიას აშკარად მიემხრო.

წყარო 1 **XI ს-ის ქართველი მემატიანე სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს ახზაურების განდგომის შესახებ:**

ადაპტირებული წყარო

შემდეგ გამეფდა მისი [მეფე გიორგის] ძე, ცხრა წლის ბაგრატი. საბერძნეთში გაემართნენ ტაოელი ახზაურები ვაჩე კორძის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, მათთან ერთად ტაოს ახზაურთა უმრავლესი ნაწილი, ზოგი ციხოვანი და ზოგიც უციხო. [ისინი] განუდგნენ ბაგრატს და ერთგულება გამოუცხადეს კონსტანტინეს, ბერძნთა მეფე ბასილის ძმას, რომელიც [ბასილის] შემდგომ გამეფდა.

მეორე წელს კონსტანტინე მეფემ [საქართველოში] გამოგზავნა თავისი პარკიმანოსი უთვალაღი ძალით, სამეფო ლაშქრითა და ურიცხვი საგანძურით... ისიც განუდგნენ [ბაგრატს] აზნაურები, ციხესიმაგრეები ჩააბარეს [კონსტანტინეს]. მაშმუთს ერისთავმა ჩაჩნახამ წეფთის ციხე გადასცა [მერვინთა მეფეს] და [განდგომილი აზნაურები] საბერძნეთში წავიდნენ.

შენიშვნები: ციხოვანი – საკუთარი ციხის მფლობელი, დიდებული აზნაური.

კონსტანტინე – იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VIII (1025-1028).

პარკიმანოსი – ბიზანტიური ძალაუფლების რანგის სამოხელეო-სატიტულო, იმპერატორის მუსაღლეთუხუცესი.

წეფთის ციხე – მდებარეობდა ისტორიულ შავშეთში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე.

- *იმსჯელე, რა სირთულეების წინაშე შეიძლება დადგეს სამეფო ხელისუფლებათა ცვლის მომენტში?*
- *წყარო 1-ს მიხედვით იმსჯელე, რა განსა ზღვრავდა შეუა საუკუნეების საქართველოში აზნაურთა სტატუსს?*
- *როგორ ფიქრობ, რისთვის შეიძლება გამოუყენებინა პარკიმანოსს „ურიცხვი საგანძური“?*
- *შენი აზრით, რა მოტივებით იყო განპირობებული ქართველ აზნაურთა განდგომა?*

ცნობა 1 **რას ნიშნავს „დაყავი და იბატონე“?**

„დაყავი და იბატონე“ (ლათ. Divide et impera) იყო იმპერიების პოლიტიკური პრინციპი დაპყრობილი ან ვასალური ქვეყნების მიმართ, მათი უფრო მარტივად მართვის/კონტროლის მიზნით. ამ პოლიტიკის არსი მემდეგია: იმპერია ცდილობს ერთმანეთთან დაპირისპიროს დაპყრობილი, ვასალური ან დასამორჩილებელი ქვეყნის პოლიტიკური ელიტის ნარმომადგენლები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი, ტერიტორიული ერთეული და ა. შ. ამით იმპერია ცდილობს, დაიმორჩილოს სხვადასხვა მმართველი, მოსახლეობა და საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელთა გაერთიანების შემთხვევაში იმპერია მათზე გაველების დამყარებას თუ შენარჩუნებას ვეღარ შეძლებს. ამ პრინციპის კლასიკურ მაგალითს რომის ისტორიაში ვასოულობთ, რაც კარგადაა გადმოცემული I-II სს-ის რომაელი ისტორიკოსის, ტაციტუსის ნოტვებში: „დაე, ღმერთებმა გაახანგრძლივონ ამ ხალხებში, თუ ჩვენდამი რაიმე სახის სიყვარული არა, ყოველ შემთხვევაში – ერთმანეთის მიმართ მტრობა და სიძულვილი მაინც: ვინაიდან, სანამ იმპერიას მეგდად უწერია, ამის ნამქუზებელი იყოს, ღმერთი სხვა ვერაფრით ვერ გაგვლინებს იმაზე უკეთ, ვიდრე ჩვენს მტრებს შორის შუღლის დათესვით“.

- *გაიხსენე საქართველოს მიმართ სხვადასხვა იმპერიის მიერ „დაყავი და იბატონე“ პრინციპის გამოყენების მაგალითები. იმსჯელე, რა შეიძლება დაუპირისპიროს იმპერიის ამ პოლიტიკას ადგილობრივმა პოლიტიკურმა ელიტამ?*

საქართველოში საუთარი მიზნების მიღწევაში ბიზანტიის იმპერიას ხელს უწყობდა ფეოდალური სზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი და იერარქია, რომლებიც, ბიძგს აძლევდა ძალაუფლებისთვის ბრძოლას, ფეოდალთა შორის დაპირისპირებას.

სახელმწიფოს სათავეში დგას ყველაზე მსხვილი ფეოდალი, პატრონი, სოუზერენი, რომელიც მეფედ ინოდება. მისი ყმები არიან მსხვილი ფეოდალები, ვასალები, რომელთაც, თავის მხრივ, აგრეთვე, ყმები ჰყავთ. ესენიც ფეოდალები არიან, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბის. მხოლოდ მეფე მიიწვევა მათ შორის უმაღლეს სოუზერენად, რომელიც არავის არ ექვემდებარება.

შენიშვნა: განვითარებული ფეოდალური ზმა – ისტორიული პერიოდი, რომელიც მოიცავს XI–XIII სს-ს. მას ახასიათებს მრნა მე ფეოდალთა მონოპოლიური საკუთრება, ფეოდალთა ძლიერი იმუნიტეტი, ფეოდალური დაქვემდებარება, ფეოდალთა კლასის იერარქიული სტრუქტურა, მრავალრიცხოვან ციხესიმაგრეთა სისტემა და სხვ.



წყარო 2 **ნანვევები დარეჯან დედოფლის წერილიდან იმპერატორ ეკატერინე II-ისადმი (1795 წ. 6 ივნისის):**

ადაპტირებული წყარო

ამდენი ქრისტიანის გასაჭირი მაიძულებს, ვვედრო თქვენს უდიდებულესობას, რათა, მოწყალე ტახტის პირობის თანახმად, ინებოთ ჩვენი დახმარება აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ მახლობლად დგას თავისი ჯარით და ცდილობს ქვეყნისა და ჩვენს დაპყრობას, ამიტომაც ცრემლით გევედრები, უდიდებულესო ხელმწიფეო... რათა დაგვეხმარო უძლეველი ჯარით.

- *იმსჯელე, რა მიზანს ისახავდა რუსეთის ამგვარი დამოკიდებულება ქართლ-კახეთისადმი?*

აღა-მაჰმად-ხანი დარწმუნდა, რომ რუსეთის იმპერია ერეკლე II-ს ჯარით არ დაეხმარებოდა, ამიტომაც 1795 წელს ირანელთა 35-ათასიანი ჯარი საქართველოში შემოიჭრა და 10 სექტემბერს ყრნანისის ველს მოადგა. ერეკლემ მხოლოდ 5000 მეომრის მოგროვება შეძლო. ქართველი თავადებისა და ბატონიშვილების ნაწილი ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდა. იმავე დღეს ქართველებმა მტრის მონინავე რაზმები დაამარცხეს, მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდური გამარჯვება იყო. 11 სექტემბერს ირანელებმა ქართველთა ჯარის ზურგიდან შემოვლა შეძლეს და დაამარცხეს. მეფე ერეკლემ მთიანეთს შეაფარა თავი. ირანელებმა თბილისი აიღეს, 8 დღის განმავლობაში ძარცვავდნენ და უკან, ირანში გაბრუნდნენ. მომდევნო წელს აღა-მაჰმად-ხანი ირანის შაჰინ-შაჰად ოფიციალურად აკურთხეს.

- *იმსჯელე, რა მიზანს ისახავდა აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობა?*

წყარო 3 **აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღება, მინიატურის ფრაგმენტი XIX ს-ის სპარსული ხელნაწერიდან, ბრიტანეთის ბიბლიოთეკა**

ამგვარად, გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამ ქართლ-კახეთის მდგომარეობა არათუ გაათმჯობესა, პირიქით – უკიდურესად გაამწვავა. ერთ დროს ამირკაკასიის ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც ოსმალეთიც და ირანიც ანგარიშს უწევდნენ და მუზობელი სახანოები მოხარკედ ჰყავდა, იმდენად დასუსტდა, რომ ძალიან მალე რუსეთის იმპერიამ მისი ანექსია ადვილად შეძლო.

დისკუსია

კლასში გამართეთ რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკის შესახებ დისკუსია. რომელ მორისმიმავალ გეგმას ისახავდა დროთა სამხედრო დახმარებაზე უარის თქმა?

კლასში გამართეთ დებატები თემაზე: „რუსეთი მოდიოდა საქართველოში თუ ერეკლე მეორეს მოჰყავდა?“

გაკვეთილზე შესასრულებელი, ე. წ. „ბულიტიანი“ სავარჯიშო

წყაროს სახით წარმოდგენილია ტექსტი, ილუსტრაცია, რუკა ან ცხრილი, რომლის შესწავლა-გამოკვლევა გეხმარება საკითხის გაგებასა და ცოდნის „აღმოჩენაში“.

გაკვეთილის შემაჯამებელი სავარჯიშოები გეხმარება საგაკვეთილო მასალის უკეთ გააზრებასა და მიღებული ცოდნის განმტკიცებაში.

1 განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში

ერთიანმა საქართველომ ჯერ კიდევ XI ს-ის დასაწყისში მიზნად დაისახა, რეგიონის წამყვან სახელმწიფოდ ქცეულიყო. ამ თემიდან გაიგებ, როგორ ვითარდებოდა საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებულ შუა საუკუნეებში. რა სირთულეების წინაშე იდგა იგი და როგორ იყო ჩართული რეგიონში მიმდინარე ისეთ პროცესებში, როგორებიცაა: თურქ-სელჩუკთა იმპერიის ჩამოყალიბება, ჯვაროსნული ლაშქრობები, მონღოლთა ექსპანსია და სხვ.; როგორ შეძლო საქართველომ თავდაპირველად რეგიონის ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბება და რამ განაპირობა მისი დაქვეითება შემდგომში.

მთავარი კითხვები, რომლებსაც უნდა უპასუხო ამ თავის შესწავლის შემდეგ:

- რა ინფორმაციას გვაწვდიან განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ წყაროები და როგორ დავადგინოთ სხვადასხვა ტიპის წყაროდან მიღებული ინფორმაციის სანდოობა?
- როგორ აღიქვამდა განვითარებული შუა საუკუნეების ადამიანი სამყაროს?
- რატომ დაუპირისპირდა ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი I ბიზანტიის იმპერიას და რა შედეგით დასრულდა ეს კონფლიქტი?
- რატომ უშლიდა ხელს ბიზანტია საქართველოს გაძლიერებას და აღვივებდა ქვეყანაში შიდადაპირისპირებას?
- როგორ იბრძოდნენ ბიზანტია და საქართველო გეოპოლიტიკური ინტერესებისათვის კავკასიის რეგიონში?
- რატომ ატარებდნენ საქართველოს მეფეები ბიზანტიურ ტიტულებს?
- რატომ დაიწყო „დიდი თურქობა“ და როგორ აისახა თურქ-სელჩუკთა ბატონობა საქართველოზე?
- რატომ ურთიერთობდნენ ქართველები ევროპელ ჯვაროსნებთან? რატომ ჰქონდათ მიმოწერა ქართველ მეფეებს რომის პაპებთან?
- როგორ დაასრულა დავით IV აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანება?
- რატომ იქცნენ მონასტრები განათლების კერებად განვითარებულ შუა საუკუნეებში?
- რატომ ხდებოდა შიდადინასტიური დაპირისპირებები სამეფო კარზე?
- რატომ იქცა XII საუკუნე „ოქროს ხანად“ საქართველოს ისტორიაში?
- როგორ შეძლეს მონღოლებმა საქართველოს დაპყრობა?
- როგორ შეცვალა ქართველი საზოგადოების ყოფა-ცხოვრება სხვადასხვა დამპყრობელთან (ბიზანტიასთან, თურქ-სელჩუკებთან, მონღოლებთან) ურთიერთობამ?
- როგორ შეძლო გიორგი V-მ საქართველოს ერთიანობის აღდგენა და როგორ მოიპოვა საერთაშორისო ავტორიტეტი?
- როგორ აისახა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ისტორიაზე თემურლენგის ლაშქრობები?
- რით განსხვავდებოდა განვითარებული შუა საუკუნეები თანამედროვეობისგან და/ან სხვა ისტორიული ეპოქებისგან?

1.1 საქართველოს სამეფო აღმავლობის გზაზე



ამ ქვეთემაში გაეცნობი ინფორმაციას XI ს-დან გაერთიანების გზაზე დამდგარ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებების შესახებ. ქვეთემაში განხილულია საქართველოს ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან. გაეცნობი პოლიტიკურ არენაზე გამოსულ ახალ ძალას – თურქ-სელჩუკებს; გაიგებ, რა შედეგების მომტანი აღმოჩნდა მათი მარბიელი ლაშქრობები საქართველოსთვის და როგორ დასრულდა „დიდი თურქობა".

ასევე, შეიტყობ, როგორ შეძლო დავით IV აღმაშენებელმა ქვეყნის გაერთიანების პროცესის დასრულება; მის მიერ გატარებული ღონისძიებების წყალობით, როგორ აღიკვეთა ფეოდალთა თვითნებობა და ჩამოყალიბდა ქვეყნის მართვის ახალი სისტემა; როგორ დამტკიცდა საქართველოს პირველობა ახლო აღმოსავლეთში დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებით და ქვეყნის პოლიტიკურ წარმატებებს როგორ მიჰყვებოდა განათლებისა და კულტურის სფეროს დაწინაურება. გაიგებ, ასევე, საქართველოს ისტორიაში მომხდარ იმ უპრეცედენტო შემთხვევაზე, როდესაც ქალი პირველად აღმოჩნდა ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე. შეიტყობ, როგორ გადალახა თამარმა მეფობის პირველ ეტაპზე ფეოდალთა წინააღმდეგობა და რატომ ვუწოდებთ თამარის ეპოქას „ოქროს ხანას".

საკითხი 1. დაპირისპირება ბიზანტიასა და საქართველოს შორის



კომპლექსური დავალება 1

სამიზნე ცნებები

- ძალაუფლება
- ისტორიული წყარო
- სივრცე

XI ს-ის საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მწვავედ დადგა ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხი. ბიზანტიის მფარველობა დღითიდღე მიუღებელი და თავსმოხვეული ხდებოდა.

შეისწავლე ამ პერიოდის ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობების ამსახველი წყაროები, ქართველ მეფეთა საგარეო პოლიტიკის წინაშე დამდგარი გამოწვევები, ორ სახელმწიფოს შორის არსებული გეოპოლიტიკური ინტერესი, და მოემზადე დისკუსიისთვის თემაზე „რატომ დაუპირისპირდა ბიზანტია და საქართველო ერთმანეთს?“. დისკუსიის დაწყებამდე მონაწილეებს გადაუგზავნე **თეზისები**, რომლებიც შენს არგუმენტებს ასახავენ.

ნაშრომში ნათლად წარმოაჩინე შემდეგი საკითხები:

- რა ძალაუფლებას ფლობდნენ ქართველი მონარქები გიორგი I და ბაგრატ IV და როგორ ცდილობდნენ სამეფო ტახტზე საკუთარი ლეგიტიმურობის განმტკიცებას?
- როგორ და რა საშუალებებით ებრძოდნენ XI ს-ის საქართველოში ხელისუფლებას და როგორ იყენებდა შიდადაპირისპირებას ბიზანტია?
- რომელ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობების შესახებ მოცემული ცნობების ტენდენციურობის ან ობიექტურობის გადამოწმება?
- რა ფაქტორები განაპირობებს წყაროთა სანდოობას/ტენდენციურობას?
- რა ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გეოპოლიტიკურ სივრცეს, სადაც ბიზანტიისა და საქართველოს ინტერესები გადაიკვეთა?
- რა გეოგრაფიული წარმოდგენები ჰქონდათ განვითარებული შუა საუკუნეების ადამიანებს იმ პერიოდის მსოფლიოს სხვა ქვეყნების შესახებ (საბერძნეთი, სპარსეთი)? რატომ უწოდებდნენ მაშინდელ საქართველოს „აფხაზეთს“?

1/2 რატომ დაუპირისპირდა ერთიანი საქართველო ბიზანტიის იმპერიას?

XI ს-ში საქართველო ჯერ კიდევ არ იყო სრულად გაერთიანებული და მყარად ცენტრალიზებული სახელმწიფო. მიუხედავად ამისა, ბაგრატიონთა სამეფო კარის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება მალევე გამოიკვეთა – მას საქართველოს სამეფოს სახით რეგიონში ანგარიშგასაწევი სახელმწიფოს შექმნა სურდა. ერთიანი საქართველოს პირველი მეფე, რომელმაც ამ მიზნით საგარეო პოლიტიკა გააქტიურა, გიორგი I (1014-1027) იყო; ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, რატომ სურდა მას იმიერტაოსა და ჩრდილოეთ ბასიანის დაპატრონება და რის გამო დაუპირისპირდა ერთიანი საქართველო ბიზანტიის იმპერიას.



1014 წელს გარდაიცვალა ბაგრატ III, საქართველოს სამეფო ტახტზე მისი ვაჟი **გიორგი I** ავიდა. ამ პროცესმა რამდენიმე წლით ადრე შემომტკიცებული კახეთ-ჰერეთის დიდებულები წააქეზა, დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინათ ბაგრატიონთა ცენტრალური ხელისუფლებისთვის. მათ ბაგრატის მიერ დანიშნული ერისთავები შეიპყრეს და ტახტზე კახეთის ქორეპისკოპოსი **კვირიკე III** (1010/1014-1039) დააბრუნეს. რომელმაც „რანთა და კახთა“ მეფის ტიტული მიიღო.

მეფე გიორგი იძულებული გახდა, კახეთ-ჰერეთზე კონტროლის დაკარგვას შეჰგუებოდა, რადგან უფრო მნიშვნელოვან მიზნად **იმიერტაოსა და ჩრდილოეთ ბასიანის** შემომტკიცება დაისახა. როგორც იცი, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ მისი სამფლობელოები ბიზანტიამ მიიერთა. ბიზანტიის შემადგენლობაში ამ მიწებმა „იბერიის თემის“ სახელწოდება მიიღო. ბიზანტიელებისთვის ამ ტერიტორიის ფლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მასზე სამხედრო თვალსაზრისით სტრატეგიული და სავაჭრო-სატრანზიტო გზები გადიოდა. ამ რეგიონიდან ბიზანტიას დამატებითი გზა ეხსნებოდა როგორც ქართული და სომხური მიწებისკენ, ისე მუსლიმური ქვეყნებისკენ. ბიზანტიისთვის საქართველო და სომხეთი თავისი „თანამეგობრობის“ წევრები, ვასალი სუბიექტები იყვნენ, ამიტომაც მას, ერთი მხრივ, ყურადღებით უნდა გაეკონტროლებინა ისინი და, მეორე მხრივ, არ დაეშვა რომელიმე მათგანის ზედმეტად გაძლიერება.

წყარო ა საქართველო XI ს-ის I მეოთხედში, მეფე გიორგი I-ის დროს



● *შენი აზრით, რატომ იყო იმიერტაოს შემოერთება უფრო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის, ვიდრე კახეთ-ჰერეთზე კონტროლის აღდგენა? იმსჯელე რეგიონში არსებული ძალთა თანაფარდობის შესახებ – საიდან ელოდა უფრო მეტ საფრთხეს გიორგი I?*

იმიერტაოსა და ჩრდილოეთ ბასიანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვისაც – მისი დაუფლებით სამეფო უფრო დაცული იქნებოდა, პირველ რიგში, ბიზანტიის ექსპანსიისაგან, აგრეთვე, საქართველო უფრო დამოუკიდებელ პოლიტიკას გაატარებდა რეგიონში, განსაკუთრებით, სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნულ მიწებზე გადიოდა ძირითადი მაგისტრალები, რომლებიც საქართველოს მცირე აზიასთან და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან აკავშირებდა. აგრეთვე, თორთუმში მოქმედებდა საბაჟო, რომელიც ადგილობრივ მმართველთა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო. ამ ტერიტორიის ბიზანტიელთა ხელში არსებობა არც სომხეთის მეფე-მთავრებს აწყობდათ, რადგან იგი სომხურ მიწებს ემეზობლებოდა. ამიტომაც ქართველები და სომხები ბიზანტიის წინააღმდეგ ბუნებრივი მოკავშირეები ხდებოდნენ. სწორედ ამის გამო იყო, რომ გიორგი I სომხეთის მმართველებთან მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდა და უფრო მეტიც – მათი შიდადაპირისპირების მოგვარებას შუამავლობდა.

წყარო ბ **XI ს-ის სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი ყვება იმის შესახებ, თუ როგორ შეარიგა მეფე გიორგიმ ანისის სამეფო ტახტისთვის მებრძოლი ძმები:**

გაგიკ მეფე დიდხანს განაგებდა თავის სამეფოს, კეთილი მოგონებების ღირსიც შეიქმნა და ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა; ხელისუფლებას კი დაეუფლნენ მისი შვილები: სუმბატი, რომელიც იოანედ იწოდებოდა და აშოტი – [სუმბატის] მკვიდრი ძმა ... ისინი ერთმანეთს შეეტაკნენ ქვეყნის დანაწილებისათვის. საჭირო შეიქნა სასამართლო. მათთან მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი. ორი სახელის მქონე სუმბატს [ასაკით] უფროსობის გამო [გიორგიმ] მისცა წილი – ანისის ციხე, მის გარშემო მდებარე თემებთან ერთად, ხოლო აშოტს – ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა.

შენიშვნა: გაგიკ მეფე *– ანისის მეფე გაგიკ I (დაახლ. 989-1017).*

- *იმსჯელე, რეგიონში საქართველოს რა სტატუსზე მიუთითებს წყარო ბ-ში გადმოცემული ამბავი?*
- *შენი აზრით, რატომ იყო დაინტერესებული მეფე გიორგი, წყაროში მოცემული პრობლემა ამგვარად გადაეჭრა?*

სავარაუდოდ, 1016 წლისთვის გიორგი I-მა იმიერტაო დაიკავა და ამით, ფაქტობრივად, ბიზანტიას – იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს – და მის იმპერატორ **ბასილი II-ს** (976-1025) ომი გამოუცხადა.

წყარო გ **შუა საუკუნეების ისტორიკოსები სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ, თუ როგორ დაიწყო კონფლიქტი ბიზანტიასა და საქართველოს შორის:**

XI ს-ის სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი: გარდაიცვალა აფხაზთა მეფე ბაგრატი და გამეფდა მისი ვაჟი გიორგი. თვითმპყრობელმა მეფე ბასილიმ ასეთი ბრძანება გაუგზავნა მას: რაც კი [დავით] კურაპალატის წილიდან მამაშენს ძღვნად მივეცი, თავი ანებე და მხოლოდ საკუთარი მამული განაგეო, ხოლო [გიორგიმ] არ მიიღო [ეს ბრძანება]; ყრმობის ასაკით გამედიდურებულმა, მან ურჩად უპასუხა [ბასილი მეფეს]: რაც კი მამაჩემს ეპყრა საგამგებლოდ, მისგან ერთ სახლსაც ვერავის მივცემო.

X-XI სს-ში მოღვაწე ქრისტიანი არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქიელი: გიორგიმ, აფხაზთა მეფემ, განიზრახა, ზიანი მიეყენებინა მისი [ბასილის] სამფლობელოების მეზობელი ოლქებისათვის; დაეუფლა ციხესიმაგრეებსა და ოლქებს, რომლებიც ბიძამისმა, დავით კურაპალატმა, დაუთმო ბასილი კეისარს.

XI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე: აბაზგიის მთავარმა გიორგიმ დაარღვია *რომაელებთან* დადებული ხელშეკრულება და რომაელთა საზღვრებში შეიჭრა.

შენიშვნა: რომაელები *– აქ: ბიზანტიელები.*

- *როგორც ხედავ, ისტორიკოსები განსხვავებულ* ***ნარატივს*** *გვთავაზობენ. იმსჯელე, კონფლიქტის დაწყების რომელი სცენარია უფრო სარწმუნო და რატომ?*
- *დააკვირდი – სომეხი და არაბი ისტორიკოსები გიორგი I-ს „მეფედ“ მოიხსენიებენ, ბიზანტიელი ისტორიკოსი კი – „მთავრად“. შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი? – ვის პოლიტიკურ პოზიციას გამოხატავს ამ შემთხვევაში გიორგი კედრენე?*

ნარატივი – (ლათ. Narrare – თხრობა) – აქ: თხრობა ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებში.



წყარო დ **ტრიუმფალურ სამოსში გამოწყობილ ბასილი II-ს ანგელოზები ადგამენ საიმპერატორო გვირგვინს, ბასილი II-ის XI ს-ით დათარიღებული ფსალმუნის მინიატურის ასლი. ძლიერ შელახული ორიგინალი დაცულია მარჩიანის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ვენეცია, იტალია**

- *რა ტიპისაა წყარო დ? შენი აზრით, რამდენად უწყობს ხელს ამ ტიპის წყაროები ისტორიის შესწავლას? პასუხი დაასაბუთე.*
- *რატომ ადგამენ ბასილს საიმპერატორო გვირგვინს ანგელოზები? რისი მინიშნება ხდება ამით? რა მიზნით?*
- *შენი აზრით, ნახატზე ამ სახით წარმოჩენა რამდენად შეუწყობდა ხელს იმპერატორს ხელისუფლების ლეგიტიმაციაში? პასუხი დაასაბუთე.*

ცნობა 1 **რატომ უწოდებენ განვითარებული შუა საუკუნეების მემატიანეები ერთიან საქართველოს „აფხაზეთს“, საქართველოს მეფეს კი – „აფხაზს“?**

ერთიანი საქართველოს საფუძველი შეიქმნა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს), ქართველთა სამეფოს (ტაო-კლარჯეთის), შიდა ქართლის, კახეთისა და ჰერეთის გაერთიანებით. გაერთიანებული საქართველოს პირველი მონარქის, ბაგრატ III-ის, პირველი სამეფო ტიტული იყო „მეფე აფხაზთა“, რადგან 978 წელს ის ჯერ აფხაზეთის მონარქად ეკუთხა, შემდგომ კი, ეტაპობრივად, შემოიმტკიცა სხვა მხარეები. შესაბამისად, გაერთიანების საფუძველი აფხაზეთი, ანუ დასავლეთ საქართველო გახდა. ამიტომაც შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში საქართველოს აღმნიშვნელად ხშირად გამოიყენებოდა ტერმინი „აფხაზეთი“, ქართველი მეფეების აღსანიშნავად კი – „აფხაზი“. ეს სახელწოდებები ბიზანტიურ წყაროებში „აბაზგიის“/„აბაზგის“ ფორმითაც გვხვდება.

მეტად გაბედული გადაწყვეტილების მიღებისას მეფე გიორგი საქართველოსთვის აუცილებელ და ხელსაყრელ გარემოებებს ითვალისწინებდა:

პირველი – როგორც უკვე აღინიშნა, იმიერტაოს კონტროლი ერთიანი საქართველოსთვის აუცილებლობას წარმოადგენდა, ამიტომაც ხელსაყრელი საგარეო ვითარება უნდა გამოეყენებინა.

მეორე – მეფე გიორგიმ რეალურად შეაფასა ბიზანტიის იმპერიის წინაშე მდგარი სირთულეები, უპირველესად – გაჭიანურებული ომი ბულგარელებთან, რომლებიც ბიზანტიას უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ.

მესამე – საქართველოს მეფემ შექმნა ერთგვარი კოალიცია – მის მოკავშირეებად გამოდიოდნენ სომეხი მმართველები, მათ შორის, ანისის მეფე იოანე-სუმბატი და ვასპურაკანის მეფე სენექერიმი (მეფე გიორგის პირველი მეუღლის, მარიამ დედოფლის, მამა). აგრეთვე, გიორგის მოკავშირედ გვევლინება კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე. გიორგი უფრო შორსაც წავიდა და, როგორც ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, ფატიმიანთა ეგვიპტის ხალიფა **ალ-ჰაქიმთან** (996-1021) კავშირების დამყარებაც სცადა. ფატიმიანებმა ეგვიპტე 969 წელს დაიმორჩილეს და მისი ახალი დედაქალაქი – კაირო დააარსეს. ისინი აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდნენ და, შესაბამისად, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ბიზანტიის მოწინააღმდეგედ გადაიქცნენ. ამ ორ ძალას შორის შეტაკებები, ძირითადად, სირიაში მიმდინარეობდა. ალ-ჰაქიმის მმართველობის დროს მათ შორის ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან ქრისტიანების წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიები წამოიწყო და იერუსალიმში მდებარე ქრისტეს საფლავის ტაძარიც კი დაანგრია; ეს კი ბიზანტიის ავტორიტეტისთვის უდიდესი დარტყმა იყო, რადგან ბიზანტიის იმპერატორები თავს ქრისტიანთა დამცველებად მიიჩნევდნენ.

მეოთხე – გიორგი მეფეს ტაოს დიდებულებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის იმედიც ჰქონდა, რადგან მათ ბიზანტიისგან გათავისუფლება სურდათ. ამას ადასტურებს არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობა იმის შესახებ, რომ ტაოელები ბიზანტიელებს აქტიურად შეებრძოლნენ.

მეხუთე – ომის მსვლელობისას გამოიკვეთა მეფე გიორგისთვის ხელსაყრელი დამატებითი გარემოებაც: 1021 წელს იმპერატორ ბასილის წინააღმდეგ მცირე აზიაში აჯანყება დაიწყო. როგორც ირკვევა, საქართველოს მეფეს აჯანყებულებთან კავშირი ჰქონდა და თავისი მიზნის მისაღწევად მათ გამოყენებას ცდილობდა.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით მეფე გიორგი ენერგიულად შეუდგა საკუთარი გეგმის განხორციელებას.

● *იმსჯელე, რამდენად ობიექტური და მყარი მიზეზები/გარემოებები ჰქონდა მეფე გიორგის ბიზანტიასთან დასაპირისპირებლად? ჩამოაყალიბე მეფის გადაწყვეტილების მოწინააღმდეგეთა შესაძლო არგუმენტები.*

ცნობა 2 რით არის გამორჩეული ალ-ჰაქიმი მუსლიმური სამყაროსთვის?

ალ-ჰაქიმამდე ფატიმიანთა ეგვიპტის ბიუროკრატიული აპარატის ძირითად ნაწილს ქრისტიანები და ებრაელები შეადგენდნენ, მან კი ამ ვითარების შეცვლა გადაწყვიტა. ხალიფა ცდილობდა შიიტური ისლამისა და მისი წარმომადგენლების გაძლიერებას. ალ-ჰაქიმის დროს კაიროში დასრულდა მთელ მუსლიმურ სამყაროში ცნობილი ალ-აზჰარის მეჩეთის მშენებლობა. XI ს-ში წარმოქმნილმა დრუზების ისლამურმა მიმდინარეობამ ალ-ჰაქიმი ღმერთის განსხეულებად გამოაცხადა, მის გაუჩინარებას კი მისტიკური ახსნა მიანიჭა. მათ სწამდათ, რომ ალ-ჰაქიმი მომავალში დაბრუნდებოდა და ისლამს პირველქმნილი სრულყოფილებით აღადგენდა.

წყარო 2 ბაბ-ალ-ნასრი, ანუ გამარჯვების კარიბჭე და ალ-ჰაქიმის მეჩეთი კაიროში, დევიდ რობერტსის ნახატის ფერადი ლითოგრაფია, ლონდონი, 1846-1849

შოტლანდიელმა მხატვარმა დევიდ რობერტსმა დასავლეთის სამყაროს ეგვიპტე და ახლო აღმოსავლეთი გააცნო. ის პირველი ევროპელი იყო, ვინც უფლება მოიპოვა, წმინდა მეჩეთებსა და ისტორიული ძეგლების ტერიტორიებზე შესულიყო.



● *ალ-ჰაქიმი მუსლიმი მმართველი იყო და ქრისტიანების წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიებით გამოირჩეოდა. რამდენად ახდენდა ეს ფაქტორი გავლენას გიორგი I-ის საგარეო პოლიტიკაზე? იმსჯელეთ კლასში – რამდენად ზღუდავდა რელიგიური საკითხი გიორგი მეფის პოლიტიკურ მისწრაფებებს?*

1018 წელს ბასილიმ ბულგარელებთან ომი წარმატებით დაასრულა და დამარცხებულ ქვეყანაში სასტიკი რეპრესიები ჩაატარა, რის გამოც „ბულგართმმუსვრელი“ უწოდეს. ამის შემდეგ მან აღმოსავლეთისთვისაც მოიცალა. იმპერატორმა საქართველოს მეფეს არა მხოლოდ მის მიერ დაკავებული მიწების დაბრუნება მოსთხოვა, არამედ იმ მიწების დათმობაც, რომლებიც ერთ დროს მან მამამისს, ბაგრატ III-ს დაუთმო. საქართველოს მეფისგან უარის მიღების შემდეგ იმპერატორმა 1021 წელს ქართველებთან საომრად ჯარები დაძრა.

წყარო 3 ქართველთა წინააღმდეგ იმპერატორ ბასილის ლაშქრობის შესახებ ცნობები დაცულია იაჰია ანტიოქიელის ნაშრომში „ისტორია“:

ბასილი კეისრის მიერ ბულგარეთში მიზნის მიღწევის, მისი დაპყრობისა და კონსტანტინოპოლში დაბრუნებისას ამ გიორგიმ, აფხაზთა მეფემ, საჭიროდ არ სცნო, გამოესწორებინა თავისი შეცდომა, თავი შეეკავებინა მოქმედებისაგან და, მამამისივით და ბიძამისივით, მისთვის ერთგულება განეცხადებინა. ამის საპირისპიროდ, მიუხედავად თავისი შეცდომისა, იგი ყოყლოჩინობდა და ჯიუტობდა. [გიორგიმ] ალ-ჰაქიმს მისწერა, რომ ერთად გამოსულიყვნენ საომრად მის წინააღმდეგ და ყოველი მათგანი დაძრულიყო თავისი ქვეყნიდან. ამ ამბავმა ბასილი კეისრის ყურამდეც მიაღწია, რამაც ის ძლიერ განარისხა და კონსტანტინოპოლიდან ფილომილს გაემართა ისე, რომ არავის შეატყობინა, თუ რა ჰქონდა გუნებაში. აგრეთვე, მან სირიის ოლქებში საომრად მზადება

გამოაცხადა, ამის ნიშნად კი სურსათი, ალაფი და იარაღი გაამზადა ანტიოქიაში [გასაგზავნად]. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ იგი სირიაში გაემგზავრებოდა. იმ დროს, როცა ბასილი კეისარი ფილომილს იმყოფებოდა, *ალ-ჰაქიმი უგზო-უკვლოდ დაიკარგა*, და იგი [იმპერატორი] გაემართა აფხაზთა წინააღმდეგ სალაშქროდ. ამ ამბის გაგებისას აფხაზმა თავისი ლაშქარი შეკრიბა და ვინც კი შეძლო, უცხოელები, დასახმარებლად მიიწვია. გამოვიდა თავისი სამფლობელოების განაპირას წადილით, რომ დახვედროდა კეისარს და შეჰბრძოლებოდა მას. როდესაც კეისარი მიუახლოვდა და მის წინაშე თავისი ძლიერი, მრავალრიცხოვანი ჯარით წარდგა, აფხაზი უბრძოლველად გაიქცა. დაედევნა მას კეისარი, ვიდრე გამაგრდებოდა იგი მდინარის [მეორე ნაპირზე], რომლის გადალახვა ბიზანტიელ ლაშქარს არ შეეძლო. [კეისარმა] გადაწვა მისი მიწა-წყალი, მიიტაცა სურსათი, დაატყვევა, მოკლა და დააბრმავა მისი 200 000 ქვეშევრდომი. გადაიარა ყველა მისი ოლქი და რაიონი, გარდა მდინარის იქით მდებარე ადგილებისა, სადაც იგი თავშესაფარს ეძიებდა და ლაშქარმა ვერ შეძლო მისვლა. [ამასობაში] დადგა ზამთარი და ბასილი კეისარი დაბრუნდა ტრაპიზონს, რათა იქ დაებანაკებინა ლაშქარი გამოსაზამთრებლად და [მერე] დაჰბრუნებოდა ლაშქრობას.

შენიშვნები: ფილომილი *– ქალაქი მცირე აზიაში.*

ალ-ჰაქიმი უგზო-უკვლოდ დაიკარგა *– 1021 წელს კაიროსთან მდებარე ერთ-ერთ მაღლობზე სეირნობისას ალ-ჰაქიმის კვალი დაიკარგა. არსებობს მოსაზრება, რომ ბიზანტიასთან მოსალოდნელი ომის წინ ის შეთქმულების მსხვერპლი გახდა.*

წყარო 8 საქართველო-ბიზანტიის ომი, 1021-1023



წყარო თ **ბასილი კეისრის ლაშქრობის შესახებ „მატიანე ქართლისა“ (XI ს.) შემდეგს გადმოგვცემს:** *ადაპტირებული წყარო*

ხოლო მისი [გიორგის] მეფობის მეშვიდე წელს დაიძრა ბასილი, *ბერძენთა* მეფე, [გიორგის] წინააღმდეგ *საბერძნეთის* მთელი ლაშქრითა და მრავალი უცხოტომელით. გიორგი მეფე დიდი ლაშქრით გაემართა მისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ორივე მრავალი დღის განმავლობაში ბასიანის ველზე იყო დაბანაკებული და არც ერთს არ დაუწყია ბრძოლა. გამოერიდა გიორგი მეფე, მივიდა და გადაწვა ქალაქი ოლთისი. იქიდან გადავიდა კოლაში; და კვალში ჩაუდგა ბასილი, მეფე ბერძენთა, და დაედევნა [გიორგის]. შეეტაკნენ ერთმანეთს გიორგის ლაშქრის უკანამავლები და ბასილის წინამავლები. დიდი ბრძოლა გაიმართა სოფელ შირიმნისთან [ჩრდილის ტბასთან]. ორივე მხრიდან დაიხოცა მრავალი; დახოცეს ერისთავები და დიდებულები: ლიპარიტის ძე რატი, და ხურსი. გვიან მისწვდა ხმა გიორგის, რომ მის უკანამავლებს ებრძვიან. მაშინ უბრძანა თავის ლაშქარს და [მეომრებმა] სწრაფად აისხეს იარაღი. ბრძოლის ველზე გავიდა თვითონ გიორგი მეფე – ტანმაღალი, ძლიერი და უშიშარი, როგორც უხორცო. მას ახლდა დიდი ლაშქარი. მოვიდა ბასილი მეფე მთელი თავისი ლაშქრით. ორივე მხრიდან შეგროვდნენ მოწინააღმდეგენი და დაიწყო ცხარე ბრძოლა; ურიცხვი ბერძენი ამოხოცეს და აიღეს დიდი ალაფი. ბრძოლა მანამდე გაგრძელდა, ვიდრე ბასილი მეფე გასაქცევად არ გაემზადა.

ხოლო რადგანაც ქართველებმა სულმოკლეობა გამოიჩინეს, გამოერიდნენ და წამოვიდნენ. გამოედევნენ ბერძნები და მრავალი დახოცეს მახვილით. წამოეწივნენ არტაანში, დაატყვევეს და ააოხრეს არტაანი. როდესაც მეფე გიორგი თრიალეთში წავიდა, ზურგიდან მიადგა [ბასილი], ააოხრა ჯავახეთი და გადავიდა თრიალეთში. კვლავ მიუახლოვდნენ ერთმანეთს, რადგან გაძლიერდა მეფე გიორგი, შემოიმატა კახეთისა და ჰერეთის ძალა, მაგრამ დაუშალეს მეორედ შებმა.

შენიშვნები: ბერძნები *– აქ: ბიზანტიელები.*
საბერძნეთი *– აქ: ბიზანტია.*

● *ზ და თ წყაროების მიხედვით, რამდენად მასშტაბური იყო ბიზანტიელების ლაშქრობა საქართველოში? რატომ ფიქრობ ასე?*

წყარო ი **ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II და მისი ჯარი (მარცხნივ) მოსდევს გიორგი I-სა და ქართველთა ლაშქარს (მარჯვნივ), მინიატურა XI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის, იოანე სკილიცეს ნაშრომიდან (ე. წ. *„მადრიდის სკილიცე“*), XII ს-ის ხელნაწერი, მადრიდის სამეფო ბიბლიოთეკა**



შენიშვნა: მადრიდის სკილიცე *– მეტსახელი იოანე სკილიცეს ნაწარმოებისა „ბიზანტიის იმპერატორების ისტორია კონსტანტინოპოლში 811-დან 1057 წლამდე, დაწერილი კურაპალატ იოანე სკილიცეს მიერ“, რომელიც XVIII ს-ში მადრიდის სამეფო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს.*

- *დაახასიათე მეფე გიორგი ორივე წყაროს მიხედვით. რამდენად განსხვავდება ეს შეფასებები ერთმანეთისგან? იმსჯელე, რა არის განსხვავებული შეფასების მიზეზები? ამ ყოველივეს გათვალისწინებით, იმსჯელე, წერილობითი წყაროების გაცნობისას რატომ უნდა მივაქციოთ ყურადღება მათი ავტორების ვინაობას?*
- *დააკვირდი: იაჰია ანტიოქელი ბრძოლების მიმდინარეობას დეტალურად არ გვიყვება, ქართველი მემატიანე კი ყურადღებას ამახვილებს ქართველების ფრაგმენტულ წარმატებებზე, მეფე გიორგის ფიზიკურ და მორალურ სიძლიერეზე, შენი აზრით, რატომ?*
- *ზ და თ წყაროების დახმარებით, იმსჯელე, როგორ წარიმართა ბრძოლა ბასილი კეისარსა და გიორგი I-ს შორის – რა მომენტში ვის მხარეს იყო უპირატესობა და რატომ?*
- *წყაროს მიხედვით, უკანდახევისას მეფე გიორგიმ ოლთისი გადაწვა. იმსჯელე ამ გადაწყვეტილების შესახებ, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით.*
- *რას აბრალებს ქართველი მემატიანე ქართველთა მარცხს? შენი აზრით, რატომ?*
- *შენი აზრით, ვინ და რატომ დაუშალა მეფეს მტერთან მეორედ შებმა? რატომ არ იყო შეუზღუდავი განვითარებული შუა საუკუნეების მონარქი გადაწყვეტილების მიღებისას? რატომ უწევდა მას სხვების აზრისთვის ანგარიშის გაწევა?*
- *დააკვირდი წყარო ი-ზე გამოსახული იმპერატორ ბასილისა და მეფე გიორგის თავსაბურავებს და შეადარე ისინი. შენი აზრით, რისი თქმა სურს ილუსტრაციის ავტორს ძალაუფლების იერარქიაში ამ მმართველთა პოზიციების შესახებ?*

წყარო კ **ოლთისის ციხე, ქ. ოლთუ, თურქეთი**

ოლთისი იყო იმიერტაოს ცენტრი. X ს-ში ის დავით III კურაპალატის რეზიდენციას წარმოადგენდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ციხე-ქალაქი ბიზანტიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. რამდენიმე წლით ოლთისი გიორგი I-მა დაიკავა, თუმცა იმპერატორ ბასილისთან ომის დროს იძულებული გახდა, იგი გადაეწვა და დაეთმო.



ბრძოლებში მარცხის შედეგად მეფე გიორგის კოალიციაც დაიშალა – ვასპურაკანის მეფემ საკუთარი ციხესიმაგრეები ბასილის გადასცა, სანაცვლოდ კი მაღალი ბიზანტიური ტიტული, ვრცელი სამფლობელოები და ფული მიიღო. საქართველოს მეფე იძულებული გახდა, საზავო მოლაპარაკებები დაეწყო და მშვიდობის სანაცვლოდ ბასილის საკუთარი ვაჟის – ტახტის მემკვიდრე ბაგრატის – მძევლად გადაცემასაც შეჰპირდა.

საზავო მოლაპარაკებები გაჭიანურდა, ამასობაში კი ბასილის იმპერიის შიგნით შეექმნა პრობლემა – მცირე აზიაში დაიწყო აჯანყება ქსიფიასისა და ფოკას მეთაურობით. მეფე გიორგის იმედი მიეცა და ბრძოლა განაგრძო.

წყარო ლ **იაჰია ანტიოქელი ბასილის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების შესახებ:**

ამ დროს მიიღო ბასილი კეისარმა [ცნობა] იმის შესახებ, რომ ნიკიფორე პატრიკიოსი, ცნობილი [სახელით] ქსიფიასი, *ანატოლიკის* გამგებელი, დაუკავშირდა ნიკიფორე კისერმოღრეცილს, ძეს ბარდა *ფოკასი*, და შეთანხმდნენ, აჯანყებულიყვნენ მის წინააღმდეგ. სახელდობრ, ქსიფიასს გამეფების იმედი ჰქონდა და ფოკასთან მოლაპარაკება იწყო მასთან შესაერთებლად. მან იცოდა, რომ მრავალი ბიზანტიელი კეთილად იყო განწყობილი ფოკას მიმართ და მისი მომხრე იყო, ვინაიდან მათ უყვარდათ მისი წინაპრები; ისინი შეთანხმდნენ, რომ დახ-

მარებოდნენ ერთმანეთს, ერთად ემოქმედათ ასეთ ვითარებაში, გამოეყენებინათ ბასილი კეისრის არყოფნა ბიზანტიაში და ის, რომ იგი დაკავებული იყო ომით იმ აფხაზებთან ... მრავალი მათგანი, ვინც ბასილი კეისართან ერთად ლაშქრობდა, გაირყვნა, როცა გაიგო ვითარება, და გადაწყვიტა გაქცევა მათთან თავისი სახლ-კარისა და ნათესავების დასაცავად, შიშით, რომ ისინი დაიპყრობდნენ და ხელთ იგდებდნენ მათ ... როდესაც აფხაზმა გაიგო აჯანყების შესახებ ბიზანტიაში, თავი ძლიერად იგრძნო და უარი თქვა დადებულ პირობაზე. ფოკას თავის მიღებისთანავე ბასილი კეისარმა სასწრაფოდ გაუგზავნა იგი გიორგი აფხაზს, რომ გაეგებინებინა მისთვის მისი აზრის სიბილწე. მაშინ ცხადი გახდა კეისრისთვის, რომ აფხაზის ყველა მოქმედება და მასთან მოლაპარაკება იყო მხოლოდ სიცრუე. სახელდობრ, მისმა ვეზირმა, სახელად ***ზვიადმა***, ურჩია (გიორგის), რომ გამოეყენებინა ფიცი და ვალდებულება ღვთის სახელით, როგორც ისეთი რამ, რაც ხაფანგში მოამწყვდევდა ბასილი კეისარს.

შენიშვნები: ანატოლიკა *– ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი მცირე აზიაში.*

ბარდა ფოკა *(გარდ. 989) – ბიზანტიელი მხედართმთავარი, მცირეაზიელი არისტოკრატი. ორჯერ სცადა იმპერატორის ტახტის ხელში ჩაგდება – პირველად 970 წელს, მეორედ 987-989 წლებში. ამ აჯანყების დროს მის მოკავშირედ გამოვიდა დავით III კურაპალატი. იმპერატორმა ბასილი II-მ ამბოხების ჩახშობა შეძლო. ბარდა ფოკა ბრძოლაში დაიღუპა.*

ზვიადი (მარუშიანი) *– დასავლეთ საქართველოს ფეოდალი. მოღვაწეობდა ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის კარზე. ბაგრატმა კლდეკარი ჩამოართვა ბაღვაშებს და თრიალეთის ერისთავად ზვიადი დანიშნა. ბიზანტიასთან ომის დროს მეფე გიორგიმ მას ქართველთა მეწინავე ლაშქრის სარდლობა და საზავო მოლაპარაკებების წარმოება მიანდო.*

- *წყაროს მიხედვით იმსჯელე, რა საფრთხის წინაშე დააყენა მცირე აზიაში დაწყებულმა აჯანყებამ ბასილი?*

ბიზანტიური წყაროები მიგვანიშნებენ, რომ გიორგისა და აჯანყებულებს შორის საიდუმლო კავშირი არსებობდა. აჯანყებული ფოკას თავის გამოგზავნა გიორგისთვის იმის ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომ ბასილიმ საქართველოს მეფის ჩანაფიქრი იცოდა.

წყარო 8 გიორგი კედრენე თავის ნაშრომში „ისტორიული მიმოხილვა“ წერს აჯანყებულებსა და გიორგი მეფეს შორის არსებულ სავარაუდო კავშირზე:

[აფხაზთა მეფის წინააღმდეგ სალაშქროდ წასულმა ბასილიმ] პატრიკიოსი ნიკიფორე ქსიფიასი და პატრიკიოსი ნიკიფორე, ბარდა ფოკას ძე, შინ დატოვა, ამათ კი ძალიან ეწყინათ, რომ ისინი ლაშქრობას გამოთიშეს; შეკრიბეს, როგორც იყო, ჯარი კაპადოკიიდან, როდანტიდან და მეზობელი მხარეებიდან და აჯანყება მოაწყვეს.

ეს ამბავი რომ აუწყეს მეფეს, მისი ბანაკი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა: ეშინოდათ, ვაითუ აბაზგებსა და აჯანყებულთა შუა მოვემწყვდეთ და ცუდი დღე დაგვადგესო (ხმები დადიოდა, ქსიფიასის კაცები ამის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ აბაზგიის მთავართანო).

წყარო 6 აჯანყებულთა და ქართველთა კავშირზე წერს არისტაკეს ლასტივერტეციც:

რადგანაც [აჯანყებულთა მეთაურები] თავიანთი აჯანყების დროს აფხაზის მოკავშირენი იყვნენ და აღუთქვეს მას ამ ადგილამდე [მთელი ტერიტორიის] მიცემა, ვინაიდან ჯერ კიდევ წინათ ეს [ადგილები] დავით კურაპალატს ეპყრა, მაგრამ არა როგორც თავისი მშობლიური მემკვიდრეობა, არამედ მას იგი ძღვნად მიეღო ერთგული მორჩილებისათვის.

- *წყაროების საფუძველზე იმსჯელე აჯანყებულთა და ქართველთა ორმხრივი ინტერესების შესახებ.*
- *წყარო 6-ს მიხედვით, დამატებით რა შესაძლებლობას აძლევდა მეფე გიორგის აჯანყებულების გამარჯვება?*

წყარო ო **არისტარკეს ლასტივერტეცი ბასილის წინადადების შესახებ, რომლითაც მან მეფე გიორგის აჯანყების ჩახშობის შემდეგ მიმართა:**

მან ელჩები გაგზავნა [გიორგისთან] და ტკბილი სიტყვებით მისწერა: „ის, რაც არ არის შენი სამამულო მემკვიდრეობა, დათმე და მშვიდობით იცხოვრე შენს წილში და ნუ გადამეღობები გზაზე, რომელიც სპარსეთისაკენ მიდის“.

- *რომელი გეოგრაფიული სივრცე იგულისხმება „სპარსეთში“? იმსჯელე ბასილის გეოპოლიტიკური მიზნების/მისწრაფებების შესახებ.*

ბიზანტიაში აჯანყების დამარცხებამ მეფე გიორგი აიძულა, წინააღმდეგობა საბოლოოდ შეეწყვიტა და მძიმე საზავო პირობებს დასთანხმებოდა.

წყარო პ **„მატიანე ქართლისაში“ დაცულია 1023 წელს საქართველოსა და ბიზანტიას შორის დადებული ზავის პირობები:** *ადაპტირებული წყარო*

ისევ დაიწყეს დაზავება, როგორც პირველად, რადგანაც [ბასილის] საბერძნეთში აჯანყების ძლიერ ეშინოდა. მშვიდობა გამოაცხადეს და დაზავდნენ. მეფე გიორგიმ მძევლად მისცა თავისი ძე ბაგრატი, სამი წლისა, და ციხეები, რომლებიც ადრე გასცეს აზნაურებმა, დაუცალა და გადასცა; ასევე დათმო სხვა, ადრე და შემდგომი ნაბოძები თოთხმეტი ციხე დავით კურაპალატის სამფლობელოში შემავალი ტაოს, ბასიანის, კოლა-არტაანისა და ჯავახეთის მიწებითურთ. ხოლო ამ მიწებიდან ზოგიერთზე არსებული ეკლესიები, სოფლები და ადგილები [ბასილიმ] დაუმტკიცა გიორგი მეფეს. წავიდა ბასილი მეფე და თან წაიყვანა მძევლად ბაგრატ უფლისწული, ძე ჩვენი მეფე გიორგისა; ფიცით დაუდო პირობა: მესამე წელს გამოგიგზავნი შენს ძესო.

- *იმსჯელე, რა გავლენა მოახდინა ბიზანტიაში მომხდარმა შიდაარეულობამ ბასილისა და გიორგის შორის დადებული ზავის პირობებზე?*
- *შენი აზრით, რა მიზნით წაიყვანა მძევლად იმპერატორმა საქართველოს მეფის ვაჟი? გაიხსენე მსგავსი მაგალითები საქართველოს ისტორიიდან.*
- *გაეცანი ზ და ჰ წყაროებს და უპასუხე: რატომ იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ოლთისის ციხე?*

ბასილიმ პირობა შეასრულა და 1025 წელს უფლისწული ბაგრატი საქართველოში გამოგზავნა. იმპერატორი იმავე წლის ბოლოს გარდაიცვალა. ტახტი მისმა ძმამ, **კონსტანტინე VIII-მ** (1025-1028) დაიკავა, რომლის წინააღმდეგაც მალევე შეთქმულება მოეწყო. შეთქმულები მეფე გიორგისთან ყოფილან კავშირში. ახალმა იმპერატორმა ამის გამო ბაგრატის უკან გაბრუნება მოინდომა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. როგორც ჩანს, ბასილის გარდაცვალებამ მეფე გიორგის ბიზანტიის წინააღმდეგ კვლავ გააქტიურებისკენ უბიძგა. არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ ამ მიზნით იქორწინა მან მეორე მეუღლეზე – ოსთა მეფის ასულ ალდეზე. როგორც ჩანს, საქართველოს მეფეს მტრის წინააღმდეგ ჩრდილოკავკასიელთა გამოყენება სურდა. თუმცა ორი წლის შემდეგ მეფე გიორგიც გარდაიცვალა. ქართველი მემატიანე გიორგის შესახებ წერს: „გარდაიცვალა ყოველგვარი სიკეთით სავსე მეფე გიორგი ახალგაზრდობის წლებში და მის წინაპართა შორის არავინ იყო მისი მსგავსი ძლიერებით, სიჭაბუკითა და წყალობით, ტანადობითა და სახით, ცნობიერებითა და სახელმწიფოს მართვის ყოველგვარი უნარით“.



წყარო შ **სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, მცხეთა**

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის მშენებლობა ჯერ კიდევ 1010 წელს, ბაგრატ III-ის მეფობის დროს დაიწყო და 1029 წელს დასრულდა, თუმცა, ძირითადად, მეფე გიორგი I-ის პერიოდსა და სახელს უკავშირდება.

მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ ამ ტაძრის მშენებლობის პერიპეტიებს დააფუძნა რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“.

სვეტიცხოველი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში.

დისკუსია

კლასში დაიყავით მეფე გიორგის პოლიტიკის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. თითოეულმა მხარემ წარმოადგინეთ შესაბამისი არგუმენტები. ყურადღება გაამახვილეთ იმჟამინდელი საქართველოს შიდამდგომარეობაზე, რეგიონში არსებულ ვითარებაზე, მეფე გიორგის საგარეო პოლიტიკის მიზნებსა და მის შედეგებზე.

როგორ გაგრძელდა ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობები გიორგი I-ის შემდეგ?

მეფე გიორგის შემდეგ ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე მისი ვაჟი – **ბაგრატ IV** (1027-1072) ავიდა. ახალი მეფის ზეობას ბიზანტიასთან მშვიდობა არ მოუტანია, პირიქით – იმპერატორმა მცირეწლოვანი ბაგრატის გამეფებით ისარგებლა და საქართველოს წინააღმდეგ უფრო აგრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო.

1028 წელს ბიზანტიელები თრიალეთში შემოვიდნენ და კლდეკარის ციხეს ალყა შემოარტყეს. ლიპარიტ ბაღვაშმა მათი თავდასხმა მოიგერია. ამავე წელს გარდაიცვალა იმპერატორი კონსტანტინე, რამაც ბიზანტიელთა თავდასხმები დროებით შეაჩერა.

წყარო რ **XI ს-ის ქართველი მემატიანე სუმბატ დავითის ძე იმპერატორ კონსტანტინეს გარდაცვალებაზე წერს:** *ადაპტირებული წყარო*

რადგანაც ამგვარი მღელვარებით იტანჯებოდა *აღმოსავლეთი*, უსამართლო მეფე კონსტანტინეს, როგორც *იულიანე ურჯულოს*, ისევე სწრაფად დაეწია რისხვა ჩვენი მეფე ბაგრატის მიმართ [გამოჩენილი] დაუნდობლობისა და მისი მამულის აოხრების გამო... და როდესაც გარდაიცვალა მეფე კონსტანტინე, თავის შემდგომ მეფობა დაუტოვა თავისსავე ნათესავსა და მიმდევარს – რომანოზს.

შენიშვნები: აღმოსავლეთი – ამ ტერმინით ქართულ საისტორიო წყაროებში, ზოგადად, ქართულ სამყაროს, სარწმუნოებრივ-კულტურულად გაერთიანებულ საქართველოს, ქართველებით დასახლებულ სივრცეს მოიხსენიებდნენ.

იულიანე ურჯულო – *რომის იმპერატორი იულიანე „განდგომილი“ (361-363), რომელმაც უარყო ქრისტიანობა და რომის წარმართული პანთეონის აღდგენა სცადა. მოკლეს სასანიანთა წინააღმდეგ ლაშქრობის დროს. ქრისტიანების მეხსიერებაში იგი მკვეთრად უარყოფით პერსონაჟად შემორჩა.*

● *რატომ ადარებს შუა საუკუნეების სამეფო კარის მემატიანე კონსტანტინეს იმპერატორ იულიანეს და როგორ ახასიათებს მის მსოფლმხედველობას კონსტანტინეს გარდაცვალების ღვთის სასჯელად წარმოჩენა? დაასკვენი – შენი აზრით, რა მიზანს უსახავდა სამეფო კარი თავის მემატიანეს?*

იმპერატორი რომანოზ III (1028-1034) ხანშესული იყო, ასევე, სუსტი მმართველი და სამხედრო მეთაური გამოდგა. იმპერია თავდაცვაზე გადავიდა. 1030 წელს იმპერატორი დამარცხდა ჩრდილოეთ სირიაში, ალეპოს *ამირასთან*, რომელიც ბიზანტიას აღარ ემორჩილებოდა და ფატიმიანთა ვასალად იქცა. რომანოზი იძულებული გახდა, კონსტანტინოპოლში დაბრუნებულიყო, ჯარის მეთაურობა კი სარდლებს გადააბარა. მართალია, სარდლებმა მომდევნო წელს ჩრდილოეთ სირიაში წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ აღმოსავლეთში ბიზანტიის რთული მდგომარეობა მაინც აშკარა იყო.

სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ბიზანტია-საქართველოს შორის ურთიერთობის დროებით დარეგულირება 1031 წელს. საქართველოდან კონსტანტინოპოლში ჩავიდა დიდი ელჩობა მეფე ბაგრატის დედის, დედოფალ მარიამის მეთაურობით. არსებობს მოსაზრება, რომ დელეგაციაში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკიც იყო.

ამირა – მთავრის შესატყვისი ტიტული აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებში. აქ: თბილისის მმართველი.

წყარო ს **მარიამ დედოფლის ელჩები საჩუქრებით იმპერატორ რომანოზ III-ის წინაშე, ბიზანტიური მინიატიურა, „მადრიდის სკილიცე“, XII ს-ის ხელნაწერი, მადრიდის სამეფო ბიბლიოთეკა**



წყარო ტ **„მატიანე ქართლისა“ გვიამბობს ქართველთა ელჩობის შესახებ:**

ადაპტირებული წყარო

დედოფალი მარიამი, ბაგრატ აფხაზთა მეფის დედა, წავიდა საბერძნეთში მშვიდობისა და ერთიანობის მისაღწევად; ასევე, თავისი ძისთვის კურაპალატობის ხარისხის მოსაპოვებლად, რაც მათი [სამეფო] სახლის წესსა და ჩვეულება იყო, და [ბაგრატისთვის] ცოლის სათხოვნელად.

როგორც კი ჩავიდა [მარიამ დედოფალი] საბერძნეთში და [წარდგა] ბერძენთა მეფის წინაშე, ყოველი სათხოვარი სიხარულით აუსრულდა: [ბერძენთა მეფემ] ერთიანობისა და სიყვარულის ფიცი და პირობა დაუდო, ოქროსბეჭდიანი სიგელი უბოძა, [ბაგრატს] კურაპალატის ტიტული მიანიჭა და დააქორწინა *ელენე დედოფალზე*.

როგორც კი მობრუნდა მარიამ დედოფალი თავისი ძის მამულში – ტაოს ქვეყანაში, გადასცა [ბაგრატს] კურაპალატის ტიტული, გადაიხადეს ქორწილი, ბანაში უკურთხეს [ბაგრატს] გვირგვინი.

შენიშვნა: ელენე დედოფალი *– იმპერატორ რომანოზ III-ის ძმისშვილი.*

- *შენი აზრით, რამდენად იყო შესაძლებელი დინასტიური ქორწინებით ბიზანტიის იმპერატორსა და ბაგრატ IV-ს შორის ურთიერთობის მოგვარება?*
- *მარიამ დედოფლის მოქმედების მიხედვით იმსჯელე, რამდენად მნიშვნელოვანი როლი ჰქონდათ წარჩინებული წრის ქალებს იმ პერიოდის საქართველოში?*
- *შენი აზრით, რას ნიშნავს ბაგრატისთვის კურაპალატის ტიტულის მინიჭება? ბიზანტიის გადასახედიდან რას ნიშნავდა ეს მოვლენა?*

წყარო უ ბანას საკათედრო ტაძრის ნაშთები ისტორიულ ტაოში, ერზურუმის პროვინცია, თურქეთი

ბანას ტაძარი VII ს-ში აშენდა, მოგვიანებით კი საეპისკოპოსოს ცენტრად გადაიქცა. ბანა ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენციაც იყო (რეზიდენციაში არ იგულისხმება ბანას ტაძარი).



როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარმა რეალურად შეაფასა საგარეო მდგომარეობა; ამავე დროს, ამ ეტაპზე ხელი აიღო ბიზანტიასთან დაპირისპირებაზე – ამას ქვეყნის შიგნით შექმნილი ვითარება ითხოვდა, რის შესახებაც საუბარი მომდევნო გაკვეთილში იქნება.

1. შეასრულე მოსწავლის რვეულის 1.1 სავარჯიშო – შეავსე სქემა საქართველოსა და ბიზანტიის გეოპოლიტიკური ინტერესების შესახებ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის 1.2 სავარჯიშო – გააანალიზე ბიზანტიასთან ომში ერთიანი საქართველოს ჯარის მოქმედებები.
3. შეაფასე მეფე გიორგი I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. გამოკვეთე მისი დადებითი და/ან უარყოფითი მხარეები. მოიყვანე შესაბამისი არგუმენტები.

3/4 როგორ იყენებდა ბიზანტია საქართველოში არსებულ შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებას?

გაერთიანებული საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა შიდაპოლიტიკური დაპირისპირებებისა და ფეოდალური *პარტიკულარიზმის* დაძლევა იყო. ერთი მხრივ, ბაგრატიონთა სამეფო კარს ჰქონდა მისწრაფება, შეექმნა ცენტრალიზებული ხელისუფლება, მეორე მხრივ, არსებობდა ფეოდალების სურვილი, შეენარჩუნებინათ *შეუვალობა*. ეს დაპირისპირება საქართველოს პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც ასუსტებდა. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ იყენებდა მას ბიზანტიის იმპერია საკუთარი ინტერესების გასატარებლად.

პარტიკულარიზმი (ლათ. Particularis – ნაწილობრივი, კერძო, ცალკეული) – ძირითადად, აღნიშნავს სახელმწიფოს ზოგიერთი ნაწილის განცალკევებისკენ სწრაფვას. აქ: ფეოდალების მისწრაფება შუა საუკუნეების ფეოდალურ სახელმწიფოში უფრო მეტი პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური ან სხვა სახის დამოუკიდებლობისკენ.
შეუვალობა – იგივე იმუნიტეტი, ხელშეუხებლობა და რაიმესგან თავისუფლება (მაგ., გადასახადებისგან).



საქართველოს სამეფო ტახტზე ბაგრატ IV-ის ასვლამ ფეოდალთა ნაწილს დაუმორჩილებლობისკენ უბიძგა. მათ მოისურვეს, ახალგაზრდა მონარქის გამეფებით ესარგებლათ და ცენტრალიზებული ხელისუფლების გავლენა შეესუსტებინათ. თავის მხრივ, სამეფო კარი პოზიციებს არ თმობდა, ბიზანტიის იმპერია კი შექმნილ ვითარებას სათავისოდ იყენებდა იმისათვის, რომ მეფის ხელისუფლება, შესაბამისად კი – საქართველო და რეგიონში მისი პოზიციები დაესუსტებინა. საქმე ისაა, რომ ბიზანტია ქრისტიანული სამყაროს ლიდერობაზე აცხადებდა პრეტენზიას, მას ქრისტიანული საქართველო მხოლოდ ვასალად წარმოედგინა. ამიტომ არის, რომ ის მხარს უჭერდა მეფის მოწინააღმდეგე ბაგრატიონებსა და მასთან დაპირისპირებულ დიდებულებს. ეს ნაცადი იმპერიული პოლიტიკის – *„დაყავი და იბატონეს“* – გამოვლინება იყო. საიმპერატორო კარი სხვადასხვა ტიტულით, პრივილეგიებითა თუ ქრთამის მეშვეობით ცდილობდა ქართველი ფეოდალების გულის მოგებას. შედეგად, ბაგრატის მეფობის დასაწყისშივე რამდენიმე მათგანი ბიზანტიას აშკარად მიემხრო.

წყარო ა **XI ს-ის ქართველი მემატიანე სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს აზნაურების განდგომის შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

შემდეგ გამეფდა მისი [მეფე გიორგის] ძე, ცხრა წლის ბაგრატი. საბერძნეთში გაემართნენ ტაოელი აზნაურები: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, მათთან ერთად ტაოს აზნაურთა უმრავლესი ნაწილი, ზოგი *ციხოვანი* და ზოგიც უციხო. [ისინი] განუდგნენ ბაგრატს და ერთგულება გამოუცხადეს *კონსტანტინეს*, ბერძენთა მეფე ბასილის ძმას, რომელიც [ბასილის] შემდგომ გამეფდა.

მეორე წელს კონსტანტინე მეფემ [საქართველოში] გამოაგზავნა თავისი *პარკიმანოსი* უთვალავი ძალით, სამეფო ლაშქრითა და ურიცხვი საგანძურით... ისევ განუდგნენ [ბაგრატს] აზნაურები, ციხესიმაგრეები ჩააბარეს [კონსტანტინეს]. შავშეთის ერისთავმა ჩანჩახამ *წეფთის ციხე* გადასცა [ბერძენთა მეფეს] და [განდგომილი აზნაურები] საბერძნეთში წავიდნენ.

შენიშვნები: ციხოვანი *– საკუთარი ციხის მფლობელი, დიდებული აზნაური.*

კონსტანტინე *– იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VIII (1025-1028).*

პარკიმანოსი *– ბიზანტიური მაღალი რანგის სამოხელეო ტიტული, იმპერატორის მესაწოლეთუხუცესი.*

წეფთის ციხე *– მდებარეობდა ისტორიულ შავშეთში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე.*

- *იმსჯელე, რა სირთულეების წინაშე შეიძლება დადგეს სახელმწიფო ხელისუფლებათა ცვლის მომენტში?*
- *წყარო ა-ს მიხედვით იმსჯელე, რა განსაზღვრავდა შუა საუკუნეების საქართველოში აზნაურთა სტატუსს?*
- *როგორ ფიქრობ, რისთვის შეიძლება გამოეყენებინა პარკიმანოსს „ურიცხვი საგანძური“?*
- *შენი აზრით, რა მოტივებით იყო განპირობებული ქართველ აზნაურთა განდგომა?*

ცნობა 1 რას ნიშნავს „დაყავი და იბატონე“?

„დაყავი და იბატონე“ (ლათ. Divide et impera) იყო იმპერიების პოლიტიკური პრინციპი დაპყრობილი ან ვასალური ქვეყნების მიმართ, მათი უფრო მარტივად მართვის/კონტროლის მიზნით. ამ პოლიტიკის არსი შემდეგია: იმპერია ცდილობს ერთმანეთთან დააპირისპიროს დაპყრობილი, ვასალური ან დასამორჩილებელი ქვეყნის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი, ტერიტორიული ერთეული და ა. შ. ამით იმპერია ცდილობს, დაიმორჩილოს სხვადასხვა მმართველი, მოსახლეობა და საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელთა გაერთიანების შემთხვევაში იმპერია მათზე გავლენის დამყარებას თუ შენარჩუნებას ვეღარ შეძლებს. ამ პრინციპის კლასიკურ მაგალითს რომის ისტორიაში ვპოულობთ, რაც კარგადაა გადმოცემული I-II სს-ის რომაელი ისტორიკოსის, ტაციტუსის სიტყვებში: „დაე, ღმერთებმა გაახანგრძლივონ ამ ხალხებში, თუ ჩვენდამი რაიმე სახის სიყვარული არა, ყოველ შემთხვევაში – ერთმანეთის მიმართ მტრობა და სიძულვილი მაინც: ვინაიდან, სანამ იმპერიას ბედად უწერია, ამის წამქეზებელი იყოს, იღბალი სხვა ვერაფრით ვერ გაგვიღიმებს იმაზე უკეთ, ვიდრე ჩვენს მტრებს შორის შუღლის დათესვით“.

- *გაიხსენე საქართველოს მიმართ სხვადასხვა იმპერიის მიერ „დაყავი და იბატონე“ პრინციპის გამოყენების მაგალითები. იმსჯელე, რა შეიძლება დაუპირისპიროს იმპერიის ამ პოლიტიკას ადგილობრივმა პოლიტიკურმა ელიტამ?*

საქართველოში საკუთარი მიზნების მიღწევაში ბიზანტიის იმპერიას ხელს უწყობდა ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი და იერარქია, რომლებიც, ბიძგს აძლევდა ძალაუფლებისთვის ბრძოლას, ფეოდალთა შორის დაპირისპირებას.

სახელმწიფოს სათავეში დგას ყველაზე მსხვილი ფეოდალი, პატრონი, სიუზერენი, რომელიც მეფედ იწოდება. მისი ყმები არიან მსხვილი ფეოდალები, ვასალები, რომელთაც, თავის მხრივ, აგრეთვე, ყმები ჰყავთ. ესენიც ფეოდალები არიან, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბის. მხოლოდ მეფე მიიჩნევა მათ შორის უმაღლეს სიუზერენად, რომელიც არავის არ ექვემდებარება.

შენიშვნა: განვითარებული ფეოდალიზმი *– ისტორიული პერიოდი, რომელიც მოიცავს XI-XIII სს-ს. მას ახასიათებს მიწაზე ფეოდალთა მონოპოლიური საკუთრება, ფეოდალთა ძლიერი იმუნიტეტი, ფეოდალური დაქსაქსულობა, ფეოდალთა კლასის იერარქიული სტრუქტურა, მრავალრიცხოვან ციხესიმაგრეთა სისტემა და სხვ.*

ფისკალური – (ლათ. fiscus – კალათა, საუნჯე) – სახელმწიფოს შემოსავლებთან, განსაკუთრებით, გადასახადებთან დაკავშირებული.

საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ადგილობრივი მმართველობა ტერიტორიულ პრინციპს ემყარებოდა. ქვეყნის ძირითადი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს ერისთავი ედგა სათავეში, რაც ლაშქრის ორგანიზების პრინციპს ემყარებოდა. ერისთავი მეფის წარმომადგენელი იყო საერისთავოში. დადგენილი წესის მიხედვით, პიროვნება ერისთავად კათოლიკოსს ან მიტროპოლიტს უნდა ეკურთხებინა. ერისთავი სამმართველო ტერიტორიაზე ახორციელებდა სამხედრო (სარდლობდა თავისი საერისთავოდან გამომავალ ლაშქარს), სასამართლო-ადმინისტრაციულ და *ფისკალურ* ფუნქციებს, ამიტომ მეფისთვის მნიშვნელოვანი იყო ერისთავის თანამდებობა მისი პოლიტიკის ერთგულ პირებს დაეკავებინათ.

საერისთავოს ტერიტორიაზე იყო კერძო მამულები საერო და სასულიერო ფეოდალებისა, ასევე თავად ერისთავის კერძო მამული. ცალკე უნდა აღინიშნოს **ერისთავთერისთავის** ანუ დიდი ერისთავის არსებობა, რომელიც დიდი საერისთავოს მმართველი იყო. მისი ფუნქციები ერისთავის ფუნქციებისგან არ განსხვავდებოდა და მას არ მორჩილებდნენ სხვა ერისთავები.

ერისთავები მუდამ ცდილობდნენ, რომ თავისი თანამდებობა მემკვიდრეობით გადაეცათ და რაც შეიძლება დიდ ადმინისტრაციულ ერთეულზე მოეპოვებინათ კონტროლი.

ფეოდალურ საზოგადოებაში ფეოდალის სიძლიერე მამულის სიდიდითა და ყმების სიმრავლით განისაზღვრებოდა. ეს გარემოება მუდმივად ბიძგს აძლევდა დაპირისპირებას – ფეოდალები ერთმანეთს ეპაექრებოდნენ, მეფის წინაშე უპირატესობის დამტკიცებას და, შესაბამისად, მისგან უფრო მეტის მიღებას ცდილობდნენ, სხვა ფეოდალის წინსვლას ხელს უშლიდნენ. ბევრი მათგანი საკუთარი ბატონის წინააღმდეგ საგარეო ფაქტორს, უპირველეს ყოვლისა, ბიზანტიის გავლენას იყენებდა. თავის მხრივ, უკვე ერთიანი საქართველოს მეფე ცდილობდა მანამდე არსებული ფეოდალური დაქუცმაცებულობა დაეძლია და ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლება შეექმნა.

- *რა ფაქტორები განსაზღვრავდა აზნაურთა ადგილს იერარქიულ კიბეზე?*
- *რა მიზეზები განაპირობებდა ფეოდალებს შორის დაპირისპირებას?*
- *შენი აზრით, როგორ აისახებოდა პრობიზანტიური ორიენტაციის აზნაურთა ქმედება ქვეყნის მომავალზე?*
- *როგორ ცდილობდნენ ქართველი მეფეები ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევას?*

ბიზანტიის საიმპერატორო კარმა კარგად იცოდა, რომ საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის შეცვლა თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ბაგრატიონებმა მმართველობა „ღვთაებრივი წარმომავლობის“ მოშველიებით დაიკანონეს (ლეგიტიმური გახადეს). კერძოდ, ლეგენდის მიხედვით, ისინი ბიბლიური დავით მეფის შთამომავლები და ქრისტეს ნათესავები იყვნენ.

ცნობა 2 როგორ შეიქმნა ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ?

XI ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართველმა ისტორიკოსმა, სუმბატ დავითის ძემ შექმნა თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, რომელსაც ბიბლიური პერსონაჟების გენეალოგიით იწყებს და ქართლის ბაგრატიონების წარმომავლობის გაცხადებით ასრულებს. გენეალოგია იწყება პირველი ბიბლიური ადამიანით – ადამით და სრულდება VI ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართლის პირველი ერისმთავრით – **გუარამით**.

წყარო ბ **სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ გუარამ ერისმთავრის შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

გუარამი ერისთავად დაადგინეს. და ისაა ქართლის ერისთავი და ბაგრატიონთა მამა. და ეს ქართლის ბაგრატიონები იმ გუარამის შვილიშვილები და შთამომავლები არიან.

წყარო გ **ბაგრატიონთა გერბის ერთ-ერთი ვარიანტი, XIX ს-ის დასაწყისი**

ბაგრატიონები საკუთარ გერბზე, ძალაუფლების სხვა სიმბოლოებთან ერთად, გამოსახავდნენ დავით წინასწარმეტყველთან ასოცირებულ საგნებს – ქნარსა და შურდულს. ბიბლიის მიხედვით, შურდულით მან ფილისტიმელი მეომარი – გოლიათი დაამარცხა.





შენიშვნა: ფილისტიმელები *– ბიბლიაში და ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ძველი ხალხი, რომელიც ძვ. წ. XII ს-დან პალესტინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდა; ებრძოდნენ ებრაელებს, ეგვიპტელებსა და ხეთებს; იცნობდნენ რკინის წარმოებას და იმ დროისათვის განვითარებული სამხედრო საქმე ჰქონდათ.*

- *გაიხსენე 1/2 გაკვეთილში წარმოდგენილი ბასილი II-ის იმპერატორად კურთხევის მინიატურა. შეადარე ბასილი II-ის ძალაუფლების სიმბოლოები ბაგრატიონთა გერბზე გამოსახულ ანალოგიურ სიმბოლოებს და იმსჯელე, რის საფუძველზე მიიჩნევდნენ თავს ბაგრატიონები საქართველოს ტახტის ლეგიტიმურ მფლობელებად?*
- *როგორ ამტკიცებდნენ ბიზანტიის მმართველები საკუთარ უფლებას საიმპერატორო ტახტზე? როგორ ფიქრობ, რა მოსაზრებით იყო განპირობებული ამგვარი მტკიცებულება?*

როდესაც სუმბატ დავითის ძე, დიდი ალბათობით, ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი, თავის ნაშრომს წერდა, საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებდა. როგორც თავად აღნიშნავს, მან ეს თხზულება გიორგი I-ის მეუღლის, დედოფალ მარიამის, „ბრძანებით“ დაწერა. სუმბატი XI ს-ის დასაწყისში მოღვაწეობდა და მისი ნაშრომი, ფაქტობრივად, გამოხატავს ბაგრატიონთა მისწრაფებას, გაიმყარონ სამეფო ხელისუფლება და შექმნან ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო. ამის გამო იყო, რომ ბიზანტია ცდილობდა, უშუალოდ ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლები გადაებირებინა და ისინი მეფესთან დაეპირისპირებინა.

- *სუმბატ დავითის ძის მაგალითზე იმსჯელე, რატომ ვერ იქნებოდა განვითარებული შუა საუკუნეების ისტორიკოსი თავისუფალი საკუთარი ნაშრომების შექმნისას?*

შუა საუკუნეების ქრისტიანულ ქვეყნებში დინასტიის „ღვთაებრივი წარმომავლობის“ დასაბუთებას ყველაზე დიდი წონა ჰქონდა. ამგვარი დასაბუთების შედეგად, საქართველოში ხალხი ბაგრატიონების მეფობაში ღვთის ნების გამოხატულებას ხედავდა, მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს კი უზენაესის ნების აღსრულებად განიხილავდა.

დისკუსია

კლასში მოაწყვეთ დისკუსია ბაგრატიონების მიმართ ბიზანტიის დამოკიდებულების შესახებ. გაიხსენეთ, როგორი ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიის სამეფო კარს ჯერ ქართლის, ხოლო შემდგომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების მიმართ. რამდენად გაუწევდნენ ისინი ანგარიშს ბაგრატიონთა „ღვთაებრივ წარმომავლობას“? როგორ ფიქრობთ, რამდენად მიზანშეწონილი იყო ბიზანტიისთვის ბაგრატიონთა დამხობა? რა მეთოდების გამოყენება შეეძლოთ, რათა ქართველი მეფეები თავიანთ კონტროლქვეშ ჰყოლოდათ?

ბიზანტიამ ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ჯერ კლარჯი ბაგრატიონების წარმომადგენელი – დემეტრე გამოიყვანა. იგი იყო იმ გურგენ ბაგრატიონის ვაჟი, რომელიც ბაგრატ III-მ მის ძმასთან, სუმბატთან ერთად სადარბაზოდ მიიწვია და შეიპყრო, რის შემდეგაც ის ტყვეობაში გარდაიცვალა. გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ კლარჯეთი ასე შემოიმტკიცა. ამ ძმების შვილები ბიზანტიაში გაიქცნენ და ძალაუფლების დაბრუნებისთვის ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ. დემეტრე კლარჯელის სახით პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ბაგრატიონთა სხვა შტოს წარმომადგენელი, რომელმაც ხალხის ნაწილის მხარდაჭერა მოიპოვა. როგორც მემატიანე წერს: „ამის გამო გადაიბირეს [ბიზანტიელებმა] ამ ქვეყნის ***წვრილი ერის*** ბევრი წარმომადგენელი“. მაგრამ, როგორც წინა გაკვეთილიდან შეიტყვე, იმპერატორ კონსტანტინეს გარდაცვალებამ და ბიზანტიასა და საქართველოს შორის ზავის დადებამ დაპირისპირება დროებით შეაჩერა. მშვიდობის განსამტკიცებლად მეფე ბაგრატი და ბიზანტიური წარმომავლობის დედოფალი ელენე დაქორწინდნენ, თუმცა დედოფალი მალევე გარდაიცვალა და ქვეყნებს შორის დაპირისპირება განახლდა.

შენიშვნა: წვრილი ერი – *დაბალი წოდების ხალხი, თავისუფალ მიწისმუშაკთა ფენა.*

ამის შემდეგ ბიზანტიამ საქართველოს მეფის წინააღმდეგ უფრო ძლიერი პარტნიორი იპოვა. ეს იყო ბაგრატ მეფის ნახევარძმა – დემეტრე, რომელიც მეფე გიორგი I-ს მეორე მეუღლისგან, დედოფალ ალდესგან ჰყავდა. მცირეწლოვანი დემეტრეს გამოყენება დაიწყეს ბიზანტიელებმა და მათმა მხარდამჭერმა დიდებულებმა. 1032 წელს დედოფალმა ალდემ დემეტრეს კუთვნილი ანაკოფიის ციხე (თანამედროვე გუდაუთის მუნიციპ., რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) ბიზანტიას გადასცა და შვილთან ერთად კონსტანტინოპოლში წავიდა.

წყარო დ **XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე ანაკოფიის ბიზანტიისთვის გადაცემის ფაქტს ეხება:**

მაშინ გიორგი აფხაზის მეუღლე ალდე, ტომით ალანი, მიემხრო [ბიზანტიის] მეფეს და გადასცა მას უმტკიცესი ციხე ანაკუფე; მის ვაჟს, დემეტრეს, მეფემ მაგისტროსის პატივი უბოძა.

წყარო ე **ალდე დედოფალი და უფლისწული დემეტრე ბიზანტიურ მინიატიურაზე, XI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის, იოანე სკილიცეს ნაშრომის (ე. წ. „მადრიდის სკილიცეს“) XII ს-ის ხელნაწერი, მადრიდის სამეფო ბიბლიოთეკა**



- *შენი აზრით, რატომ იყო დემეტრე უფლისწული ბიზანტიისთვის სასურველი პარტნიორი?*

ანაკოფიის ციხის ბიზანტიელთა ხელში გადასვლა საქართველოსთვის უდიდესი საფრთხის შემცველი იყო – ამის შედეგად ბიზანტიელები ქვეყანას ჩრდილო-დასავლეთიდანაც მოადგნენ.

ძალიან მალე ბიზანტიას საქართველოში კიდევ უფრო ენერგიული და ავტორიტეტული მოკავშირე – კლდეკარის ერისთავი **ლიპარიტ ბაღვაში** – გამოუჩნდა.

ცნობა 3 ვინ იყვნენ ბაღვაშები?

ბაღვაშები დასავლეთ საქართველოს მსხვილი ფეოდალები იყვნენ, რომლებიც თავდაპირველად არგვეთს (ზემო იმერეთს) ფლობდნენ. ასპარეზზე ისინი უფრო აქტიურად IX ს-ის მეორე ნახევრიდან გამოჩნდნენ, როდესაც ლიპარიტ I ბაღვაში აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა, თრიალეთს დაეპატრონა და კლდეკარის ციხესიმაგრე ააგო. ამის გამო ბაღვაშებს კლდეკარის ერისთავებს უწოდებდნენ. ისინი დიდი ხნის განმავლობაში ფლობდნენ კლდეკარს, პარალელურად კი ინარჩუნებდნენ არგვეთს. საერისთავოს საზღვრები კიდევ უფრო განავრცო რატი I-მა (გარდ. 1021). იგი შირიმნის ბრძოლას ემსხვერპლა. ამ უკანასკნელის შვილიშვილი იყო ლიპარიტ IV, რომელიც, ძირითადად, მეფე ბაგრატ IV-სთან დაპირისპირებითაა ცნობილი.



წყარო 3 კლდეკარის ციხის ნანგრევები, თეთრიწყაროს მუნიციპ., ქვემო ქართლი

კლდეკარის ციხესიმაგრე უმნიშვნელოვანესი გზების გასაყარზე მდებარეობდა. ბაღვაშებმა ის თრიალეთის კლდოვან სიმაღლეებზე ააგეს, რის გამოც ის ძნელად მისადგომი იყო.

თავდაპირველად ლიპარიტი ტახტის ერთგული დიდებული იყო. წინა გაკვეთილიდან ალბათ გახსოვს, რომ 1028 წელს მან თრიალეთში შემოსული ბიზანტიელები დაამარცხა და მათ ქართლში შესვლის საშუალება არ მისცა. იგი, ასევე, მეთაურობდა ქართველთა ლაშქარს, რომელმაც განძის ამირა დაამარცხა. მიუხედავად ამისა, ფეოდალსა და მეფეს შორის შუღლი ჩამოვარდა, რის შესახებაც „მატიანე ქართლისაი“ გადმოგვცემს.

წყარო 6 „მატიანე ქართლისაი“ ბაგრატსა და ლიპარტს შორის დაწყებული დაპირისპირების მიზეზების შესახებ: *ადაპტირებული წყარო*

ბაგრატ მეფის მცირეწლოვნების დროსვე ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და ქართლის ერისთავმა ივანე აბაზას ძემ თბილისის ამირა ჯაფარი *მუხათგვერდში* გამოიტყუეს და შეიპყრეს. [ის] დიდხანს ჰყავდათ დატყვევებული და *ბირთვისი* წაართვეს. აფხაზთა მეფემ შეიწყალა [ჯაფარი] და კვლავ ამირად დააბრუნა თბილისში. ამ დროიდან დაიწყო მტრობა ლიპარიტსა და ამირას შორის.

მცირე ხნის შემდეგ ლიპარიტმა ბაგრატს [ამირასათვის] თბილისის წართმევა გადააწყვეტინა. მოადგნენ თბილისს: მტკვრის გამოღმა, ზემოდან და ქვემოდან – აფხაზთა მეფის ლაშქარი და მდინარის გაღმა, ისნის მხრიდან – კახთა და ჰერთა მეომრები. იმ დროს კახეთის დიდი მეფე კვირიკე ვიღაც ოსმა მონამ მოკლა, რადგანაც ბრძოლაში ოსების მეფე ურდურე კვირიკეს მოეკლა. და ფიდრაზის გორაზე ნადირობისას ოსმა მონამ შურისძიების გამო განგმირა კვირიკე.

... იმ დროს [თბილისის] ამირა იყო ჯაფარი, ალის ძე. ისე გაუჭირდათ თბილისში მცხოვრებთ, რომ ლიტრა ვირის ხორცს ხუთას დრამად ყიდულობდნენ. [ქალაქში მყოფები] ვეღარ უმკლავდებოდნენ შიმშილსა და მძიმე ბრძოლას და გადაწყვიტეს, თბილისი დაეთმოთ. ამ ქალაქისთვის ბრძოლის დროს აფხაზთა მეფის ლაშქარმა [ჯაფარს] *ორბეთისა* და *ფარცხისის* ციხეები წაართვა. ამირა

თავისი ლაშქრითურთ აიბარგა, ღამით განძაში ამირა ფადლონის ძემ ლაშქართან წასასვლელად გაამზადა ტივები და ნავები. აფხაზთა მეფის ზოგიერთმა დიდებულმა ლიპარიტისგან ფარულად გადააწყვეტინა მეფეს, არ გაეძევებინა ამირა. ლიპარიტისაგან ფარულადვე დაუზავდნენ მას, კვლავ თბილისის ამირად გამოაცხადეს და დასვეს. გაეცალა ქალაქს მეფე და მტრობა დაუწყო კახელებს. ამის შემდგომ განუდგა ლიპარიტი თავის პატრონს.

შენიშვნები: მუხათგვერდი *– სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთასთან ახლოს.*

ბირთვისი *– ძნელად მისადგომი ციხესიმაგრე ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში.*

ლიტრა *– წონის საზომი ერთეული, დაახლოებით, 400 გრ.*

დრამი *– ფულის ერთეული.*

ორბეთის ციხე *– ციხესიმაგრე ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობის მაღალ და მიუდგომელ კლდეზე. ციხე აკონტროლებდა თბილისთან თრიალეთისა და სამშვილდის დამაკავშირებელ გზებს.*

ფარცხისის ციხე *– ციხესიმაგრე ქვემო ქართლში, მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირზე, სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან მაგისტრალზე.*

ცნობა 4 როგორ ხსნის XII-XIII სს-ის არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი მეფე ბაგრატის მიერ თბილისის ამირასთან დაზავების ფაქტს?

იბნ ალ-ასირის ცნობით, მოალყე ქართველებს მოუვიდათ ინფორმაცია, რომ თურქ-სელჩუკებმა სომხეთი ააოხრეს და თბილისის ამირას დასახმარებლად გამოემართნენ. ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერს: „ალბათ ისინი [ქართველები] დარწმუნებულები იყვნენ, რომ სელჩუკიანთა შემოსევა ქართველებს კეთილს არაფერს მოუტანდა და ქვეყნის აოხრებას ისევ ნებაყოფლობითი დაზავება არჩიეს. ამ მხრივ ბაგრატისა და დიდებულთა გადაწყვეტილება გონივრული და ფრთხილი იყო“.

● *შენი აზრით, რატომ უნდა დახმარებოდნენ სელჩუკები თბილისის ამირას? იმსჯელე მუსლიმური სამყაროსთვის თბილისის მნიშვნელობის შესახებ.*

დისკუსია

კლასში გამართეთ დისკუსია მეფე ბაგრატსა და ლიპარიტს შორის დაწყებული დაპირისპირების მიზეზების შესახებ. წარმოადგინეთ მეფის, ლიპარიტის, სხვა ფეოდალების მომხრეთა არგუმენტები. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ თითოეული მათგანის ქმედებები? მსჯელობა არგუმენტებით გაამყარეთ.

თბილისის ორწლიანი ალყა 1037-1038 წლებში უნდა მომხდარიყო. ბაგრატმა კახეთში ლაშქრობა იმედიანად დაიწყო, კვირიკე III-ის მიერ აგებული ბოდოჯის სასახლეც (თანამედროვე თიანეთის მუნიციპ.) კი აიღო და გადაწვა, თუმცა იძულებული გახდა, სამხედრო კამპანია მალევე შეეწყვიტა, რადგან მტრად გადაკიდებულმა ლიპარიტმა მას საფრთხე შეუქმნა – საქართველოში ბიზანტიელთა ჯარი შემოიყვანა, დემეტრე უფლისწულთან ერთად. მათ სხვა დიდებულები და კახეთის ახალი მეფე გაგიკიც მიემხრნენ. მოკავშირეები ქართლში შემოვიდნენ და ატენის ციხეს (თანამედროვე გორის მუნიციპ.) შემოარტყეს ალყა, მაგრამ, რადგანაც ზამთარი ახლოვდებოდა, ბიზანტიელებმა უკან გაბრუნებაზე დაიწყეს ფიქრი. ლიპარიტსა და ბაგრატს შორის ზავი დაიდო – მეფემ ბაღვაშს ქართლის ერისთავობა უბოძა, დემეტრე კი ბიზანტიელებს თან გაჰყვა.

მას შემდეგ, რაც შიდადაპირისპირება ჩაცხრა, ბაგრატმა სომხეთის, ანაკოფიისა და თბილისის საამიროს საკითხებისთვის მოიცალა. 1045 წელს ბიზანტიელებმა ანისის სომხური სამეფო გაუქმებულად გამოაცხადეს, რამაც სომეხთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. მათ ქალაქი ბაგრატს შესთავაზეს. ამ ნაბიჯს საფუძველი ჰქონდა – ბაგრატის დედა, მარიამ დედოფალი, სომეხთა მეფე სენექერიმის ქალიშვილი იყო. ბაგრატმა ანაკოფიის დაბრუნებაც სცადა. მან მცირე ხნით თბილისიც დაიკავა. მას შემდეგ, რაც თბილისის ამირა ჯაფარი გარდაიცვალა, თბილისელმა ბერებმა (უხუცესებმა) ქალაქი ბაგრატს ჩააბარეს. მეფემ საამიროში თავისი ჯარი ჩააყენა და ერისთავები განაწესა. იქვე მიუვიდნენ მას კახეთის მეფე და დიდებულები მშვიდობის ჩამოსაგდებად.

წყარო თ **„მატიანე ქართლისაი“ აღწერს ბაგრატ მეფის თბილისში შესვლას:**

ადაპტირებული წყარო

გაემართა თბილისისკენ [ბაგრატი] და შეეგებნენ ქალაქის *ბერები*, დარბაზის წევრები და ცხენოსნები დიღმის ველზე, შეკაზმული მთელი ქვეითი ჯარი უმედეულში, მრავალი ქალი და მამაკაცი გამოვიდა მოედანზე. ორი მხრიდან გაისმოდა ბუკისა და ნაღარის საშინელი ხმა, რომლისგანაც შეიძრა ქვეყანა. იყო ორმხრივი გასაოცარი სიხარული. [ბაგრატი] შეიყვანეს და მოატარეს ქალაქი, აყრიდნენ დრამასა და *დრაჰკანს*; მიართვეს ქალაქის გასაღები და შეიყვანეს საამირო დარბაზში. დაჯდა მეფე ბაგრატი [თბილისზე] საზრუნავად. [საამიროს] კარის კოშკები დაიკავა თავისი კაცებით, აიღო ქალაქის ციხე დარიჯელი და წყალყინის კოშკები და თაბორი. იქ ჩააყენა თავისი ლაშქარი და ერისთავები. ხოლო ისნელებმა ჩატეხეს ხიდი და არ დაუმორჩილეს [მას] ისანი. [მეფის მებრძოლებმა] მიუყენეს ისანს *ფილაკავნები*, უტევდნენ ისანს და ესროდნენ ისარს. ისნის ველზე მოვიდნენ კახთა მეფე გაგიკი, ერისთავთერისთავი გოდერძი და კახეთის ყველა დიდებული ბაგრატ მეფის წინაშე გამოსაცხადებლად და მშვიდობის მოსაპოვებლად. მაშინ გავიდა მეფე ბაგრატი ისნის ველზე, მოიყვანა კახელები, დაიქვემდებარა, მისცა მშვიდობა და გაუშვა. იყო სიხარული, მშვიდობა და დღითიდღე მატებაზე ზრუნვა.

შენიშვნები: ბერები *– აქ: უხუცესები.*

დრაჰკანი *– ოქროს ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი შუა საუკუნეების საქართველოში. მისი ნომინალი და ღირებულება დროთა განმავლობაში იცვლებოდა.*

ფილაკავანი *– ციხესიმაგრეთა კედლების სანგრევი სასროლი იარაღი, ქვისსატყორცნი.*

- *იმსჯელე, რა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბაგრატისთვის თბილისის ჩაბარება თბილისელთა საერთო აზრი არ ყოფილა?*
- *შენი აზრით, რატომ მივიდა კახეთის მეფე ბაგრატთან მშვიდობის დასამყარებლად?*

ბაგრატის ასე გაძლიერება არც ბიზანტიას აძლევდა ხელს და არც ლიპარიტს. ამ უკანასკნელმა ბიზანტიიდან კვლავ ჩამოიყვანა დემეტრე, ბიზანტიელებისგან სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერაც მიიღო. ბაგრატი იძულებული გახდა, თბილისი დაეტოვებინა და ლიპარიტის წინააღმდეგ ემოქმედა. როგორც „მატიანე ქართლისაი“ გადმოგვცემს, ლიპარიტმა „განხეთქილება ჩამოაგდო ამ სამეფოს დიდებულებს შორის: ზოგიერთი წარუდგინა დემეტრეს და ზოგიერთი ბაგრატის ერთგული დარჩა“. ამის გამო ბაგრატს ჩაეშალა როგორც ანაკოფიისა და თბილისის, ისე ანისის შემოერთების გეგმა. ანისი 1045 წელსვე ბიზანტიელებმა დაიკავეს.

წყარო ი **ქალაქ ანისის ჩრდილოეთის კედლის ნაშთები, ყარსის პროვინცია, თურქეთი**

X-XI სს-ში ქალაქი ანისის სომხური სამეფოს ცენტრი იყო. მდებარეობდა რამდენიმე სავაჭრო გზის გასაყარზე, რაც მის მნიშვნელობას ზრდიდა. ანისს „1001 ეკლესიის“ ქალაქსაც უწოდებდნენ.



- *იმსჯელე, რა პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოსთვის ანისის შემოერთებას?*

ლიპარიტსა და ბაგრატს შორის **ბრძოლა სასირეთის ჭალასთან** (თანამედროვე კასპის მუნიციპ.) გაიმართა (დიდი ალბათობით, ის 1046 წელს უნდა მომხდარიყო). მეფე დამარცხდა. ქართული წყაროები ბრძოლაში ვარანგთა, იმავე ვიკინგების (ნორმანების) მონაწილეობაზეც გვიყვება, თუმცა დღემდე სადავოა, რა წარმომავლობის იყვნენ და ვის მხარეს იბრძოდნენ ისინი. ამის შემდეგ ლიპარიტმა კიდევ ერთხელ დაამარცხა ბაგრატი და ისე გაძლიერდა, რომ მასთან მშვიდობის დასამყარებლად მისული მეფე არც კი მიიღო და განერიდა. ბაგრატი დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

ამავე პერიოდში გარდაიცვალა უფლისწული დემეტრე. თუმცა ლიპარიტს ამის გამო ბაგრატ მეფესთან დაპირისპირება არ შეუწყვეტია.

ცნობა 5 რატომ მოაწყვეს სკანდინავიელებმა ექსპედიცია საქართველოს ტერიტორიის გავლით?

2004 წელს შვედმა მოგზაურებმა და მეცნიერებმა სკანდინავიიდან კავკასიაში ექსპედიცია მოაწყვეს, რის შესახებაც შვედეთში საქართველოს საელჩო შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის:

1983 წელს შვედმა მეცნიერმა, პროფესორმა მატს გ. ლარსონმა გამოთქვა ვარაუდი, რომ X-XI საუკუნეების მიჯნაზე ვიკინგებმა კასპიის ზღვამდე ჩასასვლელად სამხრეთ კავკასიის რეგიონის, კერძოდ, საქართველოს მარშრუტის გამოყენება დაიწყეს. ეს ვარაუდი ლარსონს *„ქართლის ცხოვრებაში“* ვიკინგების ხსენებამ გაუმყარა. შვედი მეცნიერების ერთი ნაწილი თავის დროზე ლარსონის ამ ჰიპოთეზას სკეპტიკურად შეხვდა. ერთ-ერთი სადავო საკითხი ის იყო, რამდენად შეძლებდნენ ვიკინგები თავიანთი ნავებით საქართველოს მეჩხერ მდინარეებზე გადაადგილებას.

მატს გ. ლარსონმა თანამოაზრეებთან ერთად გადაწყვიტა, ექსპერიმენტული სამეცნიერო ექსპედიციის მეშვეობით დაემტკიცებინა თავისი ვარაუდი. 2004 წელს მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია „ვიტფარნე“, რომლისთვისაც დამზადდა ვიკინგების მსუბუქი ნავის ზუსტი ასლი, რომლითაც ცურვა შესაძლებელი იყო როგორც ზღვაში, ისე მდინარეებზეც; ამასთან, ადვილი იყო ამგვარი ნავების ხმელეთზე ხელით გადატანა. ექსპედიცია შვედეთში, კუძულ გოტლანდზე დაიწყო, შემდეგ რუსეთისა და უკრაინის მდინარეების გავლით ჩავიდა შავ ზღვამდე, ჩაუარა უკრაინის, რუსეთისა და საქართველოს საზღვაო სანაპირო ზოლს და აუყვა რიონს ქუთაისამდე. ამის შემდეგ მდინარეების ყვირილასა და ჩხერიმელას გავლით მივიდა ლიხის ქედამდე. სახმელეთო მონაკვეთზე ექსპედიციამ ნავი ხარებისა და მორების მარხილის მეშვეობით გადაიტანა, რის შემდეგაც მტკვარზე განაგრძო მოგზაურობა და თბილისამდე ჩავიდა. საბოლოოდ, თბილისიდან, მტკვრის გავლით, ექსპედიციამ კასპიის ზღვამდე მიაღწია, რითაც დაამტკიცა, რომ ინგვარს და ზოგადად, ვიკინგებს შეეძლოთ საქართველოს გავლით კასპიის ზღვამდე ჩასვლა.

შენიშვნა: „ქართლის ცხოვრება“ *– ესაა საქართველოს ისტორიის შედგენის პირველი მცდელობა. მისი შემდგენელ-რედაქტორია ლეონტი მროველი, XI ს-ის საეკლესიო მოღვაწე. დროთა განმავლობაში კრებულს სხვა ისტორიებიც ემატებოდა და ასე გრძელდებოდა მისი შევსება XIV ს-მდე. „ქართლის ცხოვრების“ შექმნა XI ს-ის საქართველოს კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. იგი გამოხატავდა იმდროინდელი განათლებული საზოგადოების მოთხოვნილებას, შეეცნო საკუთარი წარსული და თავისი ადგილი მსოფლიო ისტორიაში.*

1040-იანი წლების ბოლოს რეგიონში **თურქ-სელჩუკები** გამოჩნდნენ და ბიზანტიას დიდი საფრთხე შეუქმნეს. ამჯერად ლიპარიტი მათ წინააღმდეგ ბიზანტიელთა ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ მოგვევლინა. 1048 წელს გამართულ ბრძოლაში ბაღვაში თურქებ-სელჩუკებს ტყვედ ჩაუვარდათ. მის დასახსნელად ბიზანტიამ მასშტაბური დიპლომატიური სამუშაო ჩაატარა.

წყარო კ **გიორგი კედრენე წერს იმის შესახებ, თუ როგორ დაიხსნეს ბიზანტიელებმა ლიპარიტი ტყვეობიდან:**

ხოლო ლიპარიტის დატყვევებით კმაყოფილი *აბრამი* თავს ყველა ადამიანზე უფრო ბედნიერად მიიჩნევდა მომხდარი კარგი ამბით და სხვა არაფერზე უზრუნია, არამედ გზად გაემართა და ხუთი დღის შემდეგ ჩავიდა ეგრეთ წოდებულ *რეში*, ხოლო იქიდან გაემართა და სულთანს ცნობა გაუგზავნა, ატყობინებდა ლიპარიტის შეპყრობას ...

როდესაც მეფემ გაიგო ლიპარიტის დატყვევების შესახებ, გამუდმებით იმის ცდაში იყო, რომ გამოესყიდა; ამისათვის მან ძვირფასი საჩუქრები და გამოსასყიდი გაუგზავნა სულთანს გიორგის (დროსოსად სახელდებულის) ხელით და სთხოვდა ლიპარიტის გათავისუფლებასა და ზავის დადებას.

სულთანმა ელჩები მიიღო და სურვილი ჰქონდა, თავი ისე წარმოეჩინა, თითქოს ის უფრო დიდსულოვანი მეფე იყო და არა უღირსი ვაჭარი, და მეფეს საჩუქრად გაუგზავნა იგი [ლიპარიტი]: გამოსასყიდი აიღო, მაგრამ სრულად ლიპარიტს გადასცა, და თან ურჩია: ეს დღე სამუდამოდ დაიმახსოვრე და არასოდეს მოინდომო იარაღის ხელში აღება თურქების წინააღმდეგო.

შენიშვნები: აბრამი *– თურქ-სელჩუკთა სარდალი იბრაჰიმ ინალი, სულთან თოღრულ-ბეგის ძმა.*

რე *– ქალაქი რეი, ერთ დროს თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დედაქალაქი. მდებარეობს თანამედროვე ირანში, დედაქალაქ თეირანიდან რამდენიმე კილომეტრში.*

მეფე *– იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი (1042–1055).*

წყარო ლ **XII-XIII სს-ის არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი სელჩუკთა ტყვეობიდან ლიპარიტ ბაღვაშის გათავისუფლების შესახებ:**

ბიზანტიის მეფემ გაუგზავნა თოღრულ-ბეგს [მოციქული] დიდძალი საჩუქარი და სთხოვა დაზავება, რასაც ის დასთანხმდა. ბიზანტიის მეფემ [აგრეთვე] გაუგზავნა [მოციქული] *ნასრ ად-დავლას* და სთხოვა, ეზრუნა აფხაზთა ზემოხსენებული მთავრის (ლიპარიტის) გათავისუფლებაზე... მან [სულთანმა თოღრულ-ბეგმა] ის [ლიპარიტი] გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლა. ეს იყო მნიშვნელოვანი [ამბავი] მისთვის [ლიპარიტისთვის] და ბიზანტიის მეფისთვის, რომელმაც [სულთანს] სანაცვლოდ გაუგზავნა დიდძალი საჩუქარი. [ბიზანტიელებმა] განაახლეს კონსტანტინოპოლის მეჩეთი, რომელშიც თოღრულ-ბეგის სახელზე შეასრულეს ლოცვა და [აღავლინეს] ხუტბა.

შენიშვნა: ნასრ ად-დავლა *– შუამდინარეთის ჩრდილოეთი ნაწილის, დიარბაქრის გამგებელი, რომელსაც ბიზანტიასთანაც და სელჩუკებთანაც მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა.*



წყარო მ **ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი, აია-სოფიას ტაძრის მოზაიკა, XI ს., სტამბოლი**

- *კ და ლ წყაროების მიხედვით იმსჯელე ბიზანტიის იმპერიისთვის ლიპარიტ ბაღვაშის მნიშვნელობაზე. წყარო ლ-ს მიხედვით, რა როლი შეუსრულებია ლიპარიტს ბიზანტიასა და თურქ-სელჩუკთა სასულთნოს ურთიერთობებში და რაში გამოიხატა ეს?*
- *იმსჯელე, პოლიტიკური თვალსაზრისით, რას გულისხმობდა სულთანი იმ რჩევით, რომელიც ლიპარიტს მისცა?*

სანამ ლიპარიტი ტყვეობაში იმყოფებოდა, როგორც ჩანს, ბიზანტიელებმა ბაგრატი მოკავშირედ გაიხადეს – სავარაუდოდ, იმის გამო, რომ იგი მათ დაეხმარა, როდესაც თურქები განძას ასაღებად მოადგნენ. ქართველთა ლაშქრის დახმარებით განძა დაცემას გადაურჩა. თუმცა ვითარება კვლავ შეიცვალა ლიპარიტის გათავისუფლების შემდეგ. როგორც „მატიანე ქართლისაი“ გვიყვება, ტყვეობიდან დახსნილი ლიპარიტი კონსტანტინოპოლში ჩავიდა, იმპერატორ კონსტანტინე IX-ს ეახლა, მისგან მხარდაჭერა მიიღო და შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. ამან ბაგრატს გადააწყვეტინა, იმპერატორს თავადაც ხლებოდა.

წყარო 6 გიორგი კედრენე ბაგრატის კონსტანტინოპოლში ვიზიტის შესახებ გადმოგვცემს:

ის [ლიპარიტი] იყო ჭკუითა და ვაჟკაცობით სახელგანთქმული და იბერთა შორის, ბაგრატის შემდეგ, ყველაზე უფრო ძლიერი ... [მან] იარაღი აიღო ხელში ბაგრატის წინააღმდეგ. ლიპარიტმა დაამარცხა იგი ომში და გააქცია კავკასიის მთებში ...

ლიპარიტმა წერილი გაუგზავნა [ბიზანტიის] მეფეს და რომაელებთან მეგობრობა და მოკავშირეობა შესთავაზა; მეფემ მისი ელჩები მიიღო და მოლაპარაკება გაიმართა.

ცოტა ხნის შემდეგ ბაგრატი მდინარე ფაზისის, სვანთა და კოლხთა ქვეყნის გზით გაემართა და ჩავიდა ტრაპეზუნტში. და იქიდან მაცნეები გაუგზავნა მეფეს და აუწყებდა, რომ სურს სამეფო ქალაქში ჩასვლა და მასთან შეხვედრა.

როდესაც მან ეს ნებართვა მიიღო, ჩავიდა ბიზანტიონში; მეფეს რომ შეხვდა, ჯერ დიდი საყვედური მოახსენა, დიდი ქვეყნის მეფე ხარ და აბაზგიის მთავართან [იმავე საქართველოს მეფესთან] დადებული გქონდა ხელშეკრულება და ის დაარღვიეო, ხოლო კერძო კაცი, განდგომილი მონა [ლიპარიტი] დაიახლოვეო. შემდეგ ის სთხოვდა, ისინი [ბაგრატი და ლიპარიტი] მოერიგებინა.

მართლაც, მეფის მეცადინეობით ასეც მოხდა; იმათ ერთმანეთში ზავი შეკრეს იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნება ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა, ხოლო ლიპარიტი – ერთი ნაწილის, მესხეთის მთავარი იქნება სიკვდილამდე, ხოლო ბაგრატს ცნობს ბატონად და მეფედ. აი, ასე დამთავრდა აბაზგიის საქმეები.

- *ბიზანტიურ წყაროში ლიპარიტი დადებითადაა დახასიათებული, ქართულ წყაროებში ასეთი მაგალითები არა გვაქვს. შენი აზრით, რითაა ეს განპირობებული? ამის საფუძველზე იმსჯელე განვითარებული შუა საუკუნეების მემატიანეთა ტენდენციურობის შესახებ.*
- *იმსჯელე, რა პრეტენზიას უცხადებს ბაგრატი ბიზანტიის იმპერატორს? რა სახის არგუმენტს იყენებს იგი საკუთარი პოზიციის გასამყარებლად?*
- *წყაროს მიხედვით, ვინ იყო ყველაზე მეტად მოგებული ბაგრატსა და ლიპარიტს შორის შეკრული ზავით? ვისი პოზიციები შესუსტდა ყველაზე მეტად? პასუხები დაასაბუთე.*

ბაგრატმა კონსტანტინოპოლში საპატიო ტყვეობაში სამი წელიწადი დაჰყო. ამასობაში ლიპარიტმა მეფედ აკურთხა ბაგრატის მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი, მისი მეურვე გახდა და ქვეყანას, ფაქტობრივად, თავად განაგებდა. ლიპარიტი იმდენად დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა გახდა, რომ ქართველი მემატიანე წერს: „მისი მოყვრები იყვნენ *ხორასანში დოღრულ-ბეგ* სულთანი და საბერძნეთში ბერძენთა მეფე“.

შენიშვნები: ხორასანი *– ისტორიული ოლქი შუა აზიაში, მოიცავდა თანამედროვე ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ, ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთ და თურქმენეთის სამხრეთ ნაწილს.*

დოღრულ-ბეგი *– იგულისხმება თურქ-სელჩუკთა პირველი სულთანი თოღრულ-ბეგი (1038-1063).*

რადგან რეგიონში თურქ-სელჩუკები მომძლავრდნენ, ბიზანტიას ბაგრატის მოკავშირეობაც დასჭირდა, ამიტომ ბაგრატი და ლიპარიტი „შეარიგეს“. შეთანხმების თანახმად, ლიპარიტმა ბაგრატი მეფედ და თავის პატრონად აღიარა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბაგრატის ფაქტობრივი ძალაუფლება მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა.

თურქ-სელჩუკთა ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ ლიპარიტი ამიერკავკასიაში შემოჭრილი ამ ხალხის მოწინააღმდეგეთა შორის აღარ ჩანს. 1054 წელს თურქ-სელჩუკებმა ამიერკავკასიის მიწებზე თავდასხმები განაახლეს, მათ შორის, დალაშქრეს ტაოს ტერიტორია, თუმცა ლიპარიტს მათ წინააღმდეგ არაფერი მოუმოქმედებია. არსებობს მოსაზრება, რომ ლიპარიტი თურქ-სელჩუკთა სულთნისთვის მიცემულ დაპირებას ასრულებდა, მათ წინააღმდეგ ხმალი არ აღემართა. ამის გამო ბაღვაში ბიზანტიელთათვის მოკავშირე აღარ იყო და, შესაბამისად, მათი მხარდაჭერა მოაკლდა. ამით ისარგებლეს ლიპარიტით უკმაყოფილო მესხმა დიდებულებმა, შეიპყრეს იგი და ბაგრატ მეფეს ჩააბარეს, რომელმაც დიდი ხნის მეტოქე ბიზანტიაში გააძევა.

თურქ-სელჩუკთა მომძლავრებამ რეგიონში ვითარება რადიკალურად შეცვალა – ბიზანტიას მათთან საბრძოლველად ძლიერი საქართველო დასჭირდა, რაზედაც მომდევნო გაკვეთილებში ვისაუბრებთ.

1. დაიყავით მეფე ბაგრატისა და ლიპარიტ ბაღვაშის მომხრეებად. მოაწყვეთ დისკუსია მათ შორის დაწყებული დაპირისპირების მიზეზების შესახებ. გაითვალისწინეთ როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორები.
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის 1.3 სავარჯიშო – შეავსე სქემა ბაგრატ IV-ის წინაშე დამდგარი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ.
3. გაეცანი საინტერესო საკითხავს ბაგრატ IV-ის დროინდელი ლიხნის წარწერის შესახებ.

5 როგორი იყო შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქი და სოფელი

ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების აღორძინებას შუა საუკუნეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა – ქალაქებში განვითარდა ვაჭრობა, ხელოსნობა; ქალაქებზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ქალაქი ახალი იდეებისა და კულტურული აღორძინების ადგილი იყო. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ შუა საუკუნეების საქართველოში ქალაქების აღმავლობის მიზეზების შესახებ. ქალაქებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოფლებსაც, რადგან შუა საუკუნეებში საქართველოში წარმოების ძირითად საშუალებას მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგი წარმოადგენდა. გაეცნობი ფეოდალური საქართველოს დასახლებებს სოფლებში.

IX საუკუნიდან უკვე მთელ საქართველოში იწყება ქალაქების აღორძინება, რაც საერთაშორისო ეკონომიკური პროცესების გარდა, დაკავშირებული იყო ძლიერი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნასთან.

> **წყარო ა** **X ს-ის ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი არტანუჯის ციხის შესახებ:**
>
> არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბათიც და დაბა-ქალაქიც. იქ საქონელი მოდის ტრაპეზუნტიდან, იბერიიდან, აფხაზეთიდან, არმენიიდან და სირიიდან. ამ საქონლიდან ქალაქს უამრავი ბაჟი შესდის.

- *რას მოწმობს ეს ცნობა არტანუჯის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შესახებ?*
- *რა იცი ტაო-კლარჯეთის სამონასტრო აღმშენებლობის და კულტურული წინსვლის შესახებ IX-X საუკუნეებში?*
- *რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს აღმშენებლობით პროცესს ტაო-კლარჯეთში სავაჭრო ქალაქების ზრდასთან?*

შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების საგარეო სავაჭრო ურთიერთობები

IX ს-ის II ნახევრიდან ისევ გაცხოველდა სავაჭრო ურთიერთობები ბიზანტიასთან. ამ ვაჭრობაში კავკასია კვლავ სატრანზიტო რეგიონი იყო. აღმოცენდა ახალი ქალაქები: ანისი, ყარსი, არცნი, არტანუჯი. კვლავ უმნიშვნელოვანეს ცენტრად რჩება ტრაპიზონი. XII ს-ის II ნახევარი და XIII ს-ის I მეოთხედი უაღრესად ხელსაყრელი ხანაა საერთაშორისო-სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებისთვის ირანსა და კავკასიის ქალაქებს (თბილისი, დმანისი, განძა, ყარსი, ბარდავი) შორის.

ქალაქების როლი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისთვის ბრძოლის პროცესში

მტრის ხშირი შემოსევები და სამთავროების ურთიერთქიშპი, უპირველესად, ქალაქის მოსახლეობას და მათ ეკონომიკურ ინტერესებს აყენებდა ზიანს. ქალაქს დაცვა ესაჭიროებოდა.

> **წყარო ბ** **ისტორიკოსი შოთა მესხია (1916-1972) ქალაქების როლის შესახებ საქართველოს გაერთიანების პროცესში:**
>
> საქართველოს გაერთიანებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში ქალაქები მეფის მოკავშირედ გამოდიოდნენ. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ სამეფო ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აღმავლობის გზაზე შემდგარ ქალაქებს. მისი მოსახლეობა – ვაჭრები და ხელოსნები – ფეოდალური დაქსაქსულობის საწინააღმდეგო ძლიერ ძალად იქცა, გაძლიერებული ქალაქები კი მეფის მოკავშირედ გამოდიოდა.

- *რის გარანტიას ხედავდა ქალაქის მოსახლეობა სამეფო ხელისუფლებაში?*

წყარო გ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა ქალაქების საკეთილდღეოდ

1. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (XII ს.): დავითმა ააგებინა მრავალი ხიდი საშიშ მდინარეებზე. სავალად რთული ბევრი გზა კი ქვაფენილით დააფარინა.

2. XII ს-ის სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი: დავით მეფემ მრავალი სომეხი დაასახლა გორის ციხის გარშემო. სომხები დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ეპყრობოდნენ მეფეს.

3. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი: იგი იუწყება, რომ 1122 წელს თბილისის დაპყრობის შემდეგ დავით მეფემ თბილისელ მუსლიმებს მოუხსნა 4 სახეობის გადასახადი, ნება დართო შეესრულებინათ ისლამური ღვთისმსახურება, თავად დაესაჯათ ის, ვინც მათ ზიანს მიაყენებდა. ამასთანავე აღუთქვა მუსლიმებს, რომ აკრძალავდა მათ აბანოში ქართველების, სომხებისა და იუდეველების შესვლას, რომ მათ უბნებში არ გაიყიდებოდა ღორის ხორცი. დავითმა მუსლიმებს მიაგო უდიდესი პატივი – თბილისში მუსლიმ მეცნიერებს და ღვთისმეტყველებს მეტი ღირსეულობით ექცეოდნენ, ვიდრე მაჰმადიანურ ქვეყნებში.

- *შეაფასე დავით აღმაშენებლის ღონისძიებების პოლიტიკური მნიშვნელობა.*
- *წყაროს მიხედვით, როგორი იყო ქალაქ თბილისის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა?*

წყარო დ ლაშა გიორგის მემატიანე:

1179 წელს გიორგი III-მ და თამარმა მიიღეს კანონი მეკობრეობისა და ავაზაკობის წინააღმდეგ. ამის შედეგად ქარავნებს ვერავინ ძარცვავდა. ამიერ და იმიერ საქართველოში მპარავი და ავისმოქმედი აღარ იყო. ნაპარავის მპოვნელი მას დროშის ქვეშ დებდა. ოსები, მთიულები, ყივჩაყები და სვანები ველარ ბედავდნენ ქურდობას-ავაზაკობას და იყო მდიდრად ესე სამეფო.

- *გ და დ წყაროების მიხედვით, კონკრეტულად რაში გამოიხატება სამეფო ხელისუფლების ზრუნვა ქალაქებზე?*



1

2

3

წყარო ე ქართული და უცხოური მონეტები:

1. ბიზანტიური ოქროს მონეტა იმპერატორ მიხეილ VII დუკას გამოსა-ხულებით (XI ს.); 2. რუმის სულთან ქაიხოსრო II-ის სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა (XIIIს. I ნახ.); 3. ქართულ-ჰულაგუიდური ვერცხლის მონეტა (1281 წ.)

საქართველოს ქალაქებში აღმოჩენილია XI–XIII სს-ების ბიზანტიური ფული, აგრეთვე ერაყის, სირიის, ირანისა და აზერბაიჯანის სულთნების მიერ მოჭრილი მონეტები. დასავლეთი საქართველოს ქალაქებში ჭარბობს ტრაპიზონული ასპრები, რუმის სელჩუკების, ალეპოს ***ათაბაგების*** *ვერცხლის მონეტები.*

XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში მოჭრილი ქართული მონეტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სამხრეთში – სომხურ ქალაქებში და ჩრდილოეთით – ყუბანის დაბლობამდე

- *რაზე მეტყველებს უცხოური და ქართული მონეტების გავრცელების გეოგრაფია?*

ათაბაგი – ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი.

წყარო 3 XII-XIII სს-ის კუხეთის რუსთავი არქეოლოგიური მასალის მიხედვით

1944-1965 წლებში არქეოლოგებმა გათხარეს კუხეთის ქალაქ რუსთავის ერთი უბანი. მათ აღმოაჩინეს მრავალი საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობის ნაშთი, XII-XIII საუკუნეების მონეტები, კერამიკისა და მინის საყოფაცხოვრებო ნივთები: ქვევრები, დერგები, თონეები, მარცვლეულის შესანახი ორმოები, კერები, ხელსაფქვავები, ქილები, კოკები, დოქები, ხელადები, ჯამები, მინის მძივები, ბრინჯაოს სამაჯურები, ორიოდ ოქროს საყურე და გულსაკიდი, ნასუფრალი ძვლები, ბოსტნეულის თესლი, წისქვილის ქვები.

- *რა წარმოდგენას გიქმნის წყარო 3-ში ჩამოთვლილი განათხარი მასალა ქალაქის მკვიდრთა სოციალურ კუთვნილებაზე, სამეურნეო საქმიანობასა და კვებაზე?*

ქალაქის მმართველობა

საქართველოს ქალაქები სამეფო საკუთრება იყო. მეფე ქალაქებს სამართავად გადასცემდა მსხვილ ფეოდალებს, რომლებსაც თავიანთი სამოხელეო შტატი ჰყავდათ.

სქემა 1 ქალაქების მმართველობა



- *შეადარე საქართველოს ქალაქების მართვა შუა საუკუნეების ევროპული ქალაქების მმართველობის წესს და წერილობით უპასუხე შეკითხვას: იყო თუ არა საქართველოში თავისუფალი ქალაქები?*

ქალაქების მოსახლეობა ძირითადად ვაჭრებისა და ხელოსნებისგან შედგებოდა. მათი უმრავლესობა მეფის ან ეკლესიის ყმა იყო. ვაჭარ-ხელოსნები გაერთიანებულნი იყვნენ ამქრებში, რომელთა მეთაურს სამეფო ხელისუფლება ამტკიცებდა. XII-XIII საუკუნეებში არსებობდნენ ძალზე მდიდარი თავისუფალი „დიდვაჭრებიც“, რომლებიც ქალაქის არისტოკრატიას შეადგენდნენ და სამეფო ხელისუფლებასთან იყვნენ დაახლოებულნი.

წყარო 4 ბასილი ეზოსმოძღვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ მეფის გლახაკებზე ზრუნვის შესახებ:

თამარმა გლახაკთათვის მთელი სამეფოს შემოსავლის მეათედი გამოყო და დაადგინა სანდო ზედამხედველნი. მათი წყალობით ქრთილის ერთი მარცვალიც არ იკარგებოდა.

შენიშვნა: ბასილი ეზოსმოძღვარი *– XII-XIII სს-ის პოლიტიკური მოღვაწე, თამარ მეფის კარის ეზოსმოძღვარი. ივანე ჯავახიშვილი მას თამარის ერთ-ერთ ისტორიკოსად თვლის. ზოგი თანამედროვე ისტორიკოსი ამ მოსაზრებას არ იზიარებს.*

- *ქალაქის კიდევ რომელი ფენის არსებობაზე მიუთითებს წყარო?*

დისკუსია

გამართეთ კლასში დისკუსია თემაზე „ქალაქების როლი მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების საქმეში“.

ქართული სოფელი შუა საუკუნეებში

წყარო 01 **ქართველი ისტორიკოსის, ნიკო ბერძენიშვილის (1895-1965), მოსაზრება ტერმინ „სოფლის“ შესახებ**

სოფელი საზოგადოების **უფლებაში**, მის **საბრძანებელში**, მის **საუფლოში** მყოფი მიწა-წყალია და სწორედ ამას უკავშირდება სიტყვა **სოფელი**.

● *კლასში იმსჯელეთ წყარო A-ში მითითებულ განმარტებაზე. ჩამოაყალიბეთ ტერმინ „სოფლის“ თქვენეული განმარტება.*

ფეოდალიზმი – რთული სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო სისტემა – დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში უფრო დიდხანს გაგრძელდა. ჩვენში სუსტად იყო განვითარებული ვაჭრობა და ხელოსნობა, შესაბამისად, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა და მიწათმოქმედებას ეწეოდა. ფეოდალიზმის პერიოდში მიწების ძირითადი ნაწილი მეფის, საერო ფეოდალებისა და ეკლესია-მონასტრების ხელში იყო. მსხვილი ფეოდალები მიწის დიდ ფართობებს ფლობდნენ, ხოლო წვრილი ფეოდალები – შედარებით მცირეს. საქართველოს ისტორიაში იყო შემთხვევები, როდესაც მსხვილი ფეოდალები მეფეს ეურჩებოდნენ. ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობის პირობებში მეფე იყო უზენაესი სუვერენი, რომლის ძალაუფლება მის ტერიტორიაზე არსებულ ყველა სამფლობელოზე ვრცელდებოდა და უკლებლივ ყველა ფეოდალი მას ემორჩილებოდა.

მიწათმფლობელთა რაოდენობა მთელი მოსახლეობის 2-5%-ს არ აღემატებოდა, შესაბამისად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ მათ მიწებზე მუშაობდა და სანაცვლოდ იხდიდა გადასახადს, ასრულებდა სხვადასხვა სახის სამუშაოს ფეოდალის სასარგებლოდ. განსხვავებული მდგომარეობა იყო მთიან ზოლში, სადაც, გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე, მიწათმოქმედებაზე მეტად მესაქონლეობა განვითარდა.

მიწაზე მიმაგრებული გლეხის სამეურნეო ერთეულს საკომლო წარმოადგენდა. სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით, გაზიარებულია მოსაზრება, რომ გლეხის *სრული ფუძე* 12 *დღიურ მიწას* და ერთ ვენახს შეადგენდა. ვენახი დაახლოებით ერთ დღიურ მიწაზე იყო გაშენებული. ამრიგად, გლეხის სარგებლობაში არსებული მიწა 6-6.5 ჰექტარს შეადგენდა. ამ მიწიდან, ვენახის გარდა, ერთი დღიური მოდიოდა კარ-მიდამოსა და ხეხილის ბაღზე, დანარჩენი კი გამოიყენებოდა პარკოსანი, ბოსტნეული და ხორბლეული კულტურების მოსაყვანად. ამ პერიოდში საკმაოდ გავრცელებული იყო ე. წ. „მიწის დასვენება“, რომელიც ეხებოდა ორმინდვრიან და სამმინდვრიან სისტემას. ამ სისტემის მიხედვით, მოსავლის *როტაცია* ხდებოდა თანმიმდევრობით, სეზონების მიხედვით. როგორც ცნობილია, მარცვლეული კულტურები იწვევს ნიადაგის გამოფიტვას, ხოლო პარკოსნებს უნარი აქვთ, ნიადაგში დააფიქსირონ აზოტი და ამგვარად გაანაყოფიერონ. „მიწის დასვენების“ დროს სარეველებით მოფენილ მიწას საძოვრებადაც იყენებდნენ, ცხოველების ექსკრემენტები კი ნიადაგს ანაყოფიერებდა. დასვენებული, ნაყოიერი ნიადაგი უკეთეს მოსავალს იძლეოდა. ეს საკმაოდ კარგი, ალბათ დიდი ხნის გამოცდილების შედეგად მიღებული ცოდნა მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა მიწათმოქმედებაში ჩართულ გლეხებს. გლეხის საკომლოში შემავალ რამდენიმე დღიურ სახნავ-სათეს მიწას ყანა ეწოდებოდა. დიდი ფართობის ყანას ხოდაბუნს (სპარს. ხუდაბუნ – „საბატონო მიწა“) უწოდებდნენ

როტაცია – წრიული, ბრუნვითი მოძრაობა, მონაცვლეობა.

და ამ სიტყვით მეფის, ფეოდალის ან ეკლესიის მიწას მოიხსენიებდნენ. მცირე ზომის ფართობზე გაშენებული ვაზის ნარგაობას ვენახი ეწოდებოდა, ხოლო დიდ ფართობებზე გაშენებულ ვენახს – ზვარი. ზვარს ფეოდალები ფლობდნენ.

შენიშვნები: სრული ფუძე *– სრული ტერიტორია, რომელიც გლეხის განკარგულებაში იყო.*
დღიური მიწა *– 0,5 ჰა (ჰექტარი).*

ყველაზე გავრცელებული კულტურები ვაზი და ხორბალი იყო. როგორც ისტორიული წყაროებიდან ვიგებთ, პური და ღვინო კეთილდღეობის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა მიხედვით, „პურის მოკლებას“ ღვთის სასჯელად აღიქვამდნენ, ხოლო პურისა და ღვინის სიუხვეს – ღვთის წყალობად.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსავლიანობის განსხვავებული მაჩვენებელი გვაქვს: ნაკლები მოსავლიანობით გამოირჩეოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანეთი, იგივე ითქმის დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილზე, სადაც ნესტიანი ჰავა და ჭაობიანი ადგილები ჭარბობდა. როგორც ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, საკვები მცენარეების ნამდვილი *ბელელი* იყო: ჯავახეთი, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი.

ბელელი – მარცვლეული კულტურების შესანახი ადგილი, აქ: ბარაქიანობის აღმნიშვნელი ტერმინი.

უხვმოსავლიანობისთვის, სარწყავი-საირიგაციო სისტემის არსებობასთან ერთად, აუცილებელი იყო სახნავი, სათესი საშუალებების არსებობა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, რკინის სახნისი საქართველოში უძველესი დროიდან უნდა შემოსულიყო: V ს-დან – ერქვანი, ხოლო XIII ს-დან – გუთანი. დიდი გუთანი მრავალი დეტალისგან შედგებოდა. ესენია: კბილა, სახნისი, ხმალა, ფრთა, ფამფალაკი და ა. შ. დღესდღეობით შუა საუკუნეების სასოფლო-სამეურნეო იარაღების არტეფაქტები, ფაქტობრივად, არ მოგვეპოვება, უმეტესობა გვიანფეოდალურ ხანას განეკუთვნება, არაუადრეს XVIII ს-ისა.

მოსავლიანობის გასაზრდელად მხოლოდ გეოგრაფიული გარემო საკმარისი არ იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საირიგაციო სამუშაოების ჩატარებას. საქართველოში ირიგაციისთვის ხელშემწყობი ფაქტორი მდინარეების სიმრავლეა. ვახტანგ VI-ის დროს შედგენილი „დასტურლამალის“ მიხედვით, ერთ დღიურ მიწაზე 2.5 კოდი ხორბალი ითესებოდა, ანუ 0.5 ჰექტარზე ითესებოდა 75 კგ, საიდანაც იღებდნენ 600 კგ-მდე მოსავალს. უხვმოსავლიანის გარდა, დგებოდა ხოლმე მოუსავლიანი წლებიც, ამიტომ აუცილებელი იყო პროდუქტის მომარაგება და შემდეგი წლისთვის შენახვა. მოუსავლიანობის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო, როგორც კლიმატური პირობები – სეტყვა, წყალდიდობა, გვალვა – ისე მტრის შემოსევები, როცა გლეხები ვეღარ ახერხებდნენ მიწის დამუშავებას.

- *განვილილი მასალიდან გაიხსენე საქართველოში მეფისა და ძლიერი ფეოდალების დაპირისპირების შემთხვევები და პარალელი გაავლე იმავე პერიოდის დასავლეთ ევროპაში მეფის/იმპერატორისა და ფეოდალების დაპირისპირებასთან. რა მსგავსება/განსხვავებებს არის მათ შორის?*
- *იმსჯელე, რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ დღესდღეობით, ფაქტობრივად, არ მოგვეპოვება შუა საუკუნეების სასოფლო-სამეურნეო იარაღების არტეფაქტები.*
- *გაიხსენე წინა კლასებში შესწავლილი მასალა და იმსჯელე, რატომ მიიჩნევა საქართველო მევენახეობისა და მიწათმოქმედების უძველეს კერად?*
- *„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, რატომ აღიქვამდნენ „პურის მოკლებას“ ღვთის სასჯელად, ხოლო პურისა და ღვინის სიუხვეს – ღვთის წყალობად?*
- *ეთანხმები თუ არა მოსაზრებას, რომ ქართველებს პურის მოჭარბებული მოხმარება ახასიათებს, და, როგორ ფიქრობ, რა ფაქტორები განაპირობებენ ამ განსაკუთრებულ თავისებურებას, სხვა ხალხებისგან განსხვავებით?*

წყარო ი ისტორიული საბუთი შუა საუკუნეებში გლეხების შეწირულებაზე

შიომღვიმის მონასტრისათვის 1195 წლის სიგელით გადაცემული გლეხთა ორი კომლის შესახებ:

მთავარეპისკოპოსმა ანტონ ჭყონდიდელმა სოფელ სხალტბიდან შიომღვიმის მონასტრისთვის წყალი გაიყვანა და თამარ მეფეს სთხოვა, წყაროს სათავესთან მცხოვრები გლეხები – ორი კომლი ქოსაისძეები – მონასტრისთვის შეეწირა. თამარმა უბოძა მონასტერს ქოსაისძეები, მათ მხოლოდ წყაროს მოვლა-პატრონობა დააკისრა და ყოველგვარი სხვა გადასახადისგან გაათავისუფლა.

- *წყარო ი-ის მიხედვით იმსჯელე, განსხვავდებოდა თუ არა შუა საუკუნეების სოფლის მოსახლეობის ვალდებულებები ერთმანეთისგან.*

დასახლების ფორმა

საქართველოს რელიეფის მრავალფეროვნებამ (მთა, მთისწინეთი – მთასა და ბარს შორის გარდამავალი ზოლი, ბარი) განსაზღვრა სოფლური დასახლების შესაბამისი ფორმები, რომელიც, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, თითქმის არ შეცვლილა.

წყარო კ 1. დიდი გუთანი, 2. ურემი

1. დიდი გუთანი საქართველოში გავრცელებული სახვნელების ყველაზე რთული და სრულყოფილი სახეობაა. იგი საქართველოს ბარში გამოიყენებოდა. მას ბორბლები და რკინის სახნისი ჰქონდა და 4-6 (ზოგჯერ კი მეტი) უღელი ხარი ებმოდა. ამგვარი გუთანი ღრმად ხნავდა, ბელტს ჭრიდა, აბრუნებდა და ფშვნიდა. მას VI-VII საუკუნეებიდან იყენებდნენ. 2. ბორბლიანი ტრანსპორტი – ურემი – ძირითადად ბარის სოფლებში იყო გავრცელებული.


1


2

ხელოსნობა-შინამრეწველობა

ფაბრიკა-ქარხნების შექმნამდე ხელოსნობა ანუ სხვადასხვა საგნის ხელით, ხელის იარაღებით დამზადება წარმოების ძირითადი ფორმა იყო. მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა: სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნები ახლაც მუშაობენ. ხელოსნები საქართველოში ამუშავებდნენ ლითონს, ამზადებდნენ ხის, ქვისა და თიხის შესანიშნავ ნაკეთობებს, დაწნულ ჭურჭელს, ათვისებული ჰქონდათ საფეიქრო საქმე. ხელოსნობის სხვადასხვა დარგის განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, წიაღისეული განსაზღვრავდა.

ცნობა 1 სასარგებლო წიაღისეული

ხელოსნური ნაწარმის დასამზადებლად საჭირო სასარგებლო წიაღისეული საქართველოში უხვად მოიპოვებოდა. მაგალითად, რკინის საბადოებით მდიდარი იყო იმერეთის რამდენიმე სოფელი (კურსები, საწირე), ასევე სარკინეთი – ქართლში, ხოლო რკინის დამუშავების ყველაზე დიდი კერა რაჭაში მდებარეობდა. სპილენძის სიმდიდრით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჭოროხის ხეობა დასავლეთ საქართველოში და ალავერდი – აღმოსავლეთში; იქვე იყო სპილენძის დამუშავების მნიშვნელოვანი კერები. ქვის საბადოები არსებობდა იმერეთში (ეკლარი, ჭოგნარი, კურუბი, მუხური, ძირულა და სხვ.), კახეთში (ნორიო, სადახლო, ლოფოთა), ქვემო ქართლში (ალგეთი, ბოლნისი), ქართლში (ქაისხევი, მცხეთა, ძეგვი, დიღომი, ავჭალა, გომი). ხევსა და მთიულეთში მოიპოვებოდა გრანიტი და მარმარილო. მეთუნეობით განთქმული იყო იმერეთში შროშა, გურიაში აცანა და ქართლში ცხავატი. გორსა და მცხეთაში საუკეთესო ჭიქურ ჭურჭელს ამზადებდნენ.

რკინის, სპილენძის, ქვისა და ხის დამუშავების ოსტატები უძველესი დროიდან საკუთარ ხელობას თაობიდან თაობას გადასცემდნენ. რკინასთან ერთად საქართველოში სპილენძის ნაკეთობებიც ფასობდა – ამგვარი ნივთები უწინ აუცილებლად შედიოდა ქალის მზითევში. სპილენძი გაცვლის ერთეულიც იყო. ხითხუროები ამზადებდნენ შესანიშნავ ავეჯს, აშენებდნენ სახლებს და მათ ულამაზესი ორნამენტებით რთავდნენ. ძველთაგან განთქმული ყოფილან ხის დამუშავების აჭარელი ოსტატები. მათ ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს: „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“. თიხით მდიდარ რეგიონებში მეთუნეობა ადრეული რკინის ხანიდან (ძვ. წ. IX-VI სს., მცხეთა, თრიალეთი) განვითარდა, ხოლო IX-VIII სს-დან კერამიკული ჭურჭლის მოჭიქვა დაიწყეს. მოჭიქული ჭურჭლის წარმოებას ხალხურ ხელოსნობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ქართველი ხელოსნები ძვირფასი ლითონების დამუშავების რამდენიმე ხერხს იცნობდნენ და შესანიშნავ სამკაულებს ამზადებდნენ. სვანეთში ოქრომჭედლის ხელობას ქალებიც ფლობდნენ. ხელოსნობა განსაკუთრებით შუა საუკუნეებში განვითარდა.

> **წყარო ლ ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი (1895-1965) შუა საუკუნეების ხელოსნების შესახებ:**
>
> XI-XII საუკუნეებში ხელოსნები მუშაობდნენ მეფისა თუ სხვა ფეოდალთა კარ-სასახლეებში, სოფლებსა თუ ქალაქებში, ზოგი ერთი კუთხიდან მეორეში მიდიოდა, ზოგი ერთ ადგილას იჯდა – ცალ-ცალკე თუ ჯგუფობრივად.

ცნობა 2 ხელოსნები და გარე სამუშაოები

გარე სამუშაოებზე სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნები დადიოდნენ, უმეტესად – მშენებლები: ხითხუროები და ქვითხუროები (კალატოზები). ისინი აგებდნენ ეკლესია-მონასტრებს, სახლებს, სასახლეებს. ხელოსნის გარე სამუშაოებზე წასვლას ძველად „მოსარეწლად სიარულს“, „უცხოობაში მუშაკობას“ უწოდებდნენ.

- *გასულ წლებში შესწავლილი მასალიდან გაიხსენე და აღწერე, როგორ მუშაობდნენ ხელოსნები ქალაქებში, რა ეწოდებოდა მათ პროფესიულ გაერთიანებას და რისთვის იყო ის საჭირო.*

უძველესი დროიდან ადამიანი საკუთარ მოთხოვნილებებს თავად იკმაყოფილებდა: იმზადებდა საკვებს, აკეთებდა სამეურნეო და საომარ იარაღს, ოჯახისა და ოჯახური მეურნეობისთვის საჭირო ჭურჭელს, იკერავდა თუ იქსოვდა სამოსსა და სხვ. დროთა განმავლობაში მისი მოთხოვნილებები გაიზარდა. ადამიანი ყოველთვის ვეღარ ახერხებდა მისთვის საჭირო ყოველგვარი ნივთის დამზადებას. შრომა-საქმიანობა დანაწილდა: ზოგი სამეურნეო ან საომარი იარაღის დამზადებაში დახელოვნდა, ზოგიც – კერამიკული, ხის, რკინის თუ ქვის საგნების წარმოებაში და სხვ. ხშირად ეს ოსტატები საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას შთამომავლობას გადასცემდნენ. ასე შეიქმნა ამა თუ იმ პროდუქციის დამზადებაში დახელოვნებული ოჯახები თუ გვარები. შრომა-საქმიანობის დანაწილებამ პროდუქციის გაცვლის აუცილებლობა გამოიწვია.

- *იმსჯელეთ კლასში, რატომ გამოიწვია შრომა-საქმიანობის დანაწილებამ პროდუქციის გაცვლის აუცილებლობა?*

სხვადასხვა სახის პროდუქციის სახლში დამზადებას **შინამრეწველობა** ეწოდება. შინამრეწველები, უმეტესად, სახლში მომუშავე ხელოსნები არიან, მაგრამ, ხელოსნობისგან განსხვავებით, შინამრეწველობა საკვები პროდუქტების დამზადებასაც მოიცავს. შინამრეწველები პროდუქციას ამზადებდნენ არა მარტო საკუთარი ან ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ გასაცვლელად, შეკვეთით ან გასაყიდად. შინამრეწველობის ხასიათს ადამიანის მოთხოვნილებები, ნედლეული და მეურნეობის თავისებურებები განაპირობებდა. მაგ., მთაში, სადაც მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობაა, შინამრეწველები მატყლის პროდუქციის დამზადებაში დაოსტატდნენ, რასაც ხელს უწყობდა მატყლის სიუხვე და მოთხოვნილება მატყლის ნაწარმზე (სამოსზე, ნაბადზე, ნაბდის ქუდებზე და სხვ.).

- *როგორ იქნებოდა დაკავშირებული საცხოვრებელი ადგილი, გეოგრაფიული გარემო შინამრეწველობის დარგებთან?*

საქართველოში შინამრეწველობა დღემდე შემორჩა – ახლაც სიამოვნებით იძენენ ქართველი შინამრეწველების მიერ დამზადებულ ნივთებს, რომლებიც არა მარტო სამომხმარებლო საგნებია, არამედ ხშირად – ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებიც.

1. მოაწყვეთ კლასში შუა საუკუნეების ქართული ქალაქის საბჭოს სხდომა: დაიყავით რამდენიმე ჯგუფად, თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინეთ ქალაქში მცხოვრები რომელიმე ფენის ინტერესები/საჭიროებები/პრობლემები და ერთობლივად იმსჯელეთ მათი გადაჭრის გზებზე.

2. კონსტანტინე II-ის, ქართლ-იმერეთის მეფის (1479-1484) მიერ ჯავახიშვილებისათვის 1466 წელს ბოძებულ საბუთში მითითებულია: „... ჩვენ შეგიწყალეთ და თქვენი დიდი ერთგულების საზღაურად გიბოძეთ სოფლები: ცხირეთი, ხანდაკი და თხილოვანი. ამიერიდან ეს სოფლები – იქ არსებული მონასტრით, ეკლესიით, ციხით, სასახლით, ჭურ-მარნით, გლეხებით, ველით, ვენახით, წყლით, წისქვილით, ჭალით, სათიბით, სანადირო ადგილებით – მთლიანად თქვენ გეკუთვნით. გათავისუფლებთ გადასახადებისგან და ჩვენს მოხელეებს ვუკრძალავთ თქვენს მამულებში შემოსვლას.“ ამ საბუთის საფუძველზე დანიშნულების მიხედვით დააჯგუფე სოფლის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები და მიწები. შენი სიტყვებით განმარტე, რას ნიშნავდა შუა საუკუნეებში ერთგული სამსახურის სანაცვლოდ „სოფლების ბოძება“.

3. შეასრულე მოსწავლის რვეულის 1.4 სავარჯიშო შუა საუკუნეების ქართველი საზოგადოების შესახებ.

6/7 ვინ იყვნენ თურქ-სელჩუკები და რა საფრთხე შეუქმნეს მათ საქართველოს?

ამ გაკვეთილიდან გაიგებ, ვინ იყვნენ თურქ-სელჩუკები, როგორ დახვდა საქართველო თურქ-სელჩუკთა საფრთხეს, როგორ წარიმართა მათი ლაშქრობები საქართველოში, რატომ სურდათ მათ საქართველოს დამორჩილება და რამ განაპირობა თურქული მომთაბარე ტომების მასობრივი შემოსვლა ამიერკავკასიაში.

XI ს-ის მეორე ნახევარში ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა. რეგიონში შუა აზიიდან გამოჩნდნენ მომთაბარე თურქ-სელჩუკები, რომლებმაც ირანის რეგიონი სრულად დაიმორჩილეს, დაიკავეს მესოპოტამია და ბიზანტიის იმპერიას შეუტიეს. ამგვარად, ერთიანი საქართველოს სამხრეთით უზარმაზარი მუსლიმური იმპერია შეიქმნა, რომელიც ქრისტიანულ ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს, დაპყრობის საფრთხეს უქმნიდა.

წყარო ა სელჩუკთა სახელმწიფო და მისი მეზობელი ქვეყნები XI ს-ის მეორე ნახევარში



- *რატომ მოისწრაფოდნენ თურქ-სელჩუკები შუა აზიიდან დასავლეთის მიმართულებით? რა მოტივი ამოძრავებდათ მათ?*
- *როგორი გეოპოლიტიკური ვითარება შეიქმნა საქართველოსთვის XI ს-ის შუახანებში?*

თურქ-სელჩუკები კავკასიაში ჯერ კიდევ XI ს-ის 30-იან წლებში გამოჩნდნენ, დამპყრობლური პოლიტიკა კი მომდევნო ათწლეულში დაიწყეს. ვრცელი საძოვრების ძიებამ სელჩუკებს დაანახა, რომ ამიერკავკასია მათთვის ხელსაყრელი გეოგრაფიული სივრცე იყო და ამ რეგიონის დამორჩილება განიზრახეს.

ცხადია, თურქ-სელჩუკებს ამიერკავკასიას უბრძოლველად არ დაუთმობდა ბიზანტიის იმპერია. 1048 წელს სელჩუკები სომხეთში შეიჭრნენ. ამ დროს სომხეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს ბიზანტიის იმპერია განაგებდა. ბიზანტიელებმა მოწინააღმდეგეს ბრძოლა **კაპეტრონის ციხესთან, ბასიანის პროვინციაში** გაუმართეს. მათი მთავარი მოკავშირეები ქართველები იყვნენ, რომელთაც კლდეკარის ერისთავი **ლიპარიტ ბაღვაში** მეთაურობდა.

წყარო ბ **XI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე ბიზანტიელთა მხარეს ქართველების ბრძოლისა და ლიპარიტ ბაღვაშის დატყვევების შესახებ გვიამბობს:**

[ბიზანტიის იმპერატორმა] უბრძანა მათ [თავის სარდლებს] თავი შეეკავებინათ, სანამ ლიპარიტი მოვიდოდა იბერთა ჯარით და *რომაულ ჯარებს* შეუერთდებოდა, ხოლო ლიპარიტს შეუთვალა: თუ რომაელთა მოკავშირედ და მეგობრად მიიჩნევ თავს, სასწრაფოდ წამოიყვანე მთელი ჯარი, რაც კი შენს ხელთაა, მოდი და შეუერთდი რომაელთა სარდლებს და მათთან ერთად იომე ბარბაროსების წინააღმდეგო ...

რომაული ჯარი, როდესაც უკვე ლიპარიტი მოვიდა მათთან, ... დაბანაკდა დაბლობში, მთის ძირთან, სადაც მდებარეობს კაპეტრონის ციხე.

... მარჯვენა ფრთას მეთაურობდა *კეკავმენი*, მარცხენას – აარონი, ხოლო შუა რაზმს ლიპარიტი სარდლობდა. იყო საღამო ჟამი, გუთნეულის გამოხსნის დრო.

ბრძოლა რომ დაიწყო, კეკავმენმაც და აარონმაც მათ პირისპირ განლაგებული რაზმები გააქციეს და მამლის ყივილამდე სდიეს, ხოლო ლიპარიტი, რომელიც ძალიან განიცდიდა თავისი ბიძაშვილის დაღუპვას და ძლიერი შეტევით ეძგერა მტერს, ტყვედ ჩავარდა მას შემდეგ, რაც მისი ცხენი დაიჭრა და მოკვდა.

ასეთი რომ იყო საქმის ვითარება, რომაელებმა შეწყვიტეს დევნა და დაბრუნდნენ, ჩამოხდნენ ცხენიდან და მადლობა უძღვნეს ღმერთს გამარჯვებისთვის და ერთხმად შესძახეს: „რომელი ღმერთია ისე დიდი, როგორც ჩვენი ღმერთი“, და ელოდებოდნენ ლიპარიტს: იმედი ჰქონდათ, რომ ლიპარიტიც უკან დაედევნა მტერს. ხოლო რადგან არსად ჩანდა, საგონებელში ჩავარდნენ: ვერ გაერკვიათ, რა უნდა მომხდარიყო.

ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში რომ იყვნენ, მოვიდა ერთი ჯარისკაცი ლიპარიტის რაზმიდან და აცნობა სარდლებს, რომ ლიპარიტი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა... ამ ამბის გაგონებაზე ჯარის სარდლებს თავზარი დაეცათ.

შენიშვნები: რომაული ჯარები *– იგულისხმება ბიზანტიელთა ლაშქარი.*

კეკავმენი *– ბიზანტიელი სარდალი კატაკალონ კეკავმენი, რომელიც დანიშნული იყო ანისის გამგებლად.*

- *განვლილი გაკვეთილების საფუძველზე იმსჯელე, რატომ გამოდის ბიზანტიელთა მთავარ მოკავშირედ ლიპარიტ ბაღვაში და არა მეფე ბაგრატ IV?*
- *წყაროს მიხედვით იმსჯელე, რა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ბიზანტიელები ლიპარიტზე დიდ იმედს ამყარებდნენ?*
- *როგორ ახსნეს ბიზანტიელმა სარდლებმა ბრძოლაში მიღწეული წარმატება? შენი აზრით, წარუმატებლობის შემთხვევაში რითი ახსნიდნენ ისინი დამარცხებას?*

თურქ-სელჩუკებისა და საქართველოს დაპირისპირება

1064 წელს სელჩუკთა სულთანმა **ალფ-არსლანმა** (1063-1072) ბიზანტიის წინააღმდეგ ომი დაიწყო. გაზაფხულზე სელჩუკთა არმია კავკასიის მისადგომებთან იყო. სულთანმა არმია ორ ნაწილად გაყო: ერთს თავად ჩაუდგა სათავეში და სამხრეთ კავკასიას შეუტია, მეორე ნაწილს კი თავისი ვაჟი, **მალიქ-შაჰი** და დიდი ვაზირი **ნიზამ ალ-მულქი** ჩაუყენა. მათ ბიზანტიის მოსაზღვრე სომხური ციხესიმაგრეების დალაშქვრა ევალებოდათ. როგორც არაბი მემატიანე, იბნ ალ-ასირი გადმოგვცემს, *456 წლის* თებერვალში ალფ-არსლანმა დატოვა ქალაქი რეი და ბიზანტიის იმპერიაში გასალაშქრებლად დაიწყო მზადება. მისი მოკავშირე

იყო თურქმანი ამირა თუღდეგინი, რომელმაც დაარწმუნა სულთანი, რომ უმჯობესი იქნებოდა, მუსლიმებს ქრისტიანული მიწები ჯერ ჩრდილოეთით დაერბიათ. სულთანმა მალიქ-შაჰი და ნიზამ ალ-მულქი ნაშინის მიმართულებით გაგზავნა, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

შენიშვნები: 456 წლის *– გრიგორიანული კალენდრით – 1064 წლის. ტექსტში აღნიშნული თარიღი* ***ჰიჯრის კალენდრითაა*** *მითითებული.*

ჰიჯრის კალენდარი *– მუსლიმები წელთაღრიცხვას იწყებდნენ ჰიჯრით – მოციქულ მუჰამადის მექიდან მედინაში გადასვლის თარიღით (622 წ.), ამიტომაც ისლამურ კალენდარს „ჰიჯრის კალენდარი“ ეწოდება. ის ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებული კალენდრისგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ ჰიჯრის ერთი წელი 354 დღისგან შედგებოდა. ამ მიზეზით, ჰიჯრის წლების გადაყვანა ჩვენი წელთაღრიცხვის სისტემაზე სპეციალური ფორმულებით ან ტაბულებით ხდება.*

- *შენი აზრით, რატომ გაითვალისწინა ალფ-არსლანმა თუღთეგინის რჩევა?*

წყარო 8 თურქ-სელჩუკთა შემოსევები საქართველოში XI ს-ის II ნახევარში ალფ-არსლანის მეთაურობით



- *გაიხსენე ისტორიაში ნასწავლი მანასკერტის ბრძოლა და იმსჯელე, როგორ აისახა ბრძოლის შედეგები საქართველოზე?*
- *რომელი მხრიდან შემოიჭრნენ პირველად თურქ-სელჩუკები საქართველოში და რა მოტივი ამოძრავებდათ მათ?*

მალიქ-შაჰის ჯარს სომხეთში დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. როცა თურქების არმიის ნაწილი სომხეთში იყო, ალფ-არსლანის არმია ჯავახეთის გავლით სამცხეში შეიჭრა. როგორც ჩანს, ბაგრატ IV საქართველოში თურქ-სელჩუკების გამოჩენას არ მოელოდა. იგი ოჯახის წევრებთან ერთად ტაოში იმყოფებოდა, როდესაც სელჩუკების გამოჩენის შესახებ ამცნეს.

წყარო დ **„მატიანე ქართლისა“ ალფ-არსლანის ლაშქრობაზე სამხრეთ საქართველოში:** *ადაპტირებული წყარო*

მისი [ბაგრატის] მეფობის დროს გამოემართა სულთანი ალფ-არსლანი, სპარსეთის მეფე, თავდასხმის მიზნით. მოულოდნელად მოვიდა და დაარბია *კანგარი* და თრიალეთი და ერთ დღეში მისი მარბიელი [ჯარი] მივიდა ყველის [მთის] კიდემდე, გადავიდა შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში ფანასკერტამდე. და იმავე დღეს ჩამოვიდა *თორსა* და ღევისხევში. თვითონ კი სამ დღეს დაბანაკდა თრიალეთში. სწორედ ამ დროს მეფე მოდიოდა ტაოდან და თან ახლდნენ დედა, და და თავისი ძე გიორგი. და გაჩერებულები იყვნენ *ხეკრებულთაში*. [იქიდან] მისი დაძვრის დროს [ბაგრატს] თავს დაესხა სულთნის ლაშქარი, [რომელიც] მოვიდა და გადმოადგა ქედს. ხოლო მათ [ბაგრატმა ოჯახითურთ] ჩამოასწრეს ქართლში. [სულთნის მეომრები] წავიდნენ ჯავახეთში და მიადგნენ ახალქალაქს. ხოლო მესხი აზნაურები და *ზემო მხარის* [მოსახლენი] გამაგრებულიყვნენ ახალქალაქში და სამ დღეს იბრძოდნენ, რადგანაც არ იყო ქალაქი გალავნით გამაგრებული. და შეიჭრნენ თურქები და ურიცხვი ქრისტიანი დაატყვევეს, აიღეს დიდი ნადავლი და [აიყვანეს] ბევრი ტყვე და სისხლით შეიღება ახალქალაქის წყალი.

შენიშვნები: კანგარი *– ისტორიული ქვემო ქართლის (გოგარენეს) უკიდურესი სამხრეთი მხარე.*
თორი *– საქართველოს ისტორიული მხარე. ძირითადად, მოიცავდა თანამედროვე ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას.*
ხეკრებულთა *– დასახლებული პუნქტი ისტორიულ ტაოში.*
ზემო მხარე *– სამხრეთ-დასავლეთ საქართველო.*

წყარო ე **გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერი გიორგი ხუცესმონაზონი, რომელიც ალფ-არსლანის მიერ სამხრეთ საქართველოს აოხრების თვითმხილველი იყო, წერს:** *ადაპტირებული წყარო*

[ხოლო როდესაც] ... სულთანი გამოვიდა თავისი საზღვრებიდან ქრისტიანთა მოდგმის ამოსაწყვეტად, იმ დროს ჩვენ ვიყავით ჯავახეთის ახალქალაქში...

არა მარტო ახალქალაქის მოსახლენი გაიჟლიტნენ, არამედ დიდებული და წარჩინებული მთავრები და ჩვენი სამეფოს ერისთავები უსასტიკესად ამოიხოცნენ და დაიღუპნენ, რის გამოც ღვთისმსახური მეფე ბაგრატი დიდ მწუხარებაში ჩავარდა.

- *წყაროს მიხედვით იმსჯელე, რა თვალით უყურებს და აფასებს ალფ-არსლანის ლაშქრობებს საეკლესიო პირი?*
- *დ და ე წყაროების საფუძველზე იმსჯელე, როგორი ხასიათის იყო თურქ-სელჩუკთა ლაშქრობები?*
- *რა მიზანი ამოძრავებდათ თურქ-სელჩუკებს საქართველოში ლაშქრობისას?*

ქართველებზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ალფ-არსლანმა ბაგრატს ცოლად სთხოვა მისი დისწული, რასაც საქართველოს მეფე დათანხმდა. ამის შემდეგ სულთანი სომხეთში გადავიდა, ანისი აიღო, გაძარცვა და სამართავად გადასცა განძის მმართველ აბულ-ასვარს. ამ უკანასკნელს დაევალა, რომ ანისის გარშემო მდებარე მიწებზე სელჩუკთა გავლენა გაევრცელებინა. ანისის აღებამ ალფ-არსლანის ავტორიტეტი მუსლიმურ სამყაროში საგრძნობლად გაზარდა, სელჩუკთა პოზიციები კი მნიშვნელოვნად გააძლიერა. თურქებმა ანისის აღების შემდეგ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მყარად მოიკიდეს ფეხი. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელები მედგრად იცავდნენ ქალაქს (ანისის დაცვას ხელმძღვანელობდა ქართული წარმოშობის ბიზანტიელი სარდალი **გრიგოლ ბაკურიანის ძე**), მათ ეს ტერიტორია სამუდამოდ დაკარგეს.

ცნობა 1 ვინ იყო გრიგოლ ბაკურიანის ძე?

გრიგოლ ბაკურიანის ძე (გარდ. 1086) ბიზანტიის იმპერიის ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო; ჯერ აღმოსავლეთის, ხოლო შემდეგ დასავლეთის დიდი დომესტიკოსი (სარდალი). ფლობდა ბიზანტიის უდიდეს სამოხელეო ტიტულს – სევასტოსობას. გადასახადებისგან გათავისუფლებული მისი მამულები გაბნეული იყო იმპერიის სხვადასხვა კუთხეში.

1081 წელს გრიგოლ ბაკურიანის ძემ კონსტანტინოპოლში გადატრიალება მოაწყო. ის ბიზანტიის იმპერიის ერთადერთ არაბიზანტიური წარმოშობის დედოფალს, ბაგრატ IV-ის ქალიშვილ მართა-მარიამს (დაახლ. 1050-1118, იხ. ცნობა 2) ეხმარებოდა. გრიგოლ ბაკურიანის ძემ და მართა-მარიამმა დაამხეს იმპერატორი და ტახტზე ალექსი I კომნენოსი აიყვანეს.

1083 წელს გრიგოლ ბაკურიანის ძემ საკუთარ მამულში – ბაჩკოვოში (ბულგარეთში) – დააარსა პეტრიწონის ქართველთა მონასტერი და მას დიდძალი ქონება შესწირა. მანვე შეუდგინა მონასტერს ტიპიკონი, ანუ წესდება, რომელიც ამ დროის საქართველოს, საბერძნეთისა და ბულგარეთის ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა. ბაჩკოვოს მონასტერი იმითაცაა ცნობილი, რომ აქ XI-XII სს-ში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი **იოანე პეტრიწი**. გრიგოლ ბაკურიანის ძე 1086 წელს პაჭანიკებთან ბრძოლაში დაიღუპა. დაკრძალულია პეტრიწონის მონასტერში.

წყარო 3 პეტრიწონის მონასტერი, XI ს., ბულგარეთი

1. პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტრის დაარსების პერიოდიდან მხოლოდ საძვალე შემორჩა. საკათედრო ტაძარი XVII ს-ის დასაწყისში აღადგინეს; 2. გრიგოლ ბაკურიანის ძის გამოსახულება პეტრიწონის მონასტრის ფრესკაზე.


1


2

- *იმსჯელე, რატომ სურდა სელჩუკთა სულთანს საქართველოს მეფესთან დამოყვრება?*

წარმატებული სამხედრო კამპანიის შედეგად დაკავებული მიწები სულთანმა ადგილობრივ მუსლიმ გამგებლებს ჩააბარა, ის ტერიტორიები კი, რომლებიც საქართველოსგან მიითვისა, ჩააბარა განძის ამირა ფადლონს. 1065 წელს მან დატოვა სამხრეთ კავკასია და ბიზანტიის იმპერიის მიწები, რათა შუა აზიაში მომხდარი აჯანყებები ჩაეხშო.

შენიშვნა: ფადლონ იბნ შავური *1067-1073 წლებში იყო შედადიანთა სახელმწიფოს (თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე) მმართველი. მან წარმატებას ალფ-არსლანის დახმარებითა და მისივე აღიარებით მიაღწია; იგი ებრძოდა საქართველოს, თუმცა, საბოლოოდ, ბაგრატ IV-სთან ომში დამარცხება იწვნია.*

მას შემდეგ, რაც განძის ამირა ფადლონმა სულთანი შორს დაიგულა, გადაწყვიტა, დამოუკიდებლობა მოეპოვებინა და განუდგა სულთანს. განმდგარი ამირას დასამორჩილებლად

სულთანმა ნიზამ ალ-მულქი გამოგზავნა, რომელმაც პირნათლად შეასრულა დავალება და ტყვედ ჩაიგდო იგი. თუმცა, ფადლონს ღალატი აპატიეს. მალევე საქართველოს წინააღმდეგ თავად სულთანი დაიძრა.

საქართველოს მეფემ, ბაგრატ IV-მ გააცნობიერა, რომ სულთანი მალე დაარღვევდა 1064 წელს დადებულ პირობას, რისი მიზეზიც ის იყო, რომ მეფის დისშვილი არა ალფ-არსლანმა, არამედ ნიზამ ალ-მულქმა შეირთო ცოლად. მან სამხრეთ კავკასიის მუსლიმი მმართველები შეავიწროვა და ბარდავში გაილაშქრა, რომელიც არანის ნაწილი იყო. ბაგრატ IV-ის მიერ მოწყობილ მასშტაბურ ლაშქრობაში საქართველოს მოკავშირე ალანებიც მონაწილეობდნენ. ბარდავის გამგებელმა დახმარება სთხოვა სულთანს, რომელმაც მუსლიმთა დასაცავად არმიის შეკრება ბრძანა.

1067 წლისთვის **ბაგრატ IV-მ** კახეთი დაიმორჩილა, **ქორეპისკოპოსი აღსართანი** კი გაიქცა. მეტიც, მან სომხეთის მთავრებს გამოსტაცა სამშვილდე და ამით ხელში ჩაიგდო ქვემო ქართლის მიწაზე გადმოსასვლელი უღელტეხილები. როდესაც მეფის არმია კახეთის ციხე-ქალაქებში იყო, მათ მოულოდნელად თურქ-სელჩუკები შენიშნეს. ქართველებმა დატოვეს კახეთი და ქართლს შეაფარეს თავი, ადგილობრივი მოსახლეობა კი ტყეში გაიხიზნა და იქიდან პარტიზანული ომი წამოიწყო. სულთანმა სამი კვირა დაჰყო კახეთში, ტყეები გადაწვა და მარბიელ ლაშქარს კახეთის ქალაქებისა და სოფლების მოოხრება უბრძანა.

ბაგრატ IV მზად იყო, ზავის პირობები შეეთანხმებინა სულთნისთვის, თუმცა აღსართანი უფრო მალე მივიდა ალფ-არსლანთან, მიიღო ისლამი, იკისრა ხარკის გადახდა და დიდი ძღვენიც მიართვა. სულთანმა მიიღო აღსართანი, ჩააბარა კახეთი, თავად კი ქართლისკენ დაიძრა.

1068 წელს მუსლიმთა არმია ქართლში გამოჩნდა. ქალაქი თბილისი დაიკავეს და არგვეთამდე მიაღწიეს. სულთანმა 6 კვირა გაატარა ქართლში და მარბიელ ლაშქარს უბრძანა, ქალაქები და სოფლები გადაეწვათ. ბაგრატ IV დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ხოლო არმიის დიდ ნაწილს **სვერის ციხეში** მოუყარა თავი. მუსლიმებმა ციხე-ქალაქი დაიკავეს, რასაც ბაგრატ IV-ის მხრიდან ზავის შეთავაზება მოჰყვა. როგორც ჩანს, სულთანი დიდხანს ვერ დარჩებოდა ქართლში, რადგან ზამთარი პრობლემას შეუქმნიდა მის არმიას და მანაც მეფის წარგზავნილი ელჩები მიიღო. ბაგრატ IV დროის მოგებას ცდილობდა და მიზანსაც მიაღწია, სულთანმა კი ისე დატოვა საქართველო, რომ ხარკის წაღებაც ვერ შეძლო. ამის მიუხედავად, მოსახლეობამ დიდი დანაკლისი განიცადა, რასაც დაემატა განძის ამირა ფადლონისთვის საკმაოდ დიდი მიწების გადაცემა ქართლში, მათ შორის იყო თბილისიც; ხოლო კახეთის ქორეპისკოპოსი სულთნის ერთგულ მოკავშირედ იქცა.

თუმცა, ვითარება მალევე შეიცვალა. მას შემდეგ, რაც სულთანმა სამხრეთ კავკასია დატოვა, ფადლონმა დამოუკიდებლად დაიწყო საქართველოს აოხრება. ბაგრატ IV-მ მის დასასჯელად ჯარი გაგზავნა, რის შედეგადაც განძის ამირა ტყვედ ჩავარდა. მის გამოსახსნელად სულთანმა **გაგის ციხე** უბოძა ქვემო ქართლში ბაგრატს. მეტიც, ბაგრატმა ფადლონი თბილისიდანაც განდევნა და მის გამგებლად ჯაფარიანთა ერთ-ერთი შტოს შთამომავალი სითლარაბი დანიშნა, ვისგანაც დიდი რაოდენობით ძღვენიც მიიღო.

განძის ამირა მალევე, ხელმეორედ შემოესია საქართველოს. ბაგრატ IV-მ ამჯერადაც სძლია მას, დასახმარებლად უხმო ოსთა მეფესაც, რომელიც ცოლისძმად ეკუთვნოდა. ოსთა და ქართველთა გაერთიანებულ ლაშქარს სათავეში თავისი ვაჟი, გიორგი ჩაუყენა. ქართველებმა და ოსებმა განძა მოაოხრეს, მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელთ და საქართველოში დაბრუნდნენ. ამ ლაშქრობის შემდეგ ალფ-არსლანმა ქართველებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება გადაწყვიტა. მიუხედავად ამისა, კვლავაც სურდა, რომ საქართველო მისი მოხარკე ყოფილიყო, თუმცა, ბაგრატ IV-მ ქვეყნის ინტერესები დაიცვა და უარი განაცხადა ხარკის გადახდაზე. 1064 და 1068 წლებში მოწყობილმა სამხედრო ექსპედიციებმა დაასუსტა საქართველოს ეკონომიკა, მოსახლეობა შემცირდა და განაპირა რაიონებში თურქ-სელჩუკებმა დაიწყეს ჩამოსახლება.

- *როგორ ცდილობდა ბაგრატ IV საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას?*

- *დააკვირდი რუკაზე (წყარო გ) განძის მდებარეობას და იმსჯელე, რატომ იყო დაინტერესებული განძის ამირა ფადლონი ქართული მიწების ხელში ჩაგდებით?*
- *როგორი ურთიერთობა ჰქონდა ბაგრატს ოსებთან? დააკვირდი წყარო გ-ს რუკას, გაიხსენე ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან მთიელებთან ურთიერთობის მსგავსი მაგალითები და იმსჯელე, რატომ ცდილობდნენ ქართველი მეფეები ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან მოკავშირეობას?*

წყარო ზ ბაგრატ IV-ს მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ავერსი: *ორმაგი წერტილოვანი ან ხაზოვანი რკალით გარშემოვლებული ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდედი ადგას. თავს ირგვლივ ბერძნული ზედწერილია: „წმინდა ღვთისმშობელი“.*
რევერსი: *მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, ქართული ასომთავრული ზედწერილია: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“. ცენტრში, ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული, სამსტრიქონიანი წარწერა: „სევასტოსი“.*
შენიშვნა: სევასტოსი *– ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული.*



1072 წლის ნოემბერში ბაგრატ IV გარდაიცვალა, იმავე წლის დეკემბერში კი ალფ-არსლანი შეთქმულებმა მოკლეს; ხოლო საქართველოსა და სელჩუკთა სასულთნოს შორის არსებული ვითარება მომდევნო წლებში კიდევ უფრო დამძიმდა.

1072 წელს საქართველოს ტახტზე **გიორგი II** ავიდა. იგი ჯერ კიდევ ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში აკურთხეს მეფედ რუისის ტაძარში. ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ კი გიორგი II-ს ხელმეორედ კურთხევა ვერ მოხერხდა, რადგან ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარება ხელს არ უწყობდა სამეფო კარს მსგავსი ტიპის ღონისძიებების ჩატარებისთვის. 1073 წელს გიორგი II-ს ქართველი ფეოდალები აუჯანყდნენ. **ნიანია ქუაბულისძემ, ივანე ლიპარიტის ძემ** და **ვარდან სვანთა ერისთავმა** დიდი ზიანი მიაყენეს სამეფო კარს. ნიანია ქუაბულისძემ ქუთაისი დაიკავა, ივანე ლიპარიტის ძემ პირი შეკრა კახელებთან და ქსნისპირი აიღო, ხოლო ვარდან სვანთა ერისთავი სვანების აჯანყებას ჩაუდგა სათავეში და საეგრო დაარბია. მეფე გიორგი II იძულებული გახდა, განმდგარი ერისთავები შემოერიგებინა, უხვად დაასაჩუქრა ისინი და ამ გზით დააშოშმინა. მიუხედავად ამისა, ივანე ლიპარიტის ძე ხელმეორედ აჯანყდა. ამჯერად მეფემ მესხი დიდებულები მოიშველია და მათთან ერთად შეიჭრა სამშვილდეში, სადაც ივანე ბაღვაში იყო გამაგრებული. მეფესა და მესხ მთავრებს კახეთის ქორეპისკოპოსი აღსართანიც მიეშველა. ივანე იძულებული გახდა, უკან დაეხია. მეფე და ივანე ლიპარიტის ძე ერთმანეთს ჯავახეთში შეხვდნენ და თავადებმა ისინი შეარიგეს. ბაღვაშთა საგვარეულოს კვლავ დარჩა სამშვილდე და კლდეკარის საერისთავო, თუმცა, ივანე მაინც დიდ საფრთხეს უქმნიდა მეფეს. იმავე წელს მან, მეფესთან შეთანხმების გარეშე, გაგის ციხე, რომელიც სამეფო ციხე იყო და ვერაგულად იგდო ხელთ, მიჰყიდა ფადლონს.

1073 წელს საქართველოს საზღვრებთან სელჩუკთა ახალი სულთანი, მალიქ-შაჰი (1072-1092) გამოჩნდა. სულთანმა ააოხრა და მოარბია ქვემო ქართლი და სამშვილდე, შემდეგ გაილაშქრა განძაზე, ფადლონი დაატყვევა და განძის გამგებლად ერთგული მოხელე, **სარანგი** დანიშნა. განძის ახალ გამგებელს, მეზობელ მუსლიმურ საამიროებთან ერთად, საქართველოზე გალაშქრება დაევალა.

გიორგი II-ს კახეთის ქორეპისკოპოსი აღსართანი, სამცხისა და აფხაზეთის მთავრები დაეხმარნენ. მუსლიმურ კოალიციასა და ქართველებს შორის ბრძოლა **ფარცხისთან** გაიმართა 1073-1074 წლების მიჯნაზე. ქართველებმა სარანგი დაამარცხეს და უკუაგდეს.

წყარო 01 გიორგი II-ის მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ავერსი: *წერტილოვან ან ორმაგ წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების გვერდებზე ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: „წმიდა ღვთისმშობელი“. ზოგიერთ ეგზემპლარზე მას ცვლის: „დედა ღვთისა ვლაქერნის“.*

რევერსი: *შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე“. ცენტრში, სამ სტრიქონად: **„და კესაროსი“**.*

შენიშვნა: კესაროსი *– ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული.*



მუსლიმთა განდევნის შემდგომ, გიორგი II საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით გააქტიურდა. სარანგის დამარცხების შემდეგ მას ეწვია ბიზანტიის იმპერიის სამსახურში მყოფი, წარმოშობით ქართველი **გრიგოლ ბაკურიანის ძე**, რომელიც 1064 წელს ანისს იცავდა. გრიგოლ ბაკურიანის ძე ქალაქ კარს, კარნუ-ქალაქსა და ოლთისს აკონტროლებდა. მან გიორგი II-ს კარის ციხესიმაგრე და მის ირგვლივ არსებული მიწები უბოძა. გიორგი II-მ ისარგებლა იმით, რომ მანასკერტის ბრძოლაში (1071 წ.) დამარცხებული ბიზანტიის იმპერია აღმოსავლეთის პროვინციებს ვერ იცავდა და იმ მიწების შემოერთება დაიწყო, რომლებიც ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ ჩამოართვა გიორგი II-ის პაპას, გიორგი I-ს. მან კლარჯეთის, არტაანის, შავშეთისა და ჯავახეთის ყველა ციხე დაიბრუნა და თავს დაესხა სელჩუკებს. მეფემ მუსლიმები *ვანანდის, კარნიფორისა* და ბასიანის ციხეებიდანაც განდევნა.

შენიშვნები: ვანანდი *და* ***კარნიფორი*** *– ბასიანის მეზობელი სომხური პროვინციები.*

- *იმსჯელე, რა მიზნით უნდა გადაეცა გრიგოლ ბაკურიანის ძეს კარის ციხე გიორგი II-სთვის?*

ცნობა 2 ბიზანტიის დედოფალი მართა-მარიამი

ბიზანტიის იმპერია მანასკერტის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ უკიდურესად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ტყვედ ჩავარდნილ რომანოზ IV-ს კონსტანტინოპოლში გადატრიალება მოუწყვეს. შეთქმულების ერთ-ერთი ლიდერი ბაგრატ IV-ის ქალიშვილი მართა იყო, რომელმაც 1065 წელს ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე X დუკას ვაჟზე, მიხეილზე იქორწინა. გადატრიალება წარმატებით დასრულდა და 1071 წელს მიხეილ VII იმპერატორი გახდა. სამხედრო გადატრიალებისა და დამარცხებული რომანოზის დასჯის შემდეგ მიხეილმა ქვეყნის წარმატებით მართვა ვერ შეძლო. თურქ-სელჩუკები მცირე აზიის ნახევარკუნძულს ადვილად ითვისებდნენ. სიტუაცია გამოუვალი გახდა, მალევე ტახტზე პრეტენზია გამოთქვა ბიზანტიელმა დიდგვაროვანმა, ნიკიფორე ბოტანიატემ. 1078 წელს მან ქალაქი ნიკეა დაიკა-

ვა და თავი იმპერატორად გამოაცხადა. მიხეილ VII ბერად აღკვეცეს, თუმცა დედოფალი მართა პეტრიწონის მონასტერში გაიქცა და ტახტის დაბრუნებისთვის დაიწყო ბრძოლა.

დედოფალი მართა-მარიამი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბიზანტიის იმპერიაში. ახალმა იმპერატორმა, ნიკიფორე III-მ გადაწყვიტა, რომ მასზე დაქორწინებულიყო და ამით თავისი მდგომარეობა განემტკიცებინა. მან ეს შეძლო კიდეც, თუმცა ჯერ პირობა მისცა დედოფალს, რომ ტახტის მემკვიდრედ დედოფალ მართასა და მიხეილ VII-ის ვაჟს, კონსტანტინეს გამოაცხადებდა. ნიკიფორემ მართას ძმას, საქართველოს მეფე გიორგი II-ს კეისრობა უბოძა. ამ პერიოდში მართა-მარიამმა დიდი ძალაუფლება იგდო ხელთ. სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც ნიკიფორემ ტახტის მემკვიდრე შეცვალა. დედოფალმა ეს არ აპატია იმპერატორს და გადაწყვიტა, ალექსი I კომნენოსს დახმარებოდა ტახტზე ასვლაში. თავიდან ალექსი კომნენოსიც ჰპირდებოდა დედოფალს, რომ მემკვიდრედ კონსტანტინეს გამოაცხადებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. დედოფალმა ბრძოლა დაიწყო თავისი ვაჟის ტახტზე ასაყვანად, თუმცა ალექსი კომნენოსის მმართველობის პერიოდში პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო. ქრისტიანების წარმატებულმა სამხედრო კამპანიამ ბიზანტიის იმპერიას სტაბილურობა მოუტანა. დედოფალმა მართა-მარიამმა 1096 წლიდან ეკლესიას მიუძღვნა თავისი სიცოცხლე. მიუხედავად ამისა, მას არასდროს გაუწყვეტია კონტაქტი საქართველოსთან და მის ძმისშვილს, დავით IV აღმაშენებელს გარკვეულ საკითხებში ეხმარებოდა. მეტიც, 1104 წელს იგი საქართველოში ჩამოვიდა და რუის-ურბნისის საეკლესიო კრებასაც დაესწრო.

დედოფალი მართა-მარიამი, რომლის სახეც როგორც ბიზანტიურ, ისე ქართულ მონეტებზე იყო გამოსახული და რომელიც XI ს-ის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ქალ პოლიტიკოსად მიიჩნევა, 1118 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თრაკიაში, თავისივე აშენებულ ერთ-ერთ ეკლესიაში.

● *როგორც ცნობა 2-დან შეიტყვე, რომ 1065 წელს ბაგრატ IV-ის ქალიშვილი მართა (იგივე მარიამი) ბიზანტიის იმპერატორის ვაჟზე დაქორწინდა. იმსჯელე დინასტიური ქორწინების, როგორც დიპლომატიური მექანიზმის, შესახებ.*

სომხეთის სამეფო, რომელიც ერთგვარი ზღუდე იყო და საქართველოს სელჩუკების შემოჭრისგან იცავდა, გიორგი II-ის მმართველობის პერიოდში აღარ არსებობდა. მიუხედავად ამისა, მეფემ საკმაოდ აქტიური საგარეო პოლიტიკა აწარმოა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, თუმცა ვითარება მალევე შეიცვალა.

გიორგი II-ის წარმატებების შედეგად მალიქ-შაჰმა მის დასამარცხებლად 1080 წელს სელჩუკთა არმია გამოგზავნა, რომელსაც **ამირა აჰმედი** მეთაურობდა. მან ჯერ გრიგოლ ბაკურიანის ძის სამფლობელოები, არზრუმი და ოლთისი დაიპყრო, შემდეგ კი მეფე გიორგის დაესხა თავს, რომელიც სამცხეში, ყველის ციხეში იმყოფებოდა. გიორგი II დამარცხდა და იძულებული გახდა, უკან დაეხია. მეფე ჯერ აჭარაში გადავიდა, აჭარიდან კი აფხაზეთს შეაფარა თავი. სელჩუკებმა მთელი საქართველო ააოხრეს. ამ ტიპის მასშტაბური ლაშქრობა მათ აქამდე არ მოუწყვიათ სამხრეთ კავკასიაში. ქართველებმა ამ მოვლენას **„დიდი თურქობა“** უწოდეს. ამიერიდან სელჩუკები საქართველოში საძარცვავად ყოველი წლის გაზაფხულზე მოდიოდნენ და დაზამთრებამდე რჩებოდნენ.

წყარო ი **XII ს-ის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „დიდი თურქობის“ შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

და ივანობის დღეს ასისფორი და კლარჯეთის ზღვისპირეთამდე [ტერიტორია], შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, *სამოქალაქო* და *ჭყონდიდი* აივსო თურქობით. ამოიხოცა და ტყვედ ჩავარდა ამ მხარეების ყველა მოსახლე. იმავე დღეს გადაწვეს ქუთაისი და *არტანუჯი* და *კლარჯეთის* მონასტრები. ამ ადგილებში თურქები თოვლის მოსვლამდე გაჩერდნენ, გადაჭამეს ქვეყანა და ამოხოცეს, ვინც კი შეხიზნული იყო ტყეში, კლდეზე, გამოქვაბულებსა და მღვიმეებში. და ეს იყო პირველი და დიდი თურქობა. და ქორონიკონი იყო სამასი [1080 წ.] ხოლო თუკი ვინმე ადამიანი მთიულეთში ან ციხესიმაგრეებში დარჩა, მკაცრი ზამთრის გამო, უძალობითა და შიმშილით ასევე ამოწყდა.

შენიშვნა: ასისფორი *– ტაოს ერთ-ერთი თემი მდ. ჭოროხის შუა წელზე.*

„დიდმა თურქობამ“ გაანადგურა საქართველოს მეურნეობა, მოსახლეობა შემცირდა, გიორგი II სახელმწიფოს ველარ მართავდა. ამ ვითარების აღმოსაფხვრელად მეფემ გადაწყვიტა, *ისპაჰანში*, სელჩუკთა სასულთნოს დედაქალაქში გამგზავრებულიყო და მალიქ-შაჰისთვის დაზავება ეთხოვა. მეფემ ხარკის სახით ხარაჯის გადახდა იკისრა. სულთანმაც ყველა ამირას შეატყობინა, რომ საქართველოს ტერიტორიის დარბევა შეეწყვიტათ. მართალია, საქართველოს სამეფო იძულებული იყო, ყოველწლიურად გადასახადი შეეტანა სულთნის ხაზინაში, მაგრამ სანაცვლოდ ქვეყანამ გამუდმებული ომებისგან დაისვენა. მიუხედავად ამისა, თურქ-სელჩუკები მაინც შემოდიოდნენ ხოლმე საქართველოში, რაც პრობლემებს უქმნიდა ქვეყანას.

წყარო კ **დავით აღმაშენებლის მემატიანე გიორგი II-ისა და მალიქ-შაჰის შეხვედრაზე:** *ადაპტირებული წყარო*

და ასე შესწირა თავისი სულიცა და სისხლიც ქრისტიანთა ხსნას. და ღვთის იმედითა და ცხოვრების ჯვრის წინამძღოლობით წავიდა ასპამში, ნახა სულთანი და [მან] მიიღო, როგორც საყვარელი შვილი. რადგანაც იყო ის კაცი მალიქ-შაჰი თავისი სამფლობელოს საზღვრებით უბადლო, ასევე, სიტკბოებითა და სიკეთით ყველა ადამიანზე აღმატებული, რომლის [მალიქ-შაჰის] მრავალი და სხვა აურაცხელი [საქმეა] ცნობილი, [მისი] სამართლიანობა, წყალობა, ქრისტიანთა სიყვარული და, რომ არ გავაგრძელო სიტყვა, ყოველმხრივ სრულიად უბოროტო განზრახვა ჰქონდა. ამიტომაც მეფე გიორგის ყოველი სათხოვარი აუსრულა, რისი იმედიც ჰქონდა, იმაზე მეტად. და მისი სამეფო გაათავისუფლა მოთარეშეებისგან და მისცა კახეთი და ჰერეთი, მაგრამ მოითხოვა ხარკი თავისი სამეფოსთვის, რომელსაც მიიღებდა დიდი ხნის განმავლობაში. და ასეთი განდიდებითა და მრავალი პატივით გამოისტუმრა თავის სამეფოში და გამოაყოლა თავისი ლაშქარი, რათა გზა მშვიდობით გაევლოთ და აერთმიათ [კახთა მეფისთვის] კახეთი. და შემოდგომაზე მოვიდნენ კახეთში და ვიდრე იბრძოდნენ, თოვლიც მოვიდა.

გიორგი II ვეჟინის ციხეს შემოადგა, კახეთის შემოერთებისთვის ბრძოლა ბოლომდე ვერ მიიყვანა. როგორც დავითის მემატიანე გადმოგვცემს, თვითონ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ხოლო კახეთის ტერიტორია თურქ-სელჩუკებს შეატოვა.

- *შენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო გიორგი II-ის მხრიდან ისპაჰანში ჩასვლა სულთანთან?*
- *როგორ ფიქრობ, რატომ ახასიათებს დადებითად ქართველი მემატიანე საქართველოს მტერს, მალიქ-შაჰს?*
- *რატომ დაიწყო 1080 წლიდან „დიდი თურქობა“? რა მიზანი ამოძრავებდათ თურქ-სელჩუკებს?*
- *იმსჯელეთ კლასში „დიდი თურქობის“ მიზეზებსა და შედეგებზე.*

დისკუსია

გამართეთ კლასში დისკუსია გიორგი II-ის ნაბიჯზე, რომელიც მან კახეთ-ჰერეთის მიმართ გადადგა. როგორ შეაფასებდით მეფის ქმედებას?

XI ს-ის 80-იანი წლები ძალიან მძიმე გამოდგა საქართველოსთვის. სოფლის მეურნეობა განადგურდა, რადგან მოსახლეობა სიცოცხლის გადასარჩენად მთებში იხიზნებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ფეოდალური არმია ჩამოიშალა და *დემორალიზდა*. გიორგი II ვეღარ აკონტროლებდა დიდებულებს, თუმცა, თავის მხრივ, არც მათ ჰქონდათ მეფის ხელისუფლების შესუსტებაზე ფიქრის თავი, იმავდროულად, დიდაზნაურობაც დასუსტებული იყო, ვინაიდან მომთაბარე თურქებმა მათი მიწები და მამულებიც გაავერანეს. ქვეყანაში გამოუვალი სიტუაცია შეიქმნა, რასაც 1088 წელს მომხდარი მიწისძვრითა და დიდთოვლობით მიყენებული ზიანიც დაერთო. სამეფოში მნიშვნელოვანი ცვლილებები გახდა საჭირო. ფეოდალებისა და სამეფო კარის ჩარევით გიორგი II ტახტიდან გადადგა. 1089 წელს საქართველოს მეფე **დავით IV აღმაშენებელი** გახდა.

დემორალიზება/დემორალიზაცია (ფრანგ.) – მორალური გახრწნა; ზნეობის, დისციპლინის, სულისკვეთების დაცემა. აქ იგულისხმება სამხედრო მორალის დაცემა, რაც იწვევს აუცილებელი მორალურ-საბრძოლო თვისებების, ასევე, სირთულეების გადალახვის უნარის დაქვეითებას, რა ვითარებაშიც ჯარი მზად არის, მოწინააღმდეგეს დანებდეს.

1. ერთმანეთს შეადარე ბაგრატ IV-სა და გიორგი II-ს საგარეო პოლიტიკა. იმსჯელე, რა მხრივ იყო ქვეყნისთვის სასარგებლო ან ზიანის მომტანი მათი საქმიანობა.
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის 1.5 სავარჯიშო – შეადგინე დიდი თურქობის რუკა.

8/9/10 როგორ დაასრულა დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანება?

ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ მოახერხა მეფე დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125) XI ს-ის ბოლოსა და XII ს-ის დასაწყისში „დიდი თურქობის“ დასრულება, ფეოდალთა თვითნებობების აღკვეთა და ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა.

1089 წელს საქართველოს სამეფო კარზე უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა – მეფე გიორგი II სახელმწიფოს მართვის სადავეებს ჩამოსცილდა და ტახტი მისმა ვაჟმა, 16 წლის დავითმა დაიკავა. დავით IV-ს რთული მემკვიდრეობა ერგო, რადგან, 1080 წლიდან მოყოლებული, „დიდი თურქობა“ მძიმედ აისახა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე – მარბიელმა ლაშქრობებმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს სოფლის მეურნეობას. ამას ერთვოდა ფეოდალთა მისწრაფება, ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. დავითის გამეფებისას სამეფო ხელისუფლება, ფაქტობრივად, უმეტესწილად, დასავლეთ საქართველოში, მხოლოდ ლიხის ქედამდე ვრცელდებოდა. ამდენად, დავითს არა მხოლოდ თურქ-სელჩუკთა მოგერიება უწევდა, არამედ ფეოდალთა თვითნებობის აღკვეთაც.



წყარო ა **გელათში, მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოსახული დავით IV-ის ფრესკა, XII ს., ტყიბულის მუნიციპ.**

მეფეს მარცხენა ხელში აღმოსავლეთისკენ, საკურთხევლისკენ მიმართული გუმბათიანი ეკლესიის მოდელი უჭირავს, მარჯვენაში – გრაგნილი. სურათის ზედა მარჯვენა კუთხიდან, ცის სვეტიდან, მეფისკენ მაცხოვრის მაკურთხებელი მარჯვენაა დაშვებული.

წყარო ბ **XII ს-ის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ „დიდი თურქობის“ შედეგებს აღწერს:** *ადაპტირებული წყარო*

სოფლებში ადამიანების ჭაჭანება აღარ იყო, თურქები გაზაფხულის ჟამს დედაბუდიანად მოდიოდნენ და ზამთრის დადგომამდე რჩებოდნენ. მათ ხელში აღარც თესვა იყო და აღარც მკა. ხალხმა საცხოვრებლები მიატოვა, მათ ადგილას მხეცები და ნადირები დამკვიდრდნენ... წმინდა ეკლესიები ცხენების სადგომებად გადააქციეს... მთელი ქართლი აოხრებული იყო მათგან.

- *რატომ მოდიოდნენ თურქები დედაბუდიანად და სეზონურად? რა ტიპის მეურნეობა ჰქონდათ მათ და, შესაბამისად, რა ტიპის საზოგადოებას განეკუთვნებოდნენ? რა საფრთხეს უქმნიდნენ ისინი ქართულ მეურნეობასა და მოსახლეობას?*

XI ს-ის ბოლოს დავით აღმაშენებელმა ენერგიულად დაიწყო მკაცრი პოლიტიკის გატარება დიდგვაროვანი ფეოდალების წინააღმდეგ. ერთ-ერთი პირველი იყო კლდეკარის მმართველი **ლიპარიტ V ბაღვაში** (ბაგრატ IV-სთან დაპირისპირებული ლიპარიტ IV-ის შვილიშვი-

ლი). ბაღვაშთა საგვარეულოსა და ცენტრალური ხელისუფლების დაპირისპირება რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა, ამჯერად კი ეს ბრძოლის დასკვნითი ეტაპი აღმოჩნდა. დავითის ისტორიკოსი მეფესთან ლიპარიტის დაპირისპირების ზუსტ მიზეზს არ ასახელებს და ლიპარიტზე მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მეფის მიმართ მტრობა გამოავლინა. დავითმა იგი შეიპყრო, ბერად აღკვეცა და კონსტანტინოპოლში გააძევა, ხოლო მისი ვაჟის, რატის გარდაცვალების შემდეგ ბაღვაშთა საგვარეულომ არსებობა შეწყვიტა. ამის შემდეგ დავითმა კლდეკარის საერისთავო საერთოდ გააუქმა. ბაღვაშების მსგავსად, დავითი დაუპირისპირდა კახეთის ფეოდალ **ძაგან აბულეთისძესა** და მის ძმას – **მოდისტოსს**, რომელიც წილკნის ეპისკოპოსი იყო. ძაგანს ხელთ ჰქონდა მცხეთის, წილკნისა და შიომღვიმის საეკლესიო მამულები. საერთოდ, შიომღვიმე სიმაგრედ ჰქონდა გადაქცეული და მეფისგან შევიწროებულმა ძაგანმა სწორედ შიომღვიმის მონასტერს შეაფარა თავი, თუმცა საეკლესიო მსახურებმა მეფის ერთგულება გამოიჩინეს და შეპყრობილი ძაგანი მეფეს მიუყვანეს. აბულეთისძეთა ფეოდალურ სახლს მან ჩამოართვა ყველა ის მიწა, რომლებიც გიორგი II-ის მეფობისას ჰქონდა მიღებული. ამდენად, დავითის პოლიტიკა, მამამისისგან განსხვავებით, მეტად მკაცრი იყო ურჩი ფეოდალებისადმი – იგი მომადლიერების მიზნით აღარ ასაჩუქრებდა მათ, რათა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ აღარ ებრძოლათ, არამედ სხვა დიდებულების დასანახად სამაგალითოდ სჯიდა. იგი ასე მეფის ხელისუფლების განსამტკიცებლად იქცეოდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა მემკვიდრეობითი სამთავროების გაუქმება და მათი „საკარგავებად“ დროებით გადაცემა ერთგული აზნაურებისთვის, სამსახურის სანაცვლოდ.

- *შენი აზრით, მეფის ხელისუფლების განსამტკიცებლად რატომ შეიძლებოდა, უკეთესი ყოფილიყო სამთავროების „საკარგავებად“ გარდაქმნა?*
- *შეადარე დავითის დიდგვაროვნებისადმი დამოკიდებულება გიორგი II-ისას და იმსჯელე, რამდენად იყო გამართლებული მოწინააღმდეგეთა მიმართ დავითის შეურიგებელი პოლიტიკა?*

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება

ვინაიდან შუა საუკუნეებში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხი იყო, დავით აღმაშენებლის წინაშეც იდგა ამოცანა, რომ ხელისუფლება ეკლესიის მხარდაჭერით განემტკიცებინა. დავითის გამეფებისას ეკლესიაში არცთუ სახარბიელო ვითარება იყო შექმნილი: საეკლესიო თანამდებობებზე ხშირად არაკეთილსინდისიერი დიდგვაროვნები იყვნენ დანიშნულნი; ამასთანავე, ეკლესია ზოგჯერ ურჩ ფეოდალებს მფარველობდა და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობდა.

> **წყარო 8 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დავითის გამეფებამდე ეკლესიაში არსებული მდგომარეობის შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*
>
> წმინდა ეკლესიები, ღვთის სახლები ავაზაკების თავშესაფრებად იყო გადაქცეული. საეპისკოპოსო კათედრები მღვდელმთავრებს არა ღირსებით, არამედ მემამულეობით ეპყრათ. ასეთივე უღირსი სამღვდელოება ჰყავდათ ეკლესიაში შეკრებილი.

- *რომელი წრის გავლენის ქვეშ ყოფილა ეკლესია მოქცეული? მოცემულ შემთხვევაში გამართლებული იქნებოდა თუ არა საერო ხელისუფლების ჩარევა ეკლესიის საქმეებში? პასუხი დაასაბუთე.*

ამ ვითარებაში დავით IV-მ ეკლესიის რეორგანიზაცია გადაწყვიტა. 1104 წელს რუისისა და ურბნისის საეპისკოპოსოების მახლობლად დიდი საეკლესიო კრება მოიწვიეს. კრებას, მეფესთან ერთად, ესწრებოდნენ: დავითის მამა გიორგი II (რომელიც მეფეთ-მეფედ იწოდებოდა) და **ბიზანტიის დედოფალი მართა** (გიორგი II-ის და). საეკლესიო კრებაზე მიიღეს დადგენილება, სახელწოდებით **„ძეგლისწერა“**.

წყარო დ ამონარიდები რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებიდან

„ძეგლისწერა წმინდა და ღვთის ნებით შეკრებილი კრებისა, რომელიც შეიკრიბა კეთილად მსახური და ღვთისგან დაცული ჩვენი დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფის ბრძანებით, იმ პირთათვის, რომელნიც ქვემოთ არიან მოხსენიებულნი“:

ადაპტირებული წყარო

კრება შედგა [არა იმიტომ, რომ] ... ქართველთა სარწმუნოებას შეეხო რაიმე *ბიწი*, არამედ [იმისთვის, რათა] სხვა საეკლესიო და სამღვდელო და საქრისტიანო [წესებს] გასცნობოდნენ.

იმ წმინდა კრების თავი და წინამძღოლი იყო იოვანე, *ყოვლად ღირსი* მთავარეპისკოპოსი, კათალიკოსი და სრულიად საქართველოს დიდი მამამთავარი.

1. თავდაპირველად განვკვეთეთ და მღვდლობის პატივს ჩამოვაშორეთ მღვდელმთავრობის ხარისხში მყოფი და ქრისტეს, პირველი მწყემსმთავრის, წინაშე უღირსი ეპისკოპოსები... მათ ნაცვლად სხვები დავადგინეთ, ვინც ასაკითაც და საქმითაც სარწმუნო იყო და სწორად გამოეწრთო ხორცი სულისათვის დასამორჩილებლად.
2. ამასთანავე, მოუთმენლობა მათი, ვინც ხელდასხმას ელის, როგორც უწესოება და უკანონობა, ავკრძალეთ და დავადგინეთ, რომ ამიერიდან არავინ იკადროს ამის ჩადენა, გარდა კანონით დადგენილი [წესისა]: რადგანაც ეპისკოპოსი ოცდათხუთმეტი წლის, მღვდელი ოცდაათი წლის, დიაკვანი ოცდახუთი წლისა და წიგნის მკითხველი რვა წლის [ასაკში] ეკურთხებიან.
3. ხოლო ქრთამისა და საფასურის შესახებ, რომელსაც ხელდასასხმელისგან იღებენ ხელდამსხმელნი, ზემოდასახელებულთა მოციქულთა და წმინდა მამათა დადგენილებისამებრ, ჩვენც განვაწესებთ, რომ ამგვარი [პირი], მაკურთხეველთან ერთად, განიკვეთოს ეკლესიისა და მღვდლობისგან და რომ მსგავსი [საქციელის] ჩადენა არავინ იკადროს.
4. შემდგომ სამღვდელო ჭურჭლისა და საღვთოდ შეწირული სიწმინდეების შესახებ ვადგენთ შემდეგი წმინდა კანონით: არავის მიუწვდეს ხელი მათ მოხმარებაზე არანაირი საბაბით, არც ტყვეთა დასახმარებლად.
5. ასევე, ამასაც ვადგენთ, ამიერიდან აღარ ეკურთხოს *ჩვილი ქალ-ვაჟის გვირგვინი*, და თუკი [ასეთი რამ] საჭირო იქნება, მათმა მშობლებმა დანიშნონ ისინი. და როდესაც [შესაბამის] ასაკს მიაღწევენ ორივენი, მაშინ იქორწინონ. და ქალი, თორმეტ წელზე უმცროსი, ქორწინებით ნუ შეუერთდება მეუღლეს. ხოლო ამ დადგენილების დამრღვევი მოვალეა ზემოხსენებული დადგენილების წინაშე.
6. ამათ შემდგომ ამისი სათანადოდ მოხსენიებაც გადავწყვიტეთ. რადგანაც მოძღვრად წოდებულ მონაზონთა რაოდენობა ძალზე დიდია და ერთ მონასტერში ხუთი და ათია; ბევრჯერ, თუ დიდი მონასტერია, ოციცა და ოცდაათიცაა. მათი სიმრავლე ბევრი შფოთისა და განხეთქილების მიზეზს ბადებს. ამიტომაც დავადგინეთ, რომ ამიერიდან დასრულდეს ამგვარი უწესობა... დიდ მონასტრებში ორ-ორი, ხოლო მცირეში თითო-თითო მოძღვარი საკმარისია.
7. აღარ იკადრონ აღსრულება იმ წესისა, რომლის მიხედვითაც, შეკრებილებს დასასხდომად მოუწოდებენ. ამიერიდან არც მონასტერში მოაწყონ ერის სავაჭროდ შეკრება, ნურც სხვა სამოქალაქო და ამქვეყნიურ წესს აღასრულებენ მონასტერში.
8. ასევე, ვადგენთ, რომ არც მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელ და წარმართ ქალთან და არც [მართლმადიდებელი] ქალი [მწვალებელ და წარმართ] მამაკაცთან არ შეუღლდნენ.
9. რაც ხდება ცალ-ცალკე და არა ერთგან – ქორწინებით ერთხორც ქმნილ მეუღლეთა გვირგვინის კურთხევა, რასაც სჩადიან უკანონობით: ქალისას სხვა უცხო მამაკაცთან, ხოლო მამაკაცისას – სხვა მამაკაცთან. სხვა რაღაა ამაზე მეტად უწესო და სასაცილო? განა ყოველმხრივ არ ჰგავს *მარკიონთა* მწვალებლების მიერ მკვდრის ნაცვლად ცოცხლის ნათლისცემას? რადგანაც ასე ერთგან კურთხეული მამაკაცი და დედაკაცი განა არ შეირახცებიან ნახევრად მრუშ ცოლქმრად? რადგანაც [კურთხევისას] სხვისი სახელია ნახსენები და სხვა წარდგება იქ [საკურთხეველთან]. ხოლო ორ ერთად კურთხეულ მამაკაცთათვის ვინ მოიგონოს სახელწოდება?

შენიშვნები: ბიწი *– ზნეობრივი ნაკლი.*

ყოვლად ღირსი *– ღვთისმსახურთა წოდება. უწოდებენ საგანგებო პატივით, გამორჩეული საქმით ცნობილ სასულიერო პირებს, წმინდანებს.*

ჩვილი ქალ-ვაჟის გვირგვინი *– იგულისხმება ჩვილ ასაკში ქორწინების აკრძალვა.*

მარკიონი *– II ს-ის გნოსტიკოსი (ადრეული ქრისტიანობის რელიგიური-ფილოსოფიური მოძღვრების, გნოსტიციზმის მიმდევარი), ორჯერ განკვეთილი ეკლესიიდან, მართლმადიდებელი ეკლესია მწვალებლად მიიჩნევდა.*

- *რამდენად დროული იყო დავით IV-ის მიერ მიერ საეკლესიო რეფორმის განხორციელება?*
- *შენი აზრით, რა გავლენა ექნებოდა საეკლესიო პირთა ცხოვრების წესს საზოგადოებაზე?*
- *შენი აზრით, რას უნდა მიანიშნებდეს ის ფაქტი, რომ კრებას ესწრებოდნენ გიორგი II და მართა მარიამი?*
- *ისტორიკოსთა მოსაზრებით, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევას რამდენიმე მიზანი ჰქონდა: ა) საეკლესიო წესების მოგვარება და უღირსი სასულიერო პირების ეკლესიიდან განკვეთა; ბ) ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება; გ) ეკლესიის სახელმწიფოსთვის დამორჩილება. იმსჯელეთ კლასში, რომელი მიზანი იყო ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?*
- *რამდენად ეთანხმები მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რუის-ურბნისის კრების შედეგად გაფორმდა კავშირი სახელმწიფოსა და უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას შორის?*
- *როგორ შეაფასებდი დავით IV-ის მიერ ჩატარებული საეკლესიო რეფორმის მნიშვნელობას ქვეყნისთვის?*

მმართველობის ახალი სისტემის ჩამოყალიბება

დავით IV-მ სახელმწიფო მმართველობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაც დაიწყო. ამას უშუალოდ უკავშირდება **ვაზირის ინსტიტუტის** შექმნა. „ვაზირი“ არაბულ-სპარსული სიტყვაა და ირანულ სამოხელეო სამყაროში უძველესი დროიდან არსებობდა. ვაზირები, დღევანდელ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, იყვნენ მინისტრები, რომლებიც გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში სახელმწიფო მმართველობის უწყებებს (სამხედრო, საპოლიციო, საფინანსო-სამეურნეო და სხვ.) ხელმძღვანელობდნენ. ეკლესიის რეორგანიზაციასა და ეკლესიაში დავითის მომხრეთა განმტკიცებას ემსახურებოდა ორი *სახელოს* გაერთიანებით შექმნილი **ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის** თანამდებობის შემოღება, რომელიც დავითის აღმზრდელმა და მრჩეველმა, **გიორგი მონაზონმა** დაიკავა.

სახელო – აქ: მოხელის თანამდებობა, წოდება.

სქემა 1 **საქართველოს სახელმწიფო მოწყობა დავით აღმაშენებლის მეფობის დროს**



ცნობა 1 რა ევალებოდა და რა შესაძლებლობები ჰქონდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს?

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი იყო პირველი ვაზირი, მეფის უპირველესი მრჩეველი, თანაშემწე და მოადგილე. იგი მეფის „მამად“ მოიხსენიებოდა და სახელმწიფოს ყველა უწყებასა და დაწესებულებაზე მიუწვდებოდა ხელი.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ერთსა და იმავე დროს მეფის მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც. მისი საშუალებით მეფეს ადვილად შეეძლო, ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი სახელმწიფო ქონების ყოველწლიური აღწერა და კონტროლიც ევალებოდა. ყველა სხვა ვაზირი მას ექვემდებარებოდა.

გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ფაქტობრივად, მეფის შემდეგ პირველი პირი გახდა.

დავით აღმაშენებლის მეფობამდე სასამართლო საქმეს მეფე უძღვებოდა, ხოლო დავითის დროს – **„საავჯო კარი“** (დღევანდელი ტერმინოლოგიით – უმაღლესი სააპელაციო სასამართლო) შეიქმნა, რომელსაც სათავეში გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ჩაუდგა. მომჩივანთა საქმეებს იგი ორშაბათობით ისმენდა და განიხილავდა.

წყარო 9 ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) „საავჯო კარის“ შექმნას ასე აფასებს:

ამ ახალი დაწესებულების შექმნას დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა: იმის გარდა, რომ ამ გზით სასამართლოს წესიერ წარმოებას აღარავითარი გარეშე პირობები აღარ შეაფერხებდნენ, თვით მარტო ის გარემოება, რომ სასამართლო უზენაეს საფეხურშიაც მართვა-გამგეობისგან განცალკევებული იყო და განსაკუთრებულ დაწესებულებად იქცა, ქართული სამართლის დიდ წარმატებად და ღირებულებად უნდა ჩაითვალოს.

- *ეთანხმები თუ არა, მეცნიერის აზრს? შენი აზრით, რატომ შეიძლება, პროგრესულად და, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, დიდ წარმატებად მივიჩნიოთ სასამართლოს ცალკე დაწესებულებად ჩამოყალიბება?*

ცნობა 2 რას წარმოადგენდა სასახლე, როგორც სამეფო რეზიდენცია?

სასახლის აღსანიშნავად ქართულ წყაროებში ერთდროულად გამოიყენებოდა: „ტაძარი“, „პალატი“, „დარბაზი“. ამავე დროს, სასახლე (სამეფო კარი) მხოლოდ მეფის რეზიდენცია კი არ იყო, არამედ დაწესებულება, საიდანაც სამეფო იქ განთავსებული ცენტრალური მმართველობის აპარატის მეშვეობით იმართებოდა. სასახლე-დაწესებულება აერთიანებდა შემდეგ ცენტრალურ უწყებებს: საწოლი-სალარო, საჭურჭლე, საჯინიბო-ზარადხანა, საგანმგეო, საავჯო კარი და სხვ.

უმთავრესი უწყება საწოლი-სალარო იყო, სადაც იმართებოდა არა მხოლოდ სამეფო თათბირი – ვაზირობა, არამედ სხვადასხვა სახის მიღება და საზეიმო წვეულება. სახელმწიფოს მართვის ყველა დაწესებულება, საბოლოოდ, ამ უწყებაში იყრიდა თავს.

საწოლი, იმავდროულად, მეფისა და მისი ოჯახის საცხოვრებლის ფუნქციასაც ასრულებდა. საწოლში იყო დაცული ფული, ძვირფასეულობა, დოკუმენტები, საგადასახადო სიები. იქვე იყო სალარო, სადაც სახელმწიფო ბეჭედი ინახებოდა. ამრიგად, საწოლი იყო მეფის კაბინეტი, კანცელარია და საწოლი ოთახი, რითიც ის ევროპელ მეფეთა „კამერას“ (მეფის აპარტამენტები, სასადილო ოთახი, ხაზინა და საწოლი ოთახი) შეესაბამებოდა. საწოლის მოხელეები საჭირო მოწყობილობითა და სახელმწიფო ბეჭდით მუდმივად თან ახლდნენ მეფეს.

დავითის მიერ გატარებული ერთ-ერთი ღონისძიება იყო **„მსტოვართა“** სამსახურის (სამეთვალყურეო აპარატის) შექმნა. მსტოვრები თვალ-ყურს ადევნებდნენ თურქ-სელჩუკთა მოძრაობას და დროულად აცნობებდნენ ლაშქრის სარდლობას; ასევე, ისინი ჯაშუშების მოვალეობასაც ასრულებდნენ და მეფის წინააღმდეგ შეთქმულებს ააშკარავებდნენ. მსტოვართა არსებობა მეფის ხელისუფლების გაძლიერებასა და ქვეყნის მშვიდობას უზრუნველყოფდა. ქვეყანაში კონტროლის გაძლიერებისთვის დავითმა სასაზღვრო ციხესიმაგრეებში **„მენაპირე“ (მესაზღვრე) ერისთავები** ჩააყენა.

1092 წელს თურქ-სელჩუკთა სულთანი მალიქ შაჰ I გარდაიცვალა, რის შემდეგაც თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. ბრძოლა დაიწყო ტახტის მაძიებელთა შორის, რამაც თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლას დაუდო სათავე. ამას დაემატა ისიც, რომ მუსლიმთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობები დაიწყო. ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლა დავითმა და 1099 წელს მძიმე ხარკის გადახდა შეუწყვიტა თურქ-სელჩუკებს. ეს, ფაქტობრივად, ომის გამოცხადებას უდრიდა.

● *როგორ ფიქრობ, რატომ შეუწყო ხელი ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღებამ დავით აღმაშენებელს, რომ ხარკის გადახდა შეეწყვიტა თურქ-სელჩუკებისთვის?*

წყარო 3 **პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა, 1096-1099**



- *რატომ დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობები და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას საქართველოსთვის?*
- *რა შედეგით დასრულდა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა?*
- *როგორ ფიქრობ, რატომ შეუწყო ხელი ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღებამ დავით აღმაშენებელს, რომ ხარკის გადახდა შეეწყვიტა თურქ-სელჩუკებისთვის?*
- *დააკვირდი რუკას და გამოთქვი ვარაუდი: რატომ იყო მნიშვნელოვანი ჯვაროსნებისთვის საქართველოს მოკავშირეობა?*

სამხედრო რეფორმა

დავითის მიერ გატარებული რეფორმები სამხედრო სფეროსაც შეეხო. საქართველოს სამეფო კარი დამოკიდებული იყო მსხვილ ფეოდალებზე, მათთან ურთიერთობაზე. სამხედრო ლაშქარი ვერ იყო ორგანიზებული და დისციპლინირებული. როგორც დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს, ლაშქარში ყოველგვარი უწესობა ხდებოდა, რის გამოც დავით აღმაშენებელმა მკაცრი სამხედრო დისციპლინა შემოიღო. ყურადღება მიექცა ლაშქრის წვრთნის საკითხს. მეფე პირადი მაგალითით უნერგავდა მოლაშქრეებს გამბედაობასა და გულადობას. დავითმა საბრძოლო ტაქტიკაც შეცვალა. თურქთა თვალის ასახვევად დავითი ხშირად დასავლეთ საქართველოში გადადიოდა და, როგორც კი თურქ-სელჩუკები ქართლს შემოესეოდნენ, მოულოდნელად თავს ესხმოდა მათ. დავითის ლაშქრის მნიშვნელოვანი უპირატესობა სწრაფი მანევრირების უნარი იყო. მეფემ შემოიკრიბა ერთგული მოლაშქრეები და ჩამოაყალიბა პირადი გვარდია – **„მონა-სპა“**. ამის მთავარი მიზანი ფეოდალებისგან დამოუკიდებელი ძლიერი სამხედრო ნაწილის შექმნა იყო, რომელიც, როგორც მეფის საკუთრება, დაიცავდა მას და ოპერატიულად განახორციელებდა გადაუდებელ სამხედრო ღონისძიებებს. მონა-სპის მოლაშქრეები მეფესთან ერთად ლაშქრის წინა ხაზზე იბრძოდნენ. ლაშქრის მეორე ნაწილს **მეციხოვნეები** შეადგენდნენ, რომელთაც ციხესიმაგრეების გამაგრება ევალათ, ხოლო მესამე ნაწილს – საჯარისო შენაერთები, რომლებიც სხვადასხვა სამხედრო დავალებას ასრულებდნენ.

დავით IV-ს კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ორგანიზებული და დისციპლინებული ლაშქრით საქართველოს ერთიანობის აღდგენა და ჩამოსახლებული თურქ-სელჩუკების საქართველოდან განდევნა შეეძლო.

ქვეყნის ერთიანობის აღდგენა

მეფე დავითის უმთავრეს მიზნად ქვეყნის ერთიანობის აღდგენა რჩებოდა, მაგრამ კახეთჰერეთის ცალკე სამეფოდ არსებობა ქვეყნის ერთიანობის იდეას ეწინააღმდეგებოდა. 1104 წლიდან, კვირიკე IV-ის გარდაცვალების შემდეგ, კახეთის მეფე მისი ძმისწული, გამუსლიმებული **აღსართან II** (1102-1104) გახდა, რომელიც დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობდა. ამის გამო კახელმა აზნაურებმა იგი შეიპყრეს და დავითს გადასცეს, თუმცა კახეთ-ჰერეთის დაუფლება ასე მარტივად არ მომხდარა. მეფის მოწინააღმდეგე ფეოდალები კახეთს გაეცალნენ და დახმარება სთხოვეს განძის ათაბაგს, რომელიც თურქ-სელჩუკთა სულთნის მოხელე იყო. დავითის მიერ გატარებული ღონისძიებები აქამდეც აღიზიანებდა სულთანს, თუმცა მათთვის სტრატეგიული ადგილის (კახეთის) დაკარგვა უკვე საგანგაშო გახდა და ამიტომაც, განძის ათაბაგის მეთაურობით, საქართველოში დიდი ლაშქარი გამოაგზავნეს.

1104 წელს საქართველოს მცირერიცხოვანი ჯარი, დავითის მეთაურობით, **ერწუხთან** დაუპირისპირდა თურქ-სელჩუკების მრავალრიცხოვან ლაშქარს. დავითის ისტორიკოსი თვალსაჩინოდ აღწერს მეფის მონაწილეობას ერწუხის ბრძოლაში. დავით IV წინ მიუძღვოდა მეომრებს, ამხნევებდა და ბრძოლისკენ მოუწოდებდა. საბოლოოდ, ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დასრულდა და თურქ-სელჩუკებმაც კახეთის დაუფლებაზე საერთოდ აიღეს ხელი.

წყარო ზ საქართველო მეფე დავით აღმაშენებლის დროს, 1089-1125



- *დააკვირდი Ე წყაროსა და გაკვ. 1/2-ის Ა წყაროს. რომელმა ისტორიულმა პროცესებმა და როგორ შეცვალა საქართველოს სამხრეთი საზღვრები? იმსჯელეთ კლასში – როგორ აისახა ეს ცვლილებები საქართველოზე?*
- *დააკვირდი რუკას და იმსჯელე, როგორ გააფართოვა სამფლობელოები და გავლენა დავით აღმაშენებელმა?*
- *რატომ იყო შეშფოთებული განძის ამირა კახეთის დაკარგვით?*
- *სამხრეთის საზღვრებისგან განსხვავებით, რატომ იყო ჩრდილოეთის საზღვრები უფრო დაცული?*
- *გამოთქვი მოსაზრება – გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით, რატომ იყო საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიისთვის მნიშვნელოვანი მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება?*
- *რუკის დახმარებით განსაზღვრე დავითის მიერ განხორციელებული სამხედრო მოქმედებების ადგილები და იმსჯელე, რატომ აარიდა თავი მეფემ პირდაპირ თბილისის საამიროზე გალაშქრებას?*
- *რა პოლიტიკური და გეოგრაფიული მიზეზებით იყო განპირობებული შირვანშაჰების წინააღმდეგ დავითის აქტიური მოქმედება? რომელი თანამედროვე სახელმწიფოს ტერიტორიაა შირვანი?*

სამხედრო მოქმედებები – მზადება დიდგორის ბრძოლისთვის

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელმა აქტიური შეტევები დაიწყო ქვემო ქართლზე, სადაც თურქ-სელჩუკთა ურდოები მომთაბარეობდნენ და მიმდებარე ტერიტორიებს აოხრებდნენ. ქ. თბილისი თურქ-სელჩუკთა მთავარი გამაგრებული პუნქტი იყო, ამიტომ დავითმა ჯერ სამხრეთით არსებულ პუნქტებს შეუტია. 1110 წელს გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან ერთად, რომელსაც თავისი დისშვილი თევდორე და კახეთის ფეოდალები – აბულეთი და ივანე ორბელი – ეხმარებოდნენ, ციხე-ქალაქი **სამშვილდე** აიღო. სამშვილდის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან თბილისისკენ სამხრეთით მისასვლელი გზა იხსნებოდა. სამხრეთით არსებული სავაჭრო გზა სწორედ სამშვილდზე გადიოდა. 1115 წელს ქართველებმა თურქ-სელჩუკებს **რუსთავიც** წაართვეს. შემდეგ წელს კი ტაოში დაზამთრებულ თურქ-სელჩუკთა ურდოებს მიადგნენ და საქართველოს საზღვრებიდან გააძევეს. თურქ-სელჩუკები ვეღარ ბედავდნენ საზამთრო ადგილებში დარჩენას, თანაც დავითი, მსტოვრების დახმარებით, სწრაფად იგებდა თურქ-სელჩუკთა გადმოსვლის ამბავს და სწრაფადვე ავლებდა მუსრს. ამის შემდეგ, 1117 წელს აიღო ჰერეთის ციხე-ქალაქი **გიში**, ხოლო 1118 წელს, ციხე-ქალაქი **ლორე** დაიკავა. ლორეს ციხის აღება მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ სამხრეთიდან მომავალი მტრისთვის გზა გადაიკეტებოდა. ეს ციხე, თავისი სამხედრო მნიშვნელობის გამო, უშუალოდ ამირსპასალარის გამგებლობის ქვეშ იყო ხოლმე.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ საქართველოს უშუალოდ დაუმეზობლდა **შირვანი**. დავითი დიდ ყურადღებას უთმობდა საგარეო დიპლომატიას. მან დინასტიური კავშირები დაამყარა ბიზანტიის იმპერიასა და შირვანთან: საკუთარი ქალიშვილი კატაი ბიზანტიის იმპერატორის შვილზე დააქორწინა, ხოლო მეორე ქალიშვილი თამარი შირვანში გაგზავნა, რადგან თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში შირვანშაჰების პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დინასტიურმა ქორწინებამ, სამწუხაროდ, სასურველი შედეგი ვერ მოიტანა და დავითმა შირვანშაჰების წინააღმდეგ აქტიური მოქმედება დაიწყო. ჰერეთში პოზიციების საბოლოოდ განმტკიცების შემდეგ აღმაშენებელმა შირვანს შეუტია, სადაც ჯერ თავისი ძე დემეტრე გაგზავნა, ხოლო 1120 წელს შირვანის ქალაქი ყაბალა აიღო; ქართლში დაბრუნდა, ახალი ძალები შეკრიბა და მაისში შირვანის შიდა ტერიტორიების დასარბევად გაილაშქრა. შირვანის ტახტზე საქართველოს მეფის სასურველი კანდიდატი ავიდა, რომელიც იმ დროიდან საქართველოს მეფის ერთგული იყო.

თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ დავით მეფის აქტიური სამხედრო პოლიტიკის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა ლაშქრის რაოდენობის გაზრდაც, ოღონდ ისე, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება არ შეფერხებულიყო. ამისათვის საქართველოს სამეფო კარმა არაქართული წარმოშობის მოლაშქრეთა ჩამოსახლება გადაწყვიტა და არჩევანი ***ყივჩაღებზე*** შეაჩერა. დავით მეფეს სწორედ ყივჩაღთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი ჰყავდა ცოლად და დინასტიურმა ქორწინებამ კიდევ უფრო გაამარტივა ურთიერთობა ყივჩაღებთან, რომლებიც კავკასიონის ჩრდილოეთით, მდ. დონიდან მოყოლებული, კასპიის ზღვამდე ცხოვრობდნენ, ცხოვრების დონით განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ, თუმცა გამოცდილი და კარგი მეომრები იყვნენ. როგორც ცნობილია, ყივჩაღები კიევის დიდმა მთავარმა, **ვლადიმირ მონომახმა** რუსეთიდან განდევნა. არსებობს ცნობა, რომ ყივჩაღთა ჩამოსახლების პროცესს დავითი თავად ჩაუდგა სათავეში და მათი უსაფრთხოდ გადმოყვანის მიზნით ოსეთში ჩავიდა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან ერთად.

შენიშვნა: ყივჩაღები *– ევრაზიის სტეპებში მცხოვრები თურქული მოდგმის ხალხი. მათ ვერ მოახერხეს ერთიანი სახელმწიფოს შექმნა და მუდმივად ჰქონდათ დაპირისპირება რუსულ სამთავროებთან.*

წყარო 01 დავითის ისტორიკოსი ყივჩაღთა ჩამოსახლების შესახებ: *ადაპტირებული წყარო*

ხოლო მათ [ყივჩაღებმა] სიხარულით მიიღეს [დავითის წინადადება], ითხოვეს მხოლოდ ოსებისაგან მშვიდობიანი გამოტარების პირობა. ამიტომაც ბრძანა მეფემ ოსეთში წასვლა და ბრძანებისთანავე გაემართა კიდეც, თან იახლა გიორგი ჭყონდიდელი – თავისი მწიგნობართუხუცესი, კაცი სრულყოფილი სულიერი და ხორციელი სიკეთით, სიბრძნითა და გონიერებით აღსავსე, დინჯი, წარმატებული და ფრთხილი, თავის პატრონთან თანაშეზრდილი და მისი ყოველი გადაწყვეტილების, საქმისა და დამსახურების ხელშემწყობი. [დავითი და მისი ამალა] შევიდნენ ოსეთში, ოსეთის მეფეები და მთავრები შეეგებნენ და, როგორც მონები, წარდგნენ მის [დავითის] წინაშე. ორივე [მხარემ], ოსებმაც და ყივჩაღებმაც, აიყვანეს მძევლები და ასე ადვილად მოარიგა [დავითმა] ორივე ნათესავი; როგორც ძმებს შორის, დაამყარა მათ შორის სიყვარული და მშვიდობა. და დაიკავა [დავითმა] დარიალისა და ოსეთის ყველა შესასვლელი, ასევე კავკასიის მთის ყველა ციხესიმაგრე და შეუქმნა ყივჩაღებს მშვიდობიანი გზა და გადმოიყვანა [ისინი] ძალიან დიდი რაოდენობით.

● *შენი აზრით, რატომ დასჭირდა დავითს გადასვლის მომენტში ოსებისა და ყივჩაღებისგან მძევლების აყვანა?*

ჩამოსახლებული ყივჩაღების ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა დავითის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მეფეს ყივჩაღთა 40-ათასიანი ლაშქარი ჰყავდა. ამასთან, მეომრები საკუთარი ოჯახებით ჩამოსახლდნენ, ამიტომ, ბუნებრივია, ყივჩაღთა რაოდენობა 40 ათასზე მეტი იქნებოდა. საფიქრებელია, რომ დავითმა ყივჩაღები იმ ტერიტორიებზე დაასახლა, რომლებიც თურქ-სელჩუკთა შემოსევის შედეგად დაცარიელდა და საიდანაც მტრის შემოსვლის მეტი საფრთხე არსებობდა. ჩამოსახლებულებმა სწრაფად მიიღეს ქრისტიანობა და ადგილობრივ მოსახლეობასთან *ასიმილირდნენ*. აქედან ჩნდება შემდეგშიც ტერმინი „ნაყივჩაღარი“, რომელიც წინაპრით ყივჩაღს აღნიშნავდა.

მართალია, ყივჩაღების როლი დიდი იყო მუდმივ ლაშქარში, თუმცა დავითისთვის ისინი ძირითადი დასაყრდენი ძალა არ ყოფილან. მთავარ ბირთვად მაინც ფეოდალური ლაშქარი რჩებოდა.

სამხედრო წარმატებების მიუხედავად, მნიშვნელოვანი პუნქტები – თბილისი და დმანისი – კვლავ საქართველოს გარეთ რჩებოდა.

ასიმილაცია – ერთი ხალხის მეორესთან შერწყმა, შერევა.

დისკუსია

სამეფო კარზე მიიღეს გადაწყვეტილება ყივჩაღთა ჩამოსახლების შესახებ. კლასში დაიყავით ორ ჯგუფად. ერთმა ჯგუფმა წარმოადგინოს არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ ყივჩაღებზე არჩევანის შეჩერება და მათი ჩამოსახლება საქართველოსთვის სასარგებლო და უსაფრთხო გადაწყვეტილება იყო, ხოლო მეორე ჯგუფმა ჩამოაყალიბოს არგუმენტირებულად, რა საფრთხეებთან შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული ყივჩაღთა ჩამოსახლება საქართველოში.

დავით IV-ის მონეტები და ტიტულატურა

ცნობილია, რომ ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერიისგან საკარისკაცო ტიტულებს იღებდნენ და ამით ბიზანტიის იმპერიის ლიდერობას აღიარებდნენ. დავით IV-ს მიღებული ჰქონდა **სევასტოსობა**, რომელიც ერთ-ერთი უმაღლესი ბიზანტიური ტიტული იყო, თუმცა მეფე ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულით უკვე 1104 წელს აღარ იხსენიება და თვითმპყრობელ მონარქად გვევლინება.

წყარო 0 **1. დავით IV-ის ვერცხლის მონეტა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი**

შუბლი: *წერტილოვან რკალში ჩასმული ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული წარწერა: „დედა ღვთისა“.*

ზურგი: *მონეტები დაზიანებულია, ქართული ასომთავრული წარწერიდან იკითხება მხოლოდ ნაწილი: „ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სევასტოსი“.*



1

2. დავით IV-ის ვერცხლის მონეტა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

შუბლი: *წერტილოვან რკალში ჩასმული ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული წარწერა: „დედა ღვთისა“.*

ზურგი: *წრიული ქართული ასომთავრული ზედწერილი სრული სახით არ არის შემორჩენილი: „ქრისტე, ადიდე დავით, მეფე და სევასტოსი“. მონეტის ცენტრში გამოსახულია ჯვარი.*



2

3. დავით IV-ის სპილენძის უნიკალური მონეტა, ბრიტანეთის მუზეუმი

შუბლი: *ბიზანტიურ საიმპერატორო ტანსაცმელში გამოწყობილი წვეროსანი დავით აღმაშენებლის გამოსახულება. მარჯვენა ხელში მას გრძელი სკიპტრა უჭირავს, მარცხენაში – სფერო, რომელიც ჯვრითაა დაგვირგვინებული. თავსამკაულის ზემო ნაწილიც ჯვრითაა დამშვენებული. მეფეს ყელზე მძივები უკეთია. გამოსახულების მარცხნივ წერია: „დავით“, მარჯვნივ – „მეფე“.*

ზურგი: *მონეტის ცენტრში ჯვრის გამოსახულებაა. გარშემო ქართული ასომთავრული წარწერა: „ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“.*



3

● *რა თანმიმდევრობით შეიძლება, მოჭრილიყო მოცემული მონეტები? პასუხი დაასაბუთე.*



წყარო კ **დავით IV-ის გამოსახულება სინას მთის ერთ-ერთი ტაძრის წმ. გიორგის ხატზე, XII ს., ეგვიპტე**

● *რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დავითი მონეტასა და სინას მთის გამოსახულებაზე ბიზანტიური სამოსითაა წარმოდგენილი?*

როგორი იყო სწავლა-განათლება XI-XII სს-ში?

სწავლა-აღზრდის საქმე ქრისტიანულ ქვეყნებში ადრეული შუა საუკუნეებიდანვე ეკლესიის ხელში გადავიდა, ისლამის მიმდევარ ქვეყნებში – ისლამური სასულიერო ფენის ხელში. ქრისტიანულ ქვეყნებში სკოლებს, უპირველეს ყოვლისა, მომავალი სამღვდელოება უნდა მოემზადებინა. თუ ანტიკურ საბერძნეთში სწავლა ემყარებოდა პრინციპს: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“, სწავლის მიზანიც ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი ადამიანის აღზრდა იყო. ქრისტიანულ შუა საუკუნეებში კი ადამიანობის იდეალი დაექვემდებარა პრინციპს: „ამაღლებული სული ტანჯულ სხეულშია“. ამ შეხედულებას შეეფარდა სწავლების მიზანიც – მართალია, ადამიანი არასრულყოფილად იბადება, მაგრამ მასში ჩადებულია სულიერი სრულყოფის ღვთაებრივი უნარი. სწავლა ამ უნარის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს. ამიტომ მიაჩნდათ აუცილებლად წმინდა წერილის, როგორც ღვთაებრივი აზრის გადმომცემი წიგნის, მუდმივი კითხვა. მორწმუნე ადამიანს მასში უნდა ეპოვა პასუხი ყველა კითხვაზე. ქრისტიანის ცხოვრება აღქმული იყო, როგორც მარადიული მოწაფეობა, სულიერი სრულყოფის გზაზე მუდმივი სვლა. ამიტომ ფიზიკური წრთვნა, რომელიც ანტიკური სწავლების აუცილებელი ელემენტი იყო, საეკლესიო სწავლებიდან ამოვარდა. სამაგიეროდ, ფიზიკური აღზრდა შეინარჩუნა ფეოდალურმა წოდებამ, რომელიც ქვეყნის თავდაცვას ემსახურებოდა. ამასთანავე, ანტიკურობიდან შუა საუკუნეებს შემორჩა ცხოვრებისთვის აუცილებელი პრაქტიკული და მეცნიერული საგნები (მაგ., რიტორიკა, გრამატიკა, არითმეტიკა).

წყარო ლ **XI ს., „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ გიორგი მთაწმინდელისა და მისი დის სწავლა-აღზრდის შესახებ:**

გიორგის მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მათი პირველი ასული ღვთისათვის შეეწირათ. როდესაც გოგონა შვიდი წლის გახდა, იგი სამცხის დედათა მონასტერში წაიყვანეს, რომელსაც ტაძრისი ერქვა. წლების შემდეგ იშვა გიორგი. როგორც კი იგი შვიდი წლის გახდა, ისიც ტაძრისის მონასტერში მიიყვანეს, სადაც მის განსწავლას იქვე შემონაზვნებული მისი უფროსი და ხელმძღვანელობდა. აქ იგი სამ წელიწადს დარჩა. ათი წლის ასაკში სწავლის გასაგრძელებლად გადაიყვანეს ხახულის მონასტერში (ტაოში). აქ გიორგიმ სწავლისადმი ისეთი გულისხმიერება გამოიჩინა, რომ მასწავლებლად შეურჩიეს ყველაზე ღირსი მოძღვარი, იოანე თვალელი. მისი ხელმძღვანელობით გიორგი ისეთი მონდომებით შეუდგა ძველი და ახალი აღთქმისა და საგალობლების შესწავლას, რომ თავის ყველა თანატოლს გაუსწრო.

● *ამ ქვეთავის ძირითად ტექსტსა და წყაროზე დაყრდნობით იმსჯელე, რატომ გადაინაცვლა განათლების კერებმა ეკლესია-მონასტრებში?*

● *რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სამცხის მონასტერში გოგონათა და ვაჟთა ერთად სწავლება იყო შესაძლებელი?*

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, წამყვანი დარგები მემინდვრეობა და მევენახეობა გახდა. განვითარდა საქალაქო ცხოვრებაც. დავითი დიდ ყურადღებას უთმობდა ქალაქების მშენებლობასა და ვაჭარ-ხელოსნებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. ქალაქების აღმავლობა ვაჭარ-ხელოსნობის განვითარებამ და სავაჭრო გზებთან სიახლოვემ განაპირობა. სომეხი მემატიანე ვარდანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დავითი ძლიერ ზრუნავდა ცოდნისმოყვარე ივერიის ხალხზე“. სწავლის მისაღებად მან 40 ახალგაზრდა გაგზავნა საბერძნეთში (ბიზანტიაში). სწორედ დავით აღმაშენებლის დროს არსებობდა საქართველოში უმაღლესი სკოლები, აკადემიები. ქართული განათლებისა და კულტურის სივრცეში გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი ***გელათის აკადემიას*** ეკავა, რომლის დამაარსებლად დავით აღმაშენებელი გვევლინება. მეფის ისტორიკოსის ცნობით, დავითმა შეკრიბა სწავლულ-მეცნიერები როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან. გელათის აკადემია მხოლოდ საკულტო დაწესებულება როდი იყო, ის საფუძველს უყრიდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს.



წყარო მ **1. გელათის მონასტერი, მთავარი ტაძარი, XII ს., ტყიბულის მუნიციპ.**

გელათის მონასტერი დავით აღმაშენებელმა 1106 წელს დააარსა. ის ერთ-ერთია იმ მცირე რაოდენობით შემორჩენილ ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს შორის, რომელთაც სრულად შემორჩა თავიანთი ძირითადი ნაგებობები. გელათის მონასტერი და აკადემია საუკუნეების განმავლობაში საქართველოს უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო. გელათის მონასტერი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.



წყარო ნ **გელათის აკადემიის აღდგენილი შენობა, XII ს., ტყიბულის მუნიციპ.**

წყარო ო **დავითის ისტორიკოსი გელათის აკადემიის შესახებ წერს:** *ადაპტირებული წყარო*

ის იწოდება მთელი აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად, ყოველგვარი სიკეთის შეცნობის [ადგილად] და ღრმა განათლების [მიღების] წინამძღოლად, სხვა ათენად, და საღვთო წესებით მასზე აღმატებულადაც, საეკლესიო სიკეთის მსახურად.

- *შენი აზრით, რატომ მოიხსენიებს დავითის ისტორიკოსი გელათის აკადემიას მეორე იერუსალიმად? რატომ უწოდებს მას სხვა ათენს?*

გელათის აკადემია თავის კედლებში ქართული კულტურის ყველაზე გამოჩენილ და პროგრესულ წარმომადგენლებს აერთიანებდა. ამით აიხსნება ის დიდი ავტორიტეტიც, რომლითაც ის სარგებლობდა. ცნობილი ქართველი მეხოტბე პოეტი **იოანე შავთელი** გელათს რომსა და ელადას (საბერძნეთს) ადარებს. გელათის აკადემიაში დავით აღმაშენებელმა მოიწვია ქართული კულტურის წარმომადგენლები, რომლებიც იმ დროს ათონის, პეტრიწონის, აგრეთვე, კონსტანტინოპოლისა და ბიზანტიის სხვა აკადემიებში მოღვაწეობდნენ. მოწვეულთა შორის იყვნენ: **იოანე პეტრიწი, თეოფილე ხუცეს-მონაზონი, იოანე ტარიჭისძე** და სხვები, რომელებიც გელათში მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო და ფილოსოფიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. საინტერესოა ქართველი ფილოსოფოსის, იოანეს პეტრიწის პიროვნება. იგი პეტრიწონის სემინარიაში ოცი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა – იყო მისი პირველი რექტორი, რომელმაც, როგორც ფიქრობენ, ამ მონასტრის სახელის მიხედვით მიიღო სახელი პეტრიწი. იოანე აქტიური მონაწილე იყო იმ ფილოსოფიური მოძრაობისა, რომელიც გაიშალა ბიზანტიაში მიქელ პსელოსის ხელმძღვანელობით. იოანე პეტრიწმა თავისი თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნების გამო განიცადა დევნა ოფიციალური ლიტერატურული წრეების მხრიდან, რის გამოც იგი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა პეტრიწონის სემინარია და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

გელათის აკადემიას ხელმძღვანელობდა „მოძღვართ-მოძღვარი“, რომელიც მთელ საქართველოში უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. ბიზანტიის უმაღლესი სკოლის მსგავსად, აკადემიაში შვიდი სამეცნიერო დისციპლინა ისწავლებოდა, ესენი იყო: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. ადგილობრივი საჭიროების მიხედვით, შესაძლოა, სხვა დამატებითი საგნებიც დამატებულიყო.

ამ პერიოდის საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, გელათის გარდა, იყალთოშიც შეიქმნა – **იყალთოს აკადემია**. მისი დამაარსებელი გელათის აკადემიაში მოღვაწე **არსენ იყალთოელი** გახლდათ, რომელმაც განათლება საბერძნეთში მიიღო. არსენ იყალთოელი ცნობილია როგორც მთარგმნელი. მის განსაკუთრებულ დამსახურებად ქართული სასულიერო მწერლობის წინაშე უნდა მივიჩნიოთ **დოგმატიკურ-პოლემიკური კრებულის** თარგმნა, რომელიც ქართულ მწერლობაში „დოგმატიკონის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ეს კრებული შეიცავს ღვთისმეტყველურ-ფილოსოფიურ, მორალურ-ეთიკურ და პოლემიკური ხასიათის ფუძემდებლურ თხზულებებს.

არსენ იყალთოელი დიდად განათლებული მწერალი იყო. მისი ორიგინალური ლექსებიდან აღსანიშნავია „ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა“. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებიდან: „დავითმა სომეხ-ქართველთა პაექრობაზე დასასწრებად, სხვათა შორის, მოუწოდა არსენ იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა“.



წყარო 3 **იყალთოს აკადემიის შენობის ნაშთი, XI ს., თელავის მუნიციპ.**

ცნობა 3 ვინ იყო მეფის მხატვარი?

დავით IV-ისა და დემეტრე I-ის პერიოდის „მეფის მხატვარ“ თევდორეს სახელი სვანეთმა შემოგვინახა. სწორედ თევდორეს სახელს უკავშირდება ზემო სვანეთში ეკლესიათა მოხატულობა; ერთ-ერთი ეკლესიის კანკელის ფრესკული წარწერა გვაუწყებს, რომ მოიხატა „ხელითა თევდორე მეფის მხატვრისა“. ივარაუდება, რომ თევდორე წარმოშობით სვანეთიდან უნდა ყოფილიყო, რადგან მისი მოხატულობის სტილი მხოლოდ სვანეთისთვისაა დამახასიათებელი.

წყარო 3 წმინდა გიორგის წამება ურმის თვალზე, „მეფის მხატვარი“ თევდორე, ჯგრაგის (წმ. გიორგის) ეკლესია, 1130, ნაკიფარი (მესტიის მუნიციპ.)



1. შეადარე ერთმანეთს გიორგი II-სა და დავით IV-ის პოლიტიკა. ჩამოაყალიბე, რა მსგავსება-განსხვავებები იყო მათ მმართველობაში.
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის 1.6 სავარჯიშო – გააანალიზე დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული რეფორმები.
3. შეასრულე მოსწავლის რვეულის 1.7 სავარჯიშო – შეადარე გიორგი II-ისა და დავით IV-ის პოლიტიკა ურჩი ფეოდალების მიმართ.
4. შეასრულე მოსწავლის რვეულის 1.8 სავარჯიშო – შეადგინე ყივჩაღების ჩამოსახლების სავარაუდო არეალების რუკა.
5. შეადგინე დროის ხაზი – ქრონოლოგიურად წარმოადგინე დავით აღმაშენებლის პერიოდში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები.

11/12 რა მნიშვნელობა ჰქონდა დიდგორის ბრძოლას საქართველოსთვის, მეზობელი ქვეყნებისა და ჯვაროსნული სამყაროსთვის?

წინა გაკვეთილიდან უკვე გაეცანი დავით IV-ის მიერ გატარებულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს, რომლებიც მეფის ხელისუფლების გაძლიერებას, მშვიდობის დამყარებასა და ქვეყნის ერთიანობის აღდგენას უზრუნველყოფდა. თუმცა საქართველოს გასაერთიანებლად ორი მთავარი პუნქტი – თბილისი და დმანისი – ჯერ კიდევ ერთიანი ქვეყნის შემადგენლობაში არ იყო. ასევე, საქართველოს გაძლიერება ყურადღების მიღმა არ დარჩენია მუსლიმურ სამყაროს და მან საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ მზადება დაიწყო. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ დიდგორის ველზე მომხდარი გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ, რომელიც დავით IV-მ მუსლიმთა კოალიციურ ლაშქარს გაუმართა.



თურქ-სელჩუკები თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ პოზიციებს ამიერკავკასიაში. მას შემდეგ, რაც დავითმა თბილისის მიმდებარედ არსებული ციხესიმაგრეები აიღო, თბილისი, ფაქტობრივად, ალყაში აღმოჩნდა. XI ს-ის 80-იანი წლებიდან თბილისში თურქ-სელჩუკები მომძლავრდნენ და იქ არსებულმა თბილისის ჯაფარიანთა დინასტიამ არსებობა შეწყვიტა. მის ნაცვლად თბილისს დამოუკიდებელი თვითმმართველობა – ე. წ. „ქალაქის ბერები“ მართავდნენ.

ცნობა 1 როგორი ტიპის მმართველობა იყო თბილისში დიდგორის ბრძოლამდე?

საქალაქო თვითთმართველობის წარმომადგენლები მოქალაქეთა ზედა ფენიდან „ტფილელნი ბერნი“ ანუ „ქალაქის ბერნი“ იყვნენ. ძველქართული ტერმინი „ბერი“ ნიშნავს უხუცესს, უფროსს. „ქალაქის უხუცესნი“ განაგებდნენ საქალაქო საქმეებს. მათ ეს უფლება მიღებული ჰქონდათ ქალაქის მოსახლეობისგან, არჩევის გზით. „ქალაქის უხუცესნი“ რაოდენობით თორმეტნი უნდა ყოფილიყო.

დაახლოებით XI ს-ის 50-იანი წლებიდან ქალაქის მოსახლეობა შეეცადა ამირას მფარველობის თავიდან მოშორებას, ხოლო XI ს-ის 80-იანი წლებიდან ქალაქის მართვა-გამგეობა „ქალაქის უხუცესთა“ ხელში გადავიდა. ქალაქის თვითმმართველობა ქალაქის დამოუკიდებლობაში გადაიზარდა და თბილისი ქალაქ-კომუნად (თვითმმართველ ქალაქად) იქცა. კომუნის დროს ქალაქის გამგებლობა თბილისში „ქალაქის უხუცესთა საბჭოს“ ხელში გადადიოდა. მათგან ერთი თითო თვით აირჩეოდა „ქალაქის მთავრად“, რომელიც „უხუცესთა საბჭოს“ ექვემდებარებოდა. ისინი წყვეტდნენ ომისა და ზავის საკითხებს, ქალაქის სამართალს, კრეფდნენ გადასახადებს, შესაძლოა, მონეტებსაც ჭრიდნენ.

- *შეადარე თბილისის საამიროს თვითმმართველობა ევროპული ქალაქებისას და იმსჯელე, რა განასხვავებდა მათ ერთმანეთისაგან? რა ფაქტორები უშლიდა ხელს ქალაქების დამოუკიდებლობას საქართველოში?*

დავითს კარგად ესმოდა თბილისის მნიშვნელობა იმ პერიოდის ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რადგან თბილისში მომძლავრებულები იყვნენ მუსლიმი ვაჭრები, რომლებიც ქალაქში დიდი გავლენით სარგებლობდნენ. მეფის მიერ თურქ-სელჩუკთა შეზღუდვა ამიერკავკასიაში ვაჭართა წრეებისთვის დამღუპველი იქნებოდა, რადგან ისინი ახლო აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის საშუალებას დაკარგავდნენ, ამიტომ, საქართველოს მეფისგან თავდაცვის მიზნით, ვაჭრებმა მფარველის ძებნა დაიწყეს. მათ მოციქული გაუგზავნეს არანისა და განძის გამგებელს თოღრულ მუჰამედის ძეს, რომელმაც თბილისში ციხისთავი გაგზავნა. თბილისის მოსახლეობა იძულებული გახდა, მეფის სასარგებლოდ ეკისრა ყოველწლიურად 10 ათასი დინარის გადახდა, თუმცა დავითის ბრძოლა ამით არ დასრულებულა – თბილისის ზედაფენამ კვლავ მფარველის ძებნა დაიწყო დავითის წინააღმდეგ.

წყარო 3 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მუსლიმი ვაჭრების გასაჭირის შესახებ: *ადაპტირებული წყარო*

განძის, თბილისისა და დმანისის შეწუხებულმა ვაჭრებმა თავი, პირი და ხელები შავად შეიღებეს და ასე წარუდგნენ სულთანს; უამბეს თავიანთი გასაჭირი და დიდი თანაგრძნობაც მიიღეს. მაშინ სულთანმა მოუწოდა არაბეთის მეფეს, თურქების სახელოვან სარდლებს, ყველას, ვინც თურქების სამთავროებს ფლობდა დამასკოდან და ალეპოდან მოყოლებული, სომხეთისა და განძის მთავრებამდე.

მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი ერაყის სელჩუკიანთა გამგებელი – სულთანი **მაჰმუდ მუჰამედის ძე** (1118-1131) იყო. მან მოუწოდა ყველა მოლაშქრეობის შემძლე მუსლიმს, მონაწილეობა მიეღო საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში. კოალიციური ლაშქრის სარდლად ბაღდადის გამგებელი **ნეჯმ ად-დინ ილღაზი** დანიშნეს, რომელმაც ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლაში გაითქვა სახელი. მასთან ერთად დიდი ლაშქარი გამოჰყავდა არაბთა მეფე დურბეიზს და განძის ათაბაგს – თოღრულ მუჰამედის ძეს.

ცნობა 2 ვინ იყო ნეჯმ ად-დინ ილღაზი?

ანტიოქიის ჯარების განადგურების შემდეგ ილღაზიმ „ნეჯმ ად-დინის“ – „სარწმუნოების ვარსკვლავის“ – ზედსახელი მიიღო. რაც შეეხება მის სახელს, „ილღაზი“ თურქულ-არაბულად ხალხთა მებრძოლს ნიშნავს. XIII ს-ის არაბი ისტორიკოს იბნ ალ-ასირს თავის თხზულებაში მოჰყავს პოეტ ალ-აზიმის ლექსის ნაწყვეტი, რომელიც ილღაზის ჯვაროსნებზე გამარჯვებას ეძღვნება: „შემოქმედის შემდეგ შენ ხარ საყრდენი, ყურანმა გაიხარა, ოდეს დაიცავი, და ატირდა სახარება მის მიმდევართა დაღუპვით“. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ იგი ყველაზე გამორჩეული იყო მუსლიმ ამირებს შორის ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ანტიოქიის კანცლერი გოტიე, რომელიც წერს დიდგორის ბრძოლის შესახებ, აღნიშნავს, რომ თუ ნეჯმ ად-დინ ილღაზი დავით აღმაშენებელს დაამარცხებდა, ანტიოქიისა და იერუსალიმის დამორჩილებასაც თავისუფლად შეძლებდა.

- *რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ სელჩუკთა სულთანი ვაჭართა თხოვნის შემდეგ საქართველოსკენ გზავნის კოალიციურ ლაშქარს იმ პერიოდის ყველაზე გამოცდილი სარდლის მეთაურობით?*

საქართველოს სამეფო კარისთვის ეს ყველაფერი მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან დავითის მიერ გატარებული საშინაო და საგარეო ღონისძიებების შედეგად ლოგიკური იყო იმის მოლოდინი, რომ თურქ-სელჩუკები საქართველოს გადამწყვეტ ბრძოლას გაუმართავდნენ. თავად საქართველოსაც ექმნებოდა შესაძლებლობა, რომ ბრძოლაში გამარჯვებით დაემტკიცებინა თავისი პირველობა ახლო აღმოსავლეთში.

დიდგორის ბრძოლის დიდ მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მის შესახებ ინფორმაციას არაერთი ქართული, სომხური, ლათინური და არაბული წყარო გადმოგვცემს, თუმცა წყაროებში ზოგ შემთხვევაში განსხვავებული ცნობებია დაცული, მათ შორის, ქართველთა და კოალიციური ლაშქრის რაოდენობასთან დაკავშირებით.

წყარო ბ **ქართველთა და მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის რაოდენობა, სხვადასხვა წყაროს მიხედვით**

მემატიანე	ქართველთა ჯარი	კოალიციური ჯარი
დავითის ისტორიკოსი, XII ს.	–	–
მათეოს ურჰაეცი, სომეხი მემატიანე, XII ს.	40 000 ქართველი 15 000 ყივჩაღი 500 ალანი 100 „ფრანგი“ (ჯვაროსანი) სულ 55 600	140 000 ილ-ღაზის მეომარი 10 000 დურბეიზ არაბეთის მეფის მეომარი 400 000 განძის ათაბაგის მეომარი – სულ 550 000
სმბატ სპარაპეტი, სომეხი მემატიანე, XIII ს.	– 40 000 ყივჩაღი 18 000 ალანი 10 000 სომეხი 500 ჯვაროსანი	150 000
იბნ ალ-ასირი, არაბი ისტორიკოსი, XII-XIII სს.	–	30 000
ვალტერ გოტიე, ანტიოქიის სამთავროს კანცლერი, ჯვაროსნული ომების მონაწილე, XII ს.	სულ 80 000 მათ შორის, 200 „ფრანგი“ (ჯვაროსანი)	600 000

● *სომეხი მემატიანე სმბატ სპარაპეტი ქართველთა ჯარის შემადგენლობაში ქართველებს არ გვისახელებს. რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნია მის მიერ მოყვანილი მონაცემები? პასუხი დაასაბუთე.*

კოალიციური ლაშქარი საქართველოში მანგლის-თრიალეთის გზით შემოვიდა და 1121 წლის 10 აგვისტოსთვის მანგლის-დიდგორის ტერიტორიაზე დაბანაკდა. ლაშქრის მთავარი მიზანი თბილისის გამაგრება და თურქ-სელჩუკთა ბატონობის აღდგენა იყო. საფიქრებელია, რომ მათეოს ურჰაეცისა და გოტიეს ცნობები ლაშქრის რაოდენობასთან დაკავშირებით მეტად გაზვიადებულია, რადგან ნახევარმილიონიანი ლაშქარი თრიალეთ-მანგლის-დიდგორის

მიდამოებში ფიზიკურად ვერ დაეტეოდა, არათუ საბრძოლველად გაშლილიყო. ერთი რამ უდავოა, რომ დიდგორის ველზე არათანაბარი ძალები შეხვდნენ ერთმანეთს და კოალიციური ლაშქარი ქართველთა ლაშქარს რამდენჯერმე აღემატებოდა.

- *მასწავლებელთან ერთად იმსჯელეთ კლასში, რას ემსახურებოდა მემატიანეთა მიერ ლაშქრის წარმოუდგენლად გაზრდილი რაოდენობების დასახელება?*

ქართველთა ლაშქარში დასახელებული „ფრანგები“ იმ ევროპელ ჯვაროსანთა წარმომადგენლები იყვნენ, რომლებსაც ახლო აღმოსავლეთში მომხდარ ბრძოლებში ჰქონდათ გამოცდილება მიღებული. დიდგორის ბრძოლაში ევროპელი რაინდების მონაწილეობას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და საქართველოსადმი მათი კეთილგანწყობის გამოხატულება იყო.

გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველთა ლაშქარში უმრავლესობა ქართველი იყო. ლაშქარი დავით აღმაშენებლის მეთაურობით დიდგორის ველს ნიჩბისის საკმაოდ გაშლილი ხევით მიუახლოვდა. სწორედ ნიჩბისის ხევს მიჰყვება გზა დიდგორი-მანგლისისკენ. ლაშქრის ძირითად ნაწილს დავითი სარდლობდა, ხოლო ერთ-ერთ ნაწილს მისი ვაჟი – დემეტრე – მეთაურობდა, რომელსაც მოულოდნელი დარტყმა უნდა მიეყენებინა მტრისთვის.

- *როგორც წინა გაკვეთილიდან შეიტყვე, დავითმა გადამწყვეტი ბრძოლისთვის მოსამზადებლად საქართველოში ყივჩაღთა ურდოები ჩამოასახლა და მათგან 40 ათასი მეომრის გამოყვანის შესაძლებლობა ჰქონდა, თუმცა, მათეოს ურჰაეცის ცნობის მიხედვით, მათგან მხოლოდ 15 ათასი მეომარი გამოიყვანა. შენი აზრით, რამ განაპირობა დავითის გადაწყვეტილება?*

> **წყარო 8** **XII ს-ის მოღვაწე, ანტიოქიის სამთავროს კანცლერი ვალტერ გოტიე თავის ქრონიკაში „ანტიოქიის ომები“ წერს, თუ როგორ მიმართა დავითმა დიდგორის ბრძოლის წინ ქართველ მეომრებს:**
>
> ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევრებს, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლიანობისთვის კარგი იქნება: ჩვენ, ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით, და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესასვლელი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა დიდი ხერგებით შევკრათ, და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ.

- *იმსჯელე დავითის, როგორც მხედართმთავრის, თვისებებზე.*

თურქ-სელჩუკებმა ბრძოლის დაწყებამდე ნაცად მეთოდს მიმართეს, მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური გავლენის მოსახდენად ჟივილ-ხივილი, იარაღის ჟღარუნი დაიწყეს, თუმცა დავითმა ტაქტიკური ხერხი გამოიყენა. ბრძოლის დაწყებამდე ლაშქრიდან 200 მეომარი მოწინააღმდეგის ბანაკისკენ დაიძრა. მუსლიმებმა ისინი მოღალატეებად აღიქვეს და საკუთარ ბანაკში შეუშვეს, სადაც მეომრებმა უცაბედად შეტევა დაიწყეს და მტრის ბანაკში არეულობა გამოიწვიეს. ამ დროს ლაშქრის ძირითადმა ნაწილმა დასავლეთიდან შეუტია, რასაც დემეტრეს წინამძღოლობით ჯარის სხვა ნაწილების შეტევა დაემატა.

გადამწყვეტი ბრძოლა მანგლის-დიდგორის მიდამოებში 1121 წლის 12 აგვისტოს გაიმართა. ის დაახლოებით 3 საათს გაგრძელდა. მუსლიმთა ლაშქრის უმეტესობა ბრძოლის ველზე დაიღუპა. ქართველები უკანდახეულ მუსლიმებს დაედევნენ და დიდი ზარალი მიაყენეს. თვით ილღაზი თავში დაიჭრა და მცირე პირთა თანხლებით, უსაჭურველოდ დაბრუნდა სახლში, არაბთა მეფის დახმარებით.

სქემა 1 დიდგორის ბრძოლა, 1121



● *იმსჯელეთ კლასში – რამ განაპირობა დიდგორის ველზე ქართველთა გამარჯვება. დაახასიათეთ დავით IV-ის მიერ შერჩეული ბრძოლის ტაქტიკა.*

დიდგორის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებამ დაამტკიცა ქართველთა პირველობა ახლო აღმოსავლეთში და დაამსხვრია თურქ-სელჩუკთა უძლეველობის მითი.

დავითის პოლიტიკა დიდგორის ბრძოლის შემდეგ

დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ დავითს უკვე გზა გაეხსნა თბილისისკენ, რომელიც 1122 წელს აიღო და დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. თბილისი 400 წლის განმავლობაში, ერთიან საქართველოს სრულიად მოწყვეტილი, მუსლიმთა ხელში იყო მოქცეული. დავითი კარგად ხვდებოდა, თბილისში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებისთვის წამყვანი მნიშვნელობა მუსლიმურ მოსახლეობას ჰქონდა, ხოლო მათი შევიწროება თბილისს ერთ-ერთი ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობას დაუკარგავდა, ამიტომ თბილისის მოსახლეობას სხვადასხვა შეღავათი დაუწესა.

წყარო დ **ნაწყვეტი XII ს-ის არაბი ისტორიკოსისა და მოგზაურის, ალ-ფარიკის, თხზულებიდან იმ წესების შესახებ, რომლებიც დავით აღმაშენებელმა თბილისის მცხოვრებ მუსლიმ მოსახლეობასთან დაკავშირებით დაადგინა:**

დაადგინა, რომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა ის მათ შორიახლოს. მან მოჭრა მათთვის მონეტა ხალიფისა და სულთნის სახელით და მისცა მათ თავისუფალი ლოცვის უფლება. აგრეთვე, დაუდო მათ პირობა, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის [მუსლიმის] აბანოში და რომ პარასკევ დღეს *მინბარიდან* ილოცონ ხალიფისთვის და სულთნისთვის და არა მისთვის [საქართველოს მეფისთვის]. მან დააწესა გამოსაღები ყოველწლიური, ქართველისთვის – 5 დინარი; ებრაელისთვის – 4 დინარი, ხოლო მუსლიმისთვის – 3 დინარი... იგი ისე კეთილად ეპყრობოდა მუსლიმებს და, აგრეთვე, მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და *სუფიებს*, როგორც მათ არ ეპყრობოდნენ თვით მუსლიმებს შორის. მე თვითონ ვნახე, როცა მივედი მათთან [თბილისელ მუსლიმებთან], თუ როგორ მოქმედებს მუსლიმთათვის დადებული ყველა ეს პირობა.

შენიშვნა: მინბარი *– კათედრა დიდ მეჩეთში.*

სუფიები *– სუფიზმის მიმდევრები. სუფიური სწავლების ერთ-ერთი ცენტრალური დოქტრინაა „იყო ამ ქვეყანაზე, მაგრამ არა ამ ქვეყნისა“, რაც, რიტუალური ცერემონიების, მარხვისა და ლოცვის მეშვეობით, თვითჩაღრმავების გზით, უმაღლესი მიზნისკენ სვლის – უზენაეს ღმერთთან და მის მადლთან ზიარების საშუალება იყო.*

- *როგორ შეაფასებდი დავით IV-ის პოლიტიკას არაქართველი მოსახლეობისადმი? რამდენად შეგვიძლია ვუწოდოთ დავით IV-ის პოლიტიკას ტოლერანტული?*
- *რამდენად უწყობს ხელს მულტიკულტურალიზმი თანამედროვე სახელმწიფოში დემოკრატიის განმტკიცებასა და განვითარებას და რატომაა მნიშვნელოვანი ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლება?*

თბილისის შემდეგ დავითმა 1124 წელს აიღო დმანისიც. ეს იყო თურქ-სელჩუკთა ბოლო საყრდენი პუნქტი.

დავით აღმაშენებელმა დაასრულა ბაგრატ III-ის მიერ დაწყებული საქმე – ხანგრძლივი ბრძოლა ქართული მიწების გაერთიანებისთვის.

ამის შემდეგ დავითმა დალაშქრა განძა და დაიწყო ბრძოლა შირვანისა და სომხეთისთვის, რაც, სამხედრო თვალსაზრისით, სახელმწიფო საზღვრების დაცვასა და ეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდა, რადგან სამხრეთით სომხეთზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები. ამ გზაზე კონტროლის დამყარებით საქართველოს გზა გაეხსნებოდა მსოფლიოს სავაჭრო მაგისტრალისკენ.

1123 წლის ივნისში დავით მეფემ დალაშქრა შირვანი, საიდანაც განდევნა თურქ-სელჩუკები და მომდევნო წელს ამ ტერიტორიაზე თავისი ლაშქარი ჩააყენა.

1124 წლის მაისში დავითმა დალაშქრა სომხეთის ციხეები, რაზეც მოგვითხრობს როგორც დავითის ისტორიკოსი, ისე სომხური წყაროებიც. სომეხი მოსახლეობა თვალყურს ადევნებდა დავითის გამარჯვებებს დამპყრობთა წინააღმდეგ. ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიკური ცენტრი ქ. ანისი ქურთული წარმოშობის მუსლიმ მფლობელებს, შედადიანებს ეპყრათ. 1118 წელს მანუჩარის გარდაცვალების შემდეგ ანისის მმართველი მისი ძე აბულასვარი გახდა. იგი მოსახლეობის მიმართ აგრესიულ პოლიტიკას ატარებდა და მოსახლეობის რელიგიური შევიწროების გზას დაადგა. სწორედ სომეხმა თავკაცებმა მიიწვიეს დავით IV ქალაქ ანისიდან მუსლიმთა განსადევნად და ქალაქის გასათავისუფლებლად. მიწვევიდან სამ დღეში დავითმა დალაშქრა ანისი და მისი გამგებლობა ქართველ დიდებულებს – აბულეთსა და მის შვილ ივანეს ჩააბარა.

წყარო 2 XII ს-ის სომეხი ისტორიკოსი სამუელ ანელი დავით მეფის მიერ ანისის აღების შესახებ:

ქალაქ ანისისა და შირაკის ოლქის [მცხოვრებლებმა] გადაწყვიტეს, გამოსავალი ეპოვათ იმით, რომ თხოვნით მიემართათ ქართლის მეფე დავითისთვის. მათ უღალატეს ამირა აბულ-სუვარს მანუჩეს ძეს, რომელიც ფლობდა ქალაქს მამის სიკვდილის შემდეგ და ქალაქის კარის გაღებით შემოუშვეს შიგნით მეფე [დავითი]... მაშინ შესვლისას ერთ სულსაც არ მოსვლია სისხლის ზიანი.

წყარო 3 XII ს-ის სომეხი ისტორიკოსის, მათე ურჰაეცის ცნობა დავითის მიერ ანისის აღებასთან დაკავშირებით:

გათავისუფლდა მონობიდან სატახტო ქალაქი ანისი, რომელიც ტყვეობაში იყო სამოცი წელი და დიდებული და დიდი ეკლესია ანისისა, წმინდა კათოლიკე, რომელიც *მიზგითად* გადაექციათ. [დავითმა] შეკრიბა ეპისკოპოსები, ხუცესები და ბერები სომეხთა ქვეყნისა და აკურთხა წმიდა კათოლიკე დიდი ზეიმით. და შეიქნა სიხარული ყველა სომხის ოჯახში, რადგან ნახეს წმინდა კათოლიკე გათავისუფლებული მონობიდან... და იყო დავით მეფე წმიდა და სათნო, ყოვლად შემკული ღვთისმოსაობითა და კეთილი სამართლიანობით. იგი შემწყნარებლად და მოყვარულად გამოუჩნდა სომეხთა ტომს... დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი.

შენიშვნა: მიზგითი *– მუსლიმთა სალოცავი სახლი, მეჩეთი.*

- *როგორი იყო ქართველებისა და მეზობელი ხალხების ურთიერთობა დავით IV-ის მეფობის დროს?*
- *შენი აზრით, რატომ სურდათ ანისისა და შირაკის მცხოვრებთ, დავით IV-ის მფარველობაში შესულიყვნენ?*
- *იმსჯელე, როგორ უწყობდა ხელს კავკასიის რეგიონის სიძლიერეს იქ მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის საერთო ინტერესების ირგვლივ გაერთიანება?*
- *შენი აზრით, რამდენად აქტუალურია დღესაც კეთილმეზობლური ურთიერთობის საკითხი? რატომ?*



საფიქრებელია, რომ მეფე დავითს შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა, თუმცა 1125 წლის 24 იანვარს 52 წლის ასაკში იგი გარდაიცვალა. დაკრძალეს მის მიერვე აგებულ გელათის მონასტრის შესასვლელში, თუმცა ამჟამად მეფის ნეშტი ამ ადგილას არ განისვენებს. დავით მეფის სრულ ტიტულატურაში ასახულია ყველა ის ტერიტორია, რომლებიც მან სიცოცხლის ბოლომდე შემოიმტკიცა. იგი იყო **„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა“**.

წყარო 8 დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა გელათის მონასტრის შესასვლელში, ტყიბულის მუნიციპ.

„ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე; ესე მთნავს: აქა დავემკვიდრო მე“ („ეს არის ჩემი საუკუნო განსასვენებელი. ეს მომწონს: აქ დავმკვიდრდები მე“).

ევროპელთა თვალით დანახული დავითის სამეფო

დავითისა და ჯვაროსნების ბრძოლა მუსლიმების წინააღმდეგ ორივე მხარისთვის სასარგებლო შედეგის მომტანი იყო. შენ უკვე იცი, რომ დავითის ისტორიკოსი ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიც სელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტა და ქვეყნის მოშენება-გაძლიერება იყო, ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებას უკავშირებს. მაგრამ მხოლოდ ჯვაროსანთა ლაშქრობები არ ყოფილა დავითის პოლიტიკისთვის სასარგებლო.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მეფსალმუნე **ანსელუსი**, რომელიც XII ს-ის I ნახევარში თავად იმყოფებოდა იერუსალიმში, თავის წერილში საუბრობს საქართველოსა და, კონკრეტულად, დავითზე. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ შეიძინა დავითის მეუღლის მიერ იერუსალიმში ჩატანილი ჯვარი და გააგზავნა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში; ასევე, ამბობს, რომ დავითის სამეფო **„მიდიელთა და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია (ზღუდეა)“**.

- *შენი აზრით, რატომ მიაჩნია ანსელუსს დავითის სამეფო ევროპელთა „წინა ბურჯად“?*

წყარო 9 ნაწყვეტი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მეფსალმუნის, ანსელუსის წერილიდან, იმის შესახებ, თუ როგორ შეიძინა მან მეფე დავითის ჯვარი მისი ქვრივისგან, ყივჩალთა მთავრის ასულ გურანდუხტისგან და როგორ გაგზავნა ეს ჯვარი პარიზში (დაახლ. 1108-1109):

დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფების შემდეგ, მისმა მეუღლემ, უფრო სიწმინდის გამო სათაყვანომ, ვიდრე გვარიშვილობის გამო, თავი გადაიკრიჭა, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირეოდენი [მხლებლითურთ] იერუსალიმს მივიდა ამ ჯვარითა და ბევრი ოქროთი. და მისი წადილი შინ დაბრუნება კი არ ყოფილა, არამედ – აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება. ის წამოღებული ოქრო წმიდა ქალაქის მონასტრებს დაუნაწილა, აგრეთვე, გლახაკთ უბოძა. და მგზავრთა მისაცემიც გაიღო და ამის შემდეგ... იერუსალიმში ქართველ დედათა მონასტერში შევიდა... და მიიღო წმიდა სამოსელი მონაზვნობისა.

ბოლოს, წამოღებული [ოქრო] სულ დაარიგა, გასცა და მონასტრის საჭიროებისთვის დახარჯა. და როცა ჩვენი ქვეყანა შიმშილობამ შეაწუხა.. იძულებული გახდა, მონასტრის მოთხოვნილებისთვის... [ჯვარი გაეყიდა]. ამას საკუთარი ხორციელი საჭიროებისთვის არასგზით არ გააკეთებდა. ამრიგად, [ჯვარმა], ფასით რომ ვერაფერს შეედრება, ამ მიზეზით შეიძინა ფასი და, აჰა, გამოგიგზავნეთ.

● *შენი აზრით, რატომ მიიჩნია ანსელუსმა დავითის ჯვარი იმდენად მნიშვნელოვან რელიქვიად, რომ მისი შეძენა და პარიზში გაგზავნა გადაწყვიტა? საქართველოს მიმართ ევროპელთა როგორი დამოკიდებულება ჩანს ამ ფაქტიდან?*

დავით აღმაშენებელს, ასევე, აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან და იერუსალიმის სამეფოსთან. ამასთან დაკავშირებით საგანგებო ინფორმაციაა დაცული იოანე ბატონიშვილის ნაშრომში „კალმასობა“.

წყარო 0 ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელ-ენციკლოპედისტი იოანე ბატონიშვილი (1766-1830) იერუსალიმის მეფის ბალდუინ II-ის ქართლში ვიზიტის შესახებ, ნაწარმოებიდან „კალმასობა“:

...[ლორეს აღების შემდეგ წელს] მოვიდა დაფარვით, *დავრიშის* სახით, მელიქშას შვილი ტანღან მელიქ სულთანი გამსტრობად ივერიისა და ხილვად მეფისა დავითისა, და აგრეთვე ამავე სახედ ბერძენთა მეფე ***ალექსანდრე***, ხოლო ამავე რიცხვსა შინა იყო ***ბალდვოინ*** იერუსალიმის მეფე, რომელმანცა მრავალი ძღევა მიიღო სარიცინელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისაებრ სხვათა ისტორიებთა... და ვერა რომელთამე ქართველთა სცნეს ამათი იდუმალ მოსლვაი და უკუნიქცნენ მასვე წელსა შინა.

შენიშვნები: დავრიში *– მოხეტიალე მუსლიმი ბერი.*

ალექსანდრე *– ბიზანტიის იმპერატორი ალექსი I კომნენოსი (1081-1118).*

ბალდვოინ *– ბალდუინ II (1118-1131), იერუსალიმის მესამე მეფე.*

წყარო კ ისტორიკოსი შოთა მესხია (1916-1972) ბალდუინის ვიზიტის შესახებ (წიგნიდან „ძლევაი საკვირველი“):

1119 წელი მძიმე იყო თვით ჯვაროსნებისათვის; 1119 წლის ზაფხულში თურქების სახელგანთქმულ სარდალთან, ილღაზთან ბრძოლაში დაიღუპა ანტიოქიის მთავარი როჟერი და მასთან ერთად არაერთი ევროპელი რაინდი. იერუსალიმის მეფე ბალდუინ II მაშინვე დაიძრა ანტიოქიისაკენ და თვით იკისრა დაობლებული ანტიოქიის მმართველობაც და მის შესანარჩუნებლად ბრძოლაც. მან თავი მოუყარა ილღაზის წინააღმდეგ ყველა რაინდსა და მოლაშქრეს, რომელთა შეკრებაც კი იმ დროისათვის შესაძლებელი იყო. მართალია, ჯვაროსნებმა შეძლეს ანტიოქიის შენარჩუნება, მაგრამ ძლიერ დაზარალდნენ და ილღაზმაც არაერთი მწარე დამარცხება აგემა მათ. ასეთ მძიმე წელს, საეჭვოა, რომ ბალდუინ II-ეს საქართველოში ჩამოსასვლელად მოეცალა, მაგრამ, ფაქტია, რომ 1119 წლის მაგალითი, ჯვაროსნების მარცხი ილღაზთან ბრძოლაში, მოსვენებას არ მისცემდა ჯვაროსნებს და აიძულებდა მათ, მოკავშირეები ეძებნათ არა მარტო თავიანთ სამთავროებსა და საგრაფოებში, არამედ სხვაგანაც, ქრისტიანულ ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში...

● *იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ გვიანდელი წყაროა. სხვა წყაროებით ბალდუინ II-ის ვიზიტი საქართველოში არ დასტურდება. როგორ ფიქრობ, რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას იოანე ბატონიშვილის ეს ცნობა? პასუხი დაასაბუთე.*

1. ჩამოთვალე საქართველოს ისტორიაში შენთვის ნაცნობი რელიგიური შემწყნარებლობის ფაქტები და იმსჯელე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის რა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების მოღვაწეობას საქართველოში?
2. დაწერე არგუმენტირებული ესე: „რა მნიშვნელობა ჰქონდა დავით IV-ის მიერ თბილისის საამიროს შემოერთებას?“. დავალების შესრულებაში დაგეხმარება მოსწავლის რვეულის სავარჯიშო 1.9 და საინტერესო საკითხავი „ივანე ჯავახიშვილი თბილისის საამიროს შესახებ“.

13 რატომ გაჩაღდა ბრძოლა ძალაუფლებისთვის დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებს შორის?

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ საქართველო კავკასიაში უძლიერეს სახელმწიფოდ რჩებოდა. მას ანგარიშს უწევდნენ აღმოსავლეთში მყოფი ჯვაროსნები და მუსლიმური სახელმწიფოები, მაგრამ მეფის ძლიერ ხელისუფლებას ვერ ეგუებოდა სამეფო კარისა და დიდებულთა წრის ზოგიერთი წარმომადგენელი. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ გაჩაღდა დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა, რომელმაც XII ს-ის 70-იანი წლების ბოლომდე გასტანა.



დავით აღმაშენებელი თავის მემკვიდრედ უფროს ვაჟს, დემეტრეს აცხადებს

როგორც წინა გაკვეთილებიდან იცი, დავით აღმაშენებელმა თავისი მმართველობის პერიოდში დიდებულთა დამორჩილება შეძლო და სამეფო ხელისუფლება გააძლიერა. მისი მემკვიდრეების მმართველობის დროს კი ძალაუფლებისთვის ბრძოლა იწყება სამეფო ოჯახში დიდებულთა ჩარევით. დავით მეფემ თავის სიცოცხლეშივე *თანამოსაყდრედ* აკურთხა უფროსი ვაჟი დემეტრე, რომელიც მეფის თანამმართველი გახდა (სამეფო ტახტის მამიდან უფროს ვაჟზე გადაცემის ეს ტრადიცია ბაგრატიონთა დინასტიაში ერთიანი ქართული სამეფოს შექმნის შემდეგ დამკვიდრდა).

ცნობა 1 **ტახტის მემკვიდრეობითობის წესების შესახებ შუა საუკუნეებში:**

შუა საუკუნეების საზოგადოებას მტკიცედ სწამდა სამეფო დინასტიების განსაკუთრებულობა, მათი ღვთისაგან რჩეულობა, მაგრამ დიდ სირთულეს ქმნიდა მემკვიდრეობის საკითხი. დინასტიური მმართველობა ბიზანტიაში VIII ს-დან დამკვიდრდა. მემკვიდრის უფლებების უზრუნველსაყოფად იმპერატორები თავიანთი მმართველობის პერიოდში დაბადებულ უფროს ვაჟებს თანამოსაყდრის ტიტულს მონათვლის დროსვე ანიჭებდნენ. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ადრეულ შუა საუკუნეებში მეფის გარდაცვალების შემდეგ სამეფო მიწა-წყალი მის ვაჟებს შორის ადათობრივი სამართლის თანახმად ნაწილდებოდა, რაც სამეფო ტერიტორიების მუდმივ დაქუცმაცებას იწვევდა. ასეთი სამართლებრივი პრაქტიკის შედეგად ზარალდებოდა სამეფოს განუყოფლობის იდეა. ამიტომ ევროპელმა სამართალმცოდნეებმა შეიმუშავეს ერთი მემკვიდრის წესი. ეს საშუალებას აძლევდა მეფეებს, სამღვდელოებისა და წარჩინებული ფეოდალების თანხმობით, სიცოცხლეშივე დაესახელებინათ მემკვიდრე ვაჟი, ანუ თანამოსაყდრე, რომლის უფლებებს საეკლესიო კურთხევა ამყარებდა. ევროპულ ქვეყანათა უმრავლესობაში (მაგ., X ს-დან საფრანგეთში) ეს წესი მხოლოდ უფროსი ვაჟის მემკვიდრეობით უფლებებს ცნობდა. საქართველოშიც ტახტის მემკვიდრეობის უფლებას სამართალი უფროს ვაჟს აკუთვნებდა. ამასთან ერთად, სამეფო ოჯახში ხშირად მიმართავდნენ თანამოსაყდრეობის წესსაც.

წყარო ა **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იმის შესახებ, თუ როგორ აკურთხეს დემეტრე დავით მეფის *თანამოსაყდრედ*:** *ადაპტირებული წყარო*

თავისი მეფობის ოცდამეთოთხმეტე წელს, როგორც *დავითმა სოლომონი*, მანაც [დავით IV-მ] თავის ხელით დასვა სამეფო ტახტზე თავისი ძე დემეტრე, რომელიც იყო მისი მსგავსი, დაადგა თავზე ძვირფასი ქვებით შემკული გვირგვინი და შეაბა წელზე მრავალი გამარჯვების მომპოვებელი მახვილი და შემოსა პორფირით.

შენიშვნა: დავითი *– იგულისხმება ებრაელთა ბიბლიური მეფე დავითი.*

სოლომონი *– ებრაელთა მეფე დავითის ვაჟი, რომელიც მამის შემდეგ მეფობდა ისრაელში.*

თანამოსაყდრე – აქ: თანამეფე, თანამმართველი.

პორფირი – მუქი წითელი ძვირფასი სამოსი; სასულიერო პირის ან მონარქის საზეიმო შესამოსელი.



წყარო ბ **დემეტრე I-ის მეფედ კურთხევა, მაცხვარიშის ეკლესიის ფრესკა, 1140 წ., სოფ. მაცხვარიში, მესტიის მუნიციპ.**

- *იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა ძალაუფლების ლეგიტიმაციისთვის დავით აღმაშენებლის მიერ უფლისწულ დემეტრეს კურთხევას?*
- *შენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ფრესკაზე გამოსახული სცენა, რომელზედაც, მეფედ კურთხევის დროს, დემეტრე I-ს ორი დიდებული ხმალს შემოარტყამს წელზე? რას უნდა მიანიშნებდეს ის ფაქტი, რომ ფრესკაზე გამოსახული არ არის დავით აღმაშენებელი?*

ცნობა 2 რა საგარეო-პოლიტიკური სირთულეები ჰქონდა დემეტრე I-ს?

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეები, რომლებსაც მუსლიმურ სახელმწიფოებთან ბრძოლა უწევდათ, ზოგ შემთხვევაში იძულებულები ხდებოდნენ, საქართველოსთვის უშუალოდ შემოერთებული ტერიტორიების ნაწილი დაეთმოთ. მაგალითად, 1126 წელს **დემეტრე I-მა** (1125-1156) ***ყმადნაფიცობის*** პირობით დათმო ანისი; ქალაქის ყოფილი მმართველის მემკვიდრემ, ფადლონმა დიდი ჯარით ალყა შემოარტყა ქალაქს. ამის შემდეგ ანისის ქართველი გამგებელი ივანე აბულეთისძე იძულებული გახდა, ქალაქი მისთვის გადაეცა; ხოლო 1138 წელს ქართველებმა, განძაში გამარჯვების ნიშნად, განძის კარი ჩამოხსნეს და საქართველოში ჩამოიტანეს; დემეტრე I-მა კი ის, რაკი ეს გამარჯვება ღვთის წყალობად მიაჩნდა, გელათის მონასტერს შესწირა. თუმცა ქართველებმა ვერ შეძლეს განძის შენარჩუნება და ის კვლავ მუსლიმთა მფლობელობაში აღმოჩნდა. მუსლიმებისთვის განძა დიდხანს იყო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი პუნქტი.

ყმადნაფიცობა – მემამულისა და მის მიწაზე მცხოვრები გლეხის ურთიერთობის ფორმა. აქ: რომელიმე დიდი ძლიერი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ ყოფნა, დიდ სახელმწიფოზე დამოკიდებულება.



წყარო გ **განძის კარი (ჭიშკარი), XI ს., გელათის მონასტერი, ტყიბულის მუნიციპ.**

- *შენი აზრით, რის ნიშანი იყო ქართული სამეფოს მიერ დაკავებული ანისის დაბრუნება ძველი მფლობელისთვის, ყმადნაფიცობის პირობით?*
- *როგორ ფიქრობ, რატომ ვერ შეძლეს ქართველებმა განძის შენარჩუნება?*

დემეტრე I-ს მისი ნახევარძმა ვახტანგი უჯანყდება

1130 წელს დემეტრე I-ს აუჯანყდა მისი უმცროსი ნახევარძმა ვახტანგი, რომელსაც მხარს უჭერდა დიდებული ივანე აბულეთისძე. აჯანყების დამარცხების შემდეგ, მეფის ბრძანებით, უფლისწული ვახტანგი დააბრმავეს, ხოლო ივანე აბულეთისძე სიკვდილით დასაჯეს. ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ აჯანყებაში, შესაძლოა, ყივჩაღებიც მონაწილეობდნენ, რადგან ვახტანგი ყივჩაღთა ბელადის, ათრაქა შარაღანის ძის ასულის, გურანდუხტის ვაჟი იყო (იგი დავით აღმაშენებელს მეორე ქორწინებიდან შეეძინა). არსებობს დავით აღმაშენებლის ანდერძი, რომლის ნამდვილობა ისტორიკოსთა ნაწილს საეჭვოდ მიაჩნია; მის მიხედვით, თითქოს მეფე თავის მემკვიდრეს, დემეტრეს უბარებს, რომ შესაძლებელია, დემეტრემ თავისი მეფობის დასასრულს ნახევარძმას გადასცეს სამეფო ტახტი.

წყარო დ **დავით აღმაშენებლის მიმართვა დემეტრესადმი, შიომღვიმის მონასტრისათვის შედგენილი მისივე ანდერძიდან:** *ადაპტირებული წყარო*

... ძმა მისი [ვახტანგი] გაზარდოს და თუ ღმერთმა ინება და ივარგოს შენმა ძმამ, ... შენს შემდეგ გახდეს მეფე.

- *შეადარეთ ერთმანეთს ა და დ წყაროები და იმსჯელეთ კლასში, რამდენად რეალურად მიიჩნევთ, რომ დავით აღმაშენებელს ამგვარი ანდერძი დაეტოვებინა, იმ მიზნის გათვალისწინებით, რომელიც მას ჰქონდა – ქვეყნის ერთიანობა და ძლიერება?*

წყარო ე **სომეხი მემატიანე ვარდან დიდი მოგვითხრობს უფლისწულ ვახტანგის აჯანყების შესახებ:**

უფლისწულსა [იგულისხმება ვახტანგი] და ივანე აბულეთისძეს უნდოდათ, მოეკლათ დემეტრე, მაგრამ ივანეს მამამ, აბულეთმა თავისი შვილის წინაშე *ჭაღარა* გაშალა და განზრახულის ასრულება დაუშალა. მეფის მომხრეებმა ორივენი დმანისის ციხეში დაამწყვდიეს. როდესაც დემეტრემ ეს ამბავი შეიტყო, მივიდა დმანისის ციხეში და ივანეს დაცინვით უთხრა, „აჰა, შემიპყარ!“, ხოლო მან სინანულით უპასუხა: „არა, მეფევ, მე ხელთ მოგეცით თქვენი ძმა, რომელიც თქვენს მეფობას ეძიებს“. მეფემ შეიპყრო ძმა, დააბრმავა და გაათავისუფლა.

შენიშვნა: ჭაღარა გაშალა *– იგულისხმება, რომ ჭაღარა ასაკოვან ადამიანს აქვს და ახალგაზრდებს მისი, როგორც გამოცდილი ადამიანის, აზრის გათვალისწინება მართებთ.*

წყარო ვ **დმანისის ციხე და დმანისის სიონი, VI ს.**



ბრძოლა ძალაუფლებისთვის დემეტრე I-ს და მის ვაჟს, დავითს, შორის

სამეფო ხელისუფლებისთვის ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ფორმა დემეტრე I-სა და მის უფროს ვაჟს, დავითს შორის მიიღო. მეფეს ორი ვაჟი ჰყავდა: უფროსი დავითი და უმცროსი გიორგი. როგორც ცნობილია, დემეტრე I აპირებდა, ტახტი უმცროსი ვაჟისთვის გადაეცა. უფლისწულმა დავითმა დიდგვაროვანი ფეოდალების – აბულეთისძეებისა და ორბელების – მხარდაჭერით მოახერხა, დემეტრე I ტახტიდან გადაეყენებინა და აიძულა იგი, „დამიანეს“ სახელით ბერად აღკვეცილიყო. დავით V-ის (1155-1156) მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. ისტორიკოსებს საეჭვოდ მიაჩნიათ დავით V-ის უეცარი გარდაცვალება. ვარაუდობენ, რომ ის მოწამლეს. გამეფებისთანავე დავით V-მ ციხიდან გაათავისუფლა დემეტრე I-ის მიერ დაპატიმრებული თირქაშ აბულეთისძე და სახელმწიფოს მხედართმთავრობა – ამირსპასალაროზა უბოძა. ასევე, დაიბარა თავისთან ლორე-ტაშირის მეფეთა შთამომავალი კვირიკე და სამეფოს დაბრუნების პირობა მისცა. მისი მმართველობის დროს დაიწყო მზადება სომხურ-ქართული საეკლესიო ურთიერთობების გადასასინჯად.

დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ დემეტრე I კვლავ დაბრუნდა ტახტზე და თანამოსაყდრედ უმცროსი ვაჟი გიორგი გამოაცხადა.

> **წყარო ზ** **XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი დავით V-ის გარდაცვალების შესახებ:**
>
> ზოგიერთები ამბობენ, რომ მეფე დავითი [იგულისხმება დავით V] სუმბატ და ივანე ორბელების ღალატის გამო დაიღუპა, რადგანაც დავითმა მათ ადგილზე თირქაში დანიშნა. ყოველივე ამის შესახებ ისინი წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები დავითის ძმასთან, გიორგისთან.

- *იმსჯელეთ, რატომ შეიძლებოდა, უფლისწულ გიორგის მხარი დაეჭირა თავისი ძმის – მეფე დავით V-ის – მკვლელობისთვის?*
- *შეაფასეთ დემეტრე I-ის საშინაო პოლიტიკა და იმსჯელეთ, რამდენად შეეძლო შექმნილ ვითარებაში დემეტრე I-ს მამის მსგავსი აქტიური პოლიტიკა გაეგრძელებინა?*
- *დიდგვაროვანთა გარდა, კიდევ ვის ინტერესებში შედიოდა სამეფო ოჯახში ამტყდარი შიდადაპირისპირება? რატომ?*
- *მოიყვანეთ მსგავსი მაგალითები განვლილი მასალიდან და იმსჯელეთ, როგორ აისახება შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟზე?*

დემეტრე I მემკვიდრედ უმცროსს ვაჟს, გიორგი III-ს, აცხადებს

დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ, გარეჯის მონასტრიდან დაბრუნებულმა დემეტრე I-მა ტახტი დაიკავა და თანამოსაყდრედ უმცროსი ვაჟი გიორგი გამოაცხადა, რომელიც 1156 წელს, დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ, **გიორგი III-ის** სახელით მეფედ ეკურთხა; მაგრამ მას ტახტის მოცილე ჰყავდა – დავით V-ის ვაჟი **დემნა (დემეტრე)**.

> **წყარო თ** **XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი გვამცნობს:**
>
> დავითმა [დავით V] სიკვდილის წინ დიდებულებს მოუხმო და მათი თანდასწრებით თავისი მცირეწლოვანი ვაჟი დემნა [დემეტრე] ივანე ორბელს ჩააბარა; ხოლო თავისი ძმა გიორგი [გიორგი III] მის მეურვედ დანიშნა და დაუბარა, რომ მას შემდეგ, რაც დემნა სრულწლოვანი გახდებოდა, მისთვის ტახტი უნდა დაეთმო.

- *შენი აზრით, გარდაცვალების წინ რატომ მოუხმო დიდებულებს დავით V-მ და მათი თანდასწრებით რატომ დაუბარა გიორგი III-ს, დემნაზე ეზრუნა?*

ცნობა 3 **გიორგი III-ის საგარეო პოლიტიკა**

გიორგი III ძლიერი და ენერგიული მმართველი გამოდგა. იგი აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებდა: 1160 წელს მან დაამარცხა არზრუმის ამირა, შემდეგ კი შემოიერთა შაჰ არმენის სამფლობელოში შემავალი კაღზევანი. სომხეთის ჩრდილოეთი მიწების შემოერთება ქართული სამეფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან აქ სავაჭრო გზები გადიოდა და ეკონომიკურად ძლიერი რეგიონი იყო. ამის შემდეგ გიორგი III-მ 1161 წელს ანისში ილაშქრა და კვლავ ქართულ სახელმწიფოს შემოუერთა, მაგრამ მალევე მოუწია მისი დათმობა, გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო.

უფლისწულ დემეტრეს მისმა აღმზრდელმა, ივანე ორბელმა, თავისი ქალიშვილი შერთო ცოლად და ამით იგი სამეფო ტახტის პრეტენდენტს დაუნათესავდა. ივანე ორბელი გიორგი III-ის კარზე დაწინაურებული ფეოდალი იყო, ეკავა ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობები. გიორგი III-ის მკაცრი საშინაო პოლიტიკა და ძლიერი მმართველობა არ მოსწონდა ფეოდალთა გარკვეულ ნაწილს, მათ შორის, ორბელთა საგვარეულოს.

უფლისწული დემეტრე ჯანყდება

1177 წელს, ივანე ორბელის დახმარებით, დემნა (დემეტრე) უფლისწული სამეფო ტახტის მისაღებად აჯანყდა. დემნას მომხრეებს დაახლოებით 30 000 მეომარი ჰყავდათ. მათ განზრახული ჰქონდათ, გიორგი III შეეპყროთ და ტახტზე დემეტრე აეყვანათ. გიორგი III-მ აჯანყების შესახებ შეიტყო და თბილისში ჩაკეტვა მოასწრო, საიდანაც აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას შეუდგა. მომხრეებმა მეფის გარშემო დაიწყეს შეკრება. მათ შორის იყვნენ დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული პიროვნებებიც – ყუბასარი და აფრიდონი, რომლებიც გიორგი III-მ აჯანყების ჩახშობის შემდეგ დააჯილდოვა: ნაყივჩაღარ ყუბასარს ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა მიანიჭა, ხოლო აფრიდონს – მსახურთუხუცესობა. აჯანყებულთა წინააღმდეგ გიორგი III-ს, ასევე, *დვალებიც* დაეხმარნენ.. მეფემ ეტაპობრივად მოახერხა მოწინააღმდეგეების დამარცხება. აჯანყებულთა ნაწილი (მაგ., გრიგოლ ანელი, სარგის მხარგრძელი) მის მხარეზე გადავიდა. მათ გიორგი III-მ წყალობა და დაწინაურება აღუთქვა. ბრძოლის პარალელურად, მეფე აჯანყების ლიდერთან, ივანე ორბელთან ცდილობდა მოლაპარაკებას. ამ უკანასკნელმა წამოუყენა მოთხოვნა, რომ სახელმწიფო შუაზე გაეყო და დემნასთან გაენაწილებინა, რაც მეფისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ, ივანე მხარგრძელი და დემნა უფლისწული ლორეს ციხესიმაგრეში აღმოჩნდნენ ალყაშემორტყმულნი. აჯანყებულებმა დახმარების სათხოვნელად თავიანთი წარმომადგენლები მეზობელი მუსლიმური სამთავროს მმართველთან, შაჰ არმენთანაც გაგზავნეს. ერთ ღამეს კი დემნა ციხიდან გაიპარა და ბიძას პატიება სთხოვა, რასაც მალე ციხის დაცემა მოჰყვა. ივანე ორბელი დანებდა და ციხის კარი გაუღო.

შენიშვნა: დვალები *– კავკასიონის ქედზე მცხოვრები ტომი, ზოგიერთი მეცნიერი ქართველებად მიიჩნევს.*

წყარო 0 **ლორეს ციხესიმაგრე, XI ს., სომხეთი**

ლორე 1065-1113 წლებში იყო ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ცენტრი.



გიორგი III-ის ბრძანებით, აჯანყების მეთაურები სასტიკად დასაჯეს. ივანე ორბელი ჯერ დააბრმავეს, შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. იგივე ბედი ეწია აჯანყების ყველა დანარჩენ მონაწილესაც. რაც შეეხება დემნა უფლისწულს, მას თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს, რის შემდეგაც ციხეში ჩააგდეს, სადაც მალევე გარდაიცვალა. ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრებისგან განსხვავებით, რომლებიც გელათის მონასტერში იკრძალებოდნენ, იგი მცხეთაში დაკრძალეს.

დემნა უფლისწულის აჯანყების ჩახშობიდან მალევე, 1178 წელს, გიორგი III-მ თავისი ქალიშვილი თამარი თანამოსაყდრედ გამოაცხადა და ქვეყანას მასთან ერთად მართავდა. გიორგი III 1184 წელს გარდაიცვალა და გელათში დაკრძალეს.

- *იმსჯელეთ კლასში: რატომ არჩევს გიორგი III, რომ თამარი ჯერ თანამოსაყდრედ აიყვანოს?*

წყარო კ **გიორგი III-ისა და თამარ მეფის ფრესკა ვარძიის მონასტერში, XII ს., ასპინძის მუნიციპ.**



წყარო ლ **XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი გვაცნობს დემნა უფლისწულის მიერ მოწყობილი აჯანყების გეგმას და მონაწილეებს:**

მას შემდეგ, რაც დემეტრე [დემნა] სრულწლოვანი გახდა, ივანე ორბელთან, რომელიც ძმასთან და შვილთან თავის სასახლეში იმყოფებოდა, მივიდნენ დიდებულები და დემეტრესთან ერთად მიმართეს ივანეს, რომ შეესრულებინა დავითისადმი [დავით V] მიცემული პირობა – დახმარებოდა დემეტრეს ტახტის დაკავებაში. მათ თქვეს, რომ გიორგი [გიორგი III] იმყოფება *სახატეში* და რომ მზად არიან მის მოსაკლავად. ივანემ მეფის მოკვლაზე თანხმობა არ მისცა და თქვა, რომ ის უნდა შეეპყროთ და იძულებული გაეხადათ, დამორჩილებოდა თავის ძმისშვილს, დემეტრეს, რომელიც მეფე გახდებოდა; [სანაცვლოდ კი] გიორგი *საუფლისწულო მამულს* მიიღებდა.

შენიშვნები: სახატე *– ქართველი მეფეების კოჯორში მდებარე აგარაკი.*

საუფლისწულო მამული *– მეფის მიერ თავისი ვაჟისთვის გადაცემული მიწები.*

- *შენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო აჯანყებულთა მიერ დახმარებისთვის მტრულად განწყობილი მეზობელი სახელმწიფოებისადმი მიმართვა?*
- *იმსჯელეთ გიორგი III-ის პოლიტიკაზე აჯანყებულთა მიმართ.*
- *შენი აზრით, რატომ გამოიჩინა გიორგი III-მ განსაკუთრებული სისასტიკე დემნასადმი?*

1. შეასრულე მოსწავლის რვეულის 1.10 სავარჯიშო – გააანალიზე ბრძოლა ძალაუფლებისთვის დავითის მემკვიდრეებს შორის.

2. იმსჯელეთ კლასში გიორგი III-ის საგარეო პოლიტიკის შესახებ და შეადარეთ ის დემეტრე I-ისა და დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკას.

საკითხი 2. თამარის მეფობა – საქართველოს „ოქროს ხანა“



კომპლექსური დავალება 2

სამიზნე ცნებები

- ძალაუფლება
- ისტორიული წყარო
- დრო (ისტორიული პერიოდი)

საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად აცხადებს კონკურსს 5 ლარის ნომინალის საკოლექციო მონეტების სერიის „საქართველოს მეფეები“ გამოშვების მიზნით. უკვე გამოსულ კოლექციაშია ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლისა და სხვა გამორჩეული მეფეების საკოლექციო მონეტები. პროექტის მიზანია, წარმოაჩინოს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურულ-ისტორიული კონტექსტი და ხელი შეუწყოს წარსულის პოპულარიზაციას.

წარმოიდგინე, რომ კონკურსის მონაწილე დიზაინერი ხარ და მონაწილეობას იღებ საკოლექციო დანიშნულების მონეტის შექმნაში, რომელიც თამარ მეფეს ეძღვნება. შექმენი **თამარ მეფის მონეტის შენეული ესკიზი**, ნამუშევარს თან დაურთე აღწერილობა და ახსენი, რა სიმბოლური დატვირთვა მიანიჭე მონეტის ავერსსა და რევერსზე მოცემულ გამოსახულებებსა თუ წარწერებს.

ნაშრომში ნათლად წარმოაჩინე შემდეგი საკითხები:

- როგორი იყო მმართველობითი სტრუქტურები და მათთვის ბრძოლის ფორმები თამარ მეფის ეპოქაში? რა საშუალებებს იყენებდა მეფე ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის?
- როგორ ცდილობდნენ ცალკეული პირები და საზოგადოებრივი ჯგუფები თამარის წინააღმდეგ ბრძოლას? რით განსხვავდებოდა ეს ბრძოლა ძალაუფლებისთვის ბრძოლის თანამედროვე ფორმებისა და სტრუქტურებისგან?
- როგორ შეიძლება სხვადასხვა წყარომ გადმოგვცეს ინფორმაცია თამარ მეფის მმართველობის შესახებ? რა ფაქტორები განსაზღვრავს თამარ მეფის შესახებ წყაროთა სანდოობას?
- როგორ შეიძლება შევადაროთ წყაროები ერთმანეთს და აღვადგინოთ ნამდვილი ისტორია თამარ მეფის მმართველობის შესახებ?
- რატომ უნდა ვუწოდოთ თამარ მეფის მმართველობას „ოქროს ხანა“? სხვა რომელ ეპოქას შეადარებდი თამარის მეფობის ხანას?
- როგორ აღრიცხავდნენ დროს თამარ მეფის ეპოქის საქართველოში?

14 როგორ აღმოჩნდა პირველად ქალი საქართველოს სამეფო ტახტზე და როგორ გაიმყარა თამარ მეფემ ძალაუფლება?

თამარის მმართველობა საქართველოს ისტორიის გამორჩეული ეპოქაა. გასულ წლებში განვლილი მასალიდან უკვე იცნობ თამარ მეფის მოღვაწეობას, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, რატომ იყო თამარის (1184-1210) გამეფება უპრეცედენტო მოვლენა იმ დროს საქართველოში, რა სირთულეების გადალახვა მოუწია თამარს მმართველობის ადრეულ წლებში, ვიდრე სამეფო ძალაუფლებას გაიმყარებდა.



წინა გაკვეთილიდან უკვე შეიტყვე გიორგი III-ის პერიოდში ფართომასშტაბიანი აჯანყების შესახებ, როდესაც აჯანყებულები ტახტზე დემეტრე (დემნა) დავითის ძის აყვანას ითხოვდნენ. გიორგი მეფის სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ მას ვაჟი მემკვიდრე არ ჰყავდა, დემეტრე კი ტახტის შესაფერისი პრეტენდენტი იყო. გიორგის სურვილი, თავისი ქალიშვილი გაემეფებინა, ფეოდალთა ნაწილში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რადგან ქალის გამეფება ქართული ფეოდალური საზოგადოებისთვის სრულიად უცხო იყო. გიორგი ხვდებოდა, რომ ფეოდალთა წინააღმდეგობა არ შეწყდებოდა, ამიტომ ჯერ კიდევ 1179 წელს თავად აკურთხა თამარი თანამოსაყდრედ, რათა გარდაცვალების შემდეგ თამარის გამეფების საკითხი სადავო არ გამხდარიყო.

დისკუსია

ლეგიტიმურად (კანონიერად) გადასცა თუ არა გიორგი III-მ ტახტი თამარს, ეს საკითხი ისტორიკოსებს შორის დღემდე დავის საგანია. ნაწილი მიიჩნევს, რომ ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე იყო დემეტრე დავითის ძე, ნაწილი კი თამარის მეფედ კურთხევის ლეგიტიმურობას საეჭვოდ არ მიიჩნევს. კლასში მოაწყვეთ დისკუსია და არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნოდა კანონიერად ტახტი.

ფეოდალთა და სამეფო ხელისუფლების დაპირისპირება ამით არ დასრულებულა. 1184 წელს გიორგი III გარდაიცვალა და დიდებულებმა თამარს ხელმეორედ მოსთხოვეს მეფედ კურთხევა, ამჯერად მათი მონაწილეობით. ფეოდალებმა თავიანთი მოთხოვნა თამარს მამიდის, რუსუდანის დახმარებით მოახსენეს და უკვე მეორედ, **თამარი** მეფედ იკურთხა.

წყარო ა **XIII ს-ის ისტორიული თხზულება გიორგი III-ისა და თამარ მეფის შესახებ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მოგვითხრობს დიდგვაროვანთა მიერ თამარის მეფედ კურთხევის შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

მიმართეს [დიდებულებმა] თამარს, რომ დაეკავებინა წინაპართა ტახტი და მიეღო სამეფო გვირგვინი. მთავარეპისკოპოსმა **ანტონ საღირისძემ** დაადგა გვირგვინი, ხოლო, როგორც წესი მოითხოვდა, ლიხთიმერეთის დიდებულებმა გადასცეს სამეფო ნიშნები: რაჭისა და *თაკვერის* ერისთავმა კახაბერმა, სვანეთის ერისთავმა ვარდანისძემ, საღირისძეებმა და ამანელისძეებმა შემოარტყეს ხმალი. შვიდივე მხარის წარმომადგენლებმა და ჯარმა მიულოცეს და მისი სახელი ადიდეს.

შენიშვნები: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ *– „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალი საისტორიო თხზულება, რომლის სახელწოდებიდან ჩანს, რომ ის აღწერს ისტორიას; „აზმა“ ნიშნავს ქებას, ხოტბის შესხმას.*

თაკვერი *– ლეჩხუმის მხარის ისტორიული დასახელება.*

- *იმსჯელეთ კლასში, რატომ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ თამარის მეფედ თავიდან კურთხევის მოთხოვნით ძლიერი ფეოდალები საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებას ახდენენ?*

თამარის ხელმეორედ კურთხევის შემდეგ დიდგვაროვნებმა მას წამოუყენეს მოთხოვნა, რომ თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა გიორგი III-ის მიერ დანიშნული „უგვარონი“, ანუ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები: მანდატურთუხუცესი და ნაყივჩაღარი ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი. დიდგვაროვნებს მიაჩნდათ, რომ „უგვაროთა“ დაწინაურება მათ ღირსებას ლახავდა, რადგან მაღალი თანამდებობები მათ მემკვიდრეობით ეკუთვნოდათ. მეფე იძულებული გახდა, დიდებულთა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და სამეფო ხელისუფლების ერთგული პიროვნებები თანამდებობებიდან გადაეყენებინა. დიდგვაროვნებმა ბრძოლა დაიწყეს გათავისუფლებული თანამდებობების დასაკავებლად.

წყარო ბ **„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვაცნობს დიდებულთა მოთხოვნებს მეფის მიმართ:** *ადაპტირებული წყარო*

აღარ ვაპირებთ წინა მმართველის [გიორგი III-ის] მიერ დავალებული საქმეების შესრულებას. რადგან ჩვენ, დიდგვაროვნები, მეფის ერთგული მსახურები, უსამართლოდ დაგვჩაგრეს და გაგვაძევეს უგვაროებმა.

- *გაიხსენე, რომელი მოვლენის შემდეგ დააწინაურა გიორგი III-მ აფრიდონი და ყუბასარი და იმსჯელე, რატომ იყვნენ ისინი მიუღებელნი დიდებულთათვის?*

ყუთლუ-არსლანი მეფე თამარს „კარვის“ დაარსებას სთხოვს

თამარს ახალი მოთხოვნები წაუყენა დიდებულთა კიდევ ერთმა ჯგუფმა, რომელსაც **ყუთლუ-არსლანი** ხელმძღვანელობდა. დიდგვაროვანთა მთავარი მოთხოვნა ერთგვარი საკანონმდებლო ორგანოს – ***კარვის*** დაარსება იყო, რომელიც ხელისუფლებისგან სრულიად დამოუკიდებელი იქნებოდა. მეფეს თუ აქამდე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ჰქონდა, ამიერიდან ის მხოლოდ აღასრულებდა (დაამტკიცებდა) კარვის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

კარავი – აქ: სახელმწიფო დაწესებულება, საკანონმდებლო და სხვა უფლებებით.

წყარო გ **„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვამცნობს ყუთლუ-არსლანისა და მის მომხრეთა მოთხოვნებს:** *ადაპტირებული წყარო*

ყუთლუ-არსლანმა მოითხოვა „უცხოდ მოსაგონებელი“ (აქამდე გაუგონარი) რამ – სპარსელთა მსგავსად, მათაც დაედგათ კარავი *ისანში* და თქვა: „დავსხდებით შიგნით და განვიხილავთ, როგორც ვინმესთვის წყალობის მინიჭების, ისე მისი დასჯის საქმეებს. გავაცნობთ მეფე თამარს, რომელიც დაამტკიცებს ჩვენს გადაწყვეტილებებს“.

შენიშვნა: ისანი *(არაბ. – ციხესიმაგრე) – დღეს ავლაბრის უბანი თბილისში. ისანში კლდეზე იდგა მეფის სასახლე, კარის ეკლესია და მეტეხის ტაძარი.*

აჯანყებულები, ასევე, მოითხოვდნენ, ყუთლუ-არსლანს ამირსპასალარის თანამდებობა მიეღო. კარავი უნდა გამართულიყო ისანში, სამეფო სასახლესთან ახლოს. თამარმა მიიჩნია, რომ ეს მოთხოვნები სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ და მისი ძალაუფლების შესუსტებისკენ იყო მიმართული, რის გამოც ყუთლუ-არსლანი დააპატიმრეს. თუმცა მისი მომხრეები უკან დახევას არ აპირებდნენ. მათ ჯარი შეკრიბეს და მეფის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისთვის მოემზადნენ. ისინი, პირველ ყოვლისა, ყუთლუ-არსლანის უვნებლად გათავისუფლებას ითხოვდნენ. თამარმა, კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ამბოხებულებთან მოსალაპარაკებლად ორი წარჩინებული და პატივსაცემი ქალბატონი გაგზავნა: ქართლის ერისთავთერისთავ რატის დედა – კრავაი ჯაყელი და *სამძივართა* ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელი – ხუაშაქ ცოქალი. სამწუხაროდ, არ ვიცით მოლაპარაკების დეტალები, თუმცა ვიცით, რომ აჯანყებულებს მეფემ შემდეგი პირობა მისცა: ბრალდებულად მხოლოდ ყუთლუ-არსლანი გამოცხადდებოდა, სხვები კი სასამართლოს წინაშე არ წარდგებოდნენ. ორივე მხარემ დათმო – ყუთლუ-არსლანის მომხრეებმა უარი განაცხადეს კარვის შექმნაზე. სანაცვლოდ, მეფემ სამეფო დარბაზში დიდებულთა რაოდენობა და უფლებები გაზარდა. მეფის მიერ მიღებულ ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტს დაერთო მინაწერი „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა“.

შენიშვნა: სამძივრები *– ფეოდალური საგვარეულო სამცხეში, რომლის სახელი მომდინარეობს მათი მამულის – სამძივრის – ხევის სახელწოდებიდან.*

- *როგორ გესმის ფრაზა „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა“?*
- *შენი აზრით, რაზე შეიძლება მეტყველებდეს ის გარემოება, რომ მოლაპარაკებას ქალები უძღვებიან?*

წყარო დ **როგორ შეაფასა ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა (1876-1940):**

მეფეს უფლებები საქართველოში სრულებით უნდა შეზღუდვოდა და ჩამორთმეოდა, მას მხოლოდ აღმასრულებელი უფლება რჩებოდა. უმაღლეს დაწესებულებას, „კარავში“ დასხდომილთ კი სრული უფლება ენიჭებოდა: მათ ექნებოდათ უფლება „მიცემისა და მოღებისა“, ალბათ ბრძანებისა, ხარჯებისა და მოხსენებისა, ამასთანავე, „წყალობისა და შერისხვისანი“, ანუ უზენაესი მართლმსაჯულების უფლებაც.

წყარო ე **ისტორიკოს ნიკო ბერძენიშვილის (1895-1965) შეფასება ყუთლუ-არსლანის მოთხოვნებისა და მისი მომხრეების გამოსვლის შესახებ:**

ამგვარად, საქართველოს მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის „თანადგომითა და ერთნებობით“ თვალსაჩინოდ იქნა შეზღუდული. საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილებაში მომხდარი ეს დიდად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილებების წინამორბედი და ანალოგიურია, რომლებიც XIII ს-ის დამდეგს ინგლისში მოხდა, როცა იქ „თავისუფლების დიდი ქარტია“ მიიღეს.

ცნობა 1 **ისტორიკოსები დღემდე დავობენ, რას გულისხმობდა ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა. ამის შესახებ შემდეგი მოსაზრებები არსებობს:**

1. ყუთლუ არსლანის მოთხოვნა ხელისუფლების დანაწილებასა და წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის – მსგავსი დაწესებულების შექმნას გულისხმობდა;
2. დიდგვაროვნებისთვის უჩვეულო იყო ქალის მეფობა და არ ენდობოდნენ მას. ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა გულისხმობდა ხელისუფლებაში დიდგვაროვანი დიდებულების როლის გაზრდასა და მეფექალის უფლებების შეზღუდვას;
3. ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა გულისხმობდა სამეფო კარისგან სახელმწიფო მოხელეების გამიჯვნას ისე, როგორც ეს თურქ-სელჩუკების სახელმწიფოში და ისლამის სხვა ქვეყნებში იყო.

- *მასწავლებლის დახმარებით ჩაერთე ცნობა 1-ში წარმოდგენილ სამეცნიერო დისკუსიაში და უპასუხე კითხვებს:*
  - *რატომ დადგა დღის წესრიგში კარვის შექმნა?*
  - *შენი აზრით, ეს იყო რეალურად ხელისუფლების განაწილების პრინციპის მოთხოვნა თუ მეფის წინააღმდეგ მორიგი შეთქმულება?*
  - *შენი აზრით, მსგავსი ფორმის/შინაარსის ორგანო თამარის მეფობის დროს რომ შექმნილიყო, დადებითი შედეგის მომტანი იქნებოდა თუ უარყოფითის?*
- *გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით გამართეთ მსჯელობა კლასში. დაიყავით სამ ჯგუფად და თითოეულმა ჯგუფმა დაიცვას ცნობა 1-ში მოცემული სამი თვალსაზრისიდან ერთ-ერთი.*

თამარის დაპირისპირება საეკლესიო ხელისუფლებასთან

თამარს ტახტზე ასვლიდან მალევე მოუწია დაპირისპირება ქართლის კათალიკოს **მიქაელთან**, რომელსაც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობაც ჰქონდა მისაკუთრებული. მანამდე ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა ეკავა **ანტონ გნოლისთავისძეს**, რომელსაც ორი ძმა მოუკლეს და თანამდებობაც წაართვეს, რის შემდეგაც მოღვაწეობა დავითგარეჯის მონასტერში განაგრძო. საკითხის გადასაჭრელად თამარმა საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე სასულიერო პირები შეკრიბა და საეკლესიო კრება მოიწვია. კრების მთავარი მიზანი იყო მიქაელის კათალიკოსობიდან გადაყენება და მისაკუთრებული თანამდებობების ჩამორთმევა. მიუხედავად იმისა, რომ მიქაელი კრებას არც დაასწრეს, მისი კათალიკოსობიდან გადაყენება ვერ მოხერხდა, თუმცა მას ჩამოერთვა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა, რომელიც კვლავ მის ადრინდელ მფლობელს, ანტონ გნოლისთავისძეს, გადაეცა. საფიქრებელია, რომ მიქაელს საეკლესიო კრებაზე ბევრი მომხრე გამოუჩნდა.

წყარო 3 **თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი გვიყვება საეკლესიო კრების შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

თამარმა იერუსალიმიდან მოიწვია ქართლის ყოფილი კათალიკოსი ***ნიკოლოზ გულაბერისძე***, ასევე, ***ანტონ ქუთათელი***, განთქმული თავისი სათნოებით, საქმიანობითა და ღირსებით; ასევე – მთელი სამეფოდან ბერები და მონაზვნები; საღვთო რჯულის მცოდნეები. კრების მონაწილეებმა არ ისურვეს კათალიკოს მიქაელის მოწვევა, რადგან მას საეკლესიო წესების დარღვევით ჰქონდა მისაკუთრებული ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა.

შენიშვნები: ნიკოლოზ გულაბერისძე *– ქართლის კათოლიკოსი, რომელმაც 1178 წლიდან დატოვა თანამდებობა და მოღვაწეობა განაგრძო ჯერ ათონის მთაზე, ხოლო შემდეგ იერუსალიმში. მას მიიჩნევენ ავტორად ნაშრომისა „საკითხავი სუეტისა ცხოველისაი, კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისა“, რომელშიც საუბარია ქრისტეს კვართისა და წმ. ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების შესახებ.*

ანტონ ქუთათელი (საღირისძე) *– ქუთათელი მთავარეპისკოპოსი.*

- *იმსჯელე, რატომ დასჭირდა თამარს საეკლესიო კრების მოწვევა?*
- *შენი აზრით, რატომ იყო მეფის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი მიქაელ კათალიკოსის გადაყენება ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობიდან?*

თამარის ქორწინებები

1185 წელს დიდებულთა ერთმა ნაწილმა სამეფო კარზე თამარის ქორწინების საკითხი დასვა. თამარის საქმროს შერჩევისას აუცილებლად უნდა გათვალისწინებულიყო, რომ კანდიდატი სამეფო გვარის წარმომადგენელი ყოფილიყო და საკუთარი ქვეყნის დატოვება შეძლებოდა, რადგან თამარი ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი იყო. ქართლისა და თბილისის ამირის, **აბულასანის,** რჩევით, თამარს საქმროდ შეურჩიეს ვლადიმერ-სუზდალის მთავრის,

ანდრია ბოგოლიუბსკის, ვაჟი **იური** (ქართულ წყაროებში ცნობილია, როგორც „გიორგი რუსი“), რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ბიძამ გააძევა და ყივჩაღეთს შეაფარა თავი. თამარი ნაჩქარევი გადაწყვეტილების წინააღმდეგი იყო, თუმცა დიდებულებმა თავისი გაიტანეს. საქმროს ჩამოსაყვანად გაგზავნეს თბილისელი დიდვაჭარი **ზანქან ზორაბაბელი**, რომელმაც გზები კარგად იცოდა და შეძლებდა, ჩუმად და უსაფრთხოდ ჩამოეყვანა თამარის საქმრო საქართველოში. ქორწინება შედგა, თუმცა წარუმატებელი აღმოჩნდა – გიორგი რუსს მრავალი ცუდი ზნე აღმოაჩნდა. ორი წლის შემდეგ თამარმა, თავის მომხრეებთან ერთად, გიორგი რუსს სხვადასხვა ბრალდება წაუყენა და ქვეყნიდან გააძევა. ამ უკანასკნელმა ორჯერ სცადა დაბრუნება: პირველად – დასავლეთ საქართველოს ფეოდალების მხარდაჭერით, რომელთაც გიორგი რუსი მეფედაც კი გამოაცხადეს, თუმცა მძიმე ბრძოლების შემდეგ თამარმა მოწინააღმდეგეების დამარცხება მოახერხა. გიორგი რუსი კვლავ გააძევეს, ხოლო მომხრე ფეოდალებს თანამდებობები ჩამოართვეს. უშედეგოდ დასრულდა მისი მობრუნების მეორე მცდელობაც.

1189 წელს თამარი მეორედ დაქორწინდა ოსთა მეფის შთამომავალ **დავით სოსლანზე**, რომელსაც თამარის მამიდა – რუსუდანი ზრდიდა. იგი ბაგრატიონთა შორეული ნათესავი იყო. თამარს ამ ქორწინებიდან ორი შვილი – გიორგი ლაშა და რუსუდანი – შეეძინა.

● *შენი აზრით, რატომ იყვნენ დიდებულები დაინტერესებულნი, თამარისთვის საქმროდ საკუთარი კანდიდატურა შეეთავაზებინათ?*

ცნობა 2 როგორ ენათესავებოდა დავით სოსლანი ბაგრატიონებს?

ერთიანი საქართველოს მეორე მეფეს, გიორგი I-ს (ბაგრატ III-ის ძეს) მეორე მეუღლედ ჰყავდა ოსთა მეფის ასული ალდე, რომელთანაც შეეძინა ვაჟი დემეტრე. როგორც ვარაუდობენ, დავით სოსლანი სწორედ დემეტრეს ჩამომავალი იყო. მეცნიერთა ნაწილი დავითის ბიბლიურ წარმომავლობას უსვამს ხაზს და ეფრემის ძის შთამომავლად მიიჩნევს.

წყარო 8 თამარისა და დავით სოსლანის სახელით მოჭრილი მონეტა, 1200

ავერსი: *გვერდებზე გამოსახულია აკრონიმები „თამარ“ და „დავით“, ხოლო ცენტრში გამოსახულ ნიშანს ბაგრატიონთა საგვარეულოს ნიშნად მიიჩნევენ;* ***რევერსი:*** *გამოსახულია თამარის სახელი და ტიტულატურა არაბულად: „დედოფალთა დედოფალი, სამყაროსა და რწმენის დიდება, თამარ გიორგის ასული, მესიის* ***ქომაგი****“.*



ქომაგი (სპარს. ქომაქ) – მოსარჩლე, დამცველი, მფარველი, მშველელი, თანამდგომი.

● *შენი აზრით, რატომ იყო გამოსახული მონეტაზე დავით სოსლანის სახელი თამარის სახელთან ერთად?*

1. კლასში დაიყავით ორ ჯგუფად. პირველმა ჯგუფმა არგუმენტირებულად გაამართლოს ფეოდალთა ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც სამეფო კარს წაუყენეს, ხოლო მეორე ჯგუფმა დაიცვას სამეფო კარის ინტერესები და დაამტკიცოს, რატომ იყო მიუღებელი მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება.
2. შენი აზრით, რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საქართველოს მეფეები საეკლესიო კრებების მოწვევის აქტიურ ინიციატორებად გამოდიან?

15/16 რატომ ვუწოდებთ თამარ მეფის მმართველობის პერიოდს „ოქროს ხანას“?

შენ უკვე გაეცანი თამარის მეფობის პირველ პერიოდს, რომელიც შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გართულებით შეგვიძლია დავახასიათოთ. ამ გაკვეთილიდან კი გაეცნობი თამარის მეფობის შემდეგ პერიოდს, რომელიც პოლიტიკური და სამხედრო მიღწევებით ხასიათდება; გაიგებ, რატომ ვუწოდებთ თამარ მეფის მმართველობას „ოქროს ხანას“; შეიტყობ, როგორ მოახერხა ქართულმა სამეფომ, რომელსაც ქალი მეფე ჰყავდა სათავეში, ანგარიშგასაწევი ძალა გამხდარიყო არა მარტო მეზობელი, არამედ შორეული სახელმწიფოებისთვისაც; ასევე, გაეცნობი თამარის ეპოქის კულტურის მიღწევებს.

თამარის საგარეო პოლიტიკა

XII ს-ის 90-იანი წლების დასაწყისიდან ქართულმა სახელმწიფომ აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამ პერიოდიდან ქართველები ხშირად აწარმოებდნენ ომებს მეზობელი მუსლიმური სახელმწიფოების წინააღმდეგ. 1192 წელს ტახტის მემკვიდრის, **გიორგი ლაშას** (გიორგი IV ლაშა, 1210-1223), დაბადების აღსანიშნავად, ქართულმა ჯარმა, დავით სოსლანის სარდლობით, *ბარდავი* და *არზრუმი* დალაშქრა, საიდანაც დიდი რაოდენობით ნადავლი წამოიღეს. სამხრეთით მდებარე თურქულ სამთავროებს, ასევე, ხშირად არბევდნენ ქართველები, ამირსპასალარ **ზაქარია მხარგრძელისა** და მისი ძმის, **ივანეს,** მეთაურობით. თამარის ეპოქის საქართველოს ძლიერება და გავლენა აისახა მის ტიტულატურაშიც – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, შარვანშაჰი და შაჰანშაჰი, მეფეთ-მეფე სრულიად აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრობელი“.

შენიშვნები: ბარდავი *– ქალაქი აზერბაიჯანში.*

არზრუმი *– ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ქართულ წყაროებში მოიხსენიება, როგორც „კარნუ-ქალაქი“.*

ცნობა 1 ვინ იყვნენ ზაქარია და ივანე მხარგრძელები?

თამარის დროინდელ სამხედრო წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს ძმებმა ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა. მათი წინაპრები იყვნენ გასომხებული ქურთები, რომლებიც XI ს-ში ჩასახლებულან ქვემო ქართლში, ტაშირ-ძორაგეტის სომხურ სამეფოში და აქ მიუღიათ მონოფიზიტობა. მემატიანეები აღნიშნავენ მხარგრძელთა განსაკუთრებულ სიმამაცესა და მეომრულ სულს. ზაქარია მხარგრძელი თამარის კარზე ამირსპასალარის თანამდებობამდე დაწინაურდა, ივანე *მსახურთუხუცესი* გახდა, შემდგომ კი სამეფოს უმაღლესი თანამდებობა – *ათაბაგობა* მიიღო. ათაბაგობის მიღებამდე ნებაყოფლობით აღიარა დიოფიზიტობა, ხოლო ზაქარია სიცოცხლის ბოლომდე მონოფიზიტობის ერთგული დარჩა.

შენიშვნები: მსახურთუხუცესი *– სასახლის დაწესებულებათა (მეფის კაბინეტისა და სალაროს) და სამეფო კარზე სამეურნეო საქმიანობის/მომსახურე პერსონალის ხელმძღვანელი.*

ათაბაგი *– ერთიან საქართველოში მეფის მემკვიდრის აღზრდაზე პასუხისმგებელი დიდი მოხელის თანამდებობა, პირველად თამარ მეფის პერიოდიდან ჩნდება.*

წყარო ა თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი მოგვითხრობს თამარის საგარეო პოლიტიკის შესახებ:

ადაპტირებული წყარო

თამარი არ ცდილობდა ახალი ქვეყნებისა და მიწების დაპყრობას, არც მათ მიერთებას, და მას არ სურდა უმეზობლობა, არამედ კმაყოფილი იყო იმ მიწებით, რაც უკვე ჰქონდა. ბევრ სუსტ მეფეს დაეხმარა და დაუბრუნა სამეფო, ბევრი ურჩი კი დაამდაბლა.

- *წყაროს მიხედვით, იმსჯელე თამარის საგარეო პოლიტიკის შესახებ. შეადარე ის დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის საგარეო პოლიტიკას.*

შამქორის ბრძოლა

საქართველოს მეზობლად, ირანის აზერბაიჯანში, რომელსაც ილდეგუზიანთა ფეოდალური დინასტია მართავდა, მმართველის, ყიზილ-არსლანის, გარდაცვალების შემდეგ ტახტის პრეტენდენტებს შორის განსაკუთრებით დაიძაბა სიტუაცია. ტახტისთვის ბრძოლაში **აბუ ბაქრმა** (1191-1210) გაიმარჯვა და ერთპიროვნული მმართველი გახდა, ხოლო მისმა ძმამ, **ამირ-მირანმა,** თავს შირვანში გაქცევით უშველა. აბუ ბაქრმა ძმის წინააღმდეგ აქტიური სამხედრო მოქმედებები დაიწყო და ამის გამო სამხედრო დახმარება სთხოვა ბაღდადის ხალიფას, მეზობელ ამირებს და დიდძალი ლაშქრით საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნისკენ, შირვანისკენ, დაიძრა. საქართველოს სამეფო კარს ყმადნაფიცობის პირობით გარკვეული ვალდებულება ჰქონდა, რომ სამხედრო დახმარება გაეწია შირვანშაჰ **აღსართანისთვის**, რომელიც ამირ-მირანთან ერთად წარდგა მეფის წინაშე, დახმარების თხოვნით. თამარმა დააკმაყოფილა მათი თხოვნა და ლაშქარის შეკრების ბრძანება გასცა.

წყარო ბ **თამარის ეპოქის მემატიანე ბასილი ეზოსმოძღვარი მოგვითხრობს, თუ როგორ ემზადებოდნენ მოწინააღმდეგეები შამქორის ბრძოლისთვის:** *ადაპტირებული წყარო*

ყველა შევიწროებული *სპარსი* უღონობამ მოიცვა. მათ მხოლოდ ერთი გზა ჰქონდათ დარჩენილი – თავი გაეწირათ. ამიტომ შეიკრიბნენ, *შავად შეიღებეს სამოსი* და *სახე* და ეახლნენ ხალიფას, რომელსაც თავისი გასაჭირი აუწყეს. სთხოვეს, ებრძანებინა ყველა მუსლიმისთვის, რომ მათ დახმარებოდა. ხალიფამ დიდძალი თანხა გაიღო იმისათვის, რომ დიდი ლაშქარი შეეკრიბა და ყველა მუსლიმს ომისკენ მოუწოდა.

ეს რომ თამარმა შეიტყო, შეკრიბა ვაზირები და იმსჯელეს. უბრძანა ჭყონდიდელს, ყველასთვის მოეწოდებინა საომრად, რომ სწრაფად შეკრებილიყო ჯარი.

ბრძანების გაცემისთანავე დაიწყო საომარი სამზადისი. ათ დღეში, როგორც შევარდენთა გუნდი, ისე მოვიდა ყველა მხედარი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

შენიშვნები: სპარსი *– აქ: ზოგადად, მუსლიმის სინონიმი.*

შავად შეიღებეს სამოსი და სახე *– სამოსისა და სახის შეღებვა აღმოსავლეთში გლოვისა და დიდი უბედურების ნიშანი იყო.*

წყარო გ **შამქორის ციხე-ქალაქის გალავნის ნაშთები, თანამედროვე აზერბაიჯანი, შამქორის რაიონი**



საქართველოს ლაშქარს დავით სოსლანი სარდლობდა. ბრძოლაში, ასევე, მონაწილეობდნენ ზაქარია და ივანე მხარგრძელები. ბრძოლის წინ ლაშქარი თვითონ თამარმა დალოცა. გადამწყვეტი ბრძოლა 1195 წლის 1 ივნისს შამქორის სიახლოვეს გაიმართა. ბრძოლაში ქართველებს დიდი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ. ქართველებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და ხელში ჩაიდგეს მოწინააღმდეგის დიდძალი ალაფი.

სქემა 1 შამქორის ბრძოლა, 1195



ბრძოლაში თავი გამოიჩინეს შალვა და ივანე ახალციხელებმა. შალვამ ხელში ჩაიგდო არაბთა ხალიფის დროშა, რომელიც თამარმა გელათის მონასტერს შესწირა.

ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ქართულმა ჯარმა განძა დალაშქრა და მოხარკეობის პირობით გადასცა ამირ-მირანს. შამქორთან გამარჯვებამ და განძის აღებამ საქართველოს დიდი ავტორიტეტი მოუპოვა აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის. კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს სამხედრო ძლიერება. მომდევნო პერიოდში საქართველომ უშუალოდ მიიერთა ანისი (1199) და დვინიც (1203), რომელთაც დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგან საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზებზე მდებარეობდნენ.

ცნობა 2 როგორ გაიზარდა XII-XIII სს-ში ქართველთა გავლენა ქ. ანისში?

თამარის მმართველობის დროს, XII ს-ის ბოლოს, ანისში საქართველოს სამეფოს პოზიციები განმტკიცდა. ქალაქში ხელისუფლება მხარგრძელთა გვარს გადაეცა. ცნობილი სარდლები ძმები ზაქარია და ივანე მხარგრძელები ანისის პატრონებად და ქართველთა და სომეხთა ამირსპასალარებად იწოდებოდნენ.

როგორც იცი, ანისი ძველი დროიდან სომხეთის მეფეების დედაქალაქი იყო და იქ მონოფიზიტური ეკლესია წამყვან როლს ასრულებდა ქალაქის სასულიერო ცხოვრებაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც XII ს-დან ქართველთა სამეფოს გავლენა გაიზარდა, აქ ქართველი და სომეხი ქალკედონური (მართლმადიდებელი, დიოფიზიტი) მრევლი მომრავლდა. ანისის მოსახლეობა უშუალოდ საქართველოს სამეფოს იურისდიქციის ქვეშ მოექცა. აქ ნათლად გამოიკვეთა ქართველთა და სომეხთა როგორც სარწმუნოებრივი, ისე კულტურული კავშირებიც, მიმდინარეობდა სომეხი დიდებულების საქართველოს სამეფოს იურიდიულ და სოციალურ სივრცეში ინტეგრაცია. XIII ს-ის დასაწყისში ანისში ქართული საეპისკოპოსოც დაარსდა, რაც იყო შედეგი საქართველოს კათალიკოს ეტიფანეს ანისში ვიზიტისა, როცა ის ადგილობრივ მართლმადიდებელ მრევლსა და ანისის ხუცესთა შორის ატეხილი დავის მოსაგვარებლად ჩავიდა. დავა ეხებოდა საეკლესიო შესაწირავების (ნათლობის, ჯვრისწერის, წესის აგების) გაზრდილ გადასახადებს, რომლებიც კათალიკოსმა მოსახლეობას თავისი განჩინებით შეუმცირა. მან იქ ტაძრებიც აკურთხა. განჩინების ტექსტი ამოტვიფრეს ანისის ქართული ეკლესიის კედელზე. ეს ისტორიული ფაქტი მიგვანიშნებს, რომ საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ანისის ეპარქიაზეც ვრცელდებოდა.

წყარო დ **1. ქართული ეკლესიის ნაშთი, ანისის ნაქალაქარი (თანამედროვე ყარსის პროვინცია, თურქეთი); 2 ეტიფანე კათალიკოსის განჩინების ტექსტი, 1218**

ეპიგრაფიკული წარწერა ქართული ტაძრის ნანგრევების გაწმენდისას აღმოაჩინა ისტორიკოსმა ნიკო მარმა 1910 წელს, ანისის არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრების დროს. დაკარგულია წარწერიანი ქვები, თუმცა შემოგვრჩა წარწერის ფოტოპირი.


1


2

ბასიანის ბრძოლა

მცირე აზიაში არსებული თურქ-სელჩუკთა სამთავროებისთვის, რომლებიც საქართველოს სამხრეთით მდებარეობდა, განსაკუთრებით მიუღებელი იყო საქართველოს ძლიერებისა და გავლენის ზრდა მათი მიმართულებით. ეს სამთავროები ხშირად ესხმოდნენ თავს თავიანთ მოსაზღვრე მიწებს. თავდამსხმელთაგან გამორჩეული იყო რუმის სასულთნო, რომელსაც **რუქნ ად-დინი** (1196-1204) მართავდა. რუქნ ად-დინს შავიზღვისპირეთის ხელში ჩაგდება და აღმოსავლეთში გაბატონება ჰქონდა განზრახული, რასაც ხელს უშლიდა საქართველო, რომელიც საზღვრების გაფართოებას უზღუდავდა და სელჩუკთა საბოლოოდ უკუგდებას ცდილობდა. თუმცა, სანამ საბრძოლველად მოემზადებოდა, რუქნ ად-დინი თამარს საჩუქრებს უგზავნიდა და მშვიდობას ჰპირდებოდა. საქართველოს დასამარცხებლად მან ერზინკის სასულთნოს ტერიტორიაზე შეკრიბა დიდი ჯარი, რისთვისაც დიდძალი თანხა გაიღო. ქართული ციხესიმაგრეების ასაღებად თურქ-სელჩუკებმა საალყო მანქანები მოამზადეს. სამხედრო მზადების დასრულების შემდეგ რუქნ ად-დინმა თამარს მუქარით სავსე წერილი გაუგზავნა.

წყარო ე **თამარის ისტორიკოსი თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მოგვითხრობს რუქნ ად-დინის წერილის შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

რუქნ ად-დინის ელჩმა თამარს ასეთი შინაარსის წერილი გადასცა: „...ყველა ქალი ნამდვილად რეგვენია. შენ გიბრძანებია ქართველებისთვის ხმლის აღმართვა მუსლიმების დასახოცად... ახლა მე გიგზავნი მთელ ჩემს მხედრობას, რათა შენი ქვეყნის მამაკაცები გავჟლიტო. მხოლოდ იმათ მივანიჭებ სიცოცხლეს, ვინც თაყვანს მცემს, ჩემ წინაშე თქვენს ჯვარს დალეწავს და ისლამს აღიარებს“. შემდეგ დარბაზს ზეპირად მოახსენა: „თუ თქვენი მეფე თავის რჯულს უარყოფს, სულთანი მას ცოლად მოიყვანს, ხოლო თუ არა, სულთანი მას *ხარჭად* დაისვამს“. ამ სიტყვების გაგონებაზე წამოდგა ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი და ისეთი სილა გააწნა ელჩს, რომ უგონოდ დასცა ძირს. როცა მოასულიერეს, ზაქარიამ უთხრა: „მოციქული რომ არ იყო, მეფის კადნიერებისათვის ჯერ ენას მოგკვეთდი, მერე – თავსო“. ამ ამბის შემდეგ თამარმა სულთანს წერილობით აცნობა: „ჩვენ მზად ვართ ომისთვის, დაე, აღსრულდეს ღვთის სამართალი!“

ხარჭა – ძველად: ქალი, რომელიც ქორწინების გარეშე ცხოვრობდა მამაკაცთან; საყვარელი.

- *შეაფასე წერილის შინაარსი: რა სახის დაპირისპირებაზეა აგებული რუქნ ად-დინის დამამცირებელი წერილი? სინამდვილეში რა უფრო აღელვებდა სულთანს?*
- *ზოგადად, დიპლომატიურ ურთიერთობებში ელჩები ყველა დროში ხელშეუხებლობით სარგებლობდნენ. შენი აზრით, რამდენად შეიძლებოდა, ზაქარია მხარგრძელის საქციელს კონფლიქტი გაემწვავებინა? პასუხი დაასაბუთე.*

წყარო 3 **თამარის მეორე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი გადმოგვცემს თამარის საპასუხო წერილს რუქნ ად-დინისადმი:** *ადაპტირებული წყარო*

ძლიერი ღმერთის ძალას მინდობილმა და მარად ქალწული მარიამის მავედრებელმა და დიდებული ჯვრის იმედით აღსავსემ წავიკითხე ღვთის განმარისხებელი შენი წერილი, ნუქარდინ [იგულისხმება – რუქნ ად-დინ]...

შენ, ღვთის სასჯელის არმცოდნე, ოქროს მომხვეჭელი ვირების მწყემსთა იმედად ხარ, ხოლო მე არც ჩემი ლაშქრის სიმრავლეს, არც კაცის ხელით ნაკეთებ [საქმეს] არ მივნდობივარ, არამედ იმედი მაქვს, რომ დამეხმარება ძლიერი ღმერთის ძალა და ქრისტეს ჯვარი, რომელსაც შენ გმობ.

ასეთი რამ შემოგითვლია. ვაგზავნი ქრისტეს სახელის მატარებელ ჩემს მხედრობას არა შენთვის ქედის მოსახრელად, არამედ შენი მაგ პირობისა და შენი ქედმაღლობის დასამხობად, რათა შეგაგნებინოს ღმერთმა, რომ არასდროს არ უნდა შეურაცხყო მისი სახელი...

მისცა ასეთი წერილი. მერე შემოსეს, განძი უბოძეს და უკანვე გაგზავნეს სულთნის მოციქული. ხოლო თავად [თამარმა] უბრძანა თავის ყოველ მეომარს, ამხედრებულიყო და თვითონ კი გავიდა ყველაზე მაღალ ადგილზე, საიდანაც ყველაფერს ხედავდა. დიდხანს იყო მუხლებზე დამხობილი და ღვთის წინაშე მტირალი. შემდგომ, როდესაც ადგა, ის ადგილი მისი ცრემლით სრულიად დამბალიყო.

შემდეგ იხმო თავისთან ყველა წარჩინებული და ერისთავებს უბრძანა, რომ მათი ყოველი ქვეშევრდომი მისულიყო წმინდა ჯვართან, თაყვანი ეცა და მთხვეოდა მას... როდესაც ყველამ დაასრულა ჯვრის ასე თაყვანისცემა, [თამარმა] ხელში თვითონ აიღო ჯვარი და თავისი ხმლით საომრად ამხედრებულ ყოველ [მეომარს] მხარზე სამჯერ გამოსახა ჯვრის ნიშანი, დაულოცა [გზა] და ასე გაემართნენ [საბრძოლველად] ღმერთსა და თამარის ცრემლებს მინდობილი [მეომრები].

რუქნ ად-დინის ელჩი სამეფო კარზე იქამდე დააყოვნეს, ვიდრე ქართული ჯარი ჯავახეთში შეიყრებოდა. მეფე თამარი ვარძიაში ჩავიდა და ღვთისმშობელს შეავედრა დავით სოსლანი და ქართული ლაშქარი. ბრძოლა 1202 წელს, ბასიანის ველზე გაიმართა, ქართველთა საერთო ლაშქრის სარდალი დავით სოსლანი იყო. შეტევის წინ სამად გაყოფილ ლაშქარს ზაქარია მხარგრძელი, შალვა და ივანე ახალციხელები სარდლობდნენ. ომში თავიდან ჯარის *ავანგარდი* ჩაება, მას მარჯვენა და მარცხენა ფლანგები მიეშველა. ამ უკანასკნელთა გამოჩენამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტა. თურქთა ლაშქარი უკუიქცა.

ავანგარდი (ფრანგ.) – ჯარის მოწინავე ნაწილი, რომელიც ბრძოლაში პირველი ერთვება.

სქემა 2 **ბასიანის ბრძოლა, 1202**



ქართველებმა გაქცეულ მტერს მანამდე სდიეს, ვიდრე საბოლოოდ არ დაამარცხეს. ქართველებს დიდი სიმდიდრე დარჩათ, მათ შორის, აღმოსავლურ სამყაროში განთქმული სამედიცინო ტრაქტატი „კარაბადინი“, რომელიც, მწიგნობართუხუცესის ბრძანებით, მალევე ითარგმნა ქართულად და დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა სამედიცინო პრაქტიკაში; ქართველებმა მრავალი თურქი მმართველი დაატყვევეს. თამარმა წარჩინებული ტყვე ამირები პირადად მიიღო. ერთ-ერთი მათგანი – ერზინკის ამირა – თბილისში დატოვეს და ცხენის ნალის ფასად გაყიდეს. ასე დამამცირებლად იმიტომ დასაჯეს, რომ იგი რუქნ ად-დინისადმი ერთგულებითა და ქართველთა მიმართ დიდი მტრობით გამოირჩეოდა.

ბასიანის ბრძოლაში გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებისთვის. ამ გამარჯვების შემდეგ საქართველოს საშიში მტერი რეგიონში უკვე აღარ ჰყავდა.

- *როგორ ფიქრობ, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი საქართველოს ლაშქრის წარმატებას?*
- *საგაკვეთილო მასალისა და სქემა 2-ის მიხედვით იმსჯელე ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ.*

რა მნიშვნელობა ჰქონდა ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას საქართველოსთვის?

თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე **ტრაპიზონის იმპერიის** დაარსება, თუმცა ამ სამეფოს შექმნას თავისი წინაპირობები ჰქონდა, კერძოდ: XIII ს-დან ბიზანტიის იმპერიაში შიდაპოლიტიკური სიტუაცია მეტად გართულდა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ცუდად აისახა. ეს იყო პერიოდი, როდესაც 1202 წელს იმპერატორი ალექსი IV ანგელოსი იძულებული გახდა, რომის პაპს ხლებოდა, რათა ტახტის დაბრუნებისთვის დახმარება ეთხოვა. სანაცვლოდ, ალექსი ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობასა და ბიზანტიის ეკლესიის რომისადმი დაქვემდებარებას კისრულობდა. ალექსის აქტიურობამ შედეგი გამოიღო და 1203 წელს მან ტახტი დაიბრუნა, თუმცა მხოლოდ მცირე ხნით, რადგან აჯანყებულებმა იმპერატორი კვლავ დაამხეს. მდგომარეობის გართულების ფონზე ჯვაროსნებმა იერიში მიიტანეს კონსტანტინოპოლზე, სადაც მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდნენ და რასაც **ლათინთა იმპერიის** შექმნა მოჰყვა.

ბიზანტიის იმპერიაში შექმნილი მდგომარეობითა და მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მიმდინარეობით კარგად ისარგებლა საქართველოს სამეფო კარმა. მან აქტიური სამხედრო მოქმედებები დაიწყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროს დასაკავებლად, რომელიც ბიზანტიის შემადგენლობაში იყო მოქცეული. თამარის ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვრის, მტკიცებით, ლაშქრობის საბაბი გახდა ის ფაქტი, რომ ბიზანტიის იმპერატორის, ალექსი III ანგელოსის ბრძანებით გაძარცვეს საქართველოდან მიმავალი თამარის მიერ დასაჩუქრებული საეკლესიო პირები. სამხედრო მოქმედებების შემდეგ ქართულმა ლაშქარმა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო დაიკავა და თამარმა სწორედ დაპყრობილი ტერიტორია გააერთიანა ერთ სახელმწიფოში, რომელსაც სათავეში ბაგრატიონთა ნათესავი **ალექსი კომნენოსი** (1204-1222) ჩაუყენა.

ცნობა 3 როგორ ენათესავებოდნენ კომნენოსები საქართველოს სამეფო კარს?

შენ უკვე იცი, რომ დავით IV აღმაშენებელი აქტიურად იყენებდა დინასტიურ ქორწინებებს სხვადასხვა ქვეყანასთან ურთიერთობაში. მან თავისი ქალიშვილი კატაი ბიზანტიაში გაგზავნა და, როგორც ვარაუდობენ, ბიზანტიის იმპერატორის, ალექსი I კომნენოსის შვილს, ისააკ კომნენოსს მიათხოვა. მათ ეყოლათ შვილი – ანდრონიკე, რომელიც გიორგი III-ის დროს ოჯახით საქართველოს ეწვია. 1185 წლამდე ბიზანტიას კომნენოსთა დინასტია მართავდა, რომლის ბოლო წარმომადგენელი ანდრონიკე კომნენოსი ტახტიდან ჩამოაგდეს, მოკლეს მისი ვაჟი მანუელი და იმპერიის მართვის სადავეები ანგელოსების დინასტიის ხელში გადავიდა. რაც შეეხება ანდრონიკე კომნენოსის შვილიშვილებს (მანუელის ვაჟებს), ალექსიმ და დავითმა თავი საქართველოს სამეფო კარს შეაფარეს. სწორედ ანდრონიკეს შვილიშვილია თამარის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერიის პირველი მეფე – ალექსი I კომნენოსი (1204-1222).

სქემა 3 ალექსი კომნენოსის წარმომავლობა



ტრაპიზონის იმპერიის დაარსება საქართველოს სამეფო კარის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო – უპირველესად იმიტომ, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ჭანური და ქართველთა მონათესავე ტომებით იყო დასახლებული; ასევე, ტრაპიზონის იმპერიას საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი ეკავა და ერთგვარი *ბუფერული სახელმწიფო* იყო დასავლეთიდან ბიზანტიელთა შემოტევების შესაკავებლად.
***შენიშვნა: ბუფერული სახელმწიფო** – დიდ სახელმწიფოებს შორის მდებარე ქვეყანა, რომელიც ერთგვარი შემაკავებლის როლს ასრულებს.*

ტრაპიზონში გამეფებული კომნენოსები დიდ პატივისცემასა და ყურადღებას იღებდნენ ბიზანტიელებისგან და, სანამ ისინი ტრაპიზონის იმპერატორები იქნებოდნენ, რა თქმა უნდა, იარსებებდა ბიზანტიის ტახტის უკან დაბრუნების იდეა; უფრო მეტიც, ტრაპიზონის მმართველები საკუთარ თავს ბიზანტიის იმპერატორებად მიიჩნევდნენ, ამიტომ თამარმა, ტრაპიზონის იმპერიის შექმნით, სამეფო ტახტზე კომნენოსთა ერთგვარი რესტავრაცია მოახერხა. ტრაპიზონის იმპერია საქართველოს გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყანა იყო და, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ტრაპიზონის საიმპერატორო კარზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში საქართველო აქტიურად იყო ხოლმე ჩართული.

ხლათის ქვეყანა

ტრაპიზონის იმპერიის დაარსებისა და იქ ქართული სახელმწიფოს მომხრე მმართველის დასმის შემდეგ საქართველოს სამეფო კარზე კვლავ სამხრეთის მიმართულება გახდა აქტუალური. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ბრძოლა სომხური ქალაქის, ხლათის დასამორჩილებლად, რომელზედაც მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები გადიოდა. ქალაქის დაკავება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხელსაყრელი სავაჭრო გზის ხელში ჩაგდების საშუალებას იძლეოდა, შედეგად კი ქართული სახელმწიფო სავაჭრო ურთიერთობებში შუამავლის როლში გამოვიდოდა.

წყარო 8 ქალაქ ხლათის გალავნის ნაშთები, ვანის ტბის დას. სანაპირო, თურქეთი



- *შენი აზრით, რა სარგებელი ექნებოდა ქართულ სახელმწიფოს, თუკი მნიშვნელოვან სავაჭრო გზებს გააკონტროლებდა?*

ხლათის საემიროს XII-XIII სს-ში შაჰ-არმენების ტიტულით ფლობდნენ თურქ-სელჩუკური დინასტიის წარმომადგენლები. 1204-1206 წლებში ქართულმა ჯარმა რამდენჯერმე ილაშქრა ხლათში, მაგრამ მისი საბოლოო შემოერთება ვერ შეძლო. ქართველთა ლაშქრობამდე ხლათის დაკავება ეგვიპტე-სირიის სახელმწიფოსაც სურდა, რომელსაც ***აიუბიანების დინასტიის*** წარმომადგენელი **სალაჰ ად-დინი (იგივე სალადინი)** (1174-1193) მართავდა, ამიტომ საქართველოსა და აიუბიანების უშუალო შეხების წერტილი ხლათი იყო.
***შენიშვნა: აიუბიანების დინასტიის** ფუძემდებელი იყო წარმოშობით ქურთი სალაჰ ად-დინ იუსუფ იბნ აიუბი (იუსუფ აიუბის ძე). მისი წინაპრები სომხეთის ქალაქ დვინიდან იყვნენ და XII ს-ის პირველ ნახევარში გადასახლდნენ მესოპოტამიის ქალაქ თიქრითში, სადაც დაიბადა სალაჰ ად-დინი. ამ უკანასკნელმა XII ს-ის 70-80-იან წლებში მოახერხა ეგვიპტის, სირიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის დაუფლება და საფუძველი ჩაუყარა ვრცელ სახელმწიფოს.*

წყარო თ **თამარ მეფის „ფიცის წიგნი“, ანუ შეთანხმება ეგვიპტის სულთან, სალაჰ ად-დინთან:** *ადაპტირებული წყარო*

სახელითა მამისა და ძისა და სულიწმიდისა, უფლისა ერთადერთისა!.. ესაა პირობა, რომელსაც ვდებთ და ესაა ფიცი, რომელსაც ვიძლევით. მე, თამარი ვარ, გიორგის ასული, ვამბობ... რომ ამ დღიდან და ამ საათიდან... *მავან-მავანის* ძესთან, [სალაჰ ად-დინთან] კეთილი განზრახვით და კარგი სურვილით ვიქნები, მისი მოყვრის მოყვარე და ვიქნები და მისი მტრის მტერი, სანამდეც ცოცხალი ვარ. და არასოდეს მავანი ქალაქისა და... მისი ციხეების აღებას არ განვიზრახავ და არ ვინებებ არც აშკარად და არც ფარულად და თავს ნებას არ მივცემ, დავიმორჩილო მისი ხალხი და ლაშქარი.

შენიშვნა: მავანი *– ისლამური სამართლის მწერლობაში ხშირია შემთხვევები, როცა კონკრეტული საკუთარი სახელები და გეოგრაფიული პუნქტები დაკონკრეტების გარეშე, ზოგადად – მავანის ძის ან მავანი ქალაქის ან ვილაიეთის ფორმებით აღინიშნება.*

ჩვენამდე არ მოუღწევია სალაჰ ად-დინის საპასუხო წერილს, ამიტომ ძნელია ვივარაუდოთ, თამარის პირობა რა კონკრეტულმა ვითარებამ გამოიწვია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სულთანი თვითონ იყო დაინტერესებული თავისი საზღვრების უსაფრთხოებით. ამ დროს სალაჰ ად-დინი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებოდა ჯვაროსნების წინააღმდეგ და შიშობდა, ქართველებს მისი სამფლობელოებისთვის ჩრდილოეთის მიმართულებით საფრთხე არ შეექმნათ.

- *იმსჯელე, რამდენად დიპლომატიურად და შორსმჭვრეტელურად მოიქცა თამარ მეფე, როცა თავდაუსხმელობის პირობა მისცა აიუბიანთა სულთანს, მაშინ, როცა იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფო დიდი საფრთხის წინაშე იდგა?*

საბოლოოდ, საქართველოსა და აიუბიანების სახელმწიფოს შორის 30-წლიანი ზავი დაიდო. ამ ზავის თანახმად, ეგვიპტის ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, რომ არ შეეხებოდა „წმინდა მიწაზე“ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებსა და ქართველ მომლოცველებს, სანაცვლოდ კი ქართული სახელმწიფო არ განახორციელებდა ლაშქრობებს ეგვიპტის მოკავშირეების წინააღმდეგ. მართალია, ქართულმა მხარემ ვერ შეძლო ხლათის დაკავება, თუმცა სომხეთის სხვა ტერიტორიები შემოიერთა. ამ მხრივ, გამორჩეულია ქალაქ კარის (ყარსის) შემოერთება, რომელიც, ასევე, მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა.

წყარო ი **სალაჰ ად-დინის მონეტა, 1182-1183**

მონეტის ავერსზე გამოსახულია სალაჰ ად-დინის ბიუსტი, თავზე ადგას სასანური დაკბილული გვირგვინი.



- *რა ტიპის წყაროს განეკუთვნება სალაჰ ად-დინის მონეტა? შენი აზრით, როგორ ეხმარებათ ისტორიკოსებს მონეტაზე არსებული წარწერები და გამოსახულებათა დეტალები ისტორიული სინამდვილის დადგენაში?*
- *შეადარე სალაჰ ად-დინის მონეტა თამარ მეფის მონეტას (გაკვ. 14, წყარო ზ), დააკვირდი გამოსახულებათა დეტალებს და იმსჯელე, რა მგავსებასა და განსხვავებას ხედავ მათ შორის? პასუხი დაასაბუთე.*

ლაშქრობა ირანში

მეზობლად მდებარე მუსლიმური სახელმწიფოების მმართველები ვერ ურიგდებოდნენ საქართველოს ასეთ გაძლიერებას, განსაკუთრებით კი იმას, რომ მან სომხური მიწები შემოიერთა. ზოგიერთი მათგანი პერიოდულად თავს ესხმოდა სასაზღვრო ქალაქებს. მათ შორის იყო არდებილის სულთანი, რომელიც *დიდმარხვის* ბოლოს, როდესაც ქრისტიანები აღდგომის დღესასწაულისთვის ემზადებოდნენ, თავს დაესხა ქალაქ ანისს; მომხდურმა მოსახლეობის დიდი ნაწილი დახოცა. საქართველოს სამეფო კარმა საპასუხო ლაშქრობა მოაწყო და მტერს სასტიკი მარცხი აგემა. სულთანი სიკვდილით დასაჯეს, მისი ოჯახი კი ტყვედ წაიყვანეს და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ.

არდებილში ლაშქრობამ საქართველოს სამეფო კარს ნათლად დაანახვა ირანში არსებული მუსლიმური სამთავროების სისუსტე. საქართველოს სამეფო კარმა გადაწყვიტა, ესარგებლა ამ გარემოებით და ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა დაგეგმა. 1210 წელს ქართულმა ლაშქარმა, ზაქარია მხარგრძელის მეთაურობით, ირანის ერთი ნაწილი ბრძოლით გაიარა და ბევრი ქალაქი დაიმორჩილა. ქართულ ლაშქარს იმდენი ალაფი დაუგროვდა, რომ გზის გაგრძელება ვეღარ შეძლო და უკან დაბრუნდა. ირანში ლაშქრობამ საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა.

დიდმარხვა – შვიდკვირიანი მარხვა აღდგომის დღესასწაულის წინ.
ალაფი – ლაშქრობაში ნაშოვნი ქონება, ნადავლი.

წყარო 3 საქართველო XIII ს-ის დამდეგს



- *შეადარე ეს რუკა დავით IV-ის ეპოქის ამსახველ რუკას და იმსჯელე, როგორ შეიცვალა საქართველოს საზღვრები.*
- *ჩამოთვალე საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფი: ა) ქვეყნები, ბ) ხალხები.*
- *რუკის დახმარებით იმსჯელე, რა სახის სარგებლობას იღებდა ქართული სახელმწიფო სომხური ქალაქების დაუფლებით? რა სახის გამოცდილებას შესძენდა მას უცხო ეთნიკური ჯგუფების (ამ შემთხვევაში – სომხურის) მართვა-გამგეობა?*

თამარის საშინაო პოლიტიკა

თამარის მეფობის პერიოდში საქართველოში მშვიდობა სუფევდა და მოსახლეობა უსაფრთხოდ ცხოვრობდა. პოლიტიკურ წარმატებებთან ერთად, სახელმწიფომ მკვეთრ ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწია. დაწინაურდა ხელოსნობა, ვაჭრობა, რამაც საქალაქო ცხოვრების აღმავლობა განაპირობა. საერთაშორისო სავაჭრო გზების კონტროლი ვაჭრობის განვითარების საშუალებას იძლეოდა. საქართველოში აღმოჩენილია სხვადასხვა ქვეყნის მონეტები, რომლებიც კონტაქტების ინტენსიურობაზე მეტყველებს. თამარის ბრძანებით გაჰყავდათ სარწყავი არხები, რომელთა საშუალებითაც სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა. თამარის მეფობის პერიოდში დაიხვეწა მმართველობის სისტემა, რომელშიც დიდი როლი ჰქონდა სამოხელეო აპარატს. იმ პერიოდის ქართული სამოხელეო სტრუქტურა ორ ნაწილად იყოფოდა – ერთი უშუალოდ სამეფო კარზე მსახურობდა, ხოლო მეორეს ცალკეული მხარეების მართვა-გამგეობა ევალებოდა.

სამეფო ხელისუფლების გავლენის ზრდასა და მთაში ფეოდალური წესწყობილების დამყარებას დაუპირისპირდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა და ზოგიერთი კავკასიური ტომიც. XII ს-ის დასაწყისში *დიდოელები* და *ფხოველები* აჯანყდნენ, მათ მეფის მოხელეების შევიწროვება დაიწყეს. თამარ მეფემ აჯანყების ჩახშობა ათაბაგ ივანე მხარგრძელს დაავალა, რომლის სამეფო ჯარს მთის ზოგიერთი თემისა და ჩრდილოეთ კავკასიაში დაქირავებული რაზმებიც ეხმარებოდნენ. სამთვიანი ბრძოლის შემდეგ ათაბაგმა აჯანყების ჩახშობა მოახერხა და დიდოელებმა და ფხოველებმა ზავი ითხოვეს. მათ მორჩილების ნიშნად მძევლები გადასცეს მეფეს და გადასახადების გადახდა და ერთგული სამსახური იკისრეს.

შენიშვნები: დიდოელები *– ერთ-ერთი დაღესტნური ტომი.*

ფხოველები *– აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის – ფშაველებისა და ხევსურების – ისტორიული დასახელება.*

წყარო ლ თამარის პირველი ისტორიკოსი თამარის დროინდელი ყოფისა და მეფის პიროვნული თვისებების შესახებ

ადაპტირებული წყარო

1. თამარის დროს ეპისკოპოსები და ეკლესიები აივსო უხვი შესაწირავით, მიწის მუშაკები გააზნაურდნენ, აზნაურები გადიდებულდნენ, დიდებულნი კი გახელმწიფდნენ.
2. თამარი ყოველთვის ახერხებდა ქვეშევრდომებს შორის უკმაყოფილების მოგვარებას მათი დაყოლიებითა და მშვიდობიანი მოლაპარაკებით.
3. თამარი ვერ გაანებივრა ვერც გვირგვინოსნობამ, ვერც სიმდიდრემ, ვერც ძლევამოსილი ჯარის ყოლამ. მეფეს მუდამ ახსოვდა გაჭირვებულები, რომლებსაც ყოველთვის უწევდა დახმარებას, მაგრამ ისე, რომ არაფერს აკლებდა სამეფო შემოსავლებს. იგი საკუთარი ხელით ქარგავდა (ხელთსაქმარს ამზადებდა), ყიდდა ნამუშევარს და მიღებულ ფულს გაჭირვებულებს ურიგებდა.

წყარო მ გიორგი IV ლაშას მემატიანე თამარის მმართველობის შესახებ:

ადაპტირებული წყარო

თამარმა სამეფოს ერთიანობა დაიცვა – ყველას კეთილად ეპყრობოდა და მშვიდობას ინარჩუნებდა ქვეყანაში.

წყარო ნ თამარის მეორე ისტორიკოსი თამარის ლმობიერების შესახებ:

ადაპტირებული წყარო

თამარის მეფობაში აილაგმა ძალმომრეობა, არავინ ისჯებოდა სიკვდილით, გარდა ავაზაკებისა, რომელთა მიმართ „ძველი აღთქმის“ რჯული ადგენს ძელზე გაკვრას. თვით თამარი თავს არიდებდა სიკვდილით დასჯასა და სასტიკ წამებას, აგრეთვე – სხეულის დასახიჩრებას.

- *ლ-ნ წყაროების მიხედვით დაახასიათე თამარი, როგორც ქვეყნის მმართველი. შეაფასე, მისი, როგორც პოლიტიკოსისა და როგორც პიროვნების, თვისებები.*
- *შენი აზრით, რა განაპირობებს წყაროს ავტორთა მიერ თამარ მეფის ამგვარად შეფასებას?*
- *როგორ ფიქრობ, შეიძლება ეს წყაროები სანდოდ მივიჩნიოთ? მოიყვანე არგუმენტები.*

თამარის ეპოქის კულტურა

თამარის ეპოქა გამორჩეულია ქართული კულტურის აყვავებისა და განვითარების თვალსაზრისით. მისი მმართველობის პერიოდი საერო ლიტერატურის განვითარებით, ასევე, ქართული მხატვრობის, ჭედური ხელოვნებისა და არქიტექტურის აღმავლობით აღინიშნა. თამარის ეპოქაში დაიწერა **შოთა რუსთაველის** „ვეფხისტყაოსანი“, **მოსე ხონელის** „ამირანდარეჯანიანი“, უკანასკნელი ფეოდალურ-რაინდული ტიპის რომანია და მასში, ფიზიკურის გარდა, რაინდის ზნეობრივი მახასიათებლებიცაა მოცემული. XII ს-ის სახოტბო პოეზიიდან მნიშვნელოვანი ძეგლებია: **იოანე შავთელის** „აბდულმესიანი“ და **ჩახრუხაძის** „თამარიანი“. ორივე ავტორი სამეფო კართან დაახლოებული პირი იყო. იოანე შავთელი ბასიანის ბრძოლის დროს თამარ მეფეს ახლდა ვარძიასა და ოძრხეში. მკვლევართა ვარაუდით, ავტორმა სწორედ ბასიანის ბრძოლაში გამარჯვებას მიუძღვნა თავისი თხზულება, რომელიც თამარისა და დავით სოსლანის ხოტბას წარმოადგენს. მისი მთავარი პერსონაჟია მეფე თამარი, იგივე „აბდულმესია“ (არაბ. აბდ ალ-მესიჰ – ქრისტეს მონა). რაც შეეხება „თამარიანს“, ისიც თამარს მიეძღვნა და მასში ავტორი ხოტბას ასხამს დავით სოსლანსა და გიორგი IV ლაშას. ამავე პერიოდში დაწინაურდა ისტორიოგრაფია. ჩვენამდე მოღწეულია ორი თხზულება, რომლებშიც აღწერილია თამარის მეფობა. პირველის – „ისტორიანი და აზმანი შავარანდედთანი“ – ავტორი უცნობია, ხოლო მეორის – „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი“ – ავტორად **ბასილი ეზოსმოძღვარს** მიიჩნევენ. თამარის ეპოქაში აიგო ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი, ასევე: ბეთანია, ყინწვისი (XIII ს-ის დასაწყისი), ბერთუბანი (XIII ს-ის დასაწყისი) და სხვ. ფრესკული ხელოვნების გამორჩეული ნიმუშებია ვარძიის, ბეთანიის, ყინწვისისა და ბერთუბნის ფრესკები, რომლებზეც თამარის გამოსახულებებიც არის შემონახული. ქართული ოქრომჭედლობის გამორჩეული ნიმუშია ხახულის ხატი. ამ ეპოქის ცნობილი ოქრომჭედლები არიან **ბექა და ბეშქენ ოპიზრები**, რომელთა შესრულებულია, მაგ., წყაროსთავის სახარების ყდა, ანჩისხატის მოჭედილობა და ბერთის სახარების ყდა.

წყარო ო **ბეთანიის მონასტერი, XII-XIII სს, თბილისის მთაწმინდის რ-ნი**



წყარო პ **თამარის ფრესკა ყინწვისის მონასტრიდან, XIII ს., ქარელის მუნიციპ.**



წყარო შ გიორგი ლაშასა და თამარის ფრესკები ბერთუბნის მონასტერში, დაახლ. 1210, საგარეჯოს მუნიციპ.



წყარო რ მარცხნიდან: გიორგი IV ლაშას, თამარ მეფისა და გიორგი III-ის ფრესკები ბეთანიის მონასტერში, თბილისის მთაწმინდის რ-ნი

სამეფო წევრები ვედრების პოზაში არიან გამოსახულნი. აქაც, ისევე, როგორც ვარძიაში, თამარ მეფე და გიორგი III ბიზანტიელ იმპერატორთა საზეიმო კოსტიუმებში არიან შემოსილნი, ხოლო თამარის შვილს – გიორგი ლაშას – აცვია მოკლე, წელში გამოყვანილი კაბა და ზედ ქამრით ხმალი აქვს შემორტყმული. მას, თამარ მეფისა და გიორგი III-ის მსგავსად, თავზე გვირგვინი ადგას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეფედ კურთხევის დროს აუცილებელი იყო ხმლის შემორტყმაც, მაშინ ეს ფრესკა შექმნილი უნდა იყოს ლაშა გიორგის მეფედ კურთხევის დროს, ანუ 1207 წელს.



- *ძალაუფლების რომელ ნიშნებს ხედავ ქართველ მეფეთა გამოსახულებებზე (წყაროები პ, შ, რ)? რაზე უნდა მიანიშნებდეს ის გარემოება, რომ მათ ბიზანტიელ იმპერატორთათვის დამახასიათებელი სამოსი მოსავთ?*
- *ამ და განვლილ გაკვეთილებში არსებული ფრესკული წყაროების მაგალითზე იმსჯელე, რა მხრივ გვეხმარება ისინი ისტორიული სინამდვილის დეტალების აღდგენაში?*

წყარო ს ბერთის II სახარების ვერცხლის მოოქროვილი ზედა და ქვედა ყდები, მოჭედილი ბეშქენ ოპიზრის მიერ, XII-XIII სს., ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი







წყარო ტ გელათის ოთხთავის დასაწყისი გვერდი, XII ს. ხელნაწერი გამშვენებულია 254 მინიატურით. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

წყარო უ მინიატურა გრიგოლ ღვთისმეტყველის ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო თხზულებების ხელნაწერიდან, თარგმნილი XI ს-ში, ხელნაწერი გადაწერილი და მინიატურებით გამშვენებულია XII ს-ში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



- *იმსჯელე თამარის ეპოქის კულტურულ ცხოვრებაზე.*

ქალის უფლებები შუა საუკუნეების საზოგადოებაში

თავისუფალი საზოგადოების ერთ-ერთი საზომი ქალის უფლებებია. შუა საუკუნეების ქრისტიანულ ქვეყნებში ქალის გამეფების არაერთი შემთხვევაა ცნობილი. ამ ნიშნით ერთ-ერთი პირველი თამარ მეფეა, თუმცა ყველა ამგვარი შემთხვევა სამეფო ოჯახის მემკვიდრე ქალს გულისხმობს, რომელიც სამეფო გვარის დინასტიური სიწმინდის გამო მამაკაცის თანასწორად აღიქმებოდა. ამგვარი მიდგომა ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სიტყვებშიც: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. ქალის მეფობა უცხოა ისლამის ქვეყნებისთვის.

ქალის უფლებების ნათელსაყოფად კიდევ უფრო საინტერესოა შუა საუკუნეების საქორწინო ტრადიციები. სამეფო ოჯახები და ყველა სხვა წოდების წარმომადგენლები მტკიცედ იცავდნენ თანაბარი ქორწინების პრინციპს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქორწინებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო წოდების შიგნით არსებული იერარქიაც.

წყარო 3 XVIII ს-ის ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი თანაბარი ქორწინების წესის შესახებ საქართველოში:

წესად აქვთ ქორწინება თანასწორთა შორის. მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა.

- *რა გავლენა შეეძლო მოეხდინა თანაბარ საგვარეულოთა ნათესაობას შუა საუკუნეების ქვეყნების პოლიტიკურ სტაბილურობაზე?*
- *შენი აზრით, თანაბარი ქორწინების წესის არსებობა უტოვებდა თუ არა ქალ-ვაჟს შესაძლებლობას თვითონ ამოერჩიათ ერთმანეთი? ამ მხრივ საზოგადოების რომელი ფენა იქნებოდა უფრო თავისუფალი? რატომ?*

1. ტექსტისა და წყაროების მიხედვით, იმსჯელე, როგორ ცხოვრობდნენ და რას საქმიანობდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები თამარის ეპოქაში?
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის სავარჯიშო 2 ქორონიკონის შესახებ.
3. გაეცანი საინტერესო საკითხავს ვალსპერგერის მსოფლიოს რუკის (1448) შესახებ.

1.2 საქართველოს სამეფოს დასუსტების პერიოდი



ამ ქვეთემის მიზანია, გაეცნო, როგორ ჩაიშალა მეხუთე და მეექვსე ჯვაროსნულ ლაშქრობებში ქართველთა მონაწილეობის იდეა და რა როლი მიუძღოდა მონღოლების ერთსაუკუნოვან ბატონობას საქართველოს სამეფოს დასუსტებაში. გააანალიზებ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო გიორგი ბრწყინვალის მიერ გატარებული ღონისძიებები ფეოდალთა თვითნებობის აღსაკვეთად; მონღოლთა ბატონობის შედეგად ჩამოშლილი მმართველობის სისტემის რეორგანიზაციისთვისა და საქართველოს ერთიანობის აღდგენისთვის. ქვეთემიდან შეიტყობ, ასევე, საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ დასავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით, რომის პაპ იოანე XXII-სთან, რომელიც მაქსიმალურად ცდილობდა, ქართველთა მეფე დაეთანხმებინა, რათა ქართული ეკლესია რომის კათოლიკე ეკლესიაში გაერთიანებულიყო. დასასრულს, შეიტყობ, კვლავ როგორ დაადგა გიორგი ბრწყინვალის მიერ შექმნილი ერთიანი სამეფო დასუსტებისა და დაშლის გზას და რა როლი მიუძღოდა ამაში თემურლენგის ლაშქრობებს.

საკითხი 3. საქართველოს სამეფო და ჯვაროსნული ლაშქრობები



კომპლექსური დავალება 3

სამიზნე ცნებები

- ისტორიული მოვლენა/პროცესი
- ისტორიული წყარო

შენ უკვე იცი, რომ XI-XIII საუკუნეები ჯვაროსნული ომების ეპოქაა, რომელშიც დასავლური ცივილიზაცია აღმოსავლურს დაუპირისპირდა ქრისტიანული წმინდა ადგილების მუსლიმთა ბატონობისგან გათავისუფლების მიზნით. უცხოური და ქართული ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ჯვაროსნული ეპოქის დასაწყისიდან ქართველთა სახელმწიფო მზადყოფნას აცხადებდა, დასავლეთის სახელმწიფოებთან ერთად ჩართულიყო მისიაში.

წარმოიდგინე, რომ ხარ მეცნიერ-მკვლევარი და წიგნისთვის „ქართული დიპლომატიის ისტორია“ დაგევალა, შეისწავლო საქართველოს სამეფოს დამოკიდებულება ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი, ასევე, მოამზადო **ნარკვევი**, რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოადგენ XI-XIII სს-ში ქართულ-ჯვაროსნული კონტაქტების ციკლს.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- როგორ აღმოჩნდნენ თურქული მომთაბარე ტომები ამიერკავკასიაში და რა გავლენა იქონიეს მათ საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებაზე?
- რა მიზეზების გამო მიიპყრო ქართველ მეფეთა ყურადღება ჯვაროსნული ლაშქრობების დროს მომხდარმა მოვლენებმა და როგორ იყენებდნენ ისინი ჯვაროსნული ომების შედეგებს ქვეყნის ინტერესებისთვის?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის ქართველ მეფეთა კავშირებს ჯვაროსნებთან და რა განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს ისტორიკოსთა შორის ამ ურთიერთობის შესახებ?
- რა ინფორმაციას გვაწვდიან ქართული და უცხოური წყაროები თურქ-სელჩუკთა ლაშქრობებისა და მათი შედეგების შესახებ?
- რას და როგორ მოგვითხრობენ წყაროები ქართველი მონარქების ჯვაროსნებთან კავშირის შესახებ? რამდენად სანდოა ისინი? რამდენად ავსებენ ერთმანეთს?
- წყაროთა ინტერპრეტაციის მიხედვით, რა დადებითი ან უარყოფითი გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა საქართველოზე ჯვაროსნებთან ურთიერთობას?

17/18 რამ შეუშალა ხელი ქართველების მონაწილეობას მეხუთე და მეექვსე ჯვაროსნულ ლაშქრობებში?

„ჯვაროსნული ლაშქრობების“ სახელით მოიხსენიებენ შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ დაპირისპირებას ევროპის ქვეყნებსა და მუსლიმურ სახელმწიფოებს შორის, რომელიც XI-XIII სს-ში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარეობდა. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისას მუსლიმურმა სახელმწიფოებმა ჯვაროსნებს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, რაც ახლო აღმოსავლეთში ახალი ევროპული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებით დასრულდა. ქართველი მეფეები ჯვაროსანთა წარმატებებს საქართველოსთვის სასიკეთოდ იყენებდნენ: განვლილი მასალიდან ალბათ გახსოვს, რომ ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღება 1099 წელს დავით აღმაშენებლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარეო ფაქტორი იყო, რომელზე დაყრდნობითაც მან თურქ-სელჩუკებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა; IV ჯვაროსნული ლაშქრობისას კონსტანტინოპოლის აღებით კარგად ისარგებლა საქართველოს სამეფო კარმა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპიზონის იმპერია დააარსა; მეხუთე და მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობების დროს კი ქართველ მეფეებსა და ჯვაროსნებს შორის დიპლომატიური კონტაქტები შედგა, რის შესახებაც უფრო დეტალურად ამ გაკვეთილიდან შეიტყობ.

როგორც უკვე იცი, რომის პაპის, ინოკენტ III-ის მიერ 1213 წელს გაცხადებული იდეა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის შესახებ მისმა მემკვიდრემ, პაპმა ჰონორიუს III-მ განახორციელა. თუმცა 1217 წლიდან სირია-პალესტინაში დაწყებული საომარი კამპანია იერუსალიმის გასათავისუფლებლად წარუმატებლად დაიწყო, ამიტომ იერუსალიმის მეფის, ჟან დე ბრიენის გეგმით, ჯვაროსანთა რაზმები ზღვით ეგვიპტეში გადასხდნენ და ქალაქ დამიეტას ალყა შემოარტყეს, რათა უშუალოდ დამუქრებოდნენ აიუბიანთა სახელმწიფოს.

1219 წელს, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, ეგვიპტეში, *დამიეტას* კედლებთან მდგომ ქრისტიანებს ძალიან გაუჭირდათ. ქალაქის აღებას ისინი უკვე ორი წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ. ერთი მხრივ, *ეგვიპტის სულთანს* ციხე-ქალაქი კარგად ჰქონდა გამაგრებული, მეორე მხრივ, რთული კლიმატური პირობები, ჯვაროსანთა ბანაკში სურსათისა და წყლის უკმარისობა, მეომრებს შორის გავრცელებული ეპიდემიები მათ ძალებს ძალიან ასუსტებდა.

ჯვაროსანთა მეთაურებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ევროპიდან დამხმარე ძალას მიიღებდნენ. განსაკუთრებით ეიმედებოდათ გერმანიისა და საღვთო რომის იმპერატორ ფრიდრიხ II-ის დახმარება – ელოდნენ, რომ თვით იმპერატორი ეგვიპტეში დიდი სამხედრო რაზმებით ჩამოვიდოდა. ამავე დროს, **რომის პაპმა ჰონორიუს III-მ** დახმარება სთხოვა საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშას. ამასთან, ქართველები აიმედებდნენ პაპს, რომ სირიის მიმართულებით გაილაშქრებდნენ, ეს კი ქართველთა მხრიდან აიუბიანთა სახელმწიფოსთვის ომის გამოცხადებას ნიშნავდა და ადრინდელი, ჯერ კიდევ მეფე თამარის დროინდელი პოლიტიკის ცვლილებას გულისხმობდა. საქმე ისაა, რომ თამარ მეფის მმართველობის დროს საქართველოს სამეფო ახლო აღმოსავლეთის ამ უძლიერეს ისლამურ სახელმწიფოსთან სამხედრო კონფრონტაციას გაურბოდა და ამ საგარეო-პოლიტიკურ კურსს საფუძვლად იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება ედო. როგორც განვლილი მასალიდან იცი, თამარ მეფეს დიპლომატიური კონტაქტები ჰქონდა სალაჰ ად-დინის ხელისუფლებასთან; გეხსომება „ფიცის წიგნი“ – დოკუმენტი, რომელშიც ქართველთა მეფე პირობას დებდა, რომ აიუბიანთა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს შეინარჩუნებდა.

შენიშვნები: დამიეტა *– ქალაქი ეგვიპტეში, ნილოსის შესართავთან მდებარე მნიშვნელოვანი პორტი. მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში შეიძინა. ადგილმდებარეობის გამო მას ეგვიპტის გასაღებს უწოდებდნენ.*

ეგვიპტის სულთნის... *– ეგვიპტის სულთანი ალ-ქამილი, სალაჰ ად-დინის ძმისშვილი. სალაჰ ად-დინის გარდაცვალების შემდეგ, მის მიერ შექმნილი ვრცელი სახელმწიფო, ეგვიპტიდან სამხრეთ კავკასიამდე, ერთიან ცენტრალიზებულ მონარქიას არ წარმოადგენდა. ის გაიყო მის შვილებს, ძმებსა და ძმისშვილებს შორის.*

წყარო ა **სალაჰ ად-დინის XII-XIII საუკუნეების არაბი მემატიანე ბაჰა ად-დინ იბნ შადადი წმინდა ჯვრის გამოხსნის მცდელობების შესახებ:**

სალაჰ ად-დინმა უარი უთხრა ინგლისისა და ბიზანტიის მეფეების ელჩებს და ასევე უარით გაისტუმრა ქართველთა მეფის ელჩი, რომელიც **წმინდა ჯვრის** დასახსნელად 200 000 დინარს სთავაზობდა.

ცნობა 1 **რა იყო „წმინდა ჯვარი“?**

წმინდა ჯვარი სინამდვილეში ნაწილი იყო იმ ძელისა, რომელსაც იესო ქრისტე აცვეს და რომელიც მუსლიმებს ჩაუვარდათ ხელში 1187 წელს ჰატინთან ბრძოლის შემდეგ, როცა სალაჰ ად-დინმა იერუსალიმის მეფის, გი დე ლუზინიანელის, არმია დაამარცხა. ამ ჯვრის შემდგომი ბედი ბურუსითაა მოცული. ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული სალაჰ ად-დინისაგან მის დაბრუნებას ითხოვდა. მეფე პირობას დებდა, რომ, თუ ეგვიპტელები ქრისტიანებს ამ ჯვარს დაუბრუნებდნენ, მათ შორის მშვიდობა ჩამოვარდებოდა, მაგრამ სულთანმა თხოვნის შესრულებაზე უარი განუცხადა. სხვადასხვა ცნობით, სალაჰ ად-დინი ამ ჯვრის დაბრუნებას ბიზანტიელებს დაჰპირდა და თითქოს ზღვით გაუგზავნია კიდეც კონსტანტინოპოლში, მაგრამ ის პიზელ მეკობრეებს გაუტაციათ და კორსიკაში წაუღიათ, შემდგომში კი გენუელებს დაუსაკუთრებიათ. ამ ჯვრის დაბრუნების საკითხი, ასევე, გერმანიის იმპერატორმა, ფრიდრიხ II-მ დააყენა აიუბიანებთან მოლაპარაკებისას.

- *გაიხსენე, რა სახის პრივილეგიები მიანიჭა ეგვიპტის სულთანმა სალაჰ ად-დინმა ქართველებს „წმინდა მიწაზე“? როგორ ფიქრობ, რატომ იყო ქრისტიანებისთვის ასეთი მნიშვნელოვანი „წმინდა ჯვარი“?*
- *შენი აზრით, რამდენად შეიძლებოდა დაპირისპირების საბაბი ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის სწორედ „წმინდა ჯვრის“ დაბრუნების საკითხი გამხდარიყო?*

წყარო ბ **XIII ს-ის საუკუნეების მოღვაწე, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი გამორჩეული სულიერი წინამძღოლი ჟაკ დე ვიტრი თავის ნაშრომში „აღმოსავლეთის ისტორია“ ქართველების შესახებ მოგვითხრობს:**

აღმოსავლეთში, ასევე, არის სხვა ქრისტიანი ხალხი; ისინი არიან მეომარნი, მამაცნი ბრძოლებში, მტკიცე აგებულების და ძლევამოსილნი თავიანთ ურიცხვ მეომართა გამო. ეს ხალხი იწოდება გეორგიანელებად, რადგან ისინი განსაკუთრებულ თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის, რომელსაც პატრონად, ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლებში საკუთარ მედროშედ და ყველა წმინდანზე უფრო საპატივცემულოდ მიიჩნევენ. როცა ისინი წმინდა საფლავის მოსალოცად მოდიან, წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით შემოდიან და ამისთვის ხარკსაც არავის უხდიან. თუკი *სარკინოზები* [იგივე სარკინოზები] თავიანთი უგნურების გამო გაბედავენ, შეაწუხონ ისინი, უკანა გზაზე, თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებულები, მიუზღავენ სამაგიეროს თავიანთ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებზე თავდასხმით.

შენიშვნა: სარკინოზები – *სარკინოზებს ბერძნული და ლათინური წყაროები სარაცინებად მოიხსენიებდნენ. ბერძენი და რომაელი მწერლები სარაცინებს არაბეთისა და სირიის უდაბნოთა მოსახლეობას, როგორც აღმოსავლეთის ხალხს, უწოდებდნენ. შემდგომში, შუა საუკუნეების ევროპაში, მათი სახელწოდება, ზოგადად, მუსლიმების აღმნიშვნელი გახდა. ასევე, სარაცინის სინონიმად ხშირად გამოიყენებოდა „მავრი“. სარაცინები სარაინდო ეპოსის მუდმივი პერსონაჟები იყვნენ და რადგან XI-XIII სს-ის ეპოსებს საფუძვლად, ძირითადად, ჯვაროსნული ლაშქრობები ედო, ტერმინი „სარაცინი“ ქრისტიანთა საერთო მტრის აღმნიშვნელად იქცა. შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში სარაცინებს ხშირად სარკინოზების სახელით მოიხსენიებდნენ და ამ სიტყვას, ზოგადად, მუსლიმის აღსანიშნავადაც იყენებდნენ.*

- *ამ წყაროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოთქვი ვარაუდი – როგორ ახასიათებს თამარ მეფესა და საქართველოს სამეფოს ის ფაქტი, რომ სალაჰ ად-დინმა ქართველ მეფეს თხოვნა შეუსრულა და ქართველებს იერუსალიმის ეკლესია-მონასტრები დაუბრუნა.*

რა პოზიცია ჰქონდა საქართველოს მეხუთე და მეექვსე ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობასთან დაკავშირებით?

შემდგომში, XIII ს-ის დასაწყისში, სალაჰ ად-დინის მემკვიდრეების დროს, ეს კეთილმეზობლური ურთიერთობები სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებით შეიცვალა. ამის მიზეზი საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან, ხლათის საამიროში აიუბიანთა ხელისუფლების განმტკიცება გახდა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ საზღვრებს. ამიტომ ჯერ კიდევ თამარის მმართველობის დროს ქართველები სამხედრო ოპერაციებს აწარმოებდნენ ამ მხარეში და იქიდან სალაჰ ად-დინის მემკვიდრეების გაძევებას ცდილობდნენ. ეს კონფლიქტი თამარის მემკვიდრის, გიორგი IV ლაშას, მეფობის დროსაც გრძელდებოდა.

ჯერ კიდევ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებამდე (1217-1221) საქართველოს სამეფო კარს კონტაქტები ჰქონდა რომის პაპის ხელისუფლებასთან. **პაპ ინოკენტ III-ს** წერილი მიუწერია საქართველოს მეფისადმი, გიორგი IV ლაშასადმი, რომელშიც მას იერუსალიმის გათავისუფლებაში მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

- *როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა თამარ მეფის დროინდელი საგარეო-პოლიტიკური კურსის ცვლილება გიორგი IV ლაშას დროს და რამდენად გამართლებული ნაბიჯი იყო ეს?*

წყარო ბ **ფრაგმენტი ინოკენტ III-ის მიერ 1211 წელს გიორგი IV ლაშასადმი მიწერილი წერილიდან „საქართველოს ბრწყინვალე მეფეს, მოწოდება წმინდა მიწის დასაცავად“:**

ჩვენმა ხელმწიფემ, ყოვლისშემძლე იესო ქრისტემ, რომელიც მბრძანებლობს წყალზე, მთელ ზღვებსა და მდინარეებზე, ასევე მთელ დედამიწაზე არსებულ ქალაქთა საზღვრებზე, ... მოკვდავთა გასაჭირი საკუთარი ნებით თავის თავზე აიღო. ისინი [ჯვაროსნები] ქრისტეს მსგავსნი უნდა იყვნენ, თავიანთი სამშობლოს დასაცავად თავგანწირულნი, მზად უნდა იყვნენ, რომ გაერთიანდნენ და თავი გაწირონ. ისინი აპირებენ, რომ შეგროვდნენ იერუსალიმის დასახმარებლად და გაანადგურონ ის, ვინც ქრისტიანულ სარწმუნოებას ემტერება. ამას ადამიანების წინაშე სახელის მოსახვეჭად კი არ აკეთებენ, არამედ ზეციური ბატონისთვის. ვითხოვთ შენგან, მაქსიმალურად გავუსწორდეთ და დავამარცხოთ წარმართთა ღალატი.

შენიშვნები: ჩვენი ხელმწიფე *– შუა საუკუნეების ტექსტებში ხშირად გვხვდება ქრისტეს მოხსენიება „ხელმწიფედ“, რაც ამ შემთხვევაში ღმერთის სინონიმია.*

წყარო დ **ნაწყვეტი ფრანგი რაინდის, დე ბუას საფრანგეთში ბეზანსონის არქიეპისკოპოსის, ამედე დე ტრამლეს სახელზე გაგზავნილი წერილიდან, (1211 წ) რომელშიც იგი ქართველთა მხრიდან მოსალოდნელ დახმარებას უკვე რეალურ ფაქტად აღიქვამს:**

ივერიიდან, *გეორგიანებად* წოდებული ქრისტიანები, თავიანთი მეფის მეთაურობით ურიცხვი ლაშქრით დაიძრნენ და მრავალი ციხე და ქალაქი აიღეს. ევფრატზე მდებარე წარმართების ქალაქებიდან ყველაზე უფრო წარჩინებულის პატრონი – ბაბილონის სულთნის შვილი – ტყვედ შეიპყრეს და თავი მოჰკვეთეს, მიუხედავად იმისა, რომ მან უზომო ოქროს განძის მიცემა აღუთქვა. ეს ქრისტიანები წმინდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მათი მეფე თექვსმეტი წლისაა და მხედრული სიმამაცით ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს. მას თან მოაქვს თავისი დედის, უძლიერესი დედოფლის, თამარის ნეშტი, რათა შეასრულოს მისი ანდერძი, რომ სიკვდილის შემდეგ უფლის საფლავის გვერდით დაკრძალონ.

შენიშვნა: გეორგიანები *– სახელწოდებები „გეორგიენ“, ან „გეორგია“ როგორც ქართველებისა და საქართველოს აღსანიშნავად ევროპის ქვეყნებში XIII ს-დან იყენებდნენ. ქართველთა სახელწოდებას ევროპელები წმინდა გიორგის სახელს უკავშირებდნენ. როგორც იცი, ჟაკ დე ვიტრი ქართველების ასე მოხსენიებას სწორედ წმინდა გიორგისადმი განსაკუთრებულ თაყვანისცემას უკავშირებს. თუმცა „გეორგიის“ დაკავშირება წმინდა გიორგისთან უფრო ლეგენდარულია. აღმოსავლურ სამყაროში ქართველების აღმნიშვნელ ტერმინად „გურგ-ქურჯ“ წარმოდგება ირანულ-არაბული ენებიდან. არაბულ სამყაროში საქართველოს, ქართველთა ქვეყანას „ალ-ჯურზანის“ ან „ალ ქურჯის“ ფორმითაც მოიხსენიებენ.*

- *როგორი დამოკიდებულება იკვეთება დასავლური სამყაროს მხრიდან საქართველოს მიმართ?*
- *როგორ ახასიათებს დე ბუა გიორგი IV ლაშას? რა არგუმენტებით ცდილობს დე ბუა წყაროში იმის დასაბუთებას, რომ საქართველო ჯვაროსნების ღირსეულ მოკავშირედ უნდა მიიჩნიონ?*
- *როგორ ახსნი წყაროს ავტორთა დამოკიდებულებას საქართველოსა და მისი მეფის მიმართ?*
- *რამდენად სანდოდ შეიძლება მივიჩნიოთ წყაროში მოცემული ინფორმაცია? პასუხი დაასაბუთე.*

მეხუთე ლაშქრობის დროს, თავდაპირველი გეგმით, იერუსალიმზე იერიშის მისატანად სირია-პალეტინაში მუსლიმთა ხელში არსებული ციხეებისა და ტერიტორიების გათავისუფლება იყო საჭირო. სამხედრო მოქმედებები 1217 წელს დაიწყო, მაგრამ ჯვაროსნებმა იქ წარმატებას ვერ მიაღწიეს, რამაც მათი მეთაურები აიძულა, გეგმა შეეცვალათ და სამხედრო კამპანია ეგვიპტის ნაპირებთან გადაეტანათ. ამ საქმეში მათ ვენეციელები, გენუელები და იტალიის სხვა ქალაქების წარმომადგენლები ეხმარებოდნენ.

ცნობა 2 ვენეციელთა და გენუელთა სავაჭრო-საფინანსო გააქტიურება აღმოსავლეთის მიმართულებით XIII ს-დან

ჯვაროსნულ ეპოქაში ქრისტიანულ სახელმწიფოებსა და ისლამურ სამყაროს შორის მალევე გაჩნდა სავაჭრო გზები. მუსლიმურ სახელმწიფოებთან ვაჭრობას ყველაზე აქტიურად იტალიელები შეუდგნენ, რომელთა ქალაქები გენუა და ვენეცია უკვე კარგა ხანი იყო, ერთმანეთს ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობას ეცილებოდნენ. ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს ეს ქალაქები საზღვაო გზით მეომრების გადაყვანას უზრუნველყოფდნენ; ჯვაროსნებს საბრძოლო მასალით, სურსათ-სანოვაგით, ლაშქრობისთვის საჭირო თანხებით ამარაგებდნენ. ამ ხელშეწყობის სანაცვლოდ, ჯვაროსანთა მეთაურები მათ მიერ აღმოსავლეთში აღებულ-დამორჩილებულ ქალაქებში გენუელებსა და ვენეციელებს სავაჭრო-საფინანსო შეღავათებს უწესებდნენ. შედეგად, ტვიროსში, იაფაში, ტრიპოლიში, ბეირუთში, ლათაკიასა და სხვა ქალაქებში გენუელთა და ვენეციელთა დასახლებები გაჩნდა.

XIII ს-დან გენუელები შავიზღვისპირეთის მიმართულებითაც გააქტიურდნენ და აქ თავიანთი კოლონიები დააარსეს. პირველი კოლონია გენუელებმა ყირიმის ნახევარკუნძულზე შექმნეს, მას **კაფა** ეწოდა (თანამედროვე ფეოდოსია, უკრაინა). საქართველოს ტერიტორიაზე გენუელებმა სავაჭრო ფაქტორია XIV ს-ში, დღევანდელი სოხუმის ტერიტორიაზე დააარსეს, იგი **სებასტოპოლისის** სახელით იყო ცნობილი. იტალიელ კოლონისტთა სავაჭრო ფაქტორიები საქართველოს მიწაზე თანდათან მომრავლდა. ქართველ მეფეებსა და მთავრებს მათთან აქტიური და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ. მონღოლთა ბატონობისგან დასუსტებული საქართველოსთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული კუთხით.

წყარო 3 ჟაკ დე ვიტრი ჯვაროსანთა მეთაურების გადაწყვეტილების შესახებ, სამხედრო კამპანიის ეგვიპტეში გადატანასთან დაკავშირებით:

მოთათბირების შემდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ ზაფხულში, წყლის უკმარისობის გამო, იერუსალიმის ალყაში მოქცევა შეუძლებელია, გადაწყდა, წავსულიყავით ეგვიპტის ნაყოფიერ მიწაზე, რომელიც სიმდიდრით ყველას აღემატება. სწორედ ეს ადგილი აძლევს სარკინოზებს ძალას და აქედან მომდინარეობს ის სიმდიდრე, რომლის საშუალებითაც ისინი ჩვენს მიწებზე ბატონობენ. თუ ამ ქვეყნის სამი ქალაქიდან ერთ-ერთს, **დამიეტას**, **ალექსანდრიასა** და ***ბაბილონს***, *რომელსაც ისინი კაირეს უწოდებენ*, დავიპყრობდით, თავისუფლად შევძლებდით მთელი იერუსალიმის სამეფოს დაუფლებასაც.

შენიშვნა: ბაბილონს, რომელსაც ისინი კაირეს უწოდებენ *– კაირე იგივე ეგვიპტის დედაქალაქი კაიროა. შუა საუკუნეებში ევროპელები კაიროს ბაბილონს უწოდებდნენ, ეგვიპტის გამგებელს კი – ბაბილონის სულთანს. შუა საუკუნეების ქართული წყაროები ბაბილონს ბაღდადად მოიხსენიებენ. ბაღდადი VIII ს-ში ააგეს ხალიფა ალ-მანსურის დროს, მდინარე ტიგროსის ნაპირებზე ძველი ბაბილონის ნანგრევების მახლობლად.*

● *ე წყაროს მიხედვით, დაასახელე ყველა ის არგუმენტი, რომლებზე დაყრდნობითაც ჯვაროსნებმა პირველადი გეგმის შეცვლა გადაწყვიტეს. რომელი არგუმენტი მიგაჩნია ჯვაროსნების შემდგომი წარმატებისთვის მნიშვნელოვნად? რატომ?*



წყარო 3 **დამიეტას კედლებთან ბრძოლა, მათე პარიზელის „ქრონიკა“, XIII ს., კემბრიჯის კორპუს-კრისტის კოლეჯი, გაერთიანებული სამეფო**

დამიეტას ალყა იმდენად შემაწუხებელი აღმოჩნდა მუსლიმებისთვის, რომ სულთანი ჯვაროსნებს შეჰპირდა – თუ ალყას მოხსნიდნენ და ეგვიპტეს დატოვებდნენ, მათ გადასცემდა წმინდა ჯვარსაც და მთელ დაბლობ ქვეყანას თავისი იერუსალიმითა და ქრისტეს საფლავით, ასევე, დაუბრუნებდა დატყვევებულ ყველა ქრისტიანს და მისცემდა ფულს იერუსალიმის კედლების აღსადგენად.

ამ წინადადებამ აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია ქრისტიანებში. ერთნი, იერუსალიმის მეფის მეთაურობით, სულთანთან დაზავებას ემხრობოდნენ, სხვანი კი, პაპის ახალი ლეგატის, **პელაგიუსის** აზრს იზიარებდნენ და ქალაქის აღებას უჭერდნენ მხარს, რადგან სულთნის დაპირებას არ ენდობოდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ დამიეტას აღების შემდეგ მთელ ეგვიპტესა და იერუსალიმსაც ადვილად დაიმორჩილებდნენ. პელაგიუსი ჯიუტი ხასიათით გამოირჩეოდა. მას ეგვიპტის კამპანიის დროს ჯვაროსან წინამძღოლებთან კონფლიქტი მოუვიდა. 1218 წელს ჰონორიუს III-მ მას ამ ლაშქრობის სულიერი წინამძღოლობა დაავალა. პელაგიუსმა რამდენჯერმე უარყო ეგვიპტის სულთნის, ალ-ქამილის შემოთავაზებები. საბოლოოდ ლეგატის აზრმა გაიმარჯვა და ჯვაროსნებმა ორწლიანი ალყის შემდეგ დიდი გაჭირვებით აიღეს დამიეტა. თუმცა მათი ძალები იმდენად გამოფიტული და შემცირებული იყო, რომ დახმარება სჭირდებოდათ. სწორედ ამ დროს გამოცხადებულან ქართველთა ელჩები ჯვაროსანთა ბანაკში და შეთანხმებულან, რომ საქართველოს მხედრობა ჯვაროსნებს დაეხმარებოდა. გეგმის თანახმად, ქართველები აიუბიანებს საფრთხეს შეუქმნიდნენ ჩრდილოეთით, სირიასა და მესოპოტამიაში, ეს კი დაქსაქსავდა ეგვიპტის სულთან ალ-ქამილის მიერ იერუსალიმის შესანარჩუნებლად შექმნილ მუსლიმთა კოალიციის ძალებს.

XIII ს-ის მემატიანის, ალბერიხის ცნობით, პელაგიუსმა ელჩობა გააგზავნა ქართველთა ქვეყანაში, რათა ქართველებს ზურგიდან დაერტყათ მუსლიმებისთვის. ჟაკ დე ვიტრიც „აღმოსავლეთის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ ქართველები ძალიან გააღიზიანა დამასკოს მმართველის მიერ იერუსალიმის კედლების დანგრევამ და მათ მუქარა შეუთვალეს სულთანს, რომ მისი ქვეყნის წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ.

დისკუსია

კრიტიკულად განიხილეთ დამიეტას ალყის დროს სულთანთან დაზავების მომხრეებისა და ქალაქის აღების მომხრეების პოზიციები. თქვენი პოზიცია არგუმენტებით გაამყარეთ.

წყარო ზ **XIII ს-ის ევროპელი მემატიანე და მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი გამორჩეული სულიერი ლიდერი ოლივერუსი ქართველთა გეგმების შესახებ, „დამიეტას ისტორია“:**

[ქართველებმა გადაწყვიტეს:] დაეპყროთ სარკინოზების რომელიმე განთქმული ქალაქი და თქვეს, რომ მათ რცხვენიათ იმის შემხედვარეთ, როგორ მოვიდნენ ფრანკები დიდი და საშიშროებებით სავსე ზღვის გავლით... და აიღეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი დამიეტა ხანგრძლივი ალყის შემდეგ, და [ამიტომ] პირობა დადეს, რომ თვითონ დამასკოს ან სხვა რომელიმე განთქმულ ქალაქს დაიპყრობდნენ.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქართველებს მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს საზღვრებთან მონღოლები გამოჩნდნენ. 1220 წელს, ჩინგიზ ყაენის დავალებით მოსულ მონღოლთა სარდლებს პირველი შეტაკება ქართველთა მონაპირე რაზმებთან მოუხდათ. აქ მონღოლებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ქვეყნის სიღრმეში არ შემოსულან. გიორგი IV ლაშამ რეალისტურად შეაფასა საფრთხე და მეზობელ მუსლიმ მმართველებს ანტიმონღოლური კოალიციის შექმნა შესთავაზა, მაგრამ, როგორც ჩანს, მონღოლებმა შეიტყვეს ქართველთა მეფის გეგმები და სასწრაფოდ გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი, რათა მოწინააღმდეგეთა გაერთიანება არ დაეშვათ. გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველები კვლავ დამარცხდნენ, მაგრამ მონღოლებმა იგრძნეს, რომ იმ ძალებით, რომლითაც მოსულები იყვნენ, საქართველოს დაპყრობა გაუძნელდებოდათ, ამიტომ დარუბანდის გზით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ.

წყარო თ **XIV ს-ის ანონიმი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, „ასწლოვანი მატიანე“ ქართველებისა და მონღოლების შეტაკების შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

დაიწყო სასტიკი ბრძოლა. *თათართა* მოწინავე რაზმები გაიქცნენ, ქართველები დაედევნენ, მაგრამ თათართა ჩასაფრებულმა რაზმმა ზურგიდან შეუტია [ქართველთა ლაშქარს]. მაშინ დაგვატყდა ღვთის დიდი რისხვა ჩვენი ცოდვების გამო და გაიქცნენ ქართველები და ჯარი და თვით მეფე ლაშა.

შენიშვნა: თათრები *– შუა საუკუნეებში მონღოლებს თათრებსაც უწოდებდნენ, რადგან მონღოლთა ლაშქარში მომთაბარე თათართა მრავალრიცხოვანი რაზმები შედიოდნენ.*

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა ქრისტიანთა მარცხით დამთავრდა. დამიეტას აღების მიუხედავად, მათ წარმატება ვერ მოიპოვეს. ეგვიპტის სიღრმეში, კაიროსკენ დაწყებული ლაშქრობა კატასტროფით დამთავრდა, რის შემდეგაც ჯვაროსნებმა მთელი ეგვიპტე დატოვეს. მაგრამ პაპი ჰონორიუს III იმედს არ კარგავდა და ახალი „წმინდა ომი“ გამოაცხადა. მორიგი, **მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობის** ხელმძღვანელობა ამჯერად საკუთარ თავზე საღვთო რომის იმპერატორმა ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენმა აიღო.

- *როგორ შეაფასებ გიორგი IV ლაშას მიერ ანტიმონღოლური კოალიციის შექმნის იდეას?*
- *რა მიზეზებით ახსნი მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჯვაროსანთა დამარცხებას?*

გიორგი IV ლაშას გარდაცვალების შემდეგ ტახტი მისმა დამ, თამარის ასულმა რუსუდანმა (1223-1245) დაიკავა. მას რომის პაპისთვის მიუმართავს წერილით, სადაც ნათლად ჩანს რუსუდანის დამოკიდებულება ჯვაროსნულ ლაშქრობასთან.

წყარო ი **ამონარიდი საქართველოს მეფის, რუსუდანის, წერილიდან (1224) რომის პაპ ჰონორიუს III-ისადმი, რომელშიც რუსუდანი უხსნის, თუ რატომ შეყოვნდნენ ქართველები და რატომ ვერ შეძლეს ჯარების გაგზავნა ჯვაროსნების დასახმარებლად:** *ადაპტირებული წყარო*

ვაუწყებ შენს უწმინდესობას, რომ ჩემი ძმა ქართველთა მეფე გარდაიცვალა და მისი სამეფო მე დამრჩა... დამიეტაში მყოფი თქვენი ლეგატისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანე-

ბა, რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი სურვილიც იყო და წასასვლელადაც ემზადებოდა, მაგრამ თუ თქვენ გაიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბიწიერ *თათართა ტომი* შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს. ექვსი ათასი კაცი ამოგვიწყვიტა. ჩვენ მათგან საფრთხეს არ ველოდით, რადგან *გვწამდა, რომ ისინი ქრისტიანები არიან*, მაგრამ როგორც კი მივხვდით, რომ ისინი კეთილი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინვე შეერთებული ძალებით შევუტიეთ მათ, ოცდახუთი ათასი კაცი დავუხოცეთ, ბევრი ხელთ ვიგდეთ, ხოლო დანარჩენი განვდევნეთ ჩვენი მიწებიდან. ამის გამო დავრჩით და ლეგატის მითითებისამებრ ვერ წამოვედით.

შენიშვნა: გვწამდა, რომ ისინი ქრისტიანები არიან *– მონღოლთა შუა აზიასა და ირანში გამოჩენის შემდეგ, პირველ ხანებში, მათი გეგმებისა და ვინაობის შესახებ ევროპაში და თვით ჯვაროსანთა შორისაც ყალბი, არარეალისტური ცნობები ვრცელდებოდა – თავიდან ჯვაროსნები მათ ქრისტიანებადაც კი მიიჩნევდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ წმინდა მიწის გათავისუფლებაშიც დაეხმარებოდნენ. როგორც ჩანს, ამგვარ წარმოდგენებს საფუძვლად ედო აღმოსავლეთის შესახებ არსებული ძველი ლეგენდები და ზღაპრული წარმოდგენები, რაც იმდროინდელ რუკებზეც აისახა. საქართველოსა და სომხეთშიც მონღოლების ქრისტიანობის შესახებ ასეთივე მცდარი წარმოდგენა არსებობდა, რაც იმ გარემოებას ემყარებოდა, რომ, სანამ კავკასიის საზღვრებს მოაღწევდნენ, მონღოლები შუა აზიისა და ირანის მუსლიმებს მტრებად მიიჩნევდნენ და ებრძოდნენ. რუსუდან მეფის მცდარი შეხედულებაც აქედან უნდა მოდიოდეს.*

იმავე წერილში რუსუდანი პაპს ჰპირდება, რომ თავისი ძმის პოლიტიკას გააგრძელებს და მზაობას გამოთქვამს ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩასაბმელად.

წყარო კ ამონარიდი რუსუდანის წერილიდან ჰონორიუს III-ისადმი, რომელშიც ის მზაობას გამოხატავს, მთელი ლაშქრით დაეხმაროს ჯვაროსნებს: *ადაპტირებული წყარო*

დიდად გავიხარეთ, როდესაც შევიტყვეთ, რომ, შენი ბრძანებით, *იმპერატორს* მართებს, წმინდა ადგილების დასახსნელად ახლა სირიაში გადავიდეს. მოგვწერეთ ჩვენ, თუ როდის უნდა წავიდეს იმპერატორი და ჩვენც გავაგზავნით ჩვენს მხედართმთავარს, ივანეს მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად, წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად... ამ წერილის მომტანს ჩვენს საყვარელ *დავითს, ანის ეპისკოპოსს*, ისე ერწმუნე ყველაფერში, თითქოს ეს სიტყვები ჩვენი პირით გსმენოდეს. თქვენს წმინდა ლოცვებში მომიხსენიეთ.

შენიშვნები: იმპერატორი *– აქ: საღვთო რომის იმპერატორი ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი (1194–1250).*

დავითს, ანის ეპისკოპოსს... *– მას შემდეგ, რაც 1124 წლიდან ანისი საქართველოს სამეფოს საზღვრებში მოექცა, ქალაქში ქართველთა და დიოფიზიტ სომეხთა რაოდენობა გაიზარდა. ანისის მართლმადიდებელი ეპარქია XIII ს-ში დაარსდა და მისი პირველი მღვდელმთავარი სწორედ რუსუდანის წერილში ნახსენები დავით ეპისკოპოსი იყო. საერთოდ, იმ დროისათვის საეკლესიო პირები ხშირად ასრულებდნენ დიპლომატიურ მისიებს.*

საქართველოს ამირსპასალარი ივანე მხარგრძელიც ჰპირდებოდა პაპს თავის წერილში, რომ შეასრულებდა მის მოთხოვნას.

წყარო ლ ამონარიდი ივანე მხარგრძელის წერილიდან პაპ ჰონორიუს III-ისადმი (1224): *ადაპტირებული წყარო*

ჩვენ მზად ვართ მთელი ჩვენი ლაშქრით მოვიდეთ ქრისტიანების დასახმარებლად. პირადად მე ვაპირებ წმინდა მიწებისათვის ომში მონაწილეობას ორმოცი ათასი მებრძოლით. როგორც თქვენთვის ცნობილია, მე და ჩვენი ქვეყნის ბევრმა წარჩინებულმა მთავარმა ჯვარი მივიღეთ.

შენიშვნა: ჯვარი მივიღეთ *– ეს გამონათქვამი გამოხატავს პირობის დადებას უფლის საფლავის დასაცავად ლაშქრობაში წასასვლელად. ინოკენტ III-მ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებამდე მოუწოდა ევროპის მონარქებს, ბარონებს, უმაღლესი რანგის სასულიერო პირებს, რათა წმინდა მიწაზე ახალი ლაშქრობის მოსაწყობად შეკრებილიყვნენ. წერილებში პაპი უფლის სიტყვებზე დაყრდნობით ყველას მოუწოდებდა: „ვინც ჩემთან მოვა, აიღოს თავისი ჯვარი და მომყვეს მე“.*

- *კ და ლ წყაროების მიხედვით იმსჯელე, რამდენად იყო შესაძლებელი ქართველთა მონაწილეობა VI ჯვაროსნულ ლაშქრობაში?*
- *შენი აზრით, რამდენად სანდოა ამ ორ ეპისტოლარულ წყაროში გადმოცემული ინფორმაცია? პასუხი დაასაბუთე.*

რატომ არ მიიღეს ქართველებმა მონაწილეობა მეექვსე ჯვაროსნულ ლაშქრობაში, ამის ზუსტი მიზეზები უცნობია, რადგან არც სხვა წყაროებში და არც რუსუდანის შემდგომ წერილებში რომის ახალი პაპისადმი, **გრიგოლ IX-ისადმი** ამაზე საუბარი არ არის. მათ მიმოწერაში საუბარია მხოლოდ რუსუდანის თხოვნაზე პაპისადმი, დახმარება გაუწიონ საქართველოს მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში და პაპის ახსნა-განმარტებაზე, თუ რატომ არ შეუძლიათ ამ თხოვნის შესრულება. სავარაუდოა, რომ მეექვსე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობას ხელი შეუშალა საქართველოს საზღვრებთან ახალი მტრის, ხორეზმის სულთნის, **ჯალალ ად-დინის** (1220-1231) გამოჩენამ. ხორეზმელთა თარეში საქართველოში 1225 წლიდან დაიწყო და, დაახლოებით, ხუთ წელიწადს გაგრძელდა. ამ შემოსევამ მთელი აღმოსავლეთ საქართველო მოიცვა და დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და ეკონომიკას. ჯალალ ად-დინის სიკვდილის შემდეგ სულ მალე, XIII ს-ის 30-იან წლებში, მონღოლები კვლავ გამოჩნდნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან, მაგრამ უკვე არა დაზვერვის მიზნით, როგორც ეს მათი პირველი გამოჩენის შემთხვევაში იყო, არამედ – ქვეყნის დასაპყრობად. ამ თავსმომდგარი საფრთხის დროს, როცა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი არსებობის საკითხი დადგა, სამეფო კარს სხვა საგარეო საქმეებისთვის უკვე აღარ ეცალა.

- *რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ქართული სახელმწიფო და რატომ გახდა შეუძლებელი მეექვსე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობა?*
- *განმარტე, რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის არსებულ კავშირებს ორივე მხარისთვის?*

1227 წელს ფრიდრიხ II აღმოსავლეთში გაემგზავრა, მაგრამ მას ძალიან გაურთულდა ურთიერთობები რომის ახალ პაპთან, გრიგოლ IX-თან. ამის ერთ-ერთი მიზეზი ჯვაროსნული იდეებისადმი იმპერატორის გულგრილი დამოკიდებულება იყო. ეს კარგად გამოჩნდა ეგვიპტეში, წინა კამპანიის დროს, როცა მან თავი აარიდა საომარ მოქმედებებში მონაწილეობას. პაპმა ფრიდრიხი ანათემას გადასცა და ეკლესიიდან განკვეთა. მათ შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გართულდა, როცა გრიგოლ IX-მ შეიტყო, რომ ფრიდრიხი დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა ეგვიპტის სულთან ალ-ქამილთან, იერუსალიმის უბრძოლველად გადმოცემის თაობაზე.

სულთან ალ-ქამილს გართულებული ჰქონდა ურთიერთობები დამასკოს სულთანთან, რომელიც ემუქრებოდა მის სამფლობელოებს სირიასა და ეგვიპტეში. ამის გამო ალ-ქამილს ეშინოდა, რომ ჯვაროსნებთან ბრძოლის შემთხვევაში ორმაგი დარტყმის ქვეშ მოექცეოდა. შედეგად, მან გადაწყვიტა, დაზავებოდა იმპერატორს და იერუსალიმი ფრიდრიხს მართლაც მოლაპარაკების გზით გადასცა. ამ შეთანხმებით, იერუსალიმი გამოცხადდა ღია ქალაქად, ქრისტიანებს გადაეცათ უფლის საფლავი, მუსლიმებს კი ნება დართეს, ქალაქში თავისუფლად შესულიყვნენ და თავიანთ მეჩეთებში ელოცათ. ეს შეთანხმება 10 წლით დაიდო. ფრიდრიხ II ევროპაში დაბრუნდა. ჯვაროსნულ ეპოქაში ეს იყო ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის გაფორმებული ერთადერთი შეთანხმება წმინდა ქალაქის თაობაზე.

1. ქვემოთ მოცემული ინტერნეტრესურსისა და განვლილი მასალის მიხედვით იმსჯელე, სხვა მიზეზებთან ერთად, რატომ იყო ქართველთათვის მნიშვნელოვანი იერუსალიმი?

რესურსი: „ქართული ხელნაწერი წიგნი“:
http://geomanuscript.ge/?page=palestina

2. იმსჯელეთ კლასში თემაზე „სამხედრო კონფრონტაცია თუ დიპლომატიური კონტაქტები?“ – შეადარეთ ერთმანეთს თამარ მეფისა და მისი მემკვიდრეების პოლიტიკა ჯვაროსნებთან მიმართებით. თქვენი პოზიციები არგუმენტებით გაამყარეთ.

საკითხი 4. მონღოლები და გიორგი ბრწყინვალე



კომპლექსური დავალება 4

სამიზნე ცნებები

- ძალაუფლება
- ისტორიული პროცესი/მოვლენა
- საზოგადოება

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში, ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდგომ, არც ერთ მეფეს თანამედროვეთა შორის და შთამომავლობაში ისეთი სახელი არ მოუხვეჭია, როგორც გიორგი V ბრწყინვალემ დაიმსახურა. მისი ქება თანასწორად გვხვდება როგორც ქართულ, ისე მეზობელი ქვეყნების წყაროებშიც. მისი უარყოფა ვერ შესძლებიათ ისეთ პირებსაც, რომელთა პოლიტიკა მისას მთლიანად ეწინააღმდეგებოდა.“

შეისწავლე გიორგი V-ის მოღვაწეობა, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა და დაწერე **არგუმენტირებული ესე**, რომელშიც შეეცდები, დაასაბუთო ივანე ჯავახიშვილის მოსაზრების მართებულობა.

ნაშრომში ნათლად წარმოაჩინე შემდეგი საკითხები:

- როგორ შეცვალა მონღოლთა ბატონობამ საქართველოში ძალაუფლების სიმბოლოები, მმართველობის ფორმები და სტრუქტურები;
- როგორ შეძლო გიორგი V-მ მონღოლთა ბატონობის შედეგად დასუსტებული სამეფო ხელისუფლების გაძლიერება? რა საშუალებებსა და ღონისძიებებს მიმართა ამისთვის?
- როგორ აღმოჩნდა საქართველო მონღოლთა უღლის ქვეშ და როგორ იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ ქართველი მეფეები?
- რა გავლენა იქონია გიორგი V-ის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა და პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკასა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე?
- რა გავლენა იქონია მონღოლთა ბატონობამ ქართველი საზოგადოების ყოფა-ცხოვრებასა და რელიგიაზე, ქცევის წესებსა და ღირებულებებზე, მათ საერთო ინტერესებზე?
- როგორ შეცვალა გიორგი V-ის რეფორმებმა საზოგადოების წევრებს შორის დამოკიდებულება?

19/20 როგორი იყო მონღოლთა ბატონობა საქართველოში?

შენ უკვე იცი, რომ საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა V ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას აპირებდა, თუმცა, მონღოლთა გამოჩენამ ეს გეგმა ჩაშალა. მონღოლების პირველ გამოჩენას საქართველოში ქვეყნის დაპყრობა არ მოჰყოლია (1220-1221), რადგან მაშინ მათი მიზანი რეგიონის დაზვერვა იყო. მონღოლების წასვლიდან მალევე ხორეზმის შაჰმა, ჯალალ ედ-დინმა ილაშქრა საქართველოში, 1226 წელს თბილისი აიღო და მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდა. მონღოლებთან ჯალალ ად-დინის მარცხის შემდგომ (1230) დასავლეთ საქართველოში გახიზნულ სამეფო კარს თბილისში დაბრუნების საშუალება მიეცა, თუმცა, მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა – 1235 წელს საქართველოს საზღვრებს კვლავ მოადგნენ მონღოლები და ამჯერად მათი მიზანი საქართველოს დაპყრობა იყო. ამ გაკვეთილიდან გაიგებ, როგორ დაიპყრეს მონღოლებმა საქართველო, რა მიზეზებმა განაპირობა ქართველთა დამარცხება და რა შედეგი მოუტანა ამან ქვეყანას.

მონღოლთა გაბატონება საქართველოში

მონღოლების შემოსევამდე, 1232 წელს, საქართველოს რუმის სასულთნო დაესხა თავს. საბოლოოდ, ორ ქვეყანას შორის სამოკავშირეო ურთიერთობა დამყარდა, ხოლო კავშირის განმტკიცების მიზნით, **რუსუდან მეფის** ქალიშვილის რუმის სულთნის მემკვიდრეზე დაქორწინება გადაწყდა.

ხორეზმის სახელმწიფოს დაპყრობის შემდგომ მონღოლები კავკასიაშიც გამოჩნდნენ. 1235 წელს მათ ალყა შემოარტყეს საქართველოს ყმადნაფიც ქალაქ განძას და აიღეს. განძელთა თხოვნის მიუხედავად, საქართველო ყმადნაფიც ქალაქს ვერ დაეხმარა.

განძას აღების შემდეგ მონღოლები საქართველოს სამეფოში შემოიჭრნენ და ალყა შემოარტყეს ქალაქ შამქორს, რომლის მფლობელი **ვარამ გაგელი** ბრძოლას გაერიდა და გაქცევით უშველა თავს. შამქორის დაცემის შემდეგ მონღოლები ქალაქ ლორეს მოადგნენ, თუმცა, ლორეს მფლობელმა, მანდატურთუხუცესმა **შანშე მხარგრძელმაც** აჭარას შეაფარა თავი. მონღოლებმა შემდეგ მიყოლებით აიღეს დმანისი და სამშვილდე, რითაც საფრთხე დაემუქრა თბილისს. ელვისებურად განვითარებული მოვლენების გამო სამეფო კარმა თბილისი დატოვა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

მონღოლებმა ჯარი რამდენიმე ნაწილად დაყვეს და აღმოსავლეთ საქართველოს ციხე ქალაქებს შეუტიეს. ამირსპასალარი **ავაგ მხარგრძელი** *კაენის ციხეში* გამაგრდა, თუმცა, მონღოლებმა ამირსპასალარი ალყაში მოაქციეს. ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, დაუცველად დარჩენილმა მოსახლეობამ მთებსა და ტყეებს შეაფარა თავი.

შენიშვნა: კაენის ციხე *– X ს-ის ციხესიმაგრე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით. დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, მდებარეობს მდ. აღსთაფას ზემო წელზე.*



წყარო ა **რუსუდან მეფე, ფრესკა გელათის მონასტერში**

წყარო ბ **XIV ს-ის ანონიმი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, „ასწლოვანი მატიანე“ მონღოლთა შემოსევის შესახებ საქართველოში:** *ადაპტირებული წყარო*

ნოინები შემოვიდნენ ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთში, სამცხეში, ანისში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში, კოლაში, არტაანში, კალიებივით მოედვნენ და დაიწყეს ხოცვა-ჟლეტა, აღარსად იყო ლხინი, ქვეყანა უმოწყალოდ ნადგურდებოდა. ჰერნი, კახნი, სომხითარ-ქართლელნი, მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტაან-კოლაელნი გარბოდნენ კავკასიისა და მთიულეთის ციხეებსა და მთებში, ტყეებსა და სიმაგრეებში. გაგრძელდა ქვეყნის განადგურება ჩვენივე უსჯულოების გამო.

***შენიშვნები: ნოინი** – მონღოლური ჯარის სამხედრო და დაპყრობილი ტერიტორიის ადმინისტრაციის მეთაური.*

***ჩვენივე უსჯულოების გამო** – წინა წელებში განვლილი მასალიდან ალბათ გახსოვს, რომ შუა საუკუნეების ისტორიკოსებისთვის დამახასიათებელია ისტორიული მოვლენების პროვიდენციალური ხედვა; ამ მოვლენების იმ კუთხით ახსნა, რომ ყოველივეს, რაც ხდება, ღმერთი განსაზღვრავს. ჟამთააღმწერელიც მონღოლების შემოსევასა და საქართველოს დაკნინებას ქართველთა ურწმუნოებით გამოწვეულ ღვთის სასჯელად მიიჩნევს.*

რთულ მდგომარეობაში მყოფი ავაგ მხარგრძელი მეფის დაუკითხავად მონღოლებს დაუზავდა. იგივე ნაბიჯი გადადგეს სხვა დიდებულებმაც. წინააღმდეგობას განაგრძობდა სამცხის მთავარი მეჭურჭლეთუხუცესი **ივანე-ყვარყვარე ჯაყელი**, თუმცა, რუსუდან მეფის თანხმობით, ისიც დანებდა. მონღოლებმა ხელთ იგდეს სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი.

წყარო გ **ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი (1876 – 1940) ასე აფასებდა ავაგ მხარგრძელისა და სხვა ვაზირების მოქმედებებს:**

საქართველოს სახელმწიფოს მთელი სამხედრო ძალის მთავარსარდალიც, ავაგ ამირსპასალარი, იმავე გზას დაადგა: იმანაც ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა და თავისი მოვალეობის ასრულება პირადად უშიშროებაზე მზრუნველობას ანაცვალა... როდესაც ვაზირები ასე იქცეოდნენ, რასაკვირველია, სხვებმაც მათს უგუნურსა და დამღუპველ მაგალითს მიჰბაძეს. ქვეყანა სრულმა დაქსაქსულობამ მოიცვა და სახელმწიფოს ორგანიზაცია განრღვეული ადამიანის სხეულს დაემსგავსა.

- *იმსჯელე, რამ განაპირობა საქართველოს მარცხი მონღოლებთან; შეაფასე საქართველოს დიდებულთა ქმედებები მონღოლების შემოსევისას. შეიძლებოდა თუ არა ქვეყნის უფრო ეფექტიანი დაცვა?*
- *იმსჯელე, რამდენად მტკიცე იყო რუსუდანის მმართველობა ქვეყანაში – რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დიდებულთა უმრავლესობამ გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად, მეფის დაუკითხავად მიიღო?*
- *შეასრულე მოსწავლის რვეულის 4.1 სავარჯიშო – აღწერე, როგორი იყო ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირთა მოქმედებები მონღოლთა შემოსევის დროს.*

დასავლეთ საქართველოში გახიზნულმა რუსუდან მეფემ დახმარება რომის პაპს სთხოვა. ამ მიზნით პაპ გრიგოლ IX-ს წერილი მისწერა, რომელშიც, სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, ეკლესიათა გაერთიანებას სთავაზობდა, თუმცა, თხოვნამ შედეგი ვერ გამოიღო.

- *შენი აზრით, რატომ ვერ დაეხმარებოდა რომის პაპი საქართველოს? რა საგარეო ფაქტორები უშლიდა ხელს ამას?*

ქუთაისში მყოფი სამეფო კარი იძულებული გახდა, მონღოლებთან მარცხი ეღიარებინა და დამპყრობელთან ზავი დაედო. ზავის მიხედვით, საქართველოს, ხარკის სახით, 50 ათასი **პერპერას** (ჰიპერპერონი, ბიზანტიური მონეტა, 4-5 გრამი ოქრო) გადახდა და სამხედრო ბეგარა დაეკისრა; მონღოლები საქართველოში მეფობასა და ადგილობრივ მმართველობას

ტოვებდნენ, ყოველი ახალი მეფე კი მონღოლთა ყაენს უნდა დაემტკიცებინა. მონღოლთა სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველო შევიდა, როგორც ცალკე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული. მონღოლებმა საქართველოს ჩამოაცალეს ვასალური ისლამური ქვეყნები, სომხური თემები კი საქართველოს ფარგლებში დარჩა.

1243 წელს მონღოლებმა რუმის სასულთნო, კილიკიის სომხეთი და ხლათი დაიმორჩილეს. ამავე პერიოდში რუსუდანის შვილი დავითი საქართველოს მეფობის მისაღებად მონღოლთა საყაენოში გაემგზავრა. მონღოლებს, ყაენ უგედეის (1229-1241) გარდაცვალების შემდგომ, ჯერ კიდევ არ აერჩიათ ახალი ყაენი, ამიტომ რუსუდანის ძე დავითი ჯერ ოქროს ურდოში, შემდეგ კი დიდი ყაენის ურდოს დედაქალაქ ყარაყორუმში დიდხანს დარჩა.

უმეფობის პერიოდი საქართველოში, კოხტასთავის შეთქმულება

რუსუდანის ძე დავითის ყარაყორუმში ყოფნის პერიოდში მეფე რუსუდანი გარდაიცვალა. უმეფობა (1245-1247) ქვეყნის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა. ამ დროს მონღოლებმა საქართველო, თავიანთი წესის მიხედვით, **დუმნებად** დაყვეს. დუმანი მონღოლურ საგამგებლო ერთეულს წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობასაც 10 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა ევალებოდა. „ჟამთააღმწერელის ასწლოვანი მატიანის“ მიხედვით, საქართველო 7 დუმნად დაიყო, რომელთა სათავეში ქართველი დიდებულები დანიშნეს.

წყარო დ **მონღოლთა მიერ დუმნებად დაყოფილი საქართველო**



- *როგორ ფიქრობ, რატომ ჩაუყენეს მონღოლებმა დუმნებს სათავეში ქართველი დიდებულები? რას ემყარებოდა ურთიერთგაგება ქართველ და მონღოლ მთავრებს შორის?*
- *შენი აზრით, რატომ ეწინააღმდეგებოდა მონღოლური ტიპის მმართველობის სისტემა ტრადიციულ ფეოდალურ მოწყობას? პასუხისთვის გაიხსენე გაკვეთილი 5 და იმსჯელე, როგორი იყო განვითარებული შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოება.*

ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო ქართველი დიდებულები მალევე შეუდგნენ აჯანყების მზადებას. საქართველოში მონღოლური ტიპის მმართველობის სისტემის დამყარება ეწინააღმდეგებოდა ტრადიციულ ფეოდალურ მოწყობას. საფრთხეში იყო ქვეყნის სახელმწიფოებრიობაც.

დიდებულები ჯავახეთში, კოხტასთავში შეიკრიბნენ, რათა მონღოლების წინააღმდეგ ერთიანი აჯანყების გეგმა შეემუშავებინათ. პრობლემას ისინი უმეფობასა და ქართველთა დაქსაქსულობაში ხედავდნენ, თუმცა, შეთქმულებმა ომის დაწყება გადაწყვიტეს.

წყარო 3 **XIV ს-ის ანონიმი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, „ასწლოვანი მატიანე“ შეთქმულთა თათბირის შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

ამ ამბოხების დროს შეიკრიბა საქართველოს ყველა მთავარი კოხტასთავში, *ლიხთიქეთელი* და *ლიხთაქეთელი*. და ყველა ამბობდა: რა ვქნათ? აღარ არის ქართველ მეფეთა არც ერთი შთამომავალი, რომ გვიმეთაუროს და შევებრძოლოთ თათრებს და ჩვენც ერთმანეთს განვუდექით, ვერ გავუმკლავდებით თათრებს... სხვა გზა არა გვაქვს, რადგანაც მეფე არ გვყავს, ყველანი გაერთიანდეთ და ვებრძოლოთ თათრებს.

შენიშვნები: ***ლიხთიქეთელი*** *– დასავლეთ საქართველოს მცხოვრები / დასავლელი.*
ლიხთაქეთელი *– აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრები / აღმოსავლელი.*

- *რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უმეფობის მიუხედავად, დიდებულებს ერთიანი სამოქმედო გეგმა ჰქონდათ?*
- *რატომ გამოიწვია ქართველ დიდებულთა უკმაყოფილება მონღოლური მმართველობის სისტემამ?*

მაგრამ შეთქმულები მოღალატემ გასცა, მონღოლები თავს დაესხნენ შეკრებილ დიდებულებს და დააპატიმრეს. ამას მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დიდებულები **ცოტნე დადიანი** და **კახაბერ კახაბერისძე** გადაურჩნენ, ვინაიდან კრება მათ მონღოლების მოსვლამდე დატოვეს. დაპატიმრებულები ბრალდებას არ აღიარებდნენ და შეკრების მიზეზად გადასახადების აკრეფის მოწესრიგებას ასახელებდნენ. მონღოლებმა ქართველი დიდებულები ანისში წაიყვანეს და გამოტეხვის მიზნით მცხუნვარე მზის ქვეშ დაყარეს.

ცოტნე დადიანი საკუთარი ნებით ჩავიდა ანისში და დასჯილ ქართველებს გაშიშვლებული მიუჯდა გვერდით. გაკვირვებულ მონღოლებს უთხრა, რომ ბრალდება სიმართლეს არ შეესაბამებოდა და, თუკი დაპატიმრებულები დაისჯებოდნენ, მაშინ ისიც უნდა დაესაჯათ. ცოტნე დადიანის ქმედებამ (რაინდულმა ბუნებამ) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მონღოლებზე და დაპატიმრებულები გაათავისუფლეს.

- *როგორ გავლენას მოახდენდა ცოტნე დადიანის ქმედება შეთქმულებზე? იმსჯელე, რამდენად მართლზომიერად მოიქცა იგი.*

შეთქმულება ჩავარდა, ქვეყანაში კი კვლავაც მძიმე მდგომარეობა იყო. ქართველმა დიდებულებმა შემდგომი გამოსავალი მონახეს – ვინაიდან რუსუდანის ძე დავითი ჯერ კიდევ არ ჩანდა, ხოლო ქვეყანა წლების განმავლობაში უმეფოდ იყო დარჩენილი, მეფობის ახალი კანდიდატი გამოინახა – გიორგი IV ლაშას უკანონო ძე, დავითი. დიდებულთა მხარდაჭერით, ამჯერად, იგი გაემგზავრა ყარაყორუმში მეფობის მისაღებად.

- *როგორ აღიქმებოდა მეფე, როგორც ერთპიროვნული მმართველი, შუა საუკუნეებში და რა დამოკიდებულება გამოჩნდა დიდგვაროვანთა მხრიდან შეთქმულთა თათბირზე?*
- *იმსჯელეთ კლასში – შექმნილ ვითარებაში რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს ქართველმა დიდებულებმა, დავით გიორგის ძე მეფედ რომ გამოარჩიეს?*
- *გამოთქვი მოსაზრება, რატომ არ აღიარებდა ქართული ფეოდალური სამართალი უკანონო შვილებს მეფის მემკვიდრეებად?*

დავით რუსუდანის ძე და დავით გიორგი IV ლაშას ძე

გიორგი IV ლაშას გარდაცვალების შემდეგ ტახტი მისმა დამ, **რუსუდანმა** (1223-1245) დაიკავა, ვინაიდან მისი შვილი დავითი კანონიერი შვილი არ იყო, ხოლო ქართული კანონებით, უკანონო შვილი მეფედ არ იცნობოდა. რუსუდანმა ქვეყნიდან გააძევა თავისი ძმისშვილი, საკუთარი შვილი, 5 წლის დავითი კი 1230 წელს თანამოსაყდრედ გამოაცხადა. 1243 წელს რუსუდანის ძე დავითი ყარაყორუმში გაგზავნეს, თუმცა, წლების განმავლობაში მისგან არაფერი ისმოდა.

რთული მდგომარეობის გამო, ქართველმა დიდებულებმა უმეფობას ქართული სამართლებრივი კანონის დარღვევა და უკანონოდ ნაშობი დავითის გამეფება ამჯობინეს. გიორგი IV ლაშას ძე ქვეყნიდან გაძევებული და რუმის სასულთნოში დატყვევებული იყო, თუმცა, ქართველებმა იგი გამოიხსნეს და გასამეფებლად ყაენის კარზე, ყარაყორუმში გაგზავნეს.

წყარო 3 **XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი გრიგოლ აკანელი გიორგი IV ლაშას ძის პოვნისა და საქართველოში დაბრუნების შესახებ:**

ქართველებმა გაგზავნეს ბრძენი მთავარი ვარამ გაგელი, გააყოლეს თათართა ერთი მეთაური 100 მხედრით... კესარიას... ღვთის ნებით, იპოვეს მეფის ძე დავითი დიდ ღრმა გვირაბში, ხოლო ღვთის ნებამ დაიცვა იგი ცოცხლად ღრმა საპყრობილეში. როცა დაინახეს იგი თათრის ჯარმა და დიდმა მთავარმა ვარამმა, გაოცდნენ დიდად მისი ცოცხლად ყოფნის გამო და ადიდეს უფალი... გამოიყვანეს საპყრობილიდან, ჩააცვეს საპატიო სამოსი, შესვეს ცხენზე და წაიყვანეს თავის ქვეყანაში. როცა მიაღწიეს დიდ ქალაქ თბილისს, დიდად განიხარა ყველა ქართველმა მთავარმა.

შენიშვნა: თათარი *– აქ: ქართულ წყაროებში მონღოლების დასახელება. თათრები ერთ-ერთი მონღოლური ტომი იყო.*

- *იმსჯელე, რა მიზეზით უნდა გაეძევებინა სამეფოდან რუსუდან მეფეს თავისი ძმიშვილი?*

ყარაყორუმში ჩასულ **გიორგი IV ლაშას ძე დავითს** ყაენის კარზე რუსუდანის ძე დავითი დახვდა. ტახტის მაძიებელთა მხარდამჭერებს შორის აზრი გაიყო იმ საკითხზე, თუ ვის ეკუთვნოდა მეფობა. რუსუდანის ძე დავითის მომხრეები არგუმენტად მის კანონიერ შვილობასა და ჯერ კიდევ 1230 წელს თანამოსაყდრეობას ასახელებდნენ, ოპონენტები კი ქალის ხაზით მეფობის გადაცემაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

ქართული სამართლის ძალით, გიორგი IV ლაშას ძეს უკანონო შვილობის გამო ტახტი არ ეკუთვნოდა. თუმცა, მონღოლეთში გავრცელებული მრავალცოლიანობის გამო, აქ უკანონო შვილის ცნება არ არსებობდა. მონღოლები შვილებს მხოლოდ ასაკით განარჩევდნენ. უფროსი მემკვიდრე პრივილეგირებული იყო. გიორგი IV ლაშას ძის მომხრეებისთვის ეს გარემოება მეტად ხელსაყრელი გამოდგა.

საბოლოოდ კი დავა შემდეგნაირად გადაწყდა: ყაენმა მეფობა ტახტის ორივე მსურველს მიანიჭა, ოღონდ გიორგი IV ლაშას ძეს უფროსი მეფის სტატუსი მიეცა, ხოლო რუსუდანის ძე უმცროს (ნარინი) მეფობას დასჯერდა.

შენიშვნა: უფროსი მეფის სტატუსი მიეცა *– დავით VII-ს ზოგჯერ „დავით ულუდ“ მოიხსენიებენ, თუმცა თანადროულ წყაროებში ასეთი ზედწოდება არ გვხვდება.*

წყარო 4 **ტახტის მაძიებელთა კამათს გადმოგვცემს კათოლიკე მისიონერი პლანო კარპინი, რომელიც იმ მომენტში ყაენის კარზე იმყოფებოდა:**

თუ იმ ხელმწიფეებს, რომლებიც მათ [მონღოლებს] დამორჩილდნენ, რაიმე დავა წარმოეშვათ, ისინი მის გასარკვევად თათრების იმპერატორთან უნდა გაემგზავრონ, როგორც ეს გეორგიის [საქართველოს] მეფის ორ ვაჟს მოუხდა. ერთი მათგანი კანონიერი იყო, ... მეორე კი მრუშობის ნაყოფი... [და] არ შეეძლო მისი [ტახტის] ფლობა. ის კი პასუხობდა: „მიუხედავად იმისა, რომ მე ხასის ნაშობი ვარ, სამართალს ვითხოვ თათრების კანონის მიხედვით, რომელიც არანაირად არ განასხვავებს კანონიერი ცოლისა და მხევლის მიერ გაჩენილ ვაჟებს შორის“. ამიტომ ეს საქმე კანონიერი ვაჟის საწინააღმდეგოდ გადაწყდა...

ამრიგად, 1247 წლისთვის, უმეფობის შემდგომ, საქართველოს ერთდროულად ორი მეფე – დავით VII (1247-1270) და დავით VI ნარინი (1247-1293) – მოევლინა.

წყარო თ **დავით VII ნადირობისას, მინიატიურა მარკო პოლოს თხზულებიდან „მსოფლიოს საოცრებათა წიგნები“, დაახლ. 1410, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარიზი**



წყარო ი **დავით VI ნარინი, გელათის მონასტრის ფრესკა XIII ს., ტყიბულის მუნიციპ.**



- *იმსჯელე, რამდენად გამართლებულია გიორგი IV ლაშას ძის არგუმენტი? რა შედეგი შეიძლებოდა მოეტანა ტახტის დაკავების ქართული სამართლის დარღვევის პრეცედენტს სამომავლოდ?*

მოსახლეობის აღწერა მონღოლების მიერ. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XIII ს-ის 50-იან წლებში

დავით VI ნარინი და დავით VII ერთდროულად, ურთიერთშეთანხმებით მართავდნენ ქვეყანას. ორმეფობას შიდაკონფლიქტი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობას მონღოლების მიერ დაწესებული ახალი გადასახადები ამძიმებდა.

1254-56 წლებში მონღოლთა იმპერიაში აღწერა ჩატარდა. აღწერის მიზანი გადასახადების დაწესება იყო. აღწერა, გარდა სასულიერო პირებისა, ყველას შეეხო. საეკლესიო მამულები ხელუხლებელი დარჩა. აღწერის შემდგომ მოსახლეობას მრავალი გადასახადი დაეკისრა. საქართველოში ამ პროცესებს *არღუნი* ხელმძღვანელობდა. სააღწერო დავთრებში მოხვდა ყველაფერი, საიდანაც შემოსავლის მიღება შეიძლებოდა: საძოვრები, ბაღები, ვენახები, წისქვილები და სხვა.

წყარო კ **XIV ს-ის ანონიმი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, „ასწლოვანი მატიანე“ მონღოლების მიერ მოსახლეობის აღწერის შესახებ:**

და როდესაც არღუნი ჩამოვიდა საქართველოში, ამ სამეფოს ყოველ მკვიდრს დიდი გასაჭირი დაატყდა თავს. და დაიწყეს [თათრებმა] აღწერა [ყველაფრისა]: მოსახლით დაწყებული და პირუტყვის, სახნავ-სათესიდან ვენახისა და ბაღიდან ბოსტნის [დამთავრებული].

წყარო ლ **მნიშვნელოვანი მონღოლური გადასახადები**

დასახელება	სოფლის გადასახადი
მალი	მოსავლის 60% აიღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულით.
ყაფჩერი/საბალახე	100 სული საქონლიდან ერთი მონღოლებს გადაეცემოდა.
ულუფა/ძღვენი	1 კრავი და 1 დრაჰკანი – მონღოლთა ჯარის ათასეულის მეთაურს; 1 ცხვარი და 2 დრაჰკანი – ათიათასეულის მეთაურს, დუმან ნოინს.
მიზდი	სოფელში მისული მონღოლი მოხელესთვის სოფელს დღეში ცხენის ქირა – 3 თეთრი უნდა გადაეხადა.
დამღა	ვაჭრობის გადასახადი, ნავაჭრის 3%
საიამე	გზებზე განლაგებული იყო იამები – სადგურები მონღოლი მგზავრებისთვის. იამების მომარაგება პროდუქტითა და ცხენებით ახლომდებარე სოფლებს ევალებოდათ.
ყალანი	სალაშქროდ მიმავალი მეომრის მომარაგება.

შენიშვნა: *გადასახადების რაოდენობა უფრო დიდი იყო.*

მოსახლეობის ინდივიდუალური გადასახადების გარდა, სამეფოს ყოველწლიურად 40-50 ათასი პერპერა უნდა გადაეხადა.

წყარო მ **პლანო კარპინი მონღოლების მიერ ქართველებისთვის დაწესებული გადასახადების შესახებ:**

...ასე მოექცნენ ისინი ობეზებს [აფხაზებს] ანუ გეორგიელებს [ქართველებს], რომლებსაც მონღოლები, როგორც ვთქვით, 50 თუ 40 ათას ჰიპერპერს ანუ ბიზანტინს ახდევინებენ...

მონღოლები დაპყრობილ ხალხს ჯარის გამოყვანასაც ავალებდნენ. ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოში სოფლის მოსახლეობა, 15 წლიდან 60 წლამდე ბრძოლისუნარიანი მამაკაცები აღწერეს. ყოველი მეცხრე ოჯახიდან ერთი მეომარი უნდა გასულიყო და ამ დათქმით, მთლიანობაში აღმოსავლეთ საქართველოს, საჭიროების შემთხვევაში, 90 ათასი მეომრის გაყვანა დაევალა.

წყარო ნ **XIV ს-ის ანონიმი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, „ასწლოვანი მატიანე“ მონღოლთა მიერ ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის აღწერის შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

დიდი მიწის მქონებელ ცხრა გლეხში ერთ ლაშქარში მიმავალ კაცს გაამწესებდნენ. და გამოვიდა დავითის სამეფოდან ცხრა დუმანი, მხედარი, თათრებთან ერთად მიმავალი [სალაშქროდ], რაც უდრის *ცხრაჯერ ათი ათასს.*

შენიშვნა: დუმანი... ათი ათასი *– დუმანი ათი ათასი მეომრისგან შედგებოდა.*

ცნობა 1 **რა ინფორმაციას გვაძლევს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაზე მონღოლთა მიერ ჩატარებული აღწერა?**

ეს აღწერა იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მიახლოებით დადგენაში გვეხმარება. თუკი ყოველი მეცხრე ოჯახიდან ერთი მეომარი გამოჰყავდათ და ამით 90 ათასი მეომარი იკრიბებოდა, მაშინ გამოდის, რომ სულ 810 ათასი ოჯახი აღიწერა, აღსანიშნავია რომ ამ მონაცემებში შედის სომხური მოსახლეობაც, რომელიც საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

ამ მონაცემს ემატება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა (მიახლოებით, 200 ათასი კომლი), საშუალოდ, ოჯახზე 5 ადამიანი იანგარიშება.

აღწერაში არ აისახა ფეოდალთა ოჯახები და ქალაქების მოსახლეობა. ამ მონაცემებით, მიუხედავად ჯალალ ედ-დინის და მონღოლთა ლაშქრობებისა, საქართველო კვლავ მჭიდროდ დასახლებული ჩანს. მთლიანობაში, სხვადასხვა გაანგარიშებით, საქართველოს მოსახლეობა 4-5 მილიონი უნდა ყოფილიყო.

მონღოლური გადასახადების დაწესებასთან ერთად, ადგილობრივი ფეოდალური გადასახადებიც შენარჩუნდა, რაც უკიდურესად ართულებდა მოსახლეობის მდგომარეობას. სოფლის მოსახლეობა ტოვებდა სახლებს და, გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით, მიუვალ ადგილებში სახლდებოდა, ეს კიდევ უფრო აქვეითებდა ქვეყნის ეკონომიკას. დაცლილი სოფელი ფეოდალების მდგომარეობასაც ამძიმებდა, რადგან მონღოლებთან სასოფლო გადასახადებზე პასუხისმგებლები ისინი იყვნენ. ამან გაახშირა მამულების გასხვისება, რამაც მიწის ფასი უკიდურესად დასცა. ხარკის სახით ქვეყნიდან ოქრო-ვერცხლი გაედინებოდა, რამაც ფული გააძვირა. ამგვარად, 50-იან წლებში მონღოლთა მიერ ახალი გადასახადების დაწესებას რთული ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა.

წყარო ო **კახა ერისთავთ-ერისთავი მიწის გაიაფებისა და ფულის გაძვირების შესახებ, რკონის სიგელი, 1260:** *ადაპტირებული წყარო*

დაბეგვრის გამო ოქრო ძვირი იყო, ხოლო სოფელი – იაფი... რაც ათი ათასი თეთრი ღირდა, ხუთი ათასად ძლივს გავყიდე...

- *შეაფასე, რა შედეგი მოუტანა მონღოლური გადასახადების დაწესებამ საქართველოს?*
- *შენი აზრით, რატომ არ დაბეგრეს მონღოლებმა ეკლესია?*

საგარეო-პოლიტიკური ვითარება XIII ს-ის 50-იან წლებში

მონღოლთა ბატონობის დამყარების შემდგომ, ქართველებს მონღოლების სასარგებლოდ ჯარის გაყვანაც დაევალა. ჯერ კიდევ 1243 წელს რუმის სასულთნოს დამორჩილებაში ქართველებიც მონაწილეობდნენ. XIII ს-ის 50-იან წლებში მონღოლების მთავარ სამიზნეს ირანის ტერიტორია წარმოადგენდა. ყარაყორუმიდან ლაშქრობა 1252 წელს დაიწყო, რომელსაც სათავეში მანგუ ყაენის ძმა, **ჰულაგუ** ედგა. 1256 წელს მონღოლებმა *ალამუთის ციხე* დაიკავეს და ამით *ისმაილიტთა სახელმწიფო* მოსპეს. 1258 წელს მონღოლებმა ბაღდადის აღებაც შეძლეს. ბაღდადის აღებაში დიდი როლი ქართველებმა ითამაშეს. დავით ულუს ბრძანებით, ქართველებმა ქალაქის გალავნის ქვეშ გვირაბი გათხარეს, შეაღწიეს ქალაქში, დამცველები გაულიტეს და კარები გახსნეს, რის შედეგადაც ქალაქი დაეცა. ბაღდადის აღებით განადგურდა არაბთა სახალიფო, ხოლო უკანასკნელი აბასიანი ხალიფა, ელ-მუსტასიმი სიკვდილით დასაჯეს. ქართველები ალეპოსა და სრულიად სირიის დაპყრობაშიც მონაწილეობდნენ.

შენიშვნები: ალამუთის ციხე *– ისმაილიტების ყველაზე ცნობილი ციხესიმაგრე; მდებარეობდა ირანის ქალაქ ყაზვინთან ახლოს.*

ისმაილიტები *– VIII ს-დან არაბთა სახალიფოში აღმოცენებული ერთ-ერთი მუსლიმური სექტის მიმდევრები. IX ს-დან ფლობდნენ გამაგრებულ სიმაგრეებს ირანსა და სირიაში.*

წყარო 3 **ბაღდადის ალყა, სპარსული მინიატიურა რაშიდ ად-დინის თხზულებიდან „ჯამი ათ-თავარიხი“ (ქრონიკების კრებული), დაახლ. 1430, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარიზი**



ჰულაგუმ, ირანის დაპყრობის შემდეგ ახალ მონღოლურ სახელმწიფოს დაუდო სათავე. მალევე მას ილხანის ტიტული მიენიჭა. ამიტომაც ამ სახელმწიფოს ილხანთა, მეორენაირად კი, ჰულაგუიანთა სახელმწიფო დაერქვა.

საქართველოს ჩრდილოეთით უკვე წარმოქმნილი იყო კიდევ ერთი მონღოლური სახელმწიფო – ჯუჩის ულუსი, იგივე **ოქროს ურდო**. ორ მონღოლურ სახელმწიფოს – ოქროს ურდოსა და ილხანთა სახელმწიფოს – შორის, მომიჯნავე ტერიტორიების გამო, ომი მიმდინარეობდა. 1260 წელს ჰულაგუ ყაენმა ეგვიპტის *მამლუქთა* სახელმწიფოს დაპყრობა გადაწყვიტა და ამ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად დავით VII დაიბარა.

შენიშვნა: მამლუქები *– სამხედრო მონები, რომელთა დიდი ნაწილი კავკასიელები, მათ შორის, ქართველები, იყვნენ. XIII ს-ის ეგვიპტეში მამლუქთა როლი განსაკუთრებით გაიზარდა. მათ მოახერხეს, ქვეყანაში აიუბიანთა დინასტიის მმართველობა დაესრულებინათ და ხელისუფლება ხელში ჩაეგდოთ. XIII ს-ის 50-იანი წლებიდან XVIII ს-ის მიწურულამდე ეგვიპტეს მამლუქები მართავდნენ. ქართველი მამლუქების როლი განსაკუთრებით XVIII ს-ში გაიზარდა – ეგვიპტის უკანასკნელი მამლუქი მმართველები წარმოშობით საქართველოდან იყვნენ.*

დავით VII-ისა და დავით ნარინის აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ

ჰულაგუიანთა ლაშქრობებში ქართველთა მონაწილეობა მძიმედ უჯდებოდა ქვეყანას. 1259 წელს დავით VI ნარინი მონღოლებს განუდგა და თავი დასავლეთ საქართველოს შეაფარა. დასავლეთ საქართველოს დიდებულებმა დავითი აფხაზთა მეფედ სცნეს. მალევე მან კონტაქტი ჰულაგუიანთა ურდოს მტერ, ოქროს ურდოს მმართველ ბერქა ხანთან დაამყარა. ჰულაგუიან მონღოლთა მხედართმთავარმა არღუნმა აჯანყებული ნარინის ჯარი დაამარცხა, თუმცა დასავლეთ საქართველოში არ გადასულა.

1260 წელს არღუნი თბილისში ჩავიდა, სადაც დავით VII-ის აჯანყების შესახებაც შეიტყო. ამგვარად, 1259-60 წლებში ჯერ დავით ნარინი, ხოლო შემდეგ კი დავით VII-ც აჯანყდა.

● *შენი აზრით, რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დავით VII და დავით ნარინი სხვადასხვა წელს აჯანყდნენ?*

წყარო ქ XIII ს-ის ირანელი ისტორიკოსი ჯუვეინი დავით ნარინისა და დავით VII-ის აჯანყების შესახებ:

არღუნ ამირი თავისი ამალითა და ერთი რაზმით თბილისიდან იმ მხარეს გაემართა: ორი ლაშქარი სხვადასხვა მხრიდან შეხვდა ერთმანეთს და ბევრი ქართველი მოკლეს და დაატყვევეს... არღუნ ამირი ჰულაგუს ეახლა თავრიზში და საქართველოს მდგომარეობა მოახსენა. [ილხანმა] მონღოლთა ლაშქარი დანიშნა და ერაყისა და საქართველოს დამორჩილებული ნაწილის დუმენების შეკრება დაავალა. მთელი ეს ლაშქარი მან არღუნ ამირს ჩააბარა. როდესაც იგი კვლავ მოვიდა თბილისში, უფროსი დავით მეფეც გამდგარიყო გადასახადთა... გამო და ერთგულების უღელი გადაეგდო კისრიდან.

დავით VII-მ აჯანყების მიზეზი გადასახადებთან ერთად სამხედრო ბეგარაც გახდა. მან უარი განაცხადა ეგვიპტეში წასვლაზე, რაც აჯანყებას ნიშნავდა. მას სამცხის მთავარი, სარგის ჯაყელიც მიემხრო, თუმცა დიდებულთა ნაწილმა აჯანყებაზე უარი განაცხადა.

მეფემ სამცხეს შეაფარა თავი. 1261 წელს ჰულაგუიანთა ჯარმა, არღუნის მეთაურობით, სამცხეც მოარბია და დავით VII იძულებული გახდა, დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. მონღოლებმა მეფის შვილი **დემეტრე** და **დედოფალი გვანცა** დაატყვევეს. 1262 წელს ჰულაგუ ყაენმა დედოფალი გვანცა სიკვდილით დასაჯა.

დავით VII-ის დასავლეთ საქართველოში გადასვლით მდგომარეობა დამძიმდა. დასავლეთ საქართველოს დიდებულთა ერთი ნაწილი ნარინს ემხრობოდა, მეორე ნაწილი კი მეფედ VII-ს აღიარებდა. თუმცა, კონფლიქტი სამხედრო დაპირისპირებამდე არ მისულა, ორივე დავითმა შეთანხმებას მიაღწია და ადრინდელივით მშვიდობიანად მეფობდნენ ერთ სამეფოში.



წყარო რ ქართული მონეტა, გამოსახულია დავით VII და დავით ნარინი. წარწერა „მეფეთ მეფე დავითი, დავით მეფე“

წყარო ს ლაილას წარწერა, სვანეთი, XIII ს-ის 60-იანი წლები

ადიდენ *მეფენი ბაგრატოანნი*, და *დადიანი*, და დიდებულნი, და ერთობილისა საქართველო, და ერთობილი სუანნი, და ხევი ლატალისა, და აღაშენე მაშენებელნი შენი სოფელი ლაილისა, და ყოველნი მადიდებელნი შენნი, ამენ! მე, მამასახლისსა ცოდვილსა დავითსა და დეკანოზსა აბრამს შეგვინდვენ ღმერთმან.

შენიშვნები: მეფენი ბაგრატოანნი *– იგულისხმება ორივე მეფე – დავით ნარინი და დავით VII.*
დადიანი *– სავარაუდოდ, ცოტნე დადიანი უნდა იგულისხმებოდეს.*

● *შეგვიძლია თუ არა, ლაილას წარწერის მიხედვით, დავასკვნათ, რომ, მიუხედავად ქვეყნის დაყოფისა, ქართველთა ცნობიერებაში არ გამქრალა ერთიანი საქართველოს იდეა? რატომ ფიქრობ ასე?*

1264 წელს ოქროს ურდომ, დარუბანდის გზით, ილხანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი განაახლა. საქართველო ამ დაპირისპირების ცენტრში აღმოჩნდა. ამ დაპირისპირებაში საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ეკავა, ამიტომაც მონღოლები დავით VII-სთან დაზავდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნებულ დავით VII-ს ოქროს ურდოს შემოსევებისგან თავდაცვითი ნაგებობების (სიბა) დაცვა დაევალა. სწორედ აქ 1270 წელს იგი ეპიდემიას ემსხვერპლა.

დავით ნარინის პოლიტიკა ტრაპიზონის იმპერიაში

დავით VI ნარინის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარი მიზანი ტრაპიზონის იმპერიაზე გავლენის მოპოვება იყო. ტრაპიზონის შიდაპოლიტიკაში ბიზანტიურ და ქართულ დაჯგუფებებს შორის მწვავე დაპირისპირება არსებობდა. IV ჯვაროსნული ლაშქრობის (1202-1204) შედეგად ბიზანტიამ ჯვაროსნებისგან მძიმე დარტყმა მიიღო. კონსტანტინოპოლი ჯვაროსანთა ხელში აღმოჩნდა და ბიზანტიის ტერიტორიაზე ლათინთა იმპერია დააარსეს. ბიზანტიელებმა მხოლოდ მცირე აზიის გარკვეული ტერიტორიების შენარჩუნება შეძლეს, სადაც ნიკეის იმპერია დაარსდა. 1261 წელს ნიკეის იმპერატორმა მიხეილ VIII პალეოლოგოსმა შეძლო, ლათინთა იმპერია გაენადგურებინა და ბიზანტიის იმპერია აღედგინა. აღდგენილი იმპერია ცდილობდა, თავისი გავლენა ტრაპიზონის იმპერიაზე განევრცო. 1282 წელს ბიზანტიის იმპერატორის ქალიშვილი ცოლად გაჰყვა ტრაპიზონის იმპერიის მმართველ იოანეს (1282-1297), რაც, ფაქტობრივად, ქართული დაჯგუფების მარცხს ნიშნავდა. ამის გამოსასწორებლად დავით ნარინმა 1282 წელს ილაშქრა ტრაპიზონის იმპერიაში და დედაქალაქი ალყაშიც მოაქცია, თუმცა ქალაქის აღება ვერ მოახერხა. მარცხის მიუხედავად, ქართველები არ დანებდნენ და დროებით იოანეს და, პროქართული პოლიტიკის გამტარებელი თეოდორაც კი გაამეფეს, თუმცა მან ტახტის შენარჩუნება დიდხანს ვერ შეძლო.

ტრაპიზონის იმპერიაში ქართული დაჯგუფების შემდგომი გამარჯვება სამცხის მთავარ **ბექას I-ს** უკავშირდება. მან საკუთარი შვილი ტრაპიზონის იმპერიის იმპერატორ ალექსის (1297-1330) მიათხოვა და სანაცვლოდ ალექსისგან ჭანეთიც მიიღო.

წყარო ტ **დავით VI ნარინის ლაშქრობა ტრაპიზონის იმპერიაში, 1282**



● *იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა სამცხის მთავრისათვის და დასავლეთ საქართველოს მეფისთვის ტრაპიზონის იმპერიას? რა უპირატესობა გააჩნდათ ქართველებს, ბიზანტიელებთან შედარებით, ტრაპიზონში გავლენის მოსაპოვებლად ბრძოლისას?*

დემეტრე II (1270-1289)

დავით VII-ის გარდაცვალების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე მისი 11 წლის ვაჟი **დემეტრე II** გახდა. მის მეურვედ, აღმზრდელად (ათაბაგად) მონღოლებმა **სადუნ მანკაბერდელი** დანიშნეს. მანკაბერდელთა სახლი მონღოლთა ბატონობისას გაძლიერდა. სადუნი ნდობით სარგებლობდა მონღოლებში. 1264 წელს დავით VII-ისა და მონღოლების დაზავებაში მან დიდი როლი შეასრულა.

დემეტრეს მმართველობისას ქვეყანაში უკიდურესად რთული მდგომარეობა იყო. მეფე გამუდმებით მონაწილეობდა მონღოლთა ლაშქრობებში. რთული იყო მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობაც. ამ ყველაფრის მიუხედავად, ამ დროს თბილისში მეტეხის ტაძარი აიგო.

საქართველოს ტერიტორიაზე მონღოლ ურდოთა შორის ხშირმა დაპირისპირებამ ქვეყნის რეგიონები გაავერანა. მოიშალა სოფლის ინტენსიური მეურნეობა. ჯავახეთისა და კოლას ნოყიერი მიწები კი მონღოლმა ნოინებმა საძოვრებად აქციეს. ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით ისარგებლეს ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულმა ოსთა სამხედრო რაზმებმა, რომლებიც შიდა ქართლის დარბევას შეუდგნენ და XIII ს-ის მიწურულს ქალაქ გორის აღებაც შეძლეს.

მოსახლეობის შემცირებამ, სოფლების გაუკაცრიელებამ მიწის ფასი დააგდო. ამავე პერიოდში გაძლიერდა ორტაღთა ამხანაგობები. ორტაღი საკრედიტო საქმიანობაში ჩართულ პირს ეწოდებოდა. მიწის გარანტიით ისინი სესხს გასცემდნენ, სესხის ვერდაბრუნების შემთხვევაში კი მიწა მათ რჩებოდათ. საყოველთაო გაჭირვების ჟამს ბევრი ვერ ახერხებდა ვალის დაბრუნებას და, ამრიგად, მიწები მევახშეებს რჩებოდათ.

გაიზარდა ეკლესიის მამულებიც. სასულიერო წოდებას არ შეეხო მონღოლთა გადასახადები, ამიტომაც მათი ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით ძლიერი იყო. ამ ფონზე ეკლესია ადვილად ახერხებდა გაიაფებული მიწის ხელში ჩაგდებას.

გაღარიბებულმა ფეოდალებმა საეკლესიო მიწების დასაკუთრება (გამოწირვა) დაიწყეს, რაც საერო და სასულიერო ხელისუფალთა შორის დაპირისპირებას იწვევდა.

> **წყარო უ** **XIV ს-ის ანონიმი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, „ასწლოვანი მატიანე“ საეკლესიო მიწების ფეოდალთა მიერ მიტაცების შესახებ:**
>
> მთავართა იწყეს ხელთ შეხებად საყდართა და მონასტერთა და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა.

● *იმსჯელე, რა გავლენას მოახდენდა საერო და სასულიერო პირებს შორის დაპირისპირება ქვეყნის შინაგან სიმტკიცეზე?*

დაქვეითდა საქალაქო ცხოვრებაც. მძიმე გადასახადებისა და ხშირი ომიანობის გარდა, ქალაქების დამცრობა საერთაშორისო სავაჭრო გზების საქართველოს გარეთ გადატანამაც გამოიწვია. ილხანთა სახელმწიფოსა და ოქროს ურდოს შორის ხშირმა დაპირისპირებამ და დაპირისპირების არეალში საქართველოს მოხვედრამ საქართველოზე გამავალი ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სავაჭრო გზები უფრო სამხრეთით გადაწია. ამგვარად, თბილისმა ეკონომიკური ცენტრის ფუნქცია დაკარგა.

დაქვეითდნენ საქართველოს სხვა ქალაქებიც.

> **წყარო ფ** **ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი (1895-1965) ქალაქების შესახებ მონღოლთა ბატონობის დროს:**
>
> მცირდებიან და უკაცრიელდებიან მსხვილი ფეოდალური ქალაქები... გარბიან ხელოსნები, მედუქნეები. სავსებით ქრება მრავალი დაბა-ქალაქი. ისინი ისევ სოფლდებიან...

● *იმსჯელე, რა გავლენას მოახდენდა ქალაქების დაქვეითება ქვეყანაზე პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად? რატომ?*

ეკონომიკურ დაცემას კულტურის დაქვეითებაც მოჰყვა. ქართულ კულტურაში თანდათან მონღოლური წესები დამკვიდრდა.

მონღოლთა ბატონობამ საქართველოში დიდი გავლენა მოახდინა სამხედრო საქმეზეც. ამ დროს აქტიურად ჩნდება ქართულ შეიარაღებაში მშვილდი და სამკერდე ფირფიტები.

მონღოლთა გავლენით, გახშირდა მრავალცოლიანობაც, რასაც ეკლესია მწვავედ უპირისპირდებოდა, მაგალითად, ათაბაგი სადუნი მრავალცოლიანი იყო, ამიტომაც იგი ეკლესიიდან განკვეთეს. მრავალცოლიანი იყო მეფეც, დემეტრე II-ს ერთდროულად 3 ცოლი ჰყავდა. ამის გამო ნიკოლოზ კათალიკოსსა და მეფეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, საბოლოოდ კი პროტესტის ნიშნად კათალიკოსი გადადგა.

1282 წელს სადუნი გარდაიცვალა. მანკაბერდელთა ოჯახის გაძლიერება ბევრ დიდებულს აღიზიანებდა. მეფემ, სადუნის გარდაცვალების შემდეგ, მის ვაჟს, **ხუთლუ-ბუღას** ათაბაგობა არ უბოძა და ამით მანკაბერდელები გადაიმტერა.

1284 წელს ილხანთა სახელმწიფოში ყაენი **არღუნი** გახდა. მის პირველ ვეზირთან, **ბუღა ნოინთან** დემეტრეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ამით მშვიდობასაც ინარჩუნებდა, მაგრამ 1288 წელს ბუღა ნოინი ყაენის წინააღმდეგ შეთქმულებაში ამხილეს და სიკვდილით დასაჯეს. ხუთლუ-ბუღა კი დემეტრე მეფის წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავდა, რის გამოც დემეტრე ყაენის კარზე დაიბარეს, სადაც უეჭველად მასაც სიკვდილი ელოდა.

დიდებულთა ნაწილი მეფეს დასავლეთ საქართველოში ან მთიანეთში ურჩევდა თავის შეფარებას, თუმცა მან წასვლა არჩია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მონღოლები საქართველოსკენ გამოილაშქრებდნენ და ამას დიდი მსხვერპლი და ზარალი მოჰყვებოდა. 1289 წელს დემეტრე II ყაენის კარზე სიკვდილით დასაჯეს. ასეთი თავგანწირვის გამო ხალხმა მას თავდადებული უწოდა.

- *შეაფასეთ დემეტრე II-ის ქმედება, უნდა წასულიყო თუ არა ილხანთა საყაენოში?*

ქვეყნის გაერთიანების მცდელობის მარცხი და მრავალმეფიანობა აღმოსავლეთ საქართველოში

ყუთლუ-ბუღას გავლენით, 1289 წელს, აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე დავით ნარინის ვაჟი **ვახტანგ II** ავიდა. ნარინის შტოს წარმომადგენლის აღმოსავლეთში გამეფებამ საქართველოს გაერთიანების შანსი გააჩინა, ვინაიდან დავით ნარინის გარდაცვალების შემდგომ, დასავლეთ საქართველოც მის ვაჟს, ვახტანგ II-ს გადაეცემოდა, მაგრამ ვახტანგი მამაზე ადრე გარდაიცვალა (1292).

ვახტანგ II-ს გარდაცვალების შემდეგ კი აღმოსავლეთ საქართველოში **დავით VIII** (1292-1311) გამეფდა, რომელიც დავით VII-ის შტოს წარმოადგენდა. თუმცა, დავითი ილხანთა საყაენოს განუდგა და ოქროს ურდოს მიემხრო. ილხანთა საყაენომ კი დავით VIII-ს მეფობისას აღმოსავლეთ საქართველოში მეფის ტიტული მის ძმებს, **ვახტანგ III-სა** და **გიორგი V-ს** უბოძა. ამგვარად, XIII ს-ის დამლევს აღმოსავლეთ საქართველოში სამი მეფე იყო, დასავლეთ საქართველოში კი ნარინის შვილი **კონსტანტინე I** მეფობდა. ცალკე იყო სამცხის სამთავროც, რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა მონღოლთა სახელმწიფოს.

- *შენი აზრით, რა მიზანს ემსახურებოდა დავით VIII-ის ძმების გამეფება ილხანთა საყაენოს მიერ?*

1311 წელს, დავით VIII-ის გარდაცვალების შემდეგ, ილხანთა საყაენომ მეფედ მისი ძე, **გიორგი VI მცირე** დაამტკიცა. მწირი ცნობების მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროს ქვეყანაში კვლავაც მძიმე მდგომარეობა სუფევდა, რომლის გამოსწორებაც შემდგომი მმართველის, ხელახლა გამეფებული **გიორგი V ბრწყინვალის** (1318-1346) დროს მოხერხდა.

1. შეასრულე მოსწავლის რვეულის 4.2 სავარჯიშო – საქართველოს მეფეების ღონისძიებები შედეგების შესახებ.
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის 4.3 სავარჯიშო – საქართველოში მონღოლთა ბატონობის სოციალური, კულტურული და პოლიტიკური შედეგების შესახებ. გაეცანი საინტერესო საკითხავს დემეტრე II-ის დროინდელ თბილისსა და სადუნ მანკაბერდელის შესახებ.
3. ერთმანეთს შეადარე XIII ს-ის დასაწყისი (თამარ მეფის პერიოდი) და დასასრული (მრავალმეფიანობა). რა ცვლილებები განიცადა საქართველომ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით?

21/22 როგორ შეძლო გიორგი ბრწყინვალემ მონღოლთა მმართველობის დასრულება და საქართველოს ხელახლა გაერთიანება?

მონღოლთა ბატონობა საქართველოსთვის მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდა, რადგან მათ მიერ დაწესებულმა სამხედრო ბეგარამ და სხვადასხვა სახის ხარკმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტემპი შეაფერხა. სიტუაცია შეიცვალა XIV ს-ის დასაწყისიდან, როდესაც ტახტი გიორგი V ბრწყინვალემ (1318-1346) დაიკავა. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ შეძლო გიორგი V-მ მონღოლთა ბატონობის დასრულება და დაშლილი საქართველოს გაერთიანება.



XIV ს-ის დასაწყისში საქართველოში რამდენიმე მეფე ერთდროულად მეფობდა: დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის მემკვიდრეები განაგრძობდნენ მეფობას; სამცხის სამთავრო საქართველოს გამოეყო და 1266 წლიდან *ხასინჯუდ* აგრძელებდა არსებობას (ამიერიდან მას **სამცხე-საათაბაგო** ეწოდებოდა); აღმოსავლეთ საქართველოში დემეტრე II თავდადებულის მემკვიდრეები მეფობდნენ.

გიორგი V დემეტრე მეფის რიგით მესამე ვაჟი იყო, რომელსაც მინიმალური შანსები ჰქონდა, მეფე გამხდარიყო, თუმცა, ძმების გარდაცვალების შემდეგ და მონღოლთა კეთილგანწყობის დამსახურებით, იგი 1318 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ერთპიროვნული მმართველი გახდა. მან კარგად შეაფასა საქართველოში არსებული რთული პოლიტიკური სიტუაცია და მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებას მათთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ამჯობინა.

ილხანთა საყაენოში განსაკუთრებით დიდი გავლენით სარგებლობდა პირველი ვაზირი – **ჩობან ნოინი**, რადგან ილხანი **აბუ-საიდი** მცირეწლოვნების გამო საყაენოს, ფაქტობრივად, ვერ მართავდა. გიორგი V-ს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჩობანთან – არაერთი არაბი ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს ამის შესახებ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩობანი გიორგი V-სთან საყაენოს საქმეებსაც განიხილავდა, ჩობანმა თავად მისცა დასტური, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო გაეერთიანებინა, სამცხის ხასინჯუ გაეუქმებინა და ყველა მთავარი დაემორჩილებინა. ამასთანავე, აქამდე თუ გადასახადებს *ბასკაკები* კრეფდნენ, გიორგი მეფემ მონღოლური გადასახადის აკრეფის უფლებაც მოიპოვა.

ხასინჯუ – ყაენისა და მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული მიწები, რომლებიც გადასახადებისგან თავისუფალი იყო.
ბასკაკი – მონღოლ ყაენთა მოხელე, რომელიც განაგებდა დაპყრობილ ქვეყნებში გადასახადების აკრეფისა და მოსახლეობის აღრიცხვის საქმეს.

წყარო ა **XIV ს-ის ანონიმი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, „ასწლოვანი მატიანე“, გიორგი V-ისა და ჩობანის შეხვედრის შესახებ მოგვითხრობს:** *ადაპტირებული წყარო*

გაიგო მეფე გიორგიმ ყაენის სიკვდილისა და მის ნაცვლად აბუ-საიდის ტახტზე ასვლის [ამბავი] და გაემართა ურდოში. მიიღეს და გაიხარა ჩობანმა და ჩაიკრა [გულში], როგორც შვილი და მისცა მას მთელი საქართველო, [დაუქვემდებარა] საქართველოს ყველა მთავარი და დავით ნარინის შთამომავლები და მესხები, [სამცხის მთავარ] ბექას მემკვიდრეები.

თავად ილხანთა საყაენოსთვისაც მიზანშეწონილი იყო, გვერდით ჰყოლოდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს ძლიერი მმართველი იმ ვითარებაში, როდესაც ილხანთა საყაენოში რთული სიტუაცია იყო – მას თავს ოქროს ურდოს ყაენი და ეგვიპტის სულთანი ესხმოდნენ. ამას ემატებოდა განუწყვეტელი აჯანყებები საყაენოში. შექმნილი ვითარება მეფე გიორგისთვის მომგებიანი აღმოჩნდა – მას შესაძლებლობა მიეცა, ქვეყანა დამოუკიდებლად ემართა.

- *რა მიზნები ამოძრავებდათ გიორგი ბრწყინვალესა და ჩობან ნოინს?*
- *შეაფასე გიორგი ბრწყინვალის არჩევანი, როცა დასუსტებული მონღოლების წინააღმდეგ აჯანყების ნაცვლად, მათთან დიპლომატიური ურთიერთობა არჩია.*

გიორგი V-ის საშინაო პოლიტიკა

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისთვის, უპირველესად, ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვა იყო საჭირო. მონღოლთა ბატონობის შედეგად შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა სიტუაციამ მსხვილ ფეოდალებს მიწების მამულებად ქცევა გაუადვილა. გიორგი V-მ კახეთში, ცივის მთაზე, ფეოდალთა ნაწილი – კახეთ-ჰერეთისა და სომხითის (ქვემო ქართლის) ერისთავები – მიიწვია და ყველა ამოწყვიტა.

- *შიდაპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის რა მეთოდებს იყენებს მსოფლიოში სხვადასხვა ხელისუფლება დღეს?*
- *რომელმა ისტორიულმა პროცესებმა შეცვალეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის ფორმები?*

XIII ს-ის მეორე ნახევრიდან შიდა ქართლში, მონღოლთა ხელშეწყობითა და ქვეყნის შიდაარეულობის გამო, ოსების თავდასხმები არ წყდებოდა. ისინი მომძლავრდნენ გორში, ამიტომ გიორგი V-მ უპირველეს მიზნად ოსთა თარეშისგან ქვეყნის გათავისუფლება დაისახა. ჩრდილოეთიდან მომრავლებულ მარბიელ შემოსევებს ქართლის ერისთავები – ამადა და რატი სურამელები – უპირისპირდებოდნენ. გიორგი V-მ ოსების გორიდან განდევნა დაიწყო, სადაც ისინი კარგად იყვნენ გამაგრებულნი. მათ მთლიანად განსადევნად მეფე გიორგის სამი წელი დასჭირდა. ამ ბრძოლაში ქსნისა და არაგვის საერისთავოები მონაწილეობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გიორგი V ამასაც არ დასჯერდა და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსასვლელი გზებიც გაამაგრა.

გიორგი V საქართველოს პოლიტიკურ ერთიანობას აღადგენს

მეფე გიორგის მთავარ საზრუნავს ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა წარმოადგენდა. დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის მემკვიდრეები განაგრძობდნენ მეფობას და ტახტის დასაკავებლად ერთმანეთს გამუდმებით ებრძოდნენ. 1329 წელს დავით ნარინის მემკვიდრე – მიქელი (1327-1329) გარდაიცვალა, რითაც გიორგიმ კარგად ისარგებლა, გადავიდა დასავლეთ საქართველოში, დაიკავა ქუთაისი და მიქელის მცირეწლოვან შვილს შორაპნის (თანამედროვე ზესტაფონის მუნიციპ.) ერისთავობა უბოძა. ამ გზით გიორგი V-მ ორმეფობა გააუქმა და დასავლეთ საქართველოზე კონტროლი აღადგინა.

- *შენი აზრით, რაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ გიორგი V-მ მიქელის შვილს თავად მისცა შორაპნის ერისთავობა?*
- *როგორ შეაფასებდი დასავლეთ საქართველოს მმართველის, მიქელის შვილის მიერ მეფობაზე უარის თქმას და შემდგომში ერისთავობის მიღებას? რატომ იყო ეს გადაწყვეტილება ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი?*

ცალკე პოლიტიკურ ერთეულად არსებობას განაგრძობდა სამცხის ხასინჯუ, რომელსაც ჯაყელები მართავდნენ. მეფე გიორგის სამცხის მთავრებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რადგან დედამისი სამცხის მთავრის, ბექა I ჯაყელის ასული, ნათელა, გახლდათ. 1334 წელს სამცხის მთავრის, **სარგის II ჯაყელის**(1306-1334) გარდაცვალების შემდეგ გიორგი თავად ჩავიდა სამცხე-საათაბაგოში და სარგისის შვილს, **ყვარყვარეს**, სამცხე-საათაბაგოს მთავრობა გადასცა. ამ პოლიტიკური აქტით მეფემ სამცხე-საათაბაგოზე თავისი ხელისუფლება აღადგინა. ამგვარად, მრავალმეფიანობის მოსპობითა და მთავრების დამორჩილებით გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს გაერთიანება დაასრულა.



წყარო ბ **სამცხის მთავრების სამი თაობა: სარგის I (1266-1285), ბექა I (1285-1308) და სარგის II (1308-1334) ჯაყელები. საფარის, წმ. საბას ტაძრის ფრესკა, XIV ს., ახალციხის მუნიციპ.**

- *დაუკვირდი წყარო ბ-ზე გამოსახულ შემდეგ დეტალებს: 1. ბექა I-ს ტაძრის მოდელი უჭირავს. 2. იგი და სარგის II სპარსული სამოსით არიან გამოსახული. 3. სარგის I-სა და სარგის II-ს ხელები ღვთისადმი ვედრების ნიშნად აქვთ აპყრობილი. 4. სამივე მთავარი ჯაყელების გვარიდანაა და ერთმანეთის გვერდით (მიყოლებით) არიან გამოსახული. შეეცადე ამოიცნო თითოეული ზემოთ დასახელებული დეტალი და უპასუხე კითხვას: შენი აზრით, რატომ დაახატინეს მხატვარს სამცხის მთავრების გამოსახულებები ასეთი დეტალებით?*
- *როგორ ფიქრობ, გიორგი V-ის მიერ სამცხის დამორჩილებაზე რა გავლენა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ გიორგის დედა ჯაყელი ჰყავდა?*
- *შენი აზრით, რისი გამომხატველი იყო გიორგი V-ის პოლიტიკური აქტი, რომ იგი ჩადის სამცხე-საათაბაგოში და თავად აძლევს მთავრის სტატუსს გარდაცვლილი სარგისის შვილს?*
- *შეაფასე, ყვარყვარე ჯაყელის მიერ მეფისთვის სამცხის გადაცემის ფაქტი რამდენად იყო საერთო შეთანხმებისა და ქვეყნის ინტერესების გამომხატველი? პასუხი დაასაბუთე.*
- *შეადარე XIV ს-ის ქართველი საზოგადოების იდენტობის გამომხატველი მახასიათებლები XI-XII საუკუნეებისას და იმსჯელე, როგორ აისახება ქვეყნის ბედზე საზოგადოების წევრთა შეთანხმებული თანაარსებობა?*

წყარო 8 საქართველო XIV ს-ის I ნახევარში, მეფე გიორგი V ბრწყინვალის დროს



- *იმსჯელე, რა შედეგი მოჰყვა გიორგი V-ის მიერ მონღოლებთან დამყარებულ დიპლომატიურ ურთიერთობას?*
- *რა ღონისძიებებს მიმართა გიორგი V-მ საქართველოს ხელახლა გასაერთიანებლად? როგორ შეაფასებდი მის საგარეო-პოლიტიკურ ნაბიჯებს?*

მთაში წესრიგის აღდგენისთვის გატარებული ღონისძიებები

მონღოლების საუკუნოვანმა ბატონობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მთელ ქართულ საზოგადოებაზე როგორც ბარის, ისე მთის მოსახლეობაზე. აქ სახელმწიფოებრივი წესრიგი მნიშვნელოვნად მოშლილიყო, შესუსტდა ეკლესიის გავლენა. ყოველივე ამის შედეგად, მოირყა ფასეულობათა სისტემა, შეილახა ზნეობრივი ნორმები. მთიელები სახელმწიფო ვალდებულებების, მათ შორის, სამხედრო სამსახურის შესრულებაზე უარს აცხადებდნენ, მეფის მიერ დანიშნულ მოხელეებს ხოცავდნენ, ერთმანეთს ციხეებს უნგრევდნენ და სარჩოს უნადგურებდნენ. ამ მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სრული *ანარქია* სუფევდა.

ანარქია (ბერძნ. – უმთავრობა, ხელისუფლების უქონლობა) – აქ: გადატანითი მნიშვნელობით – უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი.

ცენტრალური ხელისუფლების მსგავსად, მთის მოსახლეობაზე ეკლესიის გავლენაც შესუსტებულიყო. მთიელები ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს აღარ მისდევდნენ – მარხვას არღვევდნენ, გავრცელებული იყო ჯვრისწერის გარეშე შეუღლება, მკითხაობა და სხვა ჩვეულებები. მართალია, სამეფო კარს არ შეუმუშავებია კანონები, რომლებიც სასჯელს გაითვალისწინებდა ქრისტიანული წესების დარღვევისთვის, მაგრამ ზრუნავდა მთის მოსახლეობაში ეკლესიის გავლენის განმტკიცებაზე.

გიორგიმ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მიდამოები თავად დაათვალიერა და არსებული სიტუაცია შეისწავლა. მეფე ბარში მოქმედ სამართალს მთაში პირდაპირ ვერ გაავრცელებდა, რადგან მთის მოსახლეობა ადათობრივი სამართლით ხელმძღვანელობდა

და, ისევე, როგორც ადრეულ ეპოქებში, ძნელად ეგუებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ დადგენილ წესებსა და ქრისტიანული ცხოვრების წესს. გიორგი V-მ 1334-1335 წლებში მიიღო გადაწყვეტილება, მთიელებისთვის საგანგებოდ შექმნილიყო სამართლის წიგნი – **„ძეგლის დადება“**. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ეს ძეგლი მაღალმთიანი რეგიონისთვის შეიქმნა, კრებულში კარგადაა წარმოდგენილი ქართველი საზოგადოების ერთიანი სურათი, რადგან „ძეგლის დადებასა“ და ბარში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს შორის ბევრი კავშირის პოვნაა შესაძლებელი.

წყარო დ პრეამბულა სამართლის წიგნისა „ძეგლის დადება“, რომელშიც აღწერილია მთაში არსებული სიტუაცია: *ადაპტირებული წყარო*

ჩვენ, მეფეთმეფე გიორგიმ, ყველას შორის წარჩინებული მეფეთმეფე დემეტრეს ძემ, დავაწესეთ ეს დადგენილი ძეგლი იმ დროს, როდესაც შევედით მთიულეთში [იქაურობის] შემოსავლელად. ღვთის მოწყალებით, ჩვენი სამეფოს სავსებით უდავოდ ფლობის [დროს], ტახტისა და სკიპტრის უდავოდ ფლობის გამო წავედით ჩვენი სატახტო ქალაქიდან... და გავიგეთ, რომ დიდი უსამართლობა და ერთმანეთის მიმართ ძალადობა იყო, და იმის გამო, რომ ჩვენში სისხლის [სამართლის დანაშაულისთვის] მსუბუქი [სასჯელი] იყო, ადვილად იმეტებდნენ და ღალატობდნენ ერთმანეთს და ციხეებს ანგრევდნენ, ადვილად ხდებოდა მკვლელობა, ცოლის წართმევა და [მისი] დანაშაულის [გარეშე] მიტოვება და მრავალგვარი უზნეობა; და არავითარი სამართალი აღარ იყო... ერთმანეთისთვის [მიყენებული] ზიანის საზღაური არ ეკისრებოდათ, კანონი არ ჰქონდათ დადგენილი და ახლა ყველა [კანონი] დავაწესეთ, ვის რა როგორ უნდა მიეზღოს, თუ ერთმანეთისთვის ბოროტი რამ, სისხლის სამართლის ან სხვა რამ დაერღვიოს... სჯულისა და საეკლესიო საქმე, რომელიც იქნება გადასაწყვეტი – კაცისმკვლელთა, ეკლესიის მკრეხელთა, უდანაშაულო ცოლის მიმტოვებელთა თუ სხვისთვის წამრთმევთა შესახებ ან სხვა რამ, რაც რჯულის (ზნეობის) განსასჯელი იქნება, ის კათალიკოსმა და მის მიერ დადგენილმა ეპისკოპოსებმა განსაჯონ; ჩვენ საერო სისხლის სამართალი, ხარისხი და სადავო საქმე დავადგინეთ.

შენიშვნა: ულუსობა *(მონღ. ულუსი – მონღოლი ან თურქი მომთაბარე ტომების ბანაკი; საქართველოში ეს სიტყვა იხმარებოდა მონღოლის, ზოგჯერ, ზოგადად, მუსლიმის აღსანიშნავად) – დოკუმენტის ავტორი ამ სიტყვას იყენებს იმ ზნეობრივი დაცემისა და სამართლებრივი განუკითხაობის დასახასიათებლად, რამაც მონღოლთა (ულუსების) ბატონობის შედეგად, სახელმწიფო კონტროლისა და ეკლესიის გავლენის შესუსტების გამო, როგორც ბარში, ისე მთაში მოიკიდა ფეხი.*

- *როგორც უკვე იცი, მონღოლთა ბატონობა ბარშიც იყო გავრცელებული, შენი აზრით, მთაში რატომ მოიშალა უფრო მეტად წესრიგი და ზნეობრივი ნორმები?*
- *შენი აზრით, რატომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს მოვლენები მთაში მხოლოდ მონღოლთა ბატონობას არ მოუტანია და უფრო ადრე ჩამოყალიბებული ტრადიციის / ჩვეულებების გავლენითაც განვითარდა? პასუხისთვის განვლილი მასალიდან გაიხსენე მთაში ქრისტიანობის რთულად გავრცელებისა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის მაგალითები.*
- *იმსჯელე, ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გარდა, რატომ იყო მნიშვნელოვანი მთაში სამეფო ხელისუფლების გაძლიერება?*

„ძეგლის დადების“ 46 მუხლში ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის დანაშაულისთვის დადგენილი შესაბამისი სასჯელის ზომა. სამართლის კრებული ითვალისწინებდა სასჯელის ზომას ადამიანის მიერ ჩადენილი არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ზნეობრივი შეურაცხყოფისა (როგორიცაა ცილისწამება, ღალატი და სხვ.) და ქონების ხელყოფისთვისაც.

- *რატომ გახდა საჭირო სამართლის დოკუმენტების შექმნა მთიელთათვის?*
- *გაეცანი დანართ N6-ს და შეასრულე შემდეგი სავარჯიშოები:*
  - *შეაფასე იმჟამინდელი ქართველი საზოგადოების ზნებობრივი მდგომარეობა.*
  - *შეაფასე ქალთა უფლებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეების საქართველოში.*
  - *შენი აზრით, რა მიზეზების გამო იყო კანონმდებლობით დაშვებული მკვლელობისთვის შურისძიება? რატომ არ იღებდა სამეფო ხელისუფლება სრულ პასუხისმგებლობას დანაშაულთან ბრძოლაში?*

- *იმსჯელეთ კლასში – თანამედროვე საქართველოში დანაშაულთან ბრძოლა მხოლოდ ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების პრეროგატივა უნდა იყოს თუ მოქალაქეებსაც უნდა ჰქონდეთ შეიარაღებული დამნაშავეებისგან, ასევე, შეიარაღებული თავდაცვის უფლება?*

როგორი იყო სახელმწიფო მმართველობის სისტემა გიორგი ბრწყინვალის დროს?

საქართველოს, როგორც ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს, მმართველობის სისტემა წარმოდგენილია სახელმწიფო სამართლის ძეგლში **„ხელმწიფის კარის გარიგება“**. ისტორიკოსთა ნაწილი დოკუმენტს XIII ს-ით ათარიღებს, ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ მისი შემქმნელი გიორგი ბრწყინვალეა, რადგან მონღოლთა ბატონობის შედეგად საქართველოს მმართველობის სისტემა მოშლილი იყო და სწორედ მეფე გიორგიმ დაიწყო მისი აღდგენა. დოკუმენტში დეტალურად არის განხილული სახელმწიფოს მართვის ყველა მხარე: როგორი იყო სამეფო სახლის ცხოვრება; იერარქიულად წარმოდგენილია ვაზირთა და სხვადასხვა თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობები; განსაზღვრულია ე. წ. დარბაზის (სამეფო საბჭოს) ფუნქციები (კანონების მიღება, დიპლომატიური ურთიერთობების წარმოება და სხვ.); ყურადღება ექცევა იმას, თუ როგორ უნდა გამართულიყო საზეიმო ცერემონიები; როგორ მიეღოთ უცხოელი სტუმრები; დოკუმენტში ისიც არის იერარქიულად განსაზღვრული, ვინ ვის გვერდით უნდა დამჯდარიყო და ფეხზე ვინ უნდა მდგარიყო ცერემონიალის დროს. თავად მეფე ერთიანი საქართველოს თვითმპყრობელ მონარქად არის წარმოჩენილი.

წინა გაკვეთილებიდან შენ უკვე იცი ოთხი ვაზირის (მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი) ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, მათ მიემატათ **ათაბაგი** და ***მსახურთუხუცესი*** და ამ პერიოდის საქართველოში სულ ექვსი ვაზირი იყო. ათაბაგი ვაზირად XIII ს-დან გვხვდება და მისი გავლენა მწიგნობართუხუცესის გავლენის შემცირების ხარჯზე იზრდებოდა.

მსახურთუხუცესი – მეფის კაბინეტის, სალაროს, სასახლის მსახურთა ზედამხედველი, ასევე, განკარგავდა მეფის პირადი მამულის სამეურნეო საქმეებს.

- *რატომ იყო ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შუა საუკუნეებში საზოგადოების ჯგუფების მიერ ერთი მეფის უზენაესობის აღიარება?*
- *რა საერთო ინტერესები ჰქონდა ქართველ საზოგადოებას?*
- *გაეცანი დანართი 7-ის ტექსტს და უპასუხე შეკითხვებს:*
  - *რატომ იყო გიორგი ბრწყინვალის მიერ მმართველობის სისტემის მოწესრიგება მნიშვნელოვანი საკითხი?*
  - *იმსჯელეთ კლასში – როდის უნდა შექმნილიყო „ხელმწიფის კარის გარიგების“ დოკუმენტი – XIII ს-ში თუ გიორგი ბრწყინვალის დროს? მოსაზრებები განამტკიცეთ არგუმენტებით.*
  - *დაასახელეთ სამეფო კართან არსებული თანამდებობები და იმსჯელეთ მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.*
  - *რომელი თანამედროვე თანამდებობები შეესაბამება წყაროში დასახელებულ სავაზიროებს? პასუხი დაასაბუთე.*
  - *გამოკვეთე ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ფუნქციები და იმსჯელე, როგორი იყო ამ თანამდებობის მნიშვნელობა სახელმწიფო მართვის საქმეში?*

წყარო 5 **ქართველი ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი (1862-1953) „ხელმწიფის კარის გარიგების“ შესახებ:**

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ქართველ მეფეთა კარზე არსებულ ეტიკეტსა და ცერემონიებს შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ „მეფე-მზის“, ლუი XIV-ის ეტიკეტსა და ცერემონიებს. აქ [„ხელმწიფის კარის გარიგებაში“] მეფის ყოველ ნაბიჯს, ყველა მოძრაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

შენიშვნა: *ხელნაწერი, რომელშიც „ხელმწიფის კარის გარიგება“ იყო დაცული, ექვთიმე თაყაიშვილმა 1920 წელს, ქართლში, ერთ გაპარტახებულ სახლში, ნაგავში იპოვა.*

● *გაიხსენე ლუი XIV-ის სასახლის ეტიკეტი და დღის რეჟიმი. მოაწყვეთ დისკუსია თემაზე „სასახლის ეტიკეტი საქართველოსა და საფრანგეთის მონარქიების მაგალითზე: მსგავსებები და განსხვავებები“.*

1327 წელს აბუ-საიდ ყაენმა თავისი მეურვე და ფაქტობრივი გამგებელი ჩობანი მოაკვლევინა, რამაც ილხანთა საყაენოში ჯერ არეულობა გამოიწვია, შემდეგ კი – თანდათან საყაენოს დაშლა. აბუ-საიდი სუსტი მმართველი აღმოჩნდა, რომელმაც ვერ შეძლო, საყაენოს უკუსვლას გამკლავებოდა. 1335 აბუ-საიდი გარდაიცვალა. შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლა გიორგი V-მ და მონღოლებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა, ასევე, საქართველოდან მონღოლთა ჯარი საერთოდ განდევნა. საყაენოს მხრიდან მეფე გიორგის მოქმედებას არანაირი პასუხი არ მოჰყოლია.

მონღოლთა ბატონობის დასრულებამ და ერთიანობის აღდგენამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან გააუმჯობესა, რაც განსაკუთრებით ქალაქების განვითარებას დაეტყო. ქალაქები მეტად დაუკავშირდნენ ევროპისა და აზიის სავაჭრო ცენტრებს. რომის პაპი **იოანე XXII** (1316-1334) თავის ეპისტოლეებში განსაკუთრებულად თბილისს ახასიათებს შესანიშნავ, ხალხმრავალ და მდიდარ ქალაქად. სავარაუდოდ, ამ გარემოების გამო პაპმა მისიონერობის აღმოსავლეთი ცენტრი 1328 წელს *ქ. სმირნიდან* თბილისში გადაიტანა, სადაც საეპისკოპოსო დაარსდა და საიდანაც კათოლიკე ეკლესიის რწმენის გავრცელება ხდებოდა.
შენიშვნა: სმირნა *– დღევანდელი ქ. იზმირი თურქეთში.*

წყარო 3 ნაწყვეტი რომის პაპ იოანე XXII-ის წერილიდან თბილისში საეპისკოპოსოს დაარსებასთან დაკავშირებით:

საქართველოში არსებულ განთქმულ, შესანიშნავ და შესაფერის ქალაქ თბილისს ვაწესებთ საეპისკოპოსო ქალაქად ღვთის საქებ-სადიდებლად, კათოლიკე სარწმუნოების გასაძლიერებლად, მცხოვრებთა აწმყო და მომავლის ბედნიერებისთვის და სხვა საჩინო მიზეზების გამო, რამაც გადაგვაწყვეტინა, ასე მოვქცეულიყავით...

● *შენი აზრით, რატომ შეიძლებოდა ყოფილიყო გიორგი V-ისთვის მნიშვნელოვანი თბილისის გადაქცევა სამისიონერო ცენტრად? რატომ უწყობდა იგი ხელს ამ პროცესს?*

საქართველოს ძლიერების ხანაში გიორგი V აქტიურად განაგრძობდა მონღოლური ტიპის მონეტების მოჭრას, რასაც თავისი ახსნა ჰქონდა: ილხანთა მონეტები აქტიურად მიმოიქცეოდა ახლო აღმოსავლეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებში. მათი გამოყენება იმიტომ იყო საჭირო, რომ საქართველო ეკონომიკურ ბლოკადაში არ აღმოჩენილიყო და აქტიურ სავაჭრო სივრცეს არ მოსწყვეტოდა.

წყარო 4 აბუ-საიდ ყაენის მონეტა

ამ მონღოლურ მონეტაზე წარწერები სპარსულ ენაზეა წარმოდგენილი, რადგანაც ილხანთა სახელმწიფოში სპარსულ ენასა და დამწერლობას იყენებდნენ.



1. შეაფასე გიორგი V-ის საშინაო პოლიტიკა.
2. იმსჯელე იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც გიორგი V-ს აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალება მისცა.

23 რა მიზნებს მიაღწია გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკამ?

მონღოლთა ერთსაუკუნოვანი ბატონობის დასრულებისა და სახელმწიფო საზღვრების აღდგენის შემდეგ გიორგი V ბრწყინვალე ცდილობდა წარმატებული დიპლომატია ეწარმოებინა და საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე საქართველოს პრესტიჟი აემაღლებინა. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, რა შედეგები მოჰყვა მეფე გიორგის მიერ წარმოებულ საგარეო პოლიტიკას და რა ადგილი ეჭირა საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე XIV ს-ის პირველ ნახევარში.

XIV ს-ის I ნახევარში საქართველოს აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებთან: ბიზანტიასთან, ტრაპიზონის იმპერიასთან, ეგვიპტის სასულთნოსთან, საფრანგეთთან და სხვ. ასევე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კავშირი რომის პაპ იოანე XXII-სთან.

წყარო ა **საგარეო ურთიერთობები გიორგი V ბრწყინვალის დროს, XIV ს-ის პირველი ნახევარში**



გიორგი V-მ გამეფებისთანავე მიაქცია ყურადღება წმინდა მიწაზე შექმნილ ვითარებას (იერუსალიმის ქართველთა ეკლესია-მონასტრები და ქრისტეს საფლავი მუსლიმებს ჰქონდათ მიტაცებული) და იერუსალიმში ქრისტიანთა შევიწროებული მდგომარეობის გამოსწორებაზე ზრუნვა დაიწყო. მან ეგვიპტის სულთან **ალ-ნასირთან** ორი ელჩობა გაგზავნა – ჯერ 1316 წელს, როდესაც გიორგი VI-ის რეგენტი იყო, ხოლო შემდეგ 1320 წელს. მეფემ ელჩებს ეგვიპტის სულთანთან ძვირფასი საჩუქრები და წერილები გაატანა, რომლებშიც ქართული ეკლესია-მონასტრების დაბრუნებასა და წმინდა მიწაზე ქრისტიანი მომლოცველების ღირსეულად შესვლის შესაძლებლობას სთხოვდა; სანაცვლოდ კი სულთანს სამხედრო დახმარებას სთავაზობდა. ელჩებად ქსნის ერისთავის ძე **პიპა** და დეკანოზი **იოანე ბანდაისძე** წარსდგნენ.

გიორგი ბრწყინვალის მხრიდან ილხანთა მოწინააღმდეგე ეგვიპტესთან კონტაქტის დამყარება კარგად მოფიქრებული დიპლომატიური ნაბიჯი იყო. საქმე ისაა, რომ, როდესაც ორი ძლიერი სახელმწიფო (ილხანთა საყაენო და ეგვიპტის სასულთნო) ერთმანეთს უპირისპირდებოდა, მეფე გიორგის მათ შორის დაბალანსებული პოლიტიკის გატარება უწევდა.

- *შენი აზრით, რატომ იქნებოდა საქართველოსთვის ხელსაყრელი დაბალანსებული პოლიტიკის წარმოება ორ ძლიერ სახელმწიფოსთან, რომლებიც ერთმანეთს ემტერებოდნენ?*

ქართველი მეფის თხოვნით, სულთანმა დააბრუნა *„კლიტენი იერუსალიმისანი“*, გააუქმა *ცხენზე ამხედრებულ ქრისტიანთა დასამცირებლად შემოღებული წმინდა მიწაზე შესვლის წესი* და ქართველი მლოცველები ხარკის გადახდისგან გაათავისუფლა. ქართველებს, ასევე, საშუალება მისცა, გაშლილი დროშებით შესულიყვნენ წმინდა ქალაქში.

შენიშვნები: „კლიტენი იერუსალიმისანი“*, მკვლევართა საფუძვლიანი ვარაუდით, ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღებს (კლიტეს) ნიშნავს. მეტიც, აქ უნდა იგულისხმებოდეს არა მარტო ქრისტეს საფლავის გასაღები, არამედ – აღდგომის ეკლესიის მთელი კომპლექსისა (აღდგომის ეკლესია, გოლგოთა და ქრისტეს საფლავი ერთი შეკრული კომპლექსია), რომლის ნაწილია ქრისტეს საფლავის სალოცავიც.*

ცხენზე ამხედრებულ ქრისტიანთა დასამცირებლად შემოღებული წმინდა მიწაზე შესვლის წესი *– ამ წესის თანახმად, ცხენზე ჯდომისას ქრისტიანებს ორივე ფეხი ცალ მხარეს უნდა ჰქონოდათ გადმოდებული, რაც დამცირებად მიიჩნეოდა.*

- *შენი აზრით, რატომ წავიდა ეგვიპტის სულთანი დათმობებზე ქრისტიანთა სასარგებლოდ?*
- *გაიხსენე, კიდევ რომელ მეფეს ჰქონდა მშვიდობიანი დიპლომატიური ურთიერთობა ეგვიპტესთან? შეადარე ერთმანეთს ორივე მეფის დიპლომატია ეგვიპტესთან მიმართებით.*

ქრისტიანთა უფლებებზე ზრუნვა ამაღლებდა საქართველოს პოლიტიკურ პრესტიჟს სხვა ქვეყნების თვალში, რადგან პალესტინა და იერუსალიმი ის სივრცე იყო, რომელთან დაკავშირებითაც მაშინდელი დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ძლიერი ქვეყნები თავიანთი გავლენის დამკვიდრებას ცდილობდნენ.

- *იმსჯელეთ კლასში – რატომ ცდილობდნენ მაშინდელი მსოფლიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტორები საერთაშორისო ასპარეზზე თავის დამკვიდრებას პალესტინასა და იერუსალიმში საკუთარი გავლენის გაძლიერებით? რატომ შეიძლება მივიჩნიოთ ეგვიპტის სულთნის ყველა ზემოხსენებული დათმობა მეფე გიორგის დიპლომატიურ მიღწევად?*

წყარო ბ **პაპი იოანე XXII-ის გამოსახულება მონეტაზე, XIV ს.**



გიორგი V-ის დიპლომატიური ურთიერთობა რომის პაპთან

მეფე გიორგი აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა რომის პაპთან. ჯერ კიდევ გიორგი V-ის გამეფებამდე რომის პაპი **კლიმენტ V** (1305-1314) აქტიურად აგზავნიდა *დომინიკელ და ფრანცისკელ მისიონერებს* საქართველოში. XIV ს-ის 20-30-იან წლებში ურთიერთობა ჰქონდა რომის პაპ **იოანე XXII-სთან** (1316-1334). პაპმა საქართველოს მეფესთან კონტაქტი მისიონერების დახმარებით დაამყარა. ისინი საქართველოს შესახებ ფლობდნენ ინფორმაციას და შუამავლის როლს ასრულებდნენ საქართველოს მეფისა და რომის პაპის ურთიერთობაში.

შენიშვნა: დომინიკელთა და ფრანცისკელთა კათოლიკური ორდენები *დაარსდა XIII ს-ში, საფრანგეთსა (დომინიკელთა) და იტალიაში (ფრანცისკელთა). მათი მიზანი მსოფლიოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება იყო.*

მისიონერი – საეკლესიო ორგანიზაციის მიერ უცხო ქვეყანაში საკუთარი სარწმუნოების გასავრცელებლად წარგზავნილი პირი, ქადაგი.

წყარო გ **ვენეციელი დიდებულის, გეოგრაფისა და მოგზაურის, მარინო სანუტო ტორსელოს (1270-1334) ცნობა საქართველოს შესახებ, რომელიც მან რომის პაპს გაუგზავნა:**

ქართველები არიან უაღრესად მამაცნი, გამბედავნი, ბრძოლაში, მეტად მძლავრნი, ძლიერნი ურიცხვ თავდამსხმელთა მიმართ. სარკინოზებს, სპარსელებს, მიდიელებს, ასურელებს, რომლებიც ქართველების მოსაზღვრედ ცხოვრობენ, მათი დიდი შიში აქვთ. ურწმუნოებს ლაშქრობების დროს დიდ ზარალს აყენებენ... ყოველთვის, როდესაც ისინი ქრისტეს საფლავის მოსანახულებლად მოდიან, წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით, ბაჟის გადაუხდელად შემოდიან... სარკინოზები ცდილობენ, არ შეაწუხონ ისინი, რათა მათ, სამშობლოში დაბრუნებულებმა, სამაგიერო არ გადაუხადონ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებს.

რომის პაპმა სწორედ მისიონერებს გაატანა წერილი, რომელშიც საქართველოს მეფეს რომის ეკლესიასთან გაერთიანებისკენ მოუწოდებდა. ამ მიზნით იგი სთავაზობდა გიორგი V-ს საყოველთაო საეკლესიო კრების მოწვევას, რომელზედაც მათი ერთიანობა დამტკიცდებოდა.

წყარო დ **ნაწყვეტი რომის პაპ იოანე XXII-ის 1322 წლის წერილიდან გიორგი V-ისადმი:**

...ჩვენ ვითხოვთ და ვლოცულობთ უფალ ქრისტესათვის, რათა თქვენ დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ ერთიან წმინდა რომის ეკლესიას... ჩვენ ხომ არაფერს ვითხოვთ ისეთს, რაც თქვენ გეკუთვნით, გვწყურია მხოლოდ თქვენი სულის ცხონება იესო ქრისტეს სასარგებლოდ და არ მოვითხოვთ, მივიღოთ რაიმე თქვენი ხელისუფლებისგან ან შევამციროთ თქვენი ღირსება, არამედ მხოლოდ ვესწრაფვით, სამართლიანად აგამაღლოთ თქვენ და კიდევ უფრო გავაფართოოთ თქვენი ხელისუფლება...

რა უპასუხა პაპს გიორგი V-მ, უცნობია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კათოლიკური სამყაროს ნაწილი არ გამხდარა. ქართველი ხალხი მისიონერებს საკმაო კეთილგანწყობით დახვდა. როგორც უკვე იცი, სამისიონერო ცენტრიც სმირნიდან თბილისში გადმოვიდა და დაიწყო თბილისის საეპისკოპოსო ეკლესიის მშენებლობა. პაპმა თბილისის პირველ ეპისკოპოსად დომინიკელი მისიონერი **იოანე ფლორენციელი** დანიშნა. მან 30 წელი იცხოვრა საქართველოში, გაეცნო ქართულ კულტურას, შეისწავლა ქართული ენა და დიდი პატივისცემით სარგებლობდა ქართველ ხალხში.

თბილისის გარდა, კათოლიკური საეპისკოპოსო იყო სოხუმშიც, სადაც პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი იყო **ბერნარ მორე**, შემდეგ **პეტრე გერალდი**. აქედან გამომდინარე, კათოლიციზმი დასავლეთ საქართველოშიც ვრცელდებოდა. *ოდიშის* მფლობელი **მამია I დადიანი** აწარმოებდა მოლაპარაკებებს რომის პაპთან ეკლესიების გაერთიანების შესახებ და თავადაც მზად იყო, კათოლიკობა მიეღო.

შენიშვნა: ოდიში *– იგივე სამეგრელო.*

პაპების სურვილი, რომ საქართველო და სხვა მართლმადიდებელი ქვეყნები კათოლიკურ სამყაროში გაერთიანებულიყვნენ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ იდეასთან, რომ ქრისტიანულ ქვეყნებს **სამხედრო კოალიცია** შეეკრათ მუსლიმების წინააღმდეგ.

წყარო ე **ამონარიდები სოხუმის კათოლიკე ეპისკოპოსის, პეტრე გერალდის წერილიდან კენტერბერიის არქიეპისკოპოსისადმი, 1330:** *ადაპტირებული წყარო*

ქრისტეს მამათა შორის პატივცემულო, უფალო კენტერბერის არქიეპისკოპოსო, ღვთის მადლით მთელი ინგლისის სამეფოში უპირველესო, ამ სამეფოს დანარჩენო არქიეპისკოპოსებო და ეპისკოპოსებო! [მოგმართავთ] ამავე სამეფოს თანამოძმე პეტრე, ღვთის ნებით სებასტოპოლისის ეპისკოპოსი *ქვემო საქართველოში*. ჩემს სამფლობელოში, მშვიდობიანობის დროს სიუხვესა და კეთილდღეობასთან ერთად, [აქაური] ქრისტიანი ძმები სარკინოზთაგან ისე არიან შევიწროებულნი და დატანჯულნი, რომ [ლამის არის] ქრისტიანული სარწმუნოება მიატოვონ... ქრისტიანებს ჩაგრავენ ბოროტის მზრახველი სარკინოზები... ახლა ქრისტიანებს ბაზრობაზე ჰყიდიან... ერთხელ აქ ასი ქრისტიანი მიჰყიდეს სარკინოზებს. მათ ეს ქრისტიანები სარკინოზთა ქვეყანაში წაიყვანეს და იქ

სარკინოზებად აქციეს. მე, ჩემი მხრივ, ვეწინააღმდეგები ადამიანებით დანაშაულებრივ ვაჭრობას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აქ მბრძანებლები ქრისტიანები არიან, არც ამ და არც სხვა საქმეში არ მრევენ, რადგან ბერძნული სქიზმის მიმდევრები არიან... ამიტომ [თქვენ მოგმართავთ]: თუ თქვენს სამეფოში გაბედული მებრძოლები მოიძებნებიან და სურვილი აქვთ, იომონ ღვთისა და სარწმუნოების სიყვარულისთვის, დატყვევებული ქრისტიანების გასათავისუფლებლად და, ამასთანავე, კარგი მამულის, პირველობის ... შეძენის სურვილი გაუჩნდებათ, სასურველი იქნება, [რომ] თქვენ მათ გააცნოთ ეს (წერილი), სამოქმედოდ ის გამოგზავნეთ, ვინც ამ საქმის მცოდნეა...

ამ ქვეყნის მბრძანებელი, რომელიც მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარიც არის, მზადაა, მთელი თავისი ლაშქრით, დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად, [სარკინოზთა წინააღმდეგ] გაილაშქროს. იგი ... რომაული ეკლესიისადმი მორჩილებაზე, კათოლიკობის მიღებასა და სარწმუნოების ერთიანობაზე თანახმაა. აქაურ კათოლიკეებს სასაფლაოც მისცა... მიუხედავად ქართველთა ორი სამეფოს [ზოგიერთი] ჩვეულებისა, [აქ] გარდაცვლილ კათოლიკეს არ ასხვავებენ *სქიზმატიკოსისგან*, მაგრამ თვით კათოლიკეები ვერ შეეგუვნენ სქიზმატიკოსებს და [მიცვალებულებს მათი] სასაფლაოს გარეთ მარხავენ.

ამის გამო, ზემოთ ნათქვამი სასაფლაოს მიცემით, ძალიან განაწყენებული დარჩა სქიზმატიკოსი ეპისკოპოსი და სამღვდელოება, რადგან ამ სასაფლაოს გამო კარგავენ ლათინთა დასაფლავების [უფლებას]. ამის გამო, იმდენად გაიზარდა შფოთი, რომ კათოლიკე ლათინთა მიერ სასაფლაოს შუაგულში აღმართული ჯვარი ამოგლიჯეს და, აგრეთვე, ლათინთა მიერ აღმართული 15 საფლავის ქვა დაამტვრიეს. ლათინებმა ხელახლა აღმართეს ისინი, აქაურმა სქიზმატიკოსებმა, მღვდლებმა და ხალხმა, სარკინოზთა და იუდეველთა ხელშეწყობით, მესამედ აღმართული [ჯვრები, ქვები] *სქიზმატიკოს ეპისკოპოსთ-ეპისკოპოსთან* წაიღეს. ყოველივე ამის გამო [მოგმართავთ] თქვენ, [დასავლეთის ქრისტიანებო], რომლებიც ტკბებით უზრუნველი კეთილდღეობით, შეიბრალეთ აღმოსავლეთის ქრისტიანები, რომლებიც იჩაგრებიან და თავიანთ გაჭირვებაზე ტირიან. თქვენთვის ადვილია, რომ ქვეყნიერებიდან სრულად ამოაგდოთ მუსლიმთა და სარკინოზთა მათრახი.

შენიშვნები: ქვემო საქართველო – *იგულისხმება დასავლეთ საქართველო.*

ამ ქვეყნის მბრძანებელი – *იგულისხმება ცხუმის საერისთავოსა და ოდიშის მფლობელი მამია დადიანი.*

სქიზმატიკოსი – *იგულისხმება მართლმადიდებელი.*

სქიზმატიკოსი ეპისკოპოსთ-ეპისკოპოსი – *დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი.*

- *დასავლეთ საქართველოში შექმნილ რა მდგომარეობას უსვამს ხაზს სოხუმის კათოლიკე ეპისკოპოსი? რა მიზნით მიმართა პეტრე გერალდიმ კენტერბერის არქიეპისკოპოსს?*
- *რაში გამოიხატებოდა სარკინოზთა ბოროტი ზრახვები ქრისტიანთა მიმართ? რა მოტივი ექნებოდა ორივე მხარეს სარკინოზთა წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევაში?*
- *წერილში გადმოცემული ინფორმაციის მიხედვით იმსჯელე, რამდენად რეალური იქნებოდა სარკინოზთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა?*
- *როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთისადმი მართლმადიდებელ და კათოლიკე სამწყსოს? რატომ?*
- *შენი აზრით, რატომ ეწინააღმდეგებოდნენ მართლმადიდებელი ეპისკოპოსი და სამღვდელოება კათოლიკეთათვის სასაფლაოს გამოყოფას?*

გიორგი V-ის დიპლომატიური ურთიერთობა საფრანგეთთან

მუსლიმთა წინააღმდეგ მებრძოლ ჯვაროსანთა კავშირი საქართველოს მეფეებთან ჯერ კიდევ დავით IV-ის დროს გაიბა. წინა გაკვეთილებიდან უკვე იცი, რომ არსებობდა იდეა, ქართველებს მონაწილეობა მიეღოთ მეხუთე და მეექვსე ჯვაროსნულ ლაშქრობებში, რაც ვერ განხორციელდა. ამჯერად, უკვე XIV ს-ის დასაწყისში, საფრანგეთის მეფემ, **ფილიპე VI ვალუამ** (1328-1350) დაიწყო მზადება ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ანტიეგვიპტური კოალიციის შესაქმნელად მას აღმოსავლეთში ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა. საფრანგეთის მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა, მისიონერების დახმარებით, ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაერთო ილხანთა ყაენი და საქართველოს მეფე და მათთან გაეგზავნა წერილები, თუმცა ილხანთა საყაენოში აბუ-საიდს ელჩობა აღარ გაუგზავნა და არჩევანი მხოლოდ

საქართველოს მეფეზე შეაჩერა. მოლაპარაკების საგანი ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა იყო, რომელშიც „წმინდა მიწის“ გასათავისუფლებლად საქართველოც ჩაერთვებოდა. 1332-1333 წლებში გიორგი V-ს თბილისში ესტუმრნენ ფრანცისკელი მისიონერები: **რიკარდო მერჩერი** და **ალექსანდრე ინგლისელი**. გიორგი მეფეს ორი თვის განმავლობაში დიდი პატივით მიუღია ელჩობა, საფრანგეთის მეფის წერილს ყურადღებით გასცნობია და საპასუხო წერილიც გაუტანებია. თუმცა მეფის წერილს ევროპამდე ვერ ჩაუღწევია.

წყარო 3 **ფილიპე VI ვალუა, საფრანგეთის დიდი ქრონიკები, დაახლ. 1375-1380, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარიზი**



წყარო 4 **ნაწყვეტი გიორგი V-ის საპასუხო წერილიდან საფრანგეთის მეფისადმი:** *ადაპტირებული წყარო*

საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ შემდეგ ისინი აღარ მოდიან და ტოვებენ [აღმოსავლეთის მეფეებს] ამ მტანჯველ ომში...

- *„ისტორიისა“ და „საქართველო ისტორიის“ სახელმძღვანელოებით განვლილი მასალიდან გაიხსენე შემთხვევები, როცა, გიორგი ბრწყინვალის თქმისამებრ, დასავლეთის ხელმწიფეები მუსლიმების წინააღმდეგ ომში ჩაბმისკენ მოუწოდებდნენ აღმოსავლეთის მეფეებს, მაგრამ შემდეგ მათ ბედის ანაბარა ტოვებდნენ. რაზე მეტყველებს, შენი აზრით, ევროპელი მონარქების მსგავსი ქმედებები? პოლიტიკოსის რა თვისებას ავლენს გიორგი V საფრანგეთის მეფისადმი მიწერილი ამ ფრაზით?*

გიორგი ბრწყინვალემ საფრანგეთის მეფეს მოუწოდა, აქტიური სამხედრო მოქმედებები დაეწყო და მხოლოდ ამის შემდეგ მოემზადებოდა საქართველო 30-ათასიანი ლაშქრით „წმინდა მიწის“ გამოსახსნელად.

- *შენი აზრით, რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გიორგი V-ს 30-ათასიანი ლაშქრის გამოყვანის შესაძლებლობა ჰქონდა?*
- *წყარო 4-ს მიხედვით იმსჯელე, პოლიტიკოსის რა თვისებას ავლენს გიორგი V?*
- *ივარაუდე, როგორ წარიმართებოდა პოლიტიკური პროცესები რეგიონში, თუკი იდეა საქმედ იქცეოდა?*
- *რატომ იყო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის/რეგიონისთვის საქართველოს მეფის მიერ განხორციელებული საგარეო პოლიტიკა?*
- *რატომ ცდილობდა გიორგი ბრწყინვალე ევროპულ სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირის დამყარებას? რა გავლენას მოახდენდა ეს კავშირი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაზე? რატომ?*
- *შენი აზრით, როცა სახელმწიფო დამპყრობლისგან გათავისუფლდება, რატომ სჭირდება მყარი მოკავშირე და სტრატეგიული პარტნიორი? რამდენად მოახერხა გიორგი V-მ ამის გაკეთება? რატომ?*
- *შენი აზრით, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან და მეზობლებიდან გამომდინარე, როგორ შეიძლებოდა „ევროპულ ოჯახში“ შესვლა?*

ქართველები და ტრაპიზონის იმპერია

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების პერიოდიდან მასში მცხოვრები ქართველები აქტიურად იყვნენ ჩართულნი იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. XIV ს-ის დასაწყისში გიორგი V-მ ტრაპიზონში საქართველოს გავლენის აღდგენა სცადა. 1332 წელს ბიზანტიელთა დახმარებით ტრაპიზონის კეისარი **ბასილი** გახდა, რომლის სიკვდილის შემდეგ ტახტზე პრეტენზია მისმა დამ – **ანა-ანახუტლუ კომნენოსმა** გამოაცხადა. ანა-ანახუტლუს სწორედ ქართველები უჭერდნენ მხარს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დაპირისპირებისას ტრაპიზონიდან გაქცეულმა ანა-ანახუტლუმ ლაზიკას (დასავლეთ საქართველოს) შეაფარა თავი და ქართველთა ჯარის დახმარებით 1341-1342 წლებში ტახტიც დაიკავა. ანა-ანახუტლუს მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი ტახტიდან ჩამოაგდეს, თუმცა ტახტის სასურველ მაძიებელთა მხარდაჭერას ქართველები მისი ჩამოგდების შემდეგაც აგრძელებდნენ.

- *გაიხსენე განვლილი მასალა და იმსჯელე, რატომ იყო საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ტრაპიზონის იმპერიაზე გავლენის შენარჩუნება?*

წყარო თ **XIV ს-ში მოღვაწე ეგვიპტის სახელმწიფო მდივნის, ალ-უმარის, ნაშრომში „მაღალი ტერმინოლოგიის განმარტება“ დაცულია ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მიმართავდნენ ეგვიპტის სულთნები საქართველოს მეფეებს მიმოწერის დასაწყისში:**

მაღალი ალაჰი ხანგრძლივს ჰყოფს ბრწყინვალებას მისი მეფური უდიდებულესობისა, დიდებულისა, გულადისა, მამაცისა, ლომისა, მეთაურისა, მრავალგზის თავდამსხმელისა, თავის სარწმუნოებაში განსწავლულისა, თავის სამწყსოს მიმართ სამართლიანისა... ქრისტიანობის განმამტკიცებლისა, ქრისტიანობის შემწისა, საქრისტიანოს გმირთ მესიისა, თავისი განზრახვით იერუსალიმის განმადიდებლისა, ნათლისღებულთა ბურჯისა, რომის პაპის შემწისა, მუსლიმთა ერთგული მეგობრისა, ახლობელ-მეგობართაგან ყველაზე გულწრფელისა, მეფეთა და სულთანთა მეგობრისა.

- *შენი აზრით, რაზე მიუთითებს ეგვიპტის სულთნების ასეთი აღმატებული ფორმით მიმართვა საქართველოს მეფეებისადმი?*

წყარო ი **ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) გიორგი V-ის მოღვაწეობას აფასებს:**

საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში, ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდგომ, არცერთ მეფეს თანამედროვეთა შორის და შთამომავლობაში, ისეთი სახელი არ მოუხვეჭია, როგორიც გიორგი V ბრწყინვალემ დაიმსახურა. მისი ქება თანასწორად გვხვდება როგორც ქართულ, ისე მეზობლების წყაროებშიც. მისი უარყოფა ვერ შესძლებიათ ისეთ პირებსაც, რომელთა პოლიტიკა მისას მთლიანად ეწინააღმდეგებოდა...

1. ჩამოაყალიბე მიზეზები, თუ რატომ მოექცა საქართველო XIV ს-ის I ნახევარში სხვადასხვა ქვეყნის ინტერესის სფეროში.
2. იმსჯელეთ გიორგი ბრწყინვალის საშინაო და საგარეო პოლიტიკის როლზე საქართველოსთვის და დაასახელეთ მისი დიპლომატიური ურთიერთობების მიზნები.

24/25 რა მნიშვნელობა ჰქონდა თემურლენგისთვის საქართველოს დაპყრობას?

ამ გაკვეთილიდან გაიგებ, რატომ მართავდა მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დამპყრობელი – თემურლენგი საქართველოს დასამორჩილებლად მძიმე ბრძოლებს და რა ზიანი მიადგა ქვეყანას მისი ლაშქრობების პერიოდში.



XIV ს-ის მეორე ნახევარში შუა აზიაში აღზევდა ბარლასთა გათურქებული მონღოლური ტომის წარმომადგენელი **თემური** (1370-1405), რომელმაც მონღოლთა იმპერიის აღდგენა დაისახა მიზნად. საბრძოლო კარიერა მან მცირე მარბიელი რაზმის ხელმძღვანელად დაიწყო. თემური ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით თავს ესხმობდა და ძარცვავდა მეზობელ ტომებსა და ქარავნებს. ერთ-ერთი ბრძოლის დროს იგი დაიჭრა და დაკოჭლდა, რის გამოც მას მეტსახელად „ლენგი“ (ტაჯიკურად „კოჭლი“) უწოდეს. 1360-იან წლებში თემურლენგს პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდა და შუა აზიაში ძალაუფლებისთვის ბრძოლა დაიწყო.

წყარო ა **თემურლენგი, მინიატურის ფრაგმენტი XV ს-ის სპარსული ხელნაწერიდან „თემურის ისტორია“ („ზაფარნამე“), მეტროპოლიტენ მუზეუმი, ნიუ იორკი**



1370 წელს მან *მავერანაჰრში* ხელისუფლება სრულად ჩაიგდო ხელში და რეზიდენციად ქალაქი სამარყანდი აქცია. ქვეყნის ფორმალურ მმართველად – ხანად – ჩინგიზ-ყაენის შთამომავალი დასვა, თავად კი ემირის (იმავე ამირას) ტიტული მიიღო, თუმცა ქვეყანას, ფაქტობრივად, ერთპიროვნულად მართავდა. საკუთარი ხელისუფლების ლეგიტიმაციის მიზნით მან ჩინგიზ ყაენის შთამომავალი შეირთო ცოლად. მამაცმა, გამბედავმა და დაუნდობელმა თემურლენგმა პოლიტიკური თვალსაზრისით დაქუცმაცებული შუა აზიის გაერთიანება მალევე შეძლო, შემდეგ კი მეზობელი ქვეყნების დასაპყრობად გაემზადა. 1385 წლისთვის მან ჩრდილოეთ ირანის უდიდესი ნაწილი დაიკავა. ელვისებური წარმატებებით გათამამებულმა თემურმა მოინდომა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ სავაჭრო-სატრანზიტო გზებზე გაბატონებულიყო, რათა თავისი სახელმწიფოსთვის შემოსავლის სარფიანი წყარო შეეძინა. შუა აზიასა და ირანში თემურის ამგვარმა გაძლიერებამ შეაშფოთა **ოქროს ურდოს** ყაენი **თოხთამიში** (1380-1395), რომელმაც ჩრდილო-დასავლეთ ირანზე თავდასხმა წამოიწყო. ოქროს ურდო თემურის მთავარ მოწინააღმდეგედ იქცა.

შენიშვნა: მავერანაჰრი *– შუა აზიის ისტორიული ნაწილი, მდინარეებს – სირდარიასა და ამუდარიას – შორის მდებარე რეგიონი. მოიცავს დღევანდელ უზბეკეთს, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის დასავლეთ და ყაზახეთის სამხრეთ ნაწილებს.*

წყარო ბ **თემურლენგის დაპყრობითი ომები XIV-XV სს-ის მიჯნაზე**



პირობითი აღნიშვნები

- საზღვარი მონღოლურ სახელმწიფოებს შორის
- თემურ ლენგის იმპერიის საზღვარი
- თემურ ლენგის იმპერიის დედაქალაქი
- თემურ ლენგის ლაშქრობა ოქროს ურდოში 1395 წ.
- თემურ ლენგის ლაშქრობა ინდოეთში 1398-1399 წწ.
- თემურ ლენგის ლაშქრობა ოსმალებზე 1400-1402 წწ.

● *რუკისა და საგაკვეთილო მასალის მიხედვით იმსჯელე, რომელ სახელმწიფოებს ესაზღვრებოდა საქართველო და რა სტრატეგიული მიზანი ექნებოდა მის დაპყრობას თემურლენგისთვის?*

თოხთამიშის სამფლობელოსგან თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით თემურლენგმა სამხრეთ კავკასიის დაპყრობა და მისი ჩრდილოეთის გადმოსასვლელების (დარიალი, დარუბანდი) გამაგრება მოინდომა – მისი გათვლით, ეს რეგიონი მომავალში *პლაცდარმად* იქცეოდა ოქროს ურდოზე შეტევის განსახორციელებლად. ამგვარად, საქართველო თემურლენგის იმპერიისა და ოქროს ურდოს დაპირისპირების არეალში აღმოჩნდა.

საქართველოში თემურლენგი პირველად **1386 წლის შემოდგომაზე**, თავრიზის აღების შემდეგ შემოიჭრა. მან გაითვალისწინა, რომ ზამთარი დგებოდა და კავკასიონზე გადმოსასვლელი გზები ჩაიკეტებოდა, თოხთამიში კი ვერ შეძლებდა, დახმარებოდა თავის მოკავშირეს – საქართველოს მეფე **ბაგრატ V-ს** (1360-1393).

თემურლენგის ჯარსა და ქართველებს შორის თბილისისთვის სასტიკი ბრძოლები გაიმართა. მძიმე ალყის შემდეგ, ბრძოლის დროს, თემურლენგის ჯარებმა ცეცხლსასროლი იარაღი – მცირე ქვემეხი – გამოიყენეს. რამდენიმეკვირიანი ალყის შემდეგ თვით თემურლენგის

პლაცდარმი – ტერიტორია, რომელიც საწყისი პუნქტია სამხედრო ოპერაციების დასაწყებად ვინმეს წინააღმდეგ.

მეთაურობით გადავიდა ჯარი შეტევაზე და თბილისი აიღო. მეფე ბაგრატ V და დედოფალი ანა ტყვედ ჩაცვივდნენ. თემურის ჯარმა თბილისი გადაწვა და დაანგრია. წაიღეს დიდძალი სიმდიდრე, მათ შორის გამორჩეული იყო სამეფო ბიბლიოთეკა.

თემურლენგმა ჯარი გამოსაზამთრებლად ყარაბაღში დააბანაკა. დატყვევებული ბაგრატ V იძულებული გახდა, დაჰყოლოდა თემურლენგის ნებას და ისლამი მიეღო. მომდევნო წელს თემურლენგმა საქართველოს საბოლოოდ დასამორჩილებლად გამოგზავნა ჯარი, რომელსაც ბაგრატ V მოჰყავდა – თემურლენგს მიაჩნდა, რომ დატყვევებული მეფის საშუალებით საქართველოს მარტივად დაიმორჩილებდა. ბაგრატი საიდუმლოდ დაუკავშირდა თავის ვაჟს, გიორგის. ქართველებმა, უფლისწულ გიორგის მეთაურობით, თემურლენგის ჯარი გაანადგურეს და მეფე ტყვეობიდან გაათავისუფლეს. მეფემ იცოდა, რომ თემურლენგი ამ ქმედებას უპასუხოდ არ დატოვებდა, ამიტომ მოსახლეობა მთებში გახიზნა და მომავალი ბრძოლისთვის მოემზადა.

მომდევნო წელს თემურლენგმა ისევ ილაშქრა საქართველოში, მაგრამ იმის გამო, რომ თოხთამიშ ხანი აზერბაიჯანში შეიჭრა, უკან დაბრუნება მოუწია.

1393 წელს გარდაიცვალა ბაგრატ V, ტახტზე ავიდა მისი მემკვიდრე **გიორგი VII** (1393-1407), რომლის მეფობის განმავლობაში თემურლენგმა კიდევ ექვსჯერ ილაშქრა საქართველოში, მათ შორის, 1394 წელს ორჯერ შემოიჭრა. პირველად სამცხის მხარე მოარბიეს და ახალციხე აიღეს, ხოლო მეორედ კი – არაგვის ციხე.

1395 წელს ოქროს ურდოში ლაშქრობის დროს თემურმა ჩრდილოეთ კავკასიაც დალაშქრა და იქ ძალით დაიწყო ისლამის გავრცელება.

წყარო 8 თემურლენგის ლაშქრობები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში XIV-XV სს-ის მიჯნაზე



● *რუკის მიხედვით, საქართველოს რომელ ნაწილში არ ულაშქრია თემურლენგს? როგორ ფიქრობ, რით იყო ეს განპირობებული?*

გიორგი VII-ის ბრძოლა თემურლენგის წინააღმდეგ და უფლისწული თაჰერი

1398 წელს თემურლენგი ინდოეთში შეიჭრა, ამით ისარგებლა საქართველოს მეფემ, გიორგი VII-მ და ნახჭევანის მიდამოები დალაშქრა. მან მიზნად დაისახა, ალყაშემორტყმული *ალინჯის* ციხესიმაგრიდან უფლისწული თაჰერი გაეთავისუფლებინა. თაჰერი *ჯალაირიანთა* სასულთნოს მმართველის ვაჟი იყო. მისი სასულთნო თემურმა დაიპყრო, უფლისწული თაჰერი თავს აზერბაიჯანს აფარებდა. თემურის ჯარებს რამდენიმე წლის განმავლობაში ჰქონდათ ალყაში მოქცეული ალინჯის ციხე. გიორგი VII-მ დაამარცხა თემურის ჯარი და ციხე-სიმაგრეში გარნიზონი ჩააყენა, პრინცი თაჰერი კი საქართველოში წამოიყვანა. თემურლენგმა ალინჯის ციხის აღება მეშვიდე ლაშქრობის დროს მოახერხა.

შენიშვნები: ალინჯის ციხე *– ციხესიმაგრე, დღეს მდებარეობს აზერბაიჯანში, მდინარე ალინჯის მარჯვენა ნაპირზე.*

ჯალაირიანები *– ირანის ტერიტორიაზე XIV ს-ის დასაწყისში წარმოქმნილი მონღოლური სახელმწიფოს მმართველი დინასტია.*

1399 წელს თემურლენგი დიდი ლაშქრით კახეთ-ჰერეთში შეიჭრა. მან ჯარისკაცებს ტყეების გაკაფვა დაავალა, რათა ამ გზით მოულოდნელად დასხმოდა თავს ქართველებს. ერთი თვის განმავლობაში სასტიკად არბევდა ამ მხარეს. თემურლენგის ბრძანებით ანგრევდნენ ყოველგვარ ნაგებობას, ჭრიდნენ თუთისა და ნიგვზის ხეებს, ანადგურებდნენ ბაღ-ვენახებს. თემურლენგმა მეექვსედ 1400 წელს ილაშქრა, მანამდე კი გიორგი VII-ს გაუგზავნა მუქარით სავსე წერილი, რომელშიც უფლისწულ თაჰერის გადაცემისა და მორჩილების გამოცხადებისკენ მოუწოდებდა, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი გამოლაშქრებით ემუქრებოდა. სომხეთში, ***გოგჩის ტბასთან*** გამართულ ბრძოლაში გიორგი VII-მ მას ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა დამარცხდა. ამის შემდეგ თემურის ჯარებმა კიდევ ერთხელ სასტიკად დაარბიეს აღმოსავლეთ საქართველო.

შენიშვნა: გოგჩის ტბა *– სევანის ტბის თურქული დასახელება. ასევე, ცნობილია, როგორც გელაქუნის ტბა. მდებარეობს დღევანდელ სომხეთის რესპუბლიკაში. სევანის ტბა ფართობით ყველაზე დიდია კავკასიაში.*

თემურლენგის მეექვსე ლაშქრობის დროს, თემებს შორის არსებული ძველი დაპირისპირების გამო, ქსნის ერისთავ ვირშელს დვალები აუჯანყდნენ. მტრის შემოსევის დროს ასეთი მოქმედება მეფემ და ერისთავმა ღალატად მიიჩნიეს. თემურლენგის მიერ ქვეყნის დატოვების შემდეგ სამეფო ჯარმა და ერისთავის რაზმებმა ერთად დალაშქრეს დვალეთი, დაიმორჩილეს და დიდი ნადავლიც იგდეს ხელთ.

წყარო დ ***„ახალი ქართლის ცხოვრების“*** **რედაქტორი ბერი ეგნატაშვილი (XVIII ს.) მოგვითხრობს გიორგი VII-ის პასუხის შესახებ მეექვსე ლაშქრობის წინ გამოგზავნილ თემურლენგის წერილზე:** *ადაპტირებული წყარო*

როცა მეფე გიორგიმ ეს გაიგო, გაკიცხა მისი [თემურლენგის] ამპარტავნება, ქედმაღლობა და შეუთვალა: „რადგან სარკინოზი ხარ, ბოროტი რჯულისა, არ იცნობ წინასწარმეტყველთა ნათქვამს, რომ ჩვენ, ბაგრატიონები, დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები ვართ, რომელმაც ღვთის ნებით, შურდულით მოკლა გოლიათი და მოსპო მისი ქედმაღლობა. ღვთის მიერ მირონცხებულია ჩვენი მეფობა. ამით დამტკიცდა უფლის ნება და ჩვენც მისი ნებით ვმართავთ საქართველოს. არავის, ჩვენ გარდა, არა აქვს აქ მეფობის უფლება. არავის არ ვემორჩილებით, გარდა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ჩემი მეფობა შენს მეფობას არ ჩამოუვარდება, თუ არ აღემატება მას, რადგან შენი მეფობა ამქვეყნიურია და დროებითი, იმქვეყნად კი ჯოჯოხეთი მოგელის. ეშმაკის ძალით დაგიპყრია მთელი აღმოსავლეთი, მათ შორის, ჩვენი საქართველოც. სამჯერ მოსულხარ და აგიოხრებია ღვთისმშობლის წილხვედრი ჩემი სამკვიდრებელი... რადგან გვემუქრები და არა ხარ დიაცი, მოდი და დაგხვდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მოვალთ ღვთის ძალითა და რჩეული ლაშქრით. შენ უკვე სამჯერ გამოგიცდია ქართველთა შეუპოვრობა, ვაჟკაცობა და, თუ შენი ძალმომრეობით უამრავი ბოროტება ჩაგიდენია ჩვენ მიმართ, არც შენ წასულხარ ზიანის გარეშე.“

შენიშვნა: „ახალი ქართლის ცხოვრება“ *– „ქართლის ცხოვრების“ გამართული, შესწორებული და განახლებული რედაქცია, რომელიც შექმნა „სწავლულ კაცთა“ კომისიამ XVIII ს-ის I მეოთხედში, ქართლში ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში.*

1401 წელს თემურლენგი მეშვიდედ გამოემართა საქართველოში სალაშქროდ. გიორგი VII-მ მასთან მოსალაპარაკებლად თავისი ძმა – კონსტანტინე გაგზავნა. გაფორმდა ზავი, რომლის მიხედვითაც, ქართველებს, საჭიროების შემთხვევაში, ჯარის გამოყვანა და ხარკის გადახდა ევალებოდათ; ზავის ერთ-ერთი პირობით საქართველოში შემავალ მუსლიმურ ტერიტორიებზე ქართველებს ქრისტიანული რიტუალების საჯაროდ შესრულება ეკრძალებოდათ თემურლენგი კი პირობას დებდა, რომ ქართველების გამუსლიმებას არ მოითხოვდა და მათ ქრისტიანულ რწმენას შეუნარჩუნებდა.

1402 წელს გამართულ ანგორას ბრძოლაში (ქ. ანკარასთან) თემურლენგმა ოსმალთა ჯარი დაამარცხა, სულთან **ბაიაზეთი** (1389-1402) კი დაატყვევა; ეს უკანასკნელი მალევე გარდაიცვალა. იმავე წელს თემურის ჯარმა ალყა შემოარტყა და აიღო თორთომის ციხესიმაგრე. მეციხოვნეების სიკვდილით დასჯის შემდეგ ციხესიმაგრე დაანგრიეს.

1403 წელს თემურლენგი მერვედ შემოიჭრა საქართველოში. მიზეზად ქართველთა მხრიდან ზავის დარღვევას ასახელებდა. განსაკუთრებულად მძიმე ბრძოლები გაიმართა ბირთვისის ციხესთან, რომელიც კარგად იყო გამაგრებული და მიუვალი კლდის წვერზე მდებარეობდა.

წყარო 2 ნაწყვეტი თემურლენგის ისტორიკოსის, შარაფ ად-დინ ალი იეზდის (XV ს-ის I ნახევარი) თხზულებიდან „ზაფარ-ნამე“ („გამარჯვებათა წიგნი“) ბირთვისის ციხის აღების შესახებ:

1403 წლის ივლისში თემურმა საკუთარ ლაშქარს უბრძანა, საქართველოს ერთი ყველაზე გამაგრებული და მიუვლად

მიჩნეული ციხე [ბირთვისი] აეღო. ციხე მდებარეობს ორ ღრმა ხეობას შორის, მაღალ მთაზე, რომელსაც მხოლოდ ერთი მხრით, ისიც ვიწრო და ციცაბო ბილიკით აქვს ასასვლელი. ქართველებს ეს ციხე ხელოვნურადაც ჰქონდათ გამაგრებული. შიგნით ის წყლით, სურსათითა და საჭმელ-სასმლითაც იყო უზრუნველყოფილი. ისე, რომ ცხვრებიც ჰყავდათ და ღვინოც ჰქონდათ. ამ ციხეში, ციხისთავთან ერთად, 30 აზნაურის ოჯახი იყო შეფარებული. ეს ციხე იმდენად მიუვალი იყო, რომ მასზე შეტევას არ ურჩევდნენ თემურს. მაგრამ მან თავის ლაშქარს უბრძანა, ციხის გარშემო ზღუდეები აეგოთ. თემურმა საბრძოლო მანქანებიც დაამზადებინა ალყისთვის. თემურის ჯარში ოთხი მოლაშქრე აღმოჩნდა, რომლებიც კლდეებზე ცოცვაში იყვნენ დახელოვნებულნი. ერთმა მათგანმა ციხის კედელზე ასვლა მოახერხა, თოკი ჩამოუშვა და მას სხვა მეომრებიც მიჰყვნენ. ქართველებს ეძინათ და ხმაურზე იარაღს სტაცეს ხელი, მაგრამ ციხის კარები უკვე ღია იყო. თემურმა ციხისთავი და ოცდაათივე აზნაური მოაკვლევინა. ციხისთავის ცოლი შარვანის მმართველს შეიხ იბრაჰიმს აჩუქა, მეციხოვნეთა ოჯახის წევრები კი მოლაშქრეებს დაურიგა.

- *წყაროს მიხედვით იმსჯელე, რა სამხედრო ხერხებით შეძლო თემურლენგმა ბირთვისის ციხის აღება?*

წყარო 3 ბირთვისის ციხის ნაშთები, თეთრიწყაროს მუნიციპ.

წინა პლანზე ბირთვისის ციხის კედლების ნაშთებია, უკანა პლანზე მოჩანს კოშკი „შეუპოვარი“.



თემურმა ბირთვისის დაკავების შემდეგ ჯარი დასავლეთ საქართველოში გაგზავნა, თუმცა, რადგან ზამთარი დგებოდა და, შესაძლოა, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გადმოსასვლელები ჩაკეტილიყო, ჯარი უკან დააბრუნა, გიორგი VII კი ზავს დასთანხმდა. თემურლენგმა საქართველო ქრისტიანულ სახელმწიფოდ ცნო.

1405 წელს თემურლენგი გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ იმპერია დაიშალა. თემურლენგის შემდეგ მის შთამომავლებს შორის დაპირისპირება დაიწყო, რასაც იმპერიაში სამოქალაქო ომები და აჯანყებები მოჰყვა. თემურიდებს (ასე უწოდებენ თემურლენგის შთამომავლებს) ემორჩილებოდათ ტერიტორიები შუა აზიიდან სომხეთამდე. ამ ტერიტორიების შენარჩუნება მათ XV ს-ის II ნახევრამდე მოახერხეს.

წყარო 8 ისტორიული წყაროები თემურლენგის საქართველოში ლაშქრობების შესახებ:

1. თომა მეწოფეცი, ლანგ თემურის ისტორია (XIV-XV სს-ის მიჯნა): ...და დიდძალი ჯარით გაემართა [ლანგ თემური] ...თფილის ქალაქზე, დაიპყრო იგი და დაატყვევა ურიცხვი და უამრავი [ხალხი]. და საფიქრებელია, რომ მოკლული უფრო მეტი იყო, ვიდრე ცოცხლად დარჩენილი... მახვილითა და ცეცხლით შემუსრეს ქართლის მთელი ქვეყანა. ეკლესიები დააქციეს, ტყვეები წამოასხეს... მათი შიშისა და მუქარისაგან ზანზარებდა მთა და ბარი.

2. სპარსი ისტორიკოსი შარაფ ად-დინ ალი იეზდი, „ზარაფ-ნამე“ (XV ს-ის I ნახევარი): 1400 წლის ლაშქრობის დროს თემურმა უბრძანა თავის ჯარებს: საღვთო ომად მკლავი აღემართათ ბოროტსა და ცდომილ ხალხზე, მათი სადგომ-საცხოვრებლები გაენადგურებინათ, ხოლო ბაღები და ყანები ამოეთხარათ მოსული ნაყოფითა და მოწეული თავთავიანად... ურჯულოთა შენობები დაწვეს, ყანები გაანადგურეს და ეკლესია-მონასტრები დაანგრიეს... (1403 წელს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობისას) დაახლოებით შვიდასი დაბა, ყანა და მონასტერი იქნა დარბეული და გაძარცული... მიწის ზედაპირი ლალისფრად შეიღება...

3. ბერი ეგნატაშვილი (XVIII ს.) *(ადაპტირებული წყარო)*: ...დაბანაკდა ურიცხვი ჯარით, რომელსაც ვერ იტევდა მთები და ველები და საქართველოს არემარე და შემოგარენი, და გაანადგურა ყველაფერი... იმ ადგილების მკვიდრები დაატყვევა და შემუსრა ყველა ციხესიმაგრე და კოშკი. და არ დარჩა დასახლება, რომელიც სრულად არ ააოხრა. არასდროს არ მოწეულა საქართველოს თავს ასეთი ჭირი, რაც მან მოაწია... სადაც გაიარეს, დაწვეს და ააოხრეს დასახლებები და შენობები...

- *შეასრულე მოსწავლის რვეულის 4.4 სავარჯიშო – გააანალიზე წერილობითი წყაროები თემურლენგის ლაშქრობების შესახებ.*
- *შენი აზრით, რატომ აღნიშნავს სპარსი ისტორიკოსი ხაზგასმით თემურლენგის მეომრების მიერ ნაყოფდასხმული ბაღებისა და ყანების განადგურებას?*
- *სპარსი ისტორიკოსის ნაშრომი გვამცნობს „საღვთო ომის“ შესახებ. განვლილ მასალაზე დაყრდნობით ჩამოთვალე, გარდა რელიგიური მოტივისა, კიდევ რატომ იწყებდნენ ომებს სახელმწიფოები და მათი მმართველები? მოიყვანე მაგალითები.*
- *რატომ არის გამოხატული განსხვავებული დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ქართულ და სომხურ ისტორიულ წყაროებში და, მეორე მხრივ, სპარსულ წყაროში თემურლენგის საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით?*
- *რა არგუმენტებს მოიყვანდი იმისათვის, რომ ქართულ ისტორიულ წყაროში თემურლენგის საქართველოში გამოვლენილი სისასტიკის შესახებ მონათხრობის სანდოობა დაგემტკიცებინა?*
- *შენი აზრით, რატომ იყენებდა განსაკუთრებით სასტიკ მეთოდებს თემურლენგი საქართველოში ლაშქრობების დროს?*

დისკუსია

რატომ არის საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი რელიგიის პოლიტიკური მიზნებით გამოყენება? როგორი გარემოს შექმნაა საჭირო სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის?

ბრძოლა თერგის პირას და მისი შედეგები საქართველოსთვის

ოქროს ურდო პრეტენზიას აცხადებდა კავკასიისა და ირანის ტერიტორიებზე. მას შემდეგ, რაც თემურლენგმა ამ მიმართულებებით ლაშქრობები დაიწყო, თოხთამიშიც გააქტიურდა. ოქროს ურდოს მმართველმა არაერთხელ დალაშქრა სამხრეთი, მათ შორის – ირანი.

1395 წელს თემურლენგმა თოხთამიშს საბოლოოდ დასამორჩილებლად, ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებითაც შეუტია. მდინარე თერგის ნაპირზე გამართულ ბრძოლაში თოხთამიში სასტიკად დამარცხდა.

წყარო 01 **თემურლენგის ლაშქრობა ჩრდ. კავკასიაში – ქ. ნერგესის აღება დაღესტანში, სპარსული ხელნაწერი, 1480, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, ბალტიმორი, მერილენდი, აშშ**





● *აღწერე მინიატურები: განსაზღვრე, რომელია თემურლენგი და მისი მეომრები? რა იარაღს იყენებენ მებრძოლები? ვის უპირატესობას ხედავ? იმსჯელე, რას გაუსვა ხაზი მხატვარმა მეომართა თოკებით ჩაშვების ჩვენებით?*

თემურლენგმა ოქროს ურდოს მართვა თავის დანიშნულ ხანებს ჩააბარა. ოქროს ურდოს დამარცხებით საქართველომ შესაძლო მოკავშირე დაკარგა და თემურლენგთან ბრძოლაში მარტო დარჩა. ამას დაემატა ისიც, რომ, თემურის ბრძანებით, იძულებით მიაღებინეს ისლამი ჩრდილოკავკასიელ ხალხებს, სადაც მანამდე აქტიურად ვრცელდებოდა ქრისტიანული რელიგია და კულტურულადაც ძალიან ახლოს იყვნენ საქართველოსთან. თემურლენგის ბრძანებით დაანგრიეს ქრისტიანული ძეგლები და მათ ნაცვლად ისლამური სამლოცველოები ააგეს.

● *შენი აზრით, რატომ მოუტანდა საქართველოს მძიმე შედეგებს ჩრდილოეთ კავკასიის გამუსლიმების პროცესი და ქართული პოლიტიკურ-კულტურული სივრცისგან გაუცხოება?*

წყარო ი ისტორიკოსი კარლო ტაბატაძე (1924-2003) გიორგი VII-ის ბრძოლის მეთოდების შესახებ:

გიორგი VII, სადაც ამის ოდნავი საშუალება იყო, დიპლომატიური მოლაპარაკებით ცდილობდა თემურის ურდოთა შემოსევების თავიდან აცილებას, მაგრამ, როცა ამის შესაძლებლობა აღარ იყო, მაშინ არ ერიდებოდა მოწინააღმდეგის უაღრესად ჭარბ ძალებთან პირისპირ შებმას. ჭეშმარიტად რაინდული შემართებით ებრძოდა სამშობლოს მტერს, ხოლო უკან დახევისას თავგანწირვით იცავდა თითოეულ ზღუდესა და ციხეს. ამასთან, გიორგი თითქმის ყოველთვის ახერხებდა თავისი მთავარი ძალების შენარჩუნებას და, როგორც კი მტერი დატოვებდა დარბეულ ქვეყანას, მაშინვე ქარწყლდებოდა მძიმე ბრძოლებით მოპოვებულ სამხედრო წარმატებათა პოლიტიკური შედეგები.

- *რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია ომის დროს რაინდული შემართება და კიდევ რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ომში წარმატებების მოპოვებაზე?*

წყარო კ ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) გიორგი VII-ის მიერ თემურლენგის წინააღმდეგ ომს აფასებს:

საქართველოში პირველი შემოსევის დროს შედარებით „ლმობიერი“ მოქმედება ცხადყოფს – საქართველოს მთავრობას რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება აესრულებინა, ის საქართველოს თავისი შემოსევით აღარ შეაწუხებდა. ამავე დროს, გამომწვევი აქტიური წარმოებით გიორგი მეფემ ეს მრისხანე მტარვალი გააღიზიანა და თავისი ქვეყანა დაუნდობელი ბრძოლის ასპარეზად აქცევინა. ქვეყნის აოხრების გარდა, დიდძალი ხალხის დაღუპვამ საქართველო ისე დაასუსტა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ამ სისხლის დენის შედეგისაგან გამოკეთება ვეღარ შეძლო. იმ დროს გაოხრებული ადგილები XV და XVI საუკუნეებშიც კი, საკმაო მოსახლეობის უქონლობის გამო, გაუკაცრიელებული დარჩა.

- *გაიხსენე გაკვეთილიდან, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რა ვალდებულებაზე საუბრობს ივანე ჯავახიშვილი? ეთანხმები თუ არა მის მოსაზრებას, რომ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, თემურლენგი საქართველოს აღარ დალაშქრავდა?*
- *შეადარე ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას წყარო ი-ში გამოთქმული აზრი, რომ თემურლენგის სამხედრო წარმატებები ვერ გადაიზარდა დამპყრობლის პოლიტიკურ წარმატებებში. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? შენი მოსაზრება არგუმენტებით გაამყარე.*
- *შენი აზრით, რა სახელმწიფოებრივი და პიროვნული თვისებები უნდა ჰქონდეს ქვეყნის მმართველს სამხედრო მოქმედებების დროს? მოიყვანე არგუმენტები.*

თემურლენგის ლაშქრობებმა მძიმედ იმოქმედა ყველა სფეროზე. განადგურდა მრავალი სოფელი, ქალაქი, ეკლესია-მონასტერი და ციხესიმაგრე. დაეცა ქვეყნის ეკონომიკა, შესუსტდა სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა. დამპყრობლებმა დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს მრავალი ადამიანი. თემურლენგის ლაშქრობების შედეგად გაჩნდა სიტყვები: „ნასახლარი“, „ნასოფლარი“ „ნაფუძარი“, „ნაეკლესიარი“, „ნაციხარი“ და ა. შ. ქართულმა სახელმწიფომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ვერ მოახერხა სასტიკი დამპყრობლის მიერ მიყენებული ზარალის აღმოფხვრა.

1. დაიყავით ორ ჯგუფად: ერთმა ჯგუფმა მოიყვანოს გიორგი VII-ის უკომპრომისო პოლიტიკის მხარდამჭერი არგუმენტები, მეორე ჯგუფმა – გააბათილოს ისინი კონტრარგუმენტებით.
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის 4.5 სავარჯიშო – შეადარე 1403 და 1243 წლებში დადებული საზავო პირობები.

2 საქართველო XV-XVIII საუკუნეებში

XV ს-ში ერთიანი საქართველო რამდენიმე ნაწილად დაიშალა, რამაც მეზობელ იმპერიებს მასზე გაბატონება გაუადვილა. ამ თემიდან გაიგებ, რა იყო სამეფოს დაშლის მიზეზები, რომელი დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროები შეიქმნა, რით განსხვავდებოდა მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, როგორ მიმდინარეობდა მათ შორის ბრძოლა პირველობისათვის და საგარეო მოწინააღმდეგეთა მოსაგერიებლად, რატომ ვერ მოხერხდა კვლავ ერთიანი სამეფოს ფორმირება; როგორ ინაწილებდნენ მეზობელი იმპერიები საქართველოს მიწებს და ამ ყველაფრის ფონზე როგორი იყო საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ცხოვრება.

მთავარი კითხვები, რომლებსაც უნდა უპასუხო ამ თავის შესწავლის შემდეგ:

- რატომ არის მნიშვნელოვანი ევროპელი მოგზაურებისა და კათოლიკე მისიონერების ჩანაწერები და ჩანახატები საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის?
- რატომ დაიშალა საქართველო სამეფო-სამთავროებად XV საუკუნეში?
- როგორ შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური რუკა სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ?
- როგორ ცხოვრობდნენ XV-XVIII საუკუნეში სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოში ადამიანები და როგორი იყო მათი საზოგადოება?
- რატომ იყვნენ დაინტერესებულები ქართველები ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობით?
- რატომ არ დაიწყო საქართველოში „ახალი დრო“ XV ს-ში ევროპის მსგავსად?
- რატომ ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოზე ევროპულმა „აღორძინებამ“ და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა?
- როგორ და რა მეთოდებით ცდილობდნენ ოსმალეთი და ირანი საკუთარი პოლიტიკური ინტერესების განხორციელებას საქართველოში?
- როგორ ცდილობდნენ ქართველი მმართველები ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას?
- რატომ მსახურობდა ბევრი ქართველი მეომარი ახლო აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებში?
- რატომ აქვს გვიანი შუა საუკუნეების ქართულ კულტურასა და ყოფას მკვეთრად გამოხატული სპარსულ-თურქული ელფერი?
- როგორი იყო „ტყვეთა სყიდვის“ შედეგები საქართველოში და როგორ იბრძოდა საერო და სასულიერო ხელისუფლების გარკვეული ნაწილი ამ მოვლენის წინააღმდეგ?
- რატომ ცდილობდნენ გვიან შუა საუკუნეებში ქართველი და ევროპელი საერო და სასულიერო მმართველები ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას?
- რატომ იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეფე ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა?
- როგორ იქცა ქართლ-კახეთი XVIII ს-ში ამიერკავკასიაში ანგარიშგასაწევ ძალად?
- რა განსხვავებული შეფასებები არსებობს ისტორიკოსთა შორის „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადების მიზეზებთან, შედეგებსა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით?
- რით განსხვავდებოდა XV-XVIII საუკუნეების საქართველო თანამედროვეობისგან და/ან სხვა ისტორიული ეპოქებისგან?

2.1 ერთიანი სამეფოს დაშლა და დანაწევრებული საქართველო



XV ს-ში საქართველო მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩნდა. საგარეო და საშინაო ფაქტორების გავლენით ერთიანი სახელმწიფო რამდენიმე ნაწილად დაიშალა. ქართლმა, კახეთმა, იმერეთმა და სამცხე-საათაბაგომ დამოუკიდებლად გააგრძელეს არსებობა, XVI ს-ში მათ რიცხვს გურიისა და ოდიშის (სამეგრელოს), XVII ს-ში აფხაზეთის, XVIII ს-ში კი სვანეთის სამთავროები შეემატა. თითოეული მათგანის პოლიტიკა განსხვავებული იყო მხოლოდ კონკრეტული ვითარების შესაბამისად თუ იყო თანხვდენილი.

ქართულ სამეფო-სამთავროებს საერთაშორისო იზოლაციის პირობებში უწევდათ არსებობა, რადგან სამხრეთ-დასავლეთიდან გაძლიერებულმა ოსმალეთმა და სამხრეთ-აღმოსავლეთში წარმოქმნილმა სეფიანთა ირანმა ისინი ალყაში მოაქცია. ორივე იმპერია ამიერკავკასიაში საკუთარი გავლენის გავრცელებისთვის იბრძოდა, შესაბამისად, საქართველო და მისი მეფე-მთავრები ურთულეს რეგიონულ პროცესებში იყვნენ ჩართულნი. ოსმალეთისა და ირანის გამუდმებული ომები კიდევ უფრო მეტად ასუსტებდა საქართველოს. ამას ემატებოდა საკუთრივ ქართველ მეფე-მთავრებს შორის დაუსრულებელი დაპირისპირება პირველობისა და უფრო მეტი დამოუკიდებლობისთვის.

ამ ქვეთემიდან შეიტყობ, რა მიზეზებმა გამოიწვია ერთიანი საქართველოს დაშლა, რატომ მოსწყდა დიდი ხნით საქართველო ევროპულ სივრცეს, რა მიმართება ჰქონდათ ქართველებს ირან-ოსმალეთის ომებთან; როგორ ცდილობდნენ თავისუფლების შენარჩუნებას ისეთი მმართველები, როგორებიც იყვნენ: ლუარსაბ I, სიმონ I, თეიმურაზ I და სხვები; როგორ ვითარდებოდა ქვეყანაში ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი პროცესები ურთულესი პოლიტიკური ვითარების ფონზე.

საკითხი 5. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად



კომპლექსური დავალება 5

სამიზნე ცნებები

- სივრცე
- ისტორიული პროცესი/მოვლენა

წარმოიდგინე, რომ ცხოვრობ XV ს-ის მიწურულს და ქართლის სამეფო კარზე მოღვაწეობ. რამდენიმე ათეული წლის დაგვიანებით მიიღე დაკარგული წერილი ევროპაში გაგზავნილი ქართველი ელჩისგან, რომელიც 1460 წელს საქართველოში ჩამოსულ რომის პაპის ელჩს, ლუდოვიკო ბოლონიელს, გაჰყვა და სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. წერილი გატყობინებდა, რომ, ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის მიზნით, ქართველმა ელჩებმა ევროპაში არაერთი შეხვედრა გამართეს ისეთ პოლიტიკურ პირებთან, როგორებიც იყვნენ: საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი ფრიდრიხ III, რომის პაპი პიუს II, საფრანგეთის მეფე შარლ VII და სხვ. წერილში საუბარი იყო იმ მიზეზებზეც, რომლებმაც ანტიოსმალური კოალიციის ჩაშლა განაპირობა.

შენ გადაწყვიტე, წერილი მისწერო ქართველ ელჩს, რომელიც, ასევე, ინტერესდებოდა საქართველოში არსებული მდგომარეობით და ამცნო მას, რომ კოალიციის ჩაშლამ ქვეყანაში მშვიდობა დაარღვია და ქართველ მეფე-მთავრებს შორის კიდევ უფრო გაამწვავა დაპირისპირება, რამაც, საბოლოოდ, საქართველო დაქუცმაცებამდე მიიყვანა.

ნაშრომში ნათლად წარმოაჩინე შემდეგი საკითხები:

- რატომ ჩაიშალა ანტიოსმალური კოალიცია და რა როლი შეასრულა ამ პროცესებში საქართველომ?
- რა საშინაო და საგარეო ფაქტორებმა განაპირობა ერთიანი საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად და შესაძლებელი იყო თუ არა ამ პროცესების თავიდან არიდება?
- რატომ დაბრუნდა ლუდოვიკო ბოლონიელი ქართველ ელჩებთან ერთად სპეციალური მარშრუტით ევროპაში (შავი ზღვისა და დუნაის გავლით ჩავიდა უნგრეთში), რა გეოგრაფიულ ცოდნას ფლობდნენ იმ პერიოდში ელჩები?
- როგორ შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური რუკა სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ?

26 რა მიზეზებმა განაპირობა ერთიანი საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად?

ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა ხანგრძლივი და რთული პროცესის შედეგი იყო, რამაც თავი განსაკუთრებით XV ს-ის მეორე ნახევარში იჩინა. ამ გაკვეთილიდან გაიგებ, რომელმა საშინაო და საგარეო ფაქტორებმა განაპირობა ეს შედეგი.

საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში

როგორც წინა გაკვეთილებიდან შეიტყვე, მონღოლთა ბატონობამ და თემურლენგის ლაშქრობებმა მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს. გამუდმებულმა ომიანობამ ეკონომიკურ-პოლიტიკური საყრდენი გამოაცალა საქართველოს სამეფოს. ქალაქების ნაწილი განადგურდა, ნაწილი კი დაკნინდა. მოსახლეობა შემცირდა, ნაყოფიერი მიწების ნაწილი აღარ მუშავდებოდა, რამაც ქვეყანაში დოვლათის შექმნა შეამცირა, ეს კი პირდაპირ აისახებოდა ქვეყნის ცენტრალიზებულ მმართველობაზე – მეფის გავლენა და ძალაუფლება დასუსტდა.

თემურლენგის სიკვდილის შემდეგ (1405) მისი იმპერია, მართალია, დასუსტდა, თუმცა საქართველოსთვის საგარეო-პოლიტიკური ვითარება არ გაუმჯობესებულა. თემურლენგის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ტერიტორიებზე არანაკლებ აგრესიული თურქმანული სახელმწიფოები აღმოცენდა, რომლებიც გამუდმებით ომობდნენ საქართველოს წინააღმდეგ. XV ს-ის პირველ ნახევარში საქართველოს სამხრეთიდან **თეთრბატკნიანთა (აყ ყოინლუ)** და **შავბატკნიანთა (ყარა ყოინლუ) სახელმწიფოები** გაუმეზობლდნენ. **გიორგი VII-ს** (1387-1407) მმართველობის ბოლო წლებში სწორედ მათთან მოუწია დაპირისპირება. მომდევნო მეფე – **კონსტანტინე I** (1407-1411) შავბატკნიანებთან ბრძოლაში დაიღუპა.

ალექსანდრე I დიდის (1412-1442) მმართველობის დროს შავბატკნიანთა სახელმწიფოს ჯარები კვლავ თავს დაესხნენ საქართველოს და 1416 წელს ახალციხე აიღეს. ალექსანდრე I-მა აქტიური საგარეო პოლიტიკით სამხედრო კავშირი დაამყარა შარვანის, შაქისა და **თემურიდების იმპერიის** მმართველებთან. ამ დროს ამ იმპერიას თემურლენგის შვილი – შაჰროხი განაგებდა. 1421 წელს მოკავშირეებმა ერთობლივად დაამარცხეს შავბატკნიანთა მმართველი – ისკანდერი.

1431 წელს საქართველომ ლორე შემოიერთა, 1434-35 წლებში კი – სივნიეთის მხარე (დღევანდელი ყარაბაღი).

წყარო ა **ალექსანდრე I დიდი, ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესიის ფრესკა, XV ს., ხაშურის მუნიციპ.**



● *შენი აზრით, რამ განაპირობა ფრესკის ასეთი დაზიანება?*

წყარო ბ საქართველო ალექსანდრე I-ის მეფობის დროს, XV ს-ის პირველ ნახევარში



● *რუკის მიხედვით გააანალიზე, რა გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა საქართველოსთვის სივნიეთის მხარის შემოერთებას ?*

ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე

XV საუკუნის 30-იან წლებში ბიზანტია ვეღარ უმკლავდებოდა გაძლიერებული ოსმალეთის შემოტევებს და დახმარებას ევროპისგან მოელოდა. პაპმა ევგენიუს IV-მ (1431-1447) მოიწვია **ფერარა-ფლორენციის კრება** (1438-1439). პაპი, ეკლესიათა გაერთიანების შემთხვევაში, დახმარებას აღუთქვამდა აღმოსავლეთის ქრისტიანებს. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა ბიზანტიის იმპერატორმა გაერთიანების ხელშეკრულებას (უნიას) ხელი მოაწერა. კრებაზე მოწვეულნი იყვნენ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს წარმომადგენლებიც. იმპერატორმა თავად გაგზავნა საქართველოში ელჩი, რომელსაც ევალებოდა ქართველთა დაყოლიება კრებაში ჩართვისთვის. საქართველოს წარმომადგენლები კრებას დაესწრნენ, თუმცა, ბიზანტიის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ხელი არ მოუწერიათ ეკლესიათა უნიაზე. კრებას არ დასწრებიან ევროპის ქვეყნების წარმომადგენელებიც (გარდა ბურგუნდიისა). საბოლოოდ, უნიამ შედეგი ვერ გამოიღო, კათოლიკე ეკლესიამ ვერ შეძლო ახალი ჯვაროსნული ომის წამოწყება.

● *შეაფასეთ რომის პაპის პოლიტიკა ფერარა-ფლორენციის კრებაზე ბიზანტიის იმპერიის მიმართ. რა რეაქცია შეიძლებოდა გამოეწვია ბიზანტიის იმპერატორის გადაწყვეტილებას კონსტანტინოპოლის მოსახლეობაში? რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოეტანა ბიზანტიისათვის კათოლიკე ეკლესიასთან გაერთიანებას?*

● *იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ფერარა-ფლორენციის კრებაზე ქართველთა მიწვევასა და მონაწილეობას?*

ალექსანდრე I-ის საშინაო პოლიტიკა

ალექსანდრე I აქტიურად აგვარებდა ქვეყნის საშინაო საქმეებსაც. 1414 -1415 წლებში მეფემ ძალაუფლება განიმტკიცა სამცხე-საათაბაგოსა და დასავლეთ საქართველოში. სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების მმართველებს – დადიანებსა და შარვაშიძეებს – დაპირისპირება ჰქონდათ. მეფის აქტიური ჩარევით, სამთავროებს შორის მშვიდობა დამყარდა. შემდგომში, ფეოდალთა გაძლიერების აღმოსაფხვრელად და რეგიონების შემოსამტკიცებლად, მეფემ ქვეყნის მოწყობაში მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა – რეგიონების მმართველებად საკუთარი შვილები დანიშნა.

თემურლენგის შემოსევების შედეგად დანგრეული ქვეყნის აღსადგენად 1425 წელს მეფემ **კომლობრივი გადასახადი – 40 თეთრი** (ვერცხლის ფული) – შემოიღო, რომელიც 1440 წლამდე იკრიბებოდა. გადასახადიდან შემოსული თანხა ხმარდებოდა დანგრეული ეკლესია-მონასტრების, ქალაქების, გზების მოწესრიგებას. თუმცა, აღდგენილი შენობა-ნაგებობები ხელუხლებელი დიდი ხნით როდი დარჩა – 1440 წელსვე კვლავ შემოიჭრნენ შავბატკნიანები ჯეჰან შაჰის მეთაურობით. ამ ლაშქრობამ ქვეყანას დიდი ზარალი მიაყენა.

1442 წელს შიდა დაპირისპირების გამო მეფეს გადადგომა და ბერად აღკვეცა მოუწია, ტახტზე კი მისი ვაჟი **ვახტანგ IV** (1442-1446) ავიდა. 1444 წელს ჯეჰან შაჰი ჯარით ახალციხეს მოადგა, თუმცა საქართველომ ამჯერად შეძლო მტრის მოგერიება.

1447 წელს ტახტზე ავიდა ალექსანდრე I დიდის უმცროსი ვაჟი **გიორგი VIII** (ერთიანი საქართველოს მეფე – 1446-1465, კახეთის მეფე – 1466-1476). იგი ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე აღმოჩნდა.

სათავადო სისტემის ჩამოყალიბება

XV ს-დან საქართველოში ჩამოყალიბდა **სათავადოთა** სისტემა. მსხვილი თავადები (სხვადასხვა საფეოდალო საგვარეულოები) სულ უფრო გაძლიერდნენ. მსხვილი ფეოდალები ძალაუფლებას იფართოებდნენ და წვრილ აზნაურებს იმორჩილებდნენ, მუდმივი ომიანობით შესუსტებულ ცენტრალიზებულ მმართველობას კი ძალა აღარ შესწევდა ქვეყნის შიგნით ამ ფეოდალური ურთიერთობების მოსაგვარებლად. თუკი მანამდე მეფის დასაყრდენი წვრილაზნაურობა იყო, ამ ეტაპზე ეს ძალა მსხვილი ფეოდალების ხელში გადავიდა, თვით ეს ფეოდალები (თავადები) კი, თავის მხრივ, მეფისგან სულ უფრო მეტ უფლებას ითხოვდნენ. დროთა განმავლობაში მათ სრული შეუვალობა (იმუნიტეტი) მიიღეს, რის შედეგადაც მეფეს აღარ შეეძლო საფეოდალოს შიდასაქმეებში აქტიური ჩარევა. ხშირ შემთხვევაში ფეოდალები, ძალაუფლების გაფართოების მიზნით, მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადადიოდნენ. ამგვარად ჩამოყალიბდა სათავადოთა სისტემა.

ამგვარი შიდამოწყობა უკიდურესად აკნინებდა მეფის ძალაუფლებას, ხელს უშლიდა ცენტრალიზებული ეკონომიკის შენარჩუნებასა და განვითარებასაც, რადგან სათავადოებში ერთგვარად კარჩაკეტილი სამეურნეო საქმიანობა განვითარდა. ყოველივე ზემოთქმულმა დიდი როლი შეასრულა ერთიანი საქართველოს დაშლის პროცესში.

მსგავსი პროცესები მხოლოდ საქართველოსთვის არ იყო დამახასიათებელი. ფეოდალიზმის ხანაში მსგავსი მოვლენები ვითარდება ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნებშიც. საქართველოს შემთხვევაში მდგომარეობას საგარეო-პოლიტიკური ვითარებაც ართულებდა.

- *იმსჯელეთ კლასში – რატომ დაუპირისპირდნენ მსხვილი ფეოდალები ცენტრალური მმართველობის სისტემას, სამეფო ხელისუფლებას, და რა საშუალებებით იბრძოდნენ ძალაუფლების გაფართოებისთვის?*
- *შენი აზრით, რა სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა განაპირობა სათავადო სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში?*
- *იმსჯელე, რატომ არ იყო XI-XIII სს-ის საქართველოში საფუძველი მსგავსი ფეოდალური ინსტიტუტის არსებობისთვის?*



წყარო გ **გიორგი VIII, ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე, გიორგი VIII-ის სასისხლო სიგელი მღვდელ გიორგი ჟურულისადმი, 1460, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

შენიშვნა: სასისხლო სიგელი *– ქართველი მეფის მიერ რომელიმე პიროვნებისადმი ბოძებული სიგელი, რომელშიც განსაზღვრულია საბუთის მიმღების მიმართ ჩადენილი ამა თუ იმ დანაშაულის მატერიალური საზღაური, ანუ სისხლის ფასი.*

საქართველო XV ს-ის მეორე ნახევარში. გიორგი VIII, ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე

1447 წელს საქართველოს სამეფოს ტახტზე ვახტანგ IV-ის (1442-1446) უმცროსი ძმა **გიორგი VIII** ავიდა. სამცხე-საათაბაგოს მთავარი **ყვარყვარე II** დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა, გადასახადებს აღარ გზავნიდა თბილისში, სხვადასხვა ქვეყანაში დამოუკიდებლად მიავლენდა ელჩებს. 50-იან წლებში, სამცხის მთავრის ინიციატივით, იყო იმის მცდელობა, რომ სამცხის ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოს ჩამოსცილებოდა. ყვარყვარე II-მ თავის სამთავროში, კათალიკოსის დაუკითხავად, დანიშნა სასურველი ეპისკოპოსები, მაწყვერელი (აწყურის) ეპისკოპოსი კი უპირატესად დადგინდა. სამცხის ეპისკოპოსები მეფესა და კათალიკოსს ლოცვებში აღარ იხსენიებდნენ. ეს პროცესი კათალიკოსმა დავით IV-მ შეაჩერა. იგი სამცხეში – საფარის მონასტერში ჩავიდა და მაწყვერელი ეპისკოპოსი მის მომხრეებთან ერთად საჯაროდ შეაჩვენა. მესხეთის ეპისკოპოსებმა კათალიკოსს ერთგულების ფიცი მისცეს. მართალია, ქვეყნის ერთიანობის დარღვევის პირველი მცდელობა მარცხით დასრულდა, თუმცა ეს არასასურველი პროცესების დაწყების მანიშნებელი იყო.

წყარო დ **საფარის მონასტერი, X ს., ალექსანდრე როინაშვილის XIX ს-ის მიწურულის ფოტო, ახალციხის მუნიციპ.**



60-იან წლებში საქართველოს დაშლა გარდაუვალი გახდა. დასავლეთ საქართველოში ფეოდალები მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ. დასავლეთ საქართველოს ერისთავი **ბაგრატ გიორგის ძე** ალექსანდრე I დიდის ძმისშვილი იყო და მასაც მეფობის სურვილი ჰქონდა. 1462 წელს გიორგი VIII წესრიგის დასამყარებლად დასავლეთ საქართველოში გადავიდა. დიდი მთავრები – გურიელები, დადიანები, შარვაშიძეები, ჯაყელები და სხვ. – ბაგრატის მხარეს დადგნენ. 1463 წელს **ჩიხორთან** ბრძოლა მეფის მარცხით დასრულდა, რის შემდეგაც ბაგრატ VI-მ თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა.

ბაგრატის მსგავსად, სამცხის მთავარი აგრძელებდა დამოუკიდებლად მოქმედებას, რის გამოც 1465 წელს მეფე ყვარყვარე ჯაყელის დასასჯელად გაემართა, თუმცა **ფარავნის ტბასთან** გამართულ ბრძოლაში მეფე დამარცხდა და ტყვედაც ჩავარდა. მეფის დატყვევებით ისარგებლა დასავლეთ საქართველოს მმართველმა, ბაგრატმა და ქართლიც დაიკავა.

ბაგრატის ქართლში გამეფების შემდეგ ყვარყვარე გიორგი VIII-ს დაუზავდა, საკუთარი ასული თამარი ცოლად შერთო და ქართლში გამოუშვა. საბოლოოდ მეფე კახეთში გადავიდა და მხოლოდ მისი შენარჩუნება შეძლო. ***გიორგი I-მა*** კახეთში გააუქმა საერისთავოები და ჩამოაყალიბა სამოურავო სისტემა. მოურავები, ერისთავებისგან განსხვავებით, მცირე ტერიტორიებს განაგებდნენ. სამოურავო სისტემის შემოღება მეფის ხელისუფლებას კიდევ უფრო განამტკიცებდა – მოურავს არ გააჩნდა ისეთი უფლებები, რომ მეფისთვის ურჩობა გაეწია. ამავდროულად, კახეთი დაიყო 4 სადროშოდ (სამხედრო ერთეულად), რომელთა სათავეშიც მეფემ ეპისკოპოსები ჩააყენა. ხშირად, მეფესა და ფეოდალებს შორის დაპირისპირების დროს, ეკლესია მეფის მხარეს იდგა. ეკლესიის მეფისადმი ერთგულებას, ნაწილობრივ, ისიც განაპირობებდა, რომ ეპისკოპოსის დანიშვნის უფლება მეფის ხელში იყო – ფეოდალური საგვარეულოებისგან განსხვავებით, ეპისკოპოსობა მემკვიდრეობით არ გადაეცემოდა. სწორედ ამ ფაქტორით აიხსნება სადროშოთა სათავეში ეპისკოპოსების ჩაყენება.

შენიშვნა: გიორგი I *– ვინაიდან კახეთის სამეფო ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო, მეფეთა ნუმერაცია ახლიდან დაიწყო. გიორგი VIII კახეთის სამეფოში გიორგი I-ის სახელითაა მეფე.*

- *გამოთქვი ვარაუდი, რატომ მიემხრნენ დასავლეთ საქართველოს მთავრები დასავლეთ საქართველოს ერისთავ ბაგრატს?*
- *შენი აზრით, რატომ გაათავისუფლა ყვარყვარე ჯაყელმა დატყვევებული მეფე მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოს მმართველმა, ბაგრატმა ქართლიც დაიკავა?*
- *შეაფასე გიორგი I-ის რეფორმები კახეთში, გააძლიერებდა თუ შეასუსტებდა მეფის ძალაუფლებას? რატომ?*

1478 წელს ქართლის ტახტი გიორგი VIII-ის ძმისშვილმა, **კონსტანტინე II-მ** დაიკავა და **ბაგრატიონთა ქართლის შტოს** დაუდო სათავე. იმერეთში გიორგი VIII-ის ბიძაშვილთა შტო დამკვიდრდა, სამცხე-საათაბაგო კი ჯაყელთა საგვარეულოს დარჩა.

ამრიგად, XV ს-ის მეორე ნახევარში ატეხილი შიდა ომების შედეგად ერთიანი საქართველო გაიყო ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად, ცალკე დარჩა სამცხე-საათაბაგო.

საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთი XV ს-ის მეორე ნახევარში

XV ს-ის 50-იან წლებში საქართველოსთვის უაღრესად არახელსაყრელი საგარეო ვითარება შეიქმნა – თემურლენგის ლაშქრობებით დასუსტებული ოსმალეთი კვლავ გაძლიერდა. 1451 წელს ოსმალთა სულთანი **მეჰმედ II** გახდა, რომლის უმთავრესი მიზანი კონსტანტინოპოლის აღება იყო. ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი **კონსტანტინე XI პალეოლოგოსი** მოკავშირეებს ეძებდა როგორც კათოლიკურ, ისე მართლმადიდებლურ ქვეყნებში. 1449 წელს დაიგეგმა გიორგი VIII-ის უფროსი ასულის – ქეთეონის (ქრისტინეს) და კონსტანტინე XI პალეოლოგოსის ქორწინება. ბიზანტია იმედოვნებდა, რომ ამ ქორწინების შედეგად საქართველო ბიზანტიას ოსმალებთან ბრძოლაში დაეხმარებოდა, თუმცა ქორწინება ვერ შედგა. 1453 წლის 29 მაისს მეჰმედ II-მ კონსტანტინოპოლის აღება შეძლო, ბრძოლაში დაიღუპა კონსტანტინე XI პალეოლოგოსი. **ბიზანტიის იმპერია დაეცა, საქართველო კი ევროპისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა**. 1461 წელს ოსმალებმა შეძლეს ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობა და საქართველოს უშუალოდ გაუმეზობლდნენ. 1475 წელს ოსმალებმა ყირიმის სახანოც დაიმორჩილეს. ამით საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რადგან **ევროპასთან დამაკავშირებელი ჩრდილოეთის გზებიც გადაიკეტა**. ოსმალთა დაპყრობების შედეგად, საქართველოსთვის შეუძლებელი გახდა იტალიისა თუ სხვა მაღალგანვითარებულ ევროპულ ქალაქებთან ვაჭრობა. უკიდურესად შეიზღუდა კულტურული ურთიერთობაც, რაც ქვეყნისთვის მძიმე დანაკარგი აღმოჩნდა, მით უფრო, რომ ეს პერიოდი ევროპაში რენესანსის (აღორძინების) ხანა იყო; საქართველო კი ისლამურ რკალში მოექცა და ამ პროცესების მიღმა დარჩა.

● *იმსჯელეთ კლასში – ბიზანტიის დაცემის შედეგად წარმოქმნილი იზოლაციის პირობებში, რატომ არ/ვერ შეინარჩუნეს ერთობა საქართველოს სამეფო-სამთავროების მმართველებმა?*

ოსმალეთის გაძლიერებასთან ერთად რეგიონში კიდევ ერთი თურქმანული სახელმწიფო – თეთრბატკნიანების სახელმწიფო (აყ-ყოინლუ) გაძლიერდა. მისმა მმართველმა, **უზუნ ჰასანმა** 1458 წელს საქართველო დაარბია. უზუნ ჰასანი შემდგომში სამცხის მთავარს, ყვარყვარე ჯაყელს საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარა.

1467 წელს უზუნ ჰასანმა საბოლოოდ გაანადგურა შავბატკნიანთა სახელმწიფო და კიდევ უფრო გაძლიერდა. მან საქართველოში რამდენჯერმე ილაშქრა 1466-77 წლებში, 1477 წელს თბილისისა და გორის აღება შეძლო. ბაგრატ VI-ისა და ყვარყვარე ჯაყელს 16 ათასი დუკატის გადახდა მოუწიათ. ამ თანხის სანაცვლოდ უზუნ ჰასანმა გორი ქართველებს დაუბრუნა, თუმცა თბილისში გარნიზონი ჩააყენა. 1478 წელს უზუნ ჰასანი გარდაიცვალა, რასაც მის სახელმწიფოში არეულობა მოჰყვა, თბილისი კი კვლავ ქართლის სამეფოს დაუბრუნდა.

თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს ახალმა მმართველმა, უზუნ ჰასანის შვილმა, იაყუბ ყაენმა 1482 წელს ჯერ სამცხე-საათაბაგო მოარბია, ხოლო 1489 წელს თბილისს შემოართყა ალყა. ქართლის მეფე კონსტანტინე II ჯარით ნიჩბისთან იდგა და დახმარებას ითხოვდა იმერეთის, კახეთისა და სამცხის მმართველებისგან, თუმცა ნიჩბისთან არავინ გამოცხადდა. შედეგად, თბილისი დაეცა. 1490 წელს იაყუბ ყაენი გარდაიცვალა, თბილისი კი კვლავ ქართლის სამეფოს დაუბრუნდა. 1490 წელს კონსტანტინე II-მ სამეფო დარბაზი მოიწვია, სადაც განიხილეს საკითხი, უნდა გაეგრძელებინა თუ არა ქართლის მეფეს საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლა. დარბაზმა მეფეს ბრძოლის შეწყვეტა ურჩია. ამის შემდეგ კონსტანტინე II იძულებული გახდა, იმერეთისა და კახეთის მეფეებსა და სამცხის მთავრებს დაზავებოდა. ამგვარად, 1490 წელს საქართველოს დაშლა იურიდიულად დამტკიცდა.

● *იმსჯელე, როგორ აისახა სამეფოს სამეფო-სამთავროებად დაშლა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე? შესაძლებელი იყო თუ არა XV ს-ის ბოლოს ქვეყნის უკეთ დაცვა? პასუხი დაასაბუთე.*

წყარო 3 ამონარიდი ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757) თხზულებიდან „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ 1490 წლის დარბაზის დადგენილების შესახებ:

ადაპტირებული წყარო

რადგანაც იმერლები და კახელები და სამცხის ათაბაგის ქვეშევრდომები მტკიცედ იცავენ თავიანთი რჩეული მეფეების ერთგულებას, ამიტომ არ გირჩევთ ბრძოლას, რადგანაც ერთი რომ დავამარცხოთ, მეორე არ დაგვემორჩილება. ამიტომაც მოვიცადოთ იმ დრომდე, ვიდრე ღმერთი არ აღადგენს შენს მეფობას.

● *იმსჯელეთ კლასში – რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ სამეფო დარბაზის გადაწყვეტილება, კონსტანტინე II-ს შეეწყვიტა ბრძოლა ქვეყნის ერთიანობის აღდგენისთვის? თქვენი მოსაზრებები არგუმენტებით დაასაბუთეთ.*

საქართველოს პოლიტიკური დაშლის პარალელურად, გაიყო ქართული ეკლესიაც. დასავლეთ საქართველოს მეფის, ბაგრატ VI-ისა და მთავარ შამადავლე დადიან-გურიელის აქტიური მოქმედების შედეგად, XV ს-ის 70-იან წლებში დასავლეთ საქართველო მცხეთის საკათალიკოსოს ჩამოსცილდა. პროცესებში აქტიურად ჩაერია ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქი მიქაელი. მისი სახელით შედგა დოკუმენტი „მცნებაი სასჯულოი“, რომელიც ამ გადაწყვეტილების სისწორეს ასაბუთებდა. პატრიარქმა მიქაელმა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად ცაიშელ-ბედიელი ეპისკოპოსი იოვაკიმე აკურთხა.

წყარო 3 საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად XV ს-ის ბოლოს


პირობითი აღნიშვნები
საზღვარი ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის
სამეფოსა და სამთავროს ცენტრი
დასახლებული პუნქტი
ციხესიმაგრე
სანავსადგურო ქალაქი
ეკლესია-მონასტერი
ბრძოლის ადგილი
ქართლის სამეფო
კახეთის სამეფო
იმერეთის სამეფო
სამცხე-საათაბაგო
0 50 კმ
© M.Shekiladze, 2023
ჭანეთი
აფხაზეთის საერისთავო
ოდიშის საერისთავო
სვანეთი
ლეჩხუმი
რაჭა
ქართლი
ჯავახეთი
სამცხე
ტაო
კლარჯეთი
შავშეთი
არტაანი
ქოლა
ქვემო ქართლი
ზემო ქართლი
ერისთავი
ჯაყელი
ბაგრატიონი
ქუთათისი
ახალციხე
თბილისი
გრემი
ხერთვისი
ჟურუული
ფოცხოელი
ბორჯომელი
ანჩელი
ამილახორი
ციციშვილი
ანდრონიკაშვილი
ორბელიანი
ბარათაშვილი
ერისთავი
ფალავანდიშვილი
ავალიშვილი
ბაგრატიონი
ყაფლანი

27 რატომ ვერ შეიქმნა ანტიოსმალური კოალიცია?

წინა გაკვეთილებიდან უკვე იცი, რომ XV ს-ის 20-30-იან წლებში ოსმალები ბიზანტიის წინააღმდეგ კვლავ გააქტიურდნენ. ბიზანტიელები დახმარებას ევროპაში ეძებდნენ. ფერარა-ფლორენციის კრების გადაწყვეტილებით (1439), კათოლიკური სამყარო კონსტანტინოპოლს დახმარებას დაჰპირდა, თუკი კონსტანტინოპოლის ეკლესია რომის პაპს დაემორჩილებოდა. გამოუვალი მდგომარეობის გამო კონსტანტინოპოლი შემოთავაზებას დასთანხმდა. ამ გაკვეთილიდან გაიგებ, რატომ ვერ შეძლო კათოლიკურმა სამყარომ კონსტანტინოპოლის გადარჩენა და რა როლი შეასრულა ამ პროცესებში საქართველომ.

XV ს-ის 20-იანი წლებიდან, ოსმალების ხელახლა მომძლავრებასთან ერთად, კონსტანტინოპოლის დაცემის საფრთხე კვლავ შეიქმნა. 1451 წელს ოსმალთა სულთანი **მეჰმედ II** გახდა, რომლის უპირველესი მიზანი ბიზანტიის იმპერიის განადგურება, ბალკანეთზე სრული გაბატონება და სრუტეების ხელში ჩაგდება იყო. ამას კი ერთნაირად ეწინააღმდეგებოდნენ როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიანები.

ევროპაში ნელ-ნელა ძალას იკრებდა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა, რომლის მიზანი ოსმალეთის დამარცხება და კონსტანტინოპოლის გადარჩენა იყო. ჯერ კიდევ ასწლიან ომში (1337-1453) ჩაბმულ საფრანგეთის მეფეს, **შარლ VII-ს** შალონ სურ-სეონის ეპისკოპოსი **ჟან ჟერმეონი** მოუწოდებდა ჯვაროსნული ომისკენ. ეპისკოპოსის გეგმაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდათ აღმოსავლეთის ქრისტიანებსაც – იმ დროს, როცა ევროპელები დასავლეთიდან შეუტევდნენ ოსმალებს, აღმოსავლეთიდან სომხებსა და ქართველებს უნდა მიეტანათ იერიში.

> **წყარო ა** **ფრაგმენტი ეპისკოპოს ჟან ჟერმეონის მოხსენებიდან შარლ VII-ის მიმართ, 1451:**
>
> 200 ათასი სომეხი მებრძოლი და 50 ათასი ქართველი მზად იქნება, გამოვიდნენ საბრძოლველად და დაიბრუნონ თავიანთი მშობლიური მიწები დიდ სომხეთსა და საქართველოში, რომლებიც უპყრიათ თურქებს... შესაბამისად, თურქებს ზურგში ქართველები და სომხები ეყოლებათ მაშინ, როცა დაპირისპირება ძალამოკრებილ კონსტანტინოპოლის იმპერატორთან მოუწევთ. აქედან გამომდინარე, ისინი ადვილად დაკარგავენ მცირე აზიას, რომელსაც ძველ თურქეთს უწოდებენ.

● *როგორ ფიქრობ, რამდენად რეალურია წყაროს ავტორის მიერ დასახელებული ქართველ და სომეხ მებრძოლთა რაოდენობა? რა გაძლევს ამგვარი დასკვნის საფუძველს?*

საქართველოში ამ დროს მძიმე მდგომარეობა იყო. შავბატკნიანთა და, შემდგომში, თეთრბატკნიანთა ლაშქრობებს შიდა დაპირისპირებებიც ემატებოდა. მიუხედავად ამისა, მეფე **გიორგი VIII** აქტიურად ურთიერთობდა კონსტანტინოპოლთან, რაზეც დაგეგმილი დინასტიური ქორწინებაც მეტყველებს – საქართველოს მეფის ასული ბიზანტიის იმპერატორს უნდა გაჰყოლოდა ცოლად.

ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბების მცდელობა

კონსტანტინოპოლის დაცემა ქრისტიანებისთვის დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო, რამაც ევროპის პოლიტიკური დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დააყენა ოსმალების საკითხი. ოსმალები ბოსფორისა და დარდანელის სრუტეზე გაბატონდნენ, რის შედეგადაც შავი ზღვა მოსწყდა ხმელთაშუა ზღვას. კონსტანტინოპოლის დაცემა მორალური თვალსაზრისითაც უმძიმესი იყო ქრისტიანული სამყაროსთვის.

ახლად არჩეული რომის პაპი **კალიქსტუს III** (1455-1458) ევროპული ქვეყნების ამხედრებას შეეცადა თურქების წინააღმდეგ, თუმცა მხოლოდ შემოწირულობების შეგროვება შეძლო. ამ ფულით მან ფლოტი იქირავა და ოსმალთა სანაპიროები დაარბია, მაგრამ ამას დიდი პოლიტიკური შედეგები არ მოჰყოლია.

წყარო ბ **რომის პაპი პიუს II (1458-1464), XVI ს-ის ფრესკა, სიენის საკათედრო ტაძარი, იტალია**



კალიქსტუს III-ს ოსმალთა წინააღმდეგ მოკავშირეებად აღმოსავლეთის ქვეყნებიც ესახებოდა. ამ მიზნით პაპის ელჩი **ლუდოვიკო ბოლონიელი** აღმოსავლეთში გაგზავნეს. მან იმოგზაურა ეთიოპიაში, სპარსეთში, კილიკიის სომეხთა სამეფოში, 1457 წელს კი საქართველოში ჩამოვიდა და სამცხის მთავარს, ყვარყვარე II ჯაყელსა და საქართველოს მეფეს, გიორგი VIII-ს შეხვდა. ქართველი მეფე-მთავრები ანტიოსმალურ კოალიციაში ჩართვას დასთანხმდნენ. ამ საერთო საქმემ საქართველოში დროებით შიდააშლილობაც კი შეაჩერა.

1458 წელს რომის პაპი **პიუს II** გახდა. იგი ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის დაცემამდე ცდილობდა ბერძნების დახმარებას. ბიზანტიის დედაქალაქის გასათავისუფლებლად იგი დაუკავშირდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებს.

ლუდოვიკო ბოლონიელმა აღმოსავლეთიდან მეფე-მთავრების წერილები ჩაიტანა ევროპაში. ოსმალთა წინააღმდეგ ომში ჩართვას თეთრბატკნიანთა ლიდერი უზუნ ჰასანიც დასთანხმდა.

- *იმსჯელეთ, რა მიზანი შეიძლებოდა, ჰქონოდა უზუნ ჰასანს, მუსლიმური ქვეყნის ლიდერს, როდესაც ქრისტიანთა კოალიციაში ერთვებოდა?*

წყარო გ **ქართველი მეფე-მთავრების წერილები ევროპელთა მიმართ**

ადაპტირებული წყარო

სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II ჯაყელის წერილი ვენეციის დოჟს, 1459: ...ამ დღეებში მე, ყვარყვარემ, ახალციხის დუკამ, წერილი მივიღე პაპისაგან მისი ელჩის, ლუდოვიკო ბოლონიელის ხელით, რომელშიც მოცემულია, როგორ შეკრიბა პაპმა ყველანი, ფრანკები და ლათინები, ქალაქ მანტუის კრებაზე, რათა დაედოთ ხელშეკრულება... უწყოდეთ თქვენო უდიდებულესობავ, რომ მე ზავი დავდე საქართველოს მეფესთან, ალექსანდრეს შვილთან, საქართველოში ქუთაისის მეფესთან... სამეგრელოს ყველა სინიორთან...

უწყოდეთ, რომ რასაც ჩვენ გთავაზობთ, ესაა: მე, ყვარყვარე, გთავაზობთ 20 ათას კაცს, მეტწილად ცხენოსნებს, ქართველთა მეფე ჰპირდება 40 ათასს გურიელებთან და აფხაზებთან ერთად, რომლებიც სამართლის მიხედვით მისი ქვეშევრდომები არიან და ვალდებულება აქვთ, ურწმუნოების წინააღმდეგ მასთან ერთად წავიდნენ. ბენდიანი [იგივე დადიანი], სამეგრელოს სინიორი [მმართველი], და ბაგრატი ქუთაისის მეფე, ერთად იმდენივეს გამოიყვანენ, რამდენსაც ალექსანდრეს შვილი, საქართველოს მეფე [გიორგი VIII]. ტრაპიზონის იმპერატორი უზუნ ჰასან თურქთან და [კილიკიის მთავარ] სომეხ ბერდებეკთან შეთანხმდნენ და დაგვპირდნენ ზღვაზე და ხმელეთზე გზის მოცემას და ჩვენთან ერთად თურქების წინააღმდეგ გამოსვლას. ოტომანი თურქები ჩვენი მტრები არიან. მაშ, ასე, ღვთის წყალობით დავიპყრობთ ანატოლიას და თქვენს უდიდეს ბრწყინვალებას ვთხოვთ, მთელი ძალები მიმართოს ქალაქ კონსტანტინოპოლის აღსადგენად.

სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II ჯაყელის წერილი ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპეს, 1459: გპირდებით, რომ ერთი ზაფხულის განმავლობაში დავიპყრობთ მთელ ანატოლიასა და ყველა ქვეყანას, რომლებიც კონსტანტინოპოლელ ოსმალოს ამ მხარეს უჭირავს, ხოლო კონსტანტინოპოლის დასავლეთით, სადაც საბერძნეთია, თქვენ დაგიტოვოთ; მისი აღება ადვილი იქნება, რადგან, როდესაც ოსმალეთი ასე ორ ჯარს შუა მოექცევა, წინააღმდეგობას ველარ გაუწევს, მალე დაიძლევა და, ამგვარად, მის სახელს ქვეყანაზე მოვსპობთ, ამიტომ, სხვა ყველა ლათინ მთავარზე მეტად, თქვენ გევედრებით, რათა ამისთვის იფიქროთ და იზრუნოთ...

წინათაც, ჩემი წინაპრების მსგავსად, ურჯულოებს ვებრძოდი და უკანასკნელ წლებში ჩემსა და ჩემს მეზობელ სხვა ქრისტიან მთავრებს შორის ომი რომ არ ამტყდარიყო, უფრო მეტი ძლევამოსილებით ვაწარმოებდით ბრძოლას ურწმუნოთა წინააღმდეგ. ახლა კი, ლუდოვიკო ბოლონიელის ჩაგონებით, ყველა ჩემს მეზობელ ქრისტიანს ზავით შევეკარი და გადავწყვიტე, მთელი ჩემი ძალღონე და შეძლება თურქთა საწინააღმდეგო ბრძოლას მოვახმარო.

გვეედრებით, ხელიდან არ გაუშვათ კარგი შემთხვევა... თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს მოიმოქმედებთ, შემდგომში, კიდეც რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერს გახდებით, რადგან ურჯულო ოსმალეთი მუდამდღე ძლიერდება და ვეღარ შევძლებთ შემდგომში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლა ვართ.

საქართველოს მეფის, გიორგი VIII-ის წერილი ბურგუნდიის მთავრისადმი, 1459: ყველა ამ მხარის ქრისტიანმა მთავრებმა ერთმანეთს შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევფიცეთ, რომ ყველა ჩვენი ძალითა და ცდით ვეომოთ

ოსმალებს, მეტადრე იმათ, რომლებიც არიან კონსტანტინოპოლში, რადგან ქრისტიანებს ძლიერ მტრობენ. ამ კავშირის გამო ყველა ჩვენგანმა ჯარი მოამზადა...

1460 წელს ლუდოვიკო ბოლონიელი სპეციალური მარშრუტით, ფოთიდან დუნაის გავლით, უნგრეთში ჩავიდა. მას თან ახლდა აღმოსავლეთის ქვეყნების 6 ელჩი. ამ დელეგაციაში იყვნენ საქართველოს მეფისა და სამცხის მთავრის ელჩები – ნიკოლოზ თბილელი და ფარსადან ახალციხელი.

დელეგაცია უნგრეთის გავლით გერმანიაში ჩავიდა, სადაც გერმანიის იმპერატორს, **ფრიდრიხ III-ს** შეხვდა.

გერმანიიდან დელეგაცია ვენეციის დოჟს, ბოლოს კი რომის პაპ პიუს II-ს ეახლა. რომის პაპმა დიდი პატივით მიიღო ელჩები და მწუხარებით აუწყა, რომ ვერ დაითანხმა ევროპელი მმართველები ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობაზე. პაპმა ელჩებს ურჩია, უშუალოდ ხლებოდნენ ევროპელ მონარქებს და თავად დაერწმუნებინათ ისინი.

1461 წლის მაისში ელჩები საფრანგეთში ჩავიდნენ, სადაც მეფე შარლ VII-ს აღმოსავლეთ ქვეყნების მზაობა გააცნეს თურქების წინააღმდეგ და მოუწოდეს, საფრანგეთიც ჩართულიყო ამ კოალიციაში. მაგრამ მეფე საკითხით არ დაინტერესებულა. მეტიც, ელჩების იქ ყოფნის დროს მეფე შარლი გარდაიცვალა და ელჩები მის დაკრძალვასა და ახალი მონარქის, **ლუი XI -ის** (1461-1483) კორონაციასაც დაესწრნენ. თუმცა, მათი მცდელობა ამჯერადაც არ გამართლდა, ანტიოსმალურ კოალიციაში ჩართვის ინტერესი არც ახალ მონარქს არ გამოუთქვამს. ელჩებმა უშედეგოდ დატოვეს საფრანგეთი. უშედეგო გამოდგა დელეგაციის ვიზიტი ბურგუნდიაშიც. ევროპული სახელმწიფოების ოსმალეთის წინააღმდეგ დიდი ომის წამოწყებისთვის არ იყვნენ მზად.

- *შეასრულე მოსწავლის რვეულის სავარჯიშო 5 – შეადგინე ელჩების მოგზაურობების რუკა.*

ანტიოსმალური კოალიციის ჩაშლის მიზეზები

XV ს-ში ევროპის ქვეყნებს შორის მშვიდობა არ იყო. ახალი დასრულებული იყო საფრანგეთ-ინგლისის ასწლიანი ომი (1337-1453), არეულობას მოეცვა სხვა ქვეყნებიც.

წყარო დ ნაწყვეტი სიენის ეპისკოპოს ენეასის წერილიდან პაპ ნიკოლოზ V-ისადმი (1447-1455), რომელიც კარგად გვიხასიათებს ეპოქის პოლიტიკურ მდგომარეობას:

ვდგავართ საერთო საშინელებასა და ურთიერთსიძულვილს შორის. ინგლისისა და საფრანგეთის მეფეები ერთმანეთს ებრძვიან. გერმანელი მთავრებიც იბრძვიან ერთმანეთში. ესპანეთშიც იშვიათია მშვიდობა. საკუთრივ ჩვენთან, იტალიაშიც კი არ არის მშვიდობა... რამდენად კარგად შევძლებთ ახლა, თავი მოვუყაროთ მრავალრიცხოვან სამხედრო ძალას და დავიწყოთ ბრძოლა სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ?

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანტიოსმალური კოალიციის ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი ევროპის კონტინენტზე ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოება და მიმდინარე ომები იყო. ამავდროულად, XV საუკუნე იდეოლოგიურად განსხვავდებოდა წინა საუკუნეებისგან. რელიგიური ფაქტორი ევროპელი მონარქებისთვის წინა პლანზე აღარ იდგა. ამ პერიოდში მონარქები უფრო *პრაგმატულ პოლიტიკას* ატარებდნენ, რაინდული სულისკვეთება (როგორიც იყო ჯვაროსნული ომების დროს) უკიდურესად შესუსტებულიყო. ოსმალეთი შორს იყო მათი სამფლობელოებისგან, ამიტომ დიდ საფრთხეს ვერ გრძნობდნენ; ასევე,

წინა საუკუნეებისგან განსხვავებით, ევროპაში აღარ არსებობდა უნივერსალური პოლიტიკური გავლენის მქონე პირი (როგორიც იყო პაპი ან იმპერატორი).

შენიშვნა: პრაგმატული პოლიტიკა *– ასე უწოდებენ პოლიტიკას, რომელიც დღევანდელი დღის საჭიროებისა და პრობლემების მოგვარებისკენ, კონკრეტული სარგებლისკენაა მიმართული და გრძელვადიან პერსპექტივას არ ითვალისწინებს.*

ამ მიზეზთა გამო ანტიოსმალური, საერთო-ქრისტიანული ლაშქრობა ვერ მოეწყო. კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ოსმალეთმა დაპყრობები კვლავაც განაგრძო.

გართულებულ საგარეო მდგომარეობას ისიც დაერთო, რომ საქართველოს სამეფომ ერთიანობის შენარჩუნებაც ვერ შეძლო. ასე რომ, ოსმალთაგან მომდინარე საფრთხეს საქართველო უკიდურესად დასუსტებული და პოლიტიკურად დაშლილი შეხვდა.

როგორც წინა გაკვეთილიდან შეიტყვე, ქართველ მეფე-მთავრებს ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. როდესაც დადგა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის საკითხი, ყველამ ერთსულოვნად გამოხატა მზაობა, მონაწილეობა მიეღო კამპანიაში ოსმალეთის წინააღმდეგ. გამოთქვი მოსაზრება, რით იყო განპირობებული ქართველი მეფე-მთავრების ამგვარი მოქმედება?

საკითხი 6. საქართველო XVII ს-ში – კათოლიკე მისიონერები და ევროპელი მოგზაურები



კომპლექსური დავალება 6

სამიზნე ცნებები

- დრო
- საზოგადოება

XVII ს-ის საქართველოში არსებული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ არაერთი ისტორიული წყარო არსებობს, მათ შორისაა ევროპელი მოგზაურებისა და კათოლიკე მისიონერების ჩანაწერები თუ ჩანახატები. სხვადასხვა ტიპის ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, შექმენი **ისტორიული თხზულება** და გააცოცხლე ამ პერიოდის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება.

ნაშრომში ნათლად წარმოაჩინე შემდეგი საკითხები:

- როგორ აღრიცხავდა დროს და როგორ აღიქვამდა შუა საუკუნეების ეპოქას (ევროპაში მიმდინარე პროცესებს) ქართველი საზოგადოება?
- რატომ გახანგრძლივდა შუა საუკუნეები საქართველოში და როგორ აისახა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ქართულ სამეფო-სამთავროებში მცხოვრებ მოსახლეობაზე?
- როგორ ცხოვრობდნენ სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოში ადამიანები, რა იყო მათი ინტერესი და საზრუნავი და რა შეიძლება ყოფილიყო მათი საერთო იდენტობა და ღირებულებები?
- რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა საზოგადოება, როგორი იყო მათი ეთნიკური შემადგენლობა?
- რა ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ ერთეულებს და მის მოსახლეობას ერთმანეთთან?

28/29 რატომ ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოზე ევროპულმა „აღორძინებამ“ და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა?

ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი მცირე დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ფაქტობრივად, ევროპულ ცივილიზაციას მოსწყდნენ და მეზობელ იმპერიებს შორის გაჩაღებული ხანგრძლივი დაპირისპირების არეალში აღმოჩნდნენ. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, რატომ ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოზე ევროპულმა „აღორძინებამ“ და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა; რატომ არ დაიწყო XV ს-ის საქართველოში „ახალი დრო“ და როგორ წარიმართა ქვეყანაში მოვლენები სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის ომების პარალელურად.

XV საუკუნემ ერთმანეთისგან „შუა საუკუნეები“ და „ახალი დრო“ გამიჯნა. რენესანსმა და ჰუმანიზმმა, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და რეფორმაციამ ევროპაში შუა საუკუნეები დაასრულა. თუმცა, ისტორიკოსები ზუსტ გამმიჯნავ თარიღზე დავობენ: ერთნი ასეთად 1453 წელს (კონსტანტინოპოლის დაცემა) მიიჩნევენ, მეორენი – 1492 წელს (ამერიკის აღმოჩენა), ხოლო ზოგიერთს ამ თარიღად 1517 წელი მიაჩნია (ევროპაში რეფორმაციის დასაწყისი).

XV საუკუნემდე საქართველო ქრისტიანულ ევროპასთან ერთად თანაბარზომიერად ვითარდებოდა. მაგრამ, როდესაც ევროპული საზოგადოება გვიანი შუა საუკუნეებიდან ახალ დროში საუნივერსიტეტო ცოდნითა და რენესანსული იდეებით გადადიოდა, ჩვენი ქვეყანა გადარჩენისთვის იბრძოდა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მომავალ მტრულ ძალებთან. ამ ბრძოლაში იხარჯებოდა ქართველი ხალხის ენერგია, ქვეითდებოდა ფეოდალური საზოგადოების სახელმწიფოებრივი თვითშეგნება. ამას დაემატა ბიზანტიის დაცემა, რამაც საქართველო ევროპას მოსწყვიტა. სამხრეთ-დასავლეთით ოსმალეთის გაბატონებამ და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა საქართველოზე გამავალ სავაჭრო გზებს უწინდელი მნიშვნელობა დაუკარგეს. საქართველო ახალი სავაჭრო მაგისტრალების მიღმა დარჩა.

საქართველოსთვის უცნობი იყო ის სააზროვნო ძვრები, რომლებიც ევროპული რენესანსის ეპოქამ მოიტანა; საქართველომდე ვერ აღწევდა ახალი ცოდნა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად მიმდინარე საზოგადოებრივი, ტექნოლოგიური და კულტურული ცვლილებები; საქართველოსთვის კარგა ხანს უცნობი იყო წიგნის ბეჭდვის ტექნიკა და ის საზოგადოებრივი სიკეთეები, რომლებიც ნაბეჭდმა წიგნმა შესძინა ევროპელ მკითხველს; საქართველოში კიდევ დიდხანს ხელით იწერებოდა წიგნები, რომლებიც ეკლესიის მსახურთა და ფეოდალური ზედაფენის ვიწრო წრეს ემსახურებოდა. ყოველივე ამან გამოიწვია კარჩაკეტილობა და არსებული ფეოდალური წყობის *სტაგნაცია*. XIV-XVI სს-ში საქართველოში უფრო აქტიურად იწყებს შემოდინებას აღმოსავლური, კერძოდ, თურქული და სპარსული ლექსიკა და ყოფის ელემენტები, რომლებიც ამჟღავნებენ ქართველი ხალხისთვის ახალ რეალობას – აღმოსავლური იმპერიების გავლენის ქვეშ ცხოვრებასა და იქ მცხოვრებ ხალხებთან კულტურული ურთიერთგაცვლის რამდენიმესაუკუნოვან პროცესს.

სტაგნაცია (ლათ. stagnum – დამდგარი წყალი) – უძრაობის მდგომარეობა; შეფერხება.



წყარო ა **წიგნის ბეჭდვის პროცესი სტამბაში, შვეიცარიელი მხატვრის იოსტ ამანის ილუსტრაცია, XVI ს.**

XV ს-ის შუა პერიოდში გერმანელმა იოჰან გუტენბერგმა ტიპოგრაფია შექმნა და პირველი წიგნი დაბეჭდა, რითიც უდიდესი როლი შეასრულა როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს ტრანსფორმაციაში. გუტენბერგის გამოგონებამ ხელი შეუწყო ცოდნის გავრცელებას, განათლებისკენ სწრაფვას, რენესანსისა და ჰუმანიზმის იდეების სწრაფად გაძლიერებას, რელიგიურ რეფორმაციას და სხვ.

ტიპოგრაფია (ბერძნ. ტიპოს – ფორმა, გრაფეინ – წერა) – წიგნის სტამბური ბეჭდვისთვის საჭირო მოწყობილობების – ლითონის ასოების, საღებავებისა და სხვა დანადგარების – ერთობლიობა.

როგორ განვითარდა მოვლენები XVI ს-ის საქართველოსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში?

XV ს-ის მეორე ნახევარში ქართული სახელმწიფოები ოსმალეთმა ალყაში მოაქცია. ოსმალები დასავლეთ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან ჯერ კიდევ 1461 წელს მოადგნენ, როდესაც სულთანმა მეჰმედ II-მ (1444-1446, 1451-1481) ტრაპიზონის იმპერია გაანადგურა. 1475 წელს მან ყირიმის ნახევარკუნძული დაიმორჩილა და ოსმალებმა ყირიმის სახანო დაიქვემდებარეს. მათ შავიზღვისპირეთიდან ფეხი ამოუკვეთეს გენუელებს, რეგიონში სავაჭრო საქმე თავად ჩაიგდეს ხელში და შავი ზღვა „ოსმალეთის ტბად“ აქციეს. ყირიმი გახდა სტამბოლისთვის აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ერთ-ერთი უმთავრესი მიმწოდებელი. ოსმალებმა, ფაქტობრივად, ჩაკეტეს შავი ზღვა, დააწესეს საკუთარი საბაჟო გადასახადები და ზღვაზე ცურვა სხვა ქვეყნების გემებისთვის შეზღუდეს. შავი ზღვის რეგიონიდან ოსმალებმა გამალებით დაიწყეს ტყვეებით ვაჭრობა, რაც მათთვის ადამიანური რესურსების საიმედო წყაროდ იქცა.

მამის ექსპანსიონისტური პოლიტიკა გაგრძელდა სულთან ბაიაზეთ II-ის (1481-1512) დროსაც. მან ვენეციელებს მნიშვნელოვანი ტერიტორიები წაართვა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ხელსაყრელი პირობები შექმნა შემდგომში უნგრეთსა და ავსტრიაში შეჭრისათვის. ამავე ბაიაზეთის დროს ჩამოასახლეს ესპანეთიდან დევნილი მუსლიმები და ებრაელები ოსმალეთში. ინკვიზიციის მიერ დევნილი ადამიანების ევაკუაციამ და შეფარებამ ოსმალეთი ინტელექტუალური რესურსებით გაამდიდრა. მათი წყალობით იმპერიაში დაინერგა და განვითარდა ტექნოლოგიები, მაგალითად, ოსმალეთში პირველი ტიპოგრაფია ესპანეთიდან დევნილმა ებრაელებმა გახსნეს.

- *იმსჯელეთ იმ საფრთხეების შესახებ, რომელთაც საქართველოს უქმნიდა ოსმალეთის მიერ შავ ზღვაზე გაბატონება.*

1502 წლისთვის საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით სეფიანთა ირანის იმპერია შეიქმნა. შიიტმა *სეფიანებმა* შაჰი ისმაილ I-ის (1501-1524) მეთაურობით შეძლეს თეთრბატკნიანთა დაამარცხება და ჩრდილოეთ ირანში ახალი სახელმწიფოს შექმნა. სეფიანთა სამხედრო დასაყრდენს თურქმანული ტომები წარმოადგენდნენ, რომლებიც ყიზილბაშების („წითელთავიანების“) სახელით არიან ცნობილნი. თავდაპირველად ოსმალები ყიზილბაშებს მხარს უჭერდნენ, რადგან თეთრბატკნიანების დამარცხება სურდათ, მაგრამ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მალევე დაიწყო დაპირისპირება შიიტურ ირანსა და სუნიტურ ოსმალეთს შორის, რასაც საფუძვლად რეგიონში ჰეგემონიის დამყარებისა და სავაჭრო-სატრანზიტო გზების ხელში ჩაგდების სურვილი ედო. სუნიტების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა

წყარო 8 **ყიზილბაში მეომარი (რეკონსტრუქცია)**



უფრო და უფრო ასაზრდოებდა სეფიანთა სამხედრო ექსპანსიას. 1507 წელს სეფიანებმა დაიპყრეს სომხეთი და ქურთისტანი, მომდევნო წელს კი მთელი ერაყი, ბაღდადის ჩათვლით. რამდენიმე წელიწადში მცირე აზიაში ოსმალეთის წინააღმდეგ დაიწყო ადგილობრივი შიიტების აჯანყება, რომელიც ოსმალებმა სასტიკად ჩაახშვეს და ახალი მეზობლის წინააღმდეგ ომისთვის დაიწყეს მზადება. 1514 წელს სეფიანთა ირანსა და ოსმალეთს შორის პირველი ომი გაჩაღდა.

შენიშვნა: სეფიანები *– სამხრეთ აზერბაიჯანის ქალაქ არდებილში მცხოვრები თურქული წარმოშობის საგვარეულო. გვარმა სახელი მიიღო აქ მოღვაწე სასულიერო პირის, სეიფ-ად-დინის, მიხედვით, რომელმაც სუფიური ორდენი – სეფევიე – ჩამოაყალიბა. მან და მისმა შთამომავლებმა XIII-XIV სს-ში ძალიან დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს გლეხებსა და ქალაქის ღარიბ მოსახლეობას შორის. ისინი შიიტური ისლამის მიმდევრები იყვნენ. უფრო შორსაც წავიდნენ და შეთხზეს ლეგენდა, რომ თითქოს ისინი მოციქულ მუჰამადის ქალიშვილის, ფატიმასა და ხალიფა ალის პირდაპირი შთამომავლები იყვნენ. ეს ლეგენდა მათ ძალიან დაეხმარა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებაში.*

ქართლის მეფე კონსტანტინე II, კახეთის მეფე ალექსანდრე I და სამცხის ათაბაგი ქაიხოსრო თავიდან სეფიანთა მოკავშირეები იყვნენ. ეს ბუნებრივიც იყო – ამ გზით ისინი იმედოვნებდნენ, რომ თავიდან აიცილებდნენ თეთრბატკნიანთა ბატონობას. შაჰი ისმაილი ქართველებს ჰპირდებოდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში თავისუფლებას უბოძებდა და ხარკისგანაც გაათავისუფლებდა მათ. გადამწყვეტ ბრძოლაში სეფიანებმა თეთრბატკნიანები, დიდწილად, ქართული ლაშქრის დახმარებით დაამარცხეს.

- *შენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო ქართველი მეფეებისა და ათაბაგების პოზიცია?*

ოსმალეთსა და ირანს შორის დაწყებულმა ომმა ქართული სახელმწიფოები ურთულესი პრობლემების წინაშე დააყენა. ორივე იმპერიის დაპირისპირების ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად და არეალად სამხრეთ კავკასია იქცა. ორივეს სურდა რეგიონის სრულად ჩაგდება ხელში, თუმცა, ეს საკმაოდ რთული იყო. ორივეს ინტერესები ყველაზე აქტიურად ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა სამცხე-საათაბაგოში, რადგან ამ ტერიტორიას უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა – მისი გაკონტროლებით ორივე იმპერიას შესანიშნავი პლაცდარმი ექმნებოდა ამიერკავკასიაში.

რატომ და როგორ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ქართული სახელმწიფოების პოლიტიკა?

ქართლის სამეფომ დაუმორჩილებლობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის უკომპრომისო გზა აირჩია. მეფე ლუარსაბ I (1527-1556) წინააღმდეგობას უწევდა როგორც ირანს, ასევე ოსმალეთს. მისი ყურადღება განსაკუთრებით მიმართული იყო ჯავახეთისკენ, რადგან ეს მხარე წარმოადგენდა ქართლში შემოსასვლელ კარს, პირველ რიგში, ოსმალებისთვის, მას აგრეთვე იყენებდნენ ირანელებიც. ლუარსაბი ცდილობდა სხვა ქართველ მეფეებთან ალიანსის შექმნას. მას სამოკავშირეო ურთიერთობა ჰქონდა იმერეთის მეფე **ბაგრატ III-სთან**, აგრეთვე, კახეთის მეფე **ლევანთან**.

წყარო 8 **„ახალი ქართლის ცხოვრება“ მეფე ლუარსაბ I-ის შესახებ წერს:**

ლუარსაბ მეფე, თავისი ზეობის დროს, არც *ყაენს* დაემონა და არც *ხონთქარს*. იმიტომ რომ, თუკი ისიც დაემორჩილებოდა, სხვა ყველა ისედაც დამონებული იყო, ქვეყანა გათათრდებოდა და მოხარკედ გადაიქცეოდა. ამიტომ მრავალჯერ ამოწყვიტა ლუარსაბ მეფემ როგორც ხონთქრის, ასევე ყაენის ჯარი...

ყაენი – აქ: ირანის შაჰი. ამ პერიოდის ქართულ წყაროებში ყაენებად ირანის მმართველებს მოიხსენიებდნენ.
ხონთქარი – ოსმალეთის სულთანი.

...კეთილი კაცი იყო ლუარსაბ მეფე, მეტად ზრუნავდა საქართველოზე, აშფოთებდა ურჯულოთა თავდასხმები და საქრისტიანოს დასუსტება... ლუარსაბ მეფემ მრავალჯერ სთხოვა დახმარება ურჯულოთა წინააღმდეგ იმერლებს, მესხებსა და კახელებს, მაგრამ ისინი არ დაეხმარნენ. [ლუარსაბი კი] იმდენად გადამეტებით ზრუნავდა მათზე, როგორც მამა არის შვილებისთვის ტკბილი და ლმობიერი. ესეც ტკბილი და ლმობიერი იყო მათთვის და წყენას არ იხსენებდა.

შენიშვნა: „გათათრება“ *– გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ წყაროებში დამკვიდრებული ტერმინი, რაც ნიშნავდა ქართველის მიერ ტრადიციული ქრისტიანული სარწმუნოების ისლამით შეცვლას.*

კახეთმა, ქართლისგან განსხვავებით, მეზობელ იმპერიებთან შემრიგებლური პოლიტიკა აირჩია. უფრო მეტიც, კახეთის მეფე ლევანი (1518-1574) ირანის შაჰ თამაზს ჯარითაც ეხმარებოდა. კახეთის მეფეების ამგვარმა პოლიტიკამ ქვეყანას ერთსაუკუნოვანი მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება მოუტანა.

წყარო დ XVI-XVII სს-ის ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში კახეთის მეფე ლევანის მიერ შაჰისთვის მორჩილების გამოცხადების შესახებ:

...ლევან-ხან ქართველმა იმ უდიდებულესობის სამსახურის ქამარი წელზე შემოირტყა და იმედის სახე **ქვეყნის საფარველ სასახლეებში მიიტანა**, ქალაქ *არეშში* მეფობის ტახტის საფეხურს თაყვანი სცა და ხელმწიფური ალერსით განდიდებული შეიქნა.

შენიშვნები: ქვეყნის საფარველ სასახლეებში მიიტანა *– შაჰს დამორჩილდა და ეახლა.*

არეში *– ქალაქი შაქში, ისტორიულ ჰერეთში. XVI ს-ში წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს შემახა-არეში-განჯა-თბილისის სავაჭრო-საქარავნო გზაზე. განსაკუთრებით ცნობილი იყო აბრეშუმით ვაჭრობით.*

- *იმსჯელე, რა საფრთხეს ქმნიდა ქართლისა და კახეთის განსხვავებული საგარეო პოლიტიკა ამ ქვეყნებისთვის?*

იმერეთის სამეფოს დიდი საგარეო და საშინაო საფრთხე დაემუქრა. მთელ დასავლეთ საქართველოზე პრეტენზიის მქონე იმერეთის მეფეები უმთავრეს საშიშროებად ოსმალეთს აღიქვამდნენ, რომელიც სამხრეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან მოიწევდა. ბაგრატმა უმთავრეს მიზნად დაისახა სამცხე-საათაბაგოს დამორჩილება, რათა იმერეთისთვის სამხრეთიდან საიმედო ზღუდე შეექმნა. ოსმალეთთან დაპირისპირების პარალელურად იმერეთის მეფეს ურთიერთობები დაეძაბა ოდიშისა და გურიის მთავრებთან, რომლებმაც დამოუკიდებლობისკენ დაიწყეს ლტოლვა.

წყარო ე იმერეთის მეფე ბაგრატ III, გელათის ფრესკა, XVI ს., ტყიბულის მუნიციპ.



სამცხე-საათაბაგო დანარჩენი ქართული სახელმწიფოებისგან დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის იბრძოდა და ამ მიზნის განსახორციელებლად ოსმალეთსა და ირანთან მოკავშირეობასაც არ ერიდებოდა. თავიდან, სამცხის მთავრები დასახმარებლად ოსმალებს ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მიხვდნენ, რომ ოსმალეთს სამცხე-საათაბაგოს შეერთება და მისი დამოუკიდებლობის მოსპობა სურდა, ირანს დაუჭირეს მხარი. წლების განმავლობაში ამ მხარეში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ პროოსმალური და პროირანული ბანაკები, მესხი დიდებულების ნაწილი კი სხვა ქართული სახელმწიფოების მხარეს იხრებოდა. ათაბაგების ამგვარმა პოლიტიკამ, საბოლოოდ კატასტროფული შედეგი გამოიღო – სამცხე-საათაბაგომ დამოუკიდებლობა დაკარგა, მისი ტერიტორია ჯერ ორმა იმპერიამ გაიყო, ხოლო შემდეგ სრულად მოექცა ოსმალეთის შემადგენლობაში.

ოდიშის სამთავრო XVI ს-ის დასაწყისში იმერეთს ექვემდებარებოდა. დადიანები მეფე ბაგრატს ეხმარებოდნენ ჯერ ჯიქეთში ლაშქრობის დროს, შემდგომ კი სამცხე-საათაბაგოში

შეჭრისას, თუმცა ეს მოკავშირეობა მალევე დასრულდა. დადიანებმა მეფე ბაგრატის გაძლიერებაში საფრთხე დაინახეს და მისი მხარდაჭერა შეწყვიტეს. ბაგრატმა ლევან I დადიანი შეიპყრო და დაატყვევა, რითაც საფუძველი დაედო იმერეთისა და ოდიშის ხანგრძლივ დაპირისპირებას. ოდიშის მთავრებმა იმერეთის საპირწონედ ოსმალეთთან დაამყარეს კავშირი. ლევან დადიანი სტამბოლშიც კი ჩავიდა და სულთნისგან, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობის აღიარება მიიღო. XVII ს-ის დასაწყისში ოდიშს **აფხაზეთის სამთავრო** გამოეყო, რომელიც საბრძოლო მოქმედებებისას დიდი ხნის განმავლობაში იყო ოდიშისა და გურიის მოკავშირე.

გურიის სამთავრო. საწყის ეტაპზე გურიელი იმერეთის მეფე ბაგრატის მოკავშირე იყო, მაგრამ მთავარსა და მეფეს შორის დაპირისპირება დაიწყო და გურიის სამთავროც გამოეყო იმერეთს. იმერეთთან, ოდიშსა და აფხაზეთთან შედარებით, ოსმალებისგან უპირველესი საფრთხე გურიის სამთავროს დაემუქრა. ოსმალებმა მას ჭანეთი წაართვეს და აჭარაში მოიკიდეს ფეხი.

- *იმსჯელე, ვის აძლევდა ხელს ქართველი მეფე-მთავრების დაქსაქსულობა?*

დისკუსია

მოაწყვეთ კლასში დისკუსია იდენტობის იმ ფორმების შესახებ, რომელთა საშუალებითაც ქართული სამეფო-სამთავროები, მმართველი წრეები, საზოგადოებრივი ჯგუფები შეძლებდნენ ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას.

როგორ განვითარდა მოვლენები ქართულ სამეფო-სამთავროებში ირან-ოსმალეთის პირველი ომის პარალელურად?

ოსმალეთ-ირანის პირველი ომის (1514-1555) საწყის ეტაპზე სეფიანები ხვდებოდნენ, რომ მათი ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან პირდაპირ ბრძოლაში ჩაბმა სარისკო იყო, ამიტომ მიმართეს „გადამწვარი მიწის“ ტაქტიკას – ისინი უკან იხევდნენ და გზად ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც შეიძლებოდა, მტერს გამოეყენებინა. ეს ტაქტიკა მათ მტრის გამოსაფიტად მოიგონეს, თუმცა ამანაც ვერ უშველათ – იმავე წელს **ჩალდირანის ბრძოლაში** ოსმალებმა გამარჯვება მოიპოვეს. ეს, ძირითადად, გაანაპირობა იმან, რომ ოსმალთა არტილერიამ მუსრი გაავლო შაჰის კავალერიას. ირანელებს არტილერია ჯერ ათვისებული არ ჰქონდათ. ოსმალებმა დროებით ირანის დედაქალაქის, თავრიზის, აღებაც შეძლეს.

წყარო 3 **XV-XVI სს-ის ვენეციელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე მარინო სანუტო სულთან სელიმის მიერ სეფიანების დამარცხების შესახებ წერს:**

[სულთანი] თავისი ჯარით თავრიზთან რომ მივიდა, მან აქ იგი სამ ნაწილად გაყო ... ასეთ შემთხვევაში *სოფის* მხედართმთავარმა გადაწყვიტა, 30-ათასიანი ჯარით თავს დასხმოდა თურქების იმ ნაწილს, რომელშიც პირადად დიდი ბატონი [ოსმალეთის სულთანი] იმყოფებოდა ... სულთანმა დაუყოვნებლივ ბრძანა, არტილერია დაეშინათ. ამ ბრძოლაში ბევრი დაიღუპა, როგორც ბატონის, ისე სოფის მხარეს. ასეთ დროს *იანიჩრები* დაესივნენ არტილერიისგან უწესრიგოდ მიმოფანტულ ცხენოსნებს და ერთიანად ამოჟლიტეს ... ამის შემდეგ ბატონი თავრიზში შევიდა და სოფის ტახტზე დაჯდა. სოფის მეუღლე და *ჰარემის* ყველა ქალი წაართვა. თან წაიღო 400 *საპალნე* აბრეშუმი, ასევე წაიყვანა 300 ვაჭარი, სოფის 300 ოსტატი – ძირითადად, იარაღის მკეთებელი ოსტატები.
შენიშვნა: სოფი *– იგულისხმება ირანის შაჰი ისმაილი.*

იანიჩრები (თურქ. „ახალი ჯარი“) – პრივილეგირებული ქვეითი მებრძოლები ოსმალეთში, რომლებიც წარმოშობით, ძირითადად, დამორჩილებული ქრისტიანული ქვეყნებიდან იყვნენ. იანიჩართა დიდ ნაწილს შეადგენდნენ წარმოშობით ქართველები, რომლებიც ოსმალეთში ჩაჰყავდათ და, როგორც სამხედრო მონებს, საგანგებოდ წვრთნიდნენ.
ჰარემი (არაბ. „ჰარამ“ – აკრძალული, ხელუხლებელი) – ცოლებისთვის, ხარჭებისთვის და მოსამსახურე ქალებისთვის განკუთვნილი განცალკევებული სივრცე მუსლიმურ ოჯახში.
საპალნე – აქ: წონის ერთეული. აქლემზე, ცხენზე, ხარზე, ჯორზე ან ვირზე აკიდებული ტვირთის საპალნე წონა განსხვავდებოდა.

- *იმსჯელე მოწინააღმდეგეთა სტრატეგიული მოქმედებების შესახებ, რომლებითაც ისინი მეორე მხარის დასუსტებას ცდილობდნენ.*
- *წყარო Ⴓ-ს მიხედვით იმსჯელე, რა განაპირობებდა ომში ოსმალთა უპირატესობას?*
- *რაზე მიანიშნებს ოსმალეთის სულთნის ნადავლი: აბრეშუმი, ვაჭრები და იარაღის ოსტატები?*

წყარო Ზ **ჩალდირანის ბრძოლა, XVI., ჩეჰელ-სოთუნის სასახლე, ისპაჰანი, ირანი**



- *Ⴓ და Ზ წყაროების მიხედვით იმსჯელე, რომელ მხარესაა ფრესკაზე გამოსახული სეფიანთა არმია? რის საფუძველზე დაასკვენი?*

მიუხედავად იმისა, რომ ქართლის მეფე დავით X-მ (1505-1525) 1516 წელს ირანის უზენაესობა აღიარა და ამავე წელს სამცხის ათაბაგის ტახტისთვის ბრძოლაში ირანის მიერ მხარდაჭერილმა ყვარყვარე III-მ გაიმარჯვა, ირანის შაჰმა ისმაილ I-მა ქართლში ლაშქრობა და მისი სრულად დამორჩილება გადაწყვიტა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო შიშით, რომ ქართველები ოსმალების მხარეს გადავიდოდნენ და ამიერკავკასიაში ირანელთა გავლენა შეირყეოდა. ირანელები ქვემო ქართლში შეიჭრნენ. **თელეთთან ბრძოლაში** თავდაპირველად ქართველები დაწინაურდნენ, მაგრამ ალყაში მოქცეულმა ჯარმა უკან დახევა დაიწყო და თბილისთან გამაგრებას შეუდგა. ციხისთავის ღალატის გამო ირანელებმა თბილისი ადვილად დაიკავეს. შაჰ-ისმაილმა თბილისის ციხეში ყიზილბაშური გარნიზონი ჩააყენა და მეტეხის ხიდთან მეჩეთი ააგო. ირანელებმა ქვემო ქართლში განსაკუთრებით გაამაგრეს აღჯაყალის ციხე, რომელიც აკონტროლებდა შიდა ქართლში შემოსასვლელს – დებედას ხეობას. ქვემო ქართლში მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლება გააქტიურ-

და. აღმოსავლეთ საქართველოში მომთაბარე ტომების შემოსვლა ქმნიდა დიდ პრობლემას ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ყიზილბაშთა მიწისმფლობელობის ფორმა („თიულდარული სისტემა“) გულისხმობდა მიწის დროებით, გარკვეული სამსახურის სანაცვლოდ გადაცემას. მისი მფლობელები გლეხების მკაცრ ექსპლუატაციას ეწეოდნენ, რაც რეგიონის გაღარიბებასა და სოფლის მეურნეობის მოშლას იწვევდა. მეფე დავითმა თბილისზე კონტროლი შაჰ-ისმაილის გარდაცვალების შემდეგ (1524) აღადგინა, აღჯაყალის ციხე დაანგრია და ირანელთა ბატონობის უღელს დროებით თავი დააღწია. ბრძოლა განსაკუთრებით მისი მემკვიდრის, ლუარსაბ I-ის დროს გაძლიერდა.

ამასობაში დასავლეთ საქართველოში ოსმალური საფრთხე ძლიერდებოდა. ოსმალებმა 1510 წელს დალაშქრეს იმერეთი, აიღეს და გადაწვეს ქუთაისი.

წყარო 01 **„ახალი ქართლის ცხოვრება“ დასავლეთ საქართველოში ოსმალთა შემოჭრის შესახებ წერს:** *ადაპტირებული წყარო*

[1510 წელს] ხონთქარმა გამოგზავნა საქართველოს წინააღმდეგ თავისი *მხედართმთავარი* მრავალრიცხოვანი ლაშქრით. ააოხრეს სამცხე, ჩამოვიდნენ იმერეთში და გადაწვეს ქუთაისი. მოვიდნენ და ცეცხლს მისცეს გელათი. აიღეს ბევრი ნადავლი.

შენიშვნა: მხედართმთავარი *– იგულისხმება სულთნის ვაჟიშვილი სელიმი, რომელიც იმ დროს ტრაპიზონს მართავდა, მალევე კი თავად გახდა ოსმალეთის სულთანი (1512–1520).*

ოსმალები დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთიდანაც უქმნიდნენ საფრთხეს. მათი წაქეზებით, ჯიქები თავს ესხმოდნენ აფხაზეთის, ოდიშისა და გურიის სანაპიროებს. საზღვრის გამაგრების მიზნით 1533 წელს იმერეთის მეფე ბაგრატმა, ოდიშის მთავარმა მამია დადიანმა და გურიის მთავარმა მამია გურიელმა ჯიქეთზე ლაშქრობა მოაწყვეს, მაგრამ ეს კამპანია მარცხით დასრულდა. დადიანი ბრძოლაში დაიღუპა, გურიელი კი ტყვედ ჩავარდა.

ჯიქეთში მარცხის შემდეგ იმერეთის მეფემ მთავარი ყურადღება სამცხე-საათაბაგოსკენ გადაიტანა. მეფე ხვდებოდა, რომ ოსმალეთისგან დასავლეთ საქართველოს დაცვა მხოლოდ ამ მხარის გამაგრებით იყო შესაძლებელი. 1535 წელს იმერეთის მეფემ, ოდიშისა და გურიის მთავრებთან ერთად, საათაბაგოში გაილაშქრა, **მურჯახეთის ბრძოლაში** ყვარყვარე ათაბაგი დაამარცხა და ეს მხარე შემოიმტკიცა. მეფე ბაგრატმა სამცხის სასაზღვრო ციხეების გამაგრება დაიწყო და ოსმალეთის საპირწონედ ურთიერთობა ირანის შაჰთან დაამყარა. 1543 წელს ბაგრატმა ოსმალები **ქარალაქის ბრძოლაში** დაამარცხა და ალაფის სახით ხელთ ევროპული ზარბაზნები ჩაიგდო.

1545 წელს ოსმალთა ჯარი სამცხისკენ დაიძრა. ბაგრატის მხარეს მეფე ლუარსაბი, გურიის მთავარი და მესხი აზნაურები იყვნენ. ამ უკანასკნელთ ბრძოლის ველის დატოვეს და ამის გამო ქართველები **სოხოისტასთან** დამარცხდნენ. სამცხის დასავლეთი ნაწილი ოსმალების ხელში აღმოჩნდა. მის აღმოსავლეთ ნაწილს – ჯავახეთს კი კვლავ მეფე ლუარსაბი აკონტროლებდა. ოსმალებმა სამცხის ათაბაგად თავიანთი მოკავშირე ქაიხოსრო ჯაყელი დასვეს.

წყარო 02 **„ახალი ქართლის ცხოვრება“ სოხოისტას ბრძოლის შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

ურიცხვი ოსმალო მოადგა ბასიანს. ესენიც [ქართველებიც] იქ მივიდნენ, სადაც ოსმალები იყვნენ დაბანაკებულნი. თათბირი გაიმართა ქართლელებსა და მესხებს შორის. ქართლელებმა თქვეს და გადაწყვიტეს [ბრძოლაში] მეწინავეობა, მაგრამ მესხებმა ითაკილეს, ამბობდნენ: ძველი დროიდან ბრძოლაში მეწინავეობა მესხებისთვის არის განწესებული. ახლაც ჩვენ უნდა მივიდეთ [პირველები], რადგან ძველი დროიდან გვაქვსო ასეთი წესი და რიგი. ქართლელები უფრო მეტად გაჯიუტდნენ. დაიწყეს ცილობა ერთმანეთში და დიდი შუღლი აენთო.

... ძლიერი ბრძოლა გაჩაღდა. სოხოისტას [ველზე] გამართეს ბრძოლა იმერეთის მეფე ბაგრატმა, ქართლის მეფე ლუარსაბმა, ათაბაგმა ქაიხოსრომ და მთელმა საქართველომ ... მეფეები გამოიქცნენ. მაშინ ბოროტი შურით აღვსილმა მესხებმა განდგომა გადაწყვიტეს და აღარ გაჰყვნენ ომში. მესხების განდგომა რომ გაიგეს, უფრო მეტი თავგანწირვა აჩვენეს ქართლელებმა და იმერლებმა. გაგრძელდა ომი. მრავალი დაეცა იქიდან და აქედან. უფრო მეტი ოსმალო გაწყდა, ოთხჯერ მეტი ... დილიდან შებინდებამდე გაგრძელდა ფიცხელი ომი. მაშინ, [მტრის] მხედრობის სიმრავლის გამო, უკან დაიხია ქართველთა მხედრობამ ...

დევნილი ლუარსაბ მეფე ქართლში წამოვიდა, ბაგრატი კი – იმერეთში. სამცხე-საათაბაგო ოსმალებმა დაიპყრეს, აიღეს სამცხის ყველა ციხესიმაგრე...

- *იმსჯელე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მესხებისთვის მოწინავეობაზე უარის თქმის მიზეზი?*
- *დააკვირდი – რას იყენებს წყაროს ავტორი ქართლელების, იმერლებისა და მესხების საერთო იდენტობის გამოსახატად? შენი აზრით, რისი თქმა სურს წყაროს ავტორს?*

მარცხის მიუხედავად, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ცდილობდნენ ოსმალების წინააღმდეგ კვლავ შეკავშირებულიყვნენ, თუმცა ერთიანობას ხელს ფეოდალური დაპირისპირება უშლიდა.

წყარო 3 „ახალი ქართლის ცხოვრება“ გვიყვება იმის შესახებ, თუ როგორ ჩაიშალა გურიის, იმერეთის, ოდიშისა და აფხაზეთის შეკავშირება ოსმალთა წინააღმდეგ: *ადაპტირებული წყარო*

გაუწყრა ხონთქარი გურიელს, გაუხსენა უწინდელი მტრობა, როცა მიემხრო იგი ბაგრატს, და ამოწყვიტეს ხონთქრის მრავალი მხედარი. ამის გამო დიდძალი მხედრობა გამოგზავნა გურიის წინააღმდეგ. შემოვიდნენ ბათუმში და დაიწყეს ციხის შენება. მაშინ შეკრიბა გურიელმა თავისი მხედრობა და წამოვიდა მათ წინააღმდეგ. ღმერთმა ძლევა მისცა და გაიმარჯვა გურიელმა. [ოსმალებმა] დატოვეს ბათუმი და ზღვაში შევიდნენ ნავებით. დიდი ღელვა ატყდა და ჭოროხს გაღმა გარიყა ისინი. ადიდებული იყო მდინარე ჭოროხი, გურიელმა და მისმა მხედრებმა ვეღარ გადალახეს ცხენებით. მივიდნენ [ოსმალები] გონიოში და დაიწყეს ციხის შენება. გამაგრდნენ ოსმალები, დაიწყეს ძალმომრეობა, ამოწყვიტეს და დაიპყრეს ჭანეთი.

გურიელმა დახმარება ბაგრატისა და ლევან დადიანისგან ითხოვა. მაშინ დადიანმა მთლიანად შეკრიბა აფხაზები და მეგრელები და წამოვიდა. ბაგრატმაც გაგზავნა თავისი ძმა ვახტანგი და იმერელი მხედრებიც გაატანა, ხუთასი კაცი. დააბარა ბაგრატმა თავის ძმას, ვახტანგს: „იმას ეცადე, რომ დადიანი და გურიელი არ გაერთიანდნენ. თუკი ისინი გაერთიანდებიან, ბევრ ბოროტს შეგვამთხვევენ. ეცადე, რომ დადიანი არ შეხვდეს გურიელს“. მაშინ დადიანი რიონის სათავეში იდგა. როცა ვახტანგი *საჯავახოში* ჩავიდა, შეატყობინა დადიანს: „შენც იცი, რომ მე შენთან შეფიცული ვარ და არაფერს დაგიმალავ. ეს იცოდე, რომ ჩემმა ძმამ ბაგრატმა და გურიელმა პირი შეკრეს შენ წინააღმდეგ. გურიაში თუ ჩამოხვალ, შენი ღალატი უნდათ“. ეს რომ გაიგეს მეგრელებმა, შეშინებულებმა აღარ ისურვეს გურიაში ჩამოსვლა. ვახტანგი კი ჩავიდა როსტომ გურიელთან ბათუმში. რაკიღა დადიანი არ ჩავიდა, გურიელმა ვეღარ შეძლო ოსმალებთან ბრძოლის გამართვა. ვეღარც გაღმა გავიდნენ, რადგან ნავები არ ჰქონდათ. მაშინ უფრო მეტად გაძლიერდნენ ოსმალები და ააშენეს ციხეები. ვახტანგი კი იმერეთში წამოვიდა.

შენიშვნა: საჯავახო *– ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში – იმერეთის სამეფოსა და გურიის სამთავროს შორის მუდმივი დაპირისპირების საგანი.*

- *იმსჯელე, რა საერთო ინტერესი ჰქონდათ გურიას, იმერეთს, ოდიშსა და აფხაზეთს?*
- *რატომ შეუშალა ხელი იმერეთის მეფემ დადიანისა და გურიელის შეკავშირებას?*
- *გამოკვეთე დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები.*

წყარო ლ ირანელთა და ოსმალთა ლაშქრობები საქართველოში XVI ს-ის პირველ ნახევარში



- *რატომ გახდა ჯავახეთი სტრატეგიული რეგიონი ოსმალეთ-ირანის დაპირისპირებაში?*
- *შეადარე ერთმანეთს წყარო ლ და განვლილი გაკვეთილებიდან – IX-X სს-ის ქართული სამეფო-სამთავროების რუკა; საუკუნეების დაშორების მიუხედავად, რატომ ემთხვევა ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების საზღვრები ერთმანეთს?*
- *რა ისტორიულ-გეოგრაფიულმა ფაქტორებმა განაპირობეს მყარი ტერიტორიული მოხაზულობა?*
- *რომელი ახალი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ერთეულები გაჩნდა, ან რომელი გაქრა? რა ისტორიულმა პროცესებმა განსაზღვრეს ახალი გეოგრაფიული რეალიების ჩამოყალიბება საქართველოში?*

სამცხე-საათაბაგოში ოსმალეთის გავლენის გავრცელებამ ირანი შეაშფოთა. ირანის შაჰმა, თამაზ I-მა (1524-1574) ქართლის დამორჩილების მიზნით პირველი ლაშქრობა 1541 წელს მოაწყო და თბილისისა და ბირთვისის ციხის აღება შეძლო. მეფე ლუარსაბის ძირითად სამყოფლად გორი იქცა. მეორე ლაშქრობის დროს (1547) თამაზმა ჯავახეთში ლუარსაბის მომხრე თავადების მამულები დაარბია, იქიდან ქვემო ქართლში გადავიდა და ნაძარცვითა და მრავალრიცხოვანი ტყვეებით უკან გაბრუნდა, უკანა გზაზე მიმავალს კი იმერეთისა და კახეთის მეფეები ეახლნენ და მორჩილება გამოუცხადეს. მესამე ლაშქრობის დროს (1551) შაჰ თამაზმა სამცხე-საათაბაგო სასტიკად აოხრა, მათ შორის, ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, სადაც მესხი თავადების ნაწილი აფარებდა თავს.

წყარო 8 ისქანდერ მუნში შაჰ თამაზის მიერ ვარძიის აღებისა და გაძარცვის შესახებ წერს:

ცხრაასორმოცდათვრამეტი წლის თვეებში, როცა შაქის ვილაიეთი დაიპყრო ირანის შაჰმა და ცის გუმბათივით დიდებული ურდო ჯერ კიდევ იმ ვილაიეთში იდგა, ყვარყვარეს შვილმა ქაიხოსრომ [ჯაყელმა] ქვეყნის საფარველ კარზე გამოგზავნა არზა – ლუარსაბი, *ვახუშტი* და *შერმაზან ქართველი* მავიწროებენ, ჩემი ვილაიეთის დაპყრობას ლამობენ, ზოგი ოლქიც წამართვეს, *ისქანდერ ფაშაც* არზრუმიდან მოვიდა ამ მხარეში და არტანუჯის ციხე დაიკავაო. რაკი ქაიხოსრო მისი უდიდებულესობის [შაჰის] ქვეშევრდომი და მოხარკე იყო, [შაჰის ურდო] მის დასახმარებლად იმ მხარეს დაიძრა საღვთო ომისათვის ... ბნელეთის ურწმუნო ხალხმა მთების კალთები და ვიწრო გამოქვაბულები თავის სახიზრად გაიხადა და ყოველმა ჯგუფმა თითო მთაში შეაფარა თავი ... ქართველი დიდებულების ერთი ჯგუფი გამაგრდა ვარძიის ციხეში და იქაურ ეკლესიაში, რომლებიც ერთი მაღალი მთის კალთაზე, კლდეზე მდებარეობდა და სიმაღლით ცის მწვანე გუმბათს ედარებოდა ... მხნე და სახელის მაძიებელმა *ბაჰადურებმა* და ბუმბერაზებმა მამაცურად მიიტანეს იერიში და ქვეყნის გამჩენი ღვთის დახმარებით ციხის თავზე ავიდნენ. ამის მნახველი ქრისტიანები დაღონებულნი და შეშფოთებულნი შეიქნენ ... ეკლესია, რომელიც იმ ციხეში იყო, ღვთის უცხო რამ ქმნილებაა და შორსმჭვრეტელი ჭკუაც ვერ წარმოიდგენდა, რომ ის ადამიანის მიერ იქნებოდა შექმნილი ... ეკლესიის გარეთა სადგომებს ფოლადის კარები ჰქონდა და ერთი კარიც, ოქროსი, ეკლესიის შიგნით იყო გაკეთებული. სამოთხეში დამკვიდრებული შაჰი აბრძანდა ხსენებული ეკლესიის დასათვალიერებლად. ოცი ურწმუნო მღვდელი იმ ურჯულოთა სალოცავში ცეცხლოვანი ხმლით „მოსპობის ქალაქს“ გააგზავნეს [მოკლეს]. ჩამოვარდნილი ზარი ეკლესიისა, რომელიც 70 *ბათმანი* სპილენძისაგან იყო შვიდჯერ ჩამოსხმული, დაამტვრიეს, როგორც დაიმსხვრა ქართველების სიცოცხლის შუშა. ფოლადისა და ოქროს კარები მოგლიჯეს და, სხვა განძთან ერთად, რომელიც იმ შფოთისა და უწმინდურების საგანძურში დაგროვილიყო, ხელმწიფის ხაზინაში გაგზავნეს. ის ციხე დაანგრიეს, მისი სიმაგრენი მიწასთან გაასწორეს.

შენიშვნები: ცხრაასორმოცდათვრამეტი წლის *– ეს არის თარიღი ჰიჯრის კალენდრით, რომელსაც შეესაბამება გრიგორიანული კალენდრის 1551 წელი.*

არზა *– ხელისუფლებისადმი მიმართული წერილობითი თხოვნა ან საჩივარი.*

ვახუშტი და შერმაზან ქართველი *– ქართველი თავადები, რომლებსაც, ისქანდერ მუნშისა და ჰასან რუმლუს მოწმობით, თმოგვისა და აყ-შაჰრის (ახალქალაქი) მიწები ეკუთვნოდათ.*

ისქანდერ ფაშა *– არზრუმის ბეგლარბეგი.*

ბაჰადურები *– მამაცი მეომრები.*

ბათმანი *– წონის ერთეული; ირანული ბათმანი 3 კგ-ს უდრიდა.*

- *წყაროდან ჩანს, რომ მანამდე ოსმალების მოკავშირე ქაიხოსრო ჯაყელი ამჯერად ირანის მხარეს დგას. შენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?*
- *შენი აზრით, რატომ უწოდებს ავტორი ქართველებს „ბნელეთის ურწმუნო ხალხს“?*
- *მოიყვანეთ წყაროდან იმის დამადასტურებელი ინფორმაცია, რომ ირანელები განაცვიფრა ქართული კულტურის ძეგლმა.*
- *იმსჯელე, რა შედეგი მოჰქონდა რელიგიური და კულტურული ძეგლების განადგურებასა და გაძარცვას ქართველი ხალხისთვის?*



წყარო 6 ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, XII-XIII სს., ასპინძის მუნიციპ.

ვარძიაში ინახებოდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. შაჰ-თამაზის შემოსევის შედეგად განადგურდა და სამუდამოდ დაიკარგა მრავალი უნიკალური ხელნაწერი.

მეფე ლუარსაბი არ ნებდებოდა. მან მომდევნო წელს თბილისი გაათავისუფლა, რამაც შაჰ-თამაზს მეოთხედ ლაშქრობა გადააწყვეტინა (1554). ირანელებმა თბილისი კვლავ დაიკავეს, მცხეთა ააოხრეს და შიდა ქართლში შევიდნენ. ატენის ციხის აღების შედეგად ირანელებს ტყვედ ჩაუვარდათ მეფე ლუარსაბის დედა – ნესტან-დარეჯანი, რომლის მეშვეობით მეფის დაშანტაჟებას აპირებდნენ, თუმცა ნესტან-დარეჯანმა საწამლავის დალევა ამჯობინა და ირანელებს ამის შესაძლებლობა წაართვა. ამით შაჰ-თამაზის ლაშქრობები დასრულდა, მან ქართლის მეფის დატყვევება ვერ შეძლო.

1555 წლის 29 მაისს ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის **ამასიის ზავი** გაფორმდა და ორ იმპერიას შორის თითქმის 40-წლიანი ომი დასრულდა. შეთანხმების თანახმად, ოსმალეთს ერგო დასავლეთ საქართველო და სამცხის დასავლეთი ნაწილი, ირანს – აღმოსავლეთ საქართველო და სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი.

წყარო ო **ირანი და ოსმალეთი 1555 წლის ამასიის ზავის მიხედვით**



- *რუკაზე დაკვირვებით უპასუხე შეკითხვას: რატომ იყო ამასიის ზავი საქართველოსთვის ტრაგიკული შედეგების მომტანი?*
- *რატომ მოუტანა საქართველოს უარყოფითი პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები შავი ზღვის „ოსმალეთის ტბად“ გადაქცევამ?*
- *რუკაზე სეფიანთა ირანის ახალ დედაქალაქად აღნიშნულია ყაზვინი. ამ წყაროსა და გაკვეთილში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე იმსჯელე, რას შეეძლო, გამოეწვია ირანის პოლიტიკური ცენტრის შეცვლა?*

ზავის პირობებს ქართველები არ ეგუებოდნენ და ბრძოლას განაგრძობდნენ. ოსმალეთისა და ირანის გარიგებამ ქართული სამეფო-სამთავროების მდგომარეობა გააუარესა, რადგან მათ უკვე აღარ შეეძლოთ ერთი იმპერიის წინააღმდეგ მეორის დახმარების გამოყენება – ორივე ერიდებოდა კონფლიქტის განახლებას.

დაუმორჩილებელი მეფე ლუარსაბის წინააღმდეგ 1556 წელს ქართლში, ირანის შაჰის მითითებით, ყარაბაღის მმართველის ჯარი შემოვიდა. **გარისთან** მომხდარ ბრძოლაში ქართველებმა უფლისწულ სიმონის მეთაურობით გაიმარჯვეს. ბრძოლას მეფე ლუარსაბი ემსხვერპლა.

მეფე ლუარსაბის პოლიტიკა **სიმონ I-მა** (1556-1569; 1578-1600) გააგრძელა. ის დაუმოყვრდა კახეთის მეფეს, მისი ქალიშვილი შეირთო ცოლად და ირანელთა წინააღმდეგ მოკავშირეც შეიძინა. 1561 წელს გამართულ ბრძოლაში კახეთის უფლისწული გიორგი ჯარითურთ სიმონის მხარეს იბრძოდა, რასაც შეეწირა კიდეც. მომდევნო წელს ირანის მხარეს გადავიდა სიმონის უმცროსი ძმა დავითი, რომელმაც ისლამი მიიღო და დაუდ-ხანად იწოდა. იგი შაჰმა „შვილად“ მიიღო და საგამგებლოდ თბილისი და ქვემო ქართლი გადასცა. იმავე გზას დაადგენენ ქვემო ქართლის თავადებიც. 1569 წელს გამართულ **ფარცხისის ბრძოლაში** ირანელებმა სიმონ მეფის დატყვევება მოახერხეს და ირანში, ალამუთის ციხეში ჩასვეს. მისი ადგილი დაუდ-ხანმა დაიკავა, მაგრამ მას ქართლის უმეტესი ნაწილი არ ემორჩილებოდა.

- *იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა მეფე სიმონის ძმის გადაწყვეტილებას ქართლისთვის და რის გამოწვევა შეეძლო ამას?*
- *შენი აზრით, რამ განაპირობა დავითის ამგვარი საქციელი?*

რა შეცვალა ირან-ოსმალეთის მეორე ომმა?

1576 წელს გარდაიცვალა ირანის შაჰი თამაზი, რასაც მის მემკვიდრეებს შორის დაპირისპირება და პოლიტიკური ქაოსი მოჰყვა. ორი წლის შემდეგ ტახტზე ასული მუჰამედ ხუდაბენდე (1578-1587) სუსტი ჯანმრთელობისა და ნებისყოფის მმართველი იყო. ქვეყნის დასუსტებით ისარგებლა ოსმალეთმა და სეფიანებთან მეორე ომი დაიწყო. ოსმალთა ჯარს დიდი ვეზირის, **მუსტაფა ლალა-ფაშას** მეთაურობით, მთელი სამხრეთ კავკასია უნდა დაეპყრო, კასპიის ზღვამდე გასულიყო და ირანისთვის ჩრდილო-დასავლეთიდან მიეტანა იერიში.

წყარო 3 **ოსმალთა ლაშქრობა კავკასიაში მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით, 1578**



- *რუკაზე დაკვირვებით უპასუხე შეკითხვებს:*
  - *დაარღვია თუ არა ოსმალეთმა ირანთან დადებული ამასიის ზავი? პასუხი დაასაბუთე რუკის მონაცემების მიხედვით.*
  - *მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქრობის მარშრუტზე დაკვირვებით, გამოთქვი ვარაუდი, სამხედრო-პოლიტიკური მიზნების გარდა, ეკონომიკური თვალსაზრისით, დამატებით რა ამოძრავებდა ოსმალეთს?*
- *დააკვირდი ლ და პ წყაროებს და უპასუხე შეკითხვას: რა ტერიტორიული ცვლილებები განიცადა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულმა სამეფო-სამთავროებმა?*

ოსმალებსა და ირანელებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა სამცხეში, **ჩილდირის ტბასთან** გაიმართა. ოსმალებმა გაიმარჯვეს, სამცხე დაიკავეს და ქართლში შევიდნენ. დაუდ-ხანმა თბილისი გადაწვა და მიატოვა. ოსმალებმა დედაქალაქი და ქართლის უდიდესი ნაწილი უბრძოლველად დაიკავეს. შექმნილი ვითარება კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ ობიექტურად შეაფასა, სისხლისღვრას თავი აარიდა, სართიჭალასთან ოსმალთა ჯარს შეეგება და დიდ ვეზირთან ზავი დადო. კახეთის მეფემ ხარკის გადახდა და ოსმალთა მოკავშირეობა იკისრა, სანაცვლოდ კი კახეთს აოხრება აუცილა. ოსმალებმა კახეთი უომრად გაიარეს და ირანის სამფლობელოებში შეიჭრნენ.

ოსმალებთან განცდილმა სამხედრო კატასტროფამ ირანს ქართლის მიმართ პოლიტიკის შეცვლისკენ უბიძგა. შაჰისთვის ქართლი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირე უნდა გამხდარიყო, ამ თვალსაზრისით კი მეფე სიმონი საუკეთესო კანდიდატურა იყო.

- *შენი აზრით, რამდენად მართებული იყო კახეთის მეფის გადაწყვეტილება და რა ფაქტორებმა განაპირობა მისი ამგვარი გადაწყვეტილება?*

წყარო უ **„ახალი ქართლის ცხოვრება“ ირანიდან სიმონ მეფის დაბრუნების შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

შაჰ-ხუდაბანდეს დედამ, *ოთარ შალიკაშვილის* ასულმა, გამოიყვანა სვიმონ მეფე, როგორც ქართველი ქალების წესია, ისე მოიქცა – ლეჩაქი გაუგზავნა: „ქალების ეს თავსაბურავი შემომიხვევია შენი ხმლის ხის ტარზე. შენ იცი და შენმა ხმალმა. ახლა გაძლევთ შენ შენს სამეფოს – ქართლს და სხვა მრავალ საბოძვარსაც. წადი და გაამაგრე ქართლი, რომ არ წაგვართვან ოსმალებმა. იყავი ჩვენი ხელმწიფის დამხმარე და ერთგული“. მისცეს ურიცხვი საბოძვარი და ასე გამოემართა მეფე სვიმონი.

შენიშვნა: ოთარ შალიკაშვილი *– სამცხე-საათაბაგოს დიდგვაროვანი ფეოდალი. ყვარყვარე III ათაბაგის პირველი ვეზირი. იბრძოდა იმერეთის მეფე ბაგრატის წინააღმდეგ.*

- *იმსჯელე, რატომ დასთანხმდა სიმონ I ირანის შეთავაზებას?*

1579 წლის ზაფხულისთვის სიმონმა ქართლის უდიდესი ნაწილი ოსმალებისგან გაათავისუფლა და მიზნად თბილისის აღება დაისახა. ქართლის წინააღმდეგობამ მაგალითი მისცა ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებს. ირანის მხარეს გადავიდა კახეთიც. სიმონს მიემხრო ახალციხის (ჩილდირის) ფაშად ოსმალების მიერ დანიშნული მანუჩარ ათაბაგი.

სიმონის ამგვარმა წინააღმდეგობამ შედეგი გამოიღო – ოსმალეთსა და ქართლს შორის ზავი გაფორმდა. სიმონმა ხარკის გადახდა იკისრა, სანაცვლოდ კი ოსმალეთმა იგი ქართლის ქრისტიან მეფედ აღიარა და ქვეყნის შიდასაქმეებში ჩარევაზე უარი თქვა, ფაქტობრივად, ქართლის ვასალურ დამოკიდებულებას დასჯერდა. 1590 წელს ირანის ახალმა შაჰმა, აბას I-მა ოსმალეთთან ზავი დადო და ვრცელი ტერიტორიები, მათ შორის, აღმოსავლეთ ამიერკავკასია დათმო. საუკუნის ბოლოს სიმონმა კვლავ სცადა ოსმალების განდევნა ქართლიდან, 1599 წელს მათ გორიც კი წაართვა, მაგრამ მომდევნო წელს, ისევ ფარცხისთან, ტყვედ ჩავარდა. ამჯერად მან სიცოცხლის უკანასკნელი წლები ოსმალთა ტყვეობაში, სტამბოლში მდებარე იედიყულეს ციხეში გაატარა. მეფე სიმონი 1611 წელს გარდაიცვალა.

● *XVII ს-ის სომეხი ისტორიკოსის, არაქელ თავრიზელის, ცნობით, როდესაც ოსმალეთის სულთანმა მეფე სიმონის დატყვევების ამბავი შეიტყო, თავის იმპერიაში სამდღიანი ზეიმი გამოაცხადა. შენი აზრით, რატომ იყო ქართლის მეფის ხელში ჩაგდება ოსმალეთისთვის ასეთი მნიშვნელოვანი?*

გამუდმებული შემოსევები და შიდა დაპირისპირებები აჩანაგებდა ერთ დროს განვითარებულ საქართველოს ეკონომიკას, განათლებასა და კულტურას და უფრო და უფრო აშორებდა დასავლურ ცივილიზაციას. ნადგურდებოდა ან ზიანდებოდა ისტორიული, კულტურული და სასულიერო ძეგლები, იძარცვებოდა განძსაცავები და ბიბლიოთეკები, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ტყვედ მიჰყავდათ ან „ტყვეთა სყიდვის“, იმავე მონათვაჭრობის ობიექტი იყო. ადამიანური რესურსების შემცირება იწვევდა მუშახელისა და ქვეყნის დამცველთა რიგების შემცირებას. სარჩოს გარეშე დარჩენილი დიდებულები თუ დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები ხშირად მოწინააღმდეგეთა მხარეს გადადიოდნენ და თავიანთი ქვეყნის დაუძლურებას უწყობდნენ ხელს. XVI ს-ის საქართველოში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს მოწმობენ ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებიც.

წყარო ვენეციელი მოგზაური და დიპლომატი მიკელე მემბრე 1539 წელს საქართველოს ტერიტორიის გავლით ჩავიდა ირანში. მან საინტერესო ცნობები შემოგვინახა ამ პერიოდის საქართველოს შესახებ:

... მივაღწიეთ ადგილს, სახელად ანაკლია, რომელიც წარმოადგენს სამეგრელოს *მეფის*, დადიანის ტერიტორიას. აქ არის დიდი მდინარე, რომელშიც შედიან გემები, როცა არ არიან დატვირთულები. გემი ჩერდება ამ სანაპიროსთან და სხვა გემთან აწარმოებს ვაჭრობას, ოღონდ ყველაფერი *ბარტერზეა* – ისინი იღებენ ქსოვილებს და ყიდიან, ასევე, ქსოვილებს. მეგრელები გემთან თავიანთი ნავებით მოდიან და თითოეულს მოაქვს თავისი ქსოვილის ბოღჩა. ამგვარად ეწევიან ისინი ვაჭრობას.

ბარტერი – საქონლის ან მომსახურების გაცვლა-გამოცვლა ფულის გამოყენების გარეშე.

სამეგრელოში მარილი არ მოიპოვება. ტყავი, ცხვრის ბეწვი და სხვა საქონელიც არის საკმაოდ ძვირად ღირებული. სამეგრელოში მოიპოვება დიდი რაოდენობით ყვითელი ცვილი, სელის (ტილოს) ძაფი და *ძეგამიდან* მოტანილი აბრეშუმი. ასევე, ისინი ყიდიან ბევრ მონას. მომდევნო დღეს დაიწყო აღნიშნული გემიდან მარილის ჩამოტვირთვა და ნავებზე დატვირთვა, რათა გაეგზავნათ ბაზრობაზე, რომელიც ამ დღეებში უნდა გამართულიყო ფაზისთან [მდ. რიონი] მდებარე ადგილზე .... მეგრელები ფრიად ღარიბულად ჩაცმულნი დადიან, ყველა მოკლე ბამბის იაფფასიანი სამოსითაა და ფეხშიშველა ... მეგრელი დიდგვაროვნები იმოსებიან გრძელი სამოსით და ცხვრის ტყავის ფეხსაცმელს ატარებენ ... ისინი არ ატარებენ წვერს, არამედ – მხოლოდ გრძელ ულვაშებს, როგორიც, ასევე, აქვთ იბერიელებს.

ამ ბაზარში ბევრი ღარიბი ადამიანი მოდის, ასევე, სხვა იბერიელი ვაჭრები აბრეშუმით, რომელსაც ისინი ცვლიან – ქსოვილს ქსოვილზე, ყოველგვარი ფულის გამოყენების გარეშე. ეს ბაზრობა სამ დღეს გრძელდება და მერე ყველა მიემგზავრება ... ჩვენ გადავკვეთეთ ხსენებული მდინარე ფაზისი ნავით და მივედით იბერიელთა ქალაქ ქუთაისში, რომელიც მეფე *ბაში-აჩუკის* სამფლობელოა ... მდინარის გასწვრივ ის აშენებს ქვის სახლებს საცავებით/სარდაფებით, რომლებიც, როგორც ამბობენ, თავად მეფისთვისაა განკუთვნილი. თუმცაღა, ამ ქალაქში უმეტესობა სახლებისა უმეტეს უბნებში ხისაა და აქ, ასევე, ბევრი ბაღია.

... მეფეს, როგორც ამბობენ, უნდა ჰყავდეს 7000 მხედარი, რომელთაც აზნაურები ეწოდებათ. ეს აზნაურები ტანად ბევრად დიდები არიან, ვიდრე ჩვენ, დანარჩენნი ვართ, და აქვთ გრძელი, შავი ულვაშები, წვერს კი იპარსავენ. მათ მოსავთ საკმაოდ უხეშად დამუშავებული ბამბის ქსოვილის მაღალყელიანი წინდები, ზემოდან ტილოს შარვალი, ცხვრის ტყავის ფეხსაცმელები, უხეში ბამბის ქსოვილის ხალათი და ბამბისვე ქსოვილის ძალზე გრძელი *დოლმანი*. თავზე ახურავთ თექის ქუდი, რომელსაც წოწოლა დაბოლოება აქვს. ეს თექის ქუდები შეღებილია. მათი საბრძოლო იარაღია: ხმლები, შუბები, ფარები, მშვილდ-ისარი, რკინის კვერთხები, მუზარადი, რომელიც სანახევროდ ფარავს თავს, ლითონის დამცავი სამკლაურები, კარგი ცხენები კარგი აბრეშუმის საფარებით, რომლებშიც ისარი ვერ ატანს. ამგვარად, როცა აზნაური მიდის ბრძოლის ველზე, ამ ყველაფრითაა აღჭურვილი. ზემონახსენები ქუთაისი ძალიან პატარა ქალაქია.

7 თუ 8 დღის შემდეგ ჩვენ გზა სხვა ქალაქის, სახელად გორის, მიმართულებით გავაგრძელეთ, სადამდეც 4 დღე დაგვჭირდა გზაში. ვმგზავრობდით მუდმივად ძალიან მაღალი მთების გადავლით, რომლებიც იყო ტყით დაფარული და წყლიანი. ამ გზაზე იყო ჭანჭრობი და ტალახი ... ქალაქის [გორის] სახლების ნაწილი არის ხის, ნაწილი – მიწური და ნაწილიც ქვისგან ნაშენია. ეს ქალაქი არის პატარა და მის ჩრდილოეთით მდებარეობს ნაწილობრივ დანგრეული ქვის ციხესიმაგრე. აღნიშნული ადგილის მეფე არის ლუარსაბი. მას ჰყავს აზნაურებად წოდებული ცხენოსნები, დაახლოებით 5000 კაცი. ამ ქალაქის მცხოვრები ადამიანების ნახევარი სომეხია და ნახევარი – იბერიელები. მათ არა აქვთ მარილი, გარდა იმისა, რაც მოდის *სუფის მიწიდან* ... იქიდან ქალაქ თბილისისკენ წავედი. ეს ქალაქიც ლუარსაბის სამფლობელოშია და იქამდე მიღწევას დღენახევარი მოვანდომეთ. თბილისი ძალიან დიდი ქალაქია, თუმცა, უმეტესი ნაწილი დანგრეულია, იმ ბევრი ომის შედეგად, რომლებიც ქართველებს ერთმანეთში აქვთ.

შენიშვნები: სამეგრელოს მეფე *– ავტორი სამეგრელოს (ოდიშის) მთავარს ამგვარად მოიხსენიებს.*

ძეგამი (იგივე ბაზარი) *– ისტორიული ქალაქი კახეთში, დაწინაურებული სავაჭრო ცენტრი, რომელიც XVII ს-ის დასაწყისში შაჰ აბას I-ის ლაშქრობებმა გაანადგურა.*

ბაში-აჩუკი *– აქ იგულისხმება იმერეთის მეფე ბაგრატ III. ზოგადად, ეს სიტყვა ნიშნავს „თავშიშველს“. ოსმალები და ირანელები ამგვარად მოიხსენიებდნენ იმერეთს, იმერლებსა და მათ მმართველებს, რადგან იმერლები მცირე ზომის ქუდს – ფაფანაკს იხურავდნენ, რომელიც მხოლოდ თავის თხემს ფარავდა.*

დოლმანი *– გრძელი თურქული ხალათი, წინ ღია, უშესაკრავო.*

სუფის მიწა *– იგულისხმება სეფიანთა ირანი.*

- *წყაროს მიხედვით, როგორ ეწეოდნენ ვაჭრობას ადგილობრივი მოსახლეობა და „სხვა იბერიელი ვაჭრები“ სამეგრელოში?*
- *იმსჯელე, რატომ მისდევდნენ საქონლის გაცვლა-გამოცვლას ფულის გამოუყენებლად?*
- *საზოგადოების რომელ სოციალურ ფენებს გამოკვეთს წყაროს ავტორი და როგორ ახასიათებს მათ ჩაცმულობას?*
- *წყაროს მიხედვით, რომელ ქალაქებში იმოგზაურა მიკელე მემბრემ და როგორ აღწერს იგი ამ ქალაქების მდგომარეობას? ჰქონდა თუ არა სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობას საერთო ინტერესი და საზრუნავი? რით გამოიხატებოდა ეს?*
- *იმსჯელე, ვის გულისხმობს წყაროს ავტორი „იბერიელებში“ და გამოთქვი მოსაზრება, რა ნიშნით გამოყოფს მათ სამეგრელოს მცხოვრებლებისგან?*

1. გაიხსენეთ მსოფლიო ისტორიიდან XVI ს-ის ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალური მოვლენები. შეადარეთ ისინი საქართველოში განვითარებულ მოვლენებს.

2. კლასში დაიყავით ქართლისა და კახეთის სამეფოების საგარეო პოლიტიკის გამომხატველ ჯგუფებად. მოაწყვეთ დისკუსია თითოეულის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. მოიყვანეთ არგუმენტები.

3. შეასრულე მოსწავლის რვეულის 6.1 სავარჯიშო „ტყვეთა სყიდვის“ შესახებ.

30/31 როგორ შეიცვალა ვითარება საქართველოში შაჰ აბას I-ის მმართველობის პერიოდში?

1587 წელს სეფიანთა ირანის სათავეში აბას I მოვიდა. მას მემკვიდრეობით ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა ერგო, ამიტომაც ახალგაზრდა მმართველი იძულებული გახდა, ოსმალეთთან ზავი დაედო და ვრცელი ტერიტორიები, მათ შორის, აღმოსავლეთ საქართველოც, დროებით დაეთმო. ძირეული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო რეფორმების შემდეგ, 1603 წელს, აბასმა ოსმალეთთან ომი განაახლა და საქართველო კვლავ მოექცა ორი იმპერიის დაპირისპირების არეალში. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ შეძლო ირანმა აღმოსავლეთ საქართველოზე გავლენის აღდგენა და რა საფრთხე შეუქმნა ქართლსა და კახეთს აბას I-ის მმართველობამ.



1603 წლისთვის ქართლი და კახეთი ოსმალეთის ქვეშევრდომი ქვეყნები იყო. ქართლის მთავარ ქალაქებში ოსმალთა გარნიზონები იდგა, ამის მიუხედავად მეფე **გიორგი X** (1600-1606) მათ წინააღმდეგ ბრძოლას არ წყვეტდა. კახეთში ოსმალეთა ჯარები არ იდგნენ, კახეთის მეფე **ალექსანდრე II** (1574-1601, 1602-1605) ოსმალთა ქვეშევრდომად მიიჩნეოდა, თუმცა დიპლომატიურ ძალისხმევას არ იშურებდა თავისი სამეფოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. იგი აქტიურად მართავდა მოლაპარაკებებს რუსეთთან და, დაღესტანში მისი გამოლაშქრების შემთხვევაში, სამხედრო მხარდაჭერას ჰპირდებოდა. თავის მხრივ, რუსეთიც ჩრდილოეთ კავკასიის დასაკავებლად ემზადებოდა და მისთვის კახეთის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო.

აბას I-ის მიერ ოსმალეთთან ომის განახლებამ რეგიონში ვითარება რადიკალურად შეცვალა. ირანის შაჰი, ერთი მხრივ, მიზნად ისახავდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას, მეორე მხრივ კი – კავკასიის რეგიონში გააქტიურებული რუსეთის შეკავებას. 1603 წელს ირანელებმა დაიკავეს თავრიზი, მდინარე არაქსი გადმოლახეს და ერევანს ალყა შემოარტყეს. ქართლისა და კახეთის მეფეები აბასს ეახლნენ და ერევნის აღებაში დაეხმარნენ.

წყარო ა შაჰი აბას I, ფლამანდიელი მხატვრის, დომინიკუს კუსტოსის გრავიურა, 1600-იანი წლების დასაწყისი



- *იმსჯელე, რატომ გამოვიდნენ ქართლისა და კახეთის მეფეები ირანის მოკავშირეებად?*

ირანის შაჰმა ქართლისა და კახეთის მეფეებს სოლიდური ჯამაგირი დაუნიშნა, ქართლის მეფეს კი ირანში რამდენიმე სოფელიც კი გადასცა. სამაგიეროდ, ქართველებს უფრო მეტის გაღება მოუწიათ – აბასმა გიორგი X-ს ლორე და მდინარე დებედას ხეობა მოსთხოვა, ალექსანდრე II-ს კი – კაკ-ენისელი. ორივე იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო. ამ მიწებზე ირანის შაჰმა ლორის სახანო და ელისუს სასულთნო შექმნა და მომთაბარე თურქმანული ტომები ჩაასახლა. ქართლისთვის განსაკუთრებით დიდი დარტყმა იყო ლორეს დაკარგვა, რადგან ამით სამეფოს თავდაცვისუნარიანობა მკვეთრად შესუსტდა. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, „ცბიერმა“ შაჰ აბასმა ამ ნაბიჯით ქართლი „დაამცირა“, „ძალა მოაკლო“ და ეს სამეფო ადვილად „შესავალ-გამოსავალი“ შეიქნა.

წყარო ბ **„ახალი ქართლის ცხოვრება“ შაჰ აბასის მიერ ქართლის მეფისთვის მიწების წართმევის შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

შემდეგ ყაენმა [აბასმა] გიორგი მეფეს უთხრა: „ხონთქარი ხომ ჩემი მტერიც არის და შენიც. ახლა, რაკიღა მე გავისარჯე და აქ მოვედი, ლორე ჩემი იყოს“. გიორგი მეფემ ჯერ შორს დაიჭირა თავი, მაგრამ, რაკიღა აიძულა, სხვა გზა აღარ ჰქონდა და დაუთმო. მაშინ დაიპყრო შაჰ აბასმა ლორეს ციხე და შიგ თავისი ჯარი ჩააყენა. გაბრუნდა და წავიდა თავის სამეფოში. ასე მოექცა შაჰ აბასი მეფე გიორგის იმ სამსახურის სამაგიეროდ, რაც მამამისმა და თვითონ გაუწიეს [ირანელებს]. შაჰ აბასი ცბიერი და მზაკვრობის მოყვარე კაცი იყო, ხალხის მაცდური და მატყუარა.

- *იმსჯელე, სიმონ I-ისა და მეფე გიორგის რა „სამსახურს“ გულისხმობს წყაროს ავტორი?*
- *ბ და კ წყაროებზე დაკვირვებით გამოთქვი მოსაზრება – რატომ უქმნიდა დიდ საფრთხეს ლორეს, მდინარე დებედას ხეობისა და კაკ-ენისელის დაკარგვა ქართლისა და კახეთის სამეფოებს?*

1605 წელს შაჰ-აბასის წინაშე მწვავედ დადგა კახეთის საკითხი. წლის დასაწყისში ოსმალეთის არმია სეფიანების წინააღმდეგ შეტევისთვის ემზადებოდა, ამავე დროს კახეთის სამეფო კართან უფრო მეტად დაახლოებას ცდილობდა რუსეთი, რომელიც დაღესტანში სამხედრო კამპანიას აწარმოებდა და კახეთის საზღვრებს უახლოვდებოდა. ირანის შაჰმა თავისთან მყოფი მეფე ალექსანდრე კახეთში გაისტუმრა და შირვანიდან ოსმალების გაძევება დაავალა. შაჰმა ალექსანდრეს თან გააყოლა მისივე ვილი – კონსტანტინე-მირზა – რომელიც ბავშვობიდან ირანში იმყოფებოდა და შაჰის ერთგული იყო. კონსტანტინე-მირზას საიდუმლო დავალება მისცეს: თუკი ალექსანდრე შაჰის ინსტრუქციას არ შეასრულებდა, მას უნდა მოეკლა მამამისი და კახეთს დაუფლებოდა.

ალექსანდრე შირვანში ლაშქრობას არ ჩქარობდა. როგორც ჩანს, ის იმედით შეჰყურებდა დაღესტანში რუსეთის არმიის მოქმედებებს და მისგან დახმარებას ელოდა. 1605 წლის 12 მარტს ქ. ძეგამში მეფეს რუსეთის ელჩები უნდა მიეღო, მაგრამ მანამდე იგი კონსტანტინე-მირზას შეთქმულების მსხვერპლი გახდა. **„ძეგამის ტრაგედიის“** სახელით ცნობილმა მოვლენამ იმსხვერპლა: მეფე ალექსანდრე, მისი ძე გიორგი ბატონიშვილი, რუსთველი ეპისკოპოსი და რამდენიმე კახელი თავადი.

კონსტანტინე-მირზამ თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა და შირვანში ოსმალებს შეუტია. შაჰ აბასი იმედოვნებდა, რომ კახეთის საკითხი მოგვარებული იყო – მას უკვე საკუთარი ყურმოჭრილი მონა მართავდა, თუმცა ეს იმედი არ გამართლდა: კახეთის დიდებულებმა, **ქეთევან დედოფლის** (მეფე ალექსანდრეს რძალი, კახეთის მეფე დავით I-ის (1601-1602) მეუღლე) მეთაურობით აჯანყება მოაწყვეს, კონსტანტინე-მირზა დაამარცხეს და კახეთის მეფედ ქეთევანის შვილი – **თეიმურაზ I** (1606-1648) – გამოაცხადეს. შაჰ აბასი იძულებული გახდა, თეიმურაზი კახეთის მეფედ ეცნო.

- *შენი აზრით, რატომ იყო იძულებული შაჰ აბასი, თეიმურაზი კახეთის მეფედ ეცნო?*

1606 წელს ირანელებმა აიღეს ყარაბაღი, განჯა, ქართლში შემოიჭრნენ და ოსმალები აქედანაც გააძევეს. თბილისში ირანელთა გარნიზონი ჩადგა. ამავე წელს გარდაიცვალა მეფე გიორგი X. ირანის შაჰმა ქვეყნის მმართველად მისი მცირეწლოვანი ვაჟი – **ლუარსაბ II** (1606-1615) დაამტკიცა. ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველო კვლავ ირანელთა ხელში აღმოჩნდა. ირანელთა მხარეს გადავიდა სამცხის ათაბაგი მანუჩარ ჯაყელიც, თუმცა მან სერიოზული მხარდაჭერა ვერ მიიღო და ოსმალებისგან გათავისუფლება ვერ შეძლო.

წყარო გ **„ახალი ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს შაჰ აბასის ლუარსაბსა და თეიმურაზთან დამოყვრების ამბავს:** *ადაპტირებული წყარო*

გიორგი მეფე რომ გარდაიცვალა, ორი მშვენიერი და საყვარელი ასული დარჩა. ერთს ხორეშანი ერქვა, მეორეს – თინათინი. როცა გამეფდა პატარა ლუარსაბი, მაშინ ყაენმა შაჰ აბასმა მისი და სთხოვა ცოლად. მისცა თავისი და თინათინი და ცოლად ჰყავდა შაჰ აბასს.

... გარკვეული დროის შემდეგ ყაენმა საიდუმლოდ იხმო ბატონი თეიმურაზი და უთხრა: „მეფე ლუარსაბს მისი და, ხორეშანი, სთხოვე და ცოლად შეირთე. ჩემი ქვისლი იქნები და ლუარსაბის მოყვარე. აღარ იქნება შენსა და მას შორის შური და მტრობა“. ... რაკიღა დაჟინებით მოსთხოვა, დაჰყვა თეიმურაზი, დაემორჩილა და ხორეშანის შერთვაზე დასთანხმდა.

- *იმსჯელე, რა მიზანს ისახავდა შაჰ აბასის მიერ ქართლისა და კახეთის მეფეებთან დამოყვრება და მათი ამგვარი გზით დაკავშირება?*
- *შენი აზრით, რას გულისხმობს ირანის შაჰი ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის არსებულ „შურსა და მტრობაში“?*
- *დააკვირდი – წყაროს ავტორი ლუარსაბს „მეფედ“ მოიხსენიებს, თეიმურაზს კი – „ბატონად“. შენი აზრით, რომელი სამეფოს პოლიტიკურ ხედვას ასახავს „ახალი ქართლის ცხოვრების“ ამგვარი მიდგომა? პასუხი დაასაბუთე.*

1609 წელს ქართლში ოსმალთა ჯარი შევიდა. მათ მიზნად ჰქონდათ, ცხირეთის საზაფხულო რეზიდენციაში მყოფი მეფე ლუარსაბი შეეპყროთ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს: ერთ-ერთმა სასულიერო პირმა – **თევდორე მღვდელმა** ისინი ცრუ გზით ატარა, დრო დააკარგვინა და ქართველებს ჯარის შეგროვების საშუალება მისცა. მღვდელი გმირულ საქციელს შეეწირა. გმირული საქციელი ჩაიდინა ადგილობრივმა სომეხმა მღვდელმაც, რომლის სახელი ისტორიამ, სამწუხაროდ, არ შემოგვინახა. მან გორისკენ მიმავალი ოსმალები შენიშნა და მტკვარზე გადებულ ხიდს ფიცრები აჰყარა, რითაც მტრის მიერ ქალაქის დაკავების გეგმა ჩაშალა. ამასობაში ქართველებმა მობილიზება შეძლეს და ოსმალები **ტაშისკართან** გამართულ ბრძოლაში დაამარცხეს. ბრძოლაში მიღწეული წარმატება დიდწილად თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავის, **გიორგი სააკაძის** დამსახურება იყო, რამაც ქართლის სამეფოში მისი ავტორიტეტი და გავლენა საგრძნობლად გაზარდა.



წყარო დ **თეიმურაზ I და მისი მეუღლე ხორეშანი, ქრისტოფორო დე კასტელი, XVII ს., პალერმოს კომუნალური ბიბლიოთეკა, იტალია**

ცნობა 1 **ვინ იყო გიორგი სააკაძე?**

სააკაძეები სამეფო აზნაურები ყოფილან. მათი გაძლიერება XVI ს-დან დაიწყო. გიორგი სააკაძის მამა – სიაუში – სიმონ I-ის მეფობის პერიოდში დაწინაურდა, ის თბილისის მოურავი იყო. სიმონის მეფობის დროსვე დაიწყო მოღვაწეობა გიორგი სააკაძემაც. მან თავი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინა. სააკაძის ნამდვილი აღზევება ლუარსაბ II-ის კარზე მოხდა. თბილისის მოურავმა მეფის ნდობა იმდენად მოიპოვა, რომ ლუარსაბმა მისი და ცოლად შეირთო. მოურავს ანგარიშგასაწევი მომხრეები ჰყავდა თავადთა წრეშიც – მაგალითად, არაგვის ერისთავი ნუგზარი მისი სიმამრი იყო. სააკაძის გაძლიერება ქართლის დიდებულთა ნაწილს არ მოსწონდა. მოწინააღმდეგეებმა სააკაძის მოკვლა სცადეს, მაგრამ იგი ხელიდან დაუსხლტათ და ირანში გაექცათ. დევნილი მოურავი ირანის შაჰის სამსახურში ჩადგა.

წყარო 3 **გიორგი სააკაძე, ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი**



1612 წელს ირანმა და ოსმალეთმა სტამბოლში ხელი მოაწერეს ზავს, რომელიც თითქმის სრულად იმეორებდა ამასიის ზავის დებულებებს: ოსმალეთმა ქართლი და კახეთი ირანს დაუთმო, თავად კი შეინარჩუნა მთელი დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგო. შაჰ აბასმა რეგიონში ძალთა ბალანსი აღადგინა.

- *იმსჯელე, რამდენად იმოქმედებდა ქართლისა და კახეთის მიმართ შაჰ აბასის პოლიტიკაზე ის, რომ ოსმალეთმა აღმოსავლეთ საქართველოზე უარი თქვა?*

რამ განაპირობა და რა შედეგით დასრულდა შაჰ აბასის ლაშქრობები კახეთში?

ოსმალეთთან ომის დასრულების შემდეგ შაჰ აბასმა აღმოსავლეთ საქართველოს საკითხის გადაწყვეტა განიზრახა. ირანის მმართველმა იცოდა, რომ ოსმალეთთან დაპირისპირება ასე მარტივად არ დასრულდებოდა და ეს უკანასკნელი, ძალების მოკრების შემდეგ, აუცილებლად ეცდებოდა რევანშის აღებას. აბასს კვლავინდებურად აფიქრებდა კავკასიაში რუსეთის გააქტიურება, ხოლო ქართლისა და კახეთის მეფეები, განსაკუთრებით, თეიმურაზი, სანდოდ არ მიაჩნდა. თეიმურაზმა ჯერ კიდევ 1606 წელს თავი შეიკავა იმისგან, რომ შაჰ აბასს ჯარით ხლებოდა და შემახას ციხის აღებაში დახმარებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შაჰმა მას რამდენჯერმე სთხოვა, გამოცხადებულიყო. იგივე განმეორდა 1612 წელსაც, როდესაც აბასმა ქართლისა და კახეთის მეფეებს მასთან გამოცხადება მოსთხოვა, თუმცა ორივესგან თავაზიანი უარი მიიღო. აბასმა გადაწყვიტა, ქართლისა და კახეთის დამოუკიდებლობა სრულად მოესპო, ადგილობრივი მოსახლეობის *ასიმილაცია* და ირანის იმპერიაში სრული *ინტეგრაცია* მოეხდინა.

ასიმილაცია – აქ: რომელიმე ხალხის ეროვნული თავისებურების მოშლა და მისი გათქვეფა სხვა ხალხში.

ინტეგრაცია – აქ: სხვადასხვა ქვეყნის ერთ სახელმწიფოში გაერთიანება.

1613 წელს აბასი დიდძალი ჯარით განჯაში მოვიდა და თეიმურაზს მძევლებად შვილები მოსთხოვა. თეიმურაზი იძულებული გახდა, შაჰის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და თან დედა – დედოფალი ქეთევანიც გაეყოლებინა შვილებისთვის, რათა შაჰს რაიმე ძალადობრივ ქმედებაზე ხელი აეღო. შაჰი ამით არ დაკმაყოფილდა, მან თეიმურაზსაც მოსთხოვა გამოცხადება. კახელებისთვის აშკარა გახდა, რომ შაჰი თეიმურაზის შეპყრობასა და კახეთის დამოუკიდებლობის მოსპობას აპირებდა, ამიტომაც საომრად მზადებას შეუდგნენ.

- *იმსჯელე, რა პოლიტიკური მიზნებისთვის ითხოვდნენ სამეფო ოჯახის წევრებს მძევლებად შუა საუკუნეებში? ამჯერად რა მიზანს ისახავდა შაჰ აბასი?*

წყარო 3 „ახალი ქართლის ცხოვრება“ გიორგი სააკაძის ირანში აღზევებისა და შაჰ აბასის კახეთში გამოლაშქრების შესახებ: *ადაპტირებული წყარო*

... [შაჰმა აბასმა გიორგი სააკაძეს] მრავალი ნიჭი და საბოძვარი მისცა. მაშინ შაჰ აბასი *ყანდაჰარის* ასაღებად გაემართა. იქ გაიყოლა [მოურავი]. ბრძოლაში და ციხის აღებაში მეტად გამოიჩინეს თავი [ქართველებმა]. დაბრუნდა იქიდან შაჰ აბასი და ბაღდადს გაემართა. იქაც თან წაიყვანა [მოურავი]. იქაც კარგად, მხნედ, მამაცურად და გაბედულად იბრძოლეს. იქაური საქმეები რომ მოაგვარა შაჰ აბასმა, წამოვიდა და დაბრუნდა ისპაჰანში. მაშინ შეჰპირდა მოურავი, ქართლსა და კახეთს დაგაპყრობინებო. შაჰ აბასსაც ეს უნდოდა და მისცა წამოსვლის ნება ...

მაშინ შეუთანხმდნენ [კახელები] ქართლის მეფე ლუარსაბს: რადგან მოყვრებიც ვართ და ქვეყნისთვისაც ასე სჯობს, მოდი, გავერთიანდეთ ამ საქმეში. შენც იცი, ყაენი შაჰ აბასი საქართველოსთვის ავგული არის, მოურავიც ხომ შენი მტერია, მას მოჰყავს ყაენი და ქვეყნის დაღუპვა უნდათ. მაშინ შეკავშირდნენ და ერთმანეთს მტკიცე ფიცი მისცეს. თეიმურაზმა შეკრიბა კახელები და გამაგრდა. გაიგო ეს შაჰ აბასმა. თვითონ წამოვიდა და შემოვიდა კახეთში. შეკრიბა თეიმურაზმა თავისი მხედრობა. შაჰ აბას ყაენმაც წინ დაუხვედრა *ჟალეთში* თავისი ლაშქარი. შაჰ აბასი თვითონ წამოვიდა თეიმურაზ ბატონის წინააღმდეგ. ვერ შეძლო თეიმურაზმა შებრძოლება და უკან გამობრუნდა. თავს დაესხა ჟალეთში მდგომ ყიზილბაშებს, რომლებსაც გზა ჰქონდათ შეკრული, მხნედ შეება. ღმერთმა ძლევა მისცა და გაიმარჯვა ბატონმა თეიმურაზმა. ყველანი მახვილით ამოწყვიტა და მუსრი გაავლო. წამოვიდა, ჩამოვიდა მუხრანში და შეხვდა ლუარსაბ მეფეს.

თავიდან თურმე ასეთი რჩევა მისცა მოურავმა ყაენ შაჰ აბასს: ზამთარში შედიო ქართლში. ხიზანი მთებში ვერ შევა და, რასაც გინდა, იზამო. ხოლო, თუ მთებს შეაფარებენ თავს, თოვლი და სიცივე ამოწყვეტთო. დაუჯერა შაჰ აბასმა მოურავის ნათქვამს, ხუთ იანვარს შემოიჭრა, ქრისტეს აქეთ 1614 [წელს].

შენიშვნები: ყანდაჰარი *– ქალაქი ავღანეთში.*

ჟალეთი *– კახეთის ისტორიული მხარე მდინარე ივრის შუაწელზე.*

- *იმსჯელე, რა მოტივი ამოძრავებდა გიორგი სააკაძეს? შეეძლო თუ არა მას სხვაგვარად მოქცევა?*
- *წყაროს მიხედვით, იმსჯელე სამხედრო კამპანიის დაგეგმვისას კლიმატური და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინების შესახებ. რაზე მიუთითებს გიორგი სააკაძის მიერ შაჰ აბასისთვის მიცემული რჩევა?*

მოწინააღმდეგის შესაძლებლობების გათვალისწინებით, თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთში გადავიდნენ. აბასმა ამ უკანასკნელის გამოტყუება ცრუ დაპირებებით შეძლო და ისლამის მიღებაზე უარის თქმის შემდეგ დაატყვევა, საბოლოოდ კი, 1622 წელს, მოაკვლევინა. თეიმურაზ მეფემ შაჰთან ხლება ამჯობინა, რათა ქართლი უფრო მეტი აოხრებისგან გადაერჩინა.

- *იმსჯელე, რატომ შეაფარეს ქართლისა და კახეთის მეფეებმა თავი იმერეთს? გამოკვეთე პოლიტიკური და გეოგრაფიული ფაქტორები.*

კახეთი აბასის რისხვას ვერ გადაურჩა. 1614-1617 წლებში შაჰ აბასმა ეს სამეფო ოთხჯერ დალაშქრა, სასტიკად ააოხრა და 1616 წელს კახეთისა და ჰერეთის სოფლებიდან 100 000-მდე ქართველი ირანის პროვინციებში, ძირითადად ფერეიდანში, გადაასახლა. შაჰ აბასი ამით არამხოლოდ კახეთის ქართული მოსახლეობისგან დაცლას ისახავდა მიზნად, არამედ მიწათმოქმედი ხალხის ირანის ისეთ მიწებზე დასახლებას, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარება სურდა. შაჰმა კახეთი სამართავად აბასის პოლიტიკის ერთგულ აღმსრულებლებს ჩააბარა.

წყარო 4 XVI-XVII ს-ის ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში 1616 წელს შაჰ აბასის კახეთზე გალაშქრების შესახებ:

მისმა უდიდებულესობამ ძლევამოსილი ლაშქარი რამდენიმე ჯგუფად დაყო; ყოველი ჯგუფი ცალკე მხარეს გაგზავნეს თითო სახელოვანი ამირას მეთაურობით ... [ბრძანა] ქართველების სამყოფელთ ოთხივ მხრიდან შემორტყმოდნენ, ნადირივით შუაში მოექციათ და, ვისაც კი მისწვდებოდნენ, ის-

ლამის ხალხთან მეომარი მათი ურჯულო მამაკაცები საღვთო ომის ელვარე მახვილით დაეხოცათ. იმ ურჯულოთაგან არცერთი ცოცხალი არ გაუშვიათ, ქალები და ბავშვები ტყვედ წამოეყვანათ, ხოლო საქონელი და ქონება, რაც ხელში ჩაუვარდებოდათ, მუსლიმთა და *ღაზიების* ნადავლი იქნებოდა... ღაზიებმა [ძეგამის მცხოვრებთა] საცხოვრებლები დააქციეს და ქალაქ ძეგამში კვალიც კი არ დატოვეს მოსახლეობისა. ასე მოხდა მთელ კახეთში. რაც ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა და საცხოვრებლებისა კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან აქამომდე, რომ ასეთი რამ ისლამის ქვეყნების რომელიმე ხელმწიფისგან მოსვლოდეთ მათ და მათი მამული ასე აოხრებულიყო. მოკლულთა რაოდენობა სამოც-სამოცდაათ ათასს სჭარბობდა, ლამაზი ქალწულები, უწვერული, მშვენიერი ვაჟები და სხვანი და ბავშვები, რომლებიც გაატარეს შაჰ აბასის წინაშე, ასი ათასზე მეტი იქნა აღწერილი. მაგრამ, ამ სტრიქონების დამწერის აზრით, ოცდაათი ათასი კიდევ სხვა კუთხესა და კიდეში იქნა ტყვედ დაჭერილი, რომლებიც არ ყოფილან აღრიცხულნი.

შენიშვნა: ღაზიები *– მუსლიმი მეომრები.*

- *ძირითადად, ვინ აჰყავდათ ტყვედ ირანელებს? შენი აზრით, რატომ?*

ცნობა 2 ფერეიდანში გადასახლებული ქართველები

შაჰ აბასმა იძულებით წაყვანილი ქართველები ირანის სხვა მხარეებშიც ჩაასახლა, მაგრამ მხოლოდ ფერეიდნის პროვინციაში დასახლებულებმა შეძლეს ქართული ენის და ზოგიერთი ჩვეულების დღემდე შენარჩუნება; ისინი 14 სოფელში ცხოვრობენ და ზოგიერთ სოფელს ქართული სახელი ჰქვია, მაგ.: მარტყოფი, თელავი, ვაშლოვანი; საუბრობენ ქართული ენის ფერეიდნულ კილოზე; მუსლიმები არიან, მაგრამ ზოგიერთი ირანული ჩვეულება (მაგალითად, მრავალცოლიანობა) არ მიუღიათ; აქვთ ქართული საკვირაო სკოლები.

1894 წელს სპარსეთში იმოგზაურა და იქ წელიწადნახევარი დაჰყო პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ, **ლადო აღნიაშვილმა** (1860-1904), რომელმაც ფერეიდანში გადასახლებიდან ორი საუკუნის შემდეგ პირველად ჩამოიტანა ცნობები იქაურ ქართველებზე. მან შეისწავლა და მოინახულა ქართველთა თითქმის ყველა სოფელი; ეს მოგზაურობა მან აღწერა წიგნში „სპარსეთი და იქაური ქართველები“.

იმერეთში გადასული მეფე თეიმურაზი წინააღმდეგობას განაგრძობდა, კახეთში აჯანყებებს უწყობდა ხელს და დიპლომატიური გზებითაც ცდილობდა საგარეო მხარდაჭერის მოპოვებას. მან დახმარება სთხოვა რუსეთსა და ოსმალეთს, ოსმალეთის სულთანს პირადად ეახლა კიდეც, თუმცა ვერცერთისგან ხელშესახები მხარდაჭერა ვერ მიიღო. თეიმურაზის დაუმორჩილებლობისა და მისი ამგვარი წინააღმდეგობის გამო შაჰ აბასმა ჯერ მისი ვაჟები დაასაჭურისა, ხოლო 1624 წელს ქეთევან დედოფალი წამებით მოაკვლევინა.

ქეთევან დედოფალს შაჰმა რწმენის შეცვლა მოსთხოვა, რაზეც ცივი უარი მიიღო. შაჰის შურისძიება დედოფლისა და მისი შვილის, თეიმურაზის ქმედებებმა გამოიწვია. ქეთევანის მოწამებრივ აღსასრულს 1624 წლის 12 სექტემბერს ქალაქ **შირაზში** ესწრებოდა პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერი, მამა **ამბროზიო დუშ ანჯუში**, რომელიც ქეთევანს იცნობდა. მანვე 1628 წლის მაისში ავგუსტინელ ბერებთან ერთად ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები საქართველოში ჩამოასვენა. თეიმურაზმა ავგუსტინელ ბერებს მადლობა გადაუხადა და საქართველოში დარჩენა შესთავაზა. ასე შეიქმნა ავგუსტინელთა მისია საქართველოში. კათოლიკე ბერების მეშვეობით დედოფლის მოწამებრივი აღსასრულის შესახებ ცნობამ გამოხმაურება ევროპაშიც ჰპოვა.

როგორ გადაურჩა ქართლი და კახეთი კატასტროფას?

ლუარსაბ მეფის ნაცვლად შაჰ აბასმა ქართლის მმართველად ჯერ დაუდ-ხანის გამუსლიმებული შვილი ბაგრატ-ხანი (1616-1619) დანიშნა, შემდგომ კი ამ უკანასკნელის შვილი – სიმონ-ხანი (1619-1630/31). სიმონ-ხანი მცირეწლოვანი იყო, ამიტომაც ირანის მმართველმა მას მეურვედ გიორგი სააკაძე დაუნიშნა. სააკაძე ქართლის ფაქტობრივი გამგებელი გახდა.

1623 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ომი განახლდა, რამაც ირანის ბატონობისგან შეწუხებულ ქართველებს იმედი მისცა და ავჯანყებაზე დააფიქრა. მომდევნო წელს შაჰ აბასს თავისი წარმომადგენლები კახეთიდან ატყობინებდნენ, რომ კახელები აჯანყებისთვის ემზადებოდნენ და რამდენიმეათასიანი ლაშქრის შექმნაც შეეძლოთ. ირანის ხელმძღვანელობამ აღმოსავლეთ საქართველოს საკითხის საბოლოოდ მოგვარება გადაწყვიტა. 1625 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ირანელთა დიდძალი ჯარი მოადგა, რომელსაც ყარჩიხა-ხანი მეთაურობდა. მას მრჩევლად გიორგი სააკაძე დაუნიშნეს.

წყარო თ **„ახალი ქართლის ცხოვრება“ ირანელთა ჯარის ქართლში შემოსვლისა და გიორგი სააკაძის მიერ ქართველთა მხარეს გადმოსვლის შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

გაემზადა მოურავი, წამოვიდა და თან გამოატანეს პატარა სვიმონ მეფე. მრავალრიცხოვანი ლაშქრით ჩამოვიდნენ ქართლში. აკეთებდა მოურავი იმ საქმეს, რაც ყაენისგან ჰქონდა დავალებული. სვიმონ მეფე რომ გამოგზავნა ყაენმა, მაშინ ცოლად მისცა *ყორჩიბაშის* ასული, სახელით ჯანბანუმი. ჩამოვიდნენ ქართლში, შეხვდნენ ქართლელები, ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარი რომ დაინახეს, იფიქრეს და თქვეს, რაღაც საქმის გამო არის ამხელა ჯარი გამოგზავნილიო. მოურავმა არ გაამხილა [მიზეზი], დიდი ფიცით დააჯერა, რომ ეს მრავალრიცხოვანი ჯარი ქართლისთვის საშიში არ არის, – ამაზე ფიქრი ნუ გაქვთ, თქვენი საქმე მე მომანდეთო. მაშინ გული დაიმშვიდეს ქართლელებმა, წავიდნენ და მუხრანში გაჩერდნენ. კაცი გაგზავნეს და მოუხმეს კახელებს. ღართისკარში შემოუერთდნენ კახელები. მოურავმა დიდი ბოროტება ჩაიდინა: ყარჩიხა-ხანმა თავის კარავს ფანჩატურები შემოავლო. დაიბარა: მოვიდნენ კახელები და *ხალათებს დავურიგებო.* მიადგნენ კახელები კარავს. შეჰყავდათ კახელები და თავებს სჭრიდნენ. გარეთ მდგომ კახელებს კი ეგონათ ხალათების გამო იქ დასხდნენო. ბევრის დახოცვის შემდეგ მიხვდნენ კახელები, რაშიც იყო საქმე და ხმლები იშიშვლეს. თათრები მოერივნენ, გამოიქცნენ კახელები და ცოტანი ძლივს გადაურჩნენ. ამის შემდეგ გარკვეული დროით მუხრანში იდგნენ და ემზადებოდნენ, რადგან ქართლის მოსახლეობის აყრა უნდოდათ.

მოურავს ჩვევა ჰქონდა, ქორის *დასაგეშად* წავიდოდა ხოლმე. ერთ დღესაც ლოჭინის ხევში გავიდა ქორის დასაგეშად. დაინახა, რომ ერთი შიკრიკი მოდიოდა. იცნო, ყაენის მალემსრბოლი იყო. დაუძახა მოურავმა მაცნეს, რომ მასთან მისულიყო, მაგრამ მან არ დაუჯერა. რაკიღა არ დამორჩილდა შიკრიკი, ცხენით წამოეწია, შეიპყრო, ძალით გაჩხრიკა და უპოვა წერილი. წაიკითხა, ასე მოეწერა ყაენს ყარჩიხა-ხანისთვის: „კახელებს რომ მუსრს გაავლებთ, აყარეთ ქართლელები და გამორეკეთ, ხოლო მოურავს ღალატით გააგდებინე თავი და გამომიგზავნეო“. ეს რომ წაიკითხა მოურავმა, მოკლა მალემსრბოლი .... ძალიან შეწუხდა და გამოსავალს ეძებდა.

შენიშვნები: ყორჩიბაში *– შაჰის კავალერიისა და პირადი დაცვის მეთაური; აქ: ირანელი სარდალი და შაჰ აბასის სიძე ისა-ხან ყორჩიბაში.*

ხალათების დარიგება *– ირანის ქვეშევრდომთათვის წყალობის გაღების სიმბოლური ნიშანი.*

დაგეშვა *– გაწვრთნა.*

წყარო ი **გიორგი სააკაძის მიერ შაჰის წერილის ხელში ჩაგდებას შემდეგნაირად აღგვიწერს XVII-XVIII სს-ის ოსმალო ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა:**

ყარჩიხა ხანი და მოურავ ბეგი საქართველოში ჩამოვიდნენ და გამოსცეს ბრძანება, ... შაჰთან კეთილად განწყობილი მოქალაქეები ამა და ამ ადგილას გამოცხადდნენ, რათა შეამოწმონ და საბოძვარი გაიცესო.

თორმეტი ათასი ქართველი შეგროვდა და დანიშნული ადგილისაკენ გაემართა. საიდუმლო ბარათში შაჰი წერდა: შენ გმართებს, დათვალიერების მიზნით შეგროვილი ქართველები მთლიანად ამოხოცო. მოურავიც არ გაუშვა ცოცხალი, რაც არ უნდა დაგიჯდეს, უნდა მოკლა. წერილი შიკრიკს გაატანა და თან გააფრთხილა, რომ წერილი მოურავისთვის არ ეჩვენებინა და ყარჩიხა-ხანისათვის მიეცა. მაგრამ მოხდა გაუგებრობა – შიკრიკმა იმ საიდუმლო შეთანხმებაზე არაფერი იცოდა და შაჰის ბრძანება უკუღმა გაიგო – წერილი მოურავ ბეგს მისცა და არა ყარჩიხა-ხანს. როდესაც მოურავმა ეს წერილი წაიკითხა და ვითარებას გაეცნო, დასათვალიერებლად მომზადებულ თორმეტ ათას ქართველს ყველაფერი შეატყობინა.

- *იმსჯელე თ და ი წყაროების მიხედვით, რა იყო გიორგი სააკაძის ქართველთა მხარეს გადასვლის მიზეზი?*

გიორგი სააკაძის მეთაურობით ქართველებმა ირანელები **მარტყოფის ბრძოლაში** სასტიკად დაამარცხეს. განრისხებულმა შაჰ აბასმა ქართველების წინააღმდეგ იმავე წელს ახალი ჯარი გამოგზავნა თავად ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით. მან **მარაბდის ბრძოლაში** გამარჯვება მოიპოვა, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილება ვერ შეძლო. 1625 წელს, მარტყოფის ბრძოლის შემდეგ, ქართლსა და კახეთს მეფე თეიმურაზი ჩაუდგა სათავეში.

- *იმსჯელე მარტყოფის ბრძოლის მნიშვნელობასა და იმ როლზე, რაც გიორგი სააკაძემ ქართველთა გამარჯვებაში შეასრულა. მსჯელობისას გამოიყენე მოსწავლის რვეულის საინტერესო საკითხავი „მარტყოფის ბრძოლა“.*

ნყარო 3 **ირანელთა ლაშქრობები აღმოსავლეთ საქართველოში XVII ს-ის პირველ მეოთხედში, შაჰ აბას I-ის დროს**



- *რუკის მიხედვით იმსჯელე, შეძლო თუ არა შაჰ აბას I-მა, აღედგინა ირანის პოზიციები კავკასიაში და რამდენად მიაღწია ამ მიზანს ქართულ სამეფოებთან მიმართებით.*
- *რუკის მიხედვით განსაზღვრე, ქართლისა და კახეთის სამეფოებში გამართული რომელი ლაშქრობა აღმოჩნდა ირანისთვის ყველაზე წარმატებული და იმსჯელე, რამდენად სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიები იყო შაჰ აბასის მიერ ქართლისა და კახეთის სამეფოებისთვის ჩამორთმეული მიწები?*

ცნობა 3 რა ბედი ეწია გიორგი სააკაძეს?

ირანელთა დამარცხების შემდეგ გიორგი სააკაძემ კვლავინდებურად ქართლის საქმეების გამგებლობა მოისურვა, რის გამოც მასა და მეფე თეიმურაზს შორის კონფლიქტი დაიწყო. სააკაძემ ქართლში იმერეთის მეფის უფლისწულ ალექსანდრეს გამეფება მოინდომა. დაპირისპირებული მხარეები 1626 წელს **ბაზალეთის ბრძოლაში** შეეჯახნენ. სააკაძე დამარცხდა და იძულებული გახდა, ოსმალეთში გაქცეულიყო. ის ამჯერად ოსმალეთის სულთნის სამსახურში ჩადგა, ერთ-ერთი პროვინციის გამგებელი გახდა და ირანელებთან ბრძოლას შეუდგა. სააკაძეს ქართლში ძალაუფლების აღდგენის საქმეში ოსმალთა მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, თუმცა უშედეგოდ. საბოლოოდ, 1629 წელს იგი ოსმალეთის დიდი ვეზირის ბრძანებით მოკლეს.



წყარო ლ **ქართველი მხედარი, ქრისტოფორო დე კასტელი, XVII ს., პალერმოს კომუნალური ბიბლიოთეკა, იტალია**

- *აღწერე, როგორ იყო აღჭურვილი ქართველი მეომარი XVII ს-ში.*

ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზი ძალისხმევას არ იშურებდა დანგრეული ქვეყნის აღსადგენად, თუმცა ირანელთა ლაშქრობების შედეგად მიღებული ზარალი უკიდურესად მძიმე იყო, მასთან გამკლავება კი – ურთულესი. აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა კარგად ჩანს აქ მყოფი კათოლიკე მისიონერებისა და თავად თეიმურაზის წერილებში.

წყარო ბ ნაწყვეტი XVIII ს-ის კათოლიკე მისიონერის, დონ პიეტრო ავიტაბილეს, მოხსენებითი ბარათიდან (1629):

ორი წლისა და ცხრა დღის მგზავრობის შემდეგ უფალმა მოიღო წყალობა, ისურვა ჩვენი დამშვიდება და ჩავედით გორში, საქართველოს მიწაზე...

ჩვენს შესახვედრად მოვიდა მღვდელმსახური მორჩილი ძმა ამბროზიო წმიდა სარწმუნოების წმიდა *ავგუსტინელთა ორდენიდან*... ჩვენ ვიყავით სამნი და კიდევ შემოგვიერთდა ორი წმინდა *დომინიკელი* მამა, რომლებიც ალინჯიდან გამყოლად მიგვიჩინა წმიდა მამამ, მორჩილმა ძმამ აგოსტინომ...

... ჩვენ წარვდექით მეფის [თეიმურაზის] წინაშე და წარვადგინეთ მისი უწმინდესობის წერილი, რომელიც მეფემ დიდი პატივით მიიღო და ჩვენც დიდი პატივი დაგვდო. ასე მოიქცა პატრიარქი ზაქარიაც ... ერთმაც და მეორემაც ნებართვა მოგვცა, აგვეგო ეკლესია, გაგვემართა წირვა და გვექადაგა ისე, როგორც ამას ჩვენები აკეთებენ იტალიაში...

უგანათლებულესო მეუფენო, ახლა ზოგიერთი ცნობა აქაური ხალხის, უპირველესად, მათი სულიერი ცხოვრების შესახებ... ჩვენ, ლათინებს, გვეპყრობიან დიდი პატივისცემით, როგორც განათლებულ ადამიანებს...

... ეს სამეფო იმდენად განადგურებულია, რომ საცოდაობაა სანახავად. ჩვენ გავიარეთ ამ სამეფოს დიდი ნაწილი და შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, რომ არ გვინახავს არცერთი სახლი, რომელიც მყარად მდგარიყო, ვინაიდან გასულ წლებში სპარსეთის შაჰმა, ამ მეფეზე მეტად განრისხებულმა, მის წინააღმდეგ გაგზავნა მთელი თავისი ჯარი და, ამრიგად, დაანგრია ქვეყანა; ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ როგორც დიდ, ისე პატარა სამფლობელოებში ქვა ქვაზე არ დატოვა, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი სპარსეთში გარეკა და მონად აქცია...

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ხალხი თანდათანობით ბრუნდება სამშობლოში, თავიანთ ძველ ადგილებში. უკვე დაიწყეს თესვა, ზოგიერთი საკვები პროდუქტი უხვადაცაა. მაგრამ, ძირითადად, ხალხი აქ ისეთ სიღატაკეშია, რომ თითქმის ყველა შიშველია. [მძიმე მდგომარეობაშია] თვითონ მეფეც, რომელიც რომელიღაც კარავს აფარებს თავს. იგი მთელი თავისი სახელმწიფოდან, რომელიც საკმაოდ დიდია, ვერ აგროვებს იმაზე მეტ შემოსავალს, ვიდრე ადრე აგროვებდა, ვინაიდან აქ აღარ არსებობს შემოსავალი აბრეშუმიდან და ვაჭრობის სხვა დარგებიდან...

რაც შეეხება მეფესა და პატრიარქს, რომლებიც, ჩვენი პატივისცემისა და ძღვენის შედეგად, თავისუფლად შეიძლება მივიყვანოთ დიდი მღვდელმთავრის მორჩილებამდე... თავის წერილში მეფემ, როგორც ამას ნახავთ, ყველა საშუალებით ისურვა, მიემართა თქვენი უგანათლებულესი მეუფებისადმი თხოვნით, გამოუგზავნოს მას ექიმი, რამდენადაც ამ ქვეყანაში ექიმი სრულებით არ არის და არც არავითარი იმედია იმისა, რომ სხვა ქვეყნიდან გამოუგზავნიან. მეფის სურვილი იმდენად დიდია, რომ თუ მისდამი ამ მოწყალებას გამოიჩენთ, იგი დავალებული დარჩება.

შენიშვნები: ავგუსტინელთა ორდენი *– კათოლიკე სასულიერო პირთა ორდენი, რომელიც XIII საუკუნეში შეიქმნა და მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა.*

დომინიკელი *– იგულისხმება დომინიკელთა კათოლიკური ორდენის წევრი.*

წყარო გ ამონარიდი მეფე თეიმურაზის წერილიდან რომის პაპ ურბან VIII-ისადმი (1629): *ადაპტირებული წყარო*

... რაც შეეხება ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას, ამის შესახებ თქვენს უწმინდესობას წმინდა მამები მოახსენებენ. მათ ნახეს გატიალებული ველები, ხისა და ქვის შენობების დარჩენილი ნანგრევები და ის, რომ ეკლესიებში არ დარჩა არცერთი [წმინდანის] გამოსახულება, არცერთი აქ არსებული ვერცხლის ნივთი ... ამიტომ გევედრებით, [გამოგვიგზავნოთ] ეკლესიაში სამსახურისათვის აუცილებელი ნივთები, თუნდაც ცოტაოდენი.

- *შენი აზრით, რაზე მიუთითებს სხვადასხვა კათოლიკური ორდენის წარმომადგენელთა ყოფნა საქართველოში?*
- *ვის გულისხმობს პიეტრო ავიტაბილე „მის უწმინდესობასა“ და „დიდ მღვდელმთავარში“?*
- *წყარო ბ-ს მიხედვით იმსჯელე, რა მიზანს ისახავდნენ კათოლიკე მისიონერები?*
- *რაზე მიუთითებს ქართველი მეფის, კათალიკოსისა და მოსახლეობის კეთილგანწყობა მისიონერებისადმი?*

- *იმსჯელე, რა უშლიდა ხელს აღმოსავლეთ საქართველოში ვაჭრობის განვითარებას?*
- *მ და ნ წყაროების საფუძველზე იმსჯელე აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი ეკონომიკური და სოციალური ვითარების შესახებ.*

1629 წელს შაჰ აბასი გარდაიცვალა. შიდაპოლიტიკურ პრობლემებში ჩაფლული ირანი საქართველოსთვის ვეღარ იცლიდა, რამაც თეიმურაზს დამოუკიდებლობა მოუპოვა, თუმცა ირანელები ქართლსა და კახეთში საკუთარი გავლენის აღდგენაზე მაინც ფიქრობდნენ.

1. გიორგი სააკაძის შესახებ კამათი საქართველოში მუდამ იყო. მას ნაწილი დადებით პიროვნებად მიიჩნევს, ნაწილი კი, პირიქით, მოღალატეობას სწამებს. საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით კი იოსებ სტალინის რეჟიმის დროს, გიორგი სააკაძე განსაკუთრებით პოპულარული გმირი გახდა.

კლასში მოაწყვეთ გიორგი სააკაძის იმიტირებული „სასამართლო“ – დაიყავით ბრალმდებელთა, დამცველთა და მოსამართლეთა ჯგუფებად. მოიყვანეთ თქვენი არგუმენტები და შეიმუშავეთ დასკვნა.

2. შეადარეთ ერთმანეთს ლუარსაბ I-ისა და თეიმურაზ I-ის დაპირისპირება ირანთან. გამოკვეთეთ ამ ისტორიული მოვლენებისა და შესაბამისი ეპოქების მსგავსი და განმასხვავებელი გარემოებები.

32/33 სად და როგორ ეძებდნენ ქართველი მეფე-მთავრები მხარდაჭერას ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში?

ბიზანტიის დაცემისა და საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ქართველი მეფე-მთავრები ირანისა და ოსმალეთის აგრესიის წინაშე მარტო აღმოჩნდნენ. ცალკეულ სამეფო-სამთავროებს განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური კურსი ჰქონდათ. ამ გაკვეთილიდან გაიგებ, სიტუაციის ცვლილების შესაბამისად, რა გზებსა და ხერხებს მიმართავდნენ ქართველი მეფე-მთავრები მოკავშირეთა მოსაძიებლად.

როგორც წინა გაკვეთილებიდან იცი, კონსტანტინოპოლის დაცემამ რადიკალურად შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. გახშირდა ანტიოსმალური კოალიციების შექმნის მცდელობები. მთავარ ინიციატორებად რომის პაპები გვევლინებოდნენ. მართალია, საქართველოს დიპლომატიური კავშირები ევროპის ქვეყნებთან ადრეულ ხანებშიც ჰქონდა, მაგრამ, ამ დროიდან მოყოლებული, ქართველი მეფე-მთავრები კიდევ უფრო გააქტიურდნენ.

XVI ს-დან საქართველოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში ირან-ოსმალეთის მუდმივი შემოსევები ქართველებს მოსვენებას არ აძლევდა. მუდმივი ომიანობის ფონზე, მეფე-მთავრები გამოსავლის ძებნას დიპლომატიური გზებითაც ცდილობდნენ.

კონსტანტინე II-ის მცდელობები ეგვიპტესა და ევროპაში

ქართლის მეფე კონსტანტინე II (1478-1505) თეთრბატკნიან თურქმანთა მოძალების დროსაც არ ივიწყებდა ოსმალთა მხრიდან მომავალ საფრთხეს. გაძლიერებული ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნის ინიციატივით კონსტანტინე II ეგვიპტის მამლუქ ხალიფას, **აშრაფ სეით ად-დინ კაიტბეის** (1468-1496) დაუკავშირდა და ერთობლივი ლაშქრობის მოწყობა შესთავაზა. ეგვიპტეში ქართველი ელჩი კარგად მიიღეს, მაგრამ ერთობლივი ლაშქრობის ორგანიზება ვერ მოხერხდა.

კონსტანტინე II-ის მიერ გაგზავნილი ელჩი ეგვიპტიდან იერუსალიმში გაემგზავრა, სადაც ესპანეთის კათოლიკე მონარქების, **ფერდინანდისა და იზაბელას** (1479-1516) ელჩებს შეხვდა. მან ესპანელი ელჩები საქართველოში წამოიყვანა და მეფე კონსტანტინე II-ს შეახვედრა. ქართლის მეფემ ესპანეთის *კათოლიკე მონარქებსა* და რომის პაპს წერილები გაუგზავნა.

შენიშვნა: კათოლიკე მონარქები *– ასე იწოდებიან ესპანეთის მონარქები ფერდინანდ II არაგონელი და იზაბელა I კასტილიელი.*



წყარო ა **ფერდინანდი და იზაბელა, ესპანური გაფერადებული გრავიურა, 1494**

წყარო ბ **ქართლის მეფის, კონსტანტინე II-ის წერილი ესპანეთის მონარქებს, ფერდინანდსა და იზაბელას:** *ადაპტირებული წყარო*

ახალმა ამბავმა თქვენი გამარჯვების შესახებ [1492 წელს არაბთა საბოლოოდ განდევნა ესპანეთიდან] დიდი სიხარულით აგვავსო. ჩვენი ელჩი კი წერილით გამოვისტუმრეთ თქვენთან, ასევე, დავაბარეთ ზეპირად გადმოსაცემი ცნობებიც. *უსჯულო სპარსელები* ხომ, როგორც იცით, უმოწყალოდ გვტანჯავენ. ამ ჩვენმა მტრებმა ბევრი უბედურება შეგვამთხვიეს. სამ რამეს გვთხოვენ: გადაიხადეთ დიდი ხარკი, იბრძოლეთ მუდამ ჩვენთან ერთად და გამუსლიმდითო. ისინი მრავალრიცხოვანნი არიან, ჩვენ კი კონსტანტინოპოლის, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანთა დაცემის შემდეგ სრულიად მარტონი დავრჩით ურიცხვი მტრის წინაშე. მოგიწოდებთ, შეკრიბოთ ჯარი და გამოილაშქროთ *კონსტანტინოპოლის* წინააღმდეგ, მე კი [იქ] ჩემი ლაშქრით დაგხვდებით.

შენიშვნები: უსჯულო სპარსელები *– იგულისხმება, ზოგადად, ყველა მუსლიმი დამპყრობელი.*

კონსტანტინოპოლი *– იგულისხმება ისტანბული, უკვე ოსმალეთის სახელმწიფოს დედაქალაქი.*

წყარო დ **რომის პაპი ალექსანდრე VI, 1492-1503, ვატიკანის მუზეუმი**



წყარო გ **რომის პაპ ალექსანდრე VI-ის წერილი ქართლის მეფეს, კონსტანტინე II-ს:**

... სრული აღფრთოვანებით შევხვდით თქვენს შესანიშნავ განზრახვასა და გეგმას იესო ქრისტეს სარწმუნოების მიმართ ამბოხებულთა წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ. ასეთი ლაშქრობა ყველგან მომზადდება და ძნელია გამოითქვას, როგორ აღგვაფრთოვანა ცნობამ იმის შესახებ, რომ შენ ამ მხსნელი წამოწყებისათვის გვთავაზობ ლაშქარს შენი შვილის მეთაურობით, პატივაყრილი საფლავების გაწმენდისა და ქრისტესთვის ჩაგრული ხალხის გათავისუფლების მიზნით; რაოდენ ღირსეულ მადლობას ვწირავთ ყოვლისშემძლე უფალს იმისათვის, რომ მან შენს უდიდეს გონებაში ჩასახა ასეთი მისწრაფება და მოვალეობის გრძნობა სარწმუნოების წინაშე... ჩვენ განუწყვეტლივ ვფიქრობთ, ვშრომობთ, რათა ქრისტიან მეფეთა შორის მშვიდობა დავამყაროთ, ვუნერგავთ მათ იმედს კონსტანტინოპოლის, იერუსალიმისა და სხვა საპატრიარქო ტახტების დახსნის შესახებ...

- *შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის სახელმწიფოებთან კავშირის დამყარებას?*
- *წყაროს მიხედვით იმსჯელე აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს მიმართ რომის პაპის დამოკიდებულებაზე.*

ესპანეთი ეძებდა აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზებს. მოგვიანებით ინტერესთა თანხვედრამ სეფიანთა ირანი უკიდურესი დასავლეთით მდებარე ჰაბსბურგთა ესპანეთთან დააკავშირა. ოსმალთა მზარდი წარმატებების ფონზე, რთული წარმოსადგენია, რომ ესპანეთს ჰქონოდა სათანადო ძალები ანტიოსმალური ლაშქრობის მოსაწყობად. ამას მოწმობს ისიც, რომ ამ დრომდე ევროპელთა ყველა მცდელობა, ოსმალეთისთვის ზიანი მიეყენებინათ, მარცხით დასრულდა.

ქართველი მეფე-მთავრების ბრძოლა გადარჩენისთვის

ორი უძლიერესი მეტოქის – სეფიანთა ირანისა და ოსმალთა იმპერიის – დაპირისპირების ფონზე, ევროპელთა ყურადღება აღმოსავლეთისკენ იყო მიპყრობილი. სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო ხან ერთი, ხან მეორე მტრის მხარეს იბრძოდა და ასე ცდილობდა თავის გადარჩენას. ირან-ოსმალეთის პირველი ომი 1514 წელს დაიწყო და ხანმოკლე შესვენებებით 1555 წლამდე გაგრძელდა.

ოსმალეთი საქართველოს ტრაპიზონისა და ერზრუმის მხრიდან უტევდა. მისი მთავარი სამიზნე შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო იყო, საიდანაც გზა ეხსნებოდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისკენ. ამიტომ ოსმალეთს ესაჭიროებოდა დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგო.

სამცხე-საათაბაგოს მთავრები (ათაბაგები), გვარად ჯაყელები, ჯერ კიდევ 1266 წლიდან დაადგნენ ერთიანი საქართველოდან გამოყოფის გზას, როდესაც სამცხე-საათაბაგო დამოუკიდებელ ერთეულად, ხასინჯუდ გამოცხადდა. ქართლისა და იმერეთის მეფეები ხან ქორწინებითი კავშირებით, ხან ეკლესიის დახმარებით ცდილობდნენ ათაბაგებზე ზეგავლენის მოპოვებას. ათაბაგები დევნიდნენ საქართველოს ერთიანობის მომხრე ფეოდალებს და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მზად იყვნენ, მტერსაც გარიგებოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ 1510 წელს, როდესაც ოსმალთა ჯარი სამცხე-საათაბაგოს მოადგა, ათაბაგი მზეჭაბუკი თავად გაუძღვა მას ზემო იმერეთისკენ. იმერეთის მეფე **ბაგრატ III-მ** (1509-1565) ვერ მოასწრო ჯარის შეკრება, ოსმალებმა დაწვეს ქუთაისი, გელათი, დაარბიეს სოფლები, ხალხი ტყვედ წაასხეს.

ბაგრატ III და ქართლის მეფე **ლუარსაბ I** (1527-1556) ერთობლივი ძალებით დაუპირისპირდნენ ოსმალებს, თუმცა დამარცხდნენ.

ამის შემდეგ ლუარსაბ I-მა სცადა, კავშირი აღედგინა ევროპის ანტიოსმალურ ძალებთან. ამ მიზნით მან საღვთო რომის იმპერატორს, **კარლ V-ს** (1519-1556) მიმართა.

ცნობა 1 **ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის წინადადება ესპანეთის მეფესა და საღვთო რომის იმპერატორს, კარლ V-ს:**

კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კაპადოკიის მიტროპოლიტის ხელით კარლ V-ს გაუგზავნა თავისი და იბერიის მეფის წერილები. ისინი დაიწერა 1548 წლის მარტში. ეს წერილები შეიცავდა შეთავაზებას იმის შესახებ, რომ, თუ კარლ V მოისურვებდა აღმოსავლეთში ლაშქრობის წამოწყებას, იბერიის მეფე მას დაეხმარებოდა 30 000 კაცით და მათთან ერთად გაგზავნიდა თავის ერთ ვაჟიშვილს.

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ადასტურებდა: ყველა ის ქრისტიანი, რომლებიც იმყოფებიან კონსტანტინოპოლში, მზად არიან იმისათვის, რომ აიღონ ხელთ იარაღი და დაიხოცონ კარლ V-ის სამსახურში.

- *იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა საღვთო რომის იმპერიასთან კავშირს?*

იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ევროპელთა პათოსი თანდათანობით წარსულს ჩაბარდა. ოსმალთათვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილმა იკლო. ევროპულმა პოლიტიკურმა წრეებმა ეკონომიკური ინტერესებით ხელმძღვანელობა არჩიეს. ახალი ჯვაროსნული ომების წამოწყება ვერ მოხერხდა, თუმცა ანტიოსმალური განწყობა მაინც არსებობდა.

1555 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო **ამასიის ზავი**, რომლითაც დამპყრობლებმა კავკასიის ქვეყნები გადაინაწილეს. მუსლიმურ რკალში მოქცეული საქართველო შემდგომ პერიოდშიც ცდილობდა იზოლაციის გარღვევას და დიპლომატიური გზებით მოკავშირის პოვნას.

- *შეაფასე ქართლისა და იმერეთის მეფეების მოკავშირეობის ფაქტი. როგორ დაახასიათებდი მათ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას?*

პათოსი (ბერძნ. – ტანჯვა) – აქ: ენთუზიაზმი, აღფრთოვანება, რაიმეს ძირითადი აზრი, იდეა.

სიმონ I-ის დიპლომატია და ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ

ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობებით გამორჩეული იყო ქართლის მეფე სიმონ I (1556-1569; 1578-1600). ირანში მისი ცხრაწლიანი ტყვეობის დროს ქართლი ოსმალთა გავლენის ქვეშ მოექცა. ქართლში დაბრუნებულმა სიმონ I-მა დაიწყო ზრუნვა ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად. საგულისხმოა, რომ ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ სიმონ მეფე სეფიანთა ირანის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდა.

წყარო 3 **ქართლის მეფე სიმონ I, გრავიურის ფრაგმენტი მეფეების პორტრეტების ალბომიდან, აუგსბურგი, 1600**



1578 წელს განახლდა ომი ირანსა და ოსმალეთს შორის. ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს ნაწილის დაპყრობის შემდეგ ჯაყელთა არჩევანი ირანისკენ გადაიხარა. ამავე წელს მუსტაფა ლალა-ფაშას სარდლობით ოსმალთა არმია სამცხე-საათაბაგოში შეიჭრა. გადამწყვეტ ბრძოლაში ჩილდირის ველზე ოსმალებმა გაიმარჯვეს.

ქართლი ამიერიდან ოსმალთა მხრიდან კიდევ უფრო დიდი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ამ დროს ევროპაში ანტიოსმალური მუხტი ისევ არსებობდა. ამჯერად რომის პაპი გრიგოლ XIII (1572-1585) მთელი ძალებით ცდილობდა, მხარი დაეჭირა ანტიოსმალური ლიგის ჩამოყალიბებისთვის. ამის საპირისპიროდ, ევროპის სახელმწიფოების ნაწილი ცდილობდა, მშვიდობიანი ურთიერთობა შეენარჩუნებინა ოსმალეთთან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან XVI ს-ში საღვთო რომის იმპერია და საფრანგეთი რეფორმაციის მოზღვავებულმა ტალღამ მოიცვა. გარდა ამისა, საფრანგეთს ოსმალეთთან სავაჭრო ინტერესები ჰქონდა.

ზოგიერთი სახელმწიფო მაინც განაგრძობდა აქტიურ ანტიოსმალურ კამპანიას. რეჩ-პოსპოლიტას მეფე იშტვან ბატორი 1584 წლისთვის უკვე სახავდა სამომავლო გეგმებს ადრიანოპოლსა და კონსტანტინოპოლზე შეტევისთვის. ამ კამპანიას უნდა შეერთებოდნენ რუსები, სპარსელები და ქართველები. გრიგოლ XIII 1585 წელს, ხოლო იშტვან ბატორი 1586 წელს გარდაიცვალა. წინამორბედი პაპების საქმიანობა განაგრძო სიქსტუს V-მ, ხოლო იშტვან ბატორის იდეა იმემკვიდრა ტრანსილვანიის მმართველმა სიგიზმუნდ ბატორიმ, რომელმაც დეიდაშვილის დაწყებული საქმე გააგრძელა.

1587 წლის 22 ნოემბრით დათარიღებულ წერილში ოსმალეთის სულთანი მურად III (1574-1595) „დიდი სიხარულით“ ატყობინებდა ტრანსილვანიის მთავარს – სიგიზმუნდ ბატორის – ფერჰად ფაშას მიერ ქართველების დამარცხების ამბავს. სულთნის მხრიდან ეს იყო ერთგვარი „დიპლომატიური მუქარა“ და გაფრთხილება სიგიზმუნდ ბატორისადმი. 1588 წელს დაიდო დროებითი საზავო ხელშეკრულება სიმონ I-სა და ფერჰად ფაშას შორის. მშვიდობიანი ურთიერთობა დიდი ხნით არ გაგრძელებულა. სიმონმა მალევე განაახლა თავდასხმები ოსმალებზე, რომელთა გარნიზონები მთავარ ციხესიმაგრეებში იდგა. ამასთანავე, სპარსეთში შაჰის კარზე შექმნილი კრიზისის პარალელურად, 1587 წლიდან სიმონმა ევროპაში დიპლომატიური მისიით გაგზავნა ორი დესპანი: ქართველი წარჩინებული, რომლის ვინაობა ცნობილი არ არის და ვაჭრის ტანისამოსში გადაცმული სომეხი ალექსანდრე. ქართველი წარჩინებული ერზრუმში ფერჰად ფაშას დაუტყვევებია, სწორედ მას მიჰქონდა სიმონ მეფის წერილები და საჩუქრები რომის პაპისთვის. სომეხი ალექსანდრე კი კონსტანტინოპოლიდან (ისტანბულიდან) ვენეციაში გადავიდა, საიდანაც მალევე აღმოჩნდა რომში.

1590 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც ირანს სერიოზულ დათმობებზე მოუწია წასვლა. ირან-ოსმალეთის შეთანხმება ერთნაირად მიუღებელი იყო როგორც ევროპის სახელმწიფოებისთვის, ისე რუსეთისა და საქართველოსთვის. მომწიფდა ნიადაგი ახალი ანტიოსმალური ლიგის ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც სათავეში საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი რუდოლფ II (1576-1612) და პაპი კლემენტ VIII (1592-1605) ჩაუდგნენ. პაპის ანტიოსმალურ გეგმებში ირანთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა საქართველოს.

ქართლის მონარქმა სიმონ I-მა წერილები გაგზავნა ესპანეთის მეფესა და რომის პაპთან. წერილი წაიღო სრული დიპლომატიური უფლებებით აღჭურვილმა ტერ-იაკობმა, რომელსაც შაჰ აბასი აგზავნიდა რომში დიპლომატიური მისიით. აღსანიშნავია, რომ ტერ-იაკობს, ასევე, მიჰქონდა კახთა მეფე ალექსანდრე II-ის წერილები რომის პაპსა და იმპერატორთან და საქართველოს პატრიარქ დომენტი II-ის წერილი რომის პაპთან.

წყარო 3 **სიმონ მეფის წერილი ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს:** *ადაპტირებული წყარო*

... გწერ სიყვარულით მშვიდობიან წერილს შენ, მეფეთ მეფევ და ყოველი ქრისტიანის მეთაურო, მბრძანებელთა შორის უღვთაებრივესო ფილიპევ...

ჩვენ, ქართველთა ბატონი სიმეონი [სიმონი] და აღმოსავლეთის ბატონი ალექსანდრე [იგულისხმება კახეთის მეფე ალექსანდრე II], აგრეთვე, აბასი სპარსთა შაჰი – სამნი გავერთიანდით ერთი სურვილითა და აზრით, ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, მომავალში შევებრძოლოთ თურქს [იგულისხმება ოსმალო], ქრისტეს მორწმუნე ხალხის ურჯულოს მტრული ხელიდან გათავისუფლებისთვის...

ამიტომ მივმართავთ შენს მეფურ ძალაუფლებას, რომ კეისარმა [იგულისხმება ფილიპე II] ინებოს მოკავშირეობა და არ დაუზავდეს თურქს...

წყარო 0 **რომის პაპის, კლემენტ VIII-ის (1592-1605) წერილი ქართლის მეფე სიმონ I-ს (1598)**

... შენმა წერილმა, რომელიც გამოგვიგზავნე საყვარელი შვილის, იაკობის ხელით, აღგვავსო არაჩვეულებრივი სიხარულით... ჩვენ არ შევწყვეტთ თხოვნას ამ *სამოციქულო დაცვის კოშკიდან*, რომელშიც ჩვენმა ღმერთმა მოგვაქცია, რათა შევაგულიანოთ ქრისტიანი მეფეები და ხელმწიფეები, ჩვენი ქრისტესმიერი შვილები, გამოვიდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ; ჩვენ თავად კი, რამდენადაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი საკუთარი ძალა (თუმცა ჩვენ ჩვენს შესაძლებლობებზე მეტსაც ვცდილობთ), უკუვაქციოთ თურქების შემოტევა და რისხვა – ამისათვის უკანასკნელ წლებში უნგრეთში ვაგზავნით დახმარებასა და ჯარს.

ეს შენთვის იმის მანიშნებელია, რომ უკან არ დაიხიო არანაირი სიძნელისა და საშიშროების წინაშე, არამედ გამხნევდე და უდრეკად იბრძოლო სასტიკ ოსმალებთან, მზად იყო, აუცილებლობის შემთხვევაში შენი სისხლიც კი დაღვარო საკურთხევლისთვის, თუ საქმე ამას მოითხოვს. ამით შენს სიცოცხლეს გამოისყიდი; რისთვისაც, დაე, დაგლოცოს შენ უზენაესმა ღმერთმა...

შენიშვნა: სამოციქულო დაცვის კოშკი *– იგულისხმება რომის საეპისკოპოსო, რომლის დამაარსებლადაც პეტრე მოციქული მიიჩნევა.*

1598 წლის ზაფხულში სიმონმა განაახლა ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ – გაათავისუფლა გორი და მთელი ქართლი. მომდევნო წელს კი იგი ოსმალებმა შეიპყრეს. დატყვევებულმა მეფემ სიცოცხლის უკანასკნელი წლები ოსმალეთში, ციხეში გაატარა.

- *შეაფასე სიმონ მეფე, როგორც დიპლომატი.*

XVII ს-ის პირველ მეოთხედში საქართველომ ირანის მბრძანებლის, შაჰ აბასის მძიმე შემოტევები გადაიტანა. შექმნილი მდგომარეობის ფონზე, დიპლომატიური მისიით, დასავლეთ ევროპაში – რომის პაპთან, საფრანგეთისა და ესპანეთის მონარქებთან შესახვედრად გაიგზავნა **ნიკიფორე ირბახი**.

წყარო 5 **ესპანეთის მეფე ფილიპე II (1556-1598), ტიციანი, 1550, პრადოს მუზეუმი, მადრიდი, ესპანეთი**



წყარო 0 **თეიმურაზ I-ის წერილი ესპანეთის მეფე ფილიპე IV-ს, ვალიადოლიდი, ესპანეთი**



ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე (ნიკიფორე ირბახი) (1585-1658), საქართველოს ეროვნული არქივი



კახეთის ერთ-ერთი წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი. იტალიაში კარგი განათლება მიიღო, ფლობდა შვიდ ენას. სახელი ნიკიფორე იტალიაში ბერად აღკვეცის შემდეგ უნდა მიეღო. ევროპაში ელჩობის დროს (1626-1629), 1629 წელს, მონაწილეობა მიიღო ქართულ ენაზე შექმნილი პირველი ნაბეჭდი წიგნის, **ქართულ-იტალიური ლექსიკონის** შედგენაში, რომელიც საქართველოში გამოსაგზავნი მისიონერებისთვის იყო განკუთვნილი. ევროპელები ნიკიფორეს ირბახად მოიხსენიებდნენ.

წყარო კ ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომი, 1629



DITTIONARIO
GIORGIANO
E ITALIANO.
COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuto del M.R.P.D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Basilio.
AD VSO DE' MISSIONARII
della Sagra Congregatione de Propaganda Fide.
IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
CIↃ DC XXIX.
CON LICENZA DE' SVPERIORI.

Dittionario Giorgiano-Italiano.

ა A

აბანო.	abáno,	Bagno.
აბარაგ-დე.	abaróga,	Mache?
აბაში.	abáchi,	Dilà.
აბრეშუმი.	abreſciómi,	Seta.
აგებე.	aghebà,	Compunrione.
აგზნებელობა.	aghmozenebéli	Biaſtemare.
აგმოსავლეთი.	aghmoſaúleti,	Oriente.
აგმოსავლეთის.	agmoſaulétiſa,	Orientale,
ადუღდა შეფერ- ცხეული.	aduilà ſcefaz- ruéli,	Incoſtante.
ადვილი.	aduili,	Facile.
ადვილიდ.	aduilid,	Facilità.
ადი.	ádi,	Di.
ადიდებ.	adidebà,	Inondatione.
ჰაერ.	aèra,	Aria.
ეფარები.	aetili,	Coprire.
ეზვერი.	auadári,	Ammalarſi.
ეზვერიობა.	auadaſpamò,	Maltrattare.
ეზვერიობ.	auadaſparè,	Maltrattato.

ესპანეთში, ფილიპე IV-ის (1605-1665) სამეფო კარზე ჩასული ნიკიფორე ირბახი დიდი პატივით მიიღეს. საერთო-ქრისტიანულმა სულისკვეთებამ შეამზადა ე. წ. ***„ბერძნული პროექტი“***, რომელიც ანტიოსმალურ კამპანიას დაუკავშირდა. თუმცა ესპანეთს ამგვარი გეგმის განხორციელებაში ხელს, სიშორესთან ერთად, საშინაო და საგარეო-პოლიტიკური სირთულეებიც უშლიდა.

შენიშვნა: „ბერძნული პროექტი“ *– ესპანეთში ყოფნის დროს ნიკიფორე იბრახი შეხვდა წარმოშობით ბერძენ სასულიერო პირს, რომელიც ესპანეთის მეფის კარზე მსახურობდა. ამ სასულიერო პირმა კარგად გამოიყენა აღმოსავლეთის ქრისტიანული სახელმწიფოდან მოსული ელჩის ვიზიტი და შეადგინა წერილი, რომლითაც ოსმალეთის წინააღმდეგ თავდასხმის სამომავლო გეგმა დასახა. „ბერძნულ პროექტად“ სწორედ ეს გეგმა მოიხსენიება.*

წყარო ლ ნაწყვეტი თეიმურაზ I-ის წერილიდან რომის პაპ ურბან VIII-ისადმი: *ადაპტირებული წყარო*

... ჩვენ საქმე გვაქვს თურქებთან და სპარსელებთან. ხშირად გვიხდება მათთან შეჯახება. ვიმედოვნებ, რომ თქვენი დახმარებით დავამყარებ კავშირს ესპანეთის მეფესთან [ფილიპე IV-სთან]. მასაც მივწერეთ წერილი. დაჟინებით გთხოვთ, რათა თქვენც სთხოვოთ მას იგივე. ამ წერილს გადმოგცემთ მღვდელი ნიკიფორე. აი, შეჯამებული ჩვენი სურვილები: მოვექცეთ თქვენი უწმინდესობის – პირველი საყდრისა და უმაღლესი ხელისუფლების მოწყალების ქვეშ. გვიბრძანე და მაშინვე გაიგებ ჩვენი მორჩილების შესახებ.

წყარო 8 ნაწყვეტი პაპ ურბან VIII-ის წერილიდან თეიმურაზ მეფეს:

... ჩვენ მშობლიური სიყვარულით შევხვდით საყვარელ შვილს... ნიკიფორე ირბახს, რომელიც შენ გამოგზავნე ჩვენთან წერილით, როგორც შენი ძლიერების დამადასტურებელი და ღვთისმოსაობის თავდები...

საჭიროა მთელი ძალით იზრუნო, რათა ეკლესიის მეთაურები და მღვდელმსახურები, იბერიის სულის მწყემსები, რომლებიც უფლის სახლში ცხოვრობენ, შენთან ერთად ერთსულოვნად აღიარებდნენ პეტრეს სახელმწიფოს – ეკლესიის ხილულ მეთაურს – რომის ტახტის სახით...

- *ქართველ მეფეების, რომის პაპისა და ევროპელი მონარქების წერილების საფუძველზე იმსჯელე, როგორი იყო დიპლომატიური ეტიკეტი იმ დროში?*

ეტიკეტი – მეფის კარზე, დიპლომატიურ წრეებსა და საზოგადოებაში ურთიერთობის წესები.

ევროპულ სახელმწიფოებში ქართველი მეფე-მთავრების წერილები და ცნობები საქართველოს შესახებ ხშირად აქ მყოფი *კათოლიკური რელიგიური ორდენების* წარმომადგენლებსაც მიჰქონდათ. თეიმურაზმა მისიონერების მეშვეობით კიდევ არაერთი წერილი გაუგზავნა რომის პაპს დახმარების თხოვნით.

ევროპელი მონარქები და რომის პაპი იწონებდნენ ქართველ მეფე-მთავართა თავდაუზოგავ ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ, თუმცა მათ მიერ გაწეული დახმარება მხოლოდ მორალური ხასიათისა იყო.

შენიშვნა: კათოლიკური რელიგიური ორდენები *– რომის პაპების მიერ დაფუძნებული სხვადასხვა სამისიონერო გაერთიანება. საქართველოში მოღვაწეობდნენ: ავგუსტინელთა, იეზუიტთა, კაპუცინები, ფრანცისკელთა და დომინიკელთა ორდენები.*

- *შენი აზრით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან დამყარებული დიპლომატიური კავშირების მეშვეობით, რომელი ქართველი მონარქის დროს იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნა ყველაზე მეტად შესაძლებელი და რატომ? გაითვალისწინე შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა და შენი მოსაზრება შესაბამისი არგუმენტებით გაამყარე.*

ქართველი მეფე-მთავრების ურთიერთობა რუსეთთან

პირველი, ვინც რუსეთთან კავშირის დამყარება გადაწყვიტა, კახეთის სამეფო იყო. მონღოლთა ბატონობის დასრულების შემდეგ მოსკოვის სამთავრო თანდათანობით გაძლიერდა. ჩრდილო კავკასიის გზების გავლით რუსეთსა და კავკასიის ქვეყნებს შორის ვაჭრობა გახშირდა. ამასთან, ამიერკავკასიის ქვეყნებმა გადაწყვიტეს, დიპლომატიური ურთიერთობები დაემყარებინათ რუსეთთან. მათ შორის აღმოჩნდა კახეთიც.

კახეთის მეფემ, **ალექსანდრე I-მა** (1476-1511) ელჩობა გაგზავნა მოსკოვის მთავარ ივანე III-სთან (1462-1505). ალექსანდრე I-ის მიერ გაგზავნილ წერილში ყურადღება გამახვილებულია სარწმუნოებაზე; მისი მიზანი რუსეთის დახმარებით *საშამხლოს* ტერიტორიიდან მომდინარე თავდასხმების შეჩერება იყო.

შენიშვნა: საშამხლო *– ფეოდალური სახელმწიფო მთიან დაღესტანში XVI-XIX სს-ში, რომლის მმართველიც შამხლის ტიტულს ფლობდა.*

რუსეთი დროთა განმავლობაში ძალებს იკრებდა. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კავკასიის რეგიონისადმი მისი ინტერესი იზრდებოდა. კახეთის მეფე **ლევანმა** (1518-1574) დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა რუსეთის მეფე **ივანე IV მრისხანესთან** (1547-1584). რუსეთიდან 500-კაციანი რაზმიც გამოიგზავნა, რომელიც კახეთის მეფემ საშამხლოს მოსაზღვრე ციხეებში ჩააყენა, მაგრამ, ირანისა და ოსმალეთის ზეწოლის შედეგად, ივანე IV-მ უკანვე გაიწვია თავისი რაზმი.



წყარო ნ კახეთის მეფე ლევანი (1518-1574), ფრესკა ათონის მთის ფილოთეას მონასტრიდან, XVI ს., საბერძნეთი

წყარო ო კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1601, 1602-1605)



მომდევნო ხანებში კახეთის საზღვრებთან გააქტიურდნენ ირანი და ჩრდილო კავკასიის მთიელები. კახეთის მეფე **ალექსანდრე II-მ** (1574-1605) რუსეთის მეფე **თევდორესთან** 1587 წელს ხელი მოაწერა **„ფიცის წიგნს“**. 1589 წელს გაფორმდა მორიგი დოკუმენტი – **„წყალობის სიგელი“**. ორივე დოკუმენტის მიხედვით, რუსეთს უნდა უზრუნველეყო კახეთის დაცვა. რუსეთმა მდინარე თერგზე (ჩრდილოეთ კავკასიაში) ციხესიმაგრეც ააგო, სადაც თავისი გარნიზონი ჩააყენა და საშამხლოზე თავდასასხმელად პლაცდარმი შექმნა, თუმცა სამხედრო მოქმედებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ამასთანავე, კახეთის ქმედებები მტრულად განწყობილი მეზობლების გაღიზიანებას იწვევდა.

რუსეთთან დაახლოების მორიგი ცდა უკავშირდება თეიმურაზ I-ს. თეიმურაზის შეგონებამ იმერეთის მეფე დაარწმუნა, რომ რუსეთში გაეგზავნა ელჩი. თეიმურაზმა მას თავისი ელჩიც გააყოლა, რომელიც რუსეთის მეფეს სამხედრო და ფინანსურ დახმარებას სთხოვდა, უარის შემთხვევაში კი სათადარიგო ვარიანტიც ჰქონდა – შუამდგომლობა ირანის შაჰთან, რომ მისთვის კახეთის სამეფო დაებრუნებინა. საპასუხო ელჩობამ დიპლომატიური უარი ჩამოიტანა. ელჩი რუსეთში ქართლის მეფე როსტომ ხანმაც გაგზავნა. მოგვიანებით კი, 1658 წელს, თავად თეიმურაზი გაემგზავრა მოსკოვში. იგი დიდი პატივით მიიღეს, თუმცა რეალური დახმარება არც მისთვის აღმოუჩენიათ.

● *შეადარე კახეთის პოლიტიკა ქართლის პოზიციას. შენი აზრით, რამდენად განსაზღვრავდა კახეთის გეოგრაფიული მდებარეობა მის ტაქტიკას? პასუხისთვის მოიშველიე დანართი 3.*

1. იმსჯელე XVI ს-ის ქართული სამეფო-სამთავროების საშინაო და საგარეო-პოლიტიკურ სირთულეებზე. დაასახელე შიდა და გარე მიზეზები, რომლებმაც ქართული სამეფო-სამთავროები ჩიხში შეიყვანა.
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის 6.2 სავარჯიშო ქართველი მონარქების განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური კურსის შესახებ.
3. გაიხსენე, კიდევ რომელ ქართველ მეფეებს უწინ დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდათ დასავლეთ ევროპის მონარქებთან და რომის პაპებთან? შეადარე მათი ურთიერთობები XVI ს-ში არსებულ მდგომარეობას – რა მსგავსებებსა და განსხვავებას ამჩნევ? როგორ ფიქრობ, დაიხვეწა თუ არა დიპლომატიური ურთიერთობის ფორმა შენ მიერ მოყვანილ მაგალითებთან შედარებით. პასუხი დაასაბუთე.

34/35 როგორი მდგომარეობა იყო ქართლ-კახეთში ადგილობრივი გამუსლიმებული ბაგრატიონების მმართველობის პერიოდში?

XVII ს-ის 30-იან წლებში ქართლსა და კახეთში ირანი გაბატონდა და ამ ქვეყნებს გამუსლიმებული მმართველები, მეტწილად ბაგრატიონები, ჩაუყენა სათავეში. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ დამყარდა აღმოსავლეთ საქართველოში გამუსლიმებული მმართველების ხელისუფლება, რა მეთოდებით მართავდნენ ისინი ქართლ-კახეთს და რა შედეგი მოიტანა მათმა ბატონობამ, უწინარეს ყოვლისა, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით.



1629 წელს ირანის ტახტზე შაჰ აბასის შვილიშვილი **სეფი I** (1629-1642) ავიდა. მის გამეფებაში უმთავრესი როლი შეასრულა წარმოშობით ქართველმა ხოსრო-მირზამ, **როსტომ ხანად** ცნობილმა. შაჰის მმართველობის პირველ წლებში ირანის საქმეებს, ფაქტობრივად, ეს პიროვნება განაგებდა. როსტომ ხანი დაუპირისპირდა უნდილაძეთა საგვარეულოს, რომელიც დიდი ძალაუფლებით სარგებლობდა და, საბოლოოდ, მისი განადგურება შეძლო. უნდილაძეთა წარმომადგენელმა – ყარაბაღის *ბეგლარბეგმა* დაუდ ხან უნდილაძემ, კარგად ცნობილი ალავერდი ხან უნდილაძის შვილმა, სამხრეთ კავკასიაში შაჰის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ამ აჯანყებაში ქართლ-კახეთიც ჩაერთო.

შენიშვნა: ბეგლარბეგი *– ბეგების ბეგი, ფეოდალური ტიტული და თანამდებობა ირანსა და ოსმალეთში. ბეგლარბეგი იყო პროვინციის სამხედრო და ადმინისტრაციული ხელმძღვანელი.*



სეფი I (1611-1642), ილუსტრაცია ადამ ოლეარიუსის აღმოსავლეთში მოგზაურობის წიგნიდან, უტრეხტი, ჰოლანდია, 1651

სეფი იყო შაჰ აბასის უფროსი ვაჟის, მუჰამმად ბაქერ მირზას შვილი. უფროსი ვაჟი აბასს თამარ ამილახვრისგან გაუჩნდა. ის ირანის ტახტის მემკვიდრედ მიიჩნეოდა, მაგრამ 1615 წელს აბასმა მას ღალატი დასწამა და სიკვდილით დასაჯა. ამგვარად, ბაბუის შემდეგ მცირეწლოვანი სეფი გამეფდა. სეფის მმართველობის პერიოდში, 1639 წელს, ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო **ზოჰაბის ზავი**, რომელმაც ამასიის ზავის პირობები კიდევ ერთხელ დაადასტურა.



როსტომ ხანი (1565-1658), ქრისტოფორო დე კასტელი, XVII ს., პალერმოს კომუნალური ბიბლიოთეკა, იტალია

როსტომ ხანი იყო სიმონ I-ის ძმის, დაუდ ხანის უკანონო შვილი, რომელიც ისპაჰანში დაიბადა და ირანში მუსლიმური და სპარსული წესით აღიზარდა. ის ირანში მყოფ გიორგი სააკაძეს შეუმჩნევია და დაუწინაურებია. ნიჭისა და სამხედრო საქმის ცოდნის წყალობით, როსტომ ხანმა შაჰ აბასის კარზე მაღალ თანამდებობებს მიაღწია – ის *ღულამების*, იმავე ყულის ჯარის სარდალი (ყულარაღასი) და დედაქალაქ ისპაჰანის ტარუღა გახდა.

შენიშვნა: ღულამი *(არაბ. ყმაწვილი, მონა) – მონა ჯარისკაცის სახელწოდება მუსლიმურ ქვეყნებში. სეფიანთა ირანში ღულამების, იმავე ყულის ჯარის ძირითად ნაწილს კავკასიელები, უპირველეს ყოვლისა, ქართველები შეადგენდნენ.*

ტარუღა – თავი, მოურავი, რომელიც ხელმძღვანელობდა ქალაქის საპოლიციო და საფინანსო საქმეებს.

ცნობა 1 რა როლს ასრულებდნენ უნდილაძეები ირანის პოლიტიკაში?

უნდილაძეები საქართველოს ისტორიაში პირველად XIII ს-ში იხსენიებიან. XIII-XV სს-ში ისინი ქართლში დიდი გავლენით სარგებლობდნენ. XVI ს-ის მეორე ნახევარში ალავერდი ხან უნდილაძე სეფიანთა ირანის სამსახურში ჩადგა და შაჰ აბასის კარზე მაღალ თანამდებობებს მიაღწია. ის დაინიშნა ღულამთა ჯარის პირველ სარდლად და ფარსის პროვინციის ბეგლარბეგად (1595 წ.). იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე წერს, რომ ალავერდი ხანი ახალგაზრდობისას რამდენჯერმე იყიდეს და გაყიდეს, ბოლოს კი ირანის შაჰის სასახლეში მოხვდა. მისივე გადმოცემით, შაჰ აბასი ალავერდი ხანს ენდობოდა და მამას უწოდებდა. სწორედ მას დაავალა შაჰმა მასშტაბური სამხედრო რეფორმების ხელმძღვანელობა, რამაც ირანს სამხედრო და პოლიტიკური ძლიერება მოუტანა. ირანში სახელი გაითქვეს ალავერდი ხანის შვილებმაც: უფროსი ვაჟი – იმამყული ხანი სახელგანთქმული სარდალი და ფარსის ბეგლარბეგი იყო. მისი მეთაურობით ირანელებმა აიღეს პორტუგალიელთა ხელში მყოფი ჰორმუზი (კუნძული სპარსეთისა და ომანის ყურეებს შორის); უმცროსი ვაჟი – დაუდ ხანი ყარაბაღის ბეგლარბეგად დაინიშნა. შაჰ სეფისთვის უნდილაძეთა გავლენები სახიფათო აღმოჩნდა, ამიტომაც მათი დამხობა განიზრახა.

● *იმსჯელეთ კლასში უნდილაძეების მიერ გატარებული რეფორმების მნიშვნელობაზე და შეაფასეთ მათი ღვაწლი ირანის წინაშე.*

ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზმა ირანში ამტყდარ დაპირისპირებაში დაუდ ხანს დაუჭირა მხარი, მითუმეტეს, უნდილაძეს მისი და – ელენე ჰყავდა ცოლად. სავარაუდოდ, 1632 წელს, მათ ერთობლივად დაარბიეს ბარდა და ყარაბაღი და დიდძალი ნადავლი ჩაიგდეს ხელთ. ქართლ-კახეთის მეფის გამბედაობას, ასევე, ხელს უწყობდა ირანელებსა და ოსმალებს შორის მიმდინარე საომარი მოქმედებები. თეიმურაზს ჯარით სომეხთა კათალიკოსი ეახლა, მხარდაჭერა აღუთქვა და ირანში ლაშქრობის გეგმა შესთავაზა.

წყარო 3 XVII ს-ის მემატიანე ფარსადან გორგიჯანიძე გვიამბობს სომეხთა კათალიკოსის მიერ თეიმურაზისთვის შეთავაზებული გეგმის შესახებ: *ადაპტირებული წყარო*

ბატონმა თეიმურაზმა ყარაბაღის დარბევა მოინდომა. ლევან დადიანი ოდიშის ლაშქრით, მეფე ალექსანდრე იმერეთის ლაშქრით, მესხი თავადები და აზნაურები, ქართლელები და კახელები სრულად შეიყარნენ და განჯა-ყარაბაღი არაქსამდე დაარბიეს და ააოხრეს. ბატონი თეიმურაზი ბარდაში იმყოფებოდა და *განძასარის სომეხი კათალიკოსი* დიდის ჯარითა და საჩუქრებით ბატონ

თეიმურაზს მოუვიდა და ასე მოახსენა: ხონთქარი და ყაენი ერთმანეთს ეომებიან, ამაზე უკეთესი დრო აღარ იქნებაო; *შვიდი საქართველოს* ლაშქარი თან გახლავს, ორმოც ათას მეთოფეს მე შეგიკრებ, აქედან თავრიზში მიბრძანდი, შვიდ დღეს თავრიზი დაარბევინეთ, [ნადავლი] ლაშქარს შვიდი წლის ჯამაგირში უანგარიშეთო, სანამ ყაენი ლაშქარს შეყრიდეს, აზერბაიჯანის ბატონები გამოცვალეთ, ყველგან თქვენი ყმები დანიშნეთ და მე ხონთქართან გამგზავნეთ, რომ იმისგან ლაშქარს მოგაშველოთო; თუ ყაენი წამოვიდა, შევებათ და ისინი ქართველებთან ომს ვერ შეძლებენო ... გამარჯვება თქვენ დაგრჩებათ, მთავარ ხელმწიფედ გაკურთხებთ და საქრისტიანო თქვენით დაიხსნება და გაძლიერდებაო.

შენიშვნები: განძასარის სომეხი კათალიკოსი *– იგულისხმება ალბანეთის სომეხთა კათალიკოსი.*
შვიდი საქართველო *– იგულისხმება დაშლილი საქართველოს სამეფო-სამთავროები.*

- *შენი აზრით, ვის ინტერესებს გამოხატავდა კათალიკოსი და რით იყო ეს განპირობებული?*
- *წყაროს მიხედვით, რა საგარეო-პოლიტიკური ვითარების გამოყენებას სთავაზობდა კათალიკოსი თეიმურაზს?*
- *რომელი გეოგრაფიულ სივრცე იგულისხმება წყაროში ნახსენებ აზერბაიჯანში და, შენი აზრით, რატომ მიიჩნევდა სომეხი კათალიკოსი აუცილებლად „აზერბაიჯანის ბატონების“ გამოცვლას?*
- *იმსჯელე, იდენტობის თვალსაზრისით, რა საერთო აქვთ „შვიდ საქართველოსა“ და სომხებს? როგორ გამოიყენებოდა ეს ფაქტორი რეგიონის პოლიტიკურ პროცესებში?*

თეიმურაზმა ამ ვითარებაში ირანის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყება უდროოდ მიიჩნია, ლაშქრობა მომდევნო წლისთვის გადადო და მოკავშირეებთან ერთად გორში დაბრუნდა.

დისკუსია

კლასში მოაწყვეთ დისკუსია მეფე თეიმურაზის გადაწყვეტილების შესახებ. მოიყვანეთ მისი გადაწყვეტილების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები. გაეცით პასუხები შეკითხვებს: რამდენად მართებული იყო თეიმურაზის მიერ დაუდ ხანისთვის მხარდაჭერის აღმოჩენა? რა ხელსაყრელი გარემოებები განაპირობებდა თეიმურაზის მოქმედებას? რამდენად მართებული იყო მისი გადაწყვეტილება ირანში შეჭრის გადადების შესახებ?

1632 წელს თეიმურაზის მოქმედებებით განრისხებულმა შაჰ სეფიმ მას ჯერ დაუდ ხანის შეპყრობა და მისთვის გადაცემა მოსთხოვა, ხოლო უარის მიღების შემდეგ თეიმურაზი მეფობიდან დამხობილად გამოაცხადა და ქართლის მმართველად, ანუ „გურჯისტანის ვალად“ როსტომ ხანი, კახეთის მმართველად კი სელიმ ხანი დანიშნა. ისინი საქართველოსკენ მრავალრიცხოვანი ჯარით გამოემართნენ, რომელსაც როსტომ ხან სააკაძე მეთაურობდა. მათ აღმოსავლეთ საქართველო უბრძოლველად დაიკავეს. ქართლის დიდებულთა უმრავლესობა თეიმურაზს არ მიეშველა, ამიტომაც იგი იძულებული გახდა, 1633 წელს იმერეთში გადასულიყო, დაუდ ხანი კი ოსმალეთში გაიქცა.



წყარო ბ **სეფიანთა დიდგვაროვანს ქართველი ტყვე მიჰყავს. სპარსული პანოს ფრაგმენტი. აბრეშუმი და ოქრომკედი, XVI ს. მეტროპოლიტენ მუზეუმი, ნიუ იორკი**

- *დაუკვირდი ქვეითი ქართველი ტყვის ჩაცმულობას, რომელ სოციალურ წოდებას მიეკუთვნება იგი? შენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს ცხენზე შემოსმული ბავშვი – ტყვე თუ მხედრის შვილი?*
- *რამდენად განსხვავებულია პანოს ავტორის დამოკიდებულება დამტყვევებლისადმი და დატყვევებულისადმი? რა გრძნობას გააღვივებდა ამგვარი ხელოვნების ამგვარი ნიმუში თანამედროვე დამთვალიერებელში?*

წყარო 8 ქართლში მყოფი კათოლიკე მისიონერი დონ ჯუსტო პრატო 1633 წლის ოქტომბერში რომში გაგზავნილ წერილში ეხება ირანელების მიერ ქვეყნის დამორჩილებას და ირანში ქართველთა როლს:

1-ელ იანვარს ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სპარსეთის არმია უკვე საქართველოსკენ მოდიოდა ... იანვრის ბოლოსთვის როგორც ხალხმა, ისე მეფემ [თეიმურაზმა] მაინც დაიწყო სათანადო მზადება. ხალხი, ჩვეულებისამებრ, თავისი ქონების მიწაში ჩამარხვას შეუდგა...

მეფემ კახეთისა და ქართლის სამეფოების ჯარებს [მოქმედებისკენ] მოუწოდა, მაგრამ ამ დროისათვის უკვე ხმა გავარდა, რომ სპარსეთის არმია მეტად ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო, ამიტომ მისმა [თეიმურაზის] ერისთავებმა არ მოისურვეს თეიმურაზ მეფის დასახმარებლად თავიანთი ლაშქრების გამოყვანა ... მათ ყველამ მეფეს უარი ბოდიშის მოხდით უთხრეს იმ საბაბით, რომ განჯის ლაშქრობა, რომელმაც სპარსეთის შაჰის გაჯავრება გამოიწვია, მოხდა როგორც *დივანის, ე.ი. სახალხო პარლამენტის*, ისე მათთან შეთანხმების გარეშე ...

დღეს მთელი სპარსეთი სავსეა ქართველი რჯულგანდგომილებით. მათ ხელშია ყველა დიდი თანამდებობაც კი სახელმწიფოში. თვითონ *სპარსეთის შაჰიც კი ქართველი ქრისტიანი ქალის შვილი იყო*. ოცი წლის წინათ შაჰ აბასმა საქართველო გაანადგურა და იქიდან 60 ათასი ოჯახი წაიყვანა...

ქართველების შემწეობით სპარსეთი გამდიდრდა, მაგრამ ქართველების დიდმა ნაწილმა უარი თქვა თავის სარწმუნოებაზე, განსაკუთრებით იმათმა შვილებმა, ვინც ნაკლებად იცნობდა რელიგიურ საკითხებს. ასე რომ, ამჟამად სპარსეთის არმია ქართველი და სომეხი რჯულგანდგომილებისგან შედგება.

გარდა ამისა, საუკეთესო თანამდებობები, დაწყებული თვით მთავარსარდლით, სპარსეთის ჯარში დღეს ქართველ რჯულგანდგომილებს უკავიათ. აი, რატომ იყო, რომ ქართველების მხრიდან განსაკუთრებით არავინ ფიქრობდა წინააღმდეგობის გაწევას [ქართლში შემოსული ჯარისადმი], ვინაიდან ყოველ ქართველს იმედი ჰქონდა, შეხვდებოდა ახლობელს – შვილს, მამას, ძმას ან ქმარის და ა. შ. ...

[იმერეთში მყოფი] თეიმურაზი ხელსაყრელ შემთხვევას ელოდება, რათა [როსტომ ხანის წინააღმდეგ] რაიმე თავდასხმა წამოიწყოს, მაგრამ აქ ისე კარგად ექცევიან ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ქართველებს არა აქვთ საბაბი ახალი მთავრობის მიმართ უკმაყოფილების გამოსათქმელად და, ვიდრე ასეთი რამ არ მომხდარა, ქართველებს კარგად ექცევიან.

თეიმურაზს ცოტა იმედი მოეცა, როდესაც რამდენიმე თავადმა გადაწყვიტა, მისთვის დახმარება აღმოეჩინა, იმის მსგავსად, როგორც მათ ეს წარსულში გაუკეთებიათ. თეიმურაზმა ხომ საერთოდ სამჯერ დაკარგა და ისევ დაიბრუნა ტახტი. საქმე ის იყო, რომ თეიმურაზი თავისი მამაცობისა და თავაზიანი ქცევის გამო უყვარს ყველა თავის ქვეშევრდომს.

ახლაც, მან თავისი სამეფო მხოლოდ თავისი გულკეთილობით დაკარგა, ვინაიდან მაშინვე არ დასაჯა ისინი, ვინც პირველად უარი თქვა, მხარი დაეჭირა მისთვის სპარსელების წინააღმდეგ. თეიმურაზს რომ შესძლებოდა, შეეგროვებინა ჯარი, სპარსელები, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ვერ გაბედავდნენ, ჩაბმულიყვნენ გაშლილ ომში, ვინაიდან მათ ძლიერ ეშინოდათ თეიმურაზის თვით სახელისა.

შენიშვნები: დივანი, ე. ი. სახალხო პარლამენტი *– იგულისხმება მეფის სათათბირო ორგანო.*

შაჰიც კი ქართველი ქრისტიანი ქალის შვილი იყო *– შაჰ სეფის დედა დილარამ ხანუმი წარმოშობით ქართველი იყო და ირანის პოლიტიკაზე დიდი გავლენა ჰქონდა.*

- *წყაროს მიხედვით იმსჯელე ქართლ-კახეთში დიდებულთა პოლიტიკურ წონაზე. რამდენად იყო დამოკიდებული მეფე მათ ნება-სურვილზე?*
- *იმსჯელე კრიზისულ ვითარებაში ფეოდალური არმიის უარყოფით მხარეებზე და შეადარე იგი რეგულარულ ჯარს. წარმოადგინე თითოეული მათგანის ძლიერი და სუსტი მხარეები.*
- *ძირითადად რომელ სფეროში დაწინაურდნენ ქართველები ირანში? რა შესაძლო დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა ამ ვითარებას?*
- *წყაროს ინფორმაციის საფუძველზე, რა მიანიშნებს იმას, რომ ირანელთა პოლიტიკა საქართველოს მიმართ შეიცვალა? იმსჯელე, რა იყო ამის მიზეზი.*
- *წყაროს ავტორი მეფე თეიმურაზს დადებითად აფასებს. განვლილი გაკვეთილების მოშველიებით, იმსჯელე ავტორის ამგვარი დამოკიდებულების შესაძლო მიზეზების შესახებ და თავადაც შეაფასე მეფის პიროვნება.*

ქართლში როსტომის გამეფებით დაიწყო გამუსლიმებული ბაგრატიონების თითქმის საუკუნოვანი მმართველობა. ეს ბაგრატიონები საკუთარ თავს ქართლის მეფეებად მიიჩნევდნენ, მაგრამ ირანის შაჰისთვის ისინი „გურჯისტანის ვალები“, ანუ ირანის ერთ-ერთი პროვინციის მმართველები იყვნენ; თუმცა ქართლს ირანის სხვა პროვინციებთან შედარებით მაინც უფრო მაღალი სტატუსი ჰქონდა (XVII ს-ის ირანში სულ ოთხი ვალი იყო: არაბისტანის, ლურისტანის, გურჯისტანისა და ქურთისტანის). ვალი შაჰის მოადგილედ მიიჩნეოდა და ბეგლარბეგებთან, ხანებთან ან სხვა ირანელ მოხელეებთან შედარებით უფრო პრივილეგირებული იყო. ამავე დროს, ქართლი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ავტონომიას ინარჩუნებდა და, კახეთისგან განსხვავებით, მისი შემოსავლები ირანის სახელმწიფო შემოსავლებში არ ითვლებოდა.

- *გამოთქვი მოსაზრება, რა გარემოებებმა შეუწყო ხელი ირანის მხრიდან ქართლისადმი შედარებით დამთმობ პოლიტიკას?*

წყარო დ **ირანელების მიერ აღდგენილი გორის ციხე, ქრისტოფორო დე კასტელი, XVII ს., პალერმოს კომუნალური ბიბლიოთეკა, იტალია**

გორის ციხე, სტრატეგიული თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი სიმაგრე იყო, რადგან ის მთელ შიდა ქართლს აკონტროლებდა. ციხე მრავალჯერ დაინგრა და აღდგა. ქართველები ციხეს ანგრევდნენ იმ შემთხვევაში, თუკი მოწინააღმდეგის მხრიდან მისი დაკავებისა და შიგნით მტრის გარნიზონის ჩაყენების საშიშროება იყო. თანამედროვე სახით ციხე XVIII ს-ის მეორე ნახევარში ერეკლე II-მ აღადგინა.



ქართლის დამორჩილებისთანავე ირანელებმა გორის ციხე აღადგინეს და უფრო მეტად დაცული გახადეს. ირანელთა გარნიზონი სურამშიც ჩადგა. მათ სამხედრო წარმომადგენლობას როსტომ ხანისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ის მუდმივად ელოდა საფრთხეს მეფე თეიმურაზისგან, რომელსაც ქართლის დიდებულთა ნაწილი კვლავინდებურად უჭერდა მხარს. მათ, ვისაც როსტომ ხანის მმართველობა არ მოსწონდა, რამდენჯერმე სცადეს აჯანყება და თეიმურაზის კვლავ გამეფება, თუმცა ყველა წამოწყება მარცხით დასრულდა. თეიმურაზმა ხელისუფლების აღდგენა მხოლოდ კახეთში შეძლო 1634 წელს, შაჰთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების გზით.

თეიმურაზისა და მისი მთავარი მოკავშირის, იმერეთის მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული როსტომ ხანისა და ოდიშის მთავრის, **ლევან II დადიანის** დამოყვრება – როსტომმა დადიანის და – **მარიამი** შეირთო ცოლად, რამაც მათი პოლიტიკური ალიანსი გაამყარა.

ამრიგად, იმერეთის სამეფო ოდიშისა და ქართლის ალყაში მოექცა და მეფე თეიმურაზის პოზიციები დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად შეირყა.

მას შემდეგ, რაც როსტომ ხანმა პოლიტიკური ძალაუფლება განიმტკიცა, ქართლში ირანელთა ბატონობის გამყარებას სხვადასხვა მეთოდით შეუდგა.



წყარო 2 **მარიამ დადიანი, ქრისტოფორო დე კასტელი, XVII ს., პალერმოს კომუნალური ბიბლიოთეკა, იტალია**

წყარო 3 **„ახალი ქართლის ცხოვრება“ აღწერს როსტომ ხანის ღონისძიებებს ქართლში ირანული მმართველობის დამყარების მიზნით:** *ადაპტირებული წყარო*

დიდად სწყალობდა ყაენი როსტომ მეფეს, მრავალ [ძღვენს] უგზავნიდა, როსტომ მეფე კი ქართლელებს ურიგებდა *ლეინის* ხალათებსა და პატარ-პატარა საჩუქრებს, რადგან მაშინ ქართლელი [მამაკაცები] არ იცვამდნენ [მუსლიმურ] კაბებს და არც მორთვა არ უყვარდათ. ამ მცირედი საჩუქრებით შემოიკრიბა ქართლელები და მოიპოვა მათი ნდობა. მაშინ ქართლელები გულწრფელები იყვნენ, არ ჰქონდათ შეთვისებული ყიზილბაშური ხრიკები და მატყუარობა. როსტომ მეფეს კი ხალხი ჰყავდა, მოხერხებული და მიზანდასახული კაცი იყო. იმხანად ვინც კი იყო სპარსეთში დატყვევებული და გათათრებული ქართლელი, ყველა დააბრუნა ქართლში. ქართლის გათათრება უნდოდათ. ყიზილბაშურ წესებს მისდევდა და ყიზილბაშურად მოაწყო თავისი კარის წესები. მოხელეებად და მსაჯულებად თათრები დააყენა და ქართველი მოხელეებიც არ დაითხოვა.

იმხანად ქართლის მეფეთა სასახლე [თბილისის] ციხეში იყო, სადაც წმიდა ნიკოლოზის საყდარი დგას. როსტომმა დატოვა [ეს სასახლე], იქ ყიზილბაში *მიმბაში* დასვა. თვითონ გამოვიდა და დასახლდა მტკვრის პირას, ანჩის საყდარსა და სიონს შორის. იქ ციხეშიც ააგო მეჩეთი, აბანოს პირდაპირ, ხევის გადმოღმა და თავის სასახლეშიც ააშენა მეჩეთი, ასევე, გააშენა ბაღი *იჩიტუნტრუხის კლდის* ქვემოთ და იქაც ააშენა მეჩეთი...

იმ დროიდან დაიწყო ქართლის წეს-ჩვეულებებმა შეცვლა. ყველამ შეიყვარა ანგარება და სიმდიდრე, ჯამაგირი და ყაენისგან მამულის მიღება. შემოიღეს ყიზილბაშური ჩაცმულობა, ქართლის დიდებულები და თავადები ყაენისგან მდიდრდებოდნენ და *რაყამით* შოულობდნენ მამულებს. თვითონ როსტომ მეფის სურვილი ასეთი იყო, რომ ყაენის დაუკითხავად არავის არაფერი მისცემოდა. თუკი ვინმეს დაწინაურება უნდოდა, ყაენს დაეკითხებოდა. ყაენის მორჩილი და მაჰმადის რჯულის მოყვარე კაცი იყო როსტომ მეფე ... გაძლიერდნენ თათრები და გაუთავხედდნენ ქართლელებს.

ვინც იყო ქართლელი, მათი წესის მოყვარული, მეძავი და სიბილწის მოქმედი, დიდ პატივს სცემდა როსტომ მეფე, [რჩევას] ეკითხებოდა და ყურს უგდებდა. ხოლო თუკი ვინმე იყო სიმართლის მოქმედი, გულწრფელი და ცოდვას მორიდებული, მას საერთოდ არ სცემდა პატივს, ცუდ და შეუფერებელ კაცად მიიჩნევდნენ.

მუდამდღე სმასა და განცხრომაში იყვნენ, სულისთვის კი საერთოდ აღარ ზრუნავდნენ. მოიყვანა მეჩანგეები და მგოსანი ქალები. აქებდნენ ქართლელი წარჩინებულები, მათაც ასევე გაიჩინეს მეჩანგე ქალები [და] ბლომად მხევლები ... ქართლელებმაც ისწავლეს ყიზილბაშურად ჭამა-სმა, დიდ სირცხვილად მიაჩნდათ მაგიდასთან სუფრის უფლობა (თამადობა), ხალიჩებზე მორთხმის ნაცვლად. ვისაც არ შეეძლო ამ წესების მიყოლა, გაღარიბდნენ, გაყიდეს მამა-პაპის დანატოვარი მამულები და აგარაკები. [ძვირფასად] იმოსებოდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ და შვილებზე საერთოდ აღარ ზრუნავდნენ. მაშინ შემოიღეს თავადებმა ზოგიერთ ადგილას ტყვეებით ვაჭრობა. ვინც იყო ობოლი და ქვრივი, გამოიყვანდნენ, გაყიდდნენ და გამრავლდა ცოდვა.

სამღვდელო ეპისკოპოსების ერთგულება იმით მოიპოვა [როსტომ ხანმა], რომ ყველას ჯამაგირი დაუწესა, თავმდაბლად და ტკბილად ექცეოდა, ამიტომ უზრუნველად იყო სამღვდელოთა კრებული. ააშენა *წმიდა კათოლიკე ეკლესია* – მცხეთის [სვეტიცხოვლის] გუმბათი და კიდევ რამდენიმე სხვა გაპარტახებული ეკლესია. ასევე ააგო გატეხილი ხიდი. იყო ჭამა-სმის მოყვარე, ბევრ საჩუქარს გასცემდა სმის დროს ... თვითონ სამღვდელონი და მღვდელმთავრებიც გადაიხარნენ წესიერებისგან და აღერივნენ ერისკაცებს ... ამის გამო მოუძლურდა სარწმუნოება და შეიბღალა ეკლესიის წესები, რადგან აღარ ეძიებდნენ სულიერ ღვაწლს, არამედ ხორცისთვის ზრუნავდა ყველა.

შენიშვნები: ლეინი/ლაინი *– ბამბის მაღალი ხარისხის, ლილისფრად შეღებილი ქსოვილი.*
მიმბაში *– მეციხოვნეთა ათასისთავი, აქ: თბილისის ციხისთავი.*
იჩიტუნტრუხის კლდე *– კლდე მთაწმინდის ფერდობზე, მამადავითის ეკლესიასთან.*
წმინდა კათოლიკე ეკლესია *– იგულისხმება სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ეკლესია.*

- *მართალია, წყარო გადმოგვცემს, რომ როსტომ ხანმა ირანში „დატყვევებული და გათათრებული“ ქართლელები სრულად წამოიყვანა ქართლში, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ნაწილი დააბრუნა სამშობლოში. შენი აზრით, რა მიზნით სჭირდებოდა ისინი როსტომ ხანს თავის საგამგებლოში?*
- *როსტომ ხანის პოლიტიკის საფუძველზე იმსჯელე დაპყრობილი ქვეყნის/ხალხის მიმართ იმპერიის პოლიტიკის შესახებ. შეადარე ეს პოლიტიკა ირანის მიერ ქართლის წინააღმდეგ მანამდე გამართულ ღონისძიებებს. შენი აზრით, რომელი უზრუნველყოფდა ქართლის უფრო გრძელვადიან მორჩილებას და რატომ?*
- *რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ როსტომ ხანი თბილისის ციხიდან „გამოვიდა“ და მტკვრის სანაპიროზე „დასახლდა“?*
- *იმსჯელე მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ როსტომ ხანის დამოკიდებულების შესახებ. რა მიზანს ისახავდა ამგვარი მიდგომა?*



წყარო ზ **გარშემომყოფთა შორის ფეხმორთხმით ზის ირანის შაჰი სულეიმან I, ქართული წარმოშობის ირანელი მხატვრის, *ალი-ყული ჯაბადარის* ნახატი, 1670 წ., აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი**

შენიშვნა: ალი-ყული ჯაბადარი *– XVII ს-ში მოღვაწე მხატვარი, ქმნიდა ირანული სტილის მაღალხარისხოვან მინიატიურებს. მათზე შეიმჩნევა იმ პერიოდის დასავლეთ ევროპის ხელოვნებისთვის დამახასიათებელი მოტივებიც.*

- *გამოთქვი ვარაუდი: რატომ დახატა მხატვარმა გარშემომყოფთა შორის ევროპელი წარმომადგენელი? დააკვირდი, როგორ დგას ის ირანის შაჰის წინაშე; რის თქმა სურდა ამით მხატვარს?*
- *შეადარე ერთმანეთს წყარო Ზ-ზე გამოხატული სპარსელი დიდებულებისა და წყარო Ბ-ზე გამოსახული ქართველი დიდებულის ჩაცმულობა. რატომ აქვთ მათ ჩაცმის მსგავსი სტილი?*
- *გამოთქვი ვარაუდი: როგორ შეიძლება მოხვედრილიყო მხატვარ ალი-ყული ჯაბადარის ქართველი წინაპარი სპარსეთში? რატომ ფიქრობ ასე? კიდევ რომელ ქვეყნებში ხვდებოდნენ ქართველები და რა გზით? შეაფასე საზღვარგარეთ ქართველების გადინების პროცესი.*

წყარო თ **ძველი თბილისი, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, XIX ს.**

ფოტოზე ჩანს სიონის ტაძარი და მტკვრის მარჯვენა სანაპირო, სადაც როსტომ ხანმა ახალი სასახლე ააგო. სასახლე შემორჩენილი არ არის.



- *როგორც წყარო Ბ-შია მოცემული, როსტომ ხანმა დატოვა თბილისის ციხეში არსებული ქართლის მეფეების სასახლე და ქალაქის შედარებით ნაკლებად დაცულ ნაწილში გადავიდა. იმსჯელე, რას გვეუბნება ეს ფაქტი როსტომ ხანის მმართველობის პერიოდში დამკვიდრებული პოლიტიკური და სამხედრო სტაბილურობის შესახებ?*

წყარო ი **გატეხილი, იგივე წითელი ხიდი მდ. ხრამზე, თანამედროვე საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე.**

გატეხილ ხიდს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ხიდზე გადიოდა თბილისიდან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ, პირველ ყოვლისა, ირანისკენ მიმავალი საქარავნე გზა.



ცნობა 2 სპარსული ლექსიკა ქართულ ენაში

სეფიანთა ირანის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილების შემდეგ ქართულ ენაში განსაკუთრებით აქტიურად დამკვიდრდა სპარსული ლექსიკური ერთეულები. რა თქმა უნდა, ქართულ სალიტერატურო ძეგლებში სპარსულიდან შემოსულ ლექსიკას მანამდეც ვხვდებით, თუმცა ის უფრო ინტენსიურად XVI ს-დან მკვიდრდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ქართულ ენაში დღემდე არსებული სპარსული წარმოშობის ლექსიკური ერთეულები.

ლექსიკური ერთეულები	სპარსული მნიშვნელობა
აბჯარი	იარაღი, ხელსაწყო
ანდაზა	გაზომვა, ზომვა, მასშტაბი, ხარისხი, რაოდენობა
არამზადა	მატყუარა, ეშმაკი, თვალთმაქცი
აფერუმ	ბარაქალა, ვაშა, ბრავო
აფსუს	დანანების გამომხატველი შორისდებული
აქანდაზი	ნაგვის გადასაყრელი ნიჩაბი
ბაბთა/ბაფთა	ქსოვილი, მოქსოვილი
ბანი	სახლისა და სხვა ნაგებობის დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი
ბარხანა	1. ტვირთის დასაცლელი ან შესანახი ადგილი; 2. ტომარა, ჩანთა
ბედოვლათი	უქონელი, უბედური, უიღბლო
ბითური	უგვარო, უსახელო
გუმანი	აზრი, ფიქრი, ეჭვი, ვარაუდი
დაქოქვა	მომართვა
დამქაში	მომღერალი, რომელიც მეორე მომღერალს სიმღერაში აჰყვება.
დარდიმანდი	1. ავადმყოფი; 2. დამწუხრებული
დოლაბი	წყლის ბორბალი
ზარაფხანა	ფულის გასაცვლელი სახლი
ზურნა	სტვირი, სალამური
თარსი	შიში
მაშარაფი	ბროწეულის წვენი
ჩანგალი	1. ჩანგალი; 2. ხელის მტევანი, თითი, ბრჭყალი; 3. ანკესი
მინანქარი	მინანქარი
ნუგბარი	ახლად მოწეული ხილი

პაექრობა	1. ბრძოლა; 2. კამათი, ლანძღვა-გინება
სარანგი	ლაშქრის მეთაური
სიაბანდი	მატყუარა, თაღლითი
სოვდაგარი	გამცვლელი, ვაჭარი
ტარხუნა	ტარხუნა
ფათერაკი	ცბირება, მტრობა, სიბილწე
ფაჩუჩი	ფეხსაცმელი
ფეშქაში	საჩუქარი
ფილაქანი	1. კიბის საფეხური; 2. ხარისხი; სასწორის პინა
ქაბაბი	ქაბაბი, მწვადი, შემწვარი
ქაფჩა	ხის კოვზი
ყომარბაზი	აზარტული მოთამაშე
შამათი	1. ჭადრაკში: შამათი; 2. ნაცემი, დამარცხებული
შუშაბანდი	შემინული აივანი
ჩანგი	სიმებიანი საკრავი
ხაშხაში	მუქი წითელი ველური ყაყაჩო
ხორაგი	საკვები
ხოში	მხიარულება, სიხარული, კმაყოფილება
ხურდა	პატარა, ნამცეცი, წვილმანი
ჯაბახანა	არსენალი, იარაღის საწყობი
ჯიგარი	გული
ჯომარდი	კეთილშობილი, მამაცი

- *იმსჯელე, რაზე მეტყველებს ქართულ ენაში დიდი რაოდენობით სპარსული ლექსიკური ერთეულების დამკვიდრება?*

როგორ განვითარდა მოვლენები ქართლ-კახეთში როსტომ ხანის გარდაცვალების შემდეგ?

1633 წელს ირანელების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილების შემდეგ, სანამ მომდევნო წელს მეფე თეიმურაზი კახეთის ტახტს დაიბრუნებდა, კახეთს მცირე ხნით სელიმ ხანი მართავდა. თეიმურაზი იძულებული იყო, როსტომ ხანთან დროებით მშვიდობა ჩამოეგდო, თუმცა ქართლში ხელისუფლების აღდგენაზე კვლავინდებურად ფიქრობდა. მან და მისმა მომხრეებმა როსტომ ხანის დამხობა რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ ამაოდ. საბოლოოდ, 1642 წელს როსტომ ხანმა თეიმურაზი დაამარცხა, ქართლიდან კვლავ იმერეთში გააძევა

და კახეთი დაიმორჩილა. ამის შემდეგ თეიმურაზმა აღმოსავლეთ საქართველოში ხელისუფლება საბოლოოდ დაკარგა და უიმედოდ ცდილობდა დიპლომატიური გზებით დახმარების მიღებას, მათ შორის, 1653 წელს თავისი შვილიშვილი – ერეკლე რუსეთში ელჩად გააგზავნა, 1658 წელს კი მოსკოვში თავად ჩავიდა, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო და ხელცარიელი დაბრუნდა – საქმე ისაა, რომ რუსეთი ირანთან ურთიერთობის გაფუჭებას თეიმურაზის გამო არ აპირებდა.

1658 წელს როსტომ ხანი გარდაიცვალა. მას შვილი არ ჰყოლია, ამიტომაც საკუთარ სიცოცხლეშივე მემკვიდრედ მუხრანელი ბაგრატიონების, იმავე მუხრანბატონების წარმომადგენელი ვახტანგი გამოაცხადა. ეს უკანასკნელი ირანის შაჰს, **აბას II-ს** (1642-1666) ეახლა. პოლიტიკური მორჩილების დემონსტრირების მიზნით მას ისლამი მიაღებინეს და შაჰნავაზი უწოდეს. ამგვარად, ქართლის ტახტზე ბაგრატიონების გვერდითი შტოს, მუხრანბატონების პირველი წარმომადგენელი ავიდა.

ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675) მმართველობის პერიოდში ქართლის პოლიტიკური გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა. მან მცირე ხნით იმერეთის დაკავება და იქ საკუთარი ვაჟის, **არჩილის** გამეფებაც შეძლო. იგივე მოხდა ოდიშის შემთხვევაშიც – ვახტანგმა ზუგდიდი აიღო და სამთავროს მმართველად სასურველი კანდიდატი დანიშნა. მასვე მორჩილება გამოუცხადეს გურიისა და აფხაზეთის მთავრებმა. რომ არა ოსმალეთის წინააღმდეგობა და პროტესტი, ვახტანგი დასავლეთ საქართველოზე ხანგრძლივი და ეფექტური კონტროლის დამყარებას აპირებდა. **ბახტრიონის აჯანყების** შემდეგ ირანის შაჰმა ვახტანგს ნება დართო, რომ კახეთში არჩილი გაემეფებინა.

- *იმსჯელე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის პოლიტიკური კავშირის ხელშემშლელ საგარეო ფაქტორებზე.*

ცნობა 3 რატომ მოხდა ბახტრიონის აჯანყება?

კახეთიდან მეფე თეიმურაზის საბოლოოდ გაძევების შემდეგ ირანი კახეთის შემომტკიცების ძველ გზას დაადგა, აქ თურქმანული მომთაბარე ტომების ჩამოსახლებასა და სახანოს ჩამოყალიბებას შეუდგა. შაჰ აბას II-მ 1658 წელს კახეთი როსტომ ხანს ჩამოართვა და მუსლიმ მმართველს ჩააბარა სამართავად. ირანელებმა ალავერდი კარგად გამაგრებულ ციხესიმაგრედ აქციეს და ბახტრიონის ციხე ააგეს. მალევე ქვეყანაში 80 ათასამდე თურქმანი ჩამოასახლეს.. მომთაბარეთა ჩამოსახლებამ უდიდესი საფრთხე შეუქმნა ადგილობრივ დიდებულებს, კახეთის მიწათმოქმედ მოსახლეობასა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცხოვრებლებს, რომლებიც საქონლის საძოვრებად კახეთის ველებს იყენებდნენ. შექმნილმა ვითარებამ ქართველებს 1659 წელს აჯანყებისკენ უბიძგა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ: არაგვის ერისთავი ზაალი, ქსნის ერისთავი შალვა და მისი ძმა – ელიზბარი, მეფე თეიმურაზის ყოფილი სახლთუხუცესი ბიძინა ჩოლოყაშვილი და თუში ზეზვა გაფრინდაული, რომელიც ირანელთა წინააღმდეგ პარტიზანულად მანამდეც იბრძოდა. აჯანყებულებმა ალავერდისა და ბახტრიონის ციხეები აიღეს და კახეთი თურქმანული ტომებისგან გაწმინდეს. მართალია, კახეთი ირანელებისგან არ გათავისუფლებულა და აჯანყების მეთაურები სიკვდილით დასაჯეს, თუმცა კახეთი ასიმილაციას კვლავ გადაურჩა. 1664-1675 წლებში შაჰმა კახეთის მეფედ არჩილი დაამტკიცა, რომელმაც ქვეყანაში ვითარება დაასტაბილურა, ლეკთა თარეში შეამცირა და კახეთის დედაქალაქი გრემიდან თელავში გადაიტანა.

- *რატომ დასთანხმდნენ ბახტრიონის აჯანყების მეთაურები სპარსეთში წასვლას, სადაც მათ წამებით სიკვდილი ელოდათ?*
- *იმსჯელეთ კლასში, რატომ ჰქონდათ ირანის შაჰებს ბევრად მეტი ძალაუფლება კახეთში, ვიდრე ქართლში?*

წყარო კ **ალავერდის საკათედრო ტაძარი, XI ს., ახმეტის მუნიციპ.**



ცნობა 4 რა ბედი ეწია მეფე თეიმურაზ I-ს?

1661 წელს მეფე თეიმურაზმა პოლიტიკურ ცხოვრებაზე უარი თქვა და ბერად აღიკვეცა. ამავე წელს იმერეთი ვახტანგ V-მ დაიკავა და თეიმურაზი მისი საპატიო ტყვე გახდა. ის იძულებული გახდა, ირანის შაჰს ხლებოდა, რაც დამარცხების აღიარებას ნიშნავდა. თავდა-პირველად თეიმურაზი დიდი პატივით მიიღეს, თუმცა მას შემდეგ, რაც, ირანის შაჰის მოთხ-ოვნის საფუძველზე, ისპაჰანში თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე არ გამოცხადდა, შაჰმა მოხუცი თეიმურაზი ჯერ ქრისტიანული მარხვის დაურღვევლობის გამო შეურაცხყო, შემდეგ კი ციხეში დაატუსაღა. 1663 წელს თეიმურაზი საპატიმროში გარდაიცვალა. მეფის ნეშტი ქართველებმა ჩამოასვენეს და ალავერდის მეფეთა სასაფლაოს მიაბარეს.

- *გამოთქვი მოსაზრება, რატომ შეიქნა თეიმურაზი იძულებული, ირანის შაჰს ხლებოდა?*
- *შენი აზრით, რატომ სურდა ირანის შაჰს, ერეკლეც გამოცხადებულიყო მასთან?*



წყარო ლ **თეიმურაზ I და ქრისტოფორო დე კასტელი, კასტელის ნახატი, XVII ს., პალერმოს კომუნალური ბიბლიოთეკა, იტალია**

- *დააკვირდი სახელმძღვანელოში მოცემულ ირანის მმართველთა და ქართველი მეფეების (თეიმურაზ I, როსტომ ხანი) თავსაბურავებს. მათი შედარებისას რა დასკვნის გამოტანა შეიძლე-ბა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ვითარების შესახებ?*

გამუსლიმებული ბაგრატიონების მმართველობის პირობებში ქართლი მშვიდობიანი განვითარების გზას დაადგა. პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა სტაბილურობამ, სამეურნეო წინსვლამ, ვაჭრობისა და ხელოსნობის დაწინაურებამ ხელი შეუწყო განათლების, კულტურისა და მეცნიერების სფეროების განვითარებას.

XVII საუკუნე კულტურულ-საგანმანათლებლო „გამოღვიძების“ პერიოდად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამ დროს აქტიურად მოღვაწეობდა რამდენიმე პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი, ისტორიკოსი, მხატვარი და სხვ.: ვახტანგ V-ის კარის პოეტი ფეშანგი, ისტორიული პოემის, „შაჰნავაზიანის“ ავტორი; მეფე-პოეტი არჩილი, რომელმაც თავისი საგანმანათლებლო მისწრაფებებით ჯერ საქართველოში გამოიჩინა თავი, შემდგომ კი, 1705 წელს, მოსკოვში ქართული სტამბა დააარსა; იოსებ ტფილელი (სააკაძე), რომელსაც ეკუთვნის პოემა „დიდმოურავიანი“. ეს ავტორები, თავის მხრივ, მეფე-პოეტის, თეიმურაზ I-ის დიდ გავლენას განიცდიდნენ.

მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნებოდა ისტორიოგრაფიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია როსტომ ხანის მეუღლის – მარიამ დადიანის ბრძანებით „ქართლის ცხოვრების“ გადაწერა, რომელმაც თანამედროვე მკვლევრებს შორის „მარიამისეული ქართლის ცხორების“ სახელი დაიმკვიდრა. ამავე საუკუნეში მოღვაწეობდა მემატიანე ფარსადან გორგიჯანიძე. ის, როსტომ ხანის წარდგენით, ისპაჰანის ტარუღად დანიშნეს და ირანში ცხოვრების დროს დაწერა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVII ს-ის ჩათვლით. აგრეთვე, ამავე პერიოდის საინტერესო ნაშრომია სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“.

კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისით, გამორჩეულია ქართლში ვახტანგ V-ის შვილის, მეფე **გიორგი XI-ის** (1676-1688, 1703-1709) პერიოდი. მისი დავალებით შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ხელნაწერი, **სულხან-საბა ორბელიანმა** კი დაწერა „სიტყვის კონა“, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია.

ქართლისა და კახეთის ქალაქებში, სათავადოების ცენტრებსა და საეპისკოპოსო კათედრალებთან არსებობდა სკოლები, რომლებშიც ახალგაზრდები მრავალფეროვან განათლებას იღებდნენ. თბილისში ცნობილი სკოლა, აგრეთვე, ჰქონდათ კათოლიკე მისიონერებს, რომლებიც ნიჭიერ ახალგაზრდებს სასწავლებლად იტალიაშიც აგზავნიდნენ. საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის ხელშეწყობის მიზნით, ჯერ კიდევ თეიმურაზ I-ის ქართლ-კახეთში მეფობის დროს, 1629 წელს, რომში გამოიცა პირველი ქართულად ნაბეჭდი წიგნები – „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვანითურთ“.

ქართლის კულტურული აღმავლობა უფრო შესამჩნევი გახდა XVIII ს-ის დასაწყისში, ვახტანგ VI-ის მმართველობის პერიოდში, რაზეც მომდევნო გაკვეთილებში ვისაუბრებთ.

1. იმსჯელე გამუსლიმებული ბაგრატიონების ქართლ-კახეთში მმართველობის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.
2. იმსჯელეთ კლასში – მიუხედავად ქართული წარმომავლობისა, რატომ აღიქმებოდნენ საზოგადოების მიერ გამუსლიმებული მეფეები, კულტურული თვალსაზრისით, „სხვა“ ადამიანებად? რა საერთო და განმასხვავებელი შეიძლება ჰქონოდათ მათ ქართველი საზოგადოების წევრებთან?
3. კლასში დაიყავით მეფე თეიმურაზ I-ისა და როსტომ ხანის პოლიტიკის მხარეებად და მოაწყვეთ დისკუსია თემაზე: „როგორი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს მმართველს საკუთარი ხალხისა და ქვეყნის მომავლისთვის?“. თქვენი პოზიციები არგუმენტებით გაამყარეთ.

36/37 რატომ იყო XVII საუკუნე განსაკუთრებით ქაოსური დასავლეთ საქართველოში?

XVII ს-ის დასაწყისში დასავლეთ საქართველო დაშლილი იყო ოთხ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად: იმერეთის სამეფოდ და სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებად. მართალია, იმერეთის მეფეები ცდილობდნენ, სამთავროებზე გავლენა მოეპოვებინათ, მაგრამ დაქუცმაცების პროცესი იმდენად შეუქცევადი იყო, რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. თითოეული სამთავროს მმართველი საგვარეულო საკუთარ პოზიციას არ თმობდა. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ განვითარდა მოვლენები XVII ს-ში დასავლეთ საქართველოში და რატომ ახასიათებდათ მათ ქაოსურობა.

1555 წლის ამასიისა და 1612 წლის სტამბოლის ზავების მიხედვით, დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროში შედიოდა. XVII ს-ის საწყის ეტაპზე ოსმალეთი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ანატოლია მასშტაბურმა აჯანყებებმა მოიცვა, 1606 წელს ოსმალებმა პრაქტიკულად უშედეგოდ დაასრულეს ხანგრძლივი ომი საღვთო რომის იმპერიასთან, მათ მარცხი იწვნიეს, ასევე, სეფიანთა ირანთან მიმდინარე ომში. ამას დაერთო მწვავე პოლიტიკური კრიზისი ოსმალეთის სამეფო კარზე, მაგალითად, 1618 წელს ერთი სულთანი დაამხეს, ხოლო ახალი სულ რაღაც ოთხი წლის შემდეგ მორიგი გადატრიალების მსხვერპლი გახდა. ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დაპირისპირება სამხედრო დაჯგუფებებს შორის. ოსმალეთში შექმნილი ვითარებით დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები თავდაპირველად კარგად სარგებლობდნენ, შეთანხმებულად მოქმედებდნენ – სულთნის ხელისუფლებას პრაქტიკულად არ ემორჩილებოდნენ, პოლიტიკას დამოუკიდებლად წარმართავდნენ, თუმცა სულთანს ხარკს ნებაყოფლობით უგზავნიდნენ.

● *შენი აზრით, რატომ უგზავნიდნენ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ოსმალეთს ხარკს ნებაყოფლობით?*

წყარო ა **დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები XVII ს-ის პირველ ნახევარში**



● *წყაროს საფუძველზე იმსჯელე, დასავლეთ საქართველოს დაშლის შედეგად რომელი პოლიტიკური ერთეული აღმოჩნდა ყველაზე რთულ მდგომარეობაში და რატომ?*

დასავლეთ საქართველოში XVII ს-ში გამეფებული ქაოსი აიხსნება რამდენიმე გარემოებით:

პირველი: იმერეთის მეფეთა შეზღუდული სამხედრო და ეკონომიკური რესურსები, რამაც ბიძგი მისცა იმერელი თავადებისა და დასავლეთ საქართველოს მთავრების ურჩობასა და სწრაფვას პოლიტიკური დამოუკიდებლობისკენ;

მეორე: ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ დასავლეთ საქართველოში ეკონომიკური განვითარება დაეცა, ვაჭრობა შეიზღუდა, ყველაზე სარფიან საქმედ „ტყვეთა სყიდვა“ იქცა;

მესამე: ოსმალეთი, აღმოსავლეთ საქართველოში ირანის პოლიტიკისგან განსხვავებით, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა დასავლეთ საქართველოს, მოკრძალებული ხარკით კმაყოფილდებოდა და ხელს უწყობდა ადგილობრივი მეფე-მთავრების დაპირისპირებას. სულთანი ძლიერი, ცენტრალიზებული წარმომადგენლობის ფორმირებას არ ცდილობდა, რადგან მას ამ რეგიონში ირანისგან განსაკუთრებული საფრთხე არ მოელოდა.

ამ ფაქტორების გამო დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ჩაფლულნი იყვნენ ერთმანეთთან გაუთავებელ დაპირისპირებაში, რომლის ძირითადი მიზანი ძალაუფლების გაზრდა და მეტი ფინანსური შემოსავალი იყო.

● *იმსჯელე რატომ დაეცა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკა ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ?*

● *იმსჯელე, რატომ არ მოელოდა ოსმალეთი ირანისგან განსაკუთრებულ საფრთხეს დასავლეთ საქართველოში?*

ცნობა 1 პოლიტიკური კრიზისი ოსმალეთში

1618-1623 წლებში ოსმალეთში რამდენიმე პოლიტიკური დაჯგუფება დაუპირისპირდა ერთმანეთს. თითოეული მათგანი მიზნის მისაღწევად იანიჩართა კორპუსს იყენებდა. იანიჩარებიც ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ, რადგან თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობის განმტკიცება სურდათ. მათი უშუალო მონაწილეობით დაემხო რამდენიმე სულთანი და დიდი ვეზირი, ხოლო საკუთრივ მათ რიგებში უდისციპლინობა გამეფდა.

საერო და სასულიერო ელიტა ძნელად ეგუებოდა სიახლეებსა და რეფორმებს, ამიტომაც მაქსიმალურად ცდილობდა მათ შეფერხებას. ასეთი ჯგუფებისგან დისტანცირების მიზნით სულთანმა ოსმან II-მ (1618-1622) დედაქალაქის სტამბოლიდან ანატოლიაში გადატანაც სცადა, მაგრამ ამ გეგმას ემსხვერპლა. კრიზისულ პერიოდში ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა წარმოშობით ქართველი დიდვეზირის, **მეჰმედ ფაშას** მოღვაწეობა. 1622-1623 წლებში მან მეტ-ნაკლებად მოახერხა, ოსმალეთში წესრიგი დაემყარებინა.

წყარო ბ **ოსმალეთის სულთანი მურად IV (1623-1640) იანიჩართა შორის, XVII ს., ავსტრიის ეროვნული ბიბლიოთეკა, ვენა**



წყარო გ **ლევან II დადიანი, ქრისტოფორო დე კასტელი, XVII ს., პალერმოს კომუნალური ბიბლიოთეკა, იტალია**



XVII ს-ის პირველი ნახევარი ოდიშის (სამეგრელოს) მთავრის, **ლევან II დადიანის** (1611-1657) მოღვაწეობის ხანაა. ის ნიჭიერი და მეტად ენერგიული მმართველი იყო, რომელიც ბევრს აკეთებდა საკუთარი სამთავროს განვითარებისთვის. ლევანმა თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და ნიჭიერმა სამხედრო მეთაურმა. მან პატარა ზარბაზნებითა და თოფებით აღჭურვილი ძლიერი ჯარი შექმნა. დადიანმა მოხერხებულად გამოიყენა ოსმალეთში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი და დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმართვა დაიწყო, რაც მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად. დადიანმა ყველა მეზობელი სამთავროს დამარცხება და დამორჩილება შეძლო:1625 წელს გურიის მთავარი დაატყვევა და მის ნაცვლად გურია სამართავად დასავლეთ საქართველოს კათალიკოს მალაქიას ჩააბარა, რომელიც ლევანის *მარიონეტი* იყო; მან რამდენჯერმე დალაშქრა და დახარკა აფხაზეთი. სამეგრელოს მთავრის დღითიდღე გაძლიერება აშფოთებდა იმერეთის მეფე გიორგი III-ს (1604-1639), რომელმაც დადიანთან ომისთვის მზადება დაიწყო, მაგრამ ბრძოლებში რამდენჯერმე დამარცხდა და ბოლოს ტყვედაც კი ჩავარდა. ოდიშის სამთავრო დასავლეთ საქართველოს ჰეგემონად იქცა.

წყარო დ **XIX-XX სს-ის ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე ლევან დადიანის იმერეთში ლაშქრობების შესახებ წერს:**

იმერეთის მეფესთან საბრძოლველად ლევან დადიანი დიდ ყურადღებას აქცევდა თავის სამხედრო ძალთა გაძლიერებას. მან გაიჩინა ძლიერი არტილერია, 30-მდე ზარბაზანი, რომელიც ჩამოასხმევინა და გაამართვინა ერთ ფრანგ მეზარბაზნეს. ამ არტილერიით დადიანი ქუთაისის ციხის აღებას ფიქრობდა. 1645 წელს ლევან II-მ დიდი ჯარითა და ზარბაზნებით გაილაშქრა იმერეთზე და თავს დაესხა ქუთაისს, რომელსაც იმერეთის ჯარის გარდა, ლენტეხელი სვანები და ოსმალ-მესხთა ჯარი იცავდნენ. ქუთაისის აღება დადიანმა ვერ მოახერხა, რადგან ქალაქს შემოვლებული ჰქონდა ხის კოშკებითა და თხრილებით გამაგრებული მტკიცე ჯებირი, მაგრამ მაინც დიდი ზიანი მიაყენა: აიკლო ქალაქის ერთი ნაწილი, ზარბაზნებით დაანგრია მეფის სასახლეები, დაარბია ახლომახლო სოფლები და დიდი ნადავლით დაბრუნდა უკან.

- *იმსჯელე, პოლიტიკური თვალსაზრისით, რა მიზანს მიაღწევდა ლევან დადიანი ქუთაისის აღებით?*
- *იმსჯელე, რატომ იბრძოდნენ ოსმალები და მესხები იმერეთის მეფის მხარეს?*

მარიონეტი – თეატრალური თოჯინა, რომელსაც მსახიობი ძაფების ან წვრილი მავთულების მეშვეობით ამოძრავებს; აქ: მთავრობა ან სახელმწიფო, რომელიც სხვა სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება.

ლევანმა კავშირი შეკრა ქართლის სამეფოსთან. ამ ალიანსის განმტკიცებას ემსახურებოდა ლევანის დის, მარიამის გათხოვება ქართლის მეფე როსტომ ხანზე. პარალელურად მან გააქტიურა საგარეო პოლიტიკა და ირანთან დაამყარა კავშირი. შაჰმა მას ყოველწლიური ჯამაგირი დაუნიშნა და თოფ-იარაღსაც აწვდიდა. სწორედ ამიტომ ლევანმა უარი შეუთვალა ოსმალეთის სულთანს მურად IV-ს, როცა მან ირანის წინააღმდეგ ომში მოუხმო ჯარით. მან, ასევე, რუსეთთან კავშირის დამყარებაც დააპირა, ხოლო დასავლეთ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების შუამავლობით რომის პაპთანაც სცადა ურთიერთობის დამყარება.

- *იმსჯელე, რა საშინაო და საგარეო მიზნებს აღწევდა ლევან დადიანი ქართლის მმართველებთან დამოყვრებით?*
- *შენი აზრით, რატომ დაამყარა კავშირი ლევან დადიანმა ირანთან?*

ლევან დადიანი ენერგიულად მოქმედებდა თავისი სამთავროს არა მხოლოდ სამხედრო გაძლიერებისათვის, არამედ მისი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისთვისაც. იგი სამეგრელოში იწვევდა ევროპელ ვაჭრებს, ხელოსნებსა და მისიონერებს. მისი მმართველობის პერიოდში რუხი ქალაქად იქცა, რომელშიც მან სომეხი და ებრაელი ხელოსნები ჩაასახლა. ლევანს სურდა ირანული და ქართული აბრეშუმი საქართველოს გზით ევროპაში გაეტანა და ქვეყნისთვის სატრანზიტო ფუნქცია მოეპოვებინა. ამ პროექტში მისი თანამოაზრე იყო ქართლის მეფე ვახტანგ V, რომელიც ფრანგებს სთავაზობდა, საქართველოს გავლით ირანთან სავაჭრო გზა გამოეყენებინათ.

წყარო 2 **XX ს-ის ისტორიკოსი ილია ანთელავა ლევან II დადიანის „ევროპულ გეზზე“ წერს:**

რა მიზნები ჰქონდა ლევან II დადიანს, როცა კათოლიკე მისიონერებს თავის სამთავროში იღებდა, რა პოლიტიკური სარჩული ედო ამ აქტს?! ოდიშის მთავარს კარგად ესმოდა, რომ იგი სამხედრო დახმარებას ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპიდან ვერ მიიღებდა. ამგვარი აზრი მხოლოდ ფუჭი ოცნება თუ იქნებოდა... ოდიშის მთავარს კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება სურდა ევროპის ქვეყნებთან, რასაც მისი სამთავროს კულტურულ-ეკონომიკური დონე და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ძალაც უნდა აეწია... ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს საქართველო მთლიანად იყო მოწყვეტილი დასავლეთის სამყაროს და აქ წარმოდგენა არ ჰქონდათ იმ დიდი ძვრების შესახებ, რაც ევროპაში მიმდინარეობდა. აგრესორი სახელმწიფოებით გარემოცულ, ობიექტური პირობების გამო ჩამორჩენილ საქართველომდეც აღწევდა მოწინავე, განათლებული, კულტურული ევროპის სიო. ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ევროპასთან კავშირი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლევან II დადიანმა ესოდენი პატივით მიიღო იტალიელი მისიონერები. მთავრის კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციისათვის ფრიად დამახასიათებელია სიტყვები, რომლითაც მას იტალიელი მისიონერის, ჯოვანი და ლუკასათვის მიუმართავს: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა იტალიელი მღვდლის ნახვა, რომელი ეროვნებაც მიმაჩნია ყველაზე უფრო ნიჭიერად და განათლებულად მსოფლიოში. ჩემს წინაპრებს ყოველთვის სურდათ ენახათ და თავის გვერდზე ჰყოლოდათ ამ ეროვნების წარმომადგენლები“.

● *იმსჯელე ლევან დადიანის განზრახვის შესახებ – ოდიში გამხდარიყო ევროპისა და ირანის დამაკავშირებელი სატრანზიტო სივრცე. შენი აზრით, რა იქნებოდა ამ პროექტის განხორციელების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები?*

ლევან დადიანი ქართული კულტურის მეცნატობასაც მონდომებით ცდილობდა. მისი მითითებით, მამუკა თავაქარაშვილმა შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთი გამორჩეული ხელნაწერი, რომელიც დღეს უძველესად მიიჩნევა. დადიანი ზრუნავდა ქართულ ეკლესია-მონასტრებზე იერუსალიმში, სადაც მან სოლიდური სახსრები გაიღო ჯვრის მონასტრის რესტავრაციისა და ვალებისგან დახსნისთვის.



წყარო 3 **ზემოთ – ლევან დადიანის პორტრეტი; ქვემოთ – რუსთაველი კარნახობს მამუკა თავაქარაშვილს, მამუკა თავაქარაშვილის მინიატიურა, „ვეფხისტყაოსნის“ XVIII ს-ის ხელნაწერიდან, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი**

- *წყაროს მიხედვით იმსჯელეთ XVI ს-ის აღმოსავლური კულტურის გავლენის შესახებ ქართულ ხელოვნებაზე.*
- *დააკვირდი მინიატიურაზე გამოსახულ ლევან II დადიანის გვირგვინს და შეადარე ის სხვა ქართველი მეფე-მთავრების გვირგვინებს. შენი აზრით, ოდიშის მთავრის რა პრეტენზიის გამომხატველია ეს გვირგვინი?*

წყარო ზ **ევროპელი მოგზაურები და მისიონერები ლევან დადიანის შესახებ:**

არქანჯელო ლამბერტი: დანგრეული რომელიც იყო, ის ეკლესიები ხელახლა ააშენა; რომელსაც სახურავი არ ჰქონდა, იმას სახურავი გაუკეთა; რომელსაც ორნამენტები შემოსცლოდა, ისევ გაამშვენიერა და შეამკო. ამასთან, ყველა ეკლესიას ფრიად შეუმატა შემოსავალი. უთვალავი ოქრო-ვერცხლის ხატი დაამზადებინა, თვალ-მარგალიტით შემკობილი. ათი წლის განმავლობაში ოცზე მეტი ოქრომჭედელი ჰყავდა, რომლებიც განუწყვეტლივ ამზადებდნენ საეკლესიო ჭურჭელს.

ქრისტოფორო დე კასტელი: ვეფხვი, რომელიც ბავშვებთან თამაშობს და ლომებთან იბრძვის... [საკუთარ კარავში] იგი ერთობოდა ბავშვებთან და ლეკვებთან, შემდეგ კი სასტიკ მხეცად და დიდ მებრძოლად გადაიქცეოდა ხოლმე თავის მეზობელ მთავრებთან და მეფეებთან ბრძოლის დროს.

ჟან შარდენი: ლევან დადიანი სამეგრელოს ერთი შესანიშნავი მთავარი იყო, გულადი, დიდად გონიერი, მართალი და მტერთან ბრძოლაში გამარჯვებული. ეს მთავარი საუკეთესო ადამიანი იქნებოდა, უკეთეს ქვეყანაში რომ დაბადებულიყო.

- *შენი აზრით, რა განაპირობებდა ევროპელი მოგზაურებისა და მისიონერების დადებით დამოკიდებულებას ლევან II დადიანისადმი?*

წყარო თ **რუხის ციხე, XVII ს., ზუგდიდის მუნიციპ.**

რუხის ციხე ლევან II დადიანმა ააგო. ის მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, აფხაზეთისკენ მიმავალ მთავარ გზაზე.



მაგრამ რამდენადაც საკუთარი სამთავროს აყვავებისთვის იღვწოდა ლევან დადიანი, იმდენადვე დაუნდობელი იყო მოწინააღმდეგე ან დაუმორჩილებელი სამეფო-სამთავროების მიმართ. მაგალითად, 1646 წელს იგი იმერეთში შეიჭრა, ქალაქი ჩიხორი გადაწვა, ქალაქი ჩხარი დაანგრია, სოფლები ააწიოკა და მრავალი ტყვე ჩაიგდო ხელში. ამ მეთოდით დადიანი ცდილობდა, იმერეთის მეფის წინააღმდეგობა გაეტეხა.

წყარო ი ლევან დადიანი 1646 წლის ლაშქრობის შესახებ თავისი ბრძანებით მოჭედილი *ილორის* ხატის წარწერაში ამბობს: *ადაპტირებული წყარო*

წამოვედით გამარჯვებულები და ნაშოვრით ისე სავსენი, რომ ლაშქარი ვერ მოერია. ბალახვანზე რიონს გამოვედით და ქუთაისის ციხიდან მეფე და იმერეთის ლაშქარი შორიდან გვიმზერდა. მეფე თავისი თემისა და ქვეყნის ამოწყვეტას ხედავდა, ამდენი ნაშოვარი ტყვის ჟღივილი ესმოდა, მაგრამ ციხის დაღმა თავი ვერ გამოყვეს და ვერცა რა დაგვაკლეს. ასე შევარცხვინეთ და წამოვედით ოდიშს გამარჯვებულები.

***შენიშვნა: ილორი** – XI ს-ის ეკლესია, თანამედროვე ოჩამჩირის მუნიციპ.*

წყარო კ ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, ქრისტოფორო დე კასტელი, XVII ს., პალერმოს კომუნალური ბიბლიოთეკა, იტალია

ეკლესია აიგო XI ს-ში და იგი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. XVII ს-ში ის ლევან II დადიანმა შეაკეთა. ეკლესიაში ინახებოდა მრავალი რელიკვია, მათ შორის, წმ. გიორგის ჭედური კარედი, რომელიც ამჟამად დაცულია დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში (ქ. ზუგდიდი). 2006 წელს ილორის ეკლესიას, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი. ამჟამად ძეგლი მდებარეობს ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. უკანასკნელ პერიოდში, ოკუპაციის პირობებში, ქართული კვალის წაშლის მიზნით, ეკლესია საფუძვლიანად გადააკეთეს, რუსული ტაძრებისთვის დამახასიათებელი გუმბათი დაადგეს და კედლები შელესეს.



წყარო ლ „ახალი ქართლის ცხოვრება“ ლევან დადიანის მოღვაწეობის უარყოფითი მხარეების შესახებ: *ადაპტირებული წყარო*

დადიანი მეტად მძლავრობდა იმერეთზე. ისე გაუჭირდა *ალექსანდრეს*, რომ ქუთაისს გალავანი შემოავლო, შიგნით იჯდა და ლევანს წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ყოველ საუფლო დღესასწაულზე – შობას, ახალ წელს, ნათლისღებას, აღდგომას – შემოიჭრებოდა დადიანი და არბევდა იმერეთის ქვეყანას. ზოგს ხოცავდა, ზოგს ატყვევებდა და ყიდდა, ან დაიტოვებდა და თავს გამოასყიდებინებდა ...

... არ ანებებდა თავს ქვეყნის აოხრებას, მუსრს ავლებდა და ატყვევებდა მრავალ [ადამიანს], ყიდდა შეპყრობილ ტყვეებსა და დარჩენილ ხალხს. აჰა, ღვთის უწყალო რისხვა ამ ბოროტმოქმედებზე, რადგან მან [ლევან დადიანმა] შემოიღო წესად ბოროტი მტრის [ეშმაკის] მიერ გადმონთხეული იუდაებრივი გესლი, რომელმაც ვერცხლზე გაყიდა შემოქმედი და თავისი მოძღვარი... ნუ დაუშვას ღმერთმა ქართლში ეს ბოროტი საქმე. იქ კი უფრო მეტად გამრავლდა და ზღვარს გადავიდა ეს ცოდვა, ვიდრე დღევანდელ დღემდე. ვაი მე, რამეთუ თვით იქ მყოფი მღვდელთმთავრებიცა და სამღვდელონი შეერივნენ ამ ბოროტ სნეულებას. [ეს] არ იყო ლევან დადიანამდე და ალექსანდრემდე, მათ დროს შემოვიდა მათი სულის წარსაწყმედელად.

***შენიშვნა: ალექსანდრე** – იმერეთის მეფე ალექსანდრე III (1639-1660)*

- *შენი აზრით, რატომ აფასებენ ევროპელი მოგზაურები ლევან დადიანს დადებითად, „ახალი ქართლის ცხოვრება“ კი – პირიქით? იმსჯელე, რამდენად ახდენს გავლენას ისტორიულ წყაროებსა და პიროვნების/მოვლენის შეფასებაზე მისი ავტორების სუბიექტური დამოკიდებულება და რა მეთოდებით შეიძლება მათი ტენდენციურობის დადგენა?*
- *შენი აზრით, რატომ ესხმოდა თავს ლევან დადიანი იმერეთს მაინცდამაინც საუფლო დღესასწაულების დროს? იმსჯელე, რამდენად ახდენდა გავლენას ოდიშის მთავრის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე რელიგიური მოტივები?*

დისკუსია

მოაწყვეთ დისკუსია ლევან II დადიანის შესახებ. იმსჯელეთ მის პიროვნულ, ასევე, მისი, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, თვისებებზე.

ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო შეუკავებელი ფეოდალური ანარქია, მეფეებისა და მთავრების ტახტიდან ჩამოგდება, შეთქმულებები, ერთმანეთზე განუწყვეტელი თავდასხმები და მსგავსი განუკითხაობა ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცა. იმერეთის ტახტზე დროის მცირე მონაკვეთში ერთმანეთს ცვლიდნენ ბაგრატიონების, დადიანების, გურიელებისა და აბაშიძეების წარმომადგენლები. ქართლის მეფემ, ვახტანგ V-მ სცადა, დასავლეთ საქართველო შემოეერთებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბუნებრივია, რომ ანარქიით, პირველ ყოვლისა, ოსმალეთმა ისარგებლა და 1669 წელს ქუთაისში თავისი გარნიზონის ჩაყენება შეძლო, რაც იმერეთში გაბატონებას ნიშნავდა.

წყარო 8 კელასურის კედლის ნაშთები, XVII ს., სოხუმის მუნიციპ., აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა



არეულ ქვეყანაში ოსმალები ქუთაისით არ დაკმაყოფილებულან. საუკუნის ბოლოს მათ შავი ზღვის თითქმის ყველა სანაპირო ციხე ჩაიგდეს ხელში: ფოთი, ბათუმი, ანაკლია, ქობულეთი და სხვ. თუ XVII ს-ის პირველ ნახევარში იმერეთი იყო ოდიშის სამთავროს თავდასხმების ასპარეზი, ახლა, საუკუნის მეორე ნახევარში, როლები შეიცვალა. ოდიში დასუსტდა და თვით იქცა იმერეთის მეფის, გურიისა და განსაკუთრებით კი აფხაზი მთავრების გამუდმებული ექსპანსიის ობიექტად. საუკუნის 70-80-იან წლებში აფხაზმა ფეოდალებმა თანდათანობით დაიკავეს ტერიტორია მდინარე კოდორიდან ენგურამდე და სამეგრელოს აქაურ მოსახლეობაზე გაბატონდნენ. ოდიშ-სამეგრელოს სამთავროს ვერ უშველა ლევან დადიანის მიერ მდინარე კელასურის გაყოლებაზე აგებულმა 60-კილომეტრიანმა სიმაგრეთა სისტემამ, რომელიც აფხაზ ფეოდალთა მარბიელი თავდასხმებისაგან თავდასაცავად იყო გამიზნული.

ცნობა 2 აფხაზეთის სამთავრო

XVII ს-ის დასაწყისში აფხაზეთის ერისთავებმა – შერვაშიძეებმა – ოდიშის სამთავროსგან დამოუკიდებლობის მიღწევა შეძლეს და საფუძველი ჩაუყარეს აფხაზეთის სამთავროს, რომლის ცენტრი ზუფუ (ლიხნი) გახდა. თავდაპირველად სამთავრო მოიცავდა ტერიტორიას მდ. ბზიფსა და მდ. ცხუმს (იგივე მდ. ბესლეთი, ქ. სოხუმთან) შორის, მაგრამ ოდიშზე გამუდმებული თავდასხმების შედეგად, შერვაშიძეებმა სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ჯერ მდ. კელასურამდე გადმოსწიეს (XVII ს-ის შუა პერიოდი), შემდეგ – მდ. ღალიძგამდე (XVII ს-ის 80-იანი წლები), XVII ს-ის ბოლოს კი მდ. ენგურამდე.

გვიან შუა საუკუნეებში აფხაზეთში ქრისტიანობა შესუსტდა, წარმართობა და ისლამი კი გაძლიერდა, რამაც ამ მხარის დანარჩენი საქართველოსგან ერთგვარი „გაუცხოება“ გამოიწვია, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას მაინც ქართველები წარმოადგენდნენ. საკანცელარიო და საეკლესიო ენად კვლავ ქართული რჩებოდა.

XVII-XVIII სს-ის მიჯნაზე აფხაზეთის სამთავრო ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა. აფხაზთა მთავარს ტახტზე სულთანი ამტკიცებდა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთი მაინც ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში რჩებოდა.

● *დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს შორის ყველაზე გვიან სვანეთის სამთავრო ჩამოყალიბდა. მოიძიე ინფორმაცია მისი შექმნის შესახებ. აგრეთვე, იმსჯელე, რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან შედარებით ის ყველაზე ნაკლებად იყო ჩართული დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მუდმივ დაპირისპირებაში?*

წყარო 6 1660-იან წლებში დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელმაც საკუთარი თვალით ნანახი წერილობით ასახა და ადგილობრივთა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება აღწერა:

[იმერეთს, სამეგრელოსა და გურიას] მათივე ნებით დაუწესდა ხარაჯა. ამის მიზეზი იყო მათი ერთმანეთში მრავალი უთანხმოება და შინაური ომები; ისიც, რომ ისინი ოსმალთა ფაშებს სთხოვდნენ დახმარებას ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. ზოგი მათგანი კონსტანტინოპოლშიც კი გარბოდა და ერთმანეთს აბეზღებდა. ხარაჯას ოსმალ სულთანს აძლევდნენ. სამ წელიწადში ერთხელ ქართველებთან მოდის ხარაჯის ამკრეფი და მიაქვს ყოველი კომლიდან ზოლებიანი სელის ქსოვილი ... ამ ქსოვილს ხარაჯის ამკრეფი ქართველებში აგროვებს და მიაქვს გემით შავ ზღვაზე კონსტანტინოპოლს.

მეგრელები სულ ოთხმოცი ათასი კომლია. ამდენივეა ორი დანარჩენი ხალხიც, თუმცაღა გურიის მოსახლეობა [უფრო] ცოტაა.

... როცა მამას (ან რომელიმე ნათესავს) ბედი გაუღიმებს ან გავლენას მოიპოვებს იმ მხარის დიდებულებსა და გამგებელზე, ის თავის ძალაუფლებას იყენებს: შვილს მღვდელმთავრად ნიშნავს და მას რომელიმე სამღვდელმთავრო ტახტზე სვამს. ისიც ზის ამ ტახტზე [და არავინ კითხულობს], ღირსია იგი ამისა თუ არა. ამ ეპარქიის მთელი სამწყსო მისი ყმა ხდება, თუ მოისურვებს, მიჰყიდის თურქებს და [სხვა] ხალხს ლამაზ გოგო-ბიჭებს, ახალგაზრდა ქალებს, ჭაბუკებსა და სხვებს. ამ საქმეში ხელშემშლელი მას საერთოდ არავინ ჰყავს...

ჩვენ ვნახეთ, როგორ გაყიდა მარტო ერთ წელიწადში მოქვის ეპარქიის ეპისკოპოსმა, სახელად ანდრიამ, თავისი სამწყსოს სამოცი კაცი. ოცდასამი გაყიდა ქობულეთის ნავსადგურში, გურიის ქვეყანაში რომაა, დანარჩენი კი, ყველანი ერთად, შავი ზღვის სხვა ნავსადგურში...

ბევრი ქართველი ქრისტიანის გაყიდვას ისე უყურებს, როგორც ჩვენში – ნივთის გაყიდვას. ქართველი ქალებიც კი ყიდიან თავიანთ



მაკარი III ანტიოქიელი (დაახლ. 1600-1672)

მაკარი ქრისტიანი არაბის შვილი იყო. 1648 წელს ანტიოქიის პატრიარქი გახდა. 1650-1660-იან წლებში ის ორჯერ იმყოფებოდა რუსეთში და უდიდესი როლი შეასრულა ამ პერიოდში მოსკოვის საპატრიარქოში განხორციელებულ რეფორმებში. მისი უშუალო მონაწილეობით 1666 წელს პატრიარქობიდან გადააყენეს მოსკოვის პატრიარქი ნიკონი. არის რამდენიმე საღვთისმეტყველო ნაშრომის ავტორი.

მსახურებს და ამ გზით ნაშოვნი ფულით საჭმელ-სასმელსა და ძვირფასი აბრეშუმის სამოსს ყიდულობენ...

ქართველთა ეპისკოპოსებსა და მღვდლებს საკუთარი ლაშქრებიც ჰყავთ, ერთმანეთს რომ ებრძოლონ. როცა ერთი რაზმი მეორეს ამარცხებს, [გამარჯვებული] ძარცვავს დამარცხებულს, ათასობით კაცს თავს უყრის და [მათგან] ვისაც მოისურვებს, თურქებს ან სხვა ხალხს მიჰყიდის... ისინი ძარცვავენ ხალხს, ყიდიან და აღებული ფასით ვერცხლის ჭურჭელს იძენენ მაგიდის გასაწყობად...

ქართველთა აუგი თვისება ისიცაა, რომ მათ მიატოვეს ბევრი ხელობა, რაც სხვა ხალხს ცხოვრების სახსარს აძლევს. ასეთია მეაბრეშუმეობა. მათი ქვეყანა ხომ საოცრად [კარგი] და ნაყოფიერია. აქ ბევრია თუთის ხის ტყე, მაგრამ ცოტაა ისეთი ქართველი, ჭიას რომ უვლიდეს და ბევრი აბრეშუმი მოჰყავდეს. ბევრს არ მოსწონს ეს საქმე და ამბობს, სარფიანი არააო. ისიცაა [აღსანიშნავი], რომ ზოგიერთი მათგანი თუ თესავს სელს, ისიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სამოსელისთვის. და ეს ხდება მაშინ, როცა სელი მათთან ძალზე კარგად ხარობს. ამ საქმეს რომ ქართველებმა ბეჯითად ხელი მოჰკიდონ, როგორც სხვა ქვეყნებში სჩადიან – მოიყვანონ სელი და გაყიდონ – უთუოდ გამდიდრდებიან. ასევე კარგად ხარობს აქ კანაფის ხე. რაც შეეხება ნიორს, ის ბროწეულისოდენა იზრდება. კარგად მოდის, აგრეთვე, თუთუნი, ხახვი და სხვ. ქართველები რომ სხვა ხალხებივით შრომობდნენ და ყიდდნენ თავიანთი გარჯის ნაყოფს იმ გემებით, რომლებიც შავი ზღვითა და დიდი მდინარეებით შემოდიან, ისინი ნამდვილად გამდიდრდებოდნენ. ამასთანავე, ისინი არ იხდიან არც ბეგარას, არც ბაჟს, არც [შემოსავლის] მეათედს და არც რაიმე [გადასახადს]. ქართველები ცუდ ხელობაში არიან გამრჯენი. ეს ხელობა კი ის გახლავთ, რომ ერთმანეთს ყიდიან. დღის უმეტეს ნაწილს ისინი უქმად ატარებენ და არც ჰყავთ ჭეშმარიტ გზაზე დამყენებელი...

ქართველთა შორის ისეთებიც არიან, რომლებიც, როცა ხედავენ, ყმა გლეხს რამდენიმე შვილი ჰყავსო, ხოცავენ ბავშვების მშობლებს, ბავშვებს კი ყიდიან. ამიტომაა, რომ ქართველებში არ არიან ობლები – როგორც კი მათ მშობლები ან ერთ-ერთი მშობელი უკვდებათ, ქართველები ყიდიან ობლებს და ხშირად ქვრივ ქალებსაც. ჩვენ გვინახავს ბევრი ქართველი, [საკუთარი] ცოლი ან და-ძმა რომ გაუყიდია.

ისინი [ქართველები] არ დადიან ქვეყნიდან ქვეყანაში სავაჭროდ, არც თავისი ქვეყნის შიგნით ვაჭრობენ. მეგრელი არ მიდის სავაჭროდ იმერეთში, არც იმერელი – გურიაში, არც გურული – თბილისში. საერთოდ, ქართველებში არავინაა ვაჭარი კაცი. ყველა ვაჭარი ამ ქვეყანაში არის სომეხი, ებრაელი, ბერძენიც გვხვდება. ესენი ქართველებს შორის ცხოვრობენ და მათი ქვეშევრდომნი არიან. ეს ვაჭრები ქართველებს [თავიანთ საქონელს] ერთიორად და ერთისამად მიჰყიდიან ხოლმე, მაგრამ ქართველები მაინც მფარველობენ მათ და პატივისცემით ექცევიან. ეს ვაჭრები აძლევენ ქართველებს ქსოვილებს, სანაცვლოდ კი ადამიანები მიჰყავთ, რომლებსაც მერე ყიდიან და ერთიორად ან ერთისამად იგებენ. სწორედ ეს სომხები და ებრაელები არიან აქ მდიდრებიცა და წარჩინებულებიც. ქართველები (თავადები და მთავრებიც კი) სულ მათ ვალში არიან. ყოველ ვაჭარს შინ ჰყავს რამდენიმე ქართველი – მსახურად და მოახლედ...

ენით აუწერელია, თუ რაოდენ მცირედი საჭმლით კმაყოფილდებიან ქართველები, კაცი თუ ქალი. პატარა ნატეხი პური ხახვით, ნაჭერი ყველით ან რაიმე ამდაგვარით უკვე ანაყრებს მათ. ბევრი მათგანი იმითაც კმაყოფილდება, რომ საუზმედ და ვახშმად მარტო ღომს ჭამს უშეჭამადოდ. უმეტესად ისინი მარტო ღომს ჭამენ და მხოლოდ და მხოლოდ ღვინოს აყოლებენ. ეს ორი რამაა მათი საკვები მთელი სიცოცხლის განმავლობაში... ღარიბობა და [საერთოდ] მოსახლეობის უმრავლესობა ძალზე იშვიათად ჭამს ხორცეულს... ქართველები თევზის მოყვარულები არ არიან...

- *წყაროს მიხედვით, რატომ დაუწესდა იმერეთს, სამეგრელოსა და გურიას ხარაჯა?*
- *ანტიოქიის პატრიარქი მაკარი ქართველებს შემდეგნაირად ახასიათებს: „ქართველები ცუდ ხელობაში არიან გამრჯენი“. რომელ მანკიერ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას მაკარი?*
- *რომელი სამეურნეო დარგების განვითარებაზე აიღეს ხელი ქართველებმა და რატომ?*
- *იმსჯელე, რატომ არ ვაჭრობდა სამეფო-სამთავროების მოსახლეობა ერთმანეთში, კერძოდ: „მეგრელი არ მიდის სავაჭროდ იმერეთში, არც იმერელი – გურიაში, არც გურული – თბილისში“?*
- *წყაროს მიხედვით, იმსჯელე, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა სამეფო-სამთავროების მოსახლეობას ერთმანეთთან?*
- *იმსჯელეთ კლასში – რა მიზეზებმა განაპირობა დასავლეთ საქართველოში ის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, რომელსაც აღწერს წყაროს ავტორი?*

წყარო ო **მოქვის საკათედრო ტაძარი, ოჩამჩირის მუნიციპ., აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა**

ტაძარი X ს-ში აფხაზთა მეფე ლეონ III-მ ააგო. საუკუნეების განმავლობაში იგი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანი კერა იყო, სადაც ხელნაწერთა გადაწერა ხდებოდა. ტაძარში მრავალი ქართული წარწერა იყო, რომელთა უმეტესობა შემორჩენილი აღარ არის. დღეს მოქვის ტაძარი რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს.



მოაწყვეთ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა იმიტირებული შეკრება ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. დაიყავით იმერეთის, ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის „დელეგაციებად“ და წარმოადგინეთ სირთულეების მოგვარების თქვენეული პროექტები. აღნიშნეთ ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები და შეჯერდით კომპრომისულ ვერსიაზე.

38 რატომ მოღვაწეობდნენ კათოლიკე მისიონერები დასავლეთ საქართველოში?

XVII ს-ის საქართველოში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, მრავალი კათოლიკე მისიონერი მოღვაწეობდა. ამ გაკვეთილიდან გაიგებ, რას საქმიანობდნენ ისინი, რა მიზნები ჰქონდათ და რა სახის ცნობები შემოგვინახეს ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრების შესახებ.

XVI ს-ის მიწურულს განუწყვეტელი ომებისგან დასუსტებულმა ოსმალეთმა ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო. ამ დროიდან ისლამურ სამყაროსა და კათოლიკურ ევროპას შორის რელიგიური დაპირისპირება სავაჭრო-ეკონომიკურმა ინტერესებმა დაჩრდილა. ამ ინტერესებს ემსახურებოდნენ ევროპის ქვეყნების (საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია) მიერ აღმოსავლეთში წარგზავნილი დიპლომატები, რომელთაგან ზოგი მისიონერი იყო, ზოგიც – *კომერსანტი*. ისინი საქართველოშიც, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, იმყოფებოდნენ.

კომერსანტი – პირი, რომელიც კომერციულ საქმიანობას ეწევა, მოვაჭრე.

1622 წელს რომში დაარსდა რწმენის გამავრცელებელი სამისიონერო ორგანიზაცია **„პროპაგანდა ფიდე“** (ლათ. „რწმენის გავრცელება“), რომელსაც მიზნად ჰქონდა კათოლიკური რწმენის გავრცელება და გაძლიერება, მათ შორის – ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

წყარო ა **„პროპაგანდა ფიდეს“ სასახლე რომში. ალესანდრო სპეკის გრავიურა, 1699**



კათოლიკე მისიონერების საქართველოში გამოსაგზავნად რომის პაპთან შუამდგომლობა გასწია იტალიელმა მოგზაურმა, დიპლომატმა და ქართველების დიდმა გულშემატკივარმა **პიეტრო დელა ვალემ** (1586-1652). მან მოხსენება წარუდგინა რომის პაპ ურბან VIII-ს (1623-1644), რომელშიც აღწერილი იყო საქართველოს ურთულესი მდგომარეობა და მისი გამოყენების შესაძლებლობა რომის პოლიტიკური მიზნებისთვის. ამ დროს ოსმალეთსა და ირანს შორის კვლავ სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა (1623-1639). საქართველოში გამოსამგზავრებლად პიეტრო დელა ვალემ მისიონერებს სამი სხვადასხვა გზა შესთავაზა: 1. კონსტანტინოპოლის გზა, 2. ირანის გზა, 3. პოლონეთის (რეჩ-პოსპოლიტას) გზა.

წყარო ბ კათოლიკე მისიონერების საქართველოში ჩამოსვლის გზები XVI ს-ში



წყარო გ **ამონარიდი პიეტრო დელა ვალეს მიერ რომის პაპ ურბან VIII-ისთვის მომზადებული მოხსენებიდან:**

პოლონეთის მეფეს ოდიშისა და გურიის მთავრებთან მეგობრობა აკავშირებს. მათ ქვეყნებს შორის ხშირად დადიან სავაჭრო ხომალდები. ამ გარემოებას შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს ქართველებისთვის, რადგან დღეს შავ ზღვაზე *კაზაკები* ბატონობენ და საფრთხეს უქმნიან თურქებს. ამ გზით, პოლონეთის მეფეს შეუძლია, დიდად დაეხმაროს ქართველებს იმ გასაჭირში, რომელიც მათ ადგებათ სპარსელების ან თურქების მხრიდან. ქართველებს კი შეეძლებათ, თავიანთი ნავსადგურები და უსაფრთხო ნაპირები შესთავაზონ კაზაკებს მათი საქმიანობისთვის. ამით ქართველები ჩვენთვისაც ძლიერ გამოსადეგნი იქნებიან, თუ ოდესმე დიდი რამ დავიწყეთ ზღვით ან ხმელეთით, ოსმალეთისა და განსაკუთრებით, კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ.

შენიშვნა: კაზაკები *– დნეპრის შესართავთან მცხოვრები უკრაინელი თავისუფალი გლეხების გასამხედროებული თემები.*

- *ზემოთ ჩამოთვლილი სამი გზიდან პიეტრო დელა ვალეს ყველაზე საიმედოდ პოლონეთის გზა მიაჩნდა. შენი აზრით, რატომ?*
- *ოსმალეთთან მიმართებით, რა სახის პოლიტიკური გათვლა იგრძნობა პიეტრო დელა ვალეს მოხსენებაში? მისი აზრით, რა სარგებლობის მოტანა შეეძლო სამომავლოდ საქართველოს კათოლიკური სამყაროსთვის?*

მისიონი – რომის ეკლესიის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში წარგზავნილ მისიონერთა დასახმარებლად შექმნილი ორგანიზაცია.

1626 წლის 4 მაისს „პროპაგანდა ფიდემ“ გამოსცა დეკრეტი საქართველოში *მისიონის* დაარსების შესახებ. გასაგზავნად შეირჩა ერთ-ერთი კათოლიკური ორდენის, **თეატინელების** ხუთი ბერი.

პირველი თეატინელი ბერები 1628 წელს გამოჩნდნენ გორსა და თბილისში, მაგრამ ირანელებთან მიმდინარე საომარი მოქმედებებისა და გამუსლიმებული როსტომ ხანის ქართლში გამეფების გამო მალე დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლეს. მისიონერები წლობით საქმიანობდნენ ოდიშისა და გურიის სამთავროებში, იმერეთის სამეფოში. 1660-იანი წლებიდან თეატინელები **კაპუცინელთა ორდენის** ბერებმა ჩაანაცვლეს. მათ გახსნილი ჰქონდათ სკოლები თბილისში, გორსა და ახალციხეში, სადაც მოსწავლეებს ასწავლიდნენ ლათინურსა და იტალიურ ენებს, საუკეთესოებს კი სწავლის გასაგრძელებლად რომში გზავნიდნენ.

განათლებული, სამეურნეო საქმეებსა და მკურნალობაში გაწაფული მისიონერები სწავლობდნენ ქართულად წერა-კითხვას. ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების გამო მათ მალე დაიმსახურეს ხალხის კეთილგანწყობა. მეფე-მთავრები ხშირად სარგებლობდნენ მათი რჩევებით, სამედიცინო ცოდნითა და დიპლომატიური სამსახურით.

მისიონერებს დავალებული ჰქონდათ, შეეკრიბათ ცნობები ქვეყნის ისტორიაზე, აღეწერათ მისი გეოგრაფიული თავისებურებები, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, ტრადიციული მეურნეობა და ყოფა; შეედგინათ საკუთარი მუშაობის ანგარიშები და ყოველივე ეს გაეგზავნათ რომში.

- *იმსჯელე, რატომ იყო მნიშვნელოვანი მისიონერებისთვის ადგილობრივთა კეთილგანწყობის მოპოვება?*
- *შენი აზრით, რისთვის სჭირდებოდათ „პროპაგანდა ფიდეში“ საქართველოს დაწვრილებითი აღწერა?*
- *როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა აქვს კათოლიკე მისიონერების ჩანაწერებს საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის? შეგვიძლია ისინი სანდო წყაროდ მივიჩნიოთ? შენი მოსაზრება დაასაბუთე.*

წყარო დ **ფრაგმენტები 1630-1649 წწ-ში სამეგრელოში მოღვაწე თეატინელთა ორდენის ბერის, არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერიდან“:**

დადიანმა იცის, რამდენი სამეფო ჩაუნთქავს ოსმალეთს, ამიტომ, მისი სამეფოც რომ არ გასრისოს, ცდილობს, მეგობრად მოაჩვენოს თავი. ამგვარი მეგობრობის ნიშნად, სულთნის ვეზირებს დადიანი ყოველწლიურად ფეშქაშებს უგზავნის, ხოლო ორ წელიწადში ერთხელ თავად სულთანს – ხარკს. ოღონდ ამას ისე აკეთებს, რომ საკუთარი ღირსება არ დაამცროს და ოსმალეთიდან მოსულ არცერთ ბრძანებას არ ასრულებს.

...

დადიანი ცდილობს ოსმალები დაარწმუნოს, რომ სამეგრელოზე ღარიბი ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ არსებობს. ამისთვის, როცა ოსმალეთიდან ელჩები ჩამოდიან, საზღვარზე მათ თავის კაცებს ახვედრებს, რომელთაც ნაბრძანები აქვთ, ელჩები ატარონ ციცაბო კლდეებზე, ტალახიან გზებზე, მდინარის ძნელად მისადგომ ნაპირებზე, დააბინაონ რომელიმე ღარიბი გლეხის სახლში, სადაც ლოგინად თივას გაუშლიდნენ და საკვებად მხოლოდ ყველსა და მწვანილს მიართმევდნენ.

...

დადიანმა სრულებით განაახლა ქვეყანა იმით, რომ მრავალი უცხო ხალხი მოიწვია, განსაკუთრებით, სომხები და ებრაელები, რომლებიც დიდ ვაჭრობას ეტანებიან. მათ მისცა ფული და ცხენები, რათა სპარსეთიდან და ოსმალეთიდან ოდიშში ბევრი ახალი საქონელი ჩამოიტანონ, რომლის სახელები ადრე არც კი იცოდნენ მეგრელებმა და მხოლოდ საკუთარ ნაწარმს უცვლიდნენ ერთმანეთს. ახლა კი მთავარს ზარაფხანა აქვს გაკეთებული, სადაც ყოველწლიურად რამდენიმე ათას მანეთს ჭრიან. ხალხის გასამრავლებლად მთავარი [დადიანი] დიდი წყალობით იზიდავს უცხოელ ხელოსნებს და იმისათვის, რომ მოსული აქედან აღარ წავიდეს, აძლევს სახლს, მიწა-ადგილს და ყველაფერს, რაც კი შეეფერება მოსულის წოდებასა და მდგომარეობას.

***შენიშვნა: დადიანი** – იგულისხმება ოდიშის (სამეგრელოს) მთავარი ლევან II დადიანი (1611–1657).*

- *დაახასიათე სამეგრელოს ვაჭრობა: როგორი ყოფილა იგი ადრე, როგორ ცდილობს ლევან დადიანი ვაჭრობის გამოცოცხლებას? ოდიშის მოსახლეობის რომელი ნაწილია ჩაბმული ვაჭრობაში? რით ვაჭრობს ეს ნაწილი?*

დასავლეთ საქართველოში მრავალი წელი გაატარა თეატინელმა მისიონერმა **ქრისტოფორო დე კასტელიმ**, რომელმაც ბევრი მეფე-მთავრისა და უბრალო ადამიანის ცხოვრების ამსახველი ჩანახატები დაგვიტოვა.

წყარო ე **ქრისტოფორო დე კასტელის ჩანახატები: 1. იმერეთის მეფე ალექსანდრე III (1639-1660); 2. ოდიშის მთავრისა და იმერეთის მეფის შერიგება; 3. ცხენზე ამხედრებული იმერელი პრინცესა, მეფე ალექსანდრეს და; 4. თამუნია შარვაშიძე – ლევან დადიანის პირველი მეუღლე; დადიანმა მას ღალატი დასწამა, მისთვის ცხვირი და ყურები დააჭრევინა და მამას, აფხაზთა მთავარს დაუბრუნა; 5. გურიელის ქალიშვილი ელენე ტირის კასტელის გურიიდან გამგზავრების გამო; 6. ადამიანის ხეზე დაკიდება; 7. ჩონგურის დამკვრელი ქალი, გურია. ქრისტოფორო დე კასტელი, XVII ს., პალერმოს კომუნალური ბიბლიოთეკა, იტალია**















- *დააკვირდი წყარო ე-ს, ვინ ადგამს მეფე ალექსანდრეს გვირგვინს? რის ნიშანია ეს? შენი აზრით, ვისი სურვილი ან დაკვეთა შეიძლება ყოფილიყო მეფის ამგვარად გამოსახვა?*
- *მისიონერებისადმი როგორ დამოკიდებულებას აღნიშნავს ელენე გურიელის ჩანახატი?*
- *წყაროს მიხედვით, როგორ აღწერს დასავლეთ საქართველოს საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას ქრისტოფორო დე კასტელის ჩანახატები?*
- *იმსჯელეთ კლასში, რატომ არის ქრისტოფორო დე კასტელის ჩანახატები მნიშვნელოვანი წყარო ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესწავლისთვის?*

1672-1673 წლებში საქართველოში იმყოფებოდა ფრანგი კომერსანტი **ჟან შარდენი**, რომელიც თავისი სავაჭრო საქმიანობით ინდოეთთან და ირანთან იყო დაკავშირებული. იგი შესანიშნავად იცნობდა ირანის სამეფო კარის ცხოვრებასა და საქართველოსთან მის ურთიერთობას. საქართველოში იგი მოხვდა ირანში მეორედ ჩასვლის დროს, როცა დროის მოსაგებად კონსტანტინოპოლის გზა აირჩია, შავი ზღვის გავლით. საქართველოში ყოფნისას მან მოიარა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, გაეცნო მთავრებსა და მეფეებს. თავის მდიდარ შთაბეჭდილებებს საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესახებ მან თავი მოუყარა წიგნში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“.

წარმოიდგინე თავი XVII ს-ის დასავლეთ საქართველოს მცხოვრებად. 36/37-ე და 38-ე გაკვეთილების საფუძველზე წერილობით აღწერე შენი ყოველდღიური ცხოვრება: სამეურნეო საქმიანობა, საკვები, მოსალოდნელი საფრთხეები, პოლიტიკური მოვლენები და ა. შ.

39 რატომ დაშორდა ქართულ კულტურულ სივრცეს ახალციხის საფაშო?

XVI საუკუნიდან სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ოსმალები ამ მხარის *ინკორპორირებას* შეუდგნენ. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ შეიქმნა ახალციხის საფაშო და როგორ დაშორდა ის ქართულ კულტურულ სივრცეს.

ინკორპორაცია/ინკორპორირება (ლათ. in-ში, corporare – სხეულად ქცევა) – ჩართვა, მიღება რისამე შემადგენლობაში.

სამ კონტინენტზე გადაჭიმული ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა. მან შედარებით სრული სახე XVI ს-ის მეორე ნახევარში, სულთან მურად III-ის მმართველობის დროს მიიღო.

თავდაპირველად იმპერია დაყოფილი იყო ორ მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულად – **საბეგლარბეგოდ**. იმპერიის ევროპული ნაწილი – რუმელიის, ხოლო აზიური მიწები ანატოლიის საბეგლარბეგოებად იწოდებოდა. ოსმალთა დაპყრობითმა ომებმა და ტერიტორიულმა ზრდამ ახალშემოერთებული მიწების ხელახალი ადმინისტრაციული დაყოფის საჭიროება დააყენა, ამიტომაც ახალი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების აღსანიშნავად შემოიღეს ახალი ტერმინი – **ეიალეთი** (არაბ. „პროვინცია“, „მხარე“), ანუ საფაშო (XIX ს-ში ეიალეთს „ვილაიეთი“ ეწოდა). ეიალეთები ორი ტიპის იყო: პირველი – რომელიც *სალიანეს* არ იხდიდა, მეორე კი – პირიქით. პირველ კატეგორიაში ითვლებოდნენ ის პროვინციები, რომლებშიც ოსმალებმა ფეხი მყარად მოიკიდეს და თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა დანერგეს. ისინი ყოველწლიურ ხარკს კი არ იხდიდნენ, არამედ ოსმალურ საგადასახდო სისტემაში იყვნენ ჩართულნი. სალიანეს მქონე ეიალეთებში კი გამგებლები ნახევრადდამოუკიდებელ მმართველებს წარმოადგენდნენ, თავად კრეფდნენ გადასახადებს და მის ნაწილს ყოველწლიური ხარკის სახით აძლევდნენ ოსმალებს. XVII ს-ის დასაწყისში ოსმალეთში 32 ეიალეთი იყო, მათ შორის, 23 პირველ კატეგორიას განეკუთვნებოდა.

სალიანე – რეგულარული გადასახადი ოსმალეთის პროვინციებში.

● *შენი აზრით, რით უნდა ყოფილიყო განპირობებული ოსმალეთის ეიალეთების ორგვარი კატეგორიის არსებობა?*

წყარო ა ოსმალეთის იმპერია XVII ს-ის დამდეგს



ეიალეთები იყოფოდნენ უფრო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად – **სანჯაყებად** (ლივა), ესენი კი – ყაზებად.

თუღი – ხის გრძელ ტარზე მიბმული ცხენის ძუა, თურქული მოდგმის ხალხების ძველი ტოტემური სიმბოლო. ოსმალეთის იმპერიაში თუღი დიდმოხელეთა სამხედრო წოდებისა და უფლებამოსილების ნიშანი იყო. ზოგჯერ მას თავსაბურავზეც იმაგრებდნენ.

სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების სათავეში ფაშები იდგნენ. თავად ეს ფაშები სხვადასხვა რანგისანი იყვნენ, რაზეც *თუღების* რაოდენობა მეტყველებდა. როგორც წესი, სანჯაყბეგები იყვნენ ერთთუღიანი ფაშები, ბეგლარბეგები – ორთუღიანი, ვეზირები კი – სამთუღიანი.

წყარო ბ ოსმალური *თუღები*, XVI ს.



წყარო გ **ბოსნიის ეიალეთის ბეგლარბეგი, XVII ს.**



ეიალეთებს მართავდნენ ბეგლარბეგები, რომელთაც სულთანი ნიშნავდა. მათ ჰქონდათ სამხედრო, სამოქალაქო და, ნაწილობრივ, სასამართლო უფლებამოსილებები. ბეგლარბეგებს რამდენიმე წლით ნიშნავდნენ, რათა თავიდან აერიდებინათ მათი გაძლიერება ცალკეულ პროვინციებში. სამემკვიდრეო ბეგლარბეგობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში დაიშვებოდა. მათ ემორჩილებოდნენ სანჯაყთა მეთაურები – სანჯაყბეგები. ეიალეთის საქმეების განხილვისას ბეგლარბეგი იწვევდა დივანს, რომელსაც „ფაშას დივანი“ ეწოდებოდა. საფინანსო საქმეებს **დეფთერდარი** წარმართავდა. შარიათის კანონების დაცვასა და რელიგიურ საკითხებს ეიალეთის ცენტრში მჯდომი ყადი კურირებდა. ადგილობრივი ყადები იდგნენ ყაზების ხელმძღვანელები. ისინი ადგილზე ფლობდნენ როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას.

- *განვლილი მასალიდან გაიხსენე, როგორი იყო ამ პერიოდში ქართულ სამეფოებში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და შეადარე ის ოსმალეთის მოდელს.*

ჯერ კიდევ XVI ს-ის პირველ ნახევარში ოსმალებმა სამცხის დასავლეთი ნაწილი დაიპყრეს, ეს ტერიტორია სანჯაყებად დაყვეს და აქ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღება დაიწყეს. ამ პროცესს აღმოსავლეთ ნაწილში 1578 წლიდან შეუდგნენ, მას შემდეგ, რაც ირან-ოსმალეთის მეორე ომი დაიწყო და ოსმალების არმიამ, მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით, სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია დაიკავა. სამცხის ათაბაგი ყვარყვარე IV (1573-1581) და მისი ძმა მანუჩარი ოსმალებს ეახლნენ და მორჩილება გამოუცხადეს. ოსმალთა სარდალი ჯაყელებს ჰპირდებოდა, რომ სამცხე-საათაბაგო იქნებოდა ოსმალების ვასალური, მოხარკე ქვეყანა, ოსმალეთი შეინარჩუნებდა მის დამოუკიდებლობას, არ ჩაერეოდა მის შიდასაქმეებში და არ შეავიწროებდა ქრისტიანებს. სამცხე-საათაბაგოს მხოლოდ ხარკი უნდა გადაეხადა და ოსმალეთის მხარეს საბრძოლველად ჯარი გამოეყვანა. ეს სავსებით მისაღები პირობები იყო ჯაყელებისთვის, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდნენ დანარჩენი ქართული სახელმწიფოებისგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

წყარო დ **1578 წელს მუსტაფა ლალა-ფაშა მანუჩარ ჯაყელისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა:**

ეცნობოს შენს ქვეშევრდომებს, რათა თქვენი ქვეყანა დაცულ იქნეს ძარცვა-გლეჯისაგან და გაცამტვერებისაგან, განსაკუთრებით კი სარწმუნოება.

- *შენი აზრით, რა განაპირობებდა ოსმალების ამგვარ დამთმობ პოლიტიკას სამცხის მიმართ?*

თუმცა, ოსმალებმა დაპირებებს მაშინვე გადაუხვიეს, როგორც კი ირანთან საომარ მოქმედებებში აშკარა წარმატებას მიაღწიეს და მთელი ამიერკავკასია დაიმორჩილეს. სულთანმა მურადმა განიზრახა სამცხის გადაქცევა ოსმალეთის საბეგლარბეგოდ. სამცხე-საათაბაგოს ოსმალებისთვის ძალიან დიდი სამხედრო და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ რეგიონის ფლობით ოსმალები მყარად გააკონტროლებდნენ ქართულ სამეფო-სამთავროებს და ხელსაყრელი პლაცდარმი ექნებოდათ ირანზე თავდასასხმელად. 1579 წელს ყვარყვარე და მანუჩარ ჯაყელები სამცხე-საათაბაგოს სტატუსის განსახილველად სტამბოლში მიიწვიეს.

წყარო 2 სტამბოლში მყოფი ფრანგი დიპლომატის, ჟუიეს ცნობები ყვარყვარესა და მანუჩარის ქალაქში ჩასვლის შესახებ (1579 წ.):

[3 ივნისი]. დღეს ჩამოვიდა ქართველი ელჩი, *ქვრივი დედოფლის* გამოგზავნილი ... ელჩის ჩამოსაყვანად *შკოდერში* გაგზავნეს ორი გალერა, რაც უაღრესად დიდი პატივია და ამ ქვეყნის არცერთ ელჩს აქამდე ასეთი პატივი არ ღირსებია...

ქალაქში სხვადასხვა ხმები დადის დღეს ჩამოსული ქართველების შესახებ. ამბობენ, რომ ამ ქვრივი დედოფლის ვაჟი ჩამოვიდა, რათა იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც გასულ წელს დედოფალმა შირვანში მიმავალ მუსტაფა ფაშას ბანაკს გაუწია, ითხოვს, რომ შავი ზღვისკენ გაგზავნილმა ხალხმა მის მიწაზე არ გაიაროს და არ დააზიანოს მისი [სამფლობელო] ... არიან ისეთებიც, რომლებიც სულ სხვაგვარად ლაპარაკობენ. ასე რომ, ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით, ვინ არის ეს ხალხი და რისთვის ჩამოვიდნენ აქ. მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩამოსვლისას მათ ძალიან დიდი პატივი მიაგეს.

[15 ივნისი]. ... ჩამოსული ორი ქართველი, როგორც შემდგომში შევიტყვეთ, ძმები არიან. ისინი გასულ წელს ეახლნენ მუსტაფა ფაშას ბანაკში, როცა ის ერზერუმიდან შირვანში მიდიოდა და დიდი დახმარება გაუწიეს მის ბანაკს. ძმებს შორის უმცროსი [მანუჩარი], რომელიც ოცდათოთხმეტი ან ოცდათხუთმეტი წლის უნდა იყოს, ისევ ხსენებულ მუსტაფასთან არის. როგორც ჩანს, მან იმედი მისცა ფაშას, რომ *თურქი გახდებოდა*, რაც გააკეთა კიდეც ახლახანს. მას დაუყოვნებლივ მიანიჭეს ფაშას ტიტული და კუთვნილი მიწების ბეგლარბეგად გამოაცხადეს. სწორედ იქ უნდათ დიდი კარიბჭის აღმართვა, რაც უმნიშვნელოვანესი იქნება სპარსეთის საზღვართან. მის უფროს ძმასაც შესთავაზეს მუსლიმი გამხდარიყო, მაგრამ მან არ ინდომა. სასახლეში ამბობენ, რომ მას აქ დატოვებენ, თუ არ მოინდომებს, აღიაროს თავი სანჯაყად და დიდი სენიორის [სულთნის] ქვეშევრდომად. ამ ორმა ძმამ ხელზე მთხვევისას რამდენიმე საჩუქარი მიართვეს სენიორს. მათ შორის, თავიანთი ძმისწული, ათი-თორმეტი წლის ყმაწვილი. მათ დაუყოვნებლივ მიაღებინეს ისლამი და სხვა ბიჭებთან ერთად სასახლეში მოათავსეს. დაიწყო უახლოეს დღეებში ახალი ბეგლარბეგის წინადაცვეთისადმი მიძღვნილი დღესასწაულის სამზადისი.

[4 ივლისი]. გასული თვის ოცდახუთ რიცხვში შედგა ხსენებული გათურქებული ქართველის წინადაცვეთა. ზეიმს დაესწრნენ ფაშები და მთელი *პორტა*.

შენიშვნები: ქვრივი დედოფალი *– იგულისხმება სამცხის დედოფალი დედისიმედი, ყვარყვარესა და მანუჩარის დედა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.*

შკოდერი *– სტამბოლის აზიური ნაწილი.*

თურქი გახდებოდა *– იგულისხმება ისლამის მიღება და ოსმალეთის სამსახურში ჩადგომა.*

პორტა – იგივე ბრწყინვალე პორტა *(ლათ. porte – კარი, კარიბჭე; იგულისხმება თურქეთის სულთნის სასახლის კარიბჭე; ზოგჯერ „მაღალ პორტასაც“ უწოდებდნენ) – იგივე ოსმალეთის იმპერია. ოსმალეთის (ოტომანთა იმპერიის) მთავრობისა და ზოგჯერ თვით იმპერიის სახელწოდება, რომელიც იხმარებოდა ევროპის ქვეყნების დიპლომატიურ დოკუმენტებსა და ლიტერატურაში XV ს-დან XX ს-ის 20-იან წლებამდე.*

- *იმსჯელე, რა მეტყველებს იმაზე, რომ სტამბოლში ჯაყელთა ჩასვლას რეზონანსი გამოუწვევია?*
- *იმსჯელეთ, ოსმალეთისადმი ერთგულების დამტკიცების მიზნით რა მეთოდებს იყენებდნენ ქართველები? შენი აზრით, რა განაპირობებდა ამ დათმობებს?*



წყარო 3 ათაბაგი ყვარყვარე IV, სალომონ შვაიგერის წიგნიდან „ახალი მოგზაურობის აღწერა გერმანიიდან კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში“, 1608

ცნობა 1 **ვინ იყო სალომონ შვაიგერი და რა აკავშირებს მას საქართველოსთან?**

ქართველი დიდებულების სტამბოლში ჩასვლის დროს იქ იმყოფებოდა ჰაბსბურგთა საელჩოს კაპელანი (მღვდელმსახური) სალომონ შვაიგერი, გერმანელი ლუთერანი თეოლოგი, დიპლომატი და მოგზაური, რომელმაც ამ ელჩობის შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა. მისი გადმოცემით, ყვარყვარემ კავშირი გააბა ავსტრიის ელჩთან და მისთვის უჩუქნია ძვირადღირებული ოქროს ნივთი, სანაცვლოდ კი ელჩს ათაბაგისთვის უსახსოვრებია საათი და ბერძნულ ენაზე დაბეჭდილი „აუგსბურგის აღსარება“, რომელიც ყვარყვარემ ქართულ ენაზე ათარგმნინა. შვაიგერი სტამბოლში მყოფ ქართველებს ასე ახასიათებს: „საზოგადოდ, ქართველები წარმოსადეგი, მოსული, მაღალი, პირდაპირი, მაგარი ხალხია. ფერით მოშავო-მოყავისფრო, როგორც პოლონელები და უნგრელები. ამასთანავე არიან უშიშარი, გულადი მეომრები, ისინი ქალაქში [სტამბოლში] ისე დადიან, თითქოს ამ ქალაქის მრავალი წლის მცხოვრებლები ყოფილიყვნენ: არავის არაფერს ეკითხებიან, არაფერი აკვირვებთ, ანგარიშს არაფერს უწევენ“.

სტამბოლში ჩასულ ქართველ ბერს შვაიგერისთვის მიუცია ქართული ნუსხა-ხუცური დამწერლობის ნიმუში და ფსალმუნის ტექსტის ნაწყვეტი, რომელიც შვაიგერმა თავის წიგნში მოათავსა და 1608 წელს სტამბური წესით გამოსცა, რაც 21 წლით უსწრებს 1629 წელს რომში მხედრული ანბანით შედგენილ და გამოცემულ წიგნს.

წყარო 8 **ნუსხა-ხუცური შრიფტის სტამბური გამოყენების პირველი ნიმუში, სალომონ შვაიგერის წიგნიდან „ახალი მოგზაურობის აღწერა გერმანიიდან კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში“, 1608**


vnd gelegenheit der Stadt Conſtantinopel. 85

ſhrer Caloierorum oder Münch einer ſchrieb mir in ein Buch/auff mein begehren/das A.B.C. auff folgende weis:

Das Iberiſche A.B.C.

Darneben ſchrieb er die drey erſten Vers deß erſten Pſalmen/vnd lauten die Wort alſo: *Néderas gázirómeli ára miuida ſráchuuaſa vchmortóuaſa; dágſaſa Zoduuiltaſa aratátgada. Duſadſchúmelſa uſchulótaſa aratádſchada* Das iſt: wol dem Menſchen/der nicht wandlet im Raht der Gottloſen/ꝛc. Die vnterſchrifft helt ſich alſo: *Me loſeps Damizeria*, ich Joſeph Damizeria/*Charduuelza* aus Iberia/*dautſeri*, ſchrieb diß/*Salomonitois* dem Salomoni. Die Jahrzal *Immiſa odátſchraſa curaniconſa atáſchudſa ſámozda dſchuidmeza*, das iſt/im Jahr Chriſti 1579.

Iberiſche Sprach.

ამგვარად, 1579 წლის 25 ივნისს ჩილდირის ეიალეთი შეიქმნა, რომელიც, ძირითადად, ახალციხის საფაშოს სახელითაა ცნობილი, რადგან ეიალეთის ცენტრი ქალაქი ახალციხე იყო. მის პირველ ბეგლარბეგად გამუსლიმებული მანუჩარ (მუსტაფა) ჯაყელი დაინიშნა. ოსმალური პროვინციის მმართველად მემკვიდრეობითობის პრინციპით დანიშვნის ფაქტი მნიშვნელოვან გამონაკლისს წარმოადგენდა. 1590 წელს ხელმოწერილი სტამბოლის ზავით ირანმა სამცხე-საათაბაგოს ოსმალთა ხელში გადასვლა ოფიციალურად აღიარა. იგივე გაიმეორა 1639 წელის ზოჰაბის ზავმაც. ძირძველი ქართული ტერიტორია დიდი ხნით აღმოჩნდა ოსმალეთის იმპერიაში. სამცხის ეიალეთად გადაქცევის მიუხედავად, წლების განმავლობაში ადგილობრივები აგრძელებდნენ თავისუფლებისთვის ბრძოლას, მაგრამ 1620-იანი წლებიდან ეს ტენდენცია დამარცხდა. ოსმალები ახალციხის საფაშოს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, რადგან ახალციხის ფაშას ევალებოდა: თვალყური ედევნებინა ქართული სამეფო-სამთავროებისთვის, რეგიონთან დაკავშირებული ამბები ეცნობებინა სულთნისთვის და მისი ბრძანებების უმთავრესი აღმსრულებელი ყოფილიყო სამხრეთ კავკასიაში.

წყარო თ ჩილდირის ეიალეთის (ახალციხის საფაშოს) შექმნა XVII ს-ის I ნახევარში



ოსმალებმა სამცხის ადმინისტრაცია ოსმალური წესების მიხედვით მოაწყვეს. 1580-იან წლებში მათ დაიწყეს მასშტაბური აღწერა, რომელიც 1595 წელს შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ გაფორმდა. აღწერის მიზანი ამ მხარეში ოსმალური სოციალ-ურ-ეკონომიკური სისტემის დანერგვა იყო. ოსმალები ეტაპობრივად ამკვიდრებდნენ წესს, რომლითაც, მიწის ფლობა მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც ისლამს მიიღებდა – მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მიწების გარკვეული ნაწილი ზიმიებს (მათ, რომლებსაც ისლამი არ მიუღიათ და ქრისტიანებად დარჩნენ) დაუტოვეს, ამ მხარეში ფეხის მყარად მოკიდების შემდეგ ზიმიებს მიწები ჩამოართვეს და გამუსლიმებულ პირებს გადასცეს.

- *იმსჯელე, რა შედეგის გამოწვევა შეეძლო ახალციხის საფაშოში მიწისმფლობელობის ოსმალური წესის დანერგვას?*

ოსმალურ რეესტრში შეტანილი მიწების უზენაეს მესაკუთრედ სულთანი მიიჩნეოდა. ამ მიწებზე ოსმალური გადასახადები დაწესდა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მძიმედ დააწვა. ქართველების დიდმა ნაწილმა მეზობელ ქართულ სამეფოებს შეაფარა თავი, მათ ადგილზე კი თურქული წარმოშობის ხალხი სახლდებოდა.

წყარო ი **ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) სამცხე-საათაბაგოში განვითარებული მოვლენების შესახებ წერდა:** *ადაპტირებული წყარო*

იქმნა ღვთის რისხვა ჩვენი ცოდვების გამო, მოოხრდნენ დიდმშვენიერი ეკლესიები და იქცნენ პირუტყვთა სადგომად. ვინც ისლამი არ ისურვა, გარბოდა ქართლში, იმერეთში, ოდიშში, გურიაში, კახეთში. თან მიჰქონდათ ხატები, ჯვრები, წმინდა ნაწილები. აღარ დარჩნენ ეპისკოპოსები, მონაზვნები, მწყემსნი... შეიქმნა სრულიად მაჰმადიანობა მათი წესით და რჯულით, შენდებოდა მეჩეთები. ქრისტიანობა მხოლოდ გლეხებმა შეინარჩუნეს, მაგრამ მწყემსების გარეშე დარჩნენ.

- *რით ხსნის ვახუშტი ბატონიშვილი სამცხე-საათაბაგოში განვითარებულ მოვლენებს? გაავლეთ პარალელები შუა საუკუნეების ისტორიკოსებთან.*
- *შენი აზრით, რატომ შეინარჩუნეს ქრისტიანობა მხოლოდ გლეხებმა?*

წყარო კ **„გურჯისტანის დიდი დავთარი“ სამცხე-საათაბაგოში უცხოელთა ჩამოსახლების შესახებ გადმოგვცემს:**

თუ სხვა მხარიდან მოვიდა ვინმე, რომელიმე სოფელში დასახლდება და იცხოვრებს იქ 3 წელიწადს ისე, რომ ვინმეზე არ იქნება მიწერილი, ის თიმარის მფლობელის ისეთივე *რაია* ხდება, როგორც სხვები; არავის *ემინთაგან*, არც სხვას ვისმე, ხელი არ აქვს ამ საქმეში და ნუ მოსთხოვენ გადასახადს იმ მიზეზით, რომ ის მოსულიაო. აქ საზღვარია და ხალხის ჩასახლება საჭიროა.

შენიშვნები: რაია *– დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი, გლეხი.*

ემინი *– საგადასახადო და საბაჟო საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ოსმალეთში.*

წყარო ლ **XVII ს-ის მოგზაური და მემატიანე ევლია ჩელები ქალაქ ახალციხის შესახებ:**

[ახალციხე] ციცაბო გორაკზე ქვით მტკიცედ ნაგები მომხიბვლელი ციხე-ქალაქია. ორი კარი აქვს. შიდაციხეში ათას ასამდე უვენახო, უბაღო, მიწით დახურული სახლია. ერთი კარი აღმოსავლეთითაა, მეორე – დასავლეთით. ოცდარვა *მიჰრაბი* აქვს. ზემო ციხეში სულთან სელიმ პირველის ჯამე ძველი ნახელავი სამლოცველოა და მიწის თხელი ფენითაა გადახურული. საერთოდ, ამ ქალაქში ტყვიით დახურული შენობა არ არის. ამ მშვენიერი შენობის *მინარეთი* დანგრეულია. გუნბეთ-ოღლუს ჯამე მიწითაა დახურული; უმინარეთოა. ქვემო ციხეში ხალილ-აღას ჯამე ძველი აშენებულია, მრავალრიცხოვანი მრევლის პატრონი, ლამაზი და გულის გამამხიარულებელია. ვინაიდან ვილაიეთის მცხოვრებნი *სუნას მიმდევარი*, მორწმუნე და ერთი ღმერთის მაღიარებელი ხალხია, ამიტომ, გარდა ხუთი ლოცვისა, ყველა ჯამეში ყურანი და სხვა ცოდნის წყარო იკითხება. საგანგებო სასწავლებელი, *ჰადისების* სახლი და ყურანის საკითხავი სახლი არა აქვთ, მაგრამ ცოდნის მაძიებელი ბევრია.

ციხის გარეუბანიც დიდად კეთილმოწყობილი და გაშენებულია. ცნობილია დელი მეჰმედის *ფუნდუკი* და ექმექჯი ისა-აღა-ოღლუს ფუნდუკი. ბევრი წნულით შეღობილი ბოსტანია. დიდია ქველმოქმედება და სიუხვე.

შენიშვნები: მიჰრაბი *– მეჩეთის კედელში მოთავსებული ნიშა, რომელიც მლოცველებს მიუთითებს მუსლიმთა მთავარი სიწმინდის – ქალაქ მექას – მიმართულებას.*

ჯამე *– მუსლიმთა სამლოცველო ნაგებობა.*

მინარეთი *– მეჩეთის მაღალი კოშკი, საიდანაც მუეძინი მუსლიმებს სალოცავად მოუწოდებს.*

სუნას მიმდევარი *– სუნიტი.*

ჰადისები *– გადმოცემები მოციქულ მუჰამადისა და მისი თანამოღვაწეების შესახებ.*

ფუნდუკი *– მექარავნეთა მოსასვენებელი და დასაბინავებელი სასტუმრო.*

- *წყაროს მიხედვით, იმსჯელე ახალციხეში კულტურული და რელიგიური ვითარების ცვლილების მასშტაბურობის შესახებ.*

წყარო 8 **ახალციხის ძველი ციხესიმაგრე XIX ს-ის მიწურულს, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო**



ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა უდიდესი დარტყმა იყო საქართველოსთვის როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო-სტრატეგიული, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. ერთ დროს ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული და განვითარებული მხარე მეზობელი იმპერიის სასაზღვრო პროვინციად გადაიქცა, სადაც ოსმალიზაციისა და ისლამიზაციის პროცესმა გაიმარჯვა. ვინც ანექსიის პირობებში ცხოვრება ვერ გააგრძელა, რეგიონიდან გაიქცა, ვინც დარჩა, იძულებული გახდა, მშობლიურ კულტურულ სივრცეს დიდი ხნით მომწყდარიყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ ახალციხის საფაშო დანარჩენი საქართველოდან „ტყვეთა სყიდვისა“ და ოსმალეთში გაგზავნის საკვანძო პუნქტად იქცა.

1. იმსჯელეთ კლასში, რა პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ახალციხის საფაშოს და როგორ შეძლებდა ოსმალეთი გავლენის გავრცელებას ახალციხის საფაშოს გავლით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოზე.
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის 6.3 სავარჯიშო – შეადარე ერთმანეთს ახალციხის საფაშოს, ქართლის, კახეთისა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მდგომარეობა/სტატუსი მეზობელ იმპერიებთან მიმართებით. გამოკვეთე საერთო და განმასხვავებელი გარემოებები.

2.2 საქართველო XVIII ს-ში – სამი იმპერიის დაპირისპირების ფონზე



XVIII ს-ში საქართველო სამი დიდი იმპერიის დაინტერესების სფეროდ გადაიქცა. ოსმალეთი და სეფიანთა ირანი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ ქართული სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობის მოსპობას, მათ რუსეთის იმპერიაც დაემატა, რომელმაც კავკასიის რეგიონში ფეხის მოკიდება დაიწყო. საუკუნის მიწურულს აშკარა გახდა, რომ პირველობა ამ უკანასკნელს რჩებოდა.

ურთულესი საგარეო-პოლიტიკური და საშინაო ვითარების მიუხედავად, ქართველი მეფე-მთავრები მაინც ახერხებდნენ რეფორმების განხორციელებასა და ქვეყნის განვითარებას. ამის მაგალითია ვახტანგ VI-ის ეკონომიკური, სამხედრო, ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმები ქართლში და მათი გაგრძელება ერეკლე II-ის მიერ. შეზღუდული პირობების მიუხედავად, მეფე-მთავრები ცდილობდნენ პროგრესული ნაბიჯების გადადგმას (მაგ., სოლომონ I-ის ბრძოლა დასავლეთ საქართველოში „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ).

ამ ქვეთემიდან შეიტყობ, როგორ დაუპირისპირდა ერთმანეთს სამი იმპერიის – ოსმალეთის, ირანისა და რუსეთის – ინტერესები საქართველოში, რა რეფორმები გაატარა ვახტანგ VI-მ და რატომ მისცა ირანმა მას ამის საშუალება; რატომ აირჩია მეფე ვახტანგმა იმპერატორ პეტრეს მოკავშირეობა და რამ გამოიწვია მისი საგარეო პოლიტიკის მარცხი; რა იყო „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“, როგორ აღმოჩნდა ერეკლე II ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე; როგორ იქცა ქართლ-კახეთი ამიერკავკასიის ანგარიშგასაწევ ძალად და რა შედეგი მოიტანა გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამ.

საკითხი 7. ქართველი მეფეების ღონისძიებები ქვეყნის მოდერნიზაციისთვის XVIII ს-ში



კომპლექსური დავალება 7

სამიზნე ცნებები

- ძალაუფლება
- ისტორიული წყარო

წარმოიდგინე, რომ ხარ ახალგაზრდა რეფორმატორთა საზოგადოების წევრი, რომელიც სწავლობს საქართველოში რეფორმების ისტორიას. შენ უნდა შეისწავლო საქართველოში XVIII ს-ის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების ხასიათი, მათი შედეგები სახელმწიფო ინსტიტუტების გასაძლიერებლად და უნდა დაწერო **ისტორიული ნაშრომი**.

ნაშრომში ნათლად წარმოაჩინე შემდეგი საკითხები:

- რას სახის რეფორმები გაატარეს ვახტანგ VI-მ და ერეკლე II-მ და რით ჰგავდა და განსხვავდებოდა ისინი ერთმანეთისგან?
- რატომ ემყარებოდნენ ძალაუფლების აღნიშნულ ფორმებს ქართველი მეფეები?
- რომელი წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ქართველი მეფეების (ვახტანგ VI და ერეკლე II) მიერ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმების შესახებ?
- რატომ არის სანდო საკითხთან დაკავშირებული ქართული და უცხოური წყაროები და რამდენად იძლევა განსხვავებულ მოსაზრებებზე დისკუსიის საშუალებას?

40/41 რატომ უწოდეს ვახტანგ VI-ის პერიოდს „ენციკლოპედიური ხანა“?

XVIII ს-ის დასაწყისში ქართლის სამეფოს მართავდა ვახტანგ ბაგრატიონი – ჯერ ჯანიშინის, ანუ მეფის მოადგილის, შემდგომ კი მეფის სტატუსით. მისი მმართველობის პერიოდი, პირველ ყოვლისა, კულტურულ და საგანმანათლებლო რეფორმებს უკავშირდება. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, რა შეცვალა ქართლში ვახტანგმა, რა შედეგი მოჰყვა მის რეფორმებს და რატომ უწოდებენ ხოლმე მისი მმართველობის პერიოდს „ენციკლოპედიურ ხანას“; აგრეთვე, გაიგებ, რატომ ვერ დაეხმარა ევროპა ვახტანგს.

XVII ს-ის ბოლოს ქართლის ტახტისთვის ორნი იბრძოდნენ – გიორგი XI და თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე I, რომელიც ირანის შაჰისთვის მორჩილების გამოცხადებისა და ისლამის მიღების შემდეგ ნაზარალი ხანად იწოდებოდა. დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც გიორგის დამოუკიდებელი მოქმედებებით უკმაყოფილო ირანის შაჰმა 1688 წელს იგი ტახტიდან გადააყენა და ქართლი სამართავად ერეკლეს დაუთმო, ამ უკანასკნელმა კი ირანის გავლენა ქართლში კიდევ უფრო გააძლიერა.

წყარო ა **მეფე ერეკლე I, ნახატი ნიკოლაას ვიტსენის წიგნიდან „ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარია“, 1705**



ცნობა 1 **რატომ გადააყენა ირანის შაჰმა მეფე გიორგი ქართლის ტახტიდან?**

გიორგი XI-მ ირანელთა უღლის გადაგდება მოინდომა და ოსმალებისგან დახმარების მიღება სცადა. ასევე, მან ურთიერთობა დაამყარა რომის პაპთან, თუმცა ევროპელ მონარქებს ამ დროს აღმოსავლეთისთვის არ ეცალათ, რადგან ოსმალთა მეორე შეტევა ვენაზე სულ ცოტა ხნის წინ მოიგერიეს (1683 წ.) თანაც მათ შორისაც არ იყო მშვიდობა – 1688 წელს საფრანგეთსა და საღვთო რომის იმპერიას შორის ხანგრძლივი ომი დაიწყო, რომელშიც თითქმის მთელი ევროპა ჩაერთო. საბოლოოდ, გიორგიმ ვერც ოსმალეთისგან მიიღო დახმარება და ვერც ქართლის ფეოდალებისგან. შემდეგ ის იმერეთში გადავიდა და იქიდან სცადა ტახტის დაბრუნება მაგრამ ვერაფერს მიაღწია და იძულებული გახდა, შაჰს შერიგებოდა.

- *შენი აზრით, რატომ დაამტკიცა ირანმა ერეკლე I ქართლის და არა კახეთის მეფედ?*

გიორგი XI-სა და ერეკლე ნაზარალი ხანს შორის კონფლიქტი 1703 წელს დასრულდა – ქართლში მეფობა გიორგის დაუბრუნდა, ერეკლე კი კახეთის მეფე გახდა. შაჰ სულთან-ჰუსეინის (1694-1722) ამგვარი გადაწყვეტილება ავღანელებთან გამწვავებულმა ომმა გაანაპირობა, მას ქართველების სამხედრო მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. შაჰმა ორივე მეფე ირანში გაიწვია, ერეკლე პირადი გვარდიის მეთაურად დანიშნა, გიორგი კი, ირანის არმიის სარდლის რანგში, ავღანელებთან საბრძოლველად გააგზავნა. ქართლის მეფეს ევალებოდა, სათავეში ჩასდგომოდა ქართველთა ორიათასიან ჯარს და ებრძოლა ირანის მტრების წინააღმდეგ. არც გიორგი და არც ერეკლე სამშობლოში აღარ დაბრუნებულა: ორივე 1709 წელს გარდაიცვალა, მეფე გიორგი ავღანელმა შეთქმულებმა მოკლეს.

- *თავისი მოღვაწეობით რომელ მეფეს გახსენებს გიორგი XI და რატომ?*
- *განვლილი გაკვეთილების საფუძველზე შეადარე ერთმანეთს ერეკლე I-ისა და მისი ბაბუის, თეიმურაზ I-ის პოლიტიკა.*

ვახტანგ ბაგრატიონი – ქართლის ჯანიშინი

1703-1709 წლებში ქართლში ოფიციალურ მმართველად მეფე გიორგი XI მიიჩნეოდა, მაგრამ ადგილზე სახელმწიფოს გამგებლად, ანუ ჯანიშინად, ირანის შაჰმა გიორგის 28 წლის ძმისშვილი – **ვახტანგი** დაამტკიცა. ავღანელთა წინააღმდეგ მეფე გიორგის ბრძოლამ ვახტანგს საშუალება მისცა, ქართლში შედარებით დამოუკიდებელი პოლიტიკა გაეტარებინა და სამეფო გაეძლიერებინა, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით.

ვახტანგმა ქართლში სახელმწიფო ინსტიტუტები მოაწესრიგა, ძირეული რეფორმები გაატარა და საგანმანათლებლო სფერო აღორძინა. მან გადააყენა ერეკლე I-ის დროს დაწინაურებული მოხელეები და თანამდებობებზე თავისი მომხრე პირები დანიშნა. მან ისიც მოახერხა, რომ 1705 წელს ქართლის კათალიკოსად თავისი ძმა დომენტი დასვა. ვახტანგმა, აგრეთვე, ჩამოაყალიბა რეგულარული სამხედრო შენაერთი – **„მცველთა ჯარი“** (ე. წ. „როქის სპა“) და ურჩ ფეოდალებს შეუტია; შეზღუდა თბილისის ყიზილბაშური გარნიზონის უფლებები და ქართული სამხედრო ძალების მოქმედების არეალი გააფართოვა. ვახტანგის ქალიშვილის, თამარისა და ერეკლე I-ის ვაჟის, თეიმურაზის (შემდგომში თეიმურაზ II) ქორწინებამ ქართლსა და კახეთს შორის ურთიერთობა მოაწესრიგა; ვახტანგის მეორე ქალიშვილის, ანუკასა და იმერეთის თავადის, ვახუშტი აბაშიძის შეუღლებამ იმერეთზე ქართლის გავლენა მნიშვნელოვნად გაზარდა.

- *იმსჯელე, რატომ შეუწყო ხელი ავღანელთა წინააღმდეგ მეფე გიორგის ბრძოლამ ვახტანგის თამამ სამხედრო და ადმინისტრაციულ რეფორმებს?*
- *იმსჯელე, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კათალიკოსის ტახტზე ვახტანგის ძმის დასმას?*

წყარო 8 XVIII ს-ის ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) ვახტანგის მოღვაწეობის შესახებ: *ადაპტირებული წყარო*

ვახტანგი იყო ღვთისმოშიში და მოყვარე, ძლიერი მოღვაწე, სამღვდელოების პატივისმცემელი, ქვრივ-ობლებისთვის, ღატაკებისთვის წყალობის გამღები, შემბრალებელი, ეკლესიათა მაშენებელი, ხატებისა და ჯვრების შემამკობელი, მწყალობელი, ცოდნისმოყვარე, ბრძენი, ენერგიული, წარმოსადეგი აგებულებისა, მშვენიერებით ბრწყინვალე, მშრომელი, გულუხვი და მშვიდი... ვახტანგმა აღაშენა და განავრცო ქართლი, რადგანაც ვინც კი, ქართლის მოსახლე, ერეკლე მეფის [ანუ, ნაზარალი ხანის] დროს კახეთში გაიხიზნა, ამან, ყაენის ბრძანებით, ყველა წამოიყვანა და დაასახლა მათსავე ადგილას... მოშალა ტყვის სყიდვა, შეზღუდა თათრები, [მათგან], უმეტესად, თბილისის ციხისმცველები, აამაღლა ქართველები ...

რადგანაც [ვახტანგმა] შეზღუდა თბილისის მცველი თათრები, [ისინი] განუდგნენ და ჩაკეტეს ციხის კარები და დაიწყეს თოფ-ზარბაზნის სროლა. ეს აცნობა ვახტანგმა ყაენს. განრისხდა ყაენი, გამოგზავნა ჯალათები და ყველა ბორკილდადებული მიაყვანინა ვახტანგთან. შემდეგ [ისინი] წაიყვანეს ისპაჰანში და ალამუთის ციხეში ჩასვეს. ამის გამო აღარ იყო ტყვის სყიდვა. ნაზარალი ხანი, ისევე როგორც როსტომ მეფე, მრავალჯერ უგზავნიდა ტყვეებს ყაენს, მაგრამ ვახტანგი, თუკი არ მოსთხოვდა [ყაენი], არ გზავნიდა, იმათაც [იძულებით გაგზავნის შემთხვევაში] – უმეტესად, შეძენილებს.

- *წყაროს მიხედვით იმსჯელე გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში იდეალური მმართველის კრიტერიუმებზე.*
- *რატომ განუდგნენ თბილისის ციხისმცველები ვახტანგს? როგორ ყოფილან ისინი დაკავშირებულნი ტყვის სყიდვასთან?*
- *იმსჯელე, შექმნილ კონფლიქტურ ვითარებაში ირანის შაჰმა რატომ დაიჭირა ვახტანგის მხარე და არა მის მიერ ჩაყენებული ციხისმცველებისა?*
- *წყაროს მიხედვით იმსჯელე, როგორ შეცვლილა ვითარება ვახტანგის დროს, როსტომ ხანისა და ნაზარალი ხანის მეფობის პერიოდებთან შედარებით?*

ცნობა 2 რატომ ილაშქრა ვახტანგმა ოსეთსა და დვალეთში და რა იყო „ოსიანობა“?

XIII-XIV სს-დან კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრები ოსები სამხრეთით გადმოსვლასა და აქ დამკვიდრებას ესწრაფვოდნენ. მათ თანდათან დაიკავეს საქართველოს ისტორიული პროვინცია დვალეთი, რაც XVII ს-ში ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციით დასრულდა. ქართლის მეფეები ცდილობდნენ ოსეთზე გავლენის შენარჩუნებას და, შესაბამისად, ქართლის ჩრდილოეთი საზღვრის გამაგრებას. ამას ისახავდა მიზნად ვახტანგის ლაშქრობა ოსეთსა და დვალეთში. მან ეს მხარეები დაიმორჩილა და მოსახლეობას ხარკი დააკისრა.

ქართლის მმართველები (თეიმურაზ I, გიორგი XI, ვახტანგ VI) XVII-XVIII სს-ში ოსეთში კულტურულ-საგანმანათლებლო და მისიონერულ მოღვაწეობასაც უწყობდნენ ხელს, რათა ამ ქვეყანაში ქრისტიანობა გაძლიერებულიყო და ოსებსა და ქართველებს შორის არსებული ხანგრძლივი კულტურული და რელიგიური კავშირები არ მოშლილიყო.

XVII-XVIII სს-ში ქართლში შექმნილმა ურთულესმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ ოსებს გზა გაუხსნა, რომ შიდა ქართლის მთიანეთში დამკვიდრებულიყვნენ. ოსთა მასობრივ ჩამოსახლებასა და მათ თარეშს „ოსიანობა“ დაერქვა.

ვახტანგის ჯანიშინობის დროს დიდი ყურადღება ექცეოდა სამეურნეო-აღმშენებლობით სფეროს. უამრავი სარწყავი არხი აღადგინეს ან ახალი გაიყვანეს, რამაც მოსავლიანობის გაზრდას შეუწყო ხელი. თბილისსა და ქართლის პატარა ქალაქებში დანარჩენი საქართველოდან და კავკასიიდან მოდიოდნენ ვაჭრები, მეურნეები, ხელოსნები. ჩრდილოკავკასიელი მოსახლეობისთვის თბილისი და საქართველოს ბარი საკვების, სამოსისა თუ იარაღის შესაძენ ერთ-ერთ უმთავრეს ადგილად მიიჩნეოდა.

- *შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი ქართლისთვის ჩრდილოკავკასიელთა ყურადღების მოპყრობა?*

წყარო 8 XVII-XVIII სს-ის ქართველი ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე თხზულებაში „ცხოვრება მეფეთა“ ვახტანგის მიერ განხორციელებულ საქმეებს ჩამოთვლის: *ადაპტირებული წყარო*

თავად ქრისტიანი იყო და ქრისტიანული სარწმუნოებით აღზრდილი. ინება საქართველოში რწმენის გაძლიერება, ქალაქში ააშენა სიონის გუმბათი და სამლოცველო, ყოველმხრივ შეამკო ძვირფასეულობით, მოაპირკეთა სვეტიცხოველი და სვეტის კარზე დაასვენა ხატი პატიოსანი, სვეტს შემოავლო მძიმე ოქრომკერდით ნაკერი ძვირფასი აბრეშუმის ფარდა, კანკელს გამოუცვალა ზედა სვეტები, თლილი ქვისგან ააშენა ურბნისის ტაძრის სამრეკლო და გალავანი, მოაპირკეთა შიგნიდან და გარედან... გაიყვანა არხი *ნაგებიდან ყარაიას* ბოლომდე. ააგო ქალაქში სახლი, მოპირკეთებული სარკითა და *ოქროვარაყით*. მის მზეს ვფიცავ, ამაზე მშვენიერი სახლი არც ირანში მინახავს. [ვახტაგმა] ააშენა ქართლი, დამყარდა მოსვენება და მხიარულება.

შენიშვნები: ნაგები – *სოფელი ქვემო ქართლში, თანამედროვე გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.*

ყარაია – *გარდაბნის ვაკის ძველი სახელწოდება.*

ოქროვარაყი – *ოქროს თხელი ფურცელი, რომლითაც იფარება შემკობისას ნივთი ან წიგნის კიდეები.*

- *ავტორი საგანგებოდ აქცევს ყურადღებას ვახტანგის ქრისტიანობასა და მის ზრუნვას ქრისტიანულ ტაძრებზე. შეადარე ვახტანგის მოღვაწეობის პერიოდი როსტომ ხანისა და შაჰნავაზის ხანას. იმსჯელე, რა ცვლილებები მოხდა და რამ განაპირობა ისინი?*

- *რომელ ქალაქს გულისხმობს წყაროს ავტორი „ქალაქში“? შენი აზრით, რატომ მოიხსენიებს მას ამგვარი ფორმით და არ აკონკრეტებს მის სახელს?*

ვახტანგმა საფუძვლიანად შეისწავლა ძველი ქართული, სომხური და სხვა ქვეყნების კანონები და მათზე დაყრდნობით შეიმუშავა ახალი სამართლებრივი სისტემა. მეფის მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ შექმნა კანონთა კრებული, რომელიც **„ვახტანგის სამართლის“** სახელითაა ცნობილი. ახალი სამართლის სისტემა მკაცრად განსაზღვრავდა მოსახ-

ლეობის სხვადასხვა ფენის, განსაკუთრებით მებატონეებისა და ყმაგლეხების უფლებებსა და მოვალეობებს; კრძალავდა თვითნებური გადასახადების დაწესებას. „ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა“ – აფრთხილებდა ვახტანგ მეფე მებატონეებს. ქართლის გამგებელმა მკაცრად აკრძალა „ტყვის სყიდვა“ და თავის საცხოვრებელს დაუბრუნა გლეხთა ბევრი ოჯახი, რომელიც მძიმე პირობების გამო კახეთში იყო გაქცეულ-გადასახლებული. ვახტანგის დროს აგრეთვე შეიქმნა სახელმწიფო სამართლის ძეგლი, რომელსაც **„დასტურლამალი“** ეწოდებოდა. მასში ჩამოყალიბებული იყო მოხელეთა უფლება-მოვალეობანი, სამეფო კარის ეტიკეტი, გადასახადების რაოდენობა და სახეები და სხვ.

წყარო დ **ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე თხზულებაში „ცხოვრება მეფეთა“ ვახტანგის საქმიანობისა და დასვენების სტილის შესახებ:** *ადაპტირებული წყარო*

ცხოვრობდა სიმშვიდითა და სიხარულით და განაგებდა საქართველოს საქმეებს, განაჩინა სამართლის წიგნი; ოთხშაბათსა და პარასკევს იჯდა *სამდივნო სახლში* ადგენდა *მცირეთა* და დიდგვაროვნებთან ერთად. კვირასა და სამშაბათს უძღვებოდა ნადიმს, ილხენდა, უშურველად გასცემდა საბოძვარს და, როდესაც სამართლისა და ლხინისგან იცლიდა, ნადირობდა და გადიოდა მოედანზე *საბურთაოდ* და *ყაბახს* ესროდნენ.

შენიშვნები: სამდივნო სახლი *– სასამართლოს სამყოფელი.*

მცირენი *– იგულისხმებიან დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები.*

ბურთაობა *– ძველ ქართულ სპორტულ თამაშობათა (ცხენბურთი, ლელო და სხვ.) საერთო სახელწოდება. მაღალი წოდება, უმთავრესად, ცხენბურთში ეჯიბრებოდა ერთმანეთს.*

ყაბახი *– მაღალი ანძა, რომელზე დამაგრებული თასი ან ბურთი ცხენზე ამხედრებულ შეჯიბრის მონაწილეს ისრით უნდა ჩამოეგდო.*

ცნობა 3 **როგორ აისახა „დასტურლამალში“ ერთიანი მონარქიის დაშლა და არსებული სამოხელეო სისტემის რღვევა?**

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „დასტურლამალი“ სპარსულ-არაბული სიტყვაა („დასტურ ალ-ვამალ“) და მოქმედების დასტურს, განრიგებას ნიშნავს. „დასტურლამალი“ კარის გარიგებაა, ისევე, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელშიც მოხელეთა ფუნქციების გარდა, მათი გასამრჯელოც („სარგო“) არის მითითებული.

XV ს-ში, საქართველოს ერთიანი მონარქიის დაშლასთან ერთად, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღწერილი რთული და მრავალმხრივი სახელოები კერძო უფლებრივი ხასიათის, თავადურ-ბატონყმური სისტემისთვის შესაფერისი სახელოებით შეიცვალა. საგრძნობლად შეიზღუდა მეფის ხელისუფლებაც, რასაც დაემატა ქართლის სამეფოს პოლიტიკური დამოკიდებულება ირანზე.

ქართლის სამეფო კარის გარიგების („დასტურლამალის“) მიხედვით, ქართულ სინამდვილეში ბევრი ახალი სახელო დამკვიდრდა. ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ სამოხელეო ტერმინი იყო ახალი, სამართლის ინსტიტუტი იგივე დარჩა. როსტომ მეფის მიერ შემოღებულმა სპარსულმა სამოხელეო ტერმინებმა ქართული ჩაანაცვლა. თუმცა, მაგალითად, „ვაზირის“ შემთხვევაში, საპირისპირო მოხდა. „დასტურლამალისეულ“ ვაზირს ჯამაგირის გაცემა და მასთან დაკავშირებული საბუთები, ქალაქის მმართველობა, იჯარა და სხვ. ეხებოდა. სარგოს თვალსაზრისით, ვაზირი საკმაოდ დიდი თანამდებობა იყო. ვაზირებად მუსლიმური წარმოშობის პირები ინიშნებოდნენ. ფაქტობრივად, ვაზირი საოკუპაციო ხელისუფლების (ირანის) წარმომადგენელი იყო.

- *შეადარე „დასტურლამალისეული“ ვაზირის თანამდებობა გაერთიანებულ საქართველოში დამკვიდრებული ვაზირისას, როგორც, ზოგადად, მინისტრის სახელოს. რა პროცესებზე მიუთითებს ეს ცვლილება?*
- *იმსჯელე, რატომ იყო ვახტანგისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ყმათა მდგომარეობის შემსუბუქება?*

ვახტანგმა რუმინეთში მცხოვრები ქართველი მოღვაწის, **ანთიმოზ ივერიელის** დახმარებით, 1709 წელს დააარსა **პირველი ქართული სტამბა**. სტამბაში იბეჭდებოდა ქართული სასულიერო და საერო წიგნები, სახელმძღვანელოები. პირველი წიგნი, რომელიც სტამბაში გამოიცა, „სახარება“ იყო. აგრეთვე, დაიბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი კრიტიკულად შეჯერებული ტექსტი (თავად ვახტანგი პირველ რუსთველოლოგად მიიჩნევა). სტამბაში გამოცემული წიგნები ხელს უწყობდა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამკვიდრება-განმტკიცებას.

ვახტანგმა შემოიკრიბა ქართველი სწავლულებისა და მეცნიერების ჯგუფი, რომელიც ცნობილი იყო **„სწავლულ კაცთა კომისიის“** სახელით. ამ ჯგუფმა, **ბერი ეგნატაშვილის** ხელმძღვანელობით, მოამზადა მანამდე არსებული „ქართლის ცხოვრების“, ანუ საქართველოს ისტორიის მეცნიერულად რედაქტირებული ტექსტი. გარდა ამისა, შეიქმნა „ახალი ქართლის ცხოვრება“, რომელიც ძველის გაგრძელებაა და XIV-XVII სს-ის საქართველოს ისტორიას ასახავს.

ვახტანგი სამეცნიერო და მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა, მან შექმნა ქიმიის სახელმძღვანელო, თარგმნა რამდენიმე ასტრონომიული თხზულება. ვახტანგთან ერთად მოღვაწეობდნენ: მისივე ვაჟი, ისტორიკოსი, გეოგრაფი და კარტოგრაფი **ვახუშტი ბატონიშვილი**, ასევე, დიდი ქართველი მწერალი და ლექსიკოგრაფი **სულხან-საბა ორბელიანი** და სხვანი. სულხან-საბამ შეადგინა ქართული ენის პირველი განმარტებითი ლექსიკონი „სიტყვის კონა“, რომელიც 20 000 სიტყვას მოიცავს და რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ერთიანი ეროვნული ცნობიერების განვითარებაში. მეფე ვახტანგისა და სულხან-საბა ორბელიანის ძალისხმევით, ქართულად ითარგმნა აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშები, მათ შორის არაბულ-სპარსული ზღაპრების კრებული „ქილილა და დამანა“.



წყარო 2 **ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი, XVIII ს-ის მინიატიურა**

- *შენი აზრით, რომელი კულტურისა და ხელოვნების სტილის გავლენა შეინიშნება ქართველი მხატვრის მიერ XVIII ს-ში შექმნილ მინიატიურაზე?*
- *რა ტიპის წყაროა ეს მინიატიურა? იმსჯელე, რამდენად მნიშვნელოვანია ამ ტიპის წყაროები თანადროული ეპოქის შესასწავლად?*

წყარო 3 **ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ვახტანგ VI-ის ეპოქის შესახებ:**

სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს, ქართული მწერლობის ამ ხანას „ენციკლოპედიური ხანა“ დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და შთამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ. იმ დიდი საქმის მოთავედ და სულის ჩამდგმელად დიდებული, დაუვიწყარი ვახტანგი იყო.

თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობისას ვახტანგი სრულიად საქართველოს ინტერესებით ხელმძღვანელობდა. მისმა კულტურულმა, სამეცნიერო და სამართლებრივმა მოღვაწეობამ, მის მიერვე შემოკრებილ თანამშრომლებთან ერთად, იდეური საფუძველი მოუმზადა საქართველოს გაერთიანებასა და ერთიანი ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას. ვახტანგის მმართველობის პერიოდში დაგროვებული ისტორიული და გეოგრაფიული მასალების საფუძველზე ვახუშტი ბატონიშვილმა შექმნა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ამით მან ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო ერთიანი ქვეყანა და სახელმწიფო იყო, თავისი კულტურით, ისტორიით, გეოგრაფიით, ენით, ხალხის მენტალობით და იგი დროებით იყო დაშლილ-დაქუცმაცებული სამეფო-სამთავროებად, სხვადასხვა გარეპოლიტიკური მიზეზის გამო.

● *მოიძიე ინფორმაცია პირველადი და მეორადი საისტორიო წყაროების შესახებ. რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან? ამ თვალსაზრისით, რას წარმოადგენს წყარო ღ?*

დისკუსია

ვახტანგის საგანმანათლებლო რეფორმების საფუძველზე კლასში იმსჯელეთ: თქვენი აზრით, რა სამომავლო მიზანს ისახავდა ეს რეფორმები პოლიტიკური თვალსაზრისით? რას უყრიდა ვახტანგი საფუძველს?

ცნობა 4 ვახუშტი ბატონიშვილი – პირველი ქართველი კარტოგრაფი

ვახუშტი ბატონიშვილმა საქართველოს სამეფოების აღწერა თავისივე შექმნილი რუკებით გაამყარა. მან ქართულ ენაზე შეადგინა საქართველოს ორი ატლასი (1735, 1745), მოგვიანებით, რუსულ ენაზე კი – საქართველოსა და მეზობელი მხარეების რუკების სერია. ვახუშტის რუკებმა მალევე მიიპყრო ევროპელ მეცნიერთა ყურადღება. მისი რამდენიმე რუკა ითარგმნა და გამოიცა ევროპაში. 1752 წელს ვახუშტიმ გადმოაქართულა ევროპაში გამოცემული „ზოგადი გეოგრაფია“, რაც გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის სფეროში ევროპული ცოდნის შემოტანის პირველი მცდელობა იყო.



წყარო ზ **ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი თბილისის გეგმა, 1735 (რედაქტირებული გამოსახულება)**

წყარო 01 თანამედროვე ისტორიკოსი ჯაბა სამუშია, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი თბილისის გეგმის მიხედვით, დედაქალაქის მოსახლეობის სიმჭიდროვის შესახებ წერს:

ძველი ქალაქების რეკონსტრუქციისას, მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ მოსახლეობის რაოდენობა. ეს არის დემოგრაფიული კვლევა მიკრო დონეზე. ამ შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებული მეთოდები გამოიყენება... თბილისთან მიმართებით ყველაზე მისაღებად გვეჩვენება სიმჭიდროვის კოეფიციენტით მოსახლეობის განსაზღვრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ ჰექტარზე მობინადრეთა საერთო რაოდენობა გარკვეულ ზღვრულ რიცხვს გვაძლევს. თავისთავად, ასეთი დაანგარიშება ნაწილობრივ დაზღვეული არ არის ცდომილებისგან, თუმცა მიახლოებით მაინც ხერხდება მოსახლეობის რაოდენობის დადგენა. დასახლების ერთგვაროვანი ტიპის შემთხვევაში, ჰექტარზე მოსახლეობის სიმჭიდროვეს მეცნიერები დაახლ. 100-300 ადამიანით ანგარიშობენ. არსებობს გაცილებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქებიც, თუმცა იქ ამის მიზეზი უნდა იყოს განსხვავებული არქიტექტურული განაშენიანება.

ცენტრალურ რაიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვე განსხვავდებოდა პერიფერიებთან შედარებით. თბილისის შემთხვევაში კი *კალა* გაცილებით უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული, ვიდრე *გარეთუბანი* და ავლაბარი. ასეთ შემთხვევაში, საშუალოდ, ერთ ჰექტარზე ერთსართულიანი განაშენიანების პირობებში, მაქსიმალური სიმჭიდროვე 250-300 ადამიანს შეადგენდა, რაც, საშუალოდ, 50-60 კომლს უდრიდა. 1781-1782 წწ. აღწერის მიხედვით, თბილისისთვის საშუალო სიმჭიდროვე უბნების მიხედვით მერყეობდა – 279-295 ადამიანი ჰექტარზე. ეს აბსოლუტურად გასაგებია, ქალაქის ცენტრალურ რაიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვე გაცილებით მაღალი იქნებოდა, ვიდრე გარეუბნებში. ამ მონაცემების მიხედვით, საშუალო სიმჭიდროვე თბილისში ყოფილა დაახლ. 291 ადამ/ჰ-ზე, ანუ 58 კომლი ჰექტარზე. ამ შემთხვევაში ცდომილება შეიძლება იყოს +/- 10-15 ადამიანი ჰექტარზე (ორი-სამი ოჯახი). იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად ქალაქში საზოგადო დანიშნულების სივრცეს განვსაზღვრავთ 65.8 ჰექტრით, მაშინ ამ ტერიტორიაზე უნდა ეცხოვრა დაახლ. 19 148 ადამიანს. ეს რიცხვები ეთანხმება იმ მონაცემებს, რაც წერილობით წყაროებშია დაცული.

შენიშვნები: კალა *– თბილისის გალავნით შემოსაზღვრული უძველესი ნაწილი, ნარიყალის ციხის ქვევით.*

გარეთუბანი *– თბილისის ძველი ნაწილი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კალის გალავნის გარეთ. გარეთუბნის მთავარი ქუჩა იყო ე. წ. „დიღმის გზა“ (ახლანდელი რუსთაველის გამზირი).*

● *მოიძიე ინფორმაცია XVIII ს-ში ევროპის ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის შესახებ და ამის საფუძველზე გამოიტანე დასკვნა, რამდენად დიდი ქალაქი იყო თბილისი იმ პერიოდის ევროპის მასშტაბით.*

რესურსი: https://en.wikipedia.org/wiki/List_of_largest_European_cities_in_history

რატომ ვერ მიიღო ვახტანგმა დახმარება ევროპისგან?

1709-1711 წლებში ქართლის მეფედ ვახტანგის ძმა – ქაიხოსრო მიიჩნეოდა, მაგრამ ისიც ირანში იმყოფებოდა და ავღანელებთან ბრძოლას ემსხვერპლა. 1711 წელს შაჰმა ვახტანგ ჯანიშინი ირანში დაიბარა, ქართლში მეფედ დასამტკიცებლად. ამისთვის ვახტანგს უნდა მიეღო ისლამი და ავღანელებთან ბრძოლისთვის ეხელმძღვანელა. ვახტანგმა ამ პირობებზე უარი თქვა, მას სურდა ქრისტიანობის შენარჩუნებით მიეღწია გამეფებისათვის, რაც, ფაქტობრივად, ქართლის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარების ტოლფასი იქნებოდა. შაჰმა ვახტანგი ირანში, ტყვეობაში დაიტოვა იქამდე, ვიდრე მისგან თანხმობას არ მიიღებდა, ხოლო ქართლის მეფედ მისი გამუსლიმებული ძმა – იესე დანიშნა.

● *ვახტანგს შეეძლო, მოსაჩვენებლად მიეღო ისლამი და ქართლში მეფის სტატუსით დაბრუნებულიყო, მაგრამ ასე არ მოქცეულა; შენი აზრით, რა იყო მისი პრინციპული პოზიციის მთავარი მიზეზი?*

საკითხმა პრინციპული ხასიათი მიიღო და ის წლების განმავლობაში გადაუჭრელი რჩებოდა – არც ირანის შაჰი თმობდა და არც ვახტანგი იხევდა უკან. ამგვარ გაურკვეველ ვითარებაში ვახტანგის მომხრეებმა სცადეს, ევროპელი მონარქების დახმარებით მიეღწიათ მიზნისთვის. რომის პაპისა და საფრანგეთის მეფის კარზე გაიგზავნა სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც 1714 წლის დასაწყისში საფრანგეთში ჩავიდა.

წყარო ი **ნაწყვეტები სულხან-საბას მოხსენებიდან ლუი XIV-ისადმი (1643-1715):** *ადაპტირებული წყარო*

საქართველოს მეფე ვახტანგი ისპაჰანშია, საქართველოს ერთიანად გამუსლიმება მოელის და დიდ განსაცდელშია. თუ მეფე დაბრუნდა თავის სამთავროში, ქართველები არა მარტო ქრისტიანებად დარჩებიან, არამედ შეუერთდებიან კათოლიკე ეკლესიას, თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც საამისოდ მზად არის. მეფე ამავე დროს ფიქრობს, დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რათა მოაქციონ საქართველოს მოსაზღვრე *ჩერქეზეთი, საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა.*

მას ისპაჰანში სპარსეთის მოწინავე პირები აკავებენ, რომელთაც *ყეინი* თავიანთ ნებაზე დაჰყავთ და აგონებენ, რომ თუ თავისთვის სარგებელი უნდა, არ გაუშვას ვახტანგი საქართველოში. ამიტომ საჭიროა იმ პირთა გულის მოგება, რის ქმნაც საჩუქრებით შეიძლება. ხოლო ამ საჩუქრების მიცემა ვახტანგს არ შეუძლია, იმიტომ, რომ ცოტა ხანია, რაც მეფობს და, ასევე, იმიტომ, რომ დიდი ხარჯი მოუვიდა.

საშუალება ამისი [ვახტანგის დახსნის] სისრულეში მოყვანისათვის ის არის, რომ [საფრანგეთის მეფემ] ინებოს და ერთი თავისი საიმედო პირი გაგზავნოს და მასვე გაატანოს ვახტანგისთვის საჭირო ნივთიერი შემწეობა, რათა იმან შეძლოს სპარსელთა მოწინავე პირების გულის მოგება; აგრეთვე, სპარსეთის მეფეს ერთი წიგნი მისწეროს და სთხოვოს, რომ მან უბრძანოს საქართველოს მმართველებს, რათა ფრანგებს, რომლებიც იქ გაატარებენ თავიანთ საქონელს სპარსეთში წასაღებად, შიში არაფრისა ჰქონდეთ.

შენიშვნა: ჩერქეზეთი, საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა *– ვახტანგ VI-ის მეუღლე, დედოფალი რუსუდანი, იყო ჩერქეზთა ერთ-ერთი ბატონის ქალიშვილი.*

ყეინი *– აქ: ირანის შაჰი.*

- *იმსჯელე, რა საკითხების მოგვარებას აპირებდა ვახტანგი ევროპელთა დახმარებით? შენი აზრით, რომელი საკითხი იქნებოდა ყველაზე რთულად მოსაგვარებელი და რატომ?*
- *წყაროს მიხედვით, რა გვაფიქრებინებს იმას, რომ იმ პერიოდში ირანის შაჰის ძალაუფლება მორყეული იყო?*
- *რელიგიური ფაქტორის გარდა, კიდევ რით და რა ვარაუდით ცდილობდა ქართველი დიპლომატი საფრანგეთის სამეფო კარის დაინტერესებას?*

წყარო კ **სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში, 1713-1716**



1715 წელს პარიზში ჩავიდა ირანის შაჰის ელჩი მუჰამედ რიზა ბეგი. მას ბრწყინვალედ დახვდნენ, რასაც მოჰყვა საფრანგეთსა და ირანს შორის ვაჭრობისა და მეგობრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება და მარსელში ირანის საკონსულოს გახსნა. ამის ფონზე, საფრანგეთი ირანის ურჩ ქვეშევრდომ ქვეყანასთან, ქართლთან საქმიან ურთიერთობას ვერ დაამყარებდა.



წყარო ლ მუჰამედ რიზა ბეგის აუდიენცია საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სთან, ნიკოლა დე ლარჟილიერი, 1715, ვერსალის სასახლე, საფრანგეთი

- *რატომ არის საჭირო რაიმე ისტორიული საკითხის შესასწავლად უცხოური წყაროების გამოყენება?*
- *რამდენად სანდოა წყარო ა ოსმალეთის საგარეო ინტერესების შესასწავლად? რატომ ფიქრობ ასე?*

1715 წელს ლუი XIV გარდაიცვალა. სულხან-საბა იმავე წელს სამშობლოში იმედგაცრუებული დაბრუნდა.

ვახტანგი იძულებული გახდა, ქართლის მეფობა ისლამის მიღების ფასად მოეპოვებინა. აღსანიშნავია, რომ ვახტანგს ისლამის მიღება ქართული ეკლესიის მესვეურებმაც ურჩიეს. 1719 წელს აწ უკვე მეფე ვახტანგ VI საქართველოში დაბრუნდა.

კლასში გაინაწილეთ როლები: საფრანგეთის მეფე ლუი XIV; სულხან-საბა ორბელიანი; ირანის ელჩი მუჰამედ რიზა ბეგი; ქართლის მეფისთვის დახმარების მომხრე მრჩეველი; ირანთან სავაჭრო და მეგობრული ურთიერთობების მომხრე მრჩეველი; საფრანგეთის სამეფო კარის წევრები.

ქართლისა და ირანის ელჩებმა წარმოადგინონ თავიანთი პოზიცია, შეთავაზება და თხოვნა, მრჩევლებმა – შესაბამისი რეკომენდაციები მეფისადმი. სამეფო კარის წევრებმა ხმათა უმრავლესობით მიიღონ გადაწყვეტილება, თუ ვის მხარესაა მათი სიმპათია. დაბოლოს, მეფემ დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. თითოეულმა საკუთარი როლი კარგად უნდა გაითავისოს და განსახილველ საკითხს როლის შესაბამისი ისტორიული პერსონაჟის თვალთახედვით მიუდგეს.

42/43 რატომ დამარცხდა ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკა?

როგორც წინა გაკვეთილიდან შეიტყვე, 1719 წელს ირანის შაჰმა ვახტანგი ქართლში დააბრუნა. შაჰს კონკრეტული მიზანი ჰქონდა – ის იმედოვნებდა, რომ ვახტანგი შეძლებდა, ირანის დასუსტებით გათამამებული დაღესტნელები შეეკავებინა, რომლებიც იმპერიის ჩრდილოეთ პროვინციებს არბევდნენ. 1721 წელს ვახტანგს მთელი ჩრდილო-დასავლეთ ირანის მთავარსარდლობა ჩააბარეს. მომდევნო წელს ირანის დედაქალაქი ისპაჰანი ავღანელებმა აიღეს, რასაც ახლო აღმოსავლეთში ვითარების რადიკალურად შეცვლა მოჰყვა. ირანის დასუსტების სათავისოდ გამოყენება სცადეს ოსმალეთმა და რუსეთმა, მეფე ვახტანგი კი რთულ დიპლომატიურ პროცესებში ჩაერთო, რომლებიც საბოლოოდ აღმოსავლეთ საქართველოს გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, თუ რატომ დამარცხდა მეფე ვახტანგის პოლიტიკა.



XVIII ს-ის 20-იან წლებში ირანში შექმნილმა კრიზისულმა მდგომარეობამ ოსმალეთსა და რუსეთს ვითარების სათავისოდ გამოყენების საშუალება მისცა. ოსმალები ამ დროისათვის ევროპაში პოზიციებს თმობდნენ: 1683 წელს ისინი მეორედ დამარცხდნენ ვენასთან, 1699 წელს მარცხით დაასრულეს ომი „საღვთო ლიგასთან“ (საღვთო რომის იმპერია, ვენეცია, პოლონეთი, რუსეთი) და უზარმაზარი ტერიტორიები დაკარგეს. იმავე შედეგით დასრულდა 1718 წელს ომი ავსტრიასა და ვენეციასთან. ფაქტობრივად, ოსმალეთს დასავლეთის მიმართულებით წარმატების მიღწევის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა.

ოსმალეთს აშფოთებდა ირანსა და ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობაც. ავღანელების მიერ 1722 წლის მარტში ისპაჰანისთვის ალყის შემორტყმის შემდეგ სტამბოლში დარწმუნდნენ, რომ სეფიანთა დაცემა გარდაუვალი იყო. ამავე დროს, რუსეთის იმპერია გეგმავდა დასუსტებულ ირანზე თავდასხმას და კასპიისპირეთის დაკავებას. ამიტომ სულთანმა ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებებისთვის დაიწყო მზადება, მიუხედავად იმისა, რომ 1720 წელს ოსმალეთმა და რუსეთმა „სამარადისო მშვიდობის“ ხელშეკრულება გააფორმეს.

წყარო ა ოსმალეთის *დივანის* მიერ 1722 წლის 15 მაისს მიღებული დადგენილება:

ვინაიდან ავღანელი აჯანყებულები ოსმალეთის საზღვრებს ემუქრებიან, მიღებულ იქნეს ზომები ამ საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფად და ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთის საზღვარზე მდებარე ერევანი, თავრიზი, განჯა, თბილისი და ზოგიერთი მათი მსგავსი ქალაქი და ციხე, რომლებიც წინათ ოსმალეთის გამგებლობაში იყვნენ და შემდეგ ირანს გადაეცა, კვლავ ოსმალეთის საზღვრებში შემოვიდეს.

შენიშვნა: დივანი *– აქ: ოსმალეთის სულთნის საბჭო, რომელშიც დიდი მოხელეები შედიოდნენ.*

- *წყაროს მიხედვით, რა დაასახელა ოსმალეთის ხელისუფლებამ ირანთან ომის დაწყების საბაბად და რა იყო რეალური მიზეზი?*
- *რატომ არის საჭირო რაიმე ისტორიული საკითხის შესასწავლად უცხოური წყაროების გამოყენება?*
- *რამდენად სანდოა წყარო ა ოსმალეთის საგარეო ინტერესების შესასწავლად? რატომ ფიქრობ ასე?*



წყარო ბ **ოსმალეთის სულთანი აჰმედ III (1703-1730) და მისი დივანი იღებს საფრანგეთის ელჩს, ჟან ბატისტ ვან მური, 1724, ბორდოს ხელოვნების მიზეუმი, საფრანგეთი**

- *რა სახის ინფორმაციას გვაძლევს ნახატი სულთნისა და მისი დივანის შესახებ?*

მას შემდეგ, რაც ავღანელებმა 1722 წლის ოქტომბერში ისპაჰანი აიღეს, ოსმალეთის მთავრობამ განაცხადა, რომ, რადგანაც ირანში სეფიანთა დინასტია დაემხო, მასთან 1639 წელს გაფორმებული ზოჰაბის საზავო ხელშეკრულება ძალას კარგავდა.

- *გაიხსენე ზოჰაბის ზავის პირობები და იმსჯელე, როგორი გეოპოლიტიკური ვითარების აღდგენა სურდა ოსმალეთს ახალი ომის დაწყებით?*

ოსმალეთის საომარ მზადებას კარგად ხედავდა რუსეთის საიმპერატორო კარი. 1721 წელს იმპერატორმა **პეტრე I-მა** (1682-1725) წარმატებით დაასრულა ომი შვედეთთან და ახლო აღმოსავლეთისთვის მოიცალა. რადგანაც რუსეთმა ბალტიის ზღვის აუზში ფეხი მყარად მოიკიდა და ევროპასთან დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო დერეფანი შეიძინა, დღის წესრიგში დადგა კასპიის ზღვის სანაპიროების დაპყრობა და, შესაბამისად, აღმოსავლეთის (უპირველეს ყოვლისა, ინდოეთის) სავაჭრო გზის დაკავება, რაც რუსეთს ორი კონტინენტის დამაკავშირებელ სივრცედ აქცევდა. რუსეთმა განიზრახა, ოსმალეთისთვის დაესწრო და კასპიისპირეთში ლაშქრობისთვის მზადებას შეუდგა. 1722 წლის ზაფხულში პეტრემ დარუბანდი დაიკავა.

წყარო გ **პეტრე I შედის დარუბანდში, ლითოგრაფია, 1872, არტილერიის, საინჟინრო და კავშირგაბმულობის ჯარების სამხედრო-ისტორიული მუზეუმი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი**



- *იმსჯელე, რა პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლის მომტანი იქნებოდა რუსეთის იმპერიისთვის კასპიისპირეთის დაკავება?*

რეგიონში დაწყებული მასშტაბური ცვლილებების ეპიცენტრში ქართლის მეფე ვახტანგ VI-ც აღმოჩნდა. მას, ერთი მხრივ, ირანის შაჰი სთხოვდა დახმარებას ავღანელების მოსაგერიებლად, მეორე მხრივ კი, რუსეთის დიპლომატია ცდილობდა, იგი ამიერკავკასიაში უმთავრეს დასაყრდენად ექცია; გარდა ამისა, მოკავშირეობას სთავაზობდა ოსმალეთიც, რომელიც, ამის სანაცვლოდ, ქართლის მეფეს მთელი საქართველოს გადაცემას ჰპირდებოდა.

- *შენი აზრით, რატომ შეიძლება მიეჩნია საეჭვოდ ვახტანგს ოსმალეთის შეთავაზება? რას ისახავდა ეს შეთავაზება მიზნად?*

მასშტაბური პროპაგანდისტული და დიპლომატიური ზემოქმედების შედეგად, ვახტანგ VI-მ რუსეთის მოკავშირეობა ამჯობინა, მიუხედავად იმისა, რომ სამეფო კარის დიდი ნაწილი, მათ შორის, ბაქარ უფლისწული ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდნენ. მეფე ვახტანგი დიდ იმედებს ამყარებდა იმპერატორ პეტრეზე, რომელმაც ტრიუმფალურად დაასრულა ომი შვედებთან და ირანის წინააღმდეგ დიდძალ არმიას მოუყარა თავი. რუსეთსა და ქართლს შორის არაოფიციალური შეთანხმება დაიდო ირანის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. ვახტანგის მიერ ანტიირანულ პოლიტიკაზე დადგომის დემონსტრირება იყო ავღანელთა ალყაში მყოფი სულთან-ჰუსეინის მიშველებაზე უარის თქმა. ქართლის მეფემ ოსმალეთსაც უთხრა უარი დახმარებაზე. მეფისა და ქვეყნის ბედი მთლიანად რუსეთზე გახდა დამოკიდებული.

- *შენი აზრით, რა არგუმენტის მოყვანა შეეძლოთ იმ ადამიანებს, რომლებიც რუსეთს აშკარად არ ემხრობოდნენ?*

წყარო დ **ირანის შაჰი სულთან-ჰუსეინი თავის გარემოცვასთან ერთად, მოჰამედ ზამანი, 1720/1721, ბრიტანეთის მუზეუმი**

ამ ნახატის შექმნიდან რამდენიმე თვეში სულთან-ჰუსეინმა ტახტი დაკარგა – ავღანელების მიერ ისპაჰანის აღების შემდეგ, ის დაამხეს. ავღანელთა მეთაურმა მაჰმუდმა (1722–1725) თავი ირანის ახალ შაჰად გამოაცხადა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი იყო ავღანელთა ბელადის, მირვეისის შვილი, რომელმაც 1709 წელს მეფე გიორგი XI მოკლა.



ვახტანგმა საომარი მზადება დაიწყო. გეგმის მიხედვით, რუსეთის ჯარს ქართველებისა და სომხების გაერთიანებული ლაშქარი უნდა დახვედროდა.

წყარო 2 ***ალბანთა კათალიკოსი*** **ესაი 1722 წელს განვითარებული მოვლენების შესახებ:**

ვახტანგმა ჯარის სასწრაფოდ შეყრა ბრძანა. მეც თან წამიყვანა. უსასრულოდ მრავალრიცხოვანი ჯარით გამოვედით თბილისიდან და ჩავედით *გატეხილ ხიდამდე*. მეფემ იმავე დღეს მიხმო და მიბრძანა, მასზე ადრე ჩავსულიყავი ჩემს ქვეყანაში – ყარაბაღში, რათა მასთან მიმეყვანა იქ შეგროვილი სომეხთა ჯარი, რომელიც *მელიქებისა* და ოთხი ახალგაზრდა მეთაურის ხელთ იყო. ამათ ვახტანგის აქედან წასვლისა და ირანის ხელისუფალთა დასუსტების შემდეგ გარშემო შემოიკრიბეს ალბანთა ქვეყნის გულადი, მამაცი ახალგაზრდები, გააწყვეს ლაშქარი და გამაგრდნენ *არცახის* მიუვალ ადგილებში. ვახტანგმა იცოდა ეს ამბავი და დაუყოვნებლივ გაგვგზავნა დავალებით, მოგვეყვანა ისინი სამხედრო წყობით. ჩვენც მივიყვანეთ მასთან ათი ათასი შეიარაღებული სომეხი, მათთან ერთად მღვდლები და მსახურები. სიხარულით მოვდიოდით, რადგან ვიწამეთ სომხური სახელმწიფოს აღდგენა. სამი დღის შემდეგ ჩამოვდექით განჯის მახლობლად, წყლის პირას. აქ იყო დაბანაკებული ვახტანგ მეფე. სამი დღის შემდეგ გვიბრძანა მასთან მისვლა. ჩვენ მივუახლოვდით მის ბანაკს. ორი რაზმი ერთმანეთს ზეიმით შეხვდა, პირისპირ დაეწყვნენ და საჩვენებელი ბრძოლა გამართეს. ჩვენი გულადი ახალგაზრდები ფრონტის მთელ სიგრძეზე დაჯირითობდნენ თავიანთი მარდი ცხენებით. ვახტანგმა სულით ხორცამდე გაიხარა. თავისთან იხმო ახალგაზრდა მეთაურები და მელიქები და გაამხნევა: გამაგრდით, ნურავისი გეშინიათ, რადგან დადგა ჟამი ქრისტიანთა შველისაო.

შენიშვნები: ალბანთა კათალიკოსი *– იგულისხმება ყარაბაღის სომეხი კათალიკოსი, რომელიც ალბანეთის კათალიკოსის ტიტულს ატარებდა, რადგან ყარაბაღი ისტორიული ალბანეთის ტერიტორია იყო.*

გატეხილი ხიდი *– იგივე წითელი ხიდი თანამედროვე საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე. აშენდა XVII ს-ში, ქართლის მეფე როსტომ-ხანის პერიოდში. ხიდზე გადიოდა თბილისიდან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ, პირველ ყოვლისა, სპარსეთისკენ მიმავალი საქარავნო გზა.*

მელიქები *– ყარაბაღის სომეხი მთავრები.*

არცახი *– მთიანი ყარაბაღის ისტორიული სახელწოდება.*

- *წყაროს მიხედვით იმსჯელე, რატომ ემთხვეოდა ერთმანეთს ქართველებისა და სომხების ინტერესები?*
- *წყაროს საფუძველზე გამოთქვი აზრი, რა ფაქტორს იყენებდა რუსეთის იმპერია ქართველებისა და სომხების მიმხრობის მიზნით?*

მეფე ვახტანგი ქართველებისა და სომხების ჯარით განჯაში უიმედოდ ელოდა პეტრეს – კასპიის ზღვაზე ამტყდარმა ქარიშხალმა რუსული ფლოტი ჯარის აღჭურვილობითა და სურსათით მთლიანად ჩაძირა. ჯარში ავადმყოფობა გავრცელდა. პეტრემ ლაშქრობა ერთი წლით გადადო და ასტრახანში დაბრუნდა. ვახტანგიც იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო. მისი მოქმედებებით უკმაყოფილო ირანის შაჰმა მას ქართლის მეფობა ჩამოართვა და კახეთის გამუსლიმებულ ხანს, კონსტანტინეს, იმავე მაჰმად ყული ხანს გადასცა. ამ უკანასკნელმა, ლეკების დახმარებით, 1723 წლის მაისში თბილისი დაიკავა. ვახტანგ VI იძულებული გახდა, ცხინვალში გადასულიყო და იქიდან ებრძოლა თავისი შვილის, ბაქარის ხელმძღვანელობით.

წყარო 3 **კახეთის მეფეები: ერეკლე I (1703-1709), დავით II (1709-1722), კონსტანტინე II (1722-1732), თეიმურაზ II (1733-1744), ილუსტრაცია გრიგოლ გაგარინის ალბომიდან „კავკასია“, პარიზი, 1847**



ოსმალეთმა სპარსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები 1723 წლის ზაფხულში დაიწყო. ივნისში ოსმალები ამიერკავკასიაში შემოვიდნენ. ისინი სათავისოდ იყენებდნენ ქართლში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და ქართლის მეფობას ერთდროულად ჰპირდებოდნენ კონსტანტინესაც და ბაქარსაც.

1723 წლის 10 ივნისს კონსტანტინემ თბილისი ოსმალებს უბრძოლველად ჩააბარა, მაგრამ სანაცვლოდ ქართლი ვერ მიიღო. პირიქით – ოსმალებმა ის დააპატიმრეს, თუმცა მან ტყვეობიდან თავის დაღწევა მოახერხა და კახეთში ანტიოსმალური მოძრაობა დაიწყო.

მალევე რუსეთის ხელისუფლებამ სპარსეთსა და ოსმალეთთან სადავო საკითხები დიპლომატიური გზებით გადაჭრა:

- 1723 წლის 12 სექტემბერს სანკტ-პეტერბურგში რუსეთმა და ირანმა შეკრეს ზავი, რომლის მიხედვითაც, სპარსეთი რუსეთს უთმობდა კასპიის ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებს.
- 1724 წლის 12 ივნისს რუსეთსა და ოსმალეთს შორის სტამბოლში ხელმოწერილი ზავით ოსმალეთმა აღიარა კასპიისპირა მიწების გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში, თავად კი მიიღო ქართლი, ერევნის სახანო და ჩრდილო-დასავლეთ ირანის დიდი ნაწილი.

წყარო ზ **რუსეთის არმიის ლაშქრობები კასპიისპირეთში 1722-23 წლებში, პეტრე I-ის დროს**



- *რუკის მიხედვით გამოთქვი მოსაზრება: რუსეთის არმიის წინსვლის შემთხვევაში, რა მიმართულებით განავითარებდა ვახტანგ VI სამხედრო მოქმედებებს?*
- *რატომ მოაწყო რუსეთის იმპერატორმა, პეტრე I-მა სამხედრო ექსპედიცია სპარსეთში? რა პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მიღწევას ცდილობდა ამ სამხედრო კამპანიით რუსეთის იმპერია?*
- *შენი აზრით, რატომ აირჩია პეტრე I-მა სპარსეთში სალაშქროდ საზღვაო მარშრუტი და არა სახმელეთო გზა?*

შექმნილმა ვითარებამ ვახტანგს ყოველგვარი იმედი დაუკარგა, ამიტომაც ის 1724 წლის ივლისში, მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად, საქართველოდან წავიდა და, დახმარების მიღების იმედით, რუსეთს მიაშურა, თუმცა მომდევნო წელს იმპერატორი პეტრე გარდაიცვალა და რუსეთისგან რაიმე სახის მხარდაჭერის შესაძლებლობა სრულიად გაქარწყლდა.

- *შენი აზრით, რამდენად მართებული გადაწყვეტილება იყო ვახტანგ VI-ის წასვლა რუსეთში? პასუხი დაასაბუთე.*
- *იმპერიებისთვის დამახასიათებელი რომელი მეთოდი გამოიყენეს ოსმალებმა ქართლის დასამორჩილებლად?*
- *ახსენი, ჩვენს რეგიონში შექმნილმა რა გარემოებებმა შეუწყვეს ხელი აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის დამყარებას?*

„ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“

აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალების ბატონობა, იგივე „ოსმალობა“, მათ მიერ თბილისის აღებით დაიწყო. ოსმალებმა თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგო დააარსეს და აქ თავიანთი მართვა-გამგებლობის წესები შემოიღეს. 1731 წელს ოსმალებმა მცირე ხნით კახეთიც დაიმორჩილეს.

ოსმალებმა ქართლის გამგებლობა ჯერ ვახტანგ VI-ის ძმას, იესეს მისცეს, ხოლო 1727 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანა ახალციხის ფაშას გადასცეს. მათ ქართლი ექვს ნაწილად დაყვეს, აღწერეს და თითოეულ სულზე მძიმე გადასახადები დააწესეს, რომლებსაც მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები იხდიდნენ.

წყარო 01 ვახუშტი ბატონიშვილი ოსმალთა მიერ ქართლის მოსახლეობისთვის დაკისრებული გადასახადების შესახებ: *ადაპტირებული წყარო*

აღწერეს ქართლი სრულად და დააწესეს ხარკი სულზე დრაჰკანი, ცხვარზე – ორი შაური, ძროხაზე – აბაზი, კამეჩსა და ცხენზე – ექვსი შაური, მოსავალზე – მეხუთედი.

შენიშვნები: აბაზი *– ვერცხლის მონეტა, შემოიღო აბას I-მა, აქედანაა მისი დასახელებაც; სწრაფად გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში; ჭრიდნენ საქართველოშიც.*

შაური *– სპილენძის წვრილი ფული.*

ოსმალები ხელს უწყობდნენ „ტყვეთა სყიდვას“, დაუნდობლად ექცეოდნენ ხალხს, აოხრებდნენ სოფლებს; ისე აწიოკებდნენ მოსახლეობას, რომ ქვეყანას ირანელთა ბატონობა მოანატრეს.

წყარო 02 ვახტანგ VI რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ისთვის მიწერილ წერილში ოსმალთა ბატონობის შესახებ: *ადაპტირებული წყარო*

ქვეყანა ააოხრეს ხუთ აღაჯზე ქალაქის გარემოში, სოფლები, სულ ხალხი გააოხრეს და შენობა მოშალეს, ტყვე მრავალი დაატყვევეს, ენით არ მოიხსენება აქაური ჭირი.

შენიშვნა: აღაჯი *– მანძილის საზომი ერთეული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, დაახლოებით, უდრის 5,7-6,7 კილომეტრს.*

ხალხი დამპყრობლებს განუწყვეტელი აჯანყებებით პასუხობდა, ხოლო ისინი – რეპრესიებითა და დატყვევებით. ამას დაემატა ლეკიანობის გაძლიერება. ლეკებმა ერთხანს თითქმის მთელი კახეთი დაიკავეს, ისე, რომ მეფე თავისი ოჯახით თუშეთს აფარებდა თავს. ისეც ხდებოდა, რომ თვით მოკავშირე ოსმალები და ლეკები, ერთმანეთსაც კი ექიშპებოდნენ ქვეყნის ძარცვა-გლეჯაში.

ოსმალობა ქართლში 12 წელიწადს გაგრძელდა. ქვეყანა გაპარტახდა. მოსახლეობის ნაწილი მტერს შეაკვდა, ნაწილი კი გაიხიზნა. თვით ოსმალებიც შეშფოთდნენ, როცა შეთხელებული მოსახლეობიდან გადასახადების აკრეფას ვეღარ ახერხებდნენ.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ირანში საყურადღებო მოვლენები განვითარდა. ირანის სეფიანი შაჰის, თამაზ II-ის (1723-1732) ერთ-ერთმა სარდალმა – **ნადირმა** ავღანელები განდევნა ირანიდან, ოსმალები არაერთ ბრძოლაში დაამარცხა, წაართვა მას აზერბაიჯანის დიდი ნაწილი და კავკასიის რეგიონს მოადგა.

ცნობა 1 როგორ გახდა ნადირი ირანის შაჰი?

1732 წელს შაჰ თამაზ II-ის მიერ ოსმალეთთან დადებული ზავით უკმაყოფილო ნადირი ისპაჰანში ჩავიდა, შაჰი გადაყენებულად გამოაცხადა და დააპატიმრა. მან ტახტზე თამაზის 8 თვის შვილი – აბას III (1732-1736) აიყვანა, ქვეყნის მართვის ფაქტობრივი სადავეები კი თვითონ ჩაიგდო ხელთ. 1736 წელს ნადირმა აბასიც გადააყენა და თვითონ ავიდა ტახტზე. ასე დაიწყო ირანის ისტორიაში ავშარების დინასტიის მმართველობა. 1740 წელს მამა-შვილი – თამაზ II და აბას III – საპყრობილეში მოკლეს. სეფიანთა დინასტიას ბოლო მოეღო.

ქართველებისთვის ახლა უკვე ირანელები აღიქმებოდნენ ოსმალების წინააღმდეგ მოკავშირეებად. ნადირისთვის ხელსაყრელი იყო ქართველების გამოყენება. ქართლში ანტიოსმალურ აჯანყებას მეთაურობდა ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი **გივი ამილახვარი**, ხოლო კახეთში – ოსმალების მიერ მოკლული კონსტანტინე II-ის ძმა **თეიმურაზ ბატონიშვილი**, რომელსაც ვახტანგ VI-ის ქალიშვილი თამარი ჰყავდა ცოლად. აჯანყებულები თანდათან აძევებდნენ ოსმალებს ქართლისა და კახეთის ციხე-ქალაქებიდან. 1735 წლიდან, ნადირთან დამარცხებულმა ოსმალებმა თბილისი და აღმოსავლეთ საქართველო დატოვეს. „ოსმალობა“ დასრულდა და აღმოსავლეთ საქართველოში ახლა **„ყიზილბაშობა“** დაიწყო. ირანელებმა თბილისში თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს და მოსახლეობას დიდი გადასახადები დააკისრეს.1741 წელს, ნადირ-შაჰის ბრძანებით, ქართლი აღწერეს და დიდძალი გადასახადები დააწესეს. განსაკუთრებით მძიმე იყო პურის გადასახადი.

წყარო 3 XVIII ს-ის მემატიანე პაპუნა ორბელიანი ირანელთა მიერ გადასახადების დაწესების შესახებ:

ადაპტირებული წყარო

ირანელი აღმწერები მოვიდნენ და მიწები *საბლით* აზომეს, ნასოფლარებსაც ისეთივე გადასახადი დაადეს, როგორიც მოსავლიან მიწებს. თვალეს ვაზები, ხეხილი, ბოსტნები, წისქვილები, შენობები. ყოველ კაცს ასაკის მიხედვით დაუწესეს გადასახადი. ხალხი ვენახსა და ბაღებს თვითონ კაფავდა და გარბოდა. ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ, თქვენმა მზემა, ბევრჯერ ვნახეთ, ბალახის კურკას გაახმობდენ, დაფქვიდენ და იმას ჭამდენ.

შენიშვნა: საბელი *– თოკი, რომლითაც ძველად მიწას ზომავდნენ. გამოიყენებოდა როგორც მიწის საზომი ერთეულის სახელწოდება.*

„ყიზილბაშობა“ ქართლში 1747 წელს, ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ დასრულდა. მანამდე შაჰმა **თეიმურაზ ბაგრატიონი** და მისი შვილი – **ერეკლე** ქართლისა და კახეთის მეფეებად დაამტკიცა და სვეტიცხოველში მეფედ კურთხევის ცერემონიალის ქრისტიანული წესით შესრულების ნებაც დართო. ამით აღმოსავლეთ საქართველოში გამუსლიმებული მმართველების თითქმის საუკუნოვანი ეპოქა დასრულდა.

1. შეასრულე მოსწავლის რვეულის 7.1 სავარჯიშო ოსმალობისა და ყიზილბაშობის შესახებ ვახტანგ VI-ის ეპოქაში.

2. მოაწყვეთ მეფე ვახტანგის სამეფო დარბაზის იმიტაცია. წარმოიდგინეთ, რომ 1722 წელია, თქვენ კი უნდა იმსჯელოთ ქართლის საგარეო პოლიტიკის შესახებ. წარმოადგინეთ პოზიციათა ყველა შესაძლო ვარიანტი, დაიყავით ჯგუფებად და გამართეთ დისკუსია (შესაძლებელია გაიყოთ პროირანული, პრორუსული და პროოსმალური საგარეო პოლიტიკის, აგრეთვე, სხვა, შუალედური პოზიციის მომხრეებად).

3. გაიაზრეთ ოსმალთა ბატონობის სიმძიმე და შეადარეთ სხვა დამპყრობლების ბატონობას.

44/45 როგორ იბრძოდნენ თეიმურაზ II და ერეკლე II აღმოსავლეთ კავკასიაში წამყვანი პოზიციების მოსაპოვებლად?

XVIII ს-ის 30-იანი წლებიდან სპარსეთის ახალმა მმართველმა, ნადირ შაჰმა შეძლო, ირანი ხელახლა გაეერთიანებინა, ძალაუფლება განემტკიცებინა, ოსმალები დაემარცხებინა და სპარსეთის ადრინდელი გავლენის სფეროები აღედგინა, მათ შორის, აღმოსავლეთ საქართველოში. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ შეძლეს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ „ყიზილბაშობის“ გადაგდება, ქართლ-კახეთის, ფაქტობრივად, ერთ სამეფოდ გაერთიანება და რა საშუალებებს მიმართავდნენ ისინი აღმოსავლეთ კავკასიაში უპირატესობის მოსაპოვებლად.

„ყიზილბაშობა“ და თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ურთიერთობა ნადირ შაჰთან

თეიმურაზ II-მ (ქართლის მეფე 1744-1762) და ერეკლე II-მ (კახეთის მეფე 1744-1762; ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798) რეგიონში ახლად ჩამოყალიბებული ძალთა ბალანსი შეაფასეს და გადაწყვიტეს, ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი ნადირ შაჰისთვის (1735-1747) დაეჭირათ. ქართველი პოლიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ოსმალთა მძიმე უღლის გადაგდებასთან ერთად, ნადირ შაჰი თავიანთ მოკავშირე ლეკებსაც ალაგმავდა, რომლებიც ჩრდილოეთიდან პერიოდულად თავს ესხმოდნენ ქართლსა და კახეთს.

კახელ ბაგრატიონთა წარმომადგენელი თეიმურაზ II ჯერ განჯასთან ჩაუსაფრდა ოსმალთა ჯარს და გაანადგურა, შემდეგ კი თბილისის ციხის აღებაში დაეხმარა ნადირ შაჰს. თავდაპირველად ქართველები კეთილგანწყობით შეხვდნენ სპარსელების მიერ ოსმალთა ჩანაცვლებას ქართლსა და კახეთში. ნადირ შაჰმა თეიმურაზს ჯარი გაატანა და ჭარ-ბელაქნელები დაალაშქრინა, რომელთა განუწყვეტელი შემოსევები და ძარცვა-გლეჯა ქართლ-კახეთის მოსახლეობის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე მძიმედ აისახებოდა. ამასთანავე, ნადირ შაჰმა უკან, ირანში გადაასახლა თბილისის ქვემოთ, მტკვრის ჭალებში მოსახლე *თარაქამას* ტომის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

შენიშვნა: თარაქამა *– თურქმანული წარმოშობის მომთაბარე ხალხი.*

მიუხედავად ერთგვარი მოკავშირეობისა, ნადირ შაჰის პოლიტიკა ერთგვაროვანი როდი იყო – ის იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ როგორი იყო ირანის პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე და დაპყრობილ ქვეყნებში. მიუხედავად ქართველების მხარდაჭერისა, ნადირ შაჰმა ქართლსა და კახეთში მკაცრი პოლიტიკის გატარება დაიწყო: შემოიღო მძიმე გადასახადები, აღმოსავლეთ საქართველოდან ირანში, ხორასანში გადაასახლა ათასობით ქართველი, ქართლს დაეკისრა თბილისის ხუთასკაციანი სპარსული გარნიზონის რჩენა ოჯახებთან ერთად.

ნადირ შაჰი არ ენდობოდა ქართლელ და კახელ დიდებულებს, ამიტომ რამდენიმე მათგანი მისი ბრძანებით შეიპყრეს და ისპაჰანში გაგზავნეს, მათ შორის, კახეთის გამგებელი თეიმურაზ ბაგრატიონი. ნადირ შაჰმა მძევლად მოითხოვა თეიმურაზის ვაჟი ერეკლე ბატონიშვილი, რომელიც მამასთან შეთანხმების შემდეგ შაჰს სპარსეთში ეახლა. სანაცვლოდ, ოსმალების მიერ კახეთის მეფედ დადგენილი თეიმურაზი, ნადირმა უკვე თავადაც დაამტკიცა კახეთის სამეფო ტახტზე.

წყარო ა **ნაწყვეტი XVIII ს-ის ისტორიკოსის, ომან ხერხეულიძის ისტორიული თხზულებიდან „მეფობა ირაკლი მეორისა“:** *ადაპტირებული წყარო*

...როდესაც მივიდა ირაკლი, იმწამსვე წარუდგინეს იგი ნადირ შაჰს. დაუწყო საუბარი შაჰ ნადირმა და ჰკითხა ბრძანების ტონით, საშიში გამომეტყველებით, არ გათათრდებიო? და როგორც მართვილმა აღიარა მოძალადის წინაშე ქრისტე, [ისევე] გასცა პასუხი წლოვანებით ახალგაზრდა, მაგრამ აზროვნებით ბრძენმა [ირაკლიმ], ჩემი [სხეულის] მოკვდინება შესაძლებელია, მაგრამ სულისა – არავის შეუძლია და არც მე გავმაჰმანდიანდებიო [ანუ გავმუსლიმდებიო]. შემდგომ უთხრა ნადირმა, ნუ გეშინია, მე აღარ გაიძულებო. მეორე დღეს მეფე თეიმურაზი და ქართლელები და კახელები მიაყვანინა, ყველანი გაათავისუფლა და გამოუშვა, თვით ნადირი კი ინდოეთის დასალაშქრად გაემართა და თეიმურაზ მეფის ძე ირაკლიც თან წაიყვანა.

- *იმსჯელეთ კლასში – რატომ იყო მნიშვნელოვანი ქართველებისთვის, მეფეებს შეენარჩუნებინათ ქრისტიანული სარწმუნოება? რატომ განსაზღვრავდა იმ ეპოქის ადამიანებში სარწმუნოებრივი კუთვნილება ეროვნულ იდენტობას?*
- *დღეს ასრულებს თუ არა პიროვნების რომელიმე აღმსარებლობისადმი კუთვნილება რაიმე როლს, ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით? პასუხი დაასაბუთე.*
- *ნადირ შაჰს ერეკლე II-სთვის კატეგორიულად არ მოუთხოვია რწმენის შეცვლა. რატომ დათმო ნადირ შაჰმა – რისთვის სჭირდებოდა ირანის მმართველს თეიმურაზისა და ერეკლეს მხარდაჭერა და რატომ იყო მისთვის ასე მნიშვნელოვანი, რომ მიემხრო ისინი?*
- *გაიხსენე განვლილი გაკვეთილებიდან, რა მიზეზებით მუსლიმდებოდნენ ქართველი ბაგრატიონები? შეადარე მათი პოლიტიკურ-რელიგიური მსოფლმხედველობა ერეკლე II-ის პოზიციას.*
- *ივარაუდე – რა მოხდებოდა, ქართველი მეფე-ბატონიშვილები რომ არ დათანხმებულიყვნენ ირანელი მმართველების მიერ წარმოებულ ლაშქრობებში მონაწილეობას? გამოთქმული ვარაუდი დაასაბუთე.*

წყარო ბ **ქართლის მეფის, თეიმურაზ II-ის პორტრეტი, ალექსანდრე ანტროპოვი, 1761, საქართველოს ეროვნული მუზეუმი**





წყარო გ **მეფე ერეკლე II, XVIII ს-ის უცნობი მხატვარი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი**

ფრანგი დიპლომატი შარლ დე პეისონელი თავის წიგნში ერეკლე მეფის შესახებ წერდა: „დღეს იგი უპირველესი და უძლიერესი პიროვნებაა ამ ორ სამეფოში... იგი იქცა თავისი ხალხისა და მეგობრების კერპად. მეზობლები მისით აღტაცებულები არიან, მტრებს კი შიშის ზარს სცემს. იგი კარგი ტანისა და ძლიერი აგებულებისაა... მის პიროვნებაში იგრძნობა სიდიადე – იგი მეფეა თავის სასახლეში და სარდალი ჯარში“.

წყარო დ **ნადირ შაჰის პორტრეტი, ბაჰრამ ნაგაშბაში, 1743/1744, ერმიტაჟის მუზეუმი, სანკტ-პეტერბურგი**



- *დააკვირდი ბ და გ წყაროებს და გამოთქვი შენი მოსაზრება: რაზე შეიძლება მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ ორივე მონარქს აღმოსავლურად აცვია?*
- *გაიხსენე ამასიის ზავი და განმარტე, რატომ იყო სპარსული პოლიტიკურ-კულტურული გავლენები განსაკუთრებულად მძლავრი აღმოსავლეთ საქართველოში?*
- *გაიხსენე განვლილი გაკვეთილებიდან, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროებზე აისახებოდა სპარსული პოლიტიკურ-კულტურული გავლენა? ასევე, განმარტე, რატომ განიცდიდა ქართული სახელმწიფოები და ქართველი ხალხი უძველესი დროიდანვე, ტრადიციულად, ირანის პოლიტიკურსა და კულტურულ გავლენას?*
- *რატომ არის მიჩნეული მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროებად ისტორიული პირების თანადროული მხატვრების მიერ შესრულებული ნახატები?*

ნადირ შაჰის მიერ გატარებულმა მკაცრმა საგადასახადო პოლიტიკამ ხალხში ბუნებრივი მღელვარება და ქართლში მძლავრი აჯანყება გამოიწვია. კვლავ გააქტიურდა ოსმალეთი. ის აჯანყებულებს ჯარით ეხმარებოდა. შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენეს თეიმურაზმა და ერეკლემ. მათ მხარი ნადირ შაჰს დაუჭირეს და მისი დავალებით, ქართლში აჯანყება ჩაახშვეს. ამის სანაცვლოდ, ნადირ შაჰმა თეიმურაზი ამჯერად ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ დაამტკიცა. 1745 წლის 1 ოქტომბერს 113-წლიანი პაუზის შემდეგ სვეტიცხოველში ქრისტიანული წესით ქართლის მეფედ ეკურთხა თეიმურაზ II.

- *შეაფასე თეიმურაზის II-ისა და ერეკლე II-ის მიერ გატარებული პროირანული პოლიტიკა.*
- *შენი აზრით, რატომ არის საქართველოს ამ პერიოდის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა სვეტიცხოველში თეიმურაზ II-ის ქართლის მეფედ კურთხევა?*

ქართლ-კახეთის სამეფოს ბრძოლა აღმოსავლეთ კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად

1747 წელს ნადირ შაჰი შეთქმულებმა მოკლეს. ირანი ქაოსმა მოიცვა. ჯარი დაიშალა, ტახტის პრეტენდენტები ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში გამაგრდნენ და ერთმანეთს ბრძოლა დაუწყეს. ნადირ შაჰის შემდგომ შაჰებს, რომლებიც სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს ტახტზე, ქართველების სამხედრო დახმარება ძლიერ სჭირდებოდათ. იმ დროს სპარსეთში მყოფმა თეიმურაზმაც შეძლო ტახტის მაძიებელთა კეთილგანწყობის მოპოვება. სწორედ ამის გამო იყო, რომ 1750 წელს ახალმა შაჰმა ქართლის სამეფოს სპეციალური დოკუმენტით დაუბრუნა ადრე ჩამორთმეული ტერიტორია – *შამშადილო.*

შენიშვნა: შამშადილო *– ისტორიული გარდაბნის (ხუნანის საერისთავოს) აღმოსავლეთ ნაწილში გვიან შუა საუკუნეებში წარმოშობილი ისტორიული მხარე. ემთხვევა თანამედროვე აზერბაიჯანის სახელმწიფოს თოვუზის რაიონის ტერიტორიას. დაერქვა ყიზილბაშური ტომის, ზულგედერის, ერთ-ერთი შტოს სახელის მიხედვით.*

- *შენი აზრით, რატომ ვერ შეინარჩუნა ირანმა ცენტრალიზებული სახელმწიფო ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ?*
- *გაიხსენე განვლილი გაკვეთილებიდან, რა ისტორიულ ვითარებაში ჩამოერთვა ქართლის სამეფოს ის მხარე, რომელსაც შემდგომში ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში „ბორჩალოს“ უწოდებდნენ?*

ირანში შექმნილი ვითარებით ისარგებლეს აღმოსავლეთ კავკასიის ყოფილმა ქვეშევრდომმა აზერბაიჯანელმა მმართველებმაც და დამოუკიდებელი სახანოები შექმნეს. მათ შორის მუდმივად მიმდინარეობდა ომები. განსაკუთრებით გაძლიერდა შაქის, ყარაბაღისა და ყუბის სახანოები, რომლებმაც მოახერხეს სხვა აზერბაიჯანული სახანოების დაქვემდებარებაც. პირველობისთვის ომში ქართლ-კახეთიც ჩაერთო. თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ მალევე დიდ წარმატებას მიაღწიეს. 1749 წელს ერევნის ხანმა თავის სახანოზე წამოსული ირანის ერთ-ერთი ტახტის მაძიებლის, მაჰმად-ხან ყაჯარის წინააღმდეგ დახმარება ქართველ პოლიტიკოსებს სთხოვა. ქართლ-კახეთის ჯარმა მაჰმად-ხანი დაამარცხა, ერევნის ხანი კი ქართლ-კახეთის მფარველობაში შევიდა და ყოველწლიური ხარკი იკისრა. 1750 წელს თეიმურაზსა და ერეკლეს უკვე განჯის ხანმა მიმართა თხოვნით, დაეცვა ის ყარაბაღის ხანის ზეწოლისგან. ქართლისა და კახეთის მეფეებმა შეძლეს, ჯერ განჯისთვის ალყა მოეხსნევინებინათ ყარაბაღელი ფანა-ხანისთვის და შემდგომ უკვე მამა-შვილმა ყარაბაღის ტერიტორიაზე მძიმე ბრძოლაში სძლია ყარაბაღის ხანს. გაქცეულთა დევნაში მეწინავე ქართულმა ნაწილებმა მდინარე არეზამდე (არაქსი) მიაღწიეს. ცხადია, არეზის გადმოღმა მდებარე ნახჭევანის სახანო ველარ დარჩებოდა ქართლ-კახეთის პოლიტიკური გავლენის გარეშე. იმავე წელს ნახჭევანის ხანმა თბილისში ელჩი გამოგზავნა და მფარველობა ითხოვა. თავის მხრივ, დახმარების სანაცვლოდ, განჯის ხანი იძულებული გახდა, ქართველი მეფეებისთვის *შამშადილო* დაეთმო და მათ მფარველობაში შესულიყო.

● *რა მახასიათებლები ჰქონდა კავკასიურ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ფეოდალურ ომებს? რით განსხვავდება ისინი თანამედროვე ომებისგან?*

წყარო ე **ქართლ-კახეთის სამეფო და მეზობელი სახანოები XVIII ს-ის II ნახევარში**



● *წყარო ე-ზე დაყრდნობით, დაასახელე ერთი ფაქტი, რომელიც ამტკიცებს ქართლ-კახეთის სამეფოს გავლენის გავრცელებას რეგიონის მნიშვნელოვან ნაწილზე.*

ქართლ-კახეთის სამხედრო-პოლიტიკურმა წარმატებებმა ქართველების ავტორიტეტი მთელ ირანში გაზარდა. მათ საშუალება ეძლეოდათ, სამხედრო დახმარება აღმოეჩინათ შაჰის ტახტისთვის მებრძოლი მათთვის სასურველი პრეტენდენტისთვის. 1751 წელს ქართლ-კახეთის ჯარი, ერეკლე II-ის მეთაურობით, არეზზე გადავიდა და ჩრდილოეთ ირანის მთავარ ქალაქამდე, თავრიზამდე მიაღწია. აქედან ცენტრალურ ირანში აპირებდა შეჭრას, თუმცა ეს გეგმა ირანის ტახტის პრეტენდენტის, აზატ ხანის საპასუხო სამხედრო მანევრმა ჩაშალა.

ქართლ-კახეთის პოლიტიკური გაძლიერება ქრისტიანობის განმტკიცებაშიც გამოიხატა. დამპყრობლების სამსახურში ჩამდგარი ბევრი ქართველი დიდებული ქრისტიანულ სარწმუნოებას დაუბრუნდა.

წყარო 3 **ნაწყვეტი XVIII ს-ის ისტორიკოსის, პაპუნა ორბელიანის ისტორიული თხზულებიდან „ამბავნი ქართლისანი“:** *ადაპტირებული წყარო*

ისაყ ბატონიშვილმა, რომელიც მაჰმადის რჯულის მიმდევარი იყო, აღიარა წმინდა რჯული ქრისტიანობისა. და გაიხარა მორწმუნე და კურთხეულმა მეფე თეიმურაზმა. გაიყვანეს [ისაყი] ქალაქიდან, ჩასვეს [იგი] მტკვარში, შვილებითურთ წმინდა ნათლისღებით აზიარეს ნათელს, აღბეჭდეს წმინდა მირონის ბეჭდით. ქრისტიანად მისი მომქცევი თავად კურთხეული მეფე იყო; და უწოდეს [ისაყს] ქრისტიანული სახელი ალექსანდრე, ხოლო მის მემკვიდრეებს – იოანე და სოლომონი; და ორივე მონათლეს. უბოძეს ალექსანდრე ბატონიშვილს საბატონიშვილო მამული და მუდამ ცდილობდნენ მორწმუნე მეფეები ქრისტიანობის გაძლიერებას. ისურვეს და მეტეხის ყოვლადწმინდის მონასტერი წმინდა ეკლესიად შეამკეს, განაწესეს [ეკლესიის მსახურ] სამღვდელო პირთა გუნდი, რომელიც თავიდანვე დადგენილი იყო [მეტეხის ტაძარში]. ხოლო წმინდა პატრიარქმა ანტონიმ ღვთის სახლად აკუთხა და ნათელი მოჰფინა მის ყოველ ნაწილს. ქრისტიანობის წმინდა რჯული აღიარა მერალიბეგ ციციშვილმა და ქალაქ თბილისში მონათლეს [იგი] წმინდა ემბაზით, უწოდეს ქრისტიანული სახელი დიმიტრი.

შენიშვნა: ისაყ-ბეგი ბატონიშვილი *– ქართლის სამეფოს ნაიბი (მმართველის მოადგილე) (1743-1749); ევალებოდა ქრისტიანი მეფის მეთვალყურეობა. იყო ვახტანგ VI-ის ძმის – ქართლის მეფე იესე I-ის (ალიყული-ხანის) – შვილი.*

- *რატომ იყო ქართლ-კახეთისთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა ქრისტიანულ სარწმუნეობაში დაბრუნების პროცესი?*
- *რამდენად სანდოა ისტორიკოსის ცნობა? რატომ ფიქრობ ასე?*
- *რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიის შესასწავლად თანადროული ისტორიკოსის მიერ აღწერილი ამბები?*
- *გამოთქვი ვარაუდი – რა მიზანს ემსახურება ისტორიკოსის მიერ წყაროში მოცემული ამბის აღწერა?*

თეიმურაზისა და ერეკლეს წარმატებას შიშითა და უკმაყოფილებით შესცქეროდნენ აზერბაიჯანული სახანოების მმართველები. ისინი ფიქრობდნენ, რომ, თუკი ქართველი მეფეები ირანში თავიანთ კანდიდატურას გაამეფებდნენ, მათი ძალაუფლება მთელ რეგიონში უზომოდ გაიზრდებოდა. ამიტომ აზერბაიჯანელ ხანებს შორის ანტიქართული კოალიციის შექმნის იდეა გაძლიერდა. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა შაქის ხანი ჰაჯი-ჩალაბი. მან დაღესტნელები და ქართლ-კახეთის მოკავშირე აზერბაიჯანელი ხანები მიიმხრო. ჰაჯი-ჩალაბმა შეძლო, ზედიზედ ორჯერ დაემარცხებინა ქართველები. ქართველი მეფეების მიერ სწრაფი საგანგებო ღონისძიებების გატარებამ ქართულ ჯარს საშუალება მისცა, ყაზახ-შამშადილის საზღვარზე ჰაჯი-ჩალაბის ლაშქარი მთლიანად გაენადგურებინა. ერეკლე II-ის მიერ ერევნის სახანოში შემოჭრილი აზატ-ხანის დამარცხებამ ქართლ-კახეთის სამეფოს ავტორიტეტი რეგიონში საბოლოოდ აღადგინა.

- *რატომ შეძლო ჰაჯი-ჩალაბმა აზერბაიჯანული სახანოების რელიგიური მოწოდებებით გაერთიანება? რატომ არ უნდოდათ აზერბაიჯანელ ხანებს, რომ ქართველებს აღმოსავლეთ კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობა მოეპოვებინათ?*

ლეკიანობა

ცნობა 1 **რა იყო ლეკიანობის ძირითადი მიზეზები?**

დაღესტნელ ბელადთა მიერ მოწყობილი წვრილ-წვრილი თავდასხმები აღმოსავლეთი კავკასიის ბარის (ძირითადად, კახეთი, ქართლი) მოსახლეობაზე მიზნად ისახავდა ქონების, საქონლის, ჭირნახულისა და ტყვეების გატაცებას; მოგვიანებით – დასახლებული ტერიტორიების დაპყრობასა და დამორჩილებული მოსახლეობის დახარკვას. მთიელთა ექსპანსიის ფორმას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დაღესტნის დაბალი ეკონომიკური განვითარება. მეზობელი ქვეყნების ძარცვა მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენდა. პოლიტიკურად სუსტ, მაგრამ რესურსებით მდიდარ მეზობელ საქართველოზე თავდასხმები განვითარების საპირისპირო პოლუსზე მყოფ დაღესტნელებს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის დროებით საშუალებას აძლევდა.

წყარო 8 ლეკიანობა საქართველოში XVIII ს-ში



- *დაღესტნელების თავდასხმათა მარშრუტებისა და სიხშირის მიხედვით, გამოთქვი აზრი, რატომ შეიძლებოდა, ქვეყნისთვის კატასტროფული შედეგები მოეტანა ლეკიანობას?*
- *როგორ ახერხებდნენ დაღესტნელები საკუთარი ქვეყნის საზღვრებიდან მოშორებით მდებარე ქართულ მიწებზე ყაჩაღური თავდასხმების მოწყობას? შენი აზრით, რა მიზეზით არ იყო სათანადოდ ორგანიზებული იმდროინდელი საქართველოს უსაფრთხოების სისტემა?*
- *გამოთქვი ვარაუდი, „ყიზილბაშობის“ გადავარდნის შემდეგ რატომ გახშირდა აღმოსავლეთ საქართველოში დაღესტნელთა თარეში?*
- *შენი აზრით, დაღესტნელებთან დიდი ბრძოლების მოგება რატომ ვერ აგვარებდა „ლეკიანობის“ პრობლემას?*
- *გამოთქვი მოსაზრება, რა ღონისძიებები იქნებოდა განსაკუთრებულად ეფექტური „ლეკიანობის“ წინააღმდეგ?*

ერეკლე II-ისა და ქართლ-კახეთის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდა

თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1762 წელს, ქართლი და კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა. ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტი ერეკლე II-მ დაიკავა. ირანსა და აზერბაიჯანში გატარებულმა აქტიურმა და წარმატებულმა პოლიტიკამ მას საერთაშორისო ავტორიტეტი მოუტანა. ევროპაში ერეკლე II-ის შესახებ იწერებოდა წიგნები, წამყვან გაზეთებში იბეჭდებოდა სტატიები.

წყარო თ ნაწყვეტი ყირიმში საფრანგეთის ელჩის, შარლ დე პეისონელის წიგნიდან „სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელ არეულობათა შესახებ“, 1753:

პრინც ერეკლეს, მართალია, საკმაოდ ბევრი უკლია სპარსეთის სამეფო გვირგვინის ფლობამდე, რასაც მას მიაწერენ, მაგრამ მაინც არის იმდენად დიდი მმართველი, რომ ოდენ რომანების გმირად იყოს მიჩნეული, როგორც მას ყოველდღე [ევროპაში] წარმოაჩენენ. ეს მმართველი, ყველა იმ ადამიანის აზრით, ვინც კი მას იცნობს, არის ყველაზე სრულყოფილი პიროვნება, რომელიც კი აღმოსავლეთში გამოჩენილა. ის 27 წლისაა. მის ფართო ბუნებას გამოარჩევს ახალგაზრდულ ასაკზე აღმატებული გონიერება, დიდი გამოცდილება, შეუდარებელი სიმამაცე, მუდმივი სამართლიანობა და განუსაზღვრელი ლმობიერება... რატომ არ უნდა ვიცნობდეთ ისეთ მმართველს [ერეკლეს], რომელიც, ამასთანავე, ფლობს ორ დიდ სამეფოს – საქართველოსა და ირანის სომხეთს და რომელსაც ის უპირატესობაც გააჩნია, რომ აღმოსავლეთის ორ ყველაზე მამაც ხალხს მართავს. ამ ორი ხალხის წინამძღოლობას შესაძლებლად თავიანთი მმართველისადმი მათი სიყვარული ხდის.

- *რატომ მოიხსენიებს ფრანგი დიპლომატი ერეკლეს პრინცად (მთავრად) და არა მეფედ?*
- *რომელ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს გულისხმობს შარლ დე პეისონელი სპარსეთის სომხეთში?*
- *გაკვეთილის ტექსტზე დაყრდნობით, უპასუხე შეკითხვას: ერეკლე II-ის რომელ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებზე საუბრობს შარლ დე პეისონელი?*

წყარო ი ნაწყვეტი გერმანელი მწერლისა და განმანათლებლის, გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგის (1729-1781) პიესიდან „ჯარისკაცის ბედნიერება“ (პრემიერა შედგა ჰამბურგის თეატრში 1767 წელს):

სცენა XII

მეთაურის მოხუცი სერჟანტი
გაგიგია ოდესმე პრინცი ერეკლე?

მეთაურის მსახური
ერეკლე? არ გამიგია.

მეთაურის მოხუცი სერჟანტი
მართლა არ გაგიგია აღმოსავლეთის დიდებული გმირი?

მეთაურის მსახური
საკმაოდ კარგად ვიცნობ აღმოსავლეთის ბრძენებს, რომლებიც ახალ წელს ვარსკვლავების მეშვეობით იკვლევენ გზას.

მეთაურის მოხუცი სერჟანტი
ძმაო, მგონია, გაზეთებსაც ისევე ცოტას კითხულობ, როგორც ბიბლიას. არ იცნობ მამაც ადამიანს, რომელმაც დაიპყრო სპარსეთი და რამდენიმე დღეში ოსმალეთის იმპერიაშიც შეიჭრება. ღმერთო, მსოფლიოში სადღაც ომია! რამდენ ხანს ველოდი ამ დღეს! მაგრამ აქ სხედან და საკუთარ ტყავებს უფრთხილდებიან. არა, მე ჯარისკაცი ვიყავი და ისევ ჯარისკაცობას უნდა დავუბრუნდე. მოკლედ, ჩვენ შორის დარჩეს. მე სპარსეთში უნდა წავიდე, რათა მონაწილეობა მივიღო მისი უდიდებულესობის, პრინც ერეკლეს მეთაურობით, თურქების წინააღმდეგ გამართულ ლაშქრობებში.

- *გაეცანი Ზ, Თ და Ი წყაროებს და უპასუხე შეკითხვებს:*
  - *რატომ გამოჰყავდათ რომანების გმირად და წერდნენ პიესებში, რატომ ბეჭდავდნენ საგაზეთო სტატიებს ერეკლე II-ის შესახებ ევროპელი მწერლები და ჟურნალისტები?*
  - *რამდენად სწორ ინფორმაციას ავრცელებდნენ გაზეთები ევროპაში ერეკლე II-ის შესახებ? მოიყვანე კონკრეტული მაგალითები წყაროებიდან.*
  - *რა პრაგმატული ინტერესები ჰქონდათ ევროპელებს ერეკლე II-ის მიმართ?*
  - *რა გავლენას ახდენდა ევროპის მოწინავე საზოგადოებაზე ერეკლე II-ის სამხედრო წარმატებები?*
  - *გამოთქვი ვარაუდი, ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, რატომ არ იბეჭდებოდა გაზეთები XVIII ს-ის საქართველოში ?*

ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერებას რეგიონში სომეხი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა მოჰყვა. სომეხი ისტორიკოსის ცნობით, მისმა თანამემამულეებმა კაცთმოყვარე მმართველის, ერეკლე II-ის დროს სული მოითქვეს. 1763 წელს ქართველი მეფის კარს ესტუმრა ინდოეთში მცხოვრებ სომეხთა ბურჟუაზიული წრიდან გამოსული იოსებ ემინი. მისი გეგმა ითვალისწინებდა ერეკლე II-ის მეთაურობით ქართულ-სომხური ფედერალური სამეფოს შექმნას. ამ გეგმის წინააღმდეგ გამოვიდნენ სომხური პოლიტიკური და საეკლესიო წრეები. არც ერეკლე II შეხვედრია ამას დიდი ენთუზიაზმით.

- *გამოთქვი ვარაუდი, რატომ არ მოიწონა ერეკლე II-მ იოსებ ემინის გეგმა? როგორ ფიქრობ, სწორად მოიქცა ის?*
- *შენი აზრით, რომ განხორციელებულიყო იოსებ ემინის გეგმა, შეიცვლებოდა თუ არა კავკასიაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა?*

1. შეასრულე მოსწავლის რვეულის 7.2 სავარჯიშო ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ წარმოებული სამხედრო კამპანიების შესახებ.

2. შეასრულე მოსწავლის რვეულის 7.3 სავარჯიშო: დაწერე ესე თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის როლის შესახებ ქართლ-კახეთის სამეფოს საერთაშორისო და რეგიონალური ავტორიტეტის გაზრდაში.

3. შეასრულე მოსწავლის რვეულის 7.4 სავარჯიშო XVIII ს-ის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგიის შესახებ.

4. წარმოიდგინე, რომ ხარ ერეკლე II-ის თანადროული ერთ-ერთი ევროპული ჟურნალის კორესპონდენტი. იმოგზაურე იმდროინდელ აღმოსავლეთში, შეაგროვე ინფორმაცია ერეკლე II-ის შესახებ, თანაკლასელების მონაწილეობით აიღე ვიდეოინტერვიუები თეიმურაზისგან, ერეკლესგან, მათ თანამედროვეთაგან.

46 რა ინტერესები ჰქონდათ დიდ სახელმწიფოებს კავკასიაში XVIII ს-ის მეორე ნახევარში?

სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ამერიკასა და ევროპაში საკაცობრიო მნიშვნელობის ცვლილებები მიმდინარეობდა, ისევ დრომოჭმულ ფეოდალურ სისტემაში ჩარჩენილი კავკასიის ქვეყნები ირან-ოსმალეთის აგრესიას ებრძოდნენ. როგორც უკვე იცი, მთელი XVIII ს-ის პირველი ნახევრის განმავლობაში ოსმალეთი აქტიურად ერეოდა ქართული სამეფო-სამთავროების შიდასაქმეებში, ცდილობდა უშუალოდ შეეერთებინა მათი ტერიტორიები, რათა თავისი ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი გაეფართოებინა და მისი უსაფრთხოება დაეცვა. თუ რა ადგილი ეკავა კავკასიას დიდი სახელმწიფოების ურთიერთობებში XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ამ გაკვეთილიდან შეიტყობ.

XVIII ს-ის II ნახევარში კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში სამი სახელმწიფოს – ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიის – ინტერესები დაუპირისპირდა ერთმანეთს. ოსმალეთის გავლენა განსაკუთრებით ძლიერი დასავლეთ საქართველოში იყო, რაც იმერეთის მეფეს, სოლომონ I-ს, ხელს უშლიდა, აღედგინა დასავლეთ საქართველოს ერთიანობა. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, 1762 წლამდე თეიმურაზ II და ერეკლე II ერთობლივად ცდილობდნენ მუსლიმურ სახანოებთან ურთიერთობის სტაბილიზებას. ეს გზა გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე II-მ, გააგრძელა და ქართლ-კახეთი სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ უძლიერეს სამეფოდ აქცია. მიუხედავად იმისა, რომ ირანი ამ დროს ნაკლებად აქტიურობდა, მუსლიმური გარემოცვიდან მომდინარე საფრთხე ერეკლე II-ს მოკავშირეების მოძიებისკენ უბიძგებდა. ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესთა სფეროში იყო მოქცეული.

1752 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე ალექსანდრეს V-ის 17 წლის ვაჟი **სოლომონ I** ავიდა. მას მალევე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები – ტახტისთვის მებრძოლი ბიძები, ასევე იმერეთის დიდი თავადები. შეთქმულები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ ერთხანს სოლომონი იძულებული გახდა, ახალციხის საფაშოში გაქცეულიყო. იგი სწორედ ახალციხის ფაშას დახმარებით მალევე დაბრუნდა ტახტზე.



სოლომონ I (1752-1784), უცნობი მხატვარი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი – ხელოვნების მუზეუმი

წყარო ა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები XVIII ს-ის მეორე ნახევარში



- *შეადარე იმერეთის მეფის ტერიტორია მისი ქვეშევრდომი მთავრების სამფლობელოებს. შენი აზრით, რამდენად ძლიერი იყო სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა პოზიციები? პასუხი დაასაბუთე.*
- *რატომ ერეოდა ახალციხის ფაშა იმერეთის სამეფოს შიდასაქმეებში?*
- *წყარო ა-სა და განვლილ მასალაზე დაყრდნობით უპასუხე, რომელი ქვეყნის ინტერესებს ატარებდა ახალციხის ფაშა? პასუხი დაასაბუთე.*

ტახტზე დაბრუნებულმა სოლომონმა მოწინააღმდეგეები დასაჯა, დიდგვაროვან თავადებს საშუალო და წვრილი თავადაზნაურობა დაუპირისპირა. სამეფოდან გააძევა ტახტის მაძიებელი ბიძა და შეთქმულებაში მონაწილე საკუთარი დედა. ამის შემდეგ სოლომონ მეფემ მზადება დაიწყო, რათა ოსმალებისთვის ხარკის გადახდა შეეწყვიტა.

ცნობა 1 ოსმალური ხარკი დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოს ყოველწლიურად დიდი ფულადი გადასახადი ევალებოდა. ამის პარალელურად, იმერეთის მნიშვნელოვან ციხეებში ოსმალური ჯარი იდგა. ოსმალები უშუალოდ აკონტროლებდნენ შავი ზღვის სანაპიროს, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიას. ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკა ხანგრძლივი ომებისგან მოშლილი იყო, გადასახადის მნიშვნელოვან წყაროს ტყვეთა სყიდვა, ანუ ადგილობრივი მოსახლეობის ტყვედ წაყვანა წარმოადგენდა.

- *შენი აზრით, როგორ იმოქმედებდა დიდი რაოდენობით მოსახლეობის გაყვანა სამომავლოდ ქვეყნის განვითარებაზე? პასუხი დაასაბუთე.*

სოლომონის განზრახვას, ხარკი შეეწყვიტა ოსმალებისთვის, რაც ადამიანებით ვაჭრობის აკრძალვასაც მოიცავდა, მტრულად შეხვდნენ ახალციხის ფაშა და ადგილობრივი თავადები. თავადებს კარგად ესმოდათ, რომ ხარკის შეწყვეტის შემდეგ მეფე მათ ძალაუფლებასაც შეზღუდავდა.

- *შენი აზრით, როგორ შეზღუდა სოლომონმა თავადების ძალაუფლება?*

ახალციხის ფაშა კი სოლომონისთვის ადრე გაწეულ დახმარებას შეცდომად მიიჩნევდა. სოლომონ I-მა თავისი პოზიციების გასაძლიერებლად ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის ასული.

- *შენი აზრით, რატომ მიიჩნევდა ფაშა თავის შეცდომად, რომ სოლომონს იმერეთის ტახტის დაბრუნებაში დაეხმარა? რას გეუბნება ახალციხის ფაშისა და ადგილობრივი თავადების რეაქცია იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის შესახებ?*

დასავლეთ საქართველოს ერთიანობას იმერეთში ოსმალთა ჯარების ყოფნა უშლიდა ხელს. 1757 წელს სოლომონ მეფემ ოსმალეთს ხარკის გადახდა შეუწყვიტა. ამის საპასუხოდ ლევან აბაშიძემ და როსტომ რაჭის ერისთავმა, რომლებიც მტრის ლაშქარს მოუძღოდნენ, ახალციხიდან ჯარი გადმოიყვანეს და იმერეთში შეიჭრნენ. ბრძოლა ხრესილის მინდორზე [ტყიბულთან] გაიმართა. მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, სოლომონ მეფემ გაიმარჯვა. სოლომონ მეფის მხარეს იბრძოდნენ: დადიანი, გურიელი და შარვაშიძე. ლევან აბაშიძე ბრძოლაში დაიღუპა, რაჭის ერისთავმა კი თავს გაქცევით უშველა. მეფემ დამნაშავე თავადები დასაჯა, რაჭის საერისთავო გააუქმა, გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა იმერეთის მეფის უზენაესობა ცნეს. დასავლეთ საქართველო, ფაქტობრივად, გაერთიანდა. ამის შემდეგ სოლომონ მეფე აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა და ქართლ-კახეთის მეფეებს შეხვდა. სოლომონმა, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ გორში თავდაცვითი კავშირი გააფორმეს.

- *შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ხრესილის ბრძოლაში გამარჯვებას?*
- *როგორ რეაქციას გამოიწვევდა ირანსა და ოსმალეთში იმერეთ-ქართლ-კახეთის თავდაცვითი კავშირის გაფორმება? მოსაზრება დაასაბუთე.*

სოლომონ მეფის საშინაო პოლიტიკა, ბრძოლა ტყვეთა სყიდვასთან

როგორც განვლილი მასალიდან იცი, ტყვეთა სყიდვა ჯერ კიდევ XVI ს-დან გავრცელდა დასავლეთ საქართველოში. ხარკის გადახდის გარდა, ტყვეებით ვაჭრობით, როგორც შემოსავლიანი საქმიანობით, დაკავებული იყო დასავლეთ საქართველოს არაერთი თავადი. სოლომონ მეფემ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ამ საკითხის მოგვარებას. ამ მავნე ჩვეულების ამოსაძირკვად მეფემ 1759 წელს დასავლეთ საქართველოში საეკლესიო კრება მოიწვია. კრებას, საეკლესიო პირების გარდა, ესწრებოდნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები და სხვა დიდი თავადები.

საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით:

1. ეკლესიას დაუბრუნდა ადრე წართმეული მამულები. ისინი აღარ იქნებოდნენ დამოკიდებულნი დიდ თავადებზე;
2. საეკლესიო მამულები გათავისუფლდა გადასახადებისგან. დარჩა მხოლოდ ლაშქრის გამოყვანის ვალდებულება;
3. იმერეთის თავადებმა და დასავლეთ საქართველოს მთავრებმა იმერეთის მეფეს მისცეს ერთგულების ფიცი;
4. აიკრძალა ტყვეებით ვაჭრობა. ეკლესია ამ წესის დამრღვევს საეკლესიო სასჯელით დაემუქრა, ხოლო საერო ხელისუფლება – სიკვდილით დასჯით.

- *შენი აზრით, ამ გადაწყვეტილებების შემდეგ ვის მხარეზე იქნებოდა ეკლესია – სამეფო ხელისუფლების თუ დიდი თავადების? პასუხი დაასაბუთე.*

სოლომონ მეფე თავის სამფლობელოებს სხვადასხვა გზით აფართოებდა – ზოგიერთ ციხე-სიმაგრეს ყიდულობდა, ზოგს კი ურჩ თავადებს ართმევდა. ამ სახით დიდი თავადების მამულებს ამცირებდა, სამეფო მიწებს კი ზრდიდა. მეფე ამ გზებით მოპოვებულ მიწებს სხვა დიდ თავადებს კი არ გადასცემდა, არამედ თავად იკავებდა.

- *იმსჯელეთ კლასში: რატომ არ გადასცემდა მეფე შეძენილ მიწებს სხვა, თუნდაც თავის მომხრე დიდ თავადებს?*

სოლომონ I ცდილობდა, ეკონომიკურად მოეძლიერებინა უფრო მცირე შეძლების თავადები, აზნაურები და, განსაკუთრებით, გლეხები. მან ხრესილის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი მესხი და აჭარელი გლეხები თავის მამულებში დაასახლა. ასევე, დიდ ყურადღებას აქცევდა და მფარველობდა ახალციხიდან მოსულ კათოლიკეებს.

სოლომონის წარმატებით შეშფოთებულმა ოსმალებმა, 1760-1767 წლებში, ახალციხის ფაშას თაოსნობით რამდენჯერმე სცადეს იმერეთის დამორჩილება. ამის საპასუხოდ, სოლომონის მომხრეებმა იმერეთში შემოსულ ჯარებს პარტიზანული ბრძოლები გაუმართეს, რითაც დიდი ზიანი მიაყენეს. ოსმალეთის სულთნის კარს იმერეთში ბრძოლების წარმოება ძალიან ძვირი უჯდებოდა. 1767 წელს ოსმალებმა სოლომონთან ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის თანახმადაც, ოსმალეთი უარს ამბობდა იმერეთზე. ისინი იმერეთს მხოლოდ თავიანთ მფარველობაში მყოფ ქვეყანად აცხადებდნენ.

- *რა განსხვავებაა ქვეყნისათვის ქვეშევრდომისა და მფარველობაში მყოფის სტატუსებს შორის? რომელი უფრო მეტ თავისუფლებას გულისხმობდა?*
- *იმსჯელეთ კლასში: რამდენად სწორად მოიქცა სოლომონ I, დახმარება ახალციხის ფაშას რომ სთხოვა?*

ქართული სამეფოები და რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი

1768 წელს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ეკატერინე II-მ გადაწყვიტა, თურქეთის საზღვრებში მცხოვრები მართლმადიდებელი ხალხები აეჯანყებინა ოსმალეთის წინააღმდეგ. როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, ამ პროექტის ძირითადი მიზანი ოსმალეთის დასუსტება იყო და არა ქრისტიანთა დაცვა. ძირითადი ბრძოლები დღევანდელი უკრაინის, მოლდოვისა და რუმინეთის ტერიტორიებზე მიმდინარეობდა. ასეთ ვითარებაში სოლომონ I-მა რუსეთში საგანგებო ელჩობა გაგზავნა. იგი რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას დაჰპირდა, სანაცვლოდ კი რუსეთის მფარველობაში შესვლა მოითხოვა. იმ პერიოდში ქართულ სამეფო-სამთავროებთან რუსეთის იმპერიას საერთო საზღვარი არ ჰქონდა. მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ცხოვრობდნენ, რომლებიც რუსეთის შემადგენლობაში არ შედიოდნენ.

- *იმსჯელეთ კლასში: რა თვალსაზრისით იქნებოდა სოლომონ მეფისთვის მომგებიანი ის გარემოება, რომ რუსეთი, რომლის მფარველობაში შესვლასაც ითხოვდა, უშუალოდ არ ესაზღვრებოდა იმერეთის სამეფოს, განსხვავებით ოსმალეთის იმპერიისგან, რომელთანაც საერთო საზღვარი ჰქონდათ?*

ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობას ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ც დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, თუ ომით განთავისუფლებული მესხეთის ტერიტორია ქართლ-კახეთის სამეფოს შეუერთდებოდა.

ცნობა 2 რუსეთის ჯარი საქართველოში

საქართველოში გამოგზავნილ 1200-კაციან რუსულ ჯარს საგანგებოდ გამოაყოლეს ქართული წარმოშობის რამდენიმე ოფიცერი, რომლებიც რუსეთის ჯარში მსახურობდნენ. ზოგიერთი მათგანის წინაპარი რუსეთში წასული ვახტანგ VI-ის ამალის წევრი იყო. ჯარს სათავეში გენერალი ტოტლებენი ედგა.

- *შენი აზრით, რატომ გამოგზავნეს რუსეთიდან ქართული წარმოშობის ოფიცრები?*

წყარო 3 გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ტოტლებენი (1715-1773)



რუსეთის ჯარს, რომელიც საქართველოში სტეფანწმინდიდან შემოვიდა, ერეკლე II შეეგება. გენერალი ტოტლებენი თავდაპირველად იმერეთში გადავიდა და შორაპნის ციხეს ალყა შემოარტყა, თუმცაის მოხსნა, ქართლში დაბრუნდა და ერეკლე II-სთან ერთად ახალციხისკენ დაიძრა. ტოტლებენი და ერეკლე II ბრძოლის გეგმაზე ვერ შეთანხმდნენ. ადგილობრივი ვითარების უცოდინარი რუსეთის გენერალი ერეკლე II-ის რჩევებს არ ითვალისწინებდა და თვითნებურად მოქმედებდა. მალე მან ოსმალებთან გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველები მიატოვა და ქართლში დაბრუნდა. ეს რომ დაინახეს, ოსმალები, ლეკების ჯართან ერთად, ერეკლეს წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ. 1770 წელს ასპინძასთან ერეკლე მეფემ ოსმალო-ლეკთა გაერთიანებული ჯარი დაამარცხა. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს: აღაბაბა ერისთავმა, სვიმონ მუხრანბატონმა და ხუდია ბორჩალოელმა, რომლებმაც ღამით ხიდის საყრდენი ძელები გადახერხეს. ამით ოსმალო-ლეკთა ჯარს უკან დახევისა და გადაჯგუფების საშუალება მოუსპეს. ბრძოლაში გამარჯვების მიუხედავად, ერეკლე მეფე იძულებული გახდა, უკან, ქართლში დაბრუნებულიყო, ვინაიდან რუსეთის გენერალი მოსახლეობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე აფიცებდა და ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდებას გეგმავდა. ტოტლებენი უკან, რუსეთში გაიწვიეს. ოსმალების წინააღმდეგ აქტიურად ვერც მისმა შემცვლელმა იმოქმედა. 1772 წელს რუსეთის ჯარი საქართველოდან გავიდა. ამგვარად, ქართველმა მეფეებმა რუსეთ-ოსმალეთის ომში ძირითადი ბრძოლები საკუთარი ძალებით ჩაატარეს, რუსეთის ჯარმა მათ არსებითი დახმარება ვერ აღმოუჩინა.

რუსეთმა ამ ომის შედეგად შავი ზღვის რეგიონში სტრატეგიული პოზიციები გაიმყარა და ეს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით (1774) გაიფორმა, თუმცა საქართველოს მდგომარეობა საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა.

ცნობა 3 ვინ იყვნენ ბორჩალოელები და რა ვიცით ხუდია ბორჩალოელის შესახებ?

ბორჩალოელები იყვნენ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელების წინაპრები. XVIII ს-ში ქართველი მეფეების ძალისხმევით გაძლიერდა ქართლ-კახეთის სამეფოში ბორჩალოელების ინტეგრაცია. ერეკლე II ქვეყნის სიძლიერისა და ჯარის ბრძოლისუნარიანობის განსამტკიცებლად აქტიურად იყენებდა ბორჩალოელთა სამხედრო ძალას. ჩინებულსა და მამაცს უწოდებს თეიმურაზ ბატონიშვილი ბორჩალოელთა მეთაურს, ხუდია ბორჩალოელს, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, დაბადებულა სადახლოს თემში (დღევანდელი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელი სადახლო).

- *რატომ იბრძოდა ხუდია ბორჩალოელი ერეკლე II-ის მხარეს?*
- *წინა წლებში განვლილი მასალიდან გაიხსენე გორელი სომეხი მღვდლის ისტორია. შენი აზრით, რატომ იცავდნენ საქართველოს ხუდია ბორჩალოელი და გორელი სომეხი მღვდელი?*

წყარო გ **1774 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლი:**

საქართველოს ციხეებს – ბაღდათს, ქუთაისსა და შოროპანს, რომლებიც რუსეთის იარაღით დაიპყრეს [იგულისხმება რუსეთის ჯარის დახმარებით], რუსეთი იმათ საკუთრებად აღიარებს, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდა... თავის მხრივ, ოსმალეთი ვალდებულებას იღებს, სამუდამოდ უარი თქვას ტყვეებზე ან სხვა სახის ხარკზე... ასევე, არავითარი სახით არ შეავიწროებს ქართველთა სარწმუნოებას... რადგან მოხსენიებული ხალხები ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომნი არიან, რუსეთის იმპერია ამიერიდან უარს ამბობს, ჩაერიოს ან შეავიწროვოს ისინი.

წყარო დ **ივანე ჯავახიშვილი იმის შესახებ, თუ რა დანიშნულება ჰქონდა საქართველოს რუსეთისთვის რუსეთ-ოსმალეთის ომში:**

მოვლენები ცხადყოფს... რუსეთის წარმომადგენელს, თავისი მთავრობის გეგმისამებრ, საქართველოს დანიშნულებად ამ ომში მიწა-წყლის დაჭერა კი არ მიაჩნდა, არამედ, უმთავრესად, შესევითა და თარეშის საშუალებით ოსმალეთის მუდმივი შეწუხება, რომ ოსმალეთის მთავრობა ამის გამო იძულებული ყოფილიყო, აქ საკმაო ჯარი დაებანდებინა.

რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების შედეგები ქართული სამეფო-სამთავროებისთვისაც შესამჩნევი იყო. ოსმალების ნომინალური გავლენა ამიერიდან მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა, ხოლო აღმოსავლეთით რუსეთის იმპერია უფრო და უფრო აქტიურდებოდა.

- *შენი აზრით, ვინ იგულისხმება ბაღდათის, ქუთაისისა და შორაპნის ციხეების ძველ მფლობელებში?*
- *რა სარგებელი მოუტანა ქართულ სამეფო-სამთავროებს ზავმა და რატომ გაიყვანა რუსეთმა ჯარი ზავის დადებისთანავე?*

ოსმალეთის წინააღმდეგ სოლომონ I-ს კიდევ არაერთი ბრძოლის გადატანა მოუხდა.

ამას დაემატა მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება, რომელშიც მისივე შვილი მონაწილეობდა. საბოლოოდ, მეფემ შეძლო შეთქმულების დამარცხება. 1784 წელს სოლომონ I გარდაიცვალა. სოლომონს მემკვიდრე ვაჟი არ დარჩენია. იგი ხვდებოდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტისთვის ბრძოლა დაიწყებოდა. ტახტის ორი პრეტენდენტი იყო: მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე და მეფის ძმისწული დავით არჩილის ძე. ერთი წლით ადრე მან თავის მემკვიდრედ დაასახელა დავით არჩილის ძე, რომელიც ერეკლე II-ის შვილიშვილიც იყო. სოლომონმა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ერეკლე II-სთან საკუთარი მოძღვარი გაგზავნა, რათა თავისი გადაწყვეტილება გაეცნო, სამაგიეროდ, ერეკლეს სოლომონის მოწინააღმდეგეები აღარ უნდა შეეფარებინა. დავით გიორგის ძემ ისარგებლა სოლომონის მემკვიდრედ აღიარებული ერეკლეს შვილიშვილის მცირეწლოვანებით და თვითონ გამეფდა, რასაც იმერეთში საყოველთაო უკმაყოფილება მოჰყვა.

1789 წელს სრულწლოვანებას მიღწეული დავით არჩილის ძე ავიდა ტახტზე. ტახტზე ასვლის შემდეგ დავითმა ბიძის პატივსაცემად სახელი შეიცვალა და სოლომონი დაირქვა. ასე გახდა იგი სოლომონ II, იმერეთის უკანასკნელი მეფე.

წყარო ე **ნაწყვეტი პლატონ იოსელიანის (1809-1875) ნაშრომიდან „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა“:**

...რადგანაც არა სურს მეფესა ირაკლის მეფე დავით, მიმტაცებელი ტახტისა, ინებოს და შეიერთოს თვისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა. დესპანნი იმერთა არწმუნებდნენ მეფესა, რომელ ყოვლადი სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მხიარულებით საქმისა ამის დასასრულსა.

ერეკლეს წინაშე დადგა საკითხი იმერეთის სამეფოს ქართლ-კახეთისთვის შეერთებისა, თუმცა მან ამჯობინა, ოსმალეთთან ურთიერთობა არ გაემწვავებინა და იმერეთში თავისი შვილიშვილის მეფობას დასჯერდა. 1790 წელს ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებმა, აგრეთვე, ოდიშისა და გურიის სამთავროებმა გააფორმეს „ივერიელთა მეფეთა და მთავართა ტრაქტატი“, რომლითაც დასავლეთ საქართველოს მეფე სოლომონ II და მთავრები აღიარებდნენ ერეკლე II-ის უპირატესობას და მას ანდობდნენ რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობას.

წყარო 3 გიორგი უფლისწული, *ჭაბუა ორბელიანი* და *იოანე მუხრანბატონი* იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანებასთან დაკავშირებით:

გიორგი უფლისწული: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა... სამეფო ისრაილთა დაეცა მაშინ, როდესაც ორად გაიხლიჩა მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად.

ჭაბუა ორბელიანი: ვიცი და მესმის თქვენი აზრი, მეუფეო: როგორ წავართვა მეფობა შვილიშვილსა ჩემსა? ესეთი აზრი არის უეჭველი უბედურება იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისთვის, დამღუპველი ქვეყნისა... ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება.

იოანე მუხრანბატონი: რატომ უნდა დავეპატრონოთ ქვეყანას, რომელსაც საკუთარი პატრონი ჰყავს, შვილიშვილი მეფისა? ჩვენ, ქართველთა, ჩვენთვის ვერ მოგვივლია.

შენიშვნები: მზეჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანი *– ქართველი პოეტი და მწიგნობარი, ერეკლე II-ის მდივანბეგი.*

იოანე მუხრანბატონი *– ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე.*

პლატონ იოსელიანი თავის თხზულებაში იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანებასთან დაკავშირებით წერდა: „როცა *ირაკლი მეორემ* დაკარგა იმერთა მეფის თხოვნა ერთმეფობისა, მაშინ დაკარგა მან კავშირის ძალაც“.

შენიშვნა: ირაკლი მეორე *– იგულისხმება მეფე ერეკლე II.*

● *როგორ შეაფასებდი იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანებასთან დაკავშირებულ განსხვავებულ მოსაზრებებს? რომელ მოსაზრებას ემხრობი და რატომ?*

მდივანბეგი – უმაღლესი მოსამართლე. სამეფოში რამდენიმე მდივანბეგი მსახურობდა.

გაეცანი XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, ალექსანდრე ამილახვრის ნაშრომს, რომელშიც მოცემულია ავტორის შეხედულებები სახელმწიფოს მოწყობის შესახებ (დანართი №8). ტექსტისა და გაკვეთილის მასალის მიხედვით იმსჯელე:

1. გაატარა თუ არა სოლომონ I-მა „ბრძენი“ მმართველისთვის დამახასიათებელი რეფორმები?
2. რა ხელისშემშლელი პირობები არსებობდა ნაშრომში მოცემული შეხედულებების ყოველდღიურობაში დასანერგად?
3. შენი აზრით, რომელი სახელმწიფოების მოდელია აღებული ნაშრომის საფუძვლად?

47/48 რა ღონისძიებებს მიმართავდა ერეკლე II ქართლ-კახეთის სამეფოში შიდასტაბილურობის მისაღწევად?

შენ უკვე იცი, როგორ მოიპოვა ქართლ-კახეთის სამეფომ რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური წარმატებები და როგორ გახდა მეზობელი სახელმწიფოებისთვის ანგარიშგასაწევი ძალა. მიუხედავად ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვებებისა, ერეკლე II ხვდებოდა, მდგრადობის მისაღწევად და საგარეო პრესტიჟის შესანარჩუნებლად ქვეყანას სჭირდებოდა რეფორმები და ეკონომიკური განვითარება. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ ცდილობდა ერეკლე II ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებასა და ქვეყნის მოდერნიზაციას.

ქვეყნის შიდაკრიზისი

ქართლ-კახეთის სამეფოს განვითარებისთვის უმთავრესი წინაღობა დაღესტნელთა განუწყვეტელი თავდასხმები და დრომოჭმული ფეოდალური წყობილება იყო. ქვეყანაში ფეოდალურმა ჩაგვრამ იმდენად მძიმე ფორმები მიიღო, რომ ქართლელი და კახელი გლეხობა ქვეყნის გარეთ გარბოდა – ჩრდილოეთ კავკასიაში: მოზდოკსა და ყიზლარში სახლდებოდა. ნაწილი ოსმალეთის იმპერიაში, ახალციხის საფაშოში გადადიოდა, სადაც, XVIII ს-ის რეფორმის შედეგად, მათთვის ბეგების ბატონობა ეკონომიკურად უფრო ასატანი იყო, ვიდრე ქართლის, კახეთისა და იმერეთის თავადაზნაურობისა. ზოგიერთები ჭარ-ბელაქნის ხუნძახთა უბატონო თემებს აფარებდნენ თავს, სადაც ლეკდებოდნენ და ქართულ ფეოდალურ „ბატონი-ყმის“ დამოკიდებულებას ასე არიდებდნენ თავს.

წყარო ა **გლეხი გიორგი წრიოლიძის არზა დარეჯან ქართლ-კახეთის დედოფლისადმი (წიგნიდან „გერონტი ქიქოძე, ერეკლე II, 1958“)** *ადაპტირებული წყარო*

...როგორც კი ქართლში მშვიდობა დამყარდა და ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენ გამეფდით, ხელახლა დავბრუნდით ქვეყანაში. გზაში, სადგერის [დღეს ბორჯომის მუნიციპ.] მახლობლად ქაიხოსრო ავალიშვილი შეგვხვდა და თავის მამულში დაგვასახლა. მაგრამ მან დიდად შეგვაჭირვა. ორჯერ არზა მოგართვით, თქვენ ბრძანება გაეცით, მაგრამ არაფერი გვეშველა. პირიქით, კინაღამ ერთმანეთი დავხოცეთ. ავალიშვილმა ხმალი იშიშვლა და თექვსმეტი სულის მარჩენალი უღელი ხარი მოგვიკლა. ჩვენ თქვენი გლეხები ვართ. ნუ გვაიძულებთ, ხელახლა ურჯულოთა მხარეში გავიქცეთ. მთელი ჩვენი მოსავალი ჯერ კიდევ მინდორშია. ჩვენ რომ უღელი ხარი გვყავდა, ავალიშვილმა გაზაფხულსა და ზაფხულში ხან გუთანში ამუშავა და ხან კალოზე, შემდეგ კი დაკლა.

- *რატომ მიიჩნევს ჯავახეთში დაბრუნებას „ურჯულოთა ქვეყანაში“ წასვლად არზის დამწერი?*
- *შენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო გლეხი ასეთ ვითარებაში? პასუხი დაასაბუთე.*
- *შეაფასე ქვეყანაში სამეფო ნების აღსრულების ხარისხი. როგორ აისახებოდა ეს ფაქტორი ქვეყანაში ეკონომიკურ მდგომარეობასა და სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებზე?*

წყარო ბ **ნაწყვეტი ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგის, იესე ბარათაშვილის (1768-1786) ავტობიოგრაფიული თხზულებიდან „ცხოვრება-ანდერძი“ ქართველების სამ ადგილას თავმოყრის იდეის შესახებ:**

... სრულიად ქართლი და კახეთი ამ რჩევაში იყვნენ: ეს სასოებაღა არისო, ერთი დიდი მდგომარეობა ქალაქს [ანუ, თბილისში] იყოსო, ერთი მუხრანს და ერთიც ვაკეში, მთელი ქართლი ამ სამ ადგილს დავდგეთო. ვინც მტერი მოვიდეს, ბევრნი გამოვალთ და პასუხი გავცეთო. თორემ ისე გაგვაწვრილმანებენ, რომ დამმარხავიც ველარ ვიშოვოთო. *გაღმამხარი, გამოღმა საერისთავოები*, ზემო ქართლი და ქვემო ქართლი ამ სამ ადგილს დავდგეთო.

შენიშვნა: გაღმამხარი *– ისტორიული მხარე ქართლში. სახელწოდება გვხვდება გვიანდელი ფეოდალური ხანის საბუთებში. ზოგი მკვლევრის აზრით, გაღმამხარი ეწოდებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირს ტაშისკარიდან მცხეთამდე, ზოგის აზრით კი – გვიანდელი ფეოდალური ხანის სათავადოს, საციციანოს. ქართლის მოსახლეობა დღეს გაღმამხარს უწოდებს ისტორიული საციციანოს ტერიტორიას.*

გამოღმა საერისთავოები *– იგულისხმება მტკვრის მარცხენა სანაპირო ქსნისა და არაგვის საერისთავოებით.*

- *წყარო ბ-სა და გაკვ. 44/45-ის წყარო ზ-ს საფუძველზე შეაფასე, რამდენად მძიმე ვითარებას უქმნიდა ლეკიანობა ქართლ-კახეთის მოსახლეობას?*
- *ქართველების სამ ადგილას თავმოყრის იდეის საფუძველზე, როგორ შეაფასებ იესე ბარათაშვილის თანადროულ ქართველთა სახელმწიფოებრივ აზროვნებას?*

სოციალურ პრობლემას ისიც ემატებოდა, რომ გახშირდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებით უკმაყოფილო ფეოდალთა მცდელობები, მეფის ხელისუფლება შეესუსტებინათ. როგორც განვლილი მასალიდან იცი, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთი გაერთიანდა. როდესაც მსხვილ ფეოდალებს საგარეო დახმარების იმედი გადაეწურათ, გადაწყვიტეს, ქვეყნის შიგნით მოეწყოთ შეთქმულება ერეკლე II-ის წინააღმდეგ. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი პაატა ბატონიშვილი. პაატა თავისი დროისთვის მეტად განათლებული პიროვნება იყო. მან რუსეთში შეისწავლა სამხედრო საქმე, არტილერია და ზარბაზნების ჩამოსხმა. იგი ღიად გამოდიოდა რუსეთთან ურთიერთობის წინააღმდეგ და რუსეთს „მატყუარასა“ და „სამართლებრივი ნორმების უარმყოფელ სახელმწიფოს“ უწოდებდა. შეთქმულებმა შეკრების ადგილად გლეხის ოჯახი – მარკოზაშვილის დარბაზი აირჩიეს. პაატა ბატონიშვილის გარშემო ერეკლეს პოლიტიკით უკმაყოფილო ფენებმა მოიყარეს თავი. საბოლოოდ, შეთქმულება გასცა დათუნა ფეიქარმა. შეთქმულები გაასამართლეს დარბაზის სხდომაზე, სადაც ერეკლე მომჩივნად გამოდიოდა. პაატა ბატონიშვილი და მისი თანამოაზრეები სიკვდილით დასაჯეს.

მარკოზაშვილის დარბაზი *- შეთქმულთა ერთ-ერთი საიდუმლო შეკრება გლეხის ოჯახში, მარკოზაშვილების დარბაზში გაიმართა. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ტერმინი „მარკოზაშვილის დარბაზელები“ ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლეს II-ს მიმართ ოპოზიციურად განწყობილ თავადაზნაურობას მიემართება.*

სახელმწიფო მმართველობის რეფორმები და ევროპული ტიპის პოლიტიკური კლასის ჩამოყალიბების მცდელობა

სახელმწიფო რეფორმების გასატარებლად და მმართველობის სისტემის გასაუმჯობესებლად ერეკლე ვერ დაეყრდნობოდა ძველ ფეოდალურ ელიტას, რომელსაც სურდა, ადგილებზე მეტი სასამართლო და ადმინისტრაციული ფუნქციები შეენარჩუნებინა. თუმცა, პროფესიონალი სამოხელეო აპარატის ტრადიციის არარსებობის გამო, ვერ იქმნებოდა ახალი პოლიტიკური კლასიც, რომელსაც ექნებოდა მაღალი სახელმწიფოებრივი აზროვნება და რომელიც სამეფო ხელისუფლების განმტკიცებასა და ქვეყნის ცენტრალიზაციას უზრუნველყოფდა. ერეკლე II-ის მმართველობის მეორე ნახევარში ნელი ტემპით, მაგრამ მაინც გამოჩნდნენ ახალი სამეფო მოხელეები, რომლებსაც თავიანთი წარმომავლობით არაფერი ჰქონდათ საერთო მძლავრ თავადთა საგვარეულოებთან. მათ შორის, განსაკუთრებით მაღალი სამოხელეო

თანამდებობები დაიკავეს: იესე ოსეს ძე ბარათაშვილმა, რომელიც სასულიერო წოდებიდან იყო, და სოლომონ ლიონიძემ – ლეკური წარმომავლობის გაქართველებული დეკანოზის შვილმა. იესე ბარათაშვილს მთავარი მდივანბეგის თანამდებობა ეკავა, ხოლო სოლომონ ლიონიძეს – ვიცე-კანცლერისა.

- *რატომ იდგა ქვეყანაში ახალი პოლიტიკური კლასის შექმნის საჭიროება?*
- *მაღალ თანამდებობებზე გაქართველებული მოხელეები წინაურდებოდნენ. როგორ შეაფასებდი ერეკლეს ასეთ საკადრო პოლიტიკას?*
- *რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის, რომ სახელმწიფო სამსახურში ადამიანები წინაურდებოდნენ ღირსებისა და მაღალი პროფესიული უნარების გათვალისწინებით და არა ეთნიკურ-**კონფესიური** თუ სოციალური წარმომავლობის მიხედვით?*
- *გაიხსენე თამარის ეპოქა, შეადარე ერეკლე II-ის პერიოდს და უპასუხე შეკითხვას: რატომ არის დამახასიათებელი საქართველოს ისტორიისთვის არაქართული წარმომავლობის ფეოდალთა და მოხელეთა დაწინაურება სახელმწიფო სამსახურში?*

კონფესია (ლათ.) – სარწმუნოება, რჯული – აღმსარებლობა.



წყარო გ სოლომონ ლიონიძე (1754-1811), ვიცე-კანცლერი ერეკლე II-ის სამეფო კარზე

წყარო დ ერეკლე II-ის მიერ რეფორმირებული ქართლ-კახეთის სახელმწიფო მმართველობის სისტემა



- *რატომ იყო პროგრესული ნაბიჯი სამეფო საქმეების დარგებად მართვა?*
- *რა მიზნით გაზარდა მდივანბეგთა სასამართლოების რაოდენობა ერეკლე II-მ?*
- *რატომ არ იყო, იმ პერიოდის საფრანგეთის მსგავსად, მეფის სათათბირო ორგანოში წარმოდგენილი ე. წ. მესამე წოდება (ვაჭრები, ხელოსნები)?*
- *რამდენად წარმომადგენლობითი ორგანო იყო დარბაზი? რატომ არ შედიოდნენ დარბაზში დაბალი ფენის წარმომადგენლები?*

წყარო ე ერეკლე II-ის სახელმწიფო მმართველობის ფორმის აღწერა 1783-1787 წლებში – ამონარიდი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში რუსეთის იმპერატორის საგანგებო რწმუნებულის, სტეფან ბურნაშევის ნაშრომიდან „საქართველოს სურათი, ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“:

მმართველობის წესი ერთხელისუფლებიანობაა, მეფის ნება შეუზღუდავია. დაწერილი კანონები და დადგენილებები თითქმის არაა. დაქვემდებარებული ხელისუფლება ცოტაა. მთელი საქმე და სულ მცირეც კი დამოკიდებულია მეფის გადაწყვეტილებაზე. მას ერთადერთს ემორჩილებიან მაამებლურად და მოწიწებით, სხვა მოხელეებს – ბევრად ნაკლებად.

- *გამოთქვი შენი მოსაზრება: მიუხედავად წყარო დ-ში ასახული ადმინისტრაციული რეფორმისა, რატომ მართავდა ერეკლე II ქვეყანას ერთპიროვნულად და სათანადოდ რატომ არ იყო დანაწილებული ძალაუფლება ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტს შორის?*
- *რატომ არის სახელმწიფოს სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი ქვეყნის მართვაში ყველა მოქალაქის ჩართულობა?*

ერეკლე II დიდ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო შემოსავლების საქმეს. მან შექმნა საფინანსო უწყება „განსაკუთრებული საბჭო“. ამიერიდან შემოსავალ-გასავალს, სახლთუხუცესთან ერთად, სხვა სახელმწიფო მოხელეებიც განაგებდნენ. სამეფო კარის ძირითადი შემოსავალი იყო მოსაკრებლები სახელმწიფო (სახასო) მიწებს მიწერილი ქვეშევრდომებისგან. ისინი მებაღეობის, მეღვინეობის, მემინდვრეობის მეურნეობებიდან წლიური შემოსავლის ერთ მეხუთედს იხდიდნენ. ხაზინაში შემოსავლები შემოდიოდა ოქროსა და სპილენძის საბადოებიდან, ზარაფხანიდან. შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო იყო განჯისა და ერევნის სახანოებიდან შემოსული ხარკი, საჩუქრების ჩათვლით.

წყარო 3 ქართლ-კახეთის სამეფოს 1769 წლის სახელმწიფო შემოსავლები

შემოსავლების წყარო	თანხა, მინალთუნი
თბილისის ზარაფხანა	10 000
თბილისის საბაჟო	10 000
განჯის სახანო	10 000
ერევნის სახანო	30 000
სხვა შემოსავალი	90 000
სულ	**150 000**

წყარო ზ ქართლ-კახეთის სამეფოს საბაჟო შემოსავლები 1700-1810



- *როგორ მეტყველებს სახელმწიფო მართვის გამართულ მუშაობაზე სახელმწიფო შემოსავლების აღრიცხვა. რატომ ფიქრობ ასე?*
- *რამდენად მნიშვნელოვანი იყო მოხარკე ქვეყნებიდან მიღებული შემოსავალი ქვეყნის ბიუჯეტისთვის? რატომ ფიქრობ ასე?*
- *რატომ არის შემოსავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1770–1795 წლებში და რა ძირითადმა მიზეზმა გამოიწვია მომდევნო პერიოდში?*
- *გაიხსენე განვლილი მასალიდან XVIII ს-ის პირველი ნახევრის ქართლისა და კახეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა და გამოთქვი ვარაუდი: რა მიზეზებით ახსნი ამ პერიოდში ხაზინაში შემოსული საბაჟო მოსაკრებლებიდან დაბალ შემოსავალს?*

წყარო თ ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობა XVIII ს-ის II ნახევარში



- *რომელი გეოგრაფიული ფაქტორების გამო იყო მნიშვნელოვანი სახანოების გაუქმება და იქ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლის – მოურავის დანიშვნა?*
- *რა ტრადიციას ეფუძნებოდა სადროშოთა სახელწოდებები?*
- *ადმინისტრაციული მოწყობის რა ტრადიციული რა პრინციპი დაუდეს საფუძვლად ქართლ-კახეთის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას ერეკლე II-ის პერიოდში? რატომ?*
- *რა ისტორიული საფუძვლები ჰქონდა ქართლ-კახეთის ამგვარ ტერიტორიულ მოწყობას?*

სამხედრო რეფორმა

სამეფოში სათავადოებისა და სახანოების ფეოდალური ავტონომიური ერთეულების გაუქმებისა და ცენტრალური სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიუხედავად, უმთავრეს გამოწვევად რჩებოდა ლეკიანობა. ფეოდალური ლაშქარი უუნარო იყო, წინააღმდეგობა გაეწია დაღესტნელთა განუწყვეტელი, მოულოდნელი და გეოგრაფიულად დიდ სივრცეზე წარმოებული თავდასხმებისთვის. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

- ის არ იყო რეგულარული სამხედრო ძალა და მის შეკრებას გარკვეული დრო სჭირდებოდა;
- ფეოდალური ლაშქრის შეკრება და მეფისათვის გაგზავნა ძლიერი თავადების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული;
- ის არ იყო პროფესიონალი ჯარისკაცებით დაკომპლექტებული ჯარი.

ერეკლე II-მ გადაწყვიტა, ფეოდალური ტიპის ჯარის საპირისპიროდ, შეექმნა მუდმივი ჯარი. მეფემ მოიწვია სამეფო დარბაზი და ერთობლივი განხილვის შემდეგ, 1774 წლის 4 იანვარს მიიღეს განჩინება **„მორიგე ლაშქრის“** შექმნის შესახებ. საგანგებო აღწერის მიხედვით, სამეფოში მცხოვრებ ყველა ზრდასრულ მამაკაცს მოუწოდეს, შეკრებილიყვნენ დათქმულ ადგილას – ყოველი მათგანი თავისი სურსათ-სანოვაგით უნდა გამოცხადებულიყო. ისინი დაყვეს 12 ნაწილად, 12 თვის შესაბამისად. მორიგე ლაშქარში უნდა ემსახურა ყველა სოციალური წარმომავლობის ადამიანს: თავადს, აზნაურს, მოხელეს, მსახურსა თუ გლეხს. მორიგე ლაშქარს ხელმძღვანელობდნენ არა თავადები, არამედ სამხედრო კანცელარიას დაქვემდებარებული სამხედრო პროფესიონალები. მორიგე ჯარისათვის თავის არიდება ისჯებოდა პატიმრობით, ფულადი ჯარიმით ან რუსულ ჯარში მიღებული დასჯის მეთოდით – გაწკეპვლით. „მორიგე ლაშქარი“ თვისობრივად ახალი ტიპის ჯარი იყო, რომელშიც ყოველთვიურად მუდმივად 5 000 კაცი გამოდიოდა. თვით მეფეც და ბატონიშვილებიც რიგრიგობით გადიოდნენ სამხედრო სამსახურში. განსაკუთრებული ენერგიულობით გამოირჩეოდა ლევან ბატონიშვილი, რომელიც მორიგე ლაშქრის ნამდვილი სულისჩამდგმელი გახდა. მორიგე ჯარმა დადებითი შედეგები მალე აჩვენა – საგრძნობლად შემცირდა დაღესტნელთა თარეში. თუმცა, 25 წლის ლევან ბატონიშვილის მოულოდნელი სიკვდილი მორიგე ჯარის შემდგომ ეფექტურობაზე უარყოფითად აისახა.

- *შენი აზრით, რატომ იყო მორიგე ლაშქარი ეფექტური დაღესტნელთა თავდასხმების წინააღმდეგ?*
- *გამოთქვი ვარაუდი – რა არგუმენტები ექნებოდათ დიდ ფეოდალებს მორიგე ლაშქრის შექმნის წინააღმდეგ?*

ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა

ერეკლე კარგად ხვდებოდა, რომ თანამედროვე, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის რეფორმები და ქვეყნის მოდერნიზაცია იყო საჭირო, ამიტომ მან მიზნად დაისახა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება.

წყარო 0 ერეკლე II-ის წერილი კათალიკოსის სახლთუხუცეს - გედევანიშვილისადმი სამთამადნო საქმის შესასწავლად 50-მდე ახალგაზრდა ქართველის გამოგზავნის შესახებ: *ადაპტირებული წყარო*

ამ შაგირდებს თითო ხელი ტანისამოსი, თითო წამოსასხამი ნაბადი, თითო თოფი და იარაღი და ხუთ-ხუთი *მინალთუნი* უნდა მისცეთ. ამაზე ნურავინ დაბრკოლდება, ეს სარწმუნოების ერთგულებაც არის და თავისი ქვეყნისაც. ეს რომ ჩვენს ქვეყანაში გამრავლდეს, მტრისგან ჩვენი ქვეყნის მორჩენა ამას შეუძლია; რომელიც ამ ხელობას ისწავლის, თავის ოჯახს გაამდიდრებს. ჯერ ამის გემო არ იციან, თორემ ამის სწავლისათვის კიდეც შემოგვეხვეწებიან. წელიწადში ერთი ოსტატი სამოც-სამოცდაათ *თუმანს* მოიგებს და ამის უკეთესი მოგება გლეხი კაცისათვის სხვა რა უნდა იყოს.

შენიშვნები: მინალთუნი *– ფულის ერთეული XVIII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოში. 1 მინალთუნის მსყიდველობითუნარიანობა უდრიდა 4 მანეთს. შესადარებლად: ერეკლე II-ის პერიოდში მომსახურე საშუალო რანგის მოხელე – ელიაღასი – ჯამაგირის სახით თვეში იღებდა 12 მინალთუნს).*

თუმანი *– ზოგადად, ფულის ათი ერთეული კრებითად: ერთი თუმანი = ათი მინალთუნი.*

წყარო კ **ქართლ-კახეთის სამეფოში არსებული სამთამადნო საქმიანობის შესახებ – ამონარიდი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში რუსეთის იმპერატორის საგანგებო რწმუნებულის, სტეფან ბურნაშევის ნაშრომიდან „საქართველოს სურათი, ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“:**

ოქროსა და ვერცხლის მადნები საკმარისადაა, ხოლო სპილენძისა განსაკუთრებით დიდი ოდენობისაა მთებში. მათ ამუშავებენ თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნების საშუალებით. ...ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი უხარისხოა და ხელოვნების გარეშე. მათ არ იციან მათი შერევა სხვა ლითონებთან. სპილენძისა კარგია, კალისა არ არის, ფოლადისა საშუალოა. რკინის ნაკეთობებს აკეთებენ კალასთან ერთად. არის მცირე ხელის ფაბრიკები აბრეშუმის და ბამბის. უკანასკნელნი დიდი რაოდენობითაა...

- *კ და კ წყაროების მიხედვით, რატომ სჭირდება ერეკლე II-ს ქართველი ახალგაზრდების წახალისება სამთამადნო საქმის შესასწავლად?*
- *კ და კ წყაროების მიხედვით, რაზე მეტყველებს ქართლ-კახეთის სამეფოში სხვადასხვა პროფილის ფაბრიკა-ქარხნის გახსნის პროცესი?*

ერეკლე II-ის ძალისხმევით გაჩნდა იარაღის, სარკის, საპნის, შაქრის, აგურის დამამზადებელი ფაბრიკა-ქარხნები, გაიხსნა ზეთსახდელები და მარილსახდელები, მუშაობა განაახლა ზარაფხანამ, სადაც იჭრებოდა ვერცხლისა და სპილენძის ფული.



წყარო ლ **1765-1766 წლებში ერეკლე II-ის სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი სპილენძის მონეტა**

მონეტაზე გამოსახულია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი. მისი ელემენტებია: გვირგვინი, სასწორი, სფერო, სკიპტრა და მახვილი. ქართული ასომთავრული ზედწერილი: „ერეკლე“, სპარსული ზედწერილი და თარიღი ჰიჯრით: „იჭედა თბილისს 1178 წელს“ (გრიგორიანული კალენდრით – 1765-1766).

- *რატომ გაუკეთა ერეკლე II-მ მონეტას ქართულთან ერთად სპარსული ზედწერილი? რაზე მეტყველებს ჰიჯრის თარიღის დაწერა მონეტაზე?*

ვაჭრობა-ხელოსნობის ხელშეწყობის მიზნით, ერეკლემ სათანადო ყურადღება მიაქცია ვაჭართა და ხელოსანთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მის მიერ შემოღებულმა საკუთრების ქალაქურმა წესმა გააუმჯობესა მოქალაქეთა მიერ მემკვიდრეობის მიღების საკითხი.

ერეკლე II ცდილობდა საქალაქო მართვა-გამგეობის მოწესრიგებას. მან განსაზღვრა ქალაქის მოხელეთა უფლება-მოვალეობები და მათ ჯამაგირი ხაზინიდან დაუნიშნა. თბილისის ადმინისტრაციას სათავეში საკუთარი სიძე, სარდალი დავით ციციშვილი ჩაუყენა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, ერეკლე მეფის სამოქალაქო წესდების თანახმად, ქალაქის მოურავი ძალიან დიდ ხელისუფლად იქცა უზარმაზარი შემოსავლებით. ის უფრო ქალაქის მფლობელ დიდ ფეოდალს ჰგავდა, ვიდრე ევროპული ქალაქის უბრალო *ბურგომისტრს*.

- *რატომ ცდილობდა საქალაქო მართვა-გამგეობის მოწესრიგებას ერეკლე II?*
- *შენი აზრით, რატომ გადაიქცა, რეფორმის შედეგად, თბილისის მოურავი დიდ ფეოდალად და არა იმ დროინდელი დასავლეთ ევროპის ბურგომისტრის ტიპის ქალაქის მმართველად?*

ბურგომისტრი – ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, ბელგია, ნიდერლანდები, ავსტრია): უმაღლესი თანამდებობის პირი მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი.

წყარო მ **ნაწყვეტი თბილისის შესახებ იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ჩანაწერებიდან „მოგზაურობა და ჩანაწერები საქართველოში 1771 წელს“:**

[თბილისის] 20 000 მოსახლეობისათვის ისედაც პატარა ფართობიდან დიდი ადგილი უჭირავთ ეკლესიებსა და სასაფლაოებს. მცხოვრებთა ეს სივიწროვე, დაქანებული მდებარეობა ქალაქისა თიხიან ნიადაგზე, რომელიც წვიმის დროს მთლად იჟღინთება და არა აქვს წყლის საწრეტები, სასაფლაოები, ცუდი პოლიცია, რომელიც ნებას აძლევს, რომ ქუჩები დაიფაროს ნაგვით და ა. შ. – [ყოველივე ეს] წამლავს ჰაერს, ამიტომაც დიზენტერია, ავთვისებიანი ციებ-ცხელება და ეპიდემიები, აგრეთვე, ჭირიც არცთუ იშვიათია. 1770 წელს ამ უკანასკნელმა გაწყვიტა 4000 მცხოვრები. დიდი სიკვდილიანობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა, სახლები რომ არ იყოს ბევრჰაერიანი, რადგან ცუდი კარებიდან, ქაღალდიანი ფანჯრებიდან, ბუხრებიდან და ა. შ. მუდამ არის ჰაერის მიმოქცევა. 1770 წელს, ჭირის დროს, ავადმყოფებს აწვენდნენ უმეტესად ქუჩებში და შეიმჩნეოდა, რომ მათგან შედარებით მეტი რჩებოდა, ვიდრე სახლში მწოლიარეთაგან.



იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781)

გერმანელი მეცნიერი, მოგზაური, პეტერბურგის აკადემიის წევრი.

● *შენი აზრით, რა სახის მიზეზები შეიძლება ჰქონოდა იმას, რომ თბილისის განვითარების დონე XVIII ს-ის ბოლოს საკმაოდ ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდა უცხოელ მოგზაურებზე?*

ქართლ-კახეთის სამეფო – მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანა

ეროვნება	კომლის რაოდენობა	წილი
ქართველი	19 700	43,9%
სომეხი	9 500	21,2%
თათარი	9 300	20,7%
ოსი	4 100	9,1%
დანარჩენი	2 300	5,1%
სულ	**44 900**	**100,0%**

წყარო ნ **ქართლ-კახეთის სამეფოს (ყაზახ-შამშადილის ჩათვლით) დემოგრაფიული სურათი 1770 წლის სამეფო აღწერის მიხედვით**

წყარო ო **ერეკლე II-ის მიერ კახეთში თურქმანი თათრების დასახლების შესახებ, ნაწყვეტი იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ჩანაწერებიდან „მოგზაურობა და ჩანაწერები საქართველოში 1771 წელს“:**

თელავიდან ნახევარი საათის სავალზე ჩრდილოეთით, ბატონის ციხესთან მყოფი ხევისწყაროს წყალზე არის სოფელი კურდღელაური და მისგან რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე ალაზნისკენ სოფლები: მუღანლო, ყარაჯალა, ყაპანახჩი, ყიზილაჯილი. ყველაში ერთად ცხოვრობს 250 თურქმანული თათრების ოჯახი, რომლებიც ერეკლე მეფემ 20 წლის წინათ გადმოასახლა აქ, როგორც კოლონისტები, მუღანის ველიდან, რომელზეც არაქსსა და მტკვარს შორის ცხოვრობდნენ, მაგრამ ნადირ შაჰისგან ძალზე შევიწროვებულიყვნენ. მათ მთლიანად შემონახული აქვთ თავიანთი რელიგია, ჩაცმულობა და ტრადიციები.

წყარო პ **ქართლ-კახეთის სამეფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის კონფესიური მდგომარეობის შესახებ – 1783-1787 წლებში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში რუსეთის იმპერატორის საგანგებო რწმუნებულის, სტეფან ბურნაშევის წიგნიდან „საქართველოს სურათი, ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“:**

სომხები მიჰყვებიან *გრიგორიანულ გადმოცემას*. თავიანთ ეკლესიებს ინახავენ სუფთად და საკმაოდ მორთულად. თბილისში სომეხ კათოლიკეთა 30-მდე ოჯახია. მათ ჰყავთ თავიანთი პატრები,

რომლებიც ასრულებენ ექიმთა მოვალეობას და ყოველთვის მეფის უახლოესი ექიმები არიან. მათ თბილისში ააგეს ქვის უზარმაზარი კათოლიკური ეკლესია ევროპულ სტილში. ბერძნებს აქვთ საკუთარი ეკლესიები, ღარიბული. მაჰმადიანებს სარწმუნოების აღსრულება არ ეკრძალებათ. თბილისში მათ აქვთ სამი მეჩეთი. თითოეულ მათგანს გარკვეული ვალდებულება აქვს ქართულ ეკლესიებთან – კისრულობენ თავდებობას ერთიმეორის დარბევისაგან დასაცავად გაბატონებული სარწმუნოების შეცვლისას.

შენიშვნა: გრიგორიანული გადმოცემა *– სრულიად სომეხთა სამოციქულო ეკლესიის მრწამსი.*

წყარო ჭ ერეკლე II-ის დამოკიდებულება საქართველოში მოღვაწე კათოლიკე სასულიერო პირების მიმართ – ამონარიდი ქართლ-კახეთის სამეფოში მოღვაწე კათოლიკე კაპუცინი პადრეს, მისიონერ ლეონარდო ვიტერბოელის მიერ 1760 წლის 18 აგვისტოს რომში გაგზავნილი წერილიდან:

ფრიად პატივცემულო და ღირსო მამაო... იმედი მაქვს, რომ ჩემს წერილს მიიღებდით. ამ წერილით გაუწყებდით, რომ ერეკლე საქართველოს მეფემ ორგზის მეტად ალერსიანი წერილით მიმიწვია. შემდგომ ერთი თავისი ნათესავი თავადი 60 ჯარისკაცით გამოგზავნა ჩემს წასაყვანად... როცა მივუახლოვდით ტფილისს, მისივე ბრძანებით, მოგვეგება ჯარი. როგორც წინათ გაცნობეთ, აქ მომიწვიეს როგორც ექიმი, რადგან საქართველოს მეფის თეიმურაზის ასული, ერეკლეს და, ავად არის. ეს მგზავრობა ჩემთვის სასარგებლო იმ მხრივ არის, რომ თავისუფლად ვემსახურები სულიერად ამ კათოლიკე ერს. ერეკლე მეფემ ჯარიდან ერთი ცხენოსნის პირით შემომითვალა ბრძანება, რომ არავის შეეძლოს ჩემთვის დაშლა წირვის თქმისა და სხვა სულიერი სამსახურის შესრულებისა. ამიტომ აქაური კათოლიკე ერი გამოუთქმელ ნუგეშისცემაშია.

- *რა მიზეზებით ასახლებდა ერეკლე II საქართველოში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს?*
- *რატომ ჰქონდა ერეკლე მეფეს შემწყნარებლური დამოკიდებულება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ და რაში გამოიხატებოდა ეს?*
- *რატომ აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში განსაკუთრებული როლი თბილისს?*

ზრუნვა განათლების დონის ამაღლებაზე

ქართლ-კახეთის სამეფოს იმდროინდელი პოლიტიკური კლასის პროგრესული ნაწილი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევდა ქართული კულტურული მემკვიდრეობის აღდგენასა და ქართველთა ევროპეიზაციის გზით ხალხის კულტურულ-გონებრივ დაწინაურებას.

ცნობა 1 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები

ერეკლემ განაახლა „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ დამყარების შედეგად ქართლში შეწყვეტილი კულტურული აღმავლობის პროცესი:

- 1749 წელს აღდგა ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებული სტამბა;
- 1755-1759 წლებში თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ დააფინანსეს ტიმოთე გაბაშვილის (ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის) მოგზაურობა ოსმალეთის იმპერიაში;
- 1755 წელს დაარსდა თბილისის ფილოსოფიური სემინარია;
- 1774-1776 წლებში ნინოწმინდაში (სოფელი დღევანდელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში) ევროპული არქიტექტურული სტილით აშენდა სასახლე;
- 1781-1782 წლებში თბილისში დაარსდა ახალი ტექნიკით აღჭურვილი სტამბა;
- 1782 წელს დაარსდა თელავის ფილოსოფიური სემინარია;
- 1785 წელს სომხურიდან ქართულ ენაზე ითარგმნა ბროშურა ფრანგი ძმების, მონგოლფიერების გამოგონების – აეროსტატის შესახებ;
- 1795 წლის მარტში თბილისის თეატრში პირველად წარმოადგინეს ფრანგი დრამატურგის, ჟან ბატისტ რასინის „იფიგენია“;
- განვითარდა ისტორიოგრაფია – XVIII ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწეობდნენ ისტორიკოსები პაპუნა ორბელიანი და ომან მდივანბეგ-ხერხეულიძე.



წყარო რ **ანტონ I კათალიკოსი (1744-1756; 1763-1788), უცნობი მხატვრის ნამუშევარი**

ანტონ I იყო თავისი ბიძაშვილის, ერეკლე II-ის მხარდამჭერი და ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების რეფორმების მედროშე. თბილისისა და თელავის სემინარიებში გრამატიკას, რიტორიკას, საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ საგნებს მის მიერ შედგენილი და ნათარგმნი სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ. ანტონ I გულმხურვალედ უჭერდა მხარს ქართლ-კახეთის სამეფოს ევროპეიზაციას და თბილისში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების დახმარებით სურდა, ევროპული გამოცდილება საზოგადოების სხვადასხვა სფეროში დაენერგა.

წყარო ს **ტიმოთე გაბაშვილის 1758-1759 წლების მოგზაურობა (რუკა შედგენილია 1956 წელს)**



- *შენი აზრით, რატომ დააფინანსეს ქართველმა მეფეებმა ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობა?*
- *რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მოგზაური ოსმალეთის დედაქალაქს კონსტანტინეპოლად (იმავე კონსტანტინოპოლად) მოიხსენიებს?*

საკმაოდ მაღალ დონეზე იყო სამედიცინო განათლება. XVIII ს-ის 60-იან წლებში შეუდგენიათ სამედიცინო ხასიათის ნაშრომი „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა“. როგორც იმდროინდელ მსოფლიოში, საქართველოშიც პერიოდულად ვრცელდებოდა ხოლმე „ყვავილის“ სახელით ცნობილი ინფექციური დაავადება, რომელსაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ეწირებოდა. მოწინავე ევროპული ქვეყნების მსგავსად, ერეკლე II-ც ზრუნავდა იმაზე, რომ მოსახლეობის აცრა საყოველთაო გაეხადა. მეფე ამაშიც აძლევდა ხალხს მაგალითს – აცრის წინაშე შიშის გასაქარწყლებლად მან მცირეწლოვანი ბატონიშვილი იულონი იმ დროს მიღებული ვაქცინაციის მეთოდით ყვავილზე ააცრევინა.

ერეკლე II-ის მიერ შიდასტაბილურობისა და ქვეყნის ინსტიტუტების განახლებისათვის წამოწყებული პროცესი XVIII ს-ის 90-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში განვითარებულმა მძიმე საგარეო და შიდაპოლიტიკურმა კრიზისმა და XIX ს-ის დასაწყისში სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ შეწყვიტა. ამ და სხვა საკითხებზე მომდევნო გაკვეთილებზე ვიმსჯელებთ.

- *რატომ სურდათ ერეკლე II-სა და მის მომხრეებს სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოების ევროპეიზაცია?*
- *რატომ არის მნიშვნელოვანი საყოველთაო ვაქცინაცია?*
- *შენი აზრით, რა ღონისძიებები უნდა განახორციელოს სახელმწიფომ აცრის წინაშე შიშის გასაქარწყლებლად?*

ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიის დაყოფა საუფლისწულოებად

ერეკლე II-ის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია XVIII ს-ის 80-90-იან წლებში სამეფო მიწების დანაწილება და საკუთრებაში გადაცემა მემკვიდრეებისთვის. ერეკლეს II-ის სახლის მრავალრიცხოვან მემკვიდრეებს თავ-თავიანთი მოთხოვნები ჰქონდათ. პოლიტიკური ხელისუფლებისადმი მისწრაფება იმდენად დიდი იყო, რომ არსებობდა დაპირისპირების საფრთხეც. ამის თავიდან ასარიდებლად ერეკლე II-მ 1791 წელს „განწესებანი“ შეადგინა, რომელსაც იგი ანდერძის მნიშვნელობას ანიჭებდა.

წყარო **ნაწყვეტი ერეკლე II-ის დოკუმენტიდან „განწესებანი საქართუელოს მეფის ირაკლისნი *ძეთა თუისთადმი* სამეფოისთვის საქართველოისა“, 1791**

განწესებანი საქართველოს მეფისა და ოჯახისათვის და ქვეყნისა ამის დადებული საუკუნოდ ნეტარ სახსოვარისა საქართველოს მეფის ირაკლი მეორისაგან...

ა) სახელითა ერთ-არსისა და სამგვამოვანისა ღთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა ვსწერ მე მეორე ირაკლი ბაგრატოვანი, ძე ცხებულისა მეფისა თეიმურაზ მეორისა და დედოფლის თამარისა, და ვხმარობ სიმკაცრესა ყოვლის მარტოობით და უმანკოებით, რათა არა საჭირო საქმე რამე იპოებოდეს ამაში, არამედ მინდობითა ყოვლად წმიდისა სულისათა ვეძიებ, რათა სიმართლით გამოვაცხადო, ჭეშმარიტის ძალის მქონებლობით აღვსწერო ჩემთვის და შვილთა ჩემთათვის და შვილიშვილთათვის, და შვილთა მათთათვის... და ქვეყნისა ჩვენისა და მას შინა მყოფთა სამღვდელოთა და თავადთა, და აზნაურთა, და ყოველთა...

ბ) აწ სჯულად უდებ სახლსა ჩემსა და შთასრულთა ჩემთა ნათესაობითთა გვარეულობასა და საქართველოსა ქართველთა და კახთა, და სამღვდელოთა, და საეროთა, ბრწყინვალეთა თავადთა, აზნაურთა და სხვათა მოხელეთა სოფლისათა, და სხვათა ერთა მოქალაქეთა, და სხვათა ბარისა და მთისა ალაგებთა შინა მყოფთა და მცხოვრებელთა გაუწყებ და გიბრძანებ და კიდეც გევედრები... რაც ამაში დამიწერია, ის მიიღოთ... რახანც მიიღებთ, არაოდეს შფოთისა და სისხლის დაღვრისა და ერთმანეთის მტერობისა საფიქრებელი აღარა გექნებათ რა, ამ ჩემი აღწერილით ჩემის შვილების საქმეში სრულათ თქვენში შფოთს ვეღარ შემოიტანენ....

დ) ...რაც ეს განწესება დამიწერია, არავის შეეტყოს, არცა ვისთვის მეკითხოს და არცა ვისმე ერჩიოს და არა ვისიმე მეტობის მონდომებით, არცა ვისიმე დაკლებით მე ეს არ დამეწეროს და არც ჩემის გონების მეტი კაცი, ამისი მთქმელი და გამრჩეველი სხვა ამის დაწერამდე არა მყოლოდეს, და ამაზედ ცილი ან მე არავინ დამწამოს ან სხვათ, რომ დიდი ცოდვა იქნება, და ეს ასე დამიჯერეთ შვილმაცა და ქვეყანამაც.

ე) თუ ეს ასე არ გამესაჯა და არ გამერიგებინა ჩემის შვილებისათვის ეს საბოლოო სიმტკიცე მშვიდობისა, ან ერთმანეთის სისხლის ჩამოვარდნის მიზეზი შევიქნებოდი, ან დაკარგვისა სულით და ხორცით მიზეზად მე დავიდებოდი.

ვ) უნდა დაიმარხონ ეს ჩემი განზრახვა ჩემმა შვილებმა, რომ ყოველს საუფლოს დღეს, თუ ერთი რამ მიზეზი მძიმე არა ჰქონდეთ, ერთად იდღესასწაულონ...

ზ) ქალაქის ტფილისის ციხეები, გორის ციხე, სურამის ციხე, წირქოლის ციხე, ანანურის ციხე, ბოჭორმის ციხე და გრემის ციხე, ნარიყალის ციხეებიცა... ამ შვიდს ალაგს მტრის შიშობა რომ იქნება დასახიზნავად, როგორც განწესებული არის, ისე უნდა შევიდნენ.

თ) რომლისაც ძმის რიგზე იყოს იმისთანა, რომ წარმართებდეს მეფობასა, თუ იმავ რიგში შემდგომი შვილი ან შვილიშვილი იყოს, რომ შეეძლოს და არა სჭირდეს-რა *ნაკლულევანება* და არ იყოს სნეული, იმან მიიღოს და დაადგინონ მეფედ, თუ იმავ სქესში არც ერთი არ იპოებოდეს, იმის შემდგომს ძმის სქესში დაადგინონ მეფედ...

შენიშვნები: ძეთა თუისთადმი – *თავისი ძეებისადმი.*

ნაკლულევანება – *ნაკლი.*

- *რატომ აღნიშნავს ერეკლე II საგანგებოდ, რომ მხოლოდ თავისი სურვილით შეადგინა „განწესებანი“? შენი აზრით, ვის შეიძლებოდა, რჩევა მიეცა მეფისთვის ამ დოკუმენტის შექმნასთან დაკავშირებით?*
- *ერეკლე II-ის მიერ მიღებული „განწესებანი“ შეადარე დავით აღმაშენებლის მიერ შეცვლილ მემკვიდრეობის წესს. რა მსგავსი შიდადინასტიური კონტექსტი ედო საფუძვლად ორივე მეფის გადაწყვეტილებას?*
- *შეაფასე სამეფო ტახტის ძმიდან ძმაზე გადასვლის წესი, რამდენად განამტკიცებდა ეს გადაწყვეტილება სამეფოს შიდასტაბილურობას?*

ერეკლე II-ის სამეფო ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. სამი მეუღლისგან ერეკლეს 24 შვილი ჰყავდა: ყველაზე მეტი დარეჯან დადიანისგან – 19 (10 ასული, 14 ძე), რომელთაგან რვა ჩვილობის ასაკშივე გარდაიცვალა, ოთხი მათგანის სახელი კი უცნობია ჩვენთვის.

სქემა 1 ერეკლეს სამეფო ოჯახი



წყარო Უ იოანე ბატონიშვილის „სჯულდება“, 1799

უმაღლესო და უმოწყალესო ხელმწიფევ და მამავ, სრულიად საქართველოსაო და სხვათა, გიორგი მე-13 უქვეშევრდომილესი, ჩემ-მიერ წინადადება:
სხვადასხვა გვარმან ცვალებამან კანონთამან, უთანხმოებამან და უწესოებამან მართებლობისამან, მოიყვანეს თითქმის სრულიად საქართველოსა ერნი განწირულებასა...

- საჭირო არს, რათა იყოს მხედრობა ყოველთვის მზა სახითა ამით, რომელ ყოველსა თავადის ყმასა, ეკლესიის ყმასა, აზნაურის ყმასა, სამეფო – არცა ხარჯი და არცა ბეგარა ეთხოებოდეს.... ოცთაოთხი ზარბაზანი, დიდი და წვრილი უნდა შთამოისხას და ესე იყოს ყოველთვის მზად გაწყობილი... ამაშიაც იყოს მეფის ძე, თავადნი და აზნაურნიცა... ქართლსა შინა იყოს ოთხი სარდალი... აგრეთვე კახეთი იყოს ოთხ სასარდლოდ განყოფილი...
- იყვნენ თორმეტნი ჭკვიანნი კაცნი, კარგნი შთამომავლობისანი, გამორჩეულნი: სამი – ქართლიდან, სამი – კახეთიდან, სამი – თათრებიდან და სამი – მოქალაქეებიდან. ესენი ყოველთვის იყვნენ რჩევასა ქვეყნის სარგებლობისასა... რაიცა საქმე მოხდებოდეს ან აშლა ვისთანმე, ან შერიგება, ანუ მძიმე საქმეები, მეფის ბრძანებით განიხილავდნენ მას და თავის რჩევასაც დასდებდნენ და მეფე თვისსა განზრახულსა ერთად შეამოწმებდნენ. ამათში ერიოს ერთ-ერთი მეფის ძეც.
- თუმცა ღვთისადმი განსვენებულმან მამამან თქვენმან, მეფემან ირაკლი, განაწესა ძმებზედან მოდევნებით მეფობა... მაგრამ ვჰგონებ მორჩილებისთვის, ერთის-მეორის ინება ესე. და რადგან განწესება ესე ჩანს მიზეზ შფოთისა სახლსა შინა სამეფოსასა, თქვენცა იხმარეთ მეცნიერება და შესაერთებლად ძმათა თქვენთა ინებეთ ესრეთ: თქვენ შემდგომ, თუ ცოცხალი დაშთეს, იულონ იყოს მეფედ. იულონის შემდგომად იყოს დავით და დავითის შემდგომად ვახტანგ და ესრეთ მიმოგდებით მათა შვილებთა შორის...
- კათალიკოსი ღირსეულისამებრ და არა მეფის ძეობით იკურთხებოდეს კათალიკოსად, ვინც იყოს მეცნიერი და პატიოსანი. აგრეთვე მღვდელმთავარნი, არქიმანდრიტნი, დეკანოზნი და სხვანი...

- *შენი აზრით, გულისხმობდა თუ არა იოანე ბატონიშვილის პროექტი გიორგი XII-ის ერთპიროვნული ძალაუფლების შეზღუდვას? რატომ ფიქრობ ასე?*
- *იმსჯელეთ კლასში – რომელი ნიშნით უნდა აერჩიათ უმაღლესი სასულიერო იერარქები: განათლებისა და ღირსების მიხედვით თუ ბაგრატიონთა ოჯახიდან?*
- *იმჟამინდელი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, რომელი ფენის კარიერული დაწინაურება განაპირობებდა უფრო მეტად ქვეყნის შიდასტაბილურობასა და მდგრად განვითარებას – სამეფო გვარიშვილებისა თუ განათლებული და ერთგული, მაგრამ არასამეფო გვარის წარმომადგენლებისა?*
- *მსგავსად ამისა, თანამედროვე სახელმწიფოს სიძლიერეს რომელი ფაქტორი უფრო განაპირობებს – თანამდებობებზე პარტიული ერთგულებით შერჩეულ პირთა გამწესება თუ პროფესიონალ სახელმწიფო მოხელეთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობა?*
- *იოანე ბატონიშვილი მრჩეველთა საბჭოში ითვალისწინებდა „თათართა“ წარმომადგენლების შეყვანას. ამ ფაქტზე დაყრდნობით, უპასუხე შეკითხვას: ვის გულისხმობდა ავტორი „თათრებში“ და რამდენად მაღალი პოლიტიკური კულტურა ჰქონდა იმ პერიოდის ქართულ სახელმწიფო ელიტას? პასუხი დაასაბუთე.*

1. როგორ შეაფასებდი არაქართული წარმომავლობის ქვეშევრდომებთან ერეკლე II-ის პოლიტიკას?
2. შეადარე ერთმანეთს ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის რეფორმები. რით ჰგავდა და განსხვავდებოდა ისინი ერთმანეთისგან?
3. წარმოიდგინე, რომ ხარ ერეკლე II-ის კარზე მიწვეული უცხოელი მოგზაური, რომელიც აწარმოებს ჩანაწერებს სამეფოში განხორციელებული რეფორმების შესახებ. ჩანაწერები, რეფორმების მიხედვით, დაყავი სფეროებად და შეაფასე თითოეული მათგანი.

49/50 რამ განაპირობა გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერა და რა შედეგები მოჰყვა ამას საქართველოსთვის?



1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გეორგიევსკის ტრაქტატი გაფორმდა, რის საფუძველზეც აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ შემზადდა ტრაქტატის გაფორმება, რა მიზნები ჰქონდათ ხელმომწერ მხარეებს და რა შედეგი მოუტანა ამან საქართველოს.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში მონაწილეობამ ქართლ-კახეთს მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოუტანა. რუსეთთან მოკავშირეობამ ოსმალეთის გაღიზიანება გამოიწვია. ოსმალების მიერ წაქეზებული დაღესტნელების შემოსევები კვლავ მომრავლდა, აზერბაიჯანის მუსლიმურმა სახანოებმა ურჩობა დაიწყეს. მეფე ერეკლე II-ს იმედი გაუცრუა რუსეთის პოზიციამ – მან ვერც სამცხე მიიღო და ვერც დახმარება ჯარისთვის თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობის სახით. ომში გამარჯვებულმა რუსეთმა საქართველო საერთოდ უყურადღებოდ დატოვა და, უფრო მეტიც, 1775 წლის ოქტომბერში, ოსმალეთთან სამშვიდობო ზავის პირობების გამო, ქართველ ელჩებს რუსეთის ტერიტორიაზე გადაადგილება აუკრძალა, მიუხედავად იმისა, რომ სამი წლით ადრე მეფე ერეკლემ რუსეთში მიავლინა საკუთარი ვაჟი ლევანი და კათალიკოსი ანტონ I და რუსეთს მფარველობა სთხოვა. ერეკლემ რუსეთის მხარეს ომს შესწირა არცთუ მცირე ადამიანური რესურსი და სოლიდური ფინანსებიც. ქართლ-კახეთის მეფე რუსეთს ომში გაწეული ხარჯების დასაფარად სესხს სთხოვდა, თუმცა რუსეთის საიმპერატორო კარმა მას არც უპასუხა.

წყარო ა **„ეკატერინე II-ის გამარჯვება თურქებსა და თათრებზე“, სტეფანო ტორელი, 1772, ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა, მოსკოვი**

მხატვარმა განადიდა რუსეთის იმპერიის გამარჯვება ოსმალებზე. ნახატის ცენტრში, ტრიუმფალურ ეტლზე ზის იმპერატორი ეკატერინე, რომელსაც ანგელოზები დაფნის გვირგვინს ადგამენ. იმპერატორის გარშემო არიან მისი სამხედრო მეთაურები და იმ ხალხთა წარმომადგენლები, რომლებსაც რუსეთი „განმათავისუფლებლად“ მოევლინა.



ერეკლემ რუსეთთან კავშირზე ხელი აიღო და 1778 წელს ოსმალეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო. ქართლ-კახეთი ოსმალეთის მფარველობაში შევიდა, რაც ერეკლეს მხრიდან მნიშვნელოვანი დიპლომატიური ნაბიჯი იყო. შედეგად, ქართლ-კახეთმა ოსმალეთთან მშვიდობა დაამყარა, ახალციხის საფაშოდან მომავალი საფრთხე აღკვეთა და დაღესტნელთა თავდასხმებიც შეასუსტა. ცნობილია, რომ ამ ხელშეკრულების შემდეგ ახალციხიდან დააბრუნეს მოტაცებული ქართველი ტყვეები და დაღესტანში აღმოსავლეთ საქართველოს დასარბევად შეყრილი ლაშქარიც დაიშალა. ხელშეკრულების გაფორმებამ ერეკლესა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს შორის ურთიერთობა გააფუჭა, რადგან ეს უკანასკნელი ამ ნაბიჯს უარყოფითად აფასებდა.

- *იმსჯელე, რით იყო განპირობებული სოლომონ I-ის უარყოფითი პოზიცია ქართლ-კახეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიმართ?*

დისკუსია

კლასში გამართეთ დისკუსია 1778 წელს ოსმალეთთან გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ. წარმოადგინეთ მეფე ერეკლეს გადაწყვეტილების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

ოსმალეთთან დადებულმა ხელშეკრულებამ ერეკლეს საშუალება მისცა, ამიერკავკასიაში თავისი გავლენა აღედგინა. 1778 წელს მან თავის მოკავშირესთან, ყარაბახის ხანთან, იბრაჰიმთან ერთად დაამარცხა ყუბის მმართველი – **ფათალი-ხანი**, განჯის სახანო გააუქმა და იქ მმართველად საკუთარი რწმუნებული – ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი დატოვა. მალევე ერეკლემ გავლენა აღიდგინა ერევნის სახანოზეც. ქართლ-კახეთის მეფემ ერევნის სახანოს უშუალოდ შემოერთების გეგ-

მაზე დაიწყო ფიქრი. 1779 წელს გარდაიცვალა შაჰი ქერიმხანი, რასაც ირანში ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა. ამ გარემოებამ ერეკლეს პოზიციები ამიერკავკასიაში კიდევ უფრო გააძლიერა.

ერეკლემ, აგრეთვე, შეიმუშავა ჩრდილოეთ კავკასიიდან ყაბარდოელთა ნაწილის ჩამოსახლების გეგმა, რათა მათგან ცხენოსანთა ნახევრად რეგულარული შენაერთები ჩამოეყალიბებინა. ამ მიზნით მოწესრიგდა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსასვლელი გზა და კომუნიკაციები.

- *გააანალიზე ყაბარდოელთა ჩამოსახლების შესახებ ერეკლეს გეგმა. განვლილი გაკვეთილების საფუძველზე გაავლე პარალელი ჩრდილოეთ კავკასიიდან ხალხთა ჩამოსახლების სხვა მაგალითთან.*

ამავდროულად, ერეკლემ ევროპის მონარქებთან დაკავშირება სცადა. 1781 წლის ზაფხულში მან ევროპაში გაგზავნა კათოლიკე მისიონერი დომინიკე, შემდგომ კი იმავე მისიით – *პატრი* მავრო ვერონელი, თუმცა ორივე მათგანი, საეჭვო ვითარებაში, გზაში გარდაიცვალა. ერეკლე ავსტრიის იმპერატორ **იოზეფ II-ს** (1765-1790) ერთი პოლკის შესაქმნელად და ევროპულ ყაიდაზე ჯარის მოსაწყობად საჭირო ფინანსურ დახმარებას სთხოვდა.

შენიშვნა: პატრი *– კათოლიკე მღვდელი.*

- *შენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, რას გულისხმობდა ევროპული ყაიდის ჯარი?*

წყარო ბ **თანამედროვე ისტორიკოსი მამუკა ნაცვალაძე წერს ავსტრიასთან ერეკლე II-ის კავშირის უმთავრესი მიზნის შესახებ:**

ამ დროს აქტუალურია „ბერძნული პროექტი“, ევროპის გადანაწილების გეგმა, რომელიც ოფიციალურად შემუშავდა სანქტ-პეტერბურგისა და ვენის საიმპერატორო კარზე და მიზნად ისახავდა ოსმალეთის იმპერიის განეიტრალებას. „ბერძნული პროექტის“ თანახმად, ბიზანტიის იმპერია უნდა აღედგინათ რომანოვების დინასტიით სათავეში. ასევე, უნდა აღდგენილიყო *დაკიის სამეფო*, როგორც ოსმალეთისა და ავსტრიის იმპერიების გამყოფი ბუფერული სახელმწიფო.

რამდენადაც ეს პროექტი ეხებოდა ოსმალეთის იმპერიას, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, ერეკლე II დაინტერესებული იყო ამ გეგმით. ის ცდილობდა, მაქსიმალურად ჩართულიყო საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში, როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყნის მეფე, რადგან „ბერძნული პროექტის“ განხორციელების შედეგად, საქართველო ქრისტიანული ქვეყნების გარემოცვაში აღმოჩნდებოდა. ეს იყო ყველა დროის ქართველ მეფეთა ოცნება.

სწორედ ამასთან დაკავშირებით გაგზავნა ერეკლემ ელჩები ავსტრიაში. ელჩობის ოფიციალური ვერსია იყო ორი პოლკის ევროპული გაწვრთნისთვის საჭირო ფინანსების მოძიება, რაც მხოლოდ ნიღაბი გახლდათ რეალური მიზნების შესაფუთად.

შენიშვნა: დაკიის სამეფო *– ძვ. წ. I–ახ. წ. II სს-ში არსებული სახელმწიფო. მოიცავდა თანამედროვე რუმინეთის, მოლდოვის, უკრაინისა და ბულგარეთის ტერიტორიების ნაწილს.*

- *როგორც წყაროშია აღნიშნული, „ბერძნული პროექტი“ რუსეთისა და ავსტრიის იმპერიებმა შეიმუშავეს. შენი აზრით, რატომ ცდილობდა მეფე ერეკლე ავსტრიის საიმპერატორო კართან პირდაპირი კავშირების დამყარებას და არ სჯერდებოდა რუსეთის იმპერატორთან კავშირს?*
- *იმსჯელე, რამდენად რეალისტური იყო ერეკლე II-ის გეგმა?*

ერეკლეს გაძლიერებას რუსეთის საიმპერატორო კარი შეშფოთებით ადევნებდა თვალს. მას არ მოსწონდა, რომ ქართლ-კახეთსა და ოსმალეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდა, რასაც ამიერკავკასიაში ოსმალეთის გავლენის ზრდად აღიქვამდა. თუკი ერეკლე ზედმეტად გაძლიერდებოდა, მას რუსეთის სახით მფარველი აღარ დასჭირდებოდა, შედეგად კი რუსეთს ამიერკავკასიაში შემოსვლა ძალიან გაუჭირდებოდა. ამიტომაც საიმპერატორო კარი ყველა შესაძლო მეთოდით ცდილობდა, ქართლ-კახეთის მეფე დაესუსტებინა.

● *რუსულმა დიპლომატიამ ერეკლეს ერევნის სახანოს შემოერთების გეგმა ჩაუშალა. რუსები ადგილობრივ სომხებს დაჰპირდნენ, რომ იმპერატორი ეკატერინე მათი მფარველი გახდებოდა და სომხური სახელმწიფოს აღდგენის საქმეში მხარს დაუჭერდა. ამან ერეკლე აიძულა, სახანოს გაუქმებაზე ხელი აეღო. იგივე მოხდა ყაბარდოელთა ჩამოსახლების გეგმასთან დაკავშირებითაც: 1778 წელს რუსებმა ყაბარდოში გაგზავნილი ქართლ-კახეთის წარმომადგენლები მოზდოკში დააპატიმრეს, ყაბარდოელებს კი საქართველოში ჩამოსახლება აუკრძალეს. ამდენად, მეფე ერეკლეს მათი დაქირავების საშუალებაც არ მიეცა. რუსეთი ცდილობდა, ჩაეშალა ქართლ-კახეთის კავშირები ევროპასთან და სამომავლოდ სურდა, აქედან კათოლიკე მისიონერებისთვისაც ამოეკვეთა ფეხი. გააანალიზე რუსეთის იმპერიის პოლიტიკა ქართლ-კახეთის მიმართ და შეადარე თანამედროვე რუსეთის მიდგომას საქართველოსადმი.*

1782 წელს რუსეთის იმპერიის პოლიტიკა ქართლ-კახეთის მიმართ მკვეთრად შეიცვალა, რაც პირდაპირ იყო დაკავშირებული სანკტ-პეტერბურგში მომწიფებულ გეგმასთან, დაეპყროთ ყირიმი და ყუბანისპირეთი. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, ყირიმის სახანო დამოუკიდებელი გახდა, თუმცა რუსეთისთვის შავ ზღვაზე გასაბატონებლად ეს საკმარისი არ იყო, ამიტომ მან ყირიმის ანექსია განიზრახა. იგივე უნდა მომხდარიყო ყუბანისპირეთის შემთხვევაშიც. ეს ნაბიჯი ოსმალეთთან მორიგი ფართომასშტაბიანი ომის საფრთხეს ქმნიდა. ძირითად საომარ მოქმედებებს რუსები ბალკანეთისა და ყირიმის მიმართულებით ელოდნენ, მაგრამ ოსმალეთის ძალების დაქსაქსვის მიზნით კავკასიის მიმართულებით შეტევის წამოწყებაც სჭირდებოდათ. 1782 წელს შეიქმნა რუსეთის არმიის კავკასიის კორპუსი, რომელსაც სათავეში გენერალ-პორუჩიკი **პავლე პოტიომკინი** ჩაუდგა. მას დაევალა, სამხედრო მოქმედებები წამოეწყო დარუბანდის მიმართულებით და აღმოსავლეთ საქართველოს გავლით ოსმალეთის ტერიტორიაზე შეჭრილიყო. ამგვარად, საქართველომ რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმატებისთვის დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

● *იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიას?*

წყარო 8 ამონარიდი ეკატერინე II-ის მიერ გრიგორი პოტიომკინისათვის გაგზავნილი საიდუმლო ბრძანებიდან (1782):

როდესაც პორტასთან სამხედრო მოქმედებები დაიწყება და მათი ჯარი ევროპულ მხარეს მოიყრის თავს, დივერსიის მიზნით, ასევე, მათთვის მოულოდნელი დარტყმის მისაყენებლად, ვბრძანებთ, რომ მზადყოფნაში იყოლიოთ საკმარისი რაოდენობის ჯარი კასპიის ზღვის პირას მდებარე სპარსეთის პროვინციებში, რომლებიც ადრე რუსეთს ეკუთვნოდა და საიდანაც საქართველოზე გავლით შესაძლებელი იქნება შეტევა თურქეთის აზიურ საზღვრებზე.

● *შენი აზრით, რაზე მიანიშნებს რუსეთის იმპერატორის მიერ იმის ხაზგასმა, რომ კასპიისპირეთის სპარსული პროვინციები ადრე რუსეთს ეკუთვნოდა? შესაძლებელია თუ არა, რომ აქ იგულისხმებოდეს შორსმიმავალი პოლიტიკური გეგმები? პასუხი დაასაბუთე.*



პავლე პოტიომკინი (1743-1796)

სამხედრო კარიერა 13 წლის ასაკში დაიწყო. 1768-1774 წლებში მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში და დაჯილდოვდა წმ. გიორგის IV და III ხარისხის ორდენებით. იგი იყო ეკატერინე II-ის ფავორიტის, გრიგორი პოტიომკინის ნათესავი, რის გამოც კარიერულად სწრაფად დაწინაურდა.



გრიგორი პოტიომკინი (1739-1791)

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი. იყო იმპერატორ ეკატერინე II-ის ფავორიტი და სარგებლობდა მისი ნდობით. 1774-1783 წლებში იყო პრეობრაჟენსკის პოლკის ლეიბ-გვარდიის მეთაური და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი. 1784-1791 წლებში იყო რუსეთის იმპერიის სამხედრო კოლეგიის პრეზიდენტი. მის სახელს უკავშირდება ყირიმის ანექსია და რუსეთის იმპერიის შავი ზღვის ფლოტის შექმნა.

რუსეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის გადაბირებას, რადგან:

პირველი: აღმოსავლეთ საქართველოდან რუსეთი ოსმალეთს პირდაპირ დაემუქრებოდა და, ომის დაწყების შემთხვევაში, მოწინააღმდეგეს აღმოსავლეთიდან შეუტევდა;

მეორე: ქართლ-კახეთიდან რუსული ჯარი გადავიდოდა დასავლეთ საქართველოში და იოლად აღმოჩნდებოდა შავი ზღვის სანაპიროზე;

მესამე: ქართლ-კახეთზე კონტროლის დაწესებით რუსეთი ხელში ჩაიგდებდა კავკასიის რეგიონის ცენტრს, ალყაში მოაქცევდა ურჩ ჩრდილოკავკასიელებს და უფრო მარტივად გატეხდა მათ წინააღმდეგობას;

მეოთხე: ქართლ-კახეთის მეშვეობით რუსეთს გზა ეხსნებოდა ამიერკავკასიის სხვა პოლიტიკური ერთეულებისკენ და, რაც მთავარია, დაემუქრებოდა ირანს, რომელიც 1780-იან წლებში ძალიან დასუსტებული იყო.

თუ ქართლ-კახეთი რუსეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდებოდა, იმპერია კავკასიის რეგიონის ფაქტობრივი ბატონ-პატრონი ხდებოდა. მის ხელში იქნებოდა კავკასიონის გადმოსასვლელები და სამხრეთით მოსაზღვრე მუსლიმურ იმპერიებზე ზეწოლის მძლავრი მექანიზმი.

ყირიმში შეჭრისთვის მზადების პარალელურად, რუსეთმა დაიწყო ნამდვილი სპეციალური ოპერაცია საიმისოდ, რომ ქართლ-კახეთსა და რუსეთის იმპერიას შორის მფარველობითი ხელშეკრულება გაფორმებულიყო. ამ დოკუმენტის თანახმად, ქართლ-კახეთი უნდა დაქვემდებარებოდა რუსეთის იმპერიას. სცენარიც თავიანთთვის მისაღები დაგეგმეს: მფარველობაში შესვლა ქართლ-კახეთს თავადვე უნდა ეთხოვა. ამით რუსეთი რეგიონში შემოვიდოდა როგორც მშვიდობისმყოფელი და არა – როგორც აგრესორი; აგრეთვე, მეფე ერეკლე სრულად იქნებოდა რუსეთზე დამოკიდებული, რადგან ამგვარი სცენარი მას აუცილებლად გაუფუჭებდა ურთიერთობას ოსმალეთთანაც, ირანთანაც და ამიერკავკასიის მუსლიმურ სახანოებთანაც.

ქართლ-კახეთის მეფესთან მოლაპარაკების გამართვა დაევალა პავლე პოტიომკინს. რუსეთის წარმომადგენლები ქართულ მხარეს სთავაზობდნენ, რომ ერეკლე მეფეს თავად ეთხოვა რუსეთის მფარველობა. 1782 წელსვე მეფე ერეკლესთან მიავლინეს ცნობილი ავანტიურისტი და ჯაშუში იაკობ რაინეგსი, რომელსაც დაევალა, რომ მეფე რუსეთთან ხელშეკრულების დადებაზე დაეყოლიებინა. რუსეთის აგენტურა აქტიურად მუშაობდა ერეკლე II-ის გარემოცვაში პრორუსული განწყობის გამარჯვებაზე. ყოველივე ამის პარალელურად, ერეკლეს საფრთხეს უქმნიდა იმერეთში მყოფი **ალექსანდრე ბაქარის ძე** – მეფე ვახტანგ VI-ის შვილიშვილი, რომელიც თავს ქართლის კანონიერ მეფედ მიიჩნევდა და ერეკლეს გაძევება ჰქონდა განზრახული. ამ საქმეში მას იმერეთის მეფე სოლომონ I-ის, ქართლის ზოგიერთი დიდებულისა და დაღესტნელების დახმარების იმედიც ჰქონდა. მიიჩნევენ, რომ რუსეთი ალექსანდრე ბაქარის ძის ფაქტორის გამოყენებით ცდილობდა მეფე ერეკლეზე ზეწოლის მოხდენას – ჯერ კიდევ 1770-იან წლებში, მას შემდეგ რაც ერეკლესა და გენერალ ტოტლებენს შორის ურთიერთობა უსიამოვნოდ დასრულდა, რუსეთის საიმპერატორო კარზე სერიოზულად დაიწყო მსჯელობა ქართლში ერეკლეს მეფობის არალეგიტიმურად ცნობისა და იქ ვახტანგ VI-ის შთამომავალთა დაბრუნების შესაძლებლობაზე.

წყარო დ **XVIII ს-ის ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ალექსანდრე ამილახვარი, რომელიც მეფე ერეკლე II-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო, თავის თხზულებაში „გეორგიანული ისტორია ჭაბუკ თავად ამილახვარზე“ (1779) წერს:** *ადაპტირებული წყარო*

[ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ] სპარსეთში საშინელი არევ-დარევა დაიწყო, სახელმწიფოს მფლობელი ხან ერთი ხდებოდა, ხან მეორე. ბოლოს, ყველას ქერიმ-ხანმა აჯობა, რომელიც ამჟამად შაჰის ნაცვლისა, ანუ ვაქილის სახელით ირანის დიდ ნაწილს განაგებს; მაგრამ ერთი ასეთი ვაქილი ხორასანაშია, ხოლო მეორე – ყანდაჰარში, გარდა ამისა, მრავალი ხანი არავის არ სცნობს არც ყაენად და არც მის მოადგილედ და არავის არ ემორჩილება. იმითაა ბედნიერი ქართლ-კახეთის მეფედ წოდებული ირაკლი, რომ სპარსეთი გათიშულია; რომ სპარსეთის ტახტზე არ ზის ყაენი, რომელსაც შეეძლოს საქართველოს სამეფო დაიცვას თვითნებობისა და სამართლის შებღალვისგან; თუ სპარსეთში არევ-დარევა არ დაწყებულიყო, ირაკლი ქართლ-კახეთს ვერ დაეუფლებოდა შაჰისა და დიდგვარიანი ქართველი თავადების ნებადაურთველად. იგი თავის თავს ქართლის მეფეების მემკვიდრედ მიიჩნევს დედის მხრით, მაგრამ ნამდვილად ამის უფლება არა აქვს, ვინაიდან, ჩვენი კანონით, ქალი მემკვიდრედ არ მიიჩნევა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ამილახვრებს მეტი უფლება უნდა გვქონოდა ქართლის ტახტზე, ვინაიდან დიდედაჩემი ქალი [ანუ, შვილი] იყო მხცოვანი მეფე შაჰნავაზისა, რომელიც ორივე სამეფოს ფლობდა.

- *იმსჯელეთ, ტენდენციურია თუ არა წყაროს ავტორი? რატომ არ უნდა მივიჩნიოთ წყაროს ინფორმაცია ჭეშმარიტებად უპირობოდ, ფაქტების გადაუმოწმებლად?*
- *იმსჯელე, რის საფუძველზე აცხადებს წყაროს ავტორი ერეკლე II-ს ქართლის უკანონო მეფედ. გამოთქვი აზრი, რამდენად სამართლიანია მისი შეფასება?*

ამ ყველაფერს ემატებოდა რუსეთისა და ქართლ-კახეთის ერთმორწმუნეობის ფაქტორი და მრავალი დაპირება, მათ შორის – ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწების ქართლ-კახეთისთვის გადაცემის შესახებ. ამ და სხვა ანგარიშგასაწევი მიზეზების გამო მეფე ერეკლე რუსეთის შეთავაზებას დასთანხმდა და ქართლ-კახეთის მფარველობაში მიღება სთხოვა. რუსეთის დიპლომატიამ ერეკლესა და სოლომონის შერიგებაც უზრუნველყო. მიზნის მიღწევის შემდეგ ალექსანდრე ბაქარის ძე რუსეთის გზას გაუყენეს.

დისკუსია

კლასში დაიყავით რუსეთის მფარველობის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. წარმოადგინეთ თქვენი არგუმენტები.

წყარო ე **1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლე II-ის მიერ შემუშავებული სათხოვარის პუნქტები რუსეთის იმპერიისადმი:** *ადაპტირებული წყარო*

ა) რუსეთმა შეუნარჩუნოს სამეფო ტახტი ერეკლესა და მის მემკვიდრეებს;
ბ) დაეხმაროს ოსმალეთის მფლობელობაში გადასული საქართველოს კუთვნილი მიწების შემოერთებაში;
გ) დაეხმაროს ლეკების მიერ დაკავებული მიწების გათავისუფლებაში;
დ) სამეფოში ორი რუსული პოლკი შემოიყვანოს, რომლებსაც ხელფასს რუსული მხარე გადაუხდის, ხოლო სურსათ-სანოვაგით ქართლ-კახეთის ხელისუფლება მოამარაგებს.

1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გაფორმდა **საერთაშორისო ხელშეკრულება – ტრაქტატი**. რუსეთის მხრიდან დოკუმენტს ხელი მოაწერა პავლე პოტიომკინმა, ხოლო ქართლ-კახეთის მხრიდან – **იოანე მუხრანბატონმა** და **გარსევან ჭავჭავაძემ**. ხელშეკრულების ტექსტი შედგებოდა პრეამბულის, 13 ძირითადი და 4 საიდუმლო მუხლისგან. მას ერთვოდა ტექსტი ფიცისა, რომელიც ერეკლეს უნდა დაედო რუსეთის ერთგულების ნიშნად, და დამატებითი მუხლი ქართლ-კახეთის მეფის კურთხევის წესის შესახებ.

წყარო 3 **მეფე ერეკლე II-ის ხელმოწერა გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიცირების ნიშნად, 1783**



წყარო 4 **რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთვალდებულებები, გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით**

რუსეთის იმპერია	ქართლ-კახეთის სამეფო
მფარველობას გაუწევდა ქართლ-კახეთის სამეფოს.	ერეკლე II თავისი და მემკვიდრეების სახელით უარს ამბობდა ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მფარველობაზე და მხოლოდ რუსეთის უზენაესობას აღიარებდა.
ერეკლე II-სა და მის მემკვიდრეებს შეუნარჩუნებდა სამეფო ტახტსა და სამფლობელოებს.	მზადყოფნას გამოთქვამდა, ჯარით გამოსულიყო იმპერატორის სამსახურში რუსეთის მტრების წინააღმდეგ.
საქართველოს დაუბრუნებდა მუსლიმთა მიერ მიტაცებულ ისტორიულ ტერიტორიებს.	არ დაამყარებდა ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან რუსეთის მხარესთან შეუთანხმებლად.
ქართველების მტრებს საკუთარ მტრებად მიიჩნევდა.	სამეფოს ტახტის ახალ მემკვიდრეს იმპერატორისგან უნდა მიეღო სამეფო ნიშნები: გვირგვინი, სიგელი და დროშა რუსეთის იმპერიის გერბით, რომელშიც ჩახატული იყო ქართლ-კახეთის სამეფოს გერბი. მასვე უნდა გამოეგზავნა ხმალი, კვერთხი და მანტია.
არ ჩაერეოდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.	ქართლ-კახეთის ვაჭრებმა მიიღეს რუსეთში თავისუფალი ვაჭრობის უფლება და რუსი ვაჭრებისთვის დაწესებული შეღავათი.
ქართლ-კახეთის სამეფოში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსეთის არმიის ორი ბატალიონი.	რუსეთში ჩასული ქართლ-კახეთის თავადაზნაურები ისეთივე პრივილეგიებს იღებდნენ, როგორც რუსი ბატონები.
ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა, სამშობლოში დაებრუნებინა ომის დროს მტრის ტყვეობიდან გამოქცეული პირები.	

● *იმსჯელე გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესახებ. გამოყავი ქართლ-კახეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (სარგებლიანი და სახიფათო) პუნქტები. გააანალიზე, რომელი მხარისთვის იყო უფრო ხელსაყრელი ტრაქტატის ესა თუ ის პუნქტი? პასუხი დაასაბუთე.*

გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის დროს რუსეთს დაწყებული ჰქონდა ყირიმის ანექსია. 1783 წლის აპრილში იმპერატორმა ეკატერინემ გამოსცა მანიფესტი ყირიმის, ტამანისა და ყუბანის მხარის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ოსმალეთმა ომის დაწყებაზე უარი თქვა, რაც განაპირობა ბალკანეთში ავსტრიის მხრიდან მომავალმა საფრთხემ და საქართველოს ტერიტორიიდან რუსული არმიის შემოჭრის საშიშროებამ. ამგვარად, რუსეთმა ყირიმის ანექსია მინიმალური დანაკარგებით შეძლო.

ტრაქტატის პირობების შესაბამისად, 1783 წლის შემოდგომაზე ქართლ-კახეთში რუსეთის ორი ბატალიონი შემოვიდა. ხელშეკრულების გაფორმებამ და რუსული ჯარის ნაწილების აღმოსავლეთ საქართველოში შემოსვლამ ქართლ-კახეთის მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა: ამიერკავკასიის მუსლიმური სახანოები ერეკლეს განუდგნენ, ოსმალეთმა კი ერეკლეს წინააღმდეგ ახალციხის ფაშა და დაღესტნელები აამხედრა. ქართლ-კახეთი ახალი საშიშროების წინაშე დადგა.

წყარო თ **XVIII ს-ის ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე წერს:** *ადაპტირებული წყარო*

... გამოგზავნა [რუსეთის იმპერატორმა] მეფე ერეკლესთან მინისტრად პოლკოვნიკი და ორი ბატალიონი მეომარი. ამიტომაც უფრო მეტად განრისხდა სულეიმან ფაშა და აზერბაიჯანის სხვა ხანებიც რესეთის ჯარის გამო შიშმა შეიპყრო, რადგანაც ყოველთვის ჰქონდათ ერეკლე მეფის რიდი და მაშინ უფრო მეტად იფიქრეს, რომ [მათ] რუსეთის ჯარის ძალით დაიპყრობდნენ, ამიტომაც ფარულად შეუდგნენ სარწმუნოებრივ ნიადაგზე შეთანხმებას... სწორედ ზემოხსენებული ეჭვისა და შურის გამო [განჯიდან] გამოაძევეს ერეკლე მეფის კაცი – მდივანბეგი, თავადი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი. შეიყვანეს [განჯაში] ჯავათ-ხანი და დასვეს ხანად. ამავე დროს სულეიმან ფაშამ მოუწოდა დაღესტნის ომარ-ხანს, ხუნძახის ბატონს. მან შეკრიბა დაღესტნის ჯარები და, ასევე, ჭარელები, ოცი ათასამდე კაცი და დაესხა ურდოს, ანუ ალაზნის პირს. ერეკლე მეფეც რუსეთის ჯარით ქიზიყში მივიდა და დაბანაკდა სიღნაღში, რადგანაც ხუნძახის ბატონი სიღნაღის დალაშქვრას აპირებდა და იქ ელოდა [მას] ერეკლე მეფე.

ხოლო ისიც აიყარა ფარულად, ამოიარა ჭირხლის ხევი, ამოვიდა დედოფლისწყაროში და გადავიდა იორზე... ომარ-ხანი მივიდა ახტალის მადანში, აიღო ახტალის ციხე, დაარბია მადანი და დაატყვევა იქ მყოფი ბერძნები და ქართველ-სომხები.

● *გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე იმსჯელე რელიგიურ ჭრილში. როგორ იყენებენ მას დაპირისპირებული მხარეები?*

● *შენი აზრით, რა მიზანს ემსახურებოდა ომარ-ხანის მიერ ახტალის დარბევა? რა დამატებითი პრობლემის გამოწვევა შეეძლო ამგვარ ქმედებებს ქართლ-კახეთისთვის?*

წყარო ი **ივანე ჯავახიშვილი გეორგიევსკის ტრაქტატს და მის შედეგებს ასე აფასებდა:**

1783 წ. ხელშეკრულებას საქართველოსათვის სარგებლობა არა მოუტანია რა, ზიანი კი – აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა, საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოეჩინა...

არაფრად მოეწონათ საქართველოს რუსეთთან დაკავშირება ოსმალებს და ახალციხის ფაშას სულეიმანსაც. წინათ მასაც ერეკლე მეფესთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, 1783 წ. ხელშეკრულებამ ისიც დააფრთხო და საქართველოს მეფის მტრად აქცია ...

თვით ერეკლე მეფის უერთგულესი ყმადნაფიცი და მეგობარი შუშის ხანიც კი რუსების შიშით საქართველოს მეფეს განუდგა და გადაემტერა. მისი ჩაგონებით განჯელებმა ერეკლე მეფის მიერ დანიშნული განჯის გამგე გამოაძევეს.

წყარო კ ივანე ჯავახიშვილისგან განსხვავებულ და რუსეთის იმპერიის / საბჭოთა კავშირის პერიოდში საყოველთაოდ გაზიარებულ შეფასებას გვთავაზობს XX ს-ის ისტორიკოსი გიორგი პაიჭაძე:

ძირითადი მიზეზი, რამაც განსაზღვრა ერეკლე მეორის მიერ გადაწყვეტილების მიღება, იყო ისეთი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის არჩევა, რომელიც ქვეყანას მშვიდობას მოუტანდა და უზრუნველყოფდა მის შემდგომ პროგრესს ევროპული განვითარების გზით.

ერეკლე მეორეს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნას, ეკონომიკურ პროგრესსა და სამხედრო ტექნიკის გაუმჯობესებას შეეძლო უზრუნველეყო საქართველოს მომავალი წარმატება. იგი ნათლად ხედავდა, რომ სამი დიდი სახელმწიფო – ირანი, თურქეთი და რუსეთი – ამიერკავკასიაში ბატონობას ერთმანეთს ეცილებოდა და არცერთი მათგანი საქართველოს თავისუფალსა და დამოუკიდებელს არ დატოვებდა, ამიტომაც საქართველოს აუცილებლად უნდა გაეკეთებინა არჩევანი ამ სახელმწიფოებს შორის. რუსეთთან საქართველოს ბედის დაკავშირებით ერეკლე იმედოვნებდა, რომ თავის ქვეყანას სამუდამოდ აცდენდა ჩამორჩენილი თურქეთ-ირანის აგრესიას და რუსეთის მეშვეობით უზრუნველყოფდა განვითარების ევროპულ გზას.

- *წყაროს ავტორის ნააზრევიდან ჩანს, თითქოს მეფე ერეკლემ იცოდა, რომ რომელიმე მეზობელი იმპერია ქართლ-კახეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ დატოვებდა და აუცილებლად დაიპყრობდა; შესაბამისად, მან საკუთარი სამეფო (და მთელი საქართველო) რუსეთს შეუერთა. რამდენად მართებულია ასეთი მსჯელობა მეფე ერეკლეს პოლიტიკისა და გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების გათვალისწინებით? შენი აზრით, რატომ იყო ფართოდ გავრცელებული გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების ამგვარი ინტერპრეტაცია რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის პერიოდებში?*

შემოსევების შედეგად განადგურდა გზები, ჩაკვდა ვაჭრობა. გლეხებს თითქმის მუდმივად ლაშქარში ყოფნა უწევდათ, რის გამოც სოფლები გაუკაცრიელდა. მუდმივი ჯარის შესანახად საჭირო თანხა სამეფოს არ გააჩნდა. მეფე ერეკლე რუსეთს ამაოდ სთხოვდა დამატებითი ჯარის გამოგზავნასა და სესხის გამოყოფას. ქართლ-კახეთში დაიწყო ფიქრი საგარეო პოლიტიკის გადასინჯვაზე.

წყარო ლ ამონარიდი ერეკლე II-ის წერილიდან გარსევან ჭავჭავაძისადმი (1786 წლის 8 აგვისტო): *ადაპტირებული წყარო*

ნურც ათქმევინებ ვინმეს ამასა, რომ დიდის ეკატერინეს ჟამსა და სახელმწიფოში რუსეთის შეერთების მიზეზით მოუშველებლობით დაიქცა საქართველო... რა ვქნა, მე ბევრის იმედი მქონდა თქვენგან და კიდეც მაქვს, მაშ ვისთან მივიდეთ და ვის გამოვუცხადოთ ტკივილი – ოსმალეთთან მივიდე, მიმიშვებენ? ყიზილბაშებთან მივიდე – შემიწყნარებენ? დაღესტნელებთან მივიდე – მიმიღებენ? მაშ ვისი იმედი მქონდეს, თუ არა რუსეთის დიდებული ხელმწიფისა... ვის უნდა მივმართო და ვის უნდა ვაწყინო თავი?

- *შენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს მეფე ერეკლეს წუხილი იმაზე, რომ მას ოსმალებთან, ირანელებსა და დაღესტნელებთან „აღარ მიესვლება“?*



გარსევან ჭავჭავაძე (1757-1811)

ქართლ-კახეთის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, მეფის *ეშიკაღასბაში* და ყაზახის მოურავი. 1784-1801 წლებში იყო ქართლ-კახეთის ელჩი რუსეთის იმპერიაში. შემდგომში რუსეთისგან ითხოვდა გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. იყო ცნობილი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის მამა.

შენიშვნა: ეშიკაღასბაში *– მეფის ცენტრალური აპარატის საპოლიციო უწყების ხელმძღვანელი XVII-XVIII სს-ის საქართველოში.*

1787 წლის სექტემბერში რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო. რუსეთმა ქართლ-კახეთიდან ჯარი გადაიყვანა იმ საბაბით, რომ ოსმალეთს სამეფოზე შემოტევა არ დაეწყო. რაკი რუსეთის იმპერია თავს არიდებდა ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვას, ერეკლე II შეეცადა, დამოუკიდებლად მოეგვარებინა ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან. შეთანხმება გაფორმდა ახალციხის საფაშოსთან. გაიგზავნა წერილები ეგვიპტის ქართველ მამლუქებთან, ხოლო 1788 წელს ერეკლემ „სამეგობრო-საზავო“ ხელშეკრულება გააფორმა ოსმალეთთან. 1789 წელს ერეკლე შეხვდა ფათალი-ხანს. ადრინდელი მოწინააღმდეგეები მოკავშირეობაზე შეთანხმდნენ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში გავლენის სფეროები გაიყვეს, მაგრამ ფათალი-ხანი მალე გარდაიცვალა და დასახული გეგმები ვერ განხორციელდა.

რატომ ილაშქრა საქართველოში აღა-მაჰმად-ხანმა?

1790 წლისთვის ირანში შინაომები დასასრულს მიუახლოვდა. ყაჯართა ტომის წარმომადგენელმა, აღა-მაჰმად-ხანმა არა მარტო გააერთიანა ირანი, არამედ 1791 წლისთვის მთელი აზერბაიჯანიც დაიმორჩილა. გაძლიერებული ირანის გამგებელმა ერეკლე II-ს რამდენჯერმე შემოუთვალა, უარი ეთქვა რუსეთის მფარველობაზე და ირანის უზენაესობა ეღიარებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოზე ლაშქრობით იმუქრებოდა. ირანი არ აპირებდა ქართლ-კახეთისა და აზერბაიჯანის დათმობას, რადგან ეს ტერიტორიები მისთვის უმნიშვნელოვანესი იყო როგორც პოლიტიკური, ისე სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით.

წყარო გ **აღა-მაჰმად-ხანი და მისი ძმები, სოლეიმანიეს სასახლის კედლის მხატვრობა, XIX ს-ის დასაწყისი, ქ. ქარაჯი, ირანი**



აღა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმები წლების განმავლობაში მეორდებოდა. უშუალო საფრთხის წინაშე დამდგარი ერეკლე განუწყვეტლივ გზავნიდა სანკტ-პეტერბურგში ელჩებსა და წერილებს, ჯარით დახმარებას ითხოვდა. რუსეთის იმპერატორი საქართველოში სამხედრო დახმარების გაგზავნას არ აპირებდა და ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომი რუსული ჯარის უფროსს, გენერალ ივანე გუდოვიჩს ინსტრუქციას აძლევდა, ცრუ დაპირებებით გაემხნევებინა ქართველთა მეფე, რათა ირანის პირობები არ მიეღო.

წყარო ე **ამონარიდი ერეკლე II-ის წერილიდან რუსეთში მყოფი შვილის, მირიანისადმი (1793 წ.):** *ადაპტირებული წყარო*

გიბრძანებ შენ, ვითარცა მშობელი, გამოიჩინო ერთგულება და ჩემი თხოვნა გრაფ პლ. ზუბოვის შუამდგომლობით მის უდიდებულესობას მიართვა... რათა რაიმე საშუალებით აგრძნობინოს მტერს, რომ საქართველო ასეთი დიდი მონარქის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ამ გზით შეშინებულმა მტერმა იქნებ გადაიფიქროს თავდასხმა.

წყარო ო ნაწყვეტი დარეჯან დედოფლის წერილიდან იმპერატორ ეკატერინე II-ისადმი (1795 წ. 6 ივნისი): *ადაპტირებული წყარო*

ამდენი ქრისტიანის გასაჭირი მაიძულებს, ვევედრო თქვენს უდიდებულესობას, რათა, მოწყალე ტახტის პირობის თანახმად, ინებოთ ჩვენი დახმარება აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ მახლობლად დგას თავისი ჯარით და ცდილობს ქვეყნისა და ჩვენს დაპყრობას, ამიტომაც ცრემლით გევედრები, უდიდებულესო ხელმწიფეო... რათა დაგვეხმარო უძლეველი ჯარით.

- *იმსჯელე, რა მიზანს ისახავდა რუსეთის ამგვარი დამოკიდებულება ქართლ-კახეთისადმი?*

აღა-მაჰმად-ხანი დარწმუნდა, რომ რუსეთის იმპერია ერეკლე II-ს ჯარით არ დაეხმარებოდა, ამიტომაც 1795 წელს ირანელთა 35-ათასიანი ჯარი საქართველოში შემოიჭრა და 10 სექტემბერს კრწანისის ველს მოადგა. ერეკლემ მხოლოდ 5000 მეომრის მოგროვება შეძლო. ქართველი თავადებისა და ბატონიშვილების ნაწილი ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდა. იმავე დღეს ქართველებმა მტრის მოწინავე რაზმები დაამარცხეს, მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდური გამარჯვება იყო. 11 სექტემბერს ირანელებმა ქართველთა ჯარის ზურგიდან შემოვლა შეძლეს და დაამარცხეს. მეფე ერეკლემ მთიანეთს შეაფარა თავი. ირანელებმა თბილისი აიღეს, 8 დღის განმავლობაში ძარცვავდნენ და უკან, ირანში გაბრუნდნენ. მომდევნო წელს აღა-მაჰმად-ხანი ირანის შაჰინ-შაჰად ოფიციალურად აკურთხეს.

- *იმსჯელე, რა მიზანს ისახავდა აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობა?*

წყარო პ აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღება, მინიატიურის ფრაგმენტი XIX ს-ის სპარსული ხელნაწერიდან, ბრიტანეთის ბიბლიოთეკა



ამგვარად, გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამ ქართლ-კახეთის მდგომარეობა არათუ გააუმჯობესა, პირიქით – უკიდურესად გაამწვავა. ერთ დროს ამიერკავკასიის ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც ოსმალეთიცა და ირანიც ანგარიშს უწევდნენ და მეზობელი სახანოები მოხარკედ ჰყავდა, იმდენად დასუსტდა, რომ ძალიან მალე რუსეთის იმპერიამ მისი ანექსია ადვილად შეძლო.

დისკუსია

კლასში გამართეთ რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკის შესახებ დისკუსია. რომელ შორსმიმავალ გეგმას ისახავდა დროულ სამხედრო დახმარებაზე უარის თქმა?

კლასში გამართეთ დებატები თემაზე: „რუსეთი მოდიოდა საქართველოში თუ ერეკლე მეორეს მოჰყავდა?“

3 საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

საქართველოში XIX საუკუნე რუსეთის იმპერიის მმართველობის დამყარებით იწყება. ამ თემიდან გაიგებ, როგორ შემოდიოდა ეს ახალი საუკუნე საქართველოში, ქართველთა ყოველდღიურობაში, რა ცვლილებები მოიტანა რუსეთის იმპერიის მფარველობაში ყოფნამ და როგორ წარიმართა ქვეყნის ბედი.

მთავარი კითხვები, რომლებსაც უნდა უპასუხო ამ თავის შესწავლის შემდეგ:

- რატომ გამრავალფეროვნდა ახალ დროში ისტორიული წყაროები და რა ინფორმაციას გვაწვდიან XIX საუკუნის საქართველოს შესახებ?
- როგორ მომზადდა და განხორციელდა რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთისა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ანექსია?
- როგორ შეხვდნენ ქართველები სახელმწიფოებრიობის დაკარგვას?
- როგორი იყო საქართველოში დამკვიდრებული რუსული კოლონიური მმართველობა?
- რატომ აისახა საქართველოზე ნაკლებად საფრანგეთის რევოლუციისა და „ინდუსტრიული რევოლუციის“ შედეგები?
- რატომ არ უწყობდა ცარიზმი ხელს საქართველოში მრეწველობის განვითარებას?
- როგორ იბრძოდნენ ქართველები რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ?
- რატომ უწოდებდნენ კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობას „თაფლაკვერისა და მათრახის“ პოლიტიკას?
- რატომ მონაწილეობდნენ ქართველები რუსეთის იმპერიის ომებში?
- რატომ დაჩქარდა რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმება და სხვა პროგრესული რეფორმები და როგორ წარიმართა ეს პროცესი საქართველოში?
- რატომ აშუქებდნენ თერგდალეულები აქტიურად ევროპაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს?
- რატომ მივიჩნევთ ილია ჭავჭავაძეს ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცად?
- რა მიზნით შეიქმნა XIX ს-ის საქართველოში რამდენიმე გაზეთი, სათავადაზნაურო ბანკი და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“?
- როგორ შეერთდა რუსეთის იმპერიას აჭარა და რატომ მიენიჭა ბათუმს „პორტო ფრანკოს“ სტატუსი?
- როგორ ჩამოყალიბდა საქართველოში პარტიები XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე და რა იდეური განსხვავებები არსებობდა მათ შორის?
- როგორ და რა საზოგადოებაში ცხოვრობდნენ ადამიანები XIX საუკუნის საქართველოში?
- რით განსხვავდება საქართველოში რუსეთის იმპერიული მმართველობის ხანა თანამედროვეობისგან და/ან სხვა ისტორიული ეპოქებისგან?

3.1 რუსეთის იმპერიული წესრიგის დამყარება საქართველოში XIX ს-ის I ნახევარში



ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიის პარალელურად, რუსეთის იმპერია საკუთარი პოლიტიკური და სოციალური წესრიგის დამყარებას ცდილობდა საქართველოში. ამ ქვეთემიდან გაიგებ, როგორ მოახდინა იმპერიამ ქართული სამეფოების ანექსია, როგორ გააუქმა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და როგორ შეხვდა ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას. მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორი მმართველობა დაამყარა რუსეთის იმპერიამ საქართველოში და რა ცვლილებები შემოიტანა ამან ქართველების ცხოვრებასა და ყოფაში.

1801 წლიდან რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ დაუფარავი დამპყრობლური პოლიტიკის გატარება დაიწყო. ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიის პროცესი საუკუნის მთელ პირველ ნახევარს გაგრძელდა. ეს პერიოდი მრავალმხრივი მოვლენებით გამოირჩევა. 1830-იან წლებამდე ხშირი იყო შეიარაღებული გამოსვლა რუსული მმართველობის წინააღმდეგ, თითოეულ გამოსვლას საკუთარი სპეციფიკა ახასიათებდა. მთელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერია მართავდა ომებს ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ. ამ ომებში დიდი ადგილი ეკავა კავკასიის რეგიონს და საომარი მოქმედებები ხშირად საქართველოს ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა. ცხადია, ეს დიდ გავლენას ახდენდა საქართველოს დემოგრაფიულ, პოლიტიკურ და, უპირველესად კი, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ამ ქვეთემაში გაეცნობი რუსეთის იმპერიის ომებსა და მათ სხვადასხვა სახის გავლენას ქვეყნის ცხოვრებაზე; გაიგებ, რატომ გახდა საჭირო ძირეული რეფორმები და ცვლილებები რუსეთის იმპერიაში და რა სახით დაინერგა ეს რეფორმები საქართველოში.

საკითხი 8. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში



კომპლექსური დავალება 8

სამიზნე ცნებები

- ძალაუფლება
- ისტორიული პროცესი/მოვლენა

რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული სამეფოების სახელმწიფოებრიობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთის „რბილი ძალის“ გავლენის ქვეშ მყოფი ისტორიკოსები ამ მოვლენას დადებითად აფასებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შესვლით გადარჩა. პერიოდულად, ისინი ცნობილ მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ ჟურნალებში აქვეყნებენ სტატიებს, რომლებშიც თავიანთ მოსაზრებებს პოპულარიზაციას უწევენ.

წარმოიდგინე, რომ ხარ უცხოელი ისტორიკოსი, რომელსაც სურს, ობიექტურად შეისწავლოს რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების საკითხი და დამყარებული რუსული კოლონიური მმართველობის ხასიათი. მასალების მოძიებისა და დამუშავების შემდგომ ერთ-ერთ პოპულარულ საერთაშორისო ჟურნალში უნდა გამოაქვეყნო **სტატია**.

ნაშრომში ნათლად წარმოაჩინე შემდეგი საკითხები:

- როგორ მოახდინა რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფოების ანექსია და როგორ ეწინააღმდეგებოდნენ ამ პროცესს ქართველები?
- რომელ ინსტიტუტებსა და ჯგუფებს და რატომ ეყრდნობოდა რუსული მმართველობა?
- რატომ არ შესრულდა „გეორგიევსკის ტრაქტატის“ პირობები და რა საგარეო და შიდა პოლიტიკური შედეგებით დასრულდა მხარეებისთვის?
- რატომ აფასებენ სხვადასხვანაირად ისტორიკოსები რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიის საკითხს და რამდენად მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად მიიჩნევენ მას?

51/52 როგორ მოახდინა რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფოების ანექსია?

XIX საუკუნეს საქართველო რუსეთის იმპერიის მმართველობის დამყარებით შეხვდა. გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ შეძლო რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმება და ანექსია.



ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია

1798 წლის 11 იანვარს ერეკლე II გარდაიცვალა. ტახტი მისმა ვაჟმა, გიორგი XII-მ დაიკავა. რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა კარგად იცოდნენ ის მძიმე ვითარება, რომელშიც ახალი მეფე აღმოჩნდა და ყველანაირად ცდილობდნენ, შექმნილი სიტუაციით ესარგებლათ. მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს შიდაპოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა გიორგი XII-ის გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც, ტახტის მემკვიდრე ხდებოდა მისი შვილი დავითი და არა ძმა – იულონ ერეკლეს ძე. საქმე ის იყო, რომ ერეკლე II-ის განუხორციელებელი პროექტის თანახმად, ტახტის მემკვიდრე ხდებოდა არა უფროსი ვაჟი, არამედ – ძმა. ასე რომ, გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ნახევარძმა, იულონ ბატონიშვილი უნდა ასულიყო. ამ ფაქტის გამო ახალ მეფეს ურთიერთობა დაეძაბა თავად იულონთან და იულონის დედასთან, ქვრივ დედოფალ დარეჯანთან. ამ ყველაფერს ემატებოდა მეფის ჯანმრთელობის პრობლემებიც. ყველა ემზადებოდა იმ დროისთვის, როცა ავადმყოფი მეფე გარდაიცვლებოდა და ტახტისთვის ბრძოლის შანსი მიეცემოდათ. დარეჯან დედოფალს ფარული მიმოწერაც კი ჰქონდა რუსეთის იმპერატორ პავლე I-თან, რომელშიც მას ერთგულებას ეფიცებოდა. სამეფო კარის თამაშებს ერთვოდა ქვეყანაში შექმნილი სოციალური მდგომარეობაც. დიდად დაზიანდა ქვეყნის ეკონომიკა, დაცარიელდა სახელმწიფო ხაზინა, რადგან მისი ძირითადი შემავსებელი წყარო სამეფოში აღარ არსებობდა. გაღარიბებულმა მოსახლეობამ გადახდის უნარი დაკარგა. ამას დაემატა შავი ჭირის ეპიდემიაც. გაუკაცრიელდა მრავალი სოფელი. ამ ყველაფერმა კი ძლიერ დააზარალა ქართული ჯარი. ქართლ-კახეთის სამეფო ორგანიზებული სამხედრო ძალის გარეშე დარჩა.

1799 წლის 26 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოში გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტებით (1798 წ. 16 დეკემბერი) გათვალისწინებული რუსული არმიის პოლკი შემოვიდა გენერალ ივანე ლაზარევის მეთაურობით. ქართლ-კახეთის მოსახლეობა ვითარების დასტაბილურებას ელოდა და ჯარის შემოსვლას იმედის თვალით უყურებდა. მოლოდინს აორკეცებდა გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ირანი ქართლ-კახეთში ლაშქრობასა და მის დამორჩილებას აპირებდა.

წყარო ა **რუსეთის ჯარის შემოსვლა ილია ჭავჭავაძემ (1837-1907) დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ ასე აღწერა:**

მეფის კარიდან დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია, საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდან პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერად და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენი საუკუნის განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი.



წყარო ბ **რუსეთის ჯარის შემოსვლა თბილისში გენერალ ლაზარევის მეთაურობით, 1799, ფრანც რუბო, XIX ს-ის ბოლო**

სურათის ცენტრში სიონის ტაძარია გამოსახული.

თანდათან რუსეთის ჯარის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1799 წლის დეკემბრისთვის თბილისს რუსეთის ჯარი თითქმის სრულად აკონტროლებდა. დაწესდა რუსული სამხედრო ნაწილებისგან შემდგარი საყარაულოები და საგუშაგოები. ქალაქის დატოვება აუკრძალეს ქვრივ დედოფალ დარეჯანს. თვალთვალი დაწესდა თვით მეფეზეც. სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ გიორგი XII ქართლ-კახეთში მოვლენილ რუსეთის მინისტრ-წარმომადგენელ კოვალენსკის დიდ პატივს სცემდა.

პარალელურად, გრძელდებოდა ბრძოლა სამეფო ტახტისთვის. მასზე პრეტენზია გამოთქვა ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის შვილმა, **ალექსანდრე ბატონიშვილმა**, რომელიც ირანში იმყოფებოდა. 1800 წლის 7 ნოემბერს გაიმართა **ნიახურას ბრძოლა** (სოფ. კაკაბეთთან, საგარეჯოს მუნიციპ.), სადაც რუსთა და ქართველთა ერთიანი ჯარი დაღესტნის მმართველ ომარ-ხან ავარიელისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ოციათასიან ლაშქარს დაუპირისპირდა. ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი დამარცხდა და საქართველოს ტერიტორია დატოვა. ამ ბრძოლას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ უბრალო მოსახლეობამ რუსთა ჯარის სახით მაშველი ძალა დაინახა და ის იმედი, რომელიც ჯარის შემოსვლისას მიეცათ, უფრო გაუმყარდათ. მიუხედავად მარცხისა, დარეჯან დედოფალსა და მის მომხრეებს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ტახტისთვის. მოსახლეობაში გამოიკვეთა ორი მიმართულება – ნაწილი დავით ბატონიშვილის ერთგულებას ინარჩუნებდა, ხოლო ნაწილი მის წინააღმდეგ გამოდიოდა. მაგალითად, ხევსურები, რომლებიც დავით ბატონიშვილის ერთგულები იყვნენ, დაუპირისპირდნენ არაგვის ხეობის მოსახლეობას. შეიარაღებული დაპირისპირება შეინიშნებოდა სამეფოს სხვა ადგილებშიც.

ამ ვითარებაში, საკუთარი სუვერენიტეტის შეზღუდვის ხარჯზე სახელმწიფოს შენარჩუნების მიზნით, გიორგი XII კიდევ ერთ ელჩობას აგზავნის რუსეთის საიმპერატორო კარზე და თან ატანს ხელმოწერილ „სათხოვარ პუნქტებს“.

წყარო გ **1800 წლის 17 ნოემბერს ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩებმა რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს აუწყეს, რომ გიორგი XII-ს სურს, რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი გახდეს და შემდეგი პირობები ამცნეს:** *ადაპტირებული წყარო*

1) ქართლ-კახეთის მეფე კისრულობს ვალდებულებას, რომ პირნათლად შეასრულოს ყველაფერი ის, რასაც ასრულებენ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები. ის აღიარებს ყველა კანონსა და ბრძანებას, რომელსაც რუსეთის იმპერატორი გამოსცემს, ცნობს რუსეთის იმპერატორს საკუთარ ხელმწიფედ;
2) გიორგი XII ითხოვს, რომ ის დატოვონ ქართლ-კახეთის მეფედ, ხოლო მის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეებად დაამტკიცონ მისი მემკვიდრეები, რომლებიც რუსეთის იმპერიის ერთგული ქვეშევრდომები იქნებიან;
3) ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ დადგენილი მმართველობა და კანონები უნდა მოქმედებდეს, მაგრამ ისინი მისაღები უნდა იყოს ქართველი ხალხისთვის;
4) თავის მხრივ, ქართლ-კახეთის მეფეებს რუსეთის იმპერატორის ბრძანებულების გარეშე უფლება არ უნდა ჰქონდეთ, გამოსცენ საკუთარი კანონები;
5) ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორისგან ითხოვს ჯამაგირის დანიშვნასა და რუსეთში სოფლების ბოძებას;
6) ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი შემოსავალი უნდა გადაეცეს რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას, საჭიროების მიხედვით მოხმარებისათვის;
7) ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორისგან ითხოვს გლეხობისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებას;
8) გიორგი XII ითხოვს ქართლ-კახეთის ციხესიმაგრეებში ექვსი ათასი ჯარისკაცის ჩაყენებას. ციხესიმაგრეების კომენდანტები ქართველები უნდა იყვნენ;
9) ქართლ-კახეთის სამეფოში უნდა შეიქმნას ქართული მილიცია ეროვნული ტანსაცმლით;
10) გიორგი XII რუსეთის მთავრობისგან ითხოვს რუსეთიდან მცოდნე სპეციალისტების გამოგზავნას, რომლებიც დაამუშავებენ ოქროს, ვერცხლისა და სხვა ლითონების მადნებს;
11) გიორგი XII რუსეთის იმპერატორისგან ითხოვს ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ფულის მოჭრის უფლებას რუსულ-ქართული წარწერებით, იმპერატორის გვირგვინისა და ქართული სამეფო გერბის გამოსახულებით;
12) გიორგი XII ითხოვს ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობაზე (როგორც თავადაზნაურობაზე, სამღვდელოებასა და ვაჭრებზე, ისე მთელ დანარჩენ მოსახლეობაზე) გავრცელებას ყველა იმ უფლებისა და კანონისა, რომლებიც რუსეთის ქვეშევრდომებს ეხება.

- *შეაფასე გიორგი XII-ის მოთხოვნები რუსეთის იმპერატორის მიმართ. რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია ამ მოთხოვნებიდან ქართლ-კახეთის მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ?*
- *რა არსებითი განსხვავებაა ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დიპლომატიურ დამოკიდებულებას შორის რუსეთის იმპერიასთან?*
- *შენი აზრით, რატომ უკრძალავდა იმპერიული ცენტრი დარეჯან დედოფალს თბილისის დატოვებას?*

წყარო დ **1800 წლის 15 ნოემბერს (ე. ი. ელჩობამდე ორი დღით ადრე) იმპერატორი პავლე I გენერალ კარლ კნორინგს საიდუმლოდ სწერდა:**

მეფის [გიორგი XII-ის] ავადმყოფობა საფუძველს გვაძლევს, რომ მალე მოველოდეთ მის გარდაცვალებას. ამიტომ, როგორც კი ეს მოხდება, დაუყოვნებლივ გაგზავნეთ იქ ჩვენი სახელით განცხადება, რომ ჩვენგან ნებართვის მიღებამდე არ შეუდგნენ ტახტის მემკვიდრის მეფედ კურთხევას.



რუსეთის იმპერატორი პავლე I (1796-1801)

გამოირჩეოდა მკაცრი პოლიტიკით თავადაზნაურობის მიმართ. შეეწირა შეთქმულებას, რომელშიც სხვა დიდებულებთან ერთად მისი შვილი, ალექსანდრე I-ც იღებდა მონაწილეობას.

ვითარების აწონ-დაწონის შემდეგ რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა 1800 წლის 18 დეკემბერს ხელი მოაწერა სიგელს ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ, გუბერნიის სახით; მაგრამ, სიგელი ძალაში რომ შესულიყო, მასზე გიორგი XII-ის ხელმოწერაც იყო საჭირო. ამ ხელმოწერის უქონლობით ეს სიგელი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დარღვევა იყო. თუმცა, გიორგი XII მანამ გარდაიცვალა (28 დეკემბერს), ვიდრე ელჩობა სიგელს საქართველოში ხელმოსაწერად ჩამოიტანდა. მისმა გარდაცვალებამ რუსეთის იმპერატორის გეგმა ჩაშალა, რადგან გიორგი XII-ის თხოვნამ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან ქვეშევრდომის სტატუსით შეერთების შესახებ (წყარო *ბ*), იურიდიული ხელშეკრულების სახე ვერ მიიღო – ამის ნაცვლად ძალაში დარჩა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები.

- *რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსეთის იმპერიისთვის, რომ სიგელზე გიორგი XII-საც მოეწერა ხელი?*

გიორგი XII-ის გარდაცვალებისთანავე გენერალმა ივანე ლაზარევმა ქართლ-კახეთის მართვის სადავეები ხელში აიღო და *სამხედრო მდგომარეობა* გაამკაცრა. მან **მემკვიდრე დავით ბატონიშვილს** ტახტის დაკავების უფლება არ მისცა. ნათელი გახდა გაზრდილი რუსული ჯარის დანიშნულებაც – მას საოკუპაციო არმიის ფუნქცია უნდა შეესრულებინა.

შენიშვნა: სამხედრო მდგომარეობა *– საგანგებო ვითარება, როდესაც სამხედრო ხელმძღვანელობა თავის თავზე იღებს მმართველობით და სასამართლო ფუნქციებს.*

1801 წლის 15 იანვარს დავით ბატონიშვილი ქართლ-კახეთის გამგებლად (მმართველად) დაინიშნა. მან ვერ შეძლო ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც ხელს შეუშლიდა იმპერიულ პოლიტიკას. სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ გენერალმა ლაზარევმა დიდი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე ქართლ-კახეთიდან განდევნა, რის შემდეგაც მან იმერეთის მეფეს, სოლომონ II-ს მიაშურა. 18 იანვარს პავლე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს, რომელიც 16 თებერვალს გენერალმა კარლ კნორინგმა სიონის საკათედრო ტაძარში წაუკითხა საზოგადოებას. იმისათვის, რომ მანიფესტი საზოგადოებას უმტკივნეულოდ მიეღო, იმპერიული ცენტრის გადაწყვეტილებით, ზოგიერთი თავადი და აზნაური დააწინაურეს, ზოგიც ხარისხით, მედლითა და ფულადი ანაზღაურებით დააჯილდოვეს. გადაწყდა, რომ ქართული დელეგაცია ფიცის დასადებად პეტერბურგში გაემგზავრებოდა.

მიუხედავად ამ სწრაფი ნაბიჯებისა, იმპერიის ზრახვების განხორციელება ბოლომდე ვერ მოხერხდა – იმპერატორი პავლე 11-12 მარტის შეთქმულებას ემსხვერპლა. ქართლ-კახეთის საკითხის გადაწყვეტა მომდევნო იმპერატორს, **ალექსანდრე I-ს** (1801-1825) ხვდა წილად.



დავით ბატონიშვილი (1767-1819)

ერეკლე II-ის შვილიშვილი. ქართლ-კახეთის სამეფოს მემკვიდრე. რუსეთში გადასახლების შემდეგ დაკავდა სამეცნიერო საქმიანობით.



რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I (1801-1825)

პავლე I-ის შვილი, რომელიც მამამისის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე იყო.

ალექსანდრე I ქართლ-კახეთის ოფიციალურ ანექსიას ახდენს

ახალ იმპერატორთან ქართლ-კახეთიდან კვლავ გაიგზავნა ელჩობა, რომელმაც მას რამდენიმე მოთხოვნა წაუყენა:

- აღმოსავლეთ საქართველოს მმართველად უნდა დანიშნულიყო გიორგი XII-ის ერთ-ერთი ვაჟი, ის უნდა ყოფილიყო იმპერატორის მოადგილე და უნდა ეტარებინა ქართლ-კახეთის მეფის წოდება;
- მის თანაშემწედ უნდა დანიშნულიყო რუსი მოხელე;

- სამეფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უნდა ყოფილიყო სამეფო საბჭო, რომლის წევრები იქნებოდნენ: ქართლ-კახეთის მეფე, მისი რუსი თანაშემწე, სამი ქართველი თავადი და აღმოსავლეთ საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარის სარდალი;
- ქართულ-რუსული მმართველობა უნდა შეხებოდა სხვა ყველა ადგილობრივი მმართველობის უწყებას (პოლიციას, სასამართლოს და სხვა);
- დამოუკიდებლობა უნდა შეენარჩუნებინა ქართლ-კახეთის მართლმადიდებელ ეკლესიას;
- უნდა შექმნილიყო მუდმივი ჯარი და სხვ.

● *შეადარე ერთმანეთს გიორგი XII-ის მოთხოვნები (წყარო 8) ამ მოთხოვნებს. რა მნიშვნელოვანი მსგავსებები და სხვაობები ჩანს მათ შორის?*

● *შენი აზრით, რა ფუნქცია და მოვალეობები უნდა ჰქონოდა ქართლ-კახეთის მეფის რუს თანაშემწეს?*

ვიდრე ელჩობა გარკვეულ საკითხებს აგვარებდა, რუსეთის იმპერია კავკასიაში თავისი პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა. ქართლ-კახეთის მმართველად 24 მაისს ოფიციალურად დაინიშნა **გენერალ-გუბერნატორი კარლ კნორინგი**. დავით ბატონიშვილი თანამდებობიდან გადააყენეს და შეიქმნა „საქართველოს დროებითი მთავრობა“, რომელსაც სათავეში გენერალი ლაზარევი ჩაუდგა. მთავრობა ქართველი თავადებით დაკომპლექტდა. დროებით მთავრობას ეკისრებოდა გადასახადების მოწესრიგება და აკრეფა, ადმინისტრაციული სფერო, საზოგადოებრივი წესრიგი, გზები... ბატონიშვილებისა და დიდთავადების საშინაო საქმეებში ისინი არ ერეოდნენ. გაურკვეველი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს მომავალიც.

ალექსანდრე I ხვდებოდა, რომ საგარეო და საშინაო საკითხებში თავად ქართლ-კახეთის მეთაურებს შორის არ არსებობდა საერთო პოზიცია. ამასთან, ის ანგარიშს უწევდა ევროპის დიდ სახელმწიფოებს და ცდილობდა საქართველოს საკითხი ისე გადაეწყვიტა, რომ მოქიშპეთა მხრიდან პრეტენზიები ნაკლები ყოფილიყო, ამიტომაც მან კავკასიის ხაზის სარდალს, გენერალ კარლ კნორინგს დაავალა, გამოერკვია: 1) შეეძლო თუ არა ქართლ-კახეთს არსებობა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და 2) რუსეთთან შეერთების სურვილი საერთო-სახალხო იყო თუ არა.

● *შენი აზრით, რით იყო განპირობებული, რომ იმპერატორმა ალექსანდრემ გადაწყვიტა ამგვარი გამოკვლევის ჩატარება და მისი შედეგების მიხედვით მოქმედება?*

გენერლის გამოკვლევის პასუხი სახელმწიფო საბჭომ განიხილა და უმრავლესობით დადებითად გადაწყვიტა – **1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორმა ხელი მოაწერა მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ**. ალექსანდრე I მანიფესტში აღნიშნავდა, რომ რუსეთის მონარქიამ იკისრა „საქართველოს სამეფოს“ მფარველობა, დაცვა და უშუალო მმართველობა თავად ქართველი ხალხის თხოვნის საფუძველზე.

წყარო 9 თანამედროვე ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე ალექსანდრე I-ის მანიფესტისა და რუსული პოლიტიკის შესახებ:

ამ დოკუმენტში რელიეფურად აისახა რუსეთის მანამდელი და მერმინდელი პოლიტიკის ყველა თვისება: ფარისევლობა, ვერაგობა, სიყალბე, დემაგოგია, ცინიზმი და სხვა არაერთი „სიკეთე“, რომლებსაც მხოლოდ ერთი მიზანსწრაფვა განაპირობებდა – იმპერიის საზღვრების განუწყვეტელი ზრდა და სხვა ქვეყნებისა და ხალხების დაპყრობა... ჯერ კავშირი დაამყარა მეზობელ „მოკავშირე“ სახელმწიფოსთან, მფარველობას შეჰპირდა, მერე, ცბიერი პოლიტიკით, ფარულად დაასუსტა, მიატოვა ძლიერი მტრების პირისპირ, დაბოლოს, დასუსტებული სახელმწიფო დაიპყრო. ამის შემდეგ, რუსეთმა მორიგი სპექტაკლი გაითამაშა – თითქოს ქართული სახელმწიფოს აღდგენას აპირებდა. იმპერატორმა აქ გამოგზავნა ერთგული მოხელეები, რომლებმაც „დაასაბუთეს“, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობა არ შეეძლო და, ამგვარ დასკვნებზე დაყრდნობით, სრულიად გააუქმა აღმოსავლურქართული სახელმწიფო. რაც მთავარია, ეს ყველაფერი მხოლოდ ქართველი ხალხის სიყვარულითა და ერთმორწმუნე ქვეყნის შველისათვის გაკეთდა.

● *მოცემული წყაროს, განვლილი მასალისა და გაკვეთილის ტექსტის მიხედვით, ისაუბრე იმ პოლიტიკაზე, რომელსაც რუსეთის იმპერია ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის მიზნით ახორციელებდა.*

1802 წლის 12 აპრილს გენერალმა კნორინგმა თავადაზნაურობას მოუწოდა, შეკრებილიყვნენ სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც მანიფესტი უნდა წაეკითხათ. ტაძარს გარს რუსული ჯარი ერტყა, ხოლო თავად იქ მიწვეულები აიძულეს, იარაღი ტაძრის გარეთ დაეტოვებინათ. წირვისა და მანიფესტის წაკითხვის შემდეგ მათ იმპერატორისადმი ერთგულების ფიცის დადება მოსთხოვეს. თავადაზნაურობა აღშფოთდა, თუმცა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. ფიცი მიიღეს. ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად გამოცხადდა რუსეთის იმპერიის ნაწილად. დაიწყო ბაგრატიონთა ოჯახის წარმომადგენლების გადასახლება რუსეთში.

● *რა მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის იმპერატორი ბაგრატიონთა რუსეთში გადასახლებას და რატომ უარყოფდა ცარიზმი მათ ყველა თხოვნას, დარჩენილიყვნენ სამშობლოში?*

წყარო 3 ქართველი *ანარქისტი* ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925) ამ დღის ამბებს შემდეგნაირად გადმოგვცემს:

საყოველთაო უკმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ როცა დაინახეს, რომ, თვითონ განიარაღებულნი, რუსი ჯარისკაცებით იყვნენ გარშემორტყმულნი, ქალაქი მღელვარებამ მოიცვა. ვაჭრებმა და ხელოსნებმა მაღაზიები დახურეს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების საუკეთესო და ყველაზე გავლენიანი პირები დააპატიმრეს, თბილისის ძირძველი ქართველი და სომეხი მკვიდრნი ტახტის მემკვიდრეს, ბატონიშვილ დავითს ეახლნენ და რუსების გაყრა შესთავაზეს. მისმა ბიძამ, ივანემ, რომელიც არტილერიას ხელმძღვანელობდა, ნებართვა ითხოვა და პირობა დადო, რომ რუსებს კავკასიიდან განდევნიდა. მაგრამ დავითმა, შესაძლოა, რუსეთის შიშით ან საქართველოს მომავალ ბედ-იღბალზე ზრუნვით, სპარსეთსა და თურქეთთან ერთად თავს რუსეთის სიძულვილიც რომ არ დასტყდომოდა, შეტევაზე უარი თქვა და ძალას დაემორჩილა.

ანარქიზმი (ბერძნ. ანარხოს – მეთაურის გარეშე) – XIX ს-ის დასაწყისში ჩამოყალიბებული იდეოლოგია, რომლის მთავარი მიზანი იყო სახელმწიფოს მოსპობა და იძულებითი ძალაუფლების შეცვლა მოქალაქეთა რაიმე ტიპის თავისუფალი და ნებაყოფლობითი გაერთიანებით.

ცნობა 1 ალექსანდრე I-ის მანიფესტის ძირითადი თეზისები

1) ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობა და დაცვა ხდებოდა რუსეთის მონარქების მოვალეობა;
2) 1796 წელს იმპერატორმა ეკატერინე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს გადასარჩენად გაგზავნა ჯარი, რომელმაც ქართლ-კახეთი იხსნა საფრთხისაგან, თუმცა ამ ჯარის მოულოდნელად უკან გაწვევამ ქართველებს იმედი გაუცრუა;
3) რუსეთის ჯარის გაწვევის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს თავს დაატყდა მრავალი უბედურება: ურწმუნოთა თავდასხმები, ქალაქებისა და სოფლების გაჩანაგება, ადამიანების გატაცება და ბოლოს, დაპირისპირება სამეფო ოჯახის წევრებს შორის;
4) მტრები მზად იყვნენ, თავს დასხმოდნენ და საბოლოოდ მოესპოთ ქართლ-კახეთის სამეფო;
5) ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლამ და ომარ-ხანის დამარცხებამ ქვეყანა განადგურებისაგან იხსნა;
6) რუსეთმა შეძლო ქართლ-კახეთის სამეფოს მტრების დაოკება, შეწყდა დაპირისპირება ქვეყნის შიგნით. ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთმა ითხოვა [იგულისხმება გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“], ქვეყანაში უშუალოდ რუსული მმართველობა დამყარებულიყო;
7) როცა მე ტახტზე ავედი, უკვე გამოცემული იყო 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე;

8) მე მსურდა, გამეგო, თუ შეიძლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს პირვანდელი პირობებით [ე. ი. გეორგიევსკის ტრაქტატის] რუსეთის იმპერიის მფარველობაში დარჩენა. გაირკვა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში შეუძლებელი იყო, როგორც საშინაო, ისე საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ქვეყანა დაღუპვის პირას იყო და იგი აუცილებლად დაიღუპებოდა, თუ მას რუსეთი არ შეიერთებდა;
9) ამ ვითარებამ და ქართველი ერის თხოვნამ გადაგვაწყვეტინა, დაგვეცვა ერთმორწმუნე ქვეყანა;
10) თქვენი იმედი გამართლდება, თქვენ მოტყუებულნი არ დარჩებით;
11) ქართლ-კახეთის სამეფოს მართვა ჩვენ იმიტომ კი არ გადავწყვიტეთ, რომ ისედაც უზარმაზარი იმპერიის ტერიტორია გაგვეფართოებინა, არამედ იმიტომ, რომ, ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობიდან გამომდინარე, ყურად ვიღეთ წამებულთა ხვეწნა-მუდარა;
12) ქართლ-კახეთში შემოღებულმა მმართველობამ ქვეყანაში უნდა უზრუნველყოს მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება, კანონის დაცვა;
13) გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს დავავალეთ ქართლ-კახეთის მმართველობის ორგანიზება და იგი დავნიშნეთ მთავარმმართველის თანამდებობაზე;
14) აღდგება გაჩანაგებული სოფლები და ქალაქები;
15) ქართლ-კახეთის ყველა მცხოვრებს შეუნარჩუნდება მისი წოდებრივი მდგომარეობა, აღმსარებლობა (რელიგია) და პირადი უსაფრთხოება;
16) უფლისწულებს შეუნარჩუნდებათ საუფლისწულო მამულები, მამულებიდან მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად მიეცემათ ფულის სახით, თუ ისინი არ დაარღვევენ დადებულ ფიცს;
17) ამ მანიფესტის აღიარების (მიღების) ნიშნად, ქართლ-კახეთის მოსახლეობამ უნდა დაიფიცოს თანდართული ფიცის ნიმუშის მიხედვით. სამღვდელოებამ, როგორც სულიერმა მოძღვრებმა, დაფიცებისას მაგალითი უნდა მისცეს ხალხს;
18) ქართლ-კახეთის მოსახლეობა შეიტყობს კეთილი მმართველობის ფასს: ქვეყანაში დამკვიდრდება მშვიდობა, მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება; აღიკვეთება თვითნებობა; შეიქმნება პირობები პირადი, საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის; განვითარდება მიწათმოქმედება, რეწვა, ვაჭრობა. კანონი ყველას ერთნაირად დაიცავს;
19) რუსული მმართველობის შემოღება ქართლ-კახეთის მოსახლეობისთვის ჯილდო იქნება.

● *შეადარეთ ერთმანეთს გეორგიევსკის ტრაქტატი და ალექსანდრე I-ის მანიფესტი. იმსჯელეთ არსებით მსგავსებებსა და განსხვავებებზე.*

იმერეთის სამეფოს გაუქმება და ანექსია

ამიერკავკასიაში თავისი პოზიციის გასამყარებლად რუსეთის იმპერიას მხოლოდ ქართლ-კახეთის ანექსია არ ჰყოფნიდა და საჭიროდ მიიჩნევდა, დასავლეთ საქართველოც შემოეერთებინა.

წყარო 6 იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II (1789-1810)

გარდაიცვალა 1815 წლის 7 თებერვალს, ტრაპიზონში, სადაც დაკრძალეს წმ. გიორგის სახელობის ბერძნული ეკლესიის გალავანში. 1990 წლის შემოდგომაზე სოლომონ II-ის ნეშტი საქართველოში, გელათის ტაძარში გადმოასვენეს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ შერაცხილია წმინდანად.



XIX ს-ის დასაწყისისთვის იმერეთის სამეფოს მდგომარეობა საკმაოდ რთული იყო. გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები თითქმის სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ. სამეფოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო. სხვა მსგავს პრობლემებს იმერეთის სამეფოს ზოგიერთი გავლენიანი პირის პრორუსული ორიენტაციაც ემატებოდა.

1803 წელს სამეგრელოს მთავარმა, **გრიგოლ დადიანმა** რუსეთის ქვეშევრდომობის ფიცი დადო, რითაც თავისი სამთავრო იმპერიის სამხედრო *პლაცდარმად* აქცია. მალევე იგივე ნაბიჯი გადადგა გურიის მთავარმაც. იმერეთის სამეფო რუსულ გარემოცვაში აღმოჩნდა. იმერეთის მეფე იძულებული გახდა, თავადაც იგივე გაკეთებინა და 1804 წლის 25 აპრილს სოლომონ II-სა და *მთავარმართებელ* **პავლე ციციანოვს** შორის გაფორმდა **ელაზნაურის შეთანხმება** (სოფ. ვახანთან, ხარაგაულის მუნიციპ.), რომლითაც იმერეთის სამეფო რუსეთის მფლობელობაში შევიდა.

ამ მოვლენების პარალელურად იზრდებოდა რუსი ჯარისკაცების რაოდენობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იმერეთის სამეფოს ფაქტობრივ გამგებლად იქცა **პეტრე ლიტვინოვი**, რომელიც დასავლეთ საქართველოში იმავე საქმიანობით დაკავდა, რასაც რამდენიმე წლით ადრე ქართლ-კახეთში ლაზარევი და კოვალენსკი ეწეოდნენ.

პლაცდარმი – ტერიტორია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწყის პუნქტად საომარი მოქმედებისათვის ვისიმე წინააღმდეგ.
მთავარმართებელი – რუსეთის ადმინისტრაციული და სამხედრო მმართველობის უმაღლესი წარმომადგენელი კავკასიაში 1801-1844 და 1882-1904 წლებში.

წყარო 01 **სოლომონ II რუსთა ჯარის მოქმედების შესახებ იმერეთში:**

რუსის ჯარისკაცები ისე დგანან ჩემს სამეფოში, თითქოს საკუთარ სახლში არიან, სარგებლობენ ჩვენი მიცემული შეშით, სურსათით, ცხენებით, ურმებით, სასმელითა და საკვებით. ამის მიუხედავად, მადლობის სანაცვლოდ გვაგინებენ და შეურაცხყოფას აყენებენ სამეფოს თავადებსა და დიდგვაროვნებს.

● *წყარო 01-ზე დაყრდნობით, რა დასკვნის გამოტანა შეიძლება რუსეთის იმპერიის დამოკიდებულებაზე იმერეთის სამეფოსადმი?*



პავლე ციციანოვი (ციციშვილი) (1754-1806)

ქართული წარმომავლობის რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. კავკასიის მთავარმართებელი 1802-1806 წლებში.



ალექსანდრე ტორმასოვი

კავკასიის მთავარმართებელი 1809-1811 წლებში.

შექმნილი სიტუაციის გამო, 1805 წლის შემოდგომაზე სოლომონმა იმერეთი დატოვა და თავი სამცხეს შეაფარა. რუსული პოლიტიკის მთავარ მიზნად სოლომონისა და მისი ოჯახის შეპყრობა და რუსეთში გადასახლება იქცა. გარდა ამისა, იმპერიის ხელისუფლებას სურდა, ქართველ თავადაზნაურობასა და სამღვდელოებაში მეფის ორგულ პირთა ძლიერი დასი შექმნილიყო, რომელსაც უნდა დაერწმუნებინა იმერეთის მოსახლეობა, კერძოდ კი გლეხობა, რომ იმერეთის მეფის გადაგდებასა და რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობას მათთვის სასიკეთო შედეგები მოჰყვებოდა: ბეგარა-ვალდებულებების შემცირება, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მშვიდობიანობის დამყარება. 1809 წლიდან ამ საქმეს სათავეში ახალი მთავარმართებელი **ალექსანდრე ტორმასოვი** ჩაუდგა.

სოლომონთან მოლაპარაკებები უშედეგო გამოდგა. ის თავის პოზიციებს არ თმობდა და არ თანხმდებოდა ელაზნაურის შეთანხმების პირობების შესრულებას. 1810 წლის 10 თებერვალს იმერეთის სამეფოზე ყოველი მხრიდან შეტევა დაიწყო. იმერეთის მოსახლეობას ძალით აფიცებდნენ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე.

წყარო 0 „ფიცითი აღთქმის“ ტექსტი:

წმინდა სახარების წინაშე, ვფიცავ, ერთგულად ვემსახურო და დავემორჩილო იმას, ვინც იმპერატორის მიერ იქნება დანიშნული; არ დავზოგო ჩემი ცხოვრება, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე; სახელმწიფოსაგან მიღებული ყველა განკარგულება მივიღო მორჩილებით, ჩემს მამულში გავუფრთხილდე სიმშვიდესა და მყუდროებას, არ ვიქონიო არავითარი მიწერ-მოწერა, არც ცხადად და არც საიდუმლოდ, ამრევებთან...

საბოლოოდ, 1810 წლის 20 თებერვალს, ქუთაისის ეკლესიებში გამოქვეყნდა ალექსანდრე ტორმასოვის პროკლამაცია სოლომონ II-ის ტახტიდან გადაყენებისა და იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შესახებ. სოლომონი ერთი თვის განმავლობაში ახერხებდა წინააღმდეგობის გაწევას. მთავარმართებელმა ტორმასოვმა სოლომონი მოლაპარაკებისთვის მიიწვია, მაგრამ მიცემული ფიცი დაარღვია, მეფე შეიპყრო და თბილისში წაიყვანა, რათა რუსეთში გადაესახლებინათ. სოლომონი ტყვეობაში დიდხანს არ ყოფილა. თითქმის ერთთვიანი პატიმრობის შემდეგ, 10-11 მაისს მისმა მომხრეებმა მოახერხეს, გაეთავისუფლებინათ და ახალციხეში გაეპარებინათ.

ახალციხეში თავშეფარებული სოლომონი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას სამეფოს დასაბრუნებლად. იგი ფიქრობდა, რომ რუსეთის ირგვლივ შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობა ამისთვის ხელსაყრელი იქნებოდა – რუსეთთან ომს ჯერ კიდევ განაგრძობდნენ ოსმალეთი და ირანი, 1812 წლის ზაფხულში კი რუსეთის ტერიტორიაზე საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტი შეიჭრა.

წყარო 3 სოლომონ II-ის წერილი საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტს, 1811:

გვსურს, მოვახსენოთ თქვენს უდიდებულესობას, როგორც საქრისტიანოს უმაღლეს მეთაურს, რომ მოსკოვის იმპერატორმა უსამართლოდ და კანონის დარღვევით ჩამოგვართვა სამეფო. ამ იმპერატორს ამგვარი მოქმედების არავითარი უფლება არ გააჩნდა; ჩვენ წინააღმდეგობის გაწევის არავითარი საშუალება არ გვქონდა – არც იარაღით ხელში და არც კანონის ძალით არ შეგვეძლო, უზურპატორისგან დაგვეცვა სამეფო და ამ ორმხრივმა უძლურებამ შეიძლება ახსნას ჩვენი უმოქმედობა. მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ თქვენს იმპერატორობით უმაღლესობას მივმართოთ და შევატყობინოთ მოსკოვის იმპერატორის მიერ ჩადენილი დაუნდობელი მიტაცების აქტის შესახებ. ღვთის წყალობით, თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის ხელშია თავმოყრილი ძალაუფლება, სიძლიერე და დედამიწის ყველა სიუზერენზე მმართველობა... ნუთუ შესაძლებელია, რომ ჩვენი თხოვნა თქვენმა კანონიერმა მმართველობამ არ შეიწყალოს? როგორც მზისქვეშეთში მყოფი ერთ-ერთი მბრძანებელი, ჩვენ მხოლოდ თქვენს უდიდებულესობას ვცნობთ – როგორც მსოფლიოს მომრიგებელს, რომელიც ყოველ ღონეს მიმართავს, რათა დააკმაყოფილოს სუსტის ყველა სათხოვარი და დაიცვას იგი ძლიერისაგან.

ამ მომართვით მორჩილად მუხლს ვიდრეკ, დიდებულო და ძლიერო იმპერატორო და შეუდარებელო მბრძანებელო, თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე. გისურვებთ, რომ თქვენს დიდებულ ტიტულატურას აზიის იმპერატორობაც მიემატოს! რომ გამათავისუფლოთ, მილიონ ქრისტიანთან ერთად, მოსკოვის იმპერატორის უმოწყალო უღლისაგან. თქვენი მაღალი შუამდგომლობით და ყოვლისშემძლე ძლიერი მკლავით მიმიღეთ თქვენი მფარველობის ქვეშ...

- *წყაროს მიხედვით, გამოარკვიე, რას ითხოვს და რას ჰპირდება საფრანგეთის იმპერატორს იმერეთის მეფე? რამდენად რეალურია მისი თხოვნა და რა ინტერესი უნდა ჰქონოდა საფრანგეთს ამ მიმართულებით?*
- *რა დამოკიდებულება იკვეთება სოლომონის მხრიდან მიმართვაში „როგორც საქრისტიანოს უმაღლეს მეთაურს“?*

სოლომონის ყველანაირი ცდა წარუმატებელი გამოდგა და იგი ოსმალეთში გაიხიზნა, სადაც 1815 წელს, ტრაპიზონში გარდაიცვალა. იმერეთის სამეფომაც ქართლ-კახეთის ბედი გაიზიარა.

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების სრული ანექსიის შემდეგ ჯერი დასავლეთ საქართველოს დარჩენილ სამთავროებზე მიდგა, თუმცა მათ საბოლოოდ შემოერთებას რუსეთის იმპერია არ ჩქარობდა და სამთავროებისთვის თვითმმართველობის უფლების მოჩვენებითი შენარჩუნებით მათი ნდობისა და კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა.

წყარო ლ ნაწყვეტი მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვის (1809-1811) მოხსენებიდან იმპერატორ ალექსანდრე I-ისადმი (1810):

ამ საკმაოდ ვრცელი მხარის [დას. საქართველოს] გაყოფით ოთხ სამფლობელოდ, როგორც, მაგალითად, იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი, რომელთაგან სამ უკანასკნელს მართავენ განსაკუთრებული მფლობელები თავიანთი უფლებებით, კანონებითა და ქვეყნის ჩვეულებებით, ადვილი იქნება მისი შენარჩუნება... იმ ჯარების რაოდენობით, რომლებიც ახლა იქ იმყოფებიან; მით უფრო მაშინ, როცა საშუალება გვექნება, აუცილებელ შემთხვევებში, ერთი მთავრის ძალა მეორეს დავუპირისპიროთ.

1. გამართეთ კლასში დისკუსია: იყო თუ არა გიორგი XII-ის მოთხოვნები (წყარო *ბ*) საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი? მოცემული მაგალითის მიხედვით იმსჯელეთ, რამდენად შესაძლებელია, ქვეყანა დამოუკიდებელი იყოს, თუ ის ვერ წარმართავს ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკას? თქვენი პოზიციები არგუმენტებით დაასაბუთეთ. მოიყვანეთ მაგალითები მსოფლიო ისტორიიდან.
2. იმსჯელე ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებაზე რუსეთის იმპერიის პოლიტიკის მიმართ.
3. შეადარე ერთმანეთს რუსული პოლიტიკა ქართლ-კახეთსა და იმერეთში: რა ძირითადი განსხვავებები და მსგავსებები იკვეთება?
4. შეასრულე მოსწავლის რვეულის 8.1 სავარჯიშო ქართველი მეფეების რუსეთთან ურთიერთობების შესახებ.
5. შეასრულე მოსწავლის რვეულის 8.2 სავარჯიშო რუსეთის საიმპერატორო კართან ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის მოლაპარაკებების შესახებ.
6. შეასრულე მოსწავლის რვეულის 8.3 სავარჯიშო რუსეთის იმპერიის მიერ ძალაუფლების გამოვლენის ინსტრუმენტების შესახებ.

53 როგორ გააუქმა რუსეთმა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა?

შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოში მართლმადიდებლობა ქართველობასთან იყო გაიგივებული. XV ს-დან მოყოლებული, ქართველ ხელისუფალთა პრორუსული ორიენტაციის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ საერთო რელიგია იყო, რაც, მათი რწმენით, ქართველებს *იდენტობას* შეუნარჩუნებდა. თუმცა, ქართული სამეფოების ანექსიასთან ერთად, რუსეთის იმპერიამ ქართული ეკლესიის *ავტოკეფალიაც*, ანუ დამოუკიდებლობა გააუქმა, რითაც ქართულ იდენტობას დაემუქრა. ეს გაკვეთილი სწორედ ამ მოვლენაზე მოგითხრობს.

იდენტობა – (ლათ. idem, identidem – იგივე, განუწყვეტლივ) – პიროვნების, ხალხის თვითცნობიერება, წარმოდგენა საკუთარ მეზე, რომლის მეშვეობითაც იგი საკუთარ თავს გარკვეულ სახელმწიფოსთან, კულტურასთან, ეროვნებასთან და სხვ. აიგივებს.
ავტოკეფალია (ბერძნ. აუტო – თავად, კეფალე – თავი) – თვითმწყსობა, ეკლესიის დამოუკიდებლობა.

სახელმწიფო დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ ჯერი ეკლესიის დამოუკიდებელი მმართველობის გაუქმებაზე მიდგა, თუმცა ქართული ეკლესიის შეზღუდვა რუსეთის იმპერიამ ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების დროს სცადა, კერძოდ, ტრაქტატის მერვე მუხლის მიხედვით, საქართველოს ეკლესიის მეთაური რუსეთის მღვდელმთავრებს შორის მერვე ადგილს იკავებდა. ქართველი ელჩების პროტესტი პროტესტად დარჩა. გენერალმა პავლე პოტიომკინმა მათ უპასუხა, რომ, თუ ქართული სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შედიოდა, მის ეკლესიასაც იგივე ბედი უნდა გაეზიარებინა.

- *შენი აზრით, როგორ ხედავს პოტიომკინი ურთიერთობას რუსეთის სახელმწიფოსა და რუსეთის ეკლესიას შორის? რამდენად ემთხვევა ეს ხედვა იმ დამოკიდებულებას, რომელიც რუსეთის იმპერიულ ცენტრს აქვს თავისი კოლონიის – საქართველოს – ეკლესიის მიმართ?*

ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების დროს ქართულ ეკლესიას **ანტონ II** ედგა სათავეში. ამავე პერიოდისთვის დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული ეკლესიებიც ფორმალურად გაერთიანებული იყო.



ანტონ II (1762-1827), ვლადიმირ ბოროვიკოვსკი, 1811, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი, რუსეთი

აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ერეკლე II-ის ვაჟი. 2011 წლიდან შერაცხილია წმინდანად.

ცნობა 1 როგორ გაერთიანდა ქართული ეკლესია?

XVIII ს-ის ბოლომდე საქართველოში, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ორი დამოუკიდებელი ეკლესია არსებობდა – ქართლისა და აფხაზეთის (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოები. 1795 წელს **ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა**, რომელსაც სოლომონ II-მ კათალიკოსობა უბოძა, უარი განაცხადა ამ პატივზე იმ მიზნით, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოს დამორჩილდებოდა.

დოსითეოს ქუთათელი (გარდ. 1820)

ქართველი სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე, ქუთათელი მიტროპოლიტი 1781-1820 წლებში. დიდ მზრუნველობას იჩენდა ქუთაისის საეპისკოპოსო და საკათალიკოსო ეკლესიებისადმი. მხარს უჭერდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. ის იყო ერთ-ერთი იმ პირთაგან, რომელთაც 1789 წელს წინადადებით მიმართეს ერეკლე II-ს, გაეერთიანებინა და თავისი ძალაუფლებისათვის დაექვემდებარებინა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, რასაც ერეკლე II-მ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ უარით უპასუხა. 1819 წელს, დასავლეთ საქართველოს აჯანყების დროს (რომლის შესახებაც მომდევნო გაკვეთილიდან შეიტყობ), დოსითეოს ქუთათელი რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა, როგორც აჯანყების ერთ-ერთი მოთავე. იგი რუსეთში გადასახლებისას გზაში მოკლეს. დაკრძალულია ანანურში.

● *ცნობა 1-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით ივარაუდე, შეუწყობდა თუ არა ხელს ქართლისა და აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება ქვეყნის გაერთიანებას? პასუხი დაასაბუთე.*

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა უწმინდესი ***სინოდის ობერ-პროკურორსა*** და საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვს დაავალა, რომ დაეწყოთ მუშაობა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის სასწრაფოდ, თუმცა უმტკივნეულოდ შეცვლისთვის. იმპერიული ცენტრი საქართველოს რუსეთთან ინტეგრაციისთვის დამაბრკოლებელ ფაქტორად მიიჩნევდა ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთი და იგივე მრწამსის ორი დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თვითმმართველობა თავად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასაც კი წართმეული ჰქონდა – ჯერ კიდევ პეტრე I-ის რეფორმების შედეგად გაუქმდა პატრიარქის ინსტიტუტი და უწმინდესი სინოდი ერთ-ერთ სამთავრობო კოლეგიად გამოცხადდა, რომელსაც სათავეში საერო მოხელე – ობერპროკურორი ედგა.

ობერპროკურორი – რუსეთის საერო ხელისუფლების მიერ დანიშნული პირი, რომელიც აკონტროლებდა *სინოდის* საქმიანობას.

ვიდრე თბილისის სიონის ტაძარში ალექსანდრე I-ის მანიფესტს წაიკითხავდნენ, გენერალმა კარლ კნორინგმა ანტონ II-ს მოსთხოვა, მიეწოდებინა მისთვის ინფორმაცია სხვადასხვა საკითხზე, მაგალითად:

- რამდენი საეპისკოპოსოა საქართველოში? ვინ არიან მათი ხელმძღვანელები და როგორია მათი დამოკიდებულება იმპერატორის ხელისუფლებისადმი?
- რამდენი მონასტერი და ეკლესიაა თითოეულ საეპისკოპოსოში? საიდან და რა სახით იღებენ ისინი საარსებო შემოსავალს?
- მოსახლეობის არჩევით ენიჭება პირს სასულიერო წოდება თუ სასულიერო ხელმძღვანელობის მიერ?
- არის თუ არა სამღვდელოებისათვის საეპისკოპოსოებში სასწავლებლები და თუ არის, სად? რას ასწავლიან და რა სახსრებით არსებობენ?
- ზემოხსენებულის გარდა, ქართველი სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის კიდევ რაიმეს გარკვევა ხომ არ არის აუცილებელი?



წყარო ა სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, VI-VII სს., თბილისი, XIX ს-ის მიწურულის ფოტო

● *შენი აზრით, რატომ ინტერესდება რუსეთის ხელისუფლება სასწავლებლების არსებობით?*

როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთის ხელისუფლება ქართული ეკლესიის ფინანსური წყაროებითა და შესაძლებლობებით აქტიურად ინტერესდებოდა. გარდა ამისა, მთავარმართებელთა უმთავრესი ამოცანა იყო კათალიკოს ანტონის დამოუკიდებელი პოლიტიკის (მაგალითად, პიროვნებებისთვის ვაკანტური წოდებების მინიჭების) შეზღუდვა.

ანტონ II ერთხანს პასუხის გაცემას აყოვნებდა, თუმცა შემდეგ იძულებული გახდა, მაინც შეეტყობინებინა კნორინგისთვის მოთხოვნილი ინფორმაცია.

კათალიკოს-პატრიარქის უფლებებში ჩარევას საფუძველი პავლე ციციანოვის მთავარმართებლობის დროს ჩაეყარა. ანტონ II-ს აეკრძალა ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსების დასმა. ისე მოაწყვეს, რომ, როდესაც ეპარქიის წინამძღვარი გარდაიცვლებოდა, ის ეპარქია ავტომატურად უერთდებოდა სხვა ეპარქიას, რაც ეპარქიების რაოდენობის შემცირებას იწვევდა.

მთავარმართებელ ივანე გუდოვიჩის მმართველობის დროს (1806-1809) დაიწყო **საეკლესიო მიწების *ნაციონალიზაციის*** პროცესი. ესეც მორიგი ნაბიჯი იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების გზაზე, ვინაიდან ის ეკლესიას მატერიალურად ასუსტებდა და მას სახელმწიფოზე დამოკიდებულს ხდიდა.

მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვის მმართველობისას აქტიურად დაიწყო საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია, კათალიკოსის უფლებების შეულახავად. შექმნილმა ვითარებამ ანტონ II იძულებული გახადა, დასთანხმებოდა ტორმასოვის გარკვეულ მოთხოვნებს იმის იმედით, რომ ამით ეკლესიის დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა.

საიმპერატორო კარი ხედავდა, რომ ანტონ II ყველანაირად ცდილობდა, გაეჭიანურებინა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება. ამიტომ გადაწყვიტეს, იგი საქართველოდან გაეწვიათ. 1809 წლის 2 ნოემბერს ობერპროკურორი ალექსანდრე გოლიცინი მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ, იმპერატორის გადაწყვეტილებით, კათალიკოს-პატრიარქი პეტერბურგში უნდა წასულიყო საეკლესიო ცვლილებების განსახილველად. ყველამ იცოდა, რომ ეს გადასახლებას ნიშნავდა და ანტონს უკან არავინ დააბრუნებდა. ამას კათალიკოს-პატრიარქიც ხვდებოდა და ავადმყოფობის მომიზეზებით თავაზიან უარს ამბობდა გამგზავრებაზე.

ნაციონალიზაცია – მიწისა და ნაციონალური მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილის კერძო საკუთრებიდან სახელმწიფო მფლობელობაში გადაცემის პოლიტიკა და პრაქტიკა.

სინოდი – უმაღლეს სასულიერო პირთა კრება, ეკლესიის უმაღლესი მმართველი ორგანო.

რუსეთის ხელისუფლება მოთმინებით შეხვდა ანტონ II-ის პასუხს და მის „გამოჯანმრთელებას“ დაელოდა. 1810 წლის ზაფხულში კათალიკოს-პატრიარქს მოთხოვნა გაუმეორეს. იგი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო.

წყარო ბ **ალექსანდრე ტორმასოვის წერილი ანტონ II-ს (1810 წლის 12 ივლისი):**

ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი რჩევა, პეტერბურგში თქვენი გამგზავრების შესახებ, მიიღეთ, როგორც იძულება. მე არ მქონდა არავითარი სხვა აზრი, გარდა იმპერატორის ნების აღსრულებისა. იმპერატორს რა მიზეზითაც სურს თქვენი ჩასვლა პეტერბურგში, თქვენთვის ცნობილია. იგი ემყარება თქვენსავე წინადადებას – საქართველოში სასულიერო *დიკასტერიის* დაფუძნებას, რათა მოწესრიგდეს სასულიერო საქმეები. საჭიროა, ეს ყველაფერი მალე გადაწყდეს. მივიღე თქვენი წერილი, რომლითაც მატყობინებდით, რომ ჯანმრთელობა ხელს არ გიწყობდათ გამგზავრებაში. გავეცი განკარგულება და იმპერატორს შევატყობინე ყოველივე. რაკი თქვენი გამგზავრება აგვისტოს ბოლომდე გადადეთ, საჭიროდ მივიჩნიე, გულწრფელად მერჩია, დაგეჩქარებინათ იმპერატორის ნების აღსრულება, რადგან ეს სასარგებლო იქნებოდა თქვენთვის. დავეჭვდი, თქვენ ხომ ჩრდილოეთისკენ მიდიხართ, სადაც სიცხეები არ არის და მგზავრობაც ნაკლებად სახიფათოა, თუმცა გამგზავრების დრო თქვენზეა დამოკიდებული. მე კი უმორჩილესად გთხოვთ, არ მიიღოთ ჩემი რჩევები თქვენი თავისუფლების შეზღუდვად. ამის განზრახვა არ მქონია და ამის მიზეზი არც თქვენ მოგიციათ.

ყოველმხრივ შევიწროებული კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II 1810 წლის 10 აგვისტოს რუსეთისკენ დაიძრა, თუმცა გზაში გადაიფიქრა და დუშეთიდან თბილისში მიბრუნდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ მიხვდა, რომ წაუსვლელობა ქართული ეკლესიის მდგომარეობაზე ცუდად აისახებოდა და 1810 წლის 3 ნოემბერს საბოლოოდ გაემგზავრა რუსეთში.

1811 წლის 20 მარტს ანტონ II დიდი პატივით მიიღეს პეტერბურგში. იგი *ანდრია პირველწოდებულის ორდენითა* და მწვანე ხავერდის მანტიით დააჯილდოვეს, აირჩიეს უწმინდესი სინოდის წევრად და დაუნიშნეს ყოველწლიური პენსია 54 ათასი მანეთი. იმპერატორი მას ჰპირდებოდა: „საღმრთო მსახურების დროს თქვენ გექნებათ ყველა სასულიერო უპირატესობა, რომლებიც აქამდე გქონდათ, ხოლო სადაც, საეკლესიო განაწესის თანახმად, საჭირო იქნება, თქვენ უნეტარესად მოგიხსენიებენ მღვდელმთავართა შორის.“

შენიშვნა: წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენი *– პირველი რუსული ორდენი, უმაღლესი ჯილდო რუსეთის სამეფოსა და იმპერიაში.*

- *შენი აზრით, რა იყო მიზეზი ანტონ II-ის ასეთი პატივით მიღებისა და მის მიმართ ამგვარი გულუხვობის გამოჩენისა?*

ანტონის საქართველოდან გაწვევის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება თავისი პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა და ეკლესიის რეფორმირება დაიწყო. ამ საქმეს *ეგზარქოსი* **ვარლამ ერისთავი** ჩაუდგა სათავეში, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას ასეთ თანამდებობაზე უფრო აქტიური და ხისტი პოლიტიკის წარმმართველი პიროვნება სჭირდებოდა, რის გამოც ის მალევე **თეოფილაქტე რუსანოვით** შეცვალეს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლურ-ქართული ეკლესია ნომინალურად დამოუკიდებელი არ იყო, თეოფილაქტე რუსანოვი იქ დიდ წინააღმდეგობას შეხვდა და ჯარის თანხლებით გადასვლა მოუწია.

ეგზარქოსი – აქ: ეკლესიის მმართველი. საქართველოში ეგზარქოსობა 1811-1917 წლებში არსებობდა.

კოლონიალიზმი (კოლონიური პოლიტიკა) – სუსტად განვითარებული ქვეყნების ჩაგვრისა და იმპერიალისტური ქვეყნისადმი მათი დამორჩილების პოლიტიკა.



ვარლამ ერისთავი (1763-1830)

ერისკაცობაში ბიძინა ერისთავი. საქართველოს პირველი ეგზარქოსი 1811-1817 წლებში. სწორედ მან შეადგინა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, რომლითაც ის რუსეთის წმინდა სინოდს უნდა დაქვემდებარებოდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც შეცვალეს თეოფილაქტე რუსანოვით.



თეოფილაქტე რუსანოვი (1765-1821)

საქართველოს ეგზარქოსი 1817-1821 წლებში. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის აქტიური აღმსრულებელი საქართველოში. მის დროს გაიხსნა მრავალი სასულიერო სასწავლებელი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და სასულიერო სემინარია – თბილისში.

ქართულ ეკლესიას რუსეთის ხელისუფლებამ მთელი ქონება ჩამოართვა: მამულები, სახლები, საეკლესიო გლეხები, აზნაურები. XIX ს-ის 50-იან წლებში რუსეთის სახელმწიფო ხაზინას ქართული ეკლესიის 150 მილიონ მანეთად შეფასებული ქონება გადაეცა.

დაარსდა საქართველოს საეგზარქოსო, რომელიც 5 ეპარქიად დაიყო: საქართველოს, ვლადიკავკაზის, იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის.

დიკასტერია (ბერძნ.) – საეკლესიო მმართველობის ორგანო, რომელიც სასამართლოს ფუნქციებს ასრულებდა.

შეიქმნა *დიკასტერია*, რომელშიც რუსეთის ერთგული ქართველი სასულიერო პირები შევიდნენ. სამწლიანი არსებობის შემდეგ მის ნაცვლად შეიქმნა „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“, რომლის თავმჯდომარედაც ეგზარქოსი მიიჩნეოდა.

რუსეთის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასულიერო სასწავლებლის დაარსებასაც, სადაც სწავლება, ცხადია, რუსულ ენაზე წარიმართებოდა.

დაიწყო ქართული ენის გამოდევნა ეკლესიიდან. თავდაპირველად საეკლესიო დღესასწაულებსა და უქმეებზე, ხოლო შემდეგ ჩვეულებრივ დღეებშიც დიდ ქალაქებში ღვთისმსახურება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ასევე, ეკლესიებში არა ქართულად, არამედ რუსულად უნდა ეგალობათ. ამის გამო რუსულის არმცოდნე ქართველი სამღვდელოება უმუშევარი დარჩა, ამასთან, დავიწყებას ეძლეოდა ქართული ენაც.

სწორედ ამ რეფორმებმა განაპირობა 1819-1820 წლების აჯანყება დასავლეთ საქართველოში, რომლის შესახებაც უფრო დაწვრილებით მომდევნო გაკვეთილებიდან შეიტყობ.

- *რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიისთვის ქართული ენის განდევნას ეკლესიიდან?*

წყარო გ **რუსი ისტორიკოსი ნიკოლაი დურნოვო (1876-1936) ეგზარქოსების შესახებ წერდა:**

თუ რომელიმე ქართველი ავტორი გადაწყვეტს რუსი ეგზარქოსების უზურპატორულ ქმედებებზე ნამდვილი ისტორიის დაწერას, გაწითლება მოგვიხდებოდა, იმდენად არცხვენენ ისინი რუს სამღვდელოებას. რუსი ეგზარქოსები საქართველოში იმიტომ იმყოფებოდნენ, რომ მათზე მინდობილი ეკლესიის სამწყსო ეძარცვათ და უძველესი ივერიის საეკლესიო ქონება გაეჩანაგებინათ, დაეთრგუნათ მისი მოსახლეობის ენა და შემდეგ ნაძარცვი ქონებითა და ფულით რუსეთში დაბრუნებულიყვნენ.

წყარო დ **საქართველოს საეგზარქოსოს შესახებ, წიგნიდან „რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში“, 2021**

საქართველოს საეგზარქოსომ 106 წელიწადს იარსება და 18 ეგზარქოსი გამოიცვალა. მათ საერო ხელისუფალი – იმპერატორი ნიშნავდა და, ცხადია, ისინი, იმპერიის სამსახურში იდგნენ. საქართველოს ეგზარქოსები, პირველის გამოკლებით, რუსები იყვნენ. მათ შორის ქართული ენის შესწავლის სურვილი მხოლოდ რამდენიმეს გაუჩნდა და შეისწავლა კიდეც. უმეტესობა ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციულ გარემოს ზევიდან დაჰყურებდა, რის საფუძველზეც არაერთი კონფლიქტი წარმოიქმნა

1. დაწერეთ თემა „ეკლესიის როლი საქართველოს ერთიანობის საქმეში“.
რესურსი: დოკუმენტური ფილმი „ავტოკეფალია“

https://youtu.be/tO_RUoVLFTw

2. იმსჯელეთ კლასში: რატომ აქცევდა დიდ ყურადღებას რუსეთის ხელისუფლება სასულიერო სასწავლებლის დაარსებას?

54/55 როგორ შეხვდნენ ქართველები რუსეთის მიერ ქართული სამეფოების ანექსიას?

ქართლ-კახეთსა და იმერეთში სახელმწიფოებრიობის გაუქმებასა და რუსეთის იმპერიის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებას დიდი უკმაყოფილებით შეხვდა ქართველი საზოგადოების ყველა სოციალური ფენა. XIX ს-ის 30-იან წლებამდე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიარაღებული გამოსვლები ხდებოდა. ამ გაკვეთილში ქართველი ხალხის წინააღმდეგობის მოძრაობაზე ვისაუბრებთ.

რუსეთის იმპერიის მიერ სახელმწიფოებრიობის გაუქმება ქართველი საზოგადოების ყველა ფენას განსხვავებულად შეეხო:

- **სამეფო ოჯახის წარმომადგენლები** – ბაგრატიონები ვერ ეგუებოდნენ პრივილეგიების დაკარგვას. მათ ისე არ ეპყრობოდნენ, როგორც სამეფო საგვარეულოს და რუსეთში გადასახლებას უპირებდნენ;
- **თავადაზნაურობის** წარმომადგენლებმა ის თანამდებობები დაკარგეს, რაც ბაგრატიონთა სამეფო კარზე ეკავათ. ეს წოდება მიჩვეული იყო უზრუნველ შემოსავალს, თავის სათავადოში „მეფობას“ და ყმა-გლეხებზე ბატონობას. ახლა კი თითქმის ყველა მაღალ თანამდებობას რუსი მოხელეები იკავებდნენ;
- **სამღვდელოებამ** დაკარგა ეკლესიის ავტოკეფალია და ახლა ისე იმართებოდა, როგორც რუსეთის ეკლესიის რიგითი ეპარქია. იხურებოდა ქართული საეპისკოპოსო ცენტრები, წირვა-ლოცვა რუსულად მიმდინარეობდა. ქართული ეკლესიის ქონების უდიდესი ნაწილი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ქონებად გამოცხადდა;
- **თბილისელი ვაჭრების** დიდი ნაწილი მხარს უჭერდა რუსეთის ბატონობის დამყარებას საქართველოში. ისინი ფიქრობდნენ, რომ ძლიერი ხელისუფლება უკეთ დაიცავდა მათ ინტერესებს და, ამასთან, ვაჭრობისთვის გაცილებით ფართო ასპარეზი გაეხსნებოდათ.
- **გლეხები**, რომლებიც თავდაპირველად რუსულ ჯარს, როგორც მხსნელს, ისე უყურებდნენ, იმედგაცრუებულნი აღმოჩნდნენ – სწორედ მათ დაეკისრათ მრავალრიცხოვანი არმიის შენახვა და სურსათ-სანოვაგით მომარაგება. გლეხობის მდგომარეობა განსაკუთრებით დაამძიმა რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებმა.

● *იმსჯელეთ კლასში: ყველა ფენა მხოლოდ ქვეყნის გათავისუფლებისთვის იბრძოდა თუ მათ პირადი მოტივებიც ამოძრავებდათ? პასუხი დაასაბუთეთ.*

ქართლ-კახეთის ანექსიით პირველი უკმაყოფილება 1802 წლის 12 აპრილს გაისმა – ეს მოხდა იმ მანიფესტის შინაარსის გაცნობისთანავე, რომელიც მანამდე საიდუმლოდ იყო დაცული და რომლის შესახებაც წინა გაკვეთილიდან შეიტყვე (1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორის მიერ ხელმოწერილი მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ). თავადაზნაურობის ნაწილმა უარი თქვა ფიცზე, ალყა გაარღვია და თბილისი დატოვა. თითქმის ყველა ბატონიშვილმა და თავადიშვილმა დარაზმვა დაიწყო.

სამეფო საგვარეულოსა და თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა რუსული ხელისუფლებით უკმაყოფილო ძალების თავმოყრა შეძლეს. აჯანყების მეთაურებს სოლომონ II-ის დახმარების იმედიც ჰქონდათ. იმედოვნებდნენ, აგრეთვე, რომ დახმარებას მიიღებდნენ **ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილისგანაც**, რომელიც მუდმივად ცდილობდა ანტირუსული ძალების *კონსოლიდაციას* ახლოაღმოსავლურ მუსლიმურ სამყაროში.



ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844)

ერეკლე II-ის ვაჟი. ქართლ-კახეთის ანექსიის შემდეგ სპარსეთშია და იქიდან ცდილობს ტახტის დაკავებასა და რუსულ იმპერიალიზმთან ბრძოლას.

კონსოლიდაცია (ლათ.) – გაერთიანება.

წყარო ა **სოფელ *ქელმენჩურში* შეკრებილმა თავადაზნაურობამ და სამეფო დინასტიის წარმომადგენლებმა იმპერატორ ალექსანდრე I-ს მიმართეს:**

ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ! როდესაც თქვენს უდიდებულესობას ერთგულების ფიცს ვაძლევდით, წაგვიკითხეს უმაღლესად ბოძებული მანიფესტი, რომელშიც ნათქვამი იყო, ვითომ ჩვენ უმაღლესი კარის წინაშე ვშუამდგომლობდით, რომ ჩვენი მეფე არ გვესაჭიროება და რომ თქვენი უდიდებულესობის ქვეშევრდომობა უმეფოდ გვწადდა. ეს ჩვენი მხრივ *ფრანგული ხასიათის რესპუბლიკანობა* იქნებოდა! ჩვენს მეფეებს ჩვენ წინაშე არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვით... ბევრი მათგანი ქრისტეს სჯულსა და სამშობლოს მსხვერპლად შეეწირა და ჩვენც მათთან ერთად ვღვრიდით სისხლს. ასე რომ, მეფეებს ჩვენ არ უარვყოფთ, ეს მატყუარებმა მოგვიგონეს. ჩვენი სურვილი და თხოვნა ერთადერთია, რომ დაცული იყოს ანდერძი მეფე ერეკლესი, მოგვეცეს მეფე, რომელთან ერთად თქვენი დიდებულების ქვეშევრდომებად დავრჩებით.

შენიშვნები: სოფ. ქელმენჩური *– დღეს სოფ. მაღარო (სიღნაღის მუნიციპ.).*

ფრანგული ხასიათის რესპუბლიკანობა (იგივეა, რაც რესპუბლიკელობა) *– 1789 წლის რევოლუციის შედეგად მონარქია დაემხო და საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.*

- *რა სურდათ ქელმენჩურში შეკრებილთ იმპერატორისგან? რისთვის იბრძოდნენ ისინი?*
- *შენი აზრით, რატომ არის მიუღებელი თავადაზნაურობისთვის საფრანგეთის რევოლუციისა და რესპუბლიკის მაგალითი? რაზე უნდა მიუთითებდეს ეს ფაქტი?*

სამზადისის მიუხედავად, წინააღმდეგობის ჯარის თავმოყრა ვერ მოხერხდა. ლოკალური გამოსვლები რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მარტივად ჩაახშო, ვინაიდან მათში მოსახლეობა მასობრივად არ მონაწილეობდა. ამასთან, შეთქმულებს კახეთის ყველა ფეოდალი როდი მიემხრო, უფრო მეტიც – დიდგვაროვანთა შორის მათ მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ იმ ქართველთა სახით, ვინც რუსეთის იმპერიის სამსახურში იყო შესული. ამ შეთქმულებით რუსეთის ხელისუფლებამ დაინახა, რომ საქართველო ახალ რეჟიმს ვერ ეგუებოდა. რუსეთის ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო საქართველოს ტერიტორიიდან ბაგრატიონთა გაყვანა და რუსეთის ცენტრში მათი გადასახლება. ასეთ ვითარებაში სამეფო საგვარეულო და მათი ერთგული თავადაზნაურობა ფართო ბრძოლას ვერ წამოიწყებდნენ, ამისთვის ფართო სახალხო მხარდაჭერა იქნებოდა საჭირო.

მიუხედავად შეთქმულების წარუმატებლობისა, რუსეთის ხელისუფლებას მაინც მოუწია დათმობაზე წასვლა: სამსახურიდან დაითხოვეს და უკან გაიწვიეს ათეულობით უხეში და თავგასული რუსი მოხელე.

გლეხობის ჩართვა ქვეყნის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში

როგორც წინა გაკვეთილიდან შეიტყვე, გლეხობა და ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი იმედიანად შეხვდა რუსული ჯარის შემოსვლას. ისინი ელოდნენ, რომ ამით ქვეყანაში მშვიდობა დამყარდებოდა, შეწყდებოდა მეზობელი ქვეყნების შემოსევები, ლეკთა თარეში და ქვეყანაში უწყვეტი საომარი ვითარება დასრულდებოდა. თუმცა მათ იმედები გაუცრუვდათ.

სამხრეთ კავკასია რუსეთის იმპერიისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო, ის სწორედ აქედან ახორციელებდა სპარსეთსა და ოსმალეთზე შეტევებს. 1804 წელს რუსეთის იმპერიას ომი გამოუცხადა სპარსეთმა, ხოლო 1806 წელს ომი ოსმალეთთან დაიწყო. ამიერკავკასიაში უფრო მეტი ჯარის შემოყვანა გახდა საჭირო. რეგულარული არმიის განუწყვეტელი მოძრაობის გამო გზა დიდ მომსახურებას მოითხოვდა (მშენებლობა, ხიდების შეკეთება, ზვავებისგან გაწმენდა), ამ მძიმე სამუშაოზე კი არაგვის ხეობის მოსახლეობას იყენებდნენ. ამასთან, მათვე უნდა გამოეკვებათ და შეენახათ რუსული არმია. ზამთრის განმავლობაში ქალებიც კი გაჰყავდათ სამუშაოდ. ზვავების გამო ხშირი იყო მსხვერპლიც. გარდა ამისა, რუსი მოხელეები სამუშაოზე გასულებს მათრახებით სცემდნენ, რასაც 23 კაცი ემსხვერპლა. ის, ვინც არ დაემორჩილებოდა რუსების მოთხოვნებს, სასტიკი სასჯელის მსხვერპლი ხდებოდა. ამ ყველაფერს ემატებოდა რუსი მოხელეებისა და სამხედროების გაუკითხავი თვითნებობა და უსამართლობა.

წყარო ბ **საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთები XIX ს-ის მეორე ნახევარში**

1. დარიალის ხეობა სოფ. ცდოსთან, გზის ქვემოთ ჩანს რუსულ ენაზე შესრულებული წარწერები: „კლდე ‘ღმერთო, მშვიდობით გაგვატარე’“ და „საქართველოს სამხედრო გზა“; 2. კულაგინის ხიდი; 3. დარიალის ციხე და რუსული ფორტი; 4. სამხედრო გზა ანანურში; 5. საქართველოს სამხედრო გზის მშენებლები სტეფანწმინდაში.


1


2


3


4


5

წყარო გ **არაგვისპირელ გლეხთა საჩივარში ნათქვამია:**

... თუ ადრე ღმერთს შევთხოვდით რუსთა მოსვლას ჩვენს ქვეყანაში, ახლა სიკვდილს ვნატრობთ, რადგან ამ ტანჯვასა და მათრახით სიკვდილს, ჩვენი ცოლების უწესო საქმით დანახვას ის გვირჩევნია, ასე დავიხოცოთ.

- *ცნობის, წყაროებისა და ტექსტის მიხედვით ჩამოაყალიბე – რატომ და როგორ შეიცვალა მოსახლეობის მოლოდინები და დამოკიდებულება რუსეთისადმი.*

წყარო დ **რუსი ისტორიკოსი ნიკოლოზ დუბროვინი (1837-1904) თავის 1867 წელს გამოცემულ წიგნში წერს საქართველოში რუსული ჯარის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებების შესახებ:**

რაკი გლეხთა სახლებში პურს ვერ პოულობდნენ, ჯარისკაცები ანგარიშმიუცემლად ჟლეტდნენ პირუტყვსა თუ ფრინველს; განუზომლად ღვრიდნენ მიწაზე ღვინოს, რასაც ველარ სვამდნენ; ანადგურებდნენ ბაღ-ბოსტნებს. ჯარისკაცთა და ოფიცერთა ბოროტმოქმედება გლეხთა ქონების განადგურებით როდი ამოიწურებოდა, ისინი ქალებს აუპატიურებდნენ თავიანთი ქმრების თვალწინ.

- *წყაროებისა და ტექსტის მიხედვით იმსჯელე და გამოთქვი ვარაუდი, რა უნდა ყოფილიყო 1804 წლის მთიანეთის აჯანყების მიზეზები?*

1804 წლის მაისში, როდესაც მთავარმართებელი **პავლე ციციანოვი (ციციშვილი)** ერევნის სახანოზე სალაშქროდ გაემგზავრა, მთიულეთში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულთა რიცხვი 4 ათასს აღწევდა. მათ შეუერთდა **ფარნაოზ ბატონიშვილიც**, რომლის ჩართვამ განაახლა აჯანყებულების ძალები. წინააღმდეგობა ოქტომბრამდე გაგრძელდა. პირველ ეტაპზე აჯანყებულებს რუსეთის მხარეზე მებრძოლი თავადაზნაურობა უწევდა წინააღმდეგობას, თუმცა იმპერიას დამატებითი ჯარის ჩართვა მაინც დასჭირდა. ამის გამო ციციანოვმა ალყა მოხსნა ერევანს და მთიულეთში გამოემართა. ოქტომბრის ბოლოს აჯანყება სრულად ჩაახშვეს.

1812 წლის კახეთის აჯანყება

კახეთის აჯანყებაც იმ სისასტიკეს მოჰყვა, რომელსაც რუსი ჯარისკაცები მოსახლეობისადმი იჩენდნენ. ხანგრძლივ ომებს 1811 წელს მოუსავლიანობა და შავი ჭირი დაერთო, რამაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლა.

წყარო ე **ამონარიდი კახელი გლეხების საჩივრის წერილიდან:**

სადაც კი ლაშქრობდა ხელმწიფის ჯარი, იქ ჩვენ სურსათი უნდა მიგვეტანა... როცა ურმების გადასაყვანად გაჩნდებოდნენ *სალდათები*, საკმარისი იყო, ორი საათი დაგვგვიანებოდა ხარების შებმა, რომ დედაკაცები გამოერეკათ და შეებათ ურემში. ორმოცი ურმის მაგიერ ბარგი-ბარხანას დაუდებდნენ ოც ურემზე; რადგან საქონელი უზომოდ დადებულ ურემს ვერ ერეოდა, მოგვცვივდებოდნენ გაბრაზებული სალდათები და გვცემდნენ. ერთი კვირის მაგიერ თვეობით ვეყარეთ *ბეგარაზე*. ან ავდარი, ან თოვლი მოგვისწრებდა, საქონელი გვეხოცებოდა და შინ ცარიელ-ტარიელი ვბრუნდებოდით...

შენიშვნები: სალდათი (რუს.) *– ჯარისკაცი.*

ბეგარა *– ვალდებულება, უსასყიდლოდ ემსახურო ვინმეს. აქ: სამხედრო ბეგარა, რომლითაც, მოსახლეობას რუსული არმიის მომსახურება ევალებოდა.*

- *ისაუბრე კახეთის აჯანყების მიზეზებზე. ერთმანეთს შეადარე 1804 და 1812 წლის აჯანყებები.*

1812 წლის იანვარ-თებერვლის აჯანყებამ მალევე მოიცვა მთელი კახეთი და თავდაპირველად დიდ წარმატებასაც მიაღწია. მას თავადაზნაურობის დიდი ნაწილი მიემხრო. ისინი მეფედ **გრიგოლ იოანეს ძე ბატონიშვილის** გამოცხადებას ფიქრობდნენ, რაც შეძლეს კიდეც, თუმცა მალევე, მარტში, ჩუმლაყთან (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) ბრძოლის დროს გრიგოლ ბატონიშვილი მთავარმართებელ პაულუჩისთან ბრძოლაში დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა.

- *შენი აზრით, რაზე უნდა მიანიშნებდეს ის ფაქტი, რომ აჯანყებულები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბატონიშვილის მეფედ გამოცხადებას?*

1812 წლის ივნისში რუსეთის იმპერიაზე **ნაპოლეონის** თავდასხმამ ქართველთა შესუსტებულ აჯანყებას ახალი ძალა შემატა. ამან გააააქტიურა ირანში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილიც, რომელსაც ქართლ-კახეთის მოსახლეობა დიდ პატივს სცემდა. მის წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთის სამსახურში მყოფ გენერალ დიმიტრი ორბელიანს დაევალა და მის შესაპყრობად სოლიდური ჯილდოც დაწესდა.



ფილიპ პაულუჩი (1779-1849)

საქართველოს მთავარმართებელი 1811-1812 წლებში. აჯანყებულებთან მოლაპარაკებებისა და რიგი ლიბერალური დაპირების გამო 1812 წლის აპრილში თანამდებობიდან მოხსნეს.

- *შენი აზრით, რატომ იყო რუსული ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი ალექსანდრე ბატონიშვილის შეპყრობა?*

ბრძოლები 1813 წლამდე გაგრძელდა და რუსული არმიის გამარჯვებით დასრულდა. აჯანყების მონაწილეები და მათთან დაკავშირებული პირები მკაცრად დასაჯეს. სასამართლოს წინაშე 62 კაცი წარდგა, მათგან 4 მღვდელი და 2 ქალი იყო. 29 კაცს ციმბირის სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, 31 კაცს – საქართველოს ფარგლებს გარეთ ჯარისკაცად მსახურობა. აჯანყების მონაწილე ორი ქალი – **ეკატერინე ჩოლოყაშვილი** და **გულქან ნათალიშვილი** – სამუდამოდ გაამწესეს მონაზვნებად კურსკის გუბერნიაში. კახეთში გაგზავნილი სადამსჯელო ექსპედიციების უფროსებს უფლება მისცეს, სასამართლოს გარეშე ჩამოეხრჩოთ აჯანყების მონაწილე გლეხები. ამას გარდა, გლეხობას დაეკისრა დიდი რაოდენობით პურისა და ფულის გადახდა, ხელისუფლებისთვის მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ.

- *რით განსხვავდებოდა 1812 წლის კახეთის აჯანყება მანამდე მომხდარი აჯანყებებისგან?*
- *რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დასჯილები თითქმის ყველა სოციალური ფენიდან იყვნენ?*

1819-1820 წლების აჯანყება დასავლეთ საქართველოში

ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში უფრო მძიმე იყო, ვიდრე აღმოსავლეთში. ერთი მხრივ, ამას მცირემიწიანობა, მეორე მხრივ კი თავადაზნაურთა სიმრავლე განაპირობებდა. ამ მდგომარეობას ამძიმებდა რუსეთ-ოსმალეთის მიმდინარე ომი და 1811 წელს დაწყებული შავი ჭირის ეპიდემია.

1819 წელს დაწყებული შეიარაღებული გამოსვლის საბაბად რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება იქცა, კერძოდ: საეკლესიო გლეხები სახაზინო, ანუ სახელმწიფო გლეხები უნდა გამხდარიყვნენ, რის გამოც მათზე შეწერილი გადასახადი იმატებდა.

- *შენი აზრით, რატომ უნდა გამხდარიყო მსგავსი ცვლილება მოსახლეობისთვის აჯანყების ერთ-ერთი საბაბი?*

გამოსვლამ ანტირუსული ხასიათი მიიღო და მიზნად სოლომონ I-ის შვილიშვილის, ივანე აბაშიძის გამეფება დაისახა. რუსული ხელისუფლება დათმობაზე წავიდა. ეგზარქოსი თეოფილაქტე თბილისში გაიწვიეს. აჯანყება მინელდა, თუმცა როდესაც მოსახლეობას ხელახლა მოსთხოვეს იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება, წინააღმდეგობამ ძალა კვლავ მოიკრიბა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. ამის მიუხედავად, 1820 წლის შემოდგომაზე რუსეთის მთავრობამ მთელ დასავლეთ საქართველოში მოახერხა აჯანყების ლიკვიდაცია. უსასტიკესად გაუსწორდნენ სოფლებს. რუსეთში გადაასახლეს აჯანყების მრავალი მონაწილე, ნაწილი კი ოსმალეთში გაიხიზნა.

> **წყარო 3** **ნაწყვეტი კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ ალექსეი ერმოლოვის (1816-1827) ანგარიშიდან აჯანყების ჩახშობის შესახებ:**
>
> ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ. ბაღები და ვენახები ძირებამდე ავჩეხეთ. მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ მოღალატენი პირვანდელ მდგომარეობას.

- *შენი აზრით, რამ განაპირობა მთავარმართებელ ალექსეი ერმოლოვის ასეთი სისასტიკე?*



ალექსეი ერმოლოვი
რუსი სამხედრო, ბოროდინოს ბრძოლის (1812 წ.) გმირი. კავკასიის მთავარმართებელი 1816-1827 წლებში.

1832 წლის შეთქმულებითი მოძრაობა

პეტერბურგსა და მოსკოვში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა ერთი ნაწილი იმპერიის სამსახურში შევიდა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვისაც ქვეყნის დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ ეიმედებოდა.

XIX ს-ის 30-იანი წლებისთვის რუსეთი კავკასიაში ჯერაც არ იყო მტკიცედ დამკვიდრებული. კერძოდ, იმპერიას პრობლემები ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მთიელთა წინააღმდეგობა არ ცხრებოდა; საქართველოშიც ახალი დასრულებული იყო მასობრივი აჯანყებების სერია; არც ოსმალეთი და ირანი იყვნენ ბოლომდე შეგუებულნი მათთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ამიერკავკასიის დაკარგვას. სწორედ ასეთ ვითარებაში დაიწყო მზადება შეიარაღებული გამოსვლის მოსაწყობად.

> **წყარო 8** **ალექსანდრე ორბელიანი აჯანყების შესახებ:**
>
> საერთო შეთქმას შეუდგნენ ქართველები 1830 წელს. ეს შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი უნდა გაერთიანებულიყავით და ერთიანი არეულობა მოგვეხდინა... სრულიად საქართველოს დიდ და მცირე კაცთ და სასულიერო წოდების ბევრ წარმომადგენელს, ხნიერ თუ ყმაწვილ ქალებს – ყველას ერთი აზრი ჰქონდათ ჩვენთან: ან ერთად უნდა გავწყვეტილიყავით, ან არადა მამული გამოგვეხსნა ჩვენი საშინელი მტრისგან – რუსეთისგან...

შეთქმულთა ძირითადი ჯგუფი ნელ-ნელა ფართოვდებოდა. მას შეუერთდნენ თბილისის გენერალ-გუბერნატორი, პოლონელი პეტრე ზავილეისკი და საფრანგეთის კონსული ლეტელიე. შეთქმულებითი მოძრაობის წევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ევროპასთან ურთიერთობას.

შეთქმულები აჯანყების დაწყებას ორი ფაქტორის გამო ერიდებოდნენ, ესენი იყო: 1. ძლიერი ევროპული დახმარების უქონლობა და 2. ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების არარსებობა.

1830 წელს პოლონეთში რუსეთის იმპერიის მმართველობის წინააღმდეგ შეიარაღებული ამბოხება დაიწყო. ამან გააქტიურა საქართველოს გათავისუფლების მოსურნე ძალები, რომლებიც აჯანყების მოსამზადებელ მუშაობას შეუდგნენ. ფარული ჯგუფის შტაბი სამი ადამიანისგან შედგებოდა, ესენი იყვნენ: **ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი** და **სოლომონ დოდაშვილი**.



ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869)
ერეკლე II-ის შვილიშვილი, პროზაიკოსი, პოეტი, ქართველ რომანტიკოსთა წარმომადგენელი.



სოლომონ დოდაშვილი (1805-1836)
ფილოსოფოსი, ლოგიკის ქართული ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელი. გარდაიცვალა რუსეთში, 1994 წელს მთაწმინდის პანთეონში გადმოასვენეს.

აჯანყების ტექნიკური დეტალების გარდა, შეთქმულებითი მოძრაობის წევრები იმაზეც დეტალურად ფიქრობდნენ, თუ როგორი მმართველობა უნდა დამყარებულიყო საქართველოში აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში.

შეთქმულებითი მოძრაობის მონაწილეთა შორის საქართველოს სახელმწიფო წყობილების საკითხზე ერთსულოვნება არ არსებობდა. აჯანყების მოთავე ბატონიშვილების დიდი ნაწილი, ბუნებრივია, ტრადიციული მონარქიის აღდგენის მომხრე იყო, ნაწილი კი *კონსტიტუციური მონარქიის* შექმნას ემხრობოდა, თუმცა ორივე მხარე თანხმდებოდა, რომ მეფე უნდა გამხდარიყო ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილი. განაწილებული იყო მინისტრთა თანამდებობებიც.

არსებობდა მესამე მიმართულებაც, რომლის წარმომადგენლები რესპუბლიკის დამყარებას ემხრობოდნენ. ამ მიმართულებას სათავეში სოლომონ დოდაშვილი ედგა, რომლის აზრით, საქართველოს მომავალი წყობილება „უმეფობა“ უნდა ყოფილიყო.

ყველა თანხმდებოდა, რომ რუსეთთან ურთიერთობაში წამყვანი სახელმძღვანელო დოკუმენტი 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატი უნდა ყოფილიყო. ამასთან, უნდა შექმნილიყო *სეიმი*, რომელშიც მეტ-ნაკლებად სრულად იქნებოდა წარმოდგენილი მოსახლეობის ყველა ფენა.

***შენიშვნა: კონსტიტუციური მონარქია** – მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ქვეყნის მონარქის ძალაუფლება კონსტიტუციითაა შეზღუდული.*

დისკუსია

იმსჯელეთ ამ სამ მიმართულებასთან დაკავშირებით – რომელი სახელმწიფო წყობილება იქნებოდა უკეთესი ქვეყნის გათავისუფლების შემთხვევაში?

სეიმი (პოლონ. – შეკრება) – იგივეა, რაც პარლამენტი.

შეთქმულებს ჰქონდათ წესდებაც – „აკტი გონიური“. მასში ორგანიზაციის წევრების უფლება-მოვალეობებზე იყო საუბარი. კონსპირაციის მიზნით შექმნეს საიდუმლო ანბანიც.

არსებობდა აჯანყების გეგმაც – „პირველი ღამის განკარგულება“, რომლის მიხედვით, წვეულებაზე უნდა მოეწვიათ რუსი მაღალი და საშუალო თანამდებობის პირები და განეიარაღებინათ ისინი. პარალელურად, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყებოდა შეიარაღებული გამოსვლები. ამ მიზნით, ფიქრობდნენ, გამოეყენებინათ 1832 წლის 20 დეკემბრისთვის დანიშნული თავადაზნაურობის საგუბერნიო ყრილობა.

9 დეკემბერს შეთქმულება გასცეს. შეთქმულებითი მოძრაობის მოთავე პირები ხელისუფლებამ დააპატიმრა. სასამართლო გაიწელა. იმპერატორი ნიკოლოზ I ამ საქმის გახმაურებას მოერიდა. იმავეს ცდილობდა მთავარმართებელი როზენი, რომელიც თავის რეპუტაციას უფრთხილდებოდა. ამიტომ არავინ დაუსჯიათ სიკვდილით და სასჯელიც მოსალოდნელზე შედარებით მსუბუქი გამოდგა. აჯანყების ძირითადი მეთაურები – დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, თეკლა ბაგრატიონი, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი და სხვ. – იმპერიის შორეულ რეგიონებში გადაასახლეს სხვადასხვა ვადით.

- *რით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ ასეთი მასშტაბური შეთქმულებითი გეგმის აღმოჩენის შემდეგაც კი სასჯელი საკმაოდ ლმობიერი იყო?*
- *იმსჯელეთ კლასში – რით განსხვავდებოდა 1832 წლის შეთქმულებითი მოძრაობა XIX სს-ის პირველ მესამედში მომხდარი სხვა გამოსვლებისგან?*
- *რატომ აირჩიეს ქართველებმა ბრძოლის შეიარაღებული მეთოდი და რა ფაქტორებმა განაპირობეს რუსული კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხება?*



დიმიტრი ყიფიანი (1811-1887)

სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. 1837 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ აქტიურად მონაწილეობს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში. 1886 წელს გადაასახლეს რუსეთში, სადაც იმპერატორის აგენტებმა მოკლეს.

1. შეადარე ერთმანეთს გაკვეთილში განხილული აჯანყებები – მათი წარმოშობის მიზეზებით, მიზნებითა და წინააღმდეგობის ფორმებით. გამოკვეთე მსგავსებები და განსხვავებები.

2. განიხილე გაკვეთილში აღწერილი აჯანყებებისა და შეთქმულების ხასიათი და დაწერე თემა „ანტირუსული ბრძოლა საქართველოში XIX ს-ის პირველ მესამედში“.

საკითხი 9. XIX ს-ში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს ტერიტორიული ცვლილებები



კომპლექსური დავალება 9

სამიზნე ცნებები

- სივრცე
- ისტორიული წყარო

ერთ-ერთი ცნობილი გამომცემლობა გამოსაცემად ამზადებს ისტორიული რუკების ატლასს კომენტარებით.

წარმოიდგინე, რომ ხარ გამოცდილი კარტოგრაფი, რომელსაც ამ გამომცემლობამ შესთავაზა, მოამზადოს XIX ს-ში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს ტერიტორიული ცვლილებების ამსახველი **რუკა კომენტარებით**.

ნაშრომში ნათლად წარმოაჩინე შემდეგი საკითხები:

- როგორ შეცვალა რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში წარმოებულმა ომებმა ისტორიული საქართველოს ტერიტორიული კონტურები?
- როგორი იყო საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში?
- რა ისტორიულ-გეოგრაფიული და ეკონომიკური საფუძვლები ჰქონდა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიული რუკა, როგორც ისტორიული პროცესების ამსახველი რესურსი, და როგორ შევამოწმოთ მისი სანდოობა?

56/57 რა ტიპის მმართველობა დაამყარა რუსეთის იმპერიამ საქართველოში?

წინა გაკვეთილებიდან იცი, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ხელისუფალი მთავარმართებელი იყო. ამ თანამდებობის შემოღების გარდა, ცვლილებები ადმინისტრაციული მმართველობის უფრო წვრილ ფორმებსაც შეეხო. ამ გაკვეთილიდან გაიგებ, როგორ შეიცვალა ქართული ტრადიციული მმართველობის ფორმები რუსულით და რა ეტაპები განვლო ამ პროცესმა.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა XIX ს-ის პირველ მესამედში

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ყოფნის პერიოდში (1801-1917), საქართველოში რუსული მმართველობის ფორმები ხშირად იცვლებოდა. ამას მრავალი საშინაო და საგარეო ფაქტორი განაპირობებდა.

1802 წელს, მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის ანექსია ოფიციალურად გამოცხადდა, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაამტკიცა დებულება **„საქართველოს მმართველობის შესახებ“**. ამ დებულების თანახმად, უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება საქართველოს მთავარსარდლის (იმავე მთავარმართებლის) ხელში მოექცა.

ქართლ-კახეთის ტერიტორია ხუთ ***მაზრად*** დაიყო: გორის, ლორეს (1804 წლიდან თბილისის), დუშეთის, თელავისა და სიღნაღის. მაზრების სათავეში **კაპიტან-ისპრავნიკები** იდგნენ. ყოველ მაზრაში **სამაზრო პოლიცია** და **სამაზრო სასამართლო** შეიქმნა. ამ ორგანოებში ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლებიც მუშაობდნენ. ქალაქების გამგებლობა კი რუს **კომენდანტებს** დაეკისრათ.

მაზრა – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველ რუსეთში.

ცნობა 1 რატომ დაუბრუნა ალექსანდრე I-მა საქართველოს საეგზარქოსოს ნინოს ჯვარი?

ახალი მმართველობის ამოცანა იყო, ებრძოლა რუსეთის მფლობელობის დამყარება-განმტკიცებისთვის მთელი კავკასიის მასშტაბით. ამ მიზნის მისაღწევ ერთ-ერთ უმთავრეს იარაღად კი საქართველოში რუსეთის იმპერიის ოფიციალური იდეოლოგიის – ქრისტიანული სარწმუნოების – გამოყენება მიაჩნდათ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ის ფაქტი, რომ ალექსანდრე I-მა 1802 წელს საქართველოს წმინდა ნინოს ჯვარი დაუბრუნა.

წყარო 3 რეფორმები კავკასიის მმართველობაში

1804 წელი	1840 წელი	1864 წელი
ქართ-კახეთი ხუთ მაზრად დაიყო: თბილისი-ლორეს, გორის, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის. მას კაპიტან-ისპრავნიკები განაგებდნენ	კავკასიის მხარე ორ ადმინისტრაციულ ერთეულად დაიყო: საქართველო-იმერეტის გუბერნიად და კასპიის ოლქად. გუბერნიაში 11 მაზრა შედიოდა. სამსაფეხურიანი მმართველობა სამხარეო, საგუბერნიო და სამაზრო დონეზე ხორციელდებოდა.	კავკასია ოთხ გუბერნიად დაყვეს: თბილისის, ქუთაისის, შემახისა და დარუბანდის. მეფისნაცვალი და მისი აპარატი ავტონომიურად მართავდა მხარეს.

წყარო ბ **საქართველოს გუბერნიის შექმნა 1801 წელს და რუსული მმართველობის დასაწყისი კავკასიაში**



● *შენი აზრით, რატომ ამუშავებდა იმპერიული ცენტრი სამაზრო პოლიციასა და სასამართლოში ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლებსაც?*

საქართველოს მმართველობა ოთხი **ექსპედიისგან**, ანუ განყოფილებისგან შედგებოდა: ა) აღმასრულებელი; ბ) სამოქალაქო საქმეების; გ) სისხლის სამართლის საქმეების; დ) სახაზინო ქონებათა. ყველა უწყებას რუსი მოხელეები განაგებდნენ. ამ განყოფილებების ფორმალურ მრჩევლებად ქართველი თავადები ინიშნებოდნენ.

● *შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიული ცენტრისთვის თანამდებობებზე რუსი მოხელეების დანიშვნას?*

● *შენი აზრით, რა მიზანს ემსახურებოდა და რა შედეგს გამოიღებდა მრჩევლებად ქართველი თავადების დანიშვნა?*

მაზრების საზღვრებს გარეთ დარჩნენ ქართლ-კახეთის მთის მოსახლეობა და სამხრეთით მცხოვრები მუსლიმები. მათ, მმართველობის ახალ წესებთან იოლად შესაგუებლად და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ქართველი მოხელეები დაუტოვეს მმართველებად, ზედამხედველებად კი რუსი ოფიცრები მიუჩინეს. ამგვარად, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა ბორჩალოს, ყაზახის, შამშადილის, ბამბაკისა და შურაგელის *დისტანციები*.

დისტანცია – აქ: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

- *რუსული ხელისუფლების მიერ შექმნილი დისტანციები ძირითადად ემთხვეოდა ერეკლე II-ის მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის ფარგლებში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შექმნილი სამოურავოების საზღვრებსა და სახელწოდებებს. შენი აზრით, რა ფაქტორებმა განაპირობა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დროში მდგრადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ჩამოყალიბება?*
- *რატომ დაუშვა გამონაკლისი რუსულმა ხელისუფლებამ მუსლიმებისა და მთიელების მიმართ? პასუხისთვის გაიხსენე საქართველოს ისტორიიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და მთის მოსახლეობის ურთიერთობა.*

როგორც იცი, 1810 წელს რუსეთის იმპერიამ იმერეთის სამეფოც გააუქმა. შეიქმნა იმერეთის სამხედრო ოლქი, რომელიც 6 ოკრუგად (ქუთაისის, შორაპნის, ვაკის, რაჭის, ჩხარის, საჩხერის) დაიყო. რუსული მმართველობა არ გავრცელებულა სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროებზე – იქ, სადაც მთავრის შეზღუდული ხელისუფლება რჩებოდა, კვლავ ძველი ადმინისტრაციული სისტემა და სამოხელეო აპარატი მოქმედებდა.

1829 წლის ადრიანოპოლის ზავით, რუსეთმა ოსმალეთისგან ახალციხის *საფაშოს* 8 *სანჯაყი* მიიღო: ახალციხე, ახალქალაქი, აწყური, აბასთუმანი, ადიგენი, ჭაჭარაქი, ხერთვისი, ქვაბლიანი. ეს ტერიტორია ახალციხის ოლქის სახელწოდებით შეუერთდა საქართველოს სამთავარმართებლოს.

საფაშო – პროვინცია ან ოლქი ოსმალეთის იმპერიაში, რომელსაც ფაშა განაგებდა.
სანჯაყი – ისტორიულ ოსმალეთის იმპერიაში (თურქეთში) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; ვილაიეთის ნაწილი.

- *რა მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიული ცენტრისთვის ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფას? გაიხსენე მსგავსი რეფორმების მაგალითები მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიიდან.*

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა XIX ს-ის 30-50-იან წლებში

XIX საუკუნის 30-იან წლებამდე კოლონიური პოლიტიკა, უმთავრესად, იმით გამოიხატებოდა, რომ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებს რუსეთის ცენტრში ასახლებდნენ. 30-50-იან წლებში ეს მიდგომა იცვლება – იმპერიული ცენტრი ფართომასშტაბიან მოქმედებას იწყებს.

30-იან წლებში რამდენიმე პროექტი მიეძღვნა კავკასიის მმართველობის რეორგანიზაციას. პროექტების ნაწილი ითვალისწინებდა რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების ყოველმხრივ განმტკიცებასა და სამხრეთ კავკასიის სრულ ინტეგრაციას რუსეთის სახელმწიფოში. ამ პროექტების ავტორებიც აღიარებდნენ არსებული მმართველობის სისტემის უვარგისობას, ბიუროკრატიულ აპარატში გამეფებულ კორუფციას, მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას, ჩინოვნიკების თავაშვებულობას.

დემოგრაფიული ექსპანსია. რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას გააზრებული ჰქონდა, რომ საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისა და მართლმადიდებელი ქრისტიანობისგან განსხვავებული რელიგიური მრწამსის წარმომადგენლები ყოველთვის იქნებოდნენ რუსეთის დასაყრდენი ქართული სახელმწიფოებრივი მისწრაფებების დასათრგუნად – საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე მათი კომპაქტური ჩასახლება ხელს შეუწყობდა ქართველთა სოციალური და ეროვნული ერთიანობის რღვევას. ამიტომ ჯერ კიდევ 1803 წელს 11 ათასი სომეხი, 1818 წელს კი – 500 გერმანელი დაასახლეს თბილისსა და ქვემო ქართლში.

ჩამოსახლებული გერმანელებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იყო მიწის მუშა. მათი უმრავლესობა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები იყვნენ: მედუქნეები, მეუნაგირეები, მესაათეები, ზეინკლები, მეიარაღენი, კალატოზები, დურგლები, ალკოჰოლური სასმლების ოსტატები.

წყარო 3 საქართველოში 1817-1914 წლებში დაარსებული გერმანული სოფლები თანამედროვე ადმინისტრაციულ საზღვრებში

საქართველოში ჩამოსული პირველი გერმანელები ვიურტემბერგელი შვაბები იყვნენ, რომლებიც ეკონომიკურ სიდუხჭირესა და რელიგიურ დევნას გამოექცნენ. 1817 წ. 21 სექტემბერს, თბილისში ჩამოსული 31 ოჯახი (181 სული) სოფელ სართიჭალასთან დაასახლეს და ახალშენს მარიენფელდი დაარქვეს. ეს იყო პირველი გერმანული კოლონია საქართველოსა და ამიერკავკასიაში.



- *გამოთქვი მოსაზრება – რატომ ჩაასახლეს გერმანელი კოლონისტები, ძირითადად, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე? შენი მოსაზრება დაასაბუთე.*
- *რატომ იყო ღირებული გერმანელი კოლონისტების მიერ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი წვლილი?*

დიდი მნიშვნელობა მიენიჭა რუსეთში მცხოვრები რელიგიური სექტების წარმომადგენლების – დუხობორების, მალაკნების, სკოპცების, სუბოტნიკების და სხვ. რუსეთის პერიფერიებში, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა ნაწილში ჩასახლებასაც. ამ აქტით იმპერია ერთგვარად თავიდან იშორებდა პრობლემურ სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც გარკვეულ საკითხებში მის ოფიციალურ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდნენ, მაგალითად, უარს ამბობდნენ სამხედრო სამსახურზე, და ამით მოსახლეობაში საპროტესტო განწყობების გავრცელების საშიშროებას ქმნიდნენ.

ცნობა 2 დუხობორები საქართველოში

სოფელი გორელოვკა ჯავახეთში რუსეთიდან გამოძევებულმა დუხობორებმა XIX ს-ის შუა წლებში დააარსეს. რუსეთის იმპერიაში დუხობორებს როგორც სახელმწიფო, ისე მართლმადიდებელი ეკლესია დევნიდა. უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ დუხობორები სულიწმიდას ებრძვიან. დუხობორები ემიჯნებოდნენ ყოველგვარ რელიგიურ სიმბოლიკას, საეკლესიო რიტუალებსა და პირობითობას. მეფის რუსეთი მათში ქვეყნის სტაბილურობის პოტენციურ საფრთხეს ხედავდა. დუხობორები უარს ამბობდნენ ჯარში სამსახურზე. როდესაც მათგან ფიცის დადება მოითხოვეს, ომებისა და მკვლელობების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, იარაღი დემონსტრაციულად დაწვეს.

ეკლესიისა და მთავრობის ინტერესები დაემთხვა და დუხობორები ციმბირსა და საქართველოში გადაასახლეს.

წყარო დ **1. დუხობორები სოფელ გორელოვკიდან (ახალქალაქის მუნიციპ.); 2. ახალციხელი სომხები; 3. ბერძნები ბორჩალოს მაზრიდან. დიმიტრი ერმაკოვის ფოტოები, XIX ს-ის დასასრული**







30-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიული ცენტრი სამხრეთ კავკასიაში ფართოდ იწყებს რუსული კოლონიების დაარსებას. საწყის ეტაპზე კოლონიები სამსახურიდან გადამდგარ, დაოჯახებულ ჯარისკაცებს უნდა შეექმნათ.

1828-1829 წლებში ოსმალეთთან ომში გამარჯვების შემდეგ, როგორც უკვე ითქვა, სამცხე-ჯავახეთი რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა. რუსმა მოხელეებმა ქართველი მუსლიმები აიძულეს, თურქეთში გადასახლებულიყვნენ. მათ ნაცვლად კი იქ 30 ათასი სომეხი ჩაასახლეს. გარდა სომხებისა, ზემო და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დასახლდა ბერძენთა და სომეხთა 14 ათასი *კომლი*. ყველა დასახლებულს მთავრობა მიწითა და სასოფლო-სამეურნეო იარაღით უზრუნველყოფდა.

ეტაპობრივად ჩამოსახლებული მოსახლეობა შეერწყა ადგილობრივს და ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთო. მაგალითად, მეცენატ გავრილ თამამშევის სახსრებით 1851 წელს თბილისში, დღევანდელ თავისუფლების მოედანზე, აშენდა ოპერის სახაზინო თეატრის პირველი შენობა, რომელმაც 23 წელი იარსება. თამამშევი, ასევე, ფინანსურად ეხმარებოდა ხელოვანებსა და პედაგოგებს; თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს აშენება უკავშირდება ცნობილი მეცენატის, მიქაელ არამიანცის სახელს. მანვე საავადმყოფო ევროპიდან ჩამოტანილი რენტგენის აპარატით აღჭურვა.

კომლი – სოფელში მცხოვრები ოჯახი.

- *დანართი 7-ის მიხედვით იმსჯელე, რომელი ეთნიკური ჯგუფების მოსახლეობა შემცირდა, რომლის – გაიზარდა; შენი აზრით, რამ განაპირობა ეს ცვლილებები?*
- *რა ტიპის ისტორიული წყაროა წყარო №1, 2, 3 და რამდენად სანდოა ამ ტიპის ისტორიული წყაროები?*
- *რატომ არის წყარო №-ზე მოცემული ინფორმაცია მნიშვნელოვანი ისტორიის შესასწავლად?*

ეკონომიკური ექსპანსია. იმპერიულ ცენტრს სურვილი ჰქონდა, ახალი ტერიტორიებიდან ხაზინაში შემოსავლები გაეზარდა, თუმცა XIX ს-ის პირველ მესამედში, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების მსვლელობისას, საქართველოს ეკონომიკაში რაიმე მნიშვნელოვან დადებით ცვლილებაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო. საგარეო ფაქტორს ემატებოდა საშინაოც – გახშირდა შეიარაღებული გამოსვლები ახალი მმართველობის წინააღმდეგ, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ იმპერიის ჯარების უზრუნველსაყოფად დაწესებული სასურსათო და სატრანსპორტო ბეგარა გლეხების შრომასა და ცხოვრებას გაუსაძლისს ხდიდა.

ამ ომების დასრულების შემდეგ აუცილებელი გახდა კოლონიის ეკონომიკურად დასტაბილურება და გაძლიერება. მიუხედავად ვითარების გაუმჯობესების მცდელობისა, შიდავაჭრობა კვლავაც ძველებური, ფეოდალური წესით მიმდინარეობდა და არ ვითარდებოდა. ამ მხრივ, დიდ სიძნელეებს ისიც ქმნიდა, რომ ქვეყანაში მრავალნაირი ფული იყო მიმოქცევაში, კერძოდ: ქართული, ოსმალური, სპარსული ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, აგრეთვე, მეზობელი სახანოების ფული და სხვ. რუსული ფული ძნელად შემოდიოდა და მისი დახურდავებაც ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. საგარეო ვაჭრობა კი, პირიქით, აღმავლობის გზას დაადგა. რუსეთის საიმპერატორო კარი ცდილობდა, მთელი სამხრეთ კავკასია ევროპიდან აზიისკენ მიმავალ სატრანზიტო დერეფნად ექცია. ამ მიზნით სამხრეთ კავკასიაში უცხოური საქონლის ტრანზიტზე 10 წლიანი (1821-1831) დაბალი *ბაჟი* დაწესდა. ამის შედეგად, ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი ვაჭრები, ოსმალეთზე გამავალი სავაჭრო გზის ნაცვლად, სამხრეთ კავკასიის გზას იყენებდნენ. შედეგად, გარკვეულ ხანში საქართველო ევროპული საქონლის გასაღების მნიშვნელოვან ბაზრად იქცა. მიუხედავად ამისა, ევროპელთა არაერთი მცდელობა, საქართველოში გაეხსნათ რაიმე საწარმო, ბატონყმური წესწყობილების სიმტკიცისა და ბაზრის შეზღუდულობის გამო, წარუმატებელი იყო.

ბაჟი – სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფულადი გადასახადი, რომელსაც იხდიან გარკვეული საქონლის საზღვარგარეთ გატანისთვის ან ქვეყანაში შემოტანისთვის.

- *ჩამოაყალიბე: რა მიზნები ამოძრავებდა რუსეთის იმპერიას, როდესაც კავკასიის ეკონომიკაზე ზრუნავდა?*

მეფისნაცვლის ინსტიტუტის შემოღება

1837 წელს იმპერატორი **ნიკოლოზ I** საქართველოს ეწვია. იგი უკმაყოფილო დარჩა კავკასიის ადმინისტრაციით, რომლის მმართველობაც „საძაგლად“ დაახასიათა. ამის შესახებ ცნობები მას ჯერ კიდევ ჩამოსვლამდე ჰქონდა. სენატორები, რომლებიც საქართველოში სწავლობდნენ ვითარებას, იმპერატორსა და მთავრობას მოახსენებდნენ: „ჩვენ მიერ შეგროვილი მასალები ნათლად გვიჩვენებს, რომ ბოროტმოქმედება და უწესრიგობა საქართველოს მმართველობაში ყოველგვარ ზღვარს სცილდება“. ამას სერიოზული საკადრო ცვლილებები მოჰყვა. სამხრეთ კავკასიაში გამოიგზავნა სპეციალური კომისია, რომელმაც საქართველო-სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციული რეფორმის პროექტი მოამზადა. ცვლილებები სამ სფეროს შეეხებოდა: სამხრეთ კავკასიის მმართველობას, საქალაქო საზოგადოებრივ მმართველობასა და საერო საბეგრო სისტემას. პროექტი 1840 წლის აპრილში შევიდა ძალაში, რის შემდეგაც მართვაში გარკვეული ცვლილებები მოხდა.

ცვლილებების პროექტით სამხრეთ კავკასია ორ ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა: საქართველო-იმერეთის გუბერნიად და კასპიის ოლქად.

მმართველობა სამსაფეხურიანი იყო: მთავარი სამმართველო, საგუბერნიო და სამაზრო მმართველობები. მთავარ სამმართველოში შედიოდა მთავარმართებელი, სამხედრო გუბერ-

ნატორი და მთავარმართებლის საბჭო. ცვლილებები შეეხო სამაზრო მმართველობასაც და ყველა სხვა სახის დაბალ ინსტანციას.

მაზრებს კაპიტან-ისპრავნიკების ნაცვლად მაზრის უფროსები მართავდნენ; ოფიციალურად გაუქმდა ვახტანგ VI-ის სამართალი. 1840 წლიდან შემოიღეს თბილისის სათათბირო. დაწესდა სულადობრივი ფულადი გადასახადი.

სქემა 1 **კავკასიის ადმინისტრაციული დაყოფა XIX ს-ის პირველ ნახევარში**



გურიის 1841 წლის აჯანყება. ზემოხსენებულმა ცვლილებებმა დიდი პროტესტი გამოიწვია მოსახლეობის ფართო ფენებში. იმის მიუხედავად, რომ გურიის სამთავრო ოფიციალურად გაუქმებული იყო, მას ადგილობრივი თავადებისგან შემდგარი საბჭო მართავდა, რომელსაც სათავეში რუსი ოფიცერი ედგა. 1840 წელს ეს საბჭო გაუქმდა და ახალი რუსული მმართველობა დამყარდა – შეიქმნა ადმინისტრაცია და სასამართლო. ამ ყველაფერს ერთვოდა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც მოსახლეობა აჯანყებამდე მიიყვანა. აჯანყების უშუალო საბაბი გახდა რუსული ადმინისტრაციის მოთხოვნა, გლეხებს გადასახადები ფულადი სახით გადაეხადათ, თანაც რუსული ფულით, რომელიც მათ არ ჰქონდათ. მდგომარეობას ამძიმებდა საყოველთაო კორუფცია, ანტირუსული ძალების დევნა, რეპრესიები და საქმის წარმოების რუსულ ენაზე გადაყვანა. ამასთან, გავრცელდა ხმები, რომ მთავრობა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებას აპირებდა. აჯანყებამ მკვეთრად ანტირუსული ხასიათი შეიძინა და მასში გურიის თავადაზნაურობის ნაწილიც ჩაერთო. გურულების გამოსვლა იმერეთის სოფლებშიც გავრცელდა. რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვების მიუხედავად, აჯანყება დამარცხდა. დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ აჯანყება არა მხოლოდ კოლონიურ ჩაგვრას უპირისპირდებოდა, არამედ გურიაში მაშინ გაბატონებულ ცხოვრების ფეოდალურ წესსაც – ბატონყმურ ურთიერთობას; ამიტომ აჯანყებულ გლეხებს თავად-აზნაურთა ნაწილის მიერ შექმნილი რაზმებიც დაუპირისპირდნენ. ხელისუფლებამ, მთავარმართებელ ევგენი გოლოვინის სახით, აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართა: ნაწილს ჩამოხრჩობა მიესაჯა, ნაწილს კი – გაწკეპვლა და ციმბირში გადასახლება, თუმცა იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა განაჩენი საგრძნობლად შეარბილა.

● *განვლილი მასალიდან გაიხსენე, კიდევ როდის მოხდა მსგავსი შემთხვევა, როცა იმპერატორმა საკმაოდ ლმობიერი განაჩენი გამოიტანა? შენი აზრით, რით იყო ეს მოტივირებული?*

რბილი ძალა – მეთოდი პოლიტიკაში, რომლითაც კონკრეტული სუბიექტი თავის ძალაუფლებას ძალადობის გარეშე, როგორც წესი, ეკონომიკური და კულტურული გავლენის მეშვეობით ზრდის.

მიხეილ ვორონცოვი და „რბილი ძალის“ პოლიტიკა

1844 წლისთვის იმპერიულმა ცენტრმა დაასრულა კავკასიის მხარის ადმინისტრაციული მოწყობის საკითხების მოგვარება.

წყარო ე რუსული ადმინისტრაციული მოწყობა სამხრეთ კავკასიაში XIX ს-ის შუახანებში



- *რატომ არ შექმნა რუსულმა ხელისუფლებამ საქართველოს მთლიანი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული და ქვეყანა დაყო გუბერნიებად და ოკრუგებად? შენი აზრით, რა არგუმენტი ექნებოდა იმპერიულ ცენტრს ამგვარი დაყოფის გასამართლებლად?*
- *ისტორიული კონტექსტის გახსენებით, უპასუხე: რატომ გამოყო რუსულმა ადმინისტრაციამ ზაქათალის ოკრუგი ცალკე ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად?*
- *რუკის მიხედვით გაარკვიე, რომელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ამჟამად რომელი თანამედროვე სახელმწიფოს შემადგენლობაშია?*

როდესაც რუსეთის იმპერიამ თითქმის სრული კონტროლის ქვეშ მოაქცია კავკასია, საიმპერატორო კარმა მიიჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა, სამხრეთ კავკასიაში მთელი აღმასრულებელი ძალაუფლება ერთი პირის ხელში ყოფილიყო, რომელიც უშუალოდ იმპერატორს დაემორჩილებოდა. ამასთან, რეფორმების წინააღმდეგ გამოსვლებმა და გურიის აჯანყებამ იმპერიულ ცენტრს ისიც აჩვენა, რომ სასურველი მიზნების მისაღწევად ადგილობრივებთან ადრინდელისგან განსხვავებული ურთიერთობის ფორმები და მიდგომები იყო შესამუშავებელი, ისეთები, რომელთა გამოყენებაც რაიმე სახის პროტესტის შესაძლებლობას აღმოფხვრიდა. ამ ახალი პოლიტიკის აღმასრულებლად გრაფი **მიხეილ ვორონცოვი** შეირჩა. მისი დანიშვნით საქართველოს კოლონიზაციის ახალი ეტაპი დაიწყო.

XIX ს-ის შუახანებში განსაკუთრებულად გამოიკვეთა თბილისის დაწინაურებული საზოგადოების მისწრაფებები ევროპული კულტურისადმი, რაც კარგად გამოიყენა ახალმა მეფისნაცვალმა. ამან ასახვა ჰპოვა ქალაქის არქიტექტურასა და კულტურულ დაწესებულებათა მომრავლებაში.

მიხეილ ვორონცოვის მმართველობის დროს თბილისში, გოლოვინის პროსპექტსა (დღევანდელი რუსთაველის გამზირი) და მის მიმდებარედ, აშენდა ყველა მნიშვნელოვანი სამთავრობო და კულტურული დაწესებულება, რომელთა ნაწილიც დღემდეა შემორჩენილი.



მიხეილ ვორონცოვი (1782-1856)

გრაფი, რუსი საზოგადო და სამხედრო მოღვაწე. სამხრეთ კავკასიის პირველი მეფისნაცვალი 1844-1854 წლებში. აღიზარდა ლონდონში, სადაც საფუძვლიანი საშინაო განათლება მიიღო. 1803 წელს საკუთარი სურვილით მიავლინეს კავკასიის ჯარებში, რომლებსაც პავლე ციციანოვი ხელმძღვანელობდა. 1804-1819 წლებში მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის ომებსა (1804-1813 წლების რუსეთ-სპარსეთის ომი, 1812 წლის საფრანგეთ-რუსეთის ომი) და სხვა სამხედრო ოპერაციებში (მაგ., განჯის ციხის შტურმი, 1804). 1815-1818 წლებში – საფრანგეთში რუსული საოკუპაციო კორპუსის მეთაური. 1823-1854 წლებში, ასევე, ეკავა ნოვოროსიისკისა და *ბესარაბიის* გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა.

შენიშვნა: ბესარაბია *– ისტორიული რეგიონი აღმოსავლეთ ევროპაში, თანამედროვე მოლდოვისა და უკრაინის სამხრეთ ნაწილში.*

წყარო 3 მეფისნაცვლის სასახლე (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე) და „კონკა“ გოლოვინის პროსპექტზე (დღევანდელ რუსთაველის გამზირზე), 1880-იანი წლები



სწორედ XIX ს-ის შუახანებში გაიხსნა **კავკასიის მუზეუმი**, რომელშიც კავკასიის ხალხთა ყოფითი კულტურის, აგრეთვე, საისტორიო და საბუნებისმეტყველო დარგების საკვლევად უამრავმა ექსპონატმა მოიყარა თავი. ამავე პერიოდში გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, სადაც ცოდნის მიღება საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს შეეძლო.



წყარო 4 კავკასიის მუზეუმის (დღევანდელი ეროვნული მუზეუმის ნაწილის – ხელოვნების მუზეუმის) შენობა, ღია ბარათის ფოტო, 1900

წყარო 07 თანამედროვე ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკის შესახებ:

მიხეილ ვორონცოვის მიერ კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების ინვესტირება პირდაპირ ჯდება „რბილი ძალის“ თანამედროვე შინაარსში. მეფისნაცვლის ხსენებული ძალისხმევის გარდა, იმხანად დაარსებული კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, კავკასიის მუზეუმი და სხვა, თავისუფლად შეიძლება გავიაზროთ როგორც „რბილი ძალის“ ინსტრუმენტები – რეგიონის მოსახლეობის გულსა და გონებაზე, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და იმპერიული იდეოლოგიის დამამკვიდრებელი „გავლენის ინსტიტუტები“.

- *იმსჯელეთ კლასში ოთარ ჯანელიძის მოსაზრების შესახებ. ეთანხმებით თუ არა მას? რატომ?*
- *შენი აზრით, როგორი მისწრაფებების ადამიანებს შემოიკრებდა ირგვლივ ეს დაწესებულებები? რა ზეგავლენას მოახდენდა ისინი თბილისელთა ინტერესებზე? თვალსაწიერზე?*

კავკასიის წინა მმართველები კომპრომისებს არ ცნობდნენ. ადგილობრივთა დამორჩილების მიზნით ისინი სამხედრო ძალასა და უხეშ ადმინისტრირებას მიმართავდნენ. მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი კი კოლონიურ პოლიტიკას თავის წინამორბედებზე ბევრად უფრო მოქნილად ატარებდა. ქართველი თავადაზნაურობის მიმართ იგი გარკვეულ დათმობებზე წავიდა.

მან განსხვავებული ურთიერთობა დაამყარა ქართველ თავადაზნაურობასთან და ყველაფერს აკეთებდა მათთან დასაახლოებლად. მეფისნაცვალი ხშირად სტუმრობდა *სალონებს* და თავადაც სისტემატურად იწვევდა არისტოკრატიულ საზოგადოებას თავისი მეუღლის მიერ მოწყობილ *ბალ-მასკარადებზე*. მიხეილ ვორონცოვის ძალისხმევით 30 000 კაცს დაუმტკიცდა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადრე საეჭვოდ მიჩნეული თავადაზნაურული წოდება, რითაც იგი, ცხადია, ადგილობრივი თავადაზნაურობის დიდი ნაწილის გულს მოიგებდა. მოწინავე საზოგადოებასთან სიახლოვე საშუალებას აძლევდა, მუდმივად სცოდნოდა ქართველი თავადაზნაურობის განწყობილება, მათი ეროვნული და პოლიტიკური მისწრაფებები.

სალონი – აქ: მწერლების, ხელოვნების და/ან პოლიტიკური მოღვაწეებისგან შემდგარი წრე, რომელიც სისტემატურად იკრიბება ვისიმე სახლში სტუმრად.
ბალ-მასკარადი – მეჯლისი, რომელშიც ნიღბებითა და სახასიათო ჩაცმულობით მონაწილეობენ.

წყარო 08 არჩილ ჯორჯაძე მონარქისადმი საქართველოს თავადაზნაურობის დამოკიდებულების შესახებ:

თავად-აზნაურთა საუკეთესო წარმომადგენლებს სჯეროდათ, რომ თუ რაიმე საერო და სახელმწიფოებრივი მუშაობა იყო საქართველოში, ეს იყო ნაყოფი დიდი მეფეების და მათი ერთგული საერო და სამღვდელო პირების თანამშრომლობისა. მეფე იყო ფეოდალთა ამლაგმველი, წესიერების დამამყარებელი, ეროვნული და პოლიტიკური სხეულის განმამტკიცებელი. მეფის მომხრეობა და ერთგულება იყო პროგრესისტობა და მოწინავეობა...

გრძნობა, მიმართული წინათ ქართველი მეფეებისადმი, დღეს ახალ მფარველებს ეკუთვნოდათ... ახალი რეჟიმის უვარგისობა ისეთ ადამიანთა თვალში პოლიტიკური მმართველობის უვარგისობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მოხელეთა უვარგისობით, რომელნიც გარს ეხვეოდნენ უანგარო და ყოველი სიკეთის მქონე მეფეს.

ყოფა და კულტურა. მიხეილ ვორონცოვის დროს იცვლება თბილისის ცხოვრების სტილიც. საფუძველი ჩაეყარა ქართულ პროფესიულ თეატრს. დაარსდა ქართული ჟურნალი „ცისკარი“. თბილისში თავს იყრიდნენ სხვადასხვა პროფესიის ევროპელი და რუსი მოღვაწეები.

ევროპელ ახალმოსახლეთაგან თბილისისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს სამოქალაქო პროფესიების წარმომადგენლებმა: ინჟინრებმა, ექიმებმა, ფარმაცევტებმა, ფიზიკოსებმა, ბუნებისა და სიძველეთა მკვლევრებმა, მცირე მეწარმეებმა. გაიხსნა გიმნაზიები, სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, სადაც სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

წყარო კ **თბილისი, ვასილი ტიმის მიერ დასურათებული „რუსული ხელოვნების ფურცელი“, სანკტ-პეტერბურგი, 1851-1862, ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკა, აშშ**



ევროპელებმა თბილისს თანადროული ევროპული ქალაქის იერსახე მიანიჭეს. მათ გამოიკვლიეს საქართველოს ბუნებრივი რესურსები, დააფუძნეს სამეცნიერო დარგები. თბილისისა და, ზოგადად, საქართველოს მცხოვრებნი ევროპული ცხოვრების წესს აზიარეს.

წყარო ლ **მიხეილ ვორონცოვის ძეგლის კურთხევა თბილისში, 1867, კორჟინოვის ფოტო, დღევანდელი ზაარბრიუკენის მოედანი**



წყარო 8 როგორ შეაფასეს მიხეილ ვორონცოვის საქმიანობა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა:

გრიგოლ ორბელიანი: საქართველო მხოლოდ თქვენი მამობრივი მზრუნველობით აღსავსე ბრწყინვალე მართვა-გამგეობის დროს ელირსა აყვავებასა და ადამიანურ ცხოვრებას! ... გაივლის მრავალი წელი, რიგ-რიგით დაიჭერენ აქ თქვენს ადგილს, მაგრამ თქვენს მაგივრობას კი მაინც ვერავინ გაგვიწევს!

აკაკი წერეთელი: ვორონცოვი მომავლის საქართველოს განიხილავდა როგორც პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავისი სარწმუნოებით, ენითა და ეროვნული ელფერით. ამას იგი აკეთებდა ევროპული სწორი გზით. ვორონცოვს უნდოდა, საქართველო უკეთეს და უბრწყინვალეს თვლად ჩაექსოვა რუსეთის გვირგვინში.

არჩილ ჯორჯაძე: ვორონცოვის ხანა შეიქნა ქართული კულტურის აღორძინების ხანად... ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება – ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა, ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ... ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცხადა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართველთა ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ – ეს ოცნება რეალობად იქცა.

ნიკო ნიკოლაძე: რასაც პეტრე პირველმა – გენიოსმა – რუსეთი ძალით ვერ შეაჩვია, ჩვენში ერმოლოვმა – დიდმა და ჭკვიანმა – ვერ მოახერხა, – ის რუსებს *ეკატერინემ* და ქართველებს ვორონცოვმა ალერსითა და ოსტატობით შეაპარა; შეაპარა ბრმა, მაიმუნური, გარეგანი წაბაძვა უცხოქვეყნელების ზნისა და ცხოვრებისა.

ზაქარია ჭიჭინაძე: მიხეილ ვორონცოვი იყო მეტად მოხერხებული მტერი ქართველი ერისა. მან ქართველებს თავი შეაყვარა, ისე გაიკეთა სახელი, ვითომც იგი ქართველი ერის გულშემატკივარი იყო. ის კი არა, იგი იყო ჩუმი მტერი და ისეთი ბოროტი, რომლის მსგავსი ნაკლებად მოიძებნებოდა თვით აშკარად ბოროტად ცნობილთა შორისაც.

ვახტანგ კოტეტიშვილი: ეს სმოკინგსა და ფრაკში გამოწყობილი ევროპა [ე. ი. რუსეთი] ჩვენს დედაქალაქში დიდი რიხით შემოპატიჟებული [ვორონცოვის დროიდან], ათასგვარი სათამაშოებით ართობდა ჩვენი საზოგადოების მაღალ წრეს და ვალსის ტალღებში ავიწყებინებდა მოვალეობას, უბრუებდა შეგნებას.

გრიგოლ ლორთქიფანიძე: რუსეთი მუდამ და ყოველთვის ემსახურებოდა ერთსა და იმავე მიზანს – საქართველოს პოლიტიკურად წაშლისა და ქართველი ერის *დენაციონალიზაციის* საქმეს. სწორედ ვორონცოვის „ლიბერალიზმის“ ხანა საქართველოში, ეროვნულ-პოლიტიკური მხრივ, იყო შავბნელი პერიოდი, სწორედ ამ ეპოქაში გამეფდა ეროვნული სულის სრული მოდრეკა და დაჩოქება უცხოეთის დესპოტიის წინაშე.

***შენიშვნები: გრიგოლ ორბელიანი** (1804-1883) – ქართველი პოეტი და სამხედრო. 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩადგა.*

***აკაკი წერეთელი** (1840-1915) – ქართველი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.*

***არჩილ ჯორჯაძე** (1872-1913) – პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი.*

***ნიკო ნიკოლაძე** (1843-1928) – კრიტიკოსი, პუბლიცისტი და პოლიტიკოსი. მრავალი გაზეთის რედაქტორი. 1894-1912 წლებში ქალაქ ფოთის თავი.*

***ეკატერინე** (1762-1796) – იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II.*

***ზაქარია ჭიჭინაძე** (1854-1931) – ისტორიკოსი, მკვლევარი, მწერალი. დიდი დამსახურება მიუძღვის ქართულ ხელნაწერთა შეგროვებაში, გამოცემასა და გავრცელებაში, განსაკუთრებით – აჭარასა და სამხრეთ საქართველოში.*

***ვახტანგ კოტეტიშვილი** (1893-1937) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, მოქანდაკე.*

***გრიგოლ ლორთქიფანიძე** (1881-1937) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იქცა პოლიტიკურ დევნილად. გარდაიცვალა პატიმრობაში.*

დენაციონალიზაცია – აქ: ეროვნულ თავისებურებათა (ენა, კულტურა და მისთანანი) დაკარგვა.

წყარო 6 **ქუთაისის საგუბერნიო ვაჟთა გიმნაზია, დაახლ. 1860**

ქუთაისის საგუბერნიო ვაჟთა გიმნაზია შეიქმნა 1830 წელს დაარსებული სამაზრო სასწავლებლის (დაწყებითი სკოლის) ბაზაზე, ხოლო 1876 წელს ის კლასიკურ გიმნაზიად გადაკეთდა, ვინაიდან ბერძნულ და ლათინურ ენებს ასწავლიდნენ. გიმნაზიის შენობა 1850-იან წლებში აშენდა და არაერთხელ გადაკეთდა. დღეს ამ შენობაში ქუთაისის 1-ლი სკოლაა.



1. იმსჯელეთ კლასში – რა მნიშვნელობა ჰქონდა მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკას საქართველოში: 1. იმპერიული ცენტრისთვის; 2. ქართველი ხალხის ინტერესებისთვის.
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის 8.4 სავარჯიშო საქართველოში იმპერიული ცენტრის მიერ გატარებული „რბილი ძალის“ პოლიტიკის შესახებ.
3. იმსჯელეთ კლასში – რატომ აფასებენ ისტორიკოსები სხვადასხვაგვარად რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიის/შეერთებისა და ვორონცოვის მმართველობის საკითხებს?

საკითხი 10. ახალი დროის კულტურული ცვლილებები საქართველოში XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში



კომპლექსური დავალება 10

სამიზნე ცნებები

- ისტორიული წყარო
- საზოგადოება
- დრო

მსოფლიო ინდუსტრიულმა რევოლუციამ XIX ს-ში საქართველოშიც შემოაღწია და შესამჩნევი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. საქართველოში მიმდინარე ეპოქალური ცვლილებები, ქართველი საზოგადო მოღვაწეების გარდა, ევროპელებისა და აზიელების დიდ ინტერესს იწვევდა.

წარმოიდგინე, რომ ხარ ერთ-ერთი ცნობილი ევროპული სამეცნიერო საზოგადოების მკვლევარი, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს ისტორიის კვლევით. შენ ჩამოხვედი საქართველოში და უნდა მოამზადო **მოხსენება** XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში ახალი დროის მიერ მოტანილი ცვლილებების, ასევე, საქართველოს საზოგადოებაზე ევროპული და აზიური კულტურული გავლენების შესახებ.

ნაშრომში ნათლად წარმოაჩინე შემდეგი საკითხები:

- რომელი და რა ტიპის წყაროები გვაწვდიან ინფორმაციას საქართველოში ახალი დროის შემოსვლის შესახებ და რამდენად სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ ისინი?
- რამდენად სანდოა ამ პერიოდის ქართული, ევროპული და აზიური წყაროები და რატომ აქვთ მოვლენებზე განსხვავებული შეხედულებები წყაროების ავტორებს?
- საქართველოს ისტორიის რომელ პერიოდში ხდებოდა ახალი დროის შემოსვლა და რით განსხვავდებოდა ის სხვა ისტორიული პერიოდებისგან?
- ინდუსტრიალიზაციის რომელი მიღწევებით ვლინდებოდა საქართველოში ახალი დროის დადგომა?
- იდენტობის რა საერთო მახასიათებლები ჰქონდათ ახალი დროის ქართველებს და რა ინტერესები აერთიანებდათ ამ პერიოდში არსებულ სოციალურ ჯგუფებს?
- რატომ ასოცირდებოდა ახალი დროის შემოსვლა ევროპული კულტურული გავლენის ზრდასთან და როგორ აღიქვამდა ამ ტენდენციას ქართველი საზოგადოება?

58/59 როგორ შემოდიოდა ახალი დრო საქართველოში?

XIX საუკუნე მრავალი თვალსაზრისით გამორჩეული მონაკვეთია კაცობრიობის ისტორიაში. ინდუსტრიულმა ეპოქამ უდიდესი სიახლეები მოუტანა კაცობრიობას: დაიწყო მეცნიერული ცოდნის დანერგვა ცხოვრების ყველა სფეროში, მანქანებისა და მექანიზმების გამოყენებით წარმოებამ არნახული აღმავლობა განიცადა; გაიზარდა ქალაქები, გაჩნდა კომუნიკაციის ახალი საშუალებები, გაუმჯობესდა ყოფითი პირობები; მოხდა განსხვავებულ კულტურათა დაახლოება. ყოველივე ამან გამოიწვია ძველი ცხოვრების წესის რღვევაც, რასაც *ტრადიციული საზოგადოებები* ყველგან მტკივნეულად აღიქვამდნენ. ამ გაკვეთილიდან გაიგებ, როგორ შემოდიოდა ახალი დრო და ევროპული სიახლეები საქართველოში და როგორ მკვიდრდებოდა ისინი ადგილობრივ, ტრადიციულ საზოგადოებაში.

ცნობა 1 რა არის ტრადიციული საზოგადოება?

ტრადიციულ საზოგადოებას უწოდებენ საზოგადოების ტიპს, რომელშიც ადამიანები იქცევიან საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული მოდელის მიხედვით. ასეთი ქცევითი ნორმები ხშირად გაჯერებულია რიტუალებით, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. XIX ს-ის დასაწყისის საქართველოში ტრადიციულად ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების წესი მოიაზრებოდა.

მიუხედავად მრავალი ცვლილებისა, რომლებიც საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლამ განაპირობა, XIX ს-ის დასაწყისში საქართველო კვლავ ბატონყმურ ქვეყანად რჩებოდა – საზოგადოებრივ ცხოვრებას ძველი ფეოდალური არისტოკრატია წარმართავდა, რომლის ეკონომიკური შეძლება ყმაგლეხების ფიზიკურ შრომას ემყარებოდა. რუსეთის იმპერია ამ დროს ევროპის ინდუსტრიული განვითარების პროცესს თავადაც ჩამორჩებოდა. აქედან გამომდინარე, ეპოქის სიახლეები საქართველოში ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მათ შორის თავადაზნაურობა, სოფლად ცხოვრობდა.

წყარო ა გერმანელი მეცნიერის, ედუარდ აიხვალდის 1825-1826 წლებში საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებიდან:

1. თავადები დიდად აფასებენ საკუთარი გვარის სიძველეს და უყვართ წინაპრების ნამოღვაწარის განდიდება. თავიანთი ჩვევებითა და მოქმედებებით ისინი მუდამ ბაძავენ წინაპრების მაგალითს. არავინ ცდილობს თავის გამოჩენას და ჩვეული წესებიდან გადახვევას... თავადის ქალები სულ სახლში სხედან და ოქრომკედით ქარგავენ აბრეშუმზე, ქსოვენ ხალიჩებს, თავშლებს, სარტყლებს, თასმებს, თუმცა კაცებზე მეტად კითხულობენ წიგნებს, ურთიერთობაში ძალზე სასიამოვნო და კეთილგანწყობილები არიან.

2. როდესაც [სამეგრელოს სოფელ] სალხინოში *დადიანის* საზაფხულო სადგომი მოვინახულე, თავიდან გლეხის ქოხები მეგონა. მერე შევიტყვე, რომ აქ დადიანის კარზე მყოფი თავადები ცხოვრობდნენ. მათ ქოხებში არსად არ იდგა სკამი ან სხვა რაიმე ავეჯი, მხოლოდ რამდენიმე მერხი იყო მიყუდებული კედლებთან. დადიანი თავისი ყმებისგან არაფერს ითხოვს, გარდა ყოველწლიური მცირე გადასახადისა, ხბოების, ქათმების, კვერცხისა და ღომის სახით. ეს სურსათი მას სჭირდება, რათა გამოკვებოს დიდი ამალა, რომელიც ხშირად 50 წარჩინებულისგან, უმეტესად თავადებისგან შედგება.

შენიშვნა: დადიანში *იგულისხმება სამეგრელოს მთავარი ლევან V დადიანი (1804–1840).*

- *შენი აზრით, რამდენად ობიექტურად აღწერს მოგონების ავტორი ქართველი თავადების დამოკიდებულებას განათლებისადმი?*
- *იმსჯელეთ კლასში, რისთვის არის საჭირო, საზოგადოებას უნარი შესწევდეს, მიიღოს სასიკეთო სიახლეები?*

- *რატომ ინახავს თავადი მრავალრიცხოვან ამალას? როგორ ესმით აქ შეკრებილ ადამიანებს კეთილდღეობა? რაში ხედავ კეთილდღეობის ამგვარი აღქმის მიზეზს?*
- *რატომ არ ჰქონდა დადიანს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მოთხოვნილება?*

წყარო ბ დადიანების სასახლე სალხინოში. სავარაუდოდ, XIX ს-ის მიწურული

დადიანების საზაფხულო რეზიდენცია XIX ს-ის დასაწყისში ხის უბრალო ოდას წარმოადგენდა. შემდგომ ლევან დადიანმა ქვის სახლი ააგო, რომლის მიწისპირა სართულზე მარანი მოაწყო. მოგვიანებით ფოტოზე გამოსახულ შენობად გადაკეთდა.



ახალი დრო და ქართველი თავადაზნაურობა

XIX ს-ის 30-იანი წლებიდან, შეიარაღებული გამოსვლების მთელი სერიის შემდეგ, ჯერ კიდევ ნელა, თუმცა მაინც სტაბილურად შემოდის სიახლეები. თვით თავადაზნაურობაც იძულებული გახდა, მეტწილად დამშვიდობებოდა ცხოვრების ძველ ყაიდას. ეს პროცესი უმტკივნეულო როდი იყო: ზოგმა შეძლო, ალღო აეღო ახალ დროებისთვის და გამდიდრება მოახერხა, ზოგმაც თავი ვერ დააღწია ძველებურ ცხოვრების წესს და გაღარიბდა.

საუკუნის შუახანებში ქართველი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა რუსეთის იმპერიის სამსახურში შესვლა გადაწყვიტა. მათ სხვადასხვა, დაბალი თუ მაღალი თანამდებობები დაიკავეს. თბილისში თავადაზნაურობის სწორედ ის ნაწილი ცხოვრობდა, რომელიც რუსული მმართველობის დაწესებულებებში მსახურობდა. გარდა საკუთარი მამულებიდან მიღებული შემოსავლისა, ისინი სახელმწიფოსგანაც იღებდნენ ხელფასს და, ამდენად, მეტ-ნაკლებად შეძლებულად ცხოვრობდნენ. მათი ცხოვრების წესიც თანდათანობით შორდებოდა მათივე თანასოფლელი მოძმეების ცხოვრებას. მათგან ყველაზე შეძლებულები სახლების ასაშენებლად ევროპელ არქიტექტორებს იწვევდნენ, ოთახის კედლებზე მოდურ ევროპულ შპალერს აკრავდნენ, იატაკზე ბზინვარე პარკეტს აგებდნენ და ევროპულ ავეჯს ყიდულობდნენ. ზოგიერთს ჰქონდა როიალი, რომელიც იმ დროისთვის სიახლე იყო. ასეთი ოჯახების ნაწილში დამკვიდრებული იყო ე. წ. „სალონური კულტურა“. მათი შვილები კერძო პანსიონებში სწავლობდნენ, სადაც ასწავლიდნენ რუსულ, ფრანგულსა და გერმანულ ენებს; ხატვას, ევროპულ ცეკვებსა და მუსიკას.

დროთა განმავლობაში მსგავს წარჩინებულ ხალხს გაუტოლდა საზოგადოების საშუალო და დაბალი ფენიდან ფინანსურად დაწინაურებული მოსახლეობის ნაწილი. საუკუნის მეორე ნახევრისთვის ძველ თბილისში შეხვდებოდით ისეთ მდიდრულ სახლებს, რომლებიც შესაძლოა სულაც არ ეკუთვნოდა თავადაზნაურობის წარმომადგენლებს, მაგრამ მაღალი საზოგადოების შეკრების ადგილები იყო.

ცნობა 2 **რას გულისხმობდა „სალონური კულტურა“?**

ეს იყო XIX ს-ში რუსეთის წარჩინებულ ოჯახებში მიღებული ცხოვრების წესი, რომელიც გულისხმობდა მაღალი საზოგადოების – ინტელექტუალ თანამოაზრეთა და შემოქმედებითი ადამიანების – მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების – რეგულარულ შეხვედრებსა და ახალი იდეების გაცნობა-გავრცელებას. საუბრები ძირითადად რუსულ და ფრანგულ ენებზე მიმდინარეობდა.

წყარო გ **არტურ ლაისტი დავით სარაჯიშვილის სახლის შესახებ:**

მის სახლში, რომელიც შიგნიდან დიდებულ ძველგერმანულ სასახლეს ჰგავს, არ ქრის ვაჭრული სული და როგორც კი მის ზღურბლს გადააბიჯებთ, მაშინვე მოგეგებებათ მაცოცხლებელი სუნთქვა დახვეწილი გულღიაობისა, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტენსიური სულიერი ცხოვრება. მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი და მეცნიერები ხშირად უსხედან სტუმართმოყვარე მასპინძლის სუფრას. აქ იხილავთ ხოლმე გამოჩენილ ქართველ პოეტებს ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, ცნობილ მხატვარს გიგო გაბაშვილს... და მრავალ სხვა სახელოვან წარმომადგენელს ლიტერატურისა და ხელოვნებისა. ამ სახლის გემოვნებით გაწყობილ დარბაზებში სასიამოვნო საათები გაუტარებიათ სახელგანთქმულ ევროპელებსაც, გერმანელ, რუს, ფრანგ, იტალიელ პროფესორებს, მწერლებს, ხელოვან ხალხს და ისინი ყოველთვის გაოცებულან, ამ შორეულ კავკასიაში ასეთ სულთმარგებელ გარემოში რომ აღმოჩენილან.



არტურ ლაისტი (1852-1927)

გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი და მთარგმნელი. საქართველოსა და ქართველების დიდი მეგობარი. 80-იანი წლებიდან უკავშირდება საქართველოს, მალევე გამოსცა წიგნი „საქართველო, ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა“, რომელიც პოლონურადაც ითარგმნა. გერმანულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 1890 წელს გერმანიაში გამოიცა. 1892 წლიდან საქართველოში მკვიდრდება და აქტიურად მონაწილეობს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებში. თბილისში გამოსცემდა გერმანულ გაზეთს.



დავით სარაჯიშვილი (1848-1911)

ქართველი მრეწველი და მეცენატი. ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი. ცნობილია თავისი საქველმოქმედო საქმიანობით. XIX ს-ის 80-იანი წლებიდან გარდაცვალებამდე აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებში. ბევრი იმდროინდელი პოლიტიკოსი თუ პოლიტიკური ჯგუფი, მეცნიერი და ხელოვანი საკუთარი გეგმების განხორციელებისთვის სწორედ მას სთხოვდა ფულად დახმარებას.



წყარო დ **თბილისში დავით სარაჯიშვილის სახლის ინტერიერი, 1905 (დღეს „მწერალთა სახლი“ ივანე მაჩაბლის 13-ში)**

მეორე ფოტოზე გამოსახული ოთახი აღმოსავლურ სტილში იყო მოწყობილი. მესამე ფოტოზე ამ ოთახის ჭერის მორთულობაა.





თბილისური გართობა

ძველი თბილისის ჩრდილოეთ კედელთან მდებარეობდა საასპარეზო მოედანი. მას უწოდებდნენ **ყაბახს**, რადგან აქ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ამავე სახელწოდების ცხენოსნური შეჯიბრი. ასევე, აქ იმართებოდა ტრადიციული სპორტული შეჯიბრებები: **ლელობურთი** და **დოღი**. საღამოობით ყაბახის მოედანზე **დიდი სეირნობა** ეწყობოდა. XIX ს-ის 50-იანი წლების ბოლოს, კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით, ყაბახის მოედანზე „ალექსანდრეს ბაღი“ გააშენეს (ახლანდელი „9 აპრილის ბაღი“, 1859 წლიდან და მთელი საბჭოთა ეპოქის საქართველოში „ალექსანდრეს ბაღად“ ცნობილი). მას შემდეგ საღამოობით აქ ევროპული მუსიკა ისმოდა და უცხოეთიდან ჩამოყვანილ აკრობატთა წარმოდგენები იმართებოდა.



წყარო 2 **ალექსანდრეს ბაღის ქვედა მხარე (ხედი ორბელიანის სასახლიდან), დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, დაახლ. 1896**

წყარო 3 **1858 წლის ჟურნალ „ცისკრის“ კორესპონდენტი აკრობატების წარმოდგენის შესახებ:**

საღამო ხანს ჩაველ ყაბახზე, მუსიკა უკრავდა და დიდი ხალხის დენა იყო. აქ ჯამბაზები ჯერ აჩვენებდნენ თავიანთ უნარებს და ცხენოსნობას, შემდეგ ქალებმა და კაცებმა გაჭიმულ თოკზე ხტომა დაიწყეს. მერე ატყდა ცხენების ჭენება. ვუყურე, ვუყურე, თუ როგორ ახტებოდნენ *ტიტველა დედაკაცები* უბელო ცხენებს გავაზე. აი, თქვენ შეგირცხვათ თავი-მეთქი, წამოვდექ და საჩქაროდ გარეთ გამოვვარდი.

შენიშვნა: „ტიტველა დედაკაცებში“ *ჟურნალის კორესპონდენტი, როგორც ჩანს, საცირკო ტანისამოსში გამოწყობილ ქალებს გულისხმობს.*

- *ახსენი, რატომ ეუცხოვება ახალი დროის მიერ მოტანილი ყოფა და **პოპულარული კულტურა** ამ სტრიქონების ავტორს? (პასუხისთვის გაიხსენე, რომელი ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი: ადამიანის სხეულის დამალვა, ქალის საზოგადოებრივი როლის უგულებელყოფა?)*

შენიშვნა: პოპულარული კულტურა (პოპკულტურა) *აღნიშნავს მუსიკას, წარმოდგენებს, კინოს, ტელევიზიას, წიგნებს და სხვ., რომლებიც უმეტესწილად მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გადაიცემა და დღეს განსაკუთრებული მოწონებით ახალგაზრდებში სარგებლობს, ასევე, რომლებიც უფრო პოპულარულია ჩვეულებრივ ადამიანებში, ვიდრე ექსპერტებში ან ძალიან განათლებულ ადამიანებში.*

- *იმსჯელეთ კლასში: რა გავლენა შეიძლება მოეხდინა მოდასა და ტრადიციული საზოგადოების წარმოდგენებზე ევროპიდან ჩამოსული თეატრისა და ცირკის მსახიობების, მოცეკვავეების, თეატრალურსა და საცირკო წარმოდგენებს, მათ ჩაცმულობას?*

მსგავსი გასართობებით თავს ქალაქის დაბალი ფენები ირთობდნენ, მაღალი ფენების წარმომადგენლები კი უფრო მეტად თეატრსა და ოპერას სტუმრობდნენ.

თეატრი და ქართველი საზოგადოება

XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში პროფესიული თეატრი არ არსებობდა. ქართული მაღალი საზოგადოების წევრების თავშეყრის ადგილი ოჯახური სალონები იყო. ვინაიდან მწერლებს თავიანთი ნაწარმოებების დაბეჭდვის არანაირი საშუალება არ ჰქონდათ, ისინი მათ სწორედ ამ სალონებში კითხულობდნენ. საღამოები იმართებოდა ელიზბარ ერისთავის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ვახტანგ ორბელიანის, მამია გურიელის, მელიტონ ბარათაშვილის ოჯახებში. 30-40-იან წლებში ქართველი არისტოკრატია მანანა ორბელიანის სალონში იყრიდა თავს. საუკუნის ბოლოს, სალონების კულტურის მივიწყების მიუხედავად, ოჯახურ გარემოში შეკრებები არ შეწყვეტილა და უკვე დაბეჭდილი ან დასაბეჭდად გამზადებული ნაწარმოებების განხილვებს აწყობდნენ.

XIX ს-ის 30-იანი წლებიდან თბილისში შინაური წარმოდგენებიც იმართებოდა, ხოლო მომდევნო ათწლეულების განმავლობაში დაიწერა რამდენიმე ორიგინალური ქართული პიესა, ითარგმნა და „გაქართულდა“ დრამატული ნაწარმოებები. ამ საქმეში დიდი როლი მიუძღვით: ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მირიან, თეიმურაზ, იოანე ბატონიშვილებს, დიმიტრი ყიფიანს, დავით ფურცელაძეს. 40-50-იან წლებში დაიწერა გიორგი ერისთავის დრამატული ნაწარმოებები „დავა“, „ძუნწი“, „გაყრა“. 1850 წელს მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის ნებართვითა და დრამატურგ გიორგი ერისთავის დიდი ძალისხმევით, თბილისში დაარსდა **ქართული პროფესიული თეატრი**. მისი დაფინანსება ვორონცოვმა ხაზინას დააკისრა და მსახიობებს ხელფასებიც დაუნიშნეს. გიორგი ერისთავი თეატრალური დასის ჩამოყალიბებას შეუდგა. ქართული სპექტაკლების ცენზორად პლატონ იოსელიანი დაინიშნა.

> **წყარო 8** **მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მოხსენებითი ბარათი რუსეთის იმპერატორს:**
>
> 1850 წლის დასაწყისში თბილისის საუკეთესო საზოგადოების წევრებიდან მოვახდინე პირველი ცდა ქართული წარმოდგენებისა. ამ ცდამ დიდი წარმატებით ჩაიარა და დაგვანახა მუდმივი ქართული წარმოდგენების გამართვის შესაძლებლობა: გამოჩნდნენ არტისტები, შედგა დასი; დავიწყებას მიცემული მრავალი ძვირფასი ადგილობრივი სიტყვიერების ნაწარმოები აღორძინდა და გავიდა სცენაზე; ამ ნაწარმოებებში ჩართულია თანამედროვე თაობის საყოფაცხოვრებო ჩვეულებანი; ქართული ლიტერატურა გამოცოცხლდა, წიგნის ბეჭდვა აცნობს მას ხალხს და მე ვიმედოვნებ, რომ თქვენი იმპერატორული უდიდებულესობა ინებებთ დამერწმუნოთ, რომ ასეთ შედეგს შეუძლია, იქონიოს უდიდესი კეთილი გავლენა მეცნიერებისა და გემოვნების განვითარებაზე, ზნე-ჩვეულებაზე და ადგილობრივი მოსახლეობის შეერთება-შეგუებაზე რუსეთთან.

- *რა მიზნებს ემსახურებოდა ვორონცოვის მიერ ქართულ თეატრზე ზრუნვა და სხვა მსგავსი კულტურული პროექტების მხარდაჭერა?*

წყარო თ **ქართული სათავადაზნაურო თეატრის მაყურებელთა დარბაზი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო**





გიორგი ერისთავი (1813-1864)
ქართველი დრამატურგი, პოეტი, ქართული თეატრის სულისჩამდგმელი.

წყარო ი **იონა მეუნარგია თეატრალური დასის შეკრების შესახებ:**

სად უნდა ეშოვა თეატრის მომავალ დირექტორს ქართული სცენისათვის საჭირო მსახიობები? განსაკუთრებით კი ქალი მსახიობები? მაშინ ჩვენი ქალები ჯერ კიდევ „დაკეტილებში“ ისხდნენ და ვინ იქნებოდა ისეთი გულადი, რომ თავისი ასული თეატრში გაეშვა და მამაპაპური ლეჩაქი *„აქტრისის“* წოდებაზე გაეცვალა? ქალაქში აქტრისობა და უნამუსობა სინონიმებად მიაჩნდათ და მშობლის მოციქულებრივი თავგანწირულება ძნელადღა იყო მოსალოდნელი. მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა, გიორგი ერისთავმა გორისა და გორის მიმდებარე სოფლების აზნაურთა წრეებში მაინც აღმოაჩინა სცენისმოყვარეთა ოჯახები და ორ-სამ თვეში მშვენიერი დასი შეკრიბა.
შენიშვნა: აქტრისა *(ფრანგ. მოძველებული სიტყვა) – მსახიობი ქალი.*

- *შენი აზრით, გარდა წყაროში ჩამოთვლილი წინაღობებისა, კიდევ რა დაბრკოლებებს შეხვდებოდა გიორგი ერისთავი თეატრალური დასის და, ზოგადად, თეატრის დაარსების საქმეში? პასუხი დაასაბუთე.*

სწორედ გიორგი ერისთავის მიერ შეკრებილმა დასმა თბილისის ვაჟთა გიმნაზიის სააქტო დარბაზში წარმოადგინა გიორგი ერისთავისვე დაწერილი კომედია „გაყრა“, 1850 წლის 2 (14) იანვარს. ეს თარიღი მიჩნეულია ქართული თეატრიის დაარსების დღედ.

წყარო კ **XIX ს-ის ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ სპექტაკლის შესახებ წერდა:**

... თეატრი სავსე იყო, საზოგადოება მიდიოდა საქართველოში ჯერ არარსებული მოვლენის საცქერად. ახირებული და უსამართლო იქნებოდა, რასაკვირველია, გაკრიტიკება იმ მსახიობთა თამაშისა, რომელთაც იქნებ არასდროს უნახავთ თეატრი, მსახიობთა თამაში და რამდენიმე თვის წინათ სცენის არსებობის შესახებ არა იცოდნენ რა. რამდენი ტაქტიანობა, მოხერხებულობა და მომთმენი ნებისყოფა იყო საჭირო, რომ პროვინციელი ქართველი ქალი, რომელიც ყოველი მამაკაცის შეხვედრისას სახეს იფარავდა, აემოძრავებინა, ნებაყოფლობით ესწავლა, შეესწავლა როლი და შემდეგ დაეთანხმებინა მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე გამოსვლაზე. რაოდენი შრომა დაუჯდებოდა ეს გ. ერისთავს, ერთადერთ ავტორს ქართული კომედიებისა... პირველი ნაბიჯი გადადგმულია და, როგორც გვესმის, ეხლა უკვე ჩნდებიან მრავლად მსურველნი, ქალნი თუ კაცნი, შევიდნენ ქართველ მსახიობთა დასში.

თბილისის კულტურული ცხოვრების გამდიდრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფისნაცვალ ვორონცოვის ახალ ინიციატივას საოპერო თეატრის დაარსების შესახებ. 1851 წელს საგანგებოდ მოწვეულმა იტალიურმა დასმა პირველი წარმოდგენა გამართა. მართალია, თავდაპირველად ეჭვობდნენ, რომ საოპერო წარმოდგენას ხალხი არ დაესწრებოდა,

მაგრამ სრულიად საპირისპირო რამ მოხდა: ოპერამ იმხელა ინტერესი გამოიწვია, რომ დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა. 1852 წელს გაზეთი „კავკაზი“ იუწყებოდა, რომ თბილისის ქუჩებიდან და ბაზრებიდან განუწყვეტლივ ისმოდა საოპერო არიების სიმღერა. ოპერა ქალაქის მოსახლეობისთვის მიზიდულობის ცენტრად იქცა.

მიუხედავად მიხეილ ვორონცოვის „მეგობრული“ დამოკიდებულებისა ქართულ თეატრთან, მომდევნო ადმინისტრაციების დროს ქართული თეატრი რთულ ვითარებაში ჩავარდა. ერთი, რომ თეატრს ფინანსურად საკუთარი თავის შენახვა უჭირდა და მეორე, გართულდა ცენზურის გავლის პროცედურები. კავკასიის მეფისნაცვალმა ნიკოლაი მურავიოვმა საჭიროდ მიიჩნია, რომ ქართულ თეატრში წარსადგენი პიესები პეტერბურგში, რუსეთის იმპერატორის პირადი კანცელარიის *მესამე განყოფილებაში* უნდა განეხილათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ პიესები ქართულიდან რუსულად უნდა ეთარგმნათ და ისე წარედგინათ პეტერბურგში. 1855-1856 წლების სეზონისთვის ივანე კერესელიძემ 27 პიესა თარგმნა. პრობლემას ქმნიდა თეატრის შენობაც, რომელიც სამეფისნაცვლო სამოქალაქო საქმეების გამგებელმა გენერალმა ვასილ ბებუთოვმა რუსულ დასს გადასცა 2 წლის ვადით სარგებლობაში.

შენიშვნა: მესამე განყოფილება *– რუსეთის იმპერიის პოლიტიკური პოლიციის უმაღლესი ორგანო.*

- *როგორ ახასიათებს თბილისის საზოგადოებას საოპერო ხელოვნების ამგვარი წარმატება?*

წყარო ლ ქართული თეატრის მდგომარეობა გააუარესა რუსულმა დასმა, საიდანაც კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორთან შემდეგი დასმენა გაიგზავნა:

ხელოვნების თვალსაზრისით ქართული დასი ხსენებადაც არ ღირს და საწყენი იქნებოდა თეატრის დასახმარებლად გადადებული თანხებიდან მის შესანახად თუნდაც ერთი გროშის გაღება. ქართული თეატრის ისტორია, როგორც ცნობილია, მეტად სამწუხაროა. დასის პირველი შემადგენლობა შერჩეულია ველურებიდან. სამი ან ოთხი პიესა, რომლებსაც ისინი თამაშობენ, ვერ უძლებს თვით ყველაზე მიკერძოებულ ლიტერატურულ კრიტიკასაც კი.

- *ჩამოაყალიბე: რა მნიშვნელობა ექნებოდა ოპერისა და თეატრის აქტიურ არსებობას საზოგადოების განვითარებისთვის?*



ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 იანვარს 1901 წელს

ა. მ. პარგარელის სასგენეფისოდ

ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

ურიელ აკოსტა

ტრაგედია ნ მოქმედ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძის-მიერ

მოქმედნი პირნი:

მონასე ვან-დერსტ სტატენ, მეცილარი
ამსტ. ვაჭარი . . . . . ბ. გედევანოვი
ივდითი, ამისი ქალი . . . . . ქ. კარგარელი
ბენ-იოხაი, ივდითის საქმრო . . . . ს. მირიანაშვილი.
დე-სილვა, ექიმი-ი, ივდითის ბიძა . ვ. გამყრელიძე
ბენ-აკიბა, რაბინი . . . . . ქ. მესხი
ურიელ აკოსტა . . . . . ვ. ალექსი-მესხიშვილი
ესთერი, ურიელის დედა . . . . ქ. ჩერქეზიშვილისა
რუბენ | ურიელის ძმები . . . . ქ. მდივანი.
იეველ | . . . . ქ. გარელი
დე-სანტორი | რაბინები . . . . ე. კანდელაკი.
ვან-დერ-ენდენი | . . . . ვ. ურუშაძე
სვიმონ, მონისეს მოსამსახურე . . ბ. იორდანაშვილი

სტუმრები, ხალხი და სხვანი.

დასაწყისი 8 საღამოს სათხე.

მზადდება წარმოსადგენად „იანიჩარი“, „მადამ სანჟენ“, „ციხის პატიმარი“.

წყარო მ თეატრალური აფიშა „ქართული თეატრის სეზონი, 1892“

- *რატომ იყო აფიშაზე დაბეჭდილი სპექტაკლის ჩვენების დრო?*
- *იმსჯელე, ახალი დროისგან განსხვავებით, რატომ არ იყო ძველ დროში ყოველდღიური ყოფა რეგლამენტირებული ზუსტი დროით?*



წყარო 6 **თბილისის ოპერა. გრავიურა, დაახლ. 1851-1874**

ოპერა განთავსებული იყო ახლანდელ თავისუფლების მოედანზე არსებულ საქართველოში მცხოვრები სომეხი ვაჭრის გაბრიელ თამამშევის ***ქარვასლაში****. თეატრ-ქარვასლამ მხოლოდ 23 წელს იარსება, 1874 წელს ის მთლიანად დაიწვა.*

ქარვასლა (სპარს. ქარევან – ქარავანი და თურქ. სარაი – სასახლე) – აზიის ქვეყნებში ვაჭართა ქარავნების სადგომი ადგილი. ქალაქებში მას სასტუმრო და სავაჭრო ფუნქცია ჰქონდა.

ცნობა 3 **ახალი დროის შემოსვლას უკავშირდება თბილისში აფთიაქების მომრავლებაც. ამონარიდი ოთარ ჯანელიძისა და ალექსანდრე დაუშვილის წიგნიდან „საქმიანი საქართველო 1801-1921“:**

სანამ თბილისში აფთიაქების ქსელი გაჩნდებოდა, მედიკამენტებს შეითან ბაზარში, ვორონცოვის ქუჩასა და თათრის მეიდანთან „მეწვრილმანეები“ ყიდდნენ. 1870 წლისათვის საქართველოში უკვე 23 აფთიაქი ფუნქციონირებდა. ამავე დროიდან თბილისში გაიხსნა სამკურნალო დაწესებულებებიც (მიხეილის სამკურნალო, სამხედრო ჰოსპიტალი, არამიანცის საავადმყოფო...) და ამოქმედდნენ კერძო სამედიცინო ობიექტებიც. XX საუკუნის დასაწყისისთვის პაციენტებს თბილისში 4 საავადმყოფო, ხოლო ათიოდე წლის შემდეგ სხვადასხვა სპეციალიზაციის 260 ექიმი ემსახურებოდა. მაგრამ პროფესიონალური მკურნალობა „ძვირი სიამოვნება“ იყო და მოსახლეობის უმეტესობას მასზე ხელი არ მიუწვდებოდა... არასაკმარისი და დაბალი ხარისხისა იყო, მაგრამ არსებობდა ღარიბი მოსახლეობისთვის განკუთვნილი უფასო სამედიცინო სერვისიც – ექიმის კონსულტაციითა და მედიკამენტების სახით, რაზეც ქალაქის თვითმმართველობა ზრუნავდა.



წყარო 7 **პირველი გილდიის ვაჭრის, გერმანელი ევგენი ზემელის ცნობილი აფთიაქი, რომელიც მდებარეობდა დღევანდელი რესპუბლიკის მოედნისა და კოსტავას ქუჩის კუთხეში. შენობა დღეს აღარ არსებობს.**



წყარო პ სასტუმრო „ორიანტი“ გოლოვინის პროსპექტზე, XIX ს-ის ფოტო

წყარო ჟ **ხელოვნებათმცოდნე დავით ხოშტარია თბილისური სასტუმროების შესახებ, წიგნიდან „ძველი თბილისის სასტუმროები“:**

თბილისური სასტუმროების ისტორია ერთი იმ ხიდთაგანია, რომლებიც საქართველოს ისტორიას ევროპის ისტორიასთან აკავშირებს. სასტუმრო, როგორც ეკონომიკური, სოციალური და არქიტექტურული ფენომენი, ახალმა დრომ (Modernity) მოიტანა და, შესაბამისად, ის იყო ამ ახალი დროის მონაბერი ბევრი სიახლის მიკროსამყარო. სასტუმრო წარმოადგენდა ადგილობრივი თემისა და მის გარეთ არსებული უფრო დიდი საზოგადოების შეხვედრის ადგილს, სივრცეს, რომელიც, ერთი მხრივ, ცხადად აჩენდა განსხვავებას შინაურსა და გარეულს, „მე“-სა და უცხოს შორის და, მეორე მხრივ, ხელს უწყობდა მათ დაახლოებას.

XIX ს-ის დასაწყისში მთელი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე და მათ შორის საქართველოშიც სასტუმროების მომრავლება დაიწყო. საქართველოში მათ, უმეტესად, არაქართველები ფლობდნენ. პირველი სასტუმრო 1818 წელს გახსნა ფრანგმა ჯარისკაცმა, ჟან პოლმა (ახლანდელ ალექსანდრე დიუმას ქუჩაზე). რესტორანთან ერთად აქ გასაქირავებელი ოთახებიც იყო. ჟან პოლის ტრაქტირს ბევრი გამოჩენილი პირი სტუმრობდა.

ეტაპობრივად, უცხოელ ვიზიტორთა ზრდის პარალელურად, სასტუმროების რიცხვმაც იმატა. მიუხედავად ამისა, მათი უმეტესობა კრიტიკას ვერ უძლებდა და ხშირად ჰიგიენის ნორმებიც კი დარღვეული იყო, სხვადასხვა სახის კომფორტზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

წყარო რ **ამერიკელი მისიონერის, ელი სმითის, მოგონება ანტუან მატასის სასტუმროზე (ამონარიდი დავით ხოშტარიას წიგნიდან „ძველი თბილისის სასტუმროები“):**

[შესასვლელის] ჭუჭყიანი იატაკი, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს წყალი არასოდეს შეხებიაო, დიდი ვერაფერი იმედისმომცემი წინაპირობა იყო დანარჩენი კომფორტისა; მაგრამ უკიდურესმა დაღლილობამ და გვიანმა საათმა გვაფიქრებინა, რომ ლოგინები უკეთესი იქნებოდა და გვიბიძგა, მალე გამოგვეცადა ისინი... ჩემი ლოგინი უფრო ჭინჭრისას ჰგავდა, ვიდრე ბუმბულისას. სისხლს მოწყურებული მტრების მთელი არმია მიტევდა ყველა დაუცველ წერტილში და მაშინვე მაიძულა მომეძებნა ადგილი იატაკის შუაგულში, ერთადერთ უსაფრთხო ადგილას. ჩვენი ოთახები, ფაქტობრივად, საცხოვრებლად სრულიად უვარგისი გამოდგა და იძულებულნი გავხდით, ახალი ბინა გვეძებნა.

მსგავსი პრობლემების გამო ის სტუმრები, რომლებსაც მეტ-ნაკლები შეძლება გააჩნდათ, არა სასტუმროებში, არამედ კერძო ბინებში ჩერდებოდნენ. კერძო ბინების გარდა, არსებობდა ქარვასლებში მოწყობილი სასტუმრო ოთახები. მათ იმ პერიოდის შეძლებული ადამიანები ფლობდნენ და აქირავებდნენ, მათ შორის ზუბალაშვილები და სარაჯიშვილი. ქარვასლებში, ძირითადად, ვაჭრები ჩერდებოდნენ.

1. იმსჯელე, რა გარემოებებში განიცდის ტრადიციული საზოგადოებრივი წარმოდგენები რღვევას? რამდენად სასარგებლოა საზოგადოებისათვის ასეთი ცვლილებები?
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის მე-10 სავარჯიშო საქართველოში ახალი დროის შემოსვლის ინდიკატორების შესახებ.

60 რა სახით მონაწილეობდა საქართველო რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის ომებში?

XIX ს-ში რუსეთის იმპერიამ ოსმალეთთან – ოთხი, ხოლო ირანთან ორი ომი გადაიხადა, პარალელურად კი ქართული სამთავროების დაპყრობის საქმე ბოლომდე მიიყვანა. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, რა ადგილი ეკავათ საქართველოსა და ქართველებს ამ ომებში.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთის იმპერია გეგმაზომიერად შეუდგა კავკასიის პოლიტიკური ერთეულების „შეერთებას“. ამისთვის მას დასჭირდა, ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგობები დაეძლია. წარმოებული ომების შედეგად რუსეთის იმპერიამ საქართველოს ისტორიული ოლქები შეიერთა. ამის გამო ქართველობა თანაუგრძნობდა რუსეთს და ამ ომებში მის მხარდამხარ იბრძოდა.

● *შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის ოსმალეთსა და ირანთან რუსეთის გამარჯვებას?*

ცნობა 1 რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომები და მათი შედეგები

• **1804-1813 წლების რუსეთ-ირანის ომი** – 1804 წლის მაისში ირანმა რუსეთის იმპერიას კავკასიიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვა. რუსეთმა ირანს თავდასხმა დაასწრო და ამიერკავკასიის მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა თავად შეუტია ირანის ჩრდილოეთ ტერიტორიებს. ირანმა ვერ შეძლო, გამოეყენებინა რუსეთის რთული საგარეო მდგომარეობა (1806 წელს დაიწყო ომი ოსმალეთთან, 1808 წელს – შვედეთთან, 1812 წელს რუსეთში შეიჭრა ნაპოლეონ ბონაპარტი და იმავე წელს აჯანყდა კახეთი). ომი **გულისტანის ზავით** დასრულდა. ირანმა ცნო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარება. იმპერიის ხელში გადავიდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოები (ყარაბაღი, განჯა, შირვანი, შაქი, ბაქო, დარუბანდი, ყუბა, თალიში) და დაღესტანი; გარდა ამისა, საქართველოს ისტორიული ტერიტორია – *საინგილო* ანუ ჭარ-ბელაქანი.

• **1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი** – ეს ომი **ბუქარესტის ზავით** დასრულდა – რუსეთის იმპერიამ მიიღო სოხუმი და მდინარე ხობის შესართავთან მდებარე რედუტ-კალე (ყულევი), აგრეთვე, ამ ორ პუნქტს შორის მოქცეული შავი ზღვის სანაპირო. მთავარი მიღწევა მაინც ის იყო, რომ ოსმალეთმა ცნო ქართლ-კახეთისა და დასავლურ-ქართული სამთავროების გადასვლა რუსეთის ხელში. სანაცვლოდ ოსმალეთს დაუბრუნდა რუსების მიერ ომის დროს დაკავებული ანაპა, ფოთი და ახალქალაქი.

• **1826-1828 წლების რუსეთ-ირანის ომი** – დასრულდა **თურქმენჩაის ზავით**. ზავის თანახმად, ირანს დაეკისრა 20 მლნ მანეთის კონტრიბუცია. ირანმა დაადასტურა გულისტანის ზავი. ამ ომის მთავარი შედეგი ის იყო, რომ ირანმა საბოლოოდ აიღო ხელი აღმოსავლეთ კავკასიაზე. ამ ომის შედეგად რუსეთის ხელში გადავიდა ერევნისა და ნახჭევანის სახანოებიც. კავკასიისთვის ბრძოლაში რუსეთის ერთადერთ მოწინააღმდეგედ ოსმალეთის იმპერია რჩებოდა.

• **1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი** – რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომის დამთავრებიდან მალევე რუსეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა. ამ ომს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, ვინაიდან უმთავრესი შეტაკებები ქართულ ისტორიულ მიწებზე მიმდინარეობდა. ომი **ადრიანოპოლის ზავით** დასრულდა – რუსეთის იმპერიამ მიიღო ფოთი, ახალციხისა და ახალქალაქის მხარეები.

შენიშვნა: საინგილო – *საქართველოს ისტორიული მხარე ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შედიოდა ჰერეთის შემადგენლობაში (ყოფილი ელისენი); ტერმინი საინგლიო XIX ს-ში დამკვიდრდა ინგილოებით, ანუ გამუსლიმებული ქართველებით დასახლებული ტერიტორიის აღსანიშნავად. ამჟამად აზერბაიჯანის შემადგენლობაშია. მოიცავს კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებს.*

წყარო ა რუსეთ-ირანის ომები სამხრეთ კავკასიისთვის XIX ს-ის I მესამედში





წყარო ბ ახალციხის ბრძოლა (რუსეთ-ოსმალეთის ომის ერთ-ერთი ეპიზოდი, 1828), იანუარი სუხოდოლსკი, 1839, არტილერიის, საინჟინრო ჯარებისა და კავშირგაბმულობის ჯარების სამხედრო ისტორიული მუზეუმი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი

● *შეაფასე რუსეთის სამხედრო წარმატებები – რა გეოპოლიტიკური ამოცანები გადაჭრა რუსეთმა ამ ომებში გამარჯვებით?*

წყარო გ XX ს-ის ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი სამცხე-ჯავახეთის მუსლიმი მოსახლეობისადმი რუსეთის იმპერიის დამოკიდებულების შესახებ:

უკვე 1828 წლიდან მოყოლებული, როდესაც ქართველი *მაჰმადიანებით* დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და *პალაკაციო* რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველ-მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამშობლოდან აყრა და ოსმალეთში გადასახლება არჩიეს, *გრაფმა პასკევიჩმა* ქართველებს ლიხთიმერეთიდან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოსულ სომეხთაგან 30 ათასი მცხო-

ვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 95%-ს აღემატებოდა, 1832 წელს უკვე რუს მოხელეთა წყალობით უმრავლესობად სომხები იქცნენ.

შენიშვნები: მაჰმადიანები *– იგივე მუსლიმები.*

პალაკაციო *– მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. დღეს თურქეთის ტერიტორია.*

გრაფი პასკევიჩი *– გრაფი ივანე პასკევიჩი (1782–1856), რუსი სამხედრო, გენერალი. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს იყო კავკასიის ჯარების მთავარსარდალი.*

- *როგორ გადაამოწმებ, რამდენად ობიექტურია ისტორიკოსი რაიმე ისტორიული მოვლენის შეფასებისას?*
- *იმსჯელეთ კლასში – თანამედროვე ისტორიკოსი მკვლევარი მხოლოდ ნეიტრალურად უნდა აღწერდეს ისტორიას თუ ის თავის დამოკიდებულებასაც უნდა ავლენდეს ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ან ისტორიული პირის მიმართ?*
- *რუსეთის მიერ გატარებული რა პოლიტიკის შედეგია წყაროში გადმოცემული მოვლენები?*
- *შენი აზრით, რა პრობლემები უნდა შექმნოდა მესხეთის მუსლიმ მოსახლეობას რუსეთის ხელისუფლებისგან?*
- *გაიხსენე წინა გაკვეთილი, რა მიზანს ისახავდა უცხოელთა ჩასახლება სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე?*

წყარო დ რუსეთ-ოსმალეთის 1828-29 წლების ომი და სამცხე-ჯავახეთის დაბრუნება



- *გაიხსენე განვლილი გაკვეთილებიდან, როგორ აღმოჩნდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში?*
- *რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად XIX ს-ის პირველ მესამედში საქართველოს რომელი ისტორიული მიწები მიიერთა რუსეთის იმპერიამ?*

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომი პირდაპირ უკავშირდება გურიის სამთავროს გაუქმებას.

გურიის (ისევე, როგორც აფხაზეთის) სამთავროს შემთხვევაში, რუსეთი სწორედ ოსმალეთის ფაქტორს ითვალისწინებდა. 1811 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაადასტურა გურიის სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა. ხელშეკრულებით, გურია ფორმალურად ავტონომიურ სამთავროდ რჩებოდა, თუმცა მთავრის უფლებები ძალიან შეიზღუდა.

ცარიზმი გურიის მთავრებს ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს, ვინაიდან გურია პირდაპირ ესაზღვრებოდა „ბრწყინვალე პორტას“ და რუსეთს სურდა, ღალატის ნებისმიერი მცდელობა აღეკვეთა.

1821 წელს, დასავლეთ საქართველოს ავჯანყების ჩახშობის შემდეგ, მთავარმართებელ ალექსეი ერმოლოვის განკარგულებით, რუსეთის მთავრობამ გურიის ტერიტორიის (მოსახლეობიანად) მნიშვნელოვანი ნაწილის მითვისება სცადა, რაც 1811 წლის ხელშეკრულების პირდაპირი დარღვევა იყო. გურიის მთავარმა, **მამია V გურიელმა** თვით ერმოლოვს მიმართა პროტესტით. მისი დაჟინებული მოთხოვნისა და საგარეო-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა, უკან დაეხია და მიღებული გადაწყვეტილებები გაეუქმებინა.

1826 წელს მამია გურიელი გარდაიცვალა. მემკვიდრე დავით გურიელის მცირეწლოვნობის გამო გურიის მართვას ქვრივი დედოფალი სოფიო შეუდგა. იგი მიხვდა, რომ რუსეთს საქმე გურიის სამთავროს გაუქმებისაკენ მიჰყავდა და გადაწყვიტა, სამთავრო ოსმალეთის მფარველობაში შეეყვანა.

1828 წლის აპრილში დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის საომარი მოქმედებები გურიის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა. რუსულმა ჯარმა გურია დაიკავა, დედოფალი სოფიო კი მემკვიდრე დავითთან ერთად ოსმალეთში გაიქცა. გურიაში დროებითი მმართველობა დამყარდა, რომელსაც სათავეში ვიცე-პოლკოვნიკი კულიაბკო და ორი ადგილობრივი თავადი ჩაუდგნენ. დროებითი მთავრობა დავით გურიელის სრულწლოვანებამდე მისი სახელით მოქმედებდა. 1830 წლის იანვარში, როდესაც დავით გურიელმა სამშობლოში დაბრუნებაზე უარი განაცხადა, იმპერატორმა **ნიკოლოზ I-მა** (1825-1855) მას მთავრის უფლებები ჩამოართვა და გურია, ფაქტობრივად, სრულად შეუერთდა რუსეთის იმპერიას.

წყარო 3 რუსეთის ელჩი ირანში ალექსანდრე გრიბოედოვი (1795-1829) რუსეთის მიერ წარმოებული ომების შედეგების შესახებ საქართველოსთვის:

მარტო 1825 წლიდან 1828 წლამდე საქართველომ პურით, *სასაპალნე* და გამწევი პირუტყვით, გადამრეკებით და სხვ., მეტი დახარჯა თავისი ქონებიდან, ვიდრე ამის გაკეთებას შეძლებდა რუსეთის ყველაზე აყვავებული ოლქი, მაშინ როცა მოსახლეობითა და სიდიდით იგი ველიკორუსული გუბერნიის მხოლოდ სამ მაზრას უდრის.

შენიშვნა: საპალნე *– ტვირთი, რომელსაც ჰკიდებენ ცხენს, ვირს, აქლემს და ა. შ.*

- *შენი აზრით, რა სირთულეებს შეუქმნიდა ომები დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას?*

ყირიმის ომი და საქართველო

XIX ს-ის 50-იან წლებში შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთის საიმპერატორო კარმა მიიჩნია, რომ ოსმალეთის დამარცხებასა და მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოერთებას შეძლებდა. განსაკუთრებული ყურადღება ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისადმი იყო მიპყრობილი – მათი ხელში ჩაგდებით რუსეთი შეძლებდა, სრულად ჩაეკეტა შავი ზღვა უცხოური გემებისთვის. აქედან გამომდინარე, თავდაპირველად კავკასიის ფრონტს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. აქ რუსული ჯარი მცირე რაოდენობით იყო და ომში აქტიური მონაწილეობა ქართულ სახალხო ლაშქარს უწევდა.

ყირიმის ომი 1853 წელს, რუსული ფლოტისა და არმიის გამარჯვებებით დაიწყო.



წყარო 3 **„სინოპის ბრძოლა“, ივან აივაზოვსკი, 1853, ცენტრალური სამხედრო-საზღვაო მუზეუმი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი**

1853 წლის 30 ნოემბერს გამართული საზღვაო ბრძოლა რუსული ფლოტის გამარჯვებით დასრულდა.

რუსეთის წარმატებებით შეშფოთებული ინგლისი და საფრანგეთი 1854 წლიდან ომში ჩაერთვნენ ოსმალეთის მხარეს, რამაც შეასუსტა რუსეთის პოზიციები ყირიმის ნახევარკუნძულზე. რუსეთისადმი მტრული პოზიცია დაიკავა ავსტრიამაც, რამაც რუსეთის მდგომარეობის გართულება გამოიწვია კონტინენტური ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში. ამის გამო ოსმალეთი სამხრეთ კავკასიაში გააქტიურდა და მისი ჯარი ზუგდიდშიც კი შევიდა. რუსულმა ჯარებმა დატოვეს აფხაზეთი და განაგრძეს უკან დახევა.

1854 წლის გაზაფხულზე ოსმალეთმა რუსებისგან მიტოვებულ სიმაგრეებში (უმთავრესად, აფხაზეთის ტერიტორიაზე) ძლიერი დესანტი გადასხა. ასეთ ვითარებაში გურიის რაზმის მეთაურმა, გენერალმა **ივანე ანდრონიკაშვილმა** ოზურგეთში გაჩერება მიზანშეუწონლად მიიჩნია და მდინარე რიონისკენ დაიხია. ოსმალებმა ოზურგეთი მალევე დაიკავეს.

ოსმალეთის 12-ათასიანი რაზმი მდინარე სუფსაზე გადავიდა და ლანჩხუთის ხეობით სოფელ ნიგოითისკენ გაემართა. ოსმალთა რაზმს ქობულეთელი ბეგი **ჰასან თავდგირიძე** მეთაურობდა. სოფელ ნიგოითთან ქუთაისისკენ მიმავალ გზას პოლკოვნიკი **ნიკოლოზ ერისთავი** იცავდა. მის განკარგულებაში იყო რუსთა მცირე რაზმი და სახალხო მოლაშქრეები. 1854 წლის მაისში სოფელ ნიგოითთან გამართულ ბრძოლებში ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ. ბრძოლაში დაიღუპა ჰასან-ბეგ თავდგირიძეც. ოსმალებმა ოზურგეთი დატოვეს და მდინარე ჩოლოქზე გამაგრდნენ. გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა ჩოლოქთან ოსმალებს გენერალური ბრძოლა გაუმართა და მათი დამარცხება შეძლო. ამ გამარჯვებამ რუსეთს კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა შეუმსუბუქა. მალევე რუსულმა არმიამ ქ. ყარსი აიღო და ოსმალთა წინსვლა საბოლოოდ შეჩერდა.



წყარო 4 **ყირიმის ომის ერთ-ერთი ეპიზოდი: ოსმალეთის არმიის შეტევა შეკვეთილის ციხეზე, 1853, უცნობი მხატვრის გაფერადებული გრავიურა**

ნყარო 01 საომარი მოქმედებები შავი ზღვის რეგიონში ყირიმის ომის დროს, 1853-1856:

მოკავშირეების – ინგლისისა და საფრანგეთის – ჯარი ბევრად უკეთ იყო შეიარაღებული, ვიდრე რუსეთის სამხედრო ნაწილები. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ჯარების გადასხმის შემდეგ, მათმა ფლოტმა იერიში მიიტანა ყირიმის ნახევარკუნძულზე და შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროს სხვა პუნქტებზე. რუსეთის ფლოტი და ჯარი დამარცხდა. მოკავშირეებმა დაიკავეს სევასტოპოლი და ყირიმის სამხრეთი ნაწილი.



- *ამავე გაკვეთილის წინა რუკებსა და ამ რუკაზე დაკვირვებით გაარკვიე, რუსეთის იმპერიის რომელი მიწები გადაეცა სხვა სახელმწიფოებს 1856 წლის პარიზის ტრაქტატით?*

საბოლოოდ, ყირიმის ომი **პარიზის ზავით** (1856 წ. 30 მარტი) დასრულდა. ომში დამარცხებულმა რუსეთმა ყარსის ციხესიმაგრე ოსმალეთს დაუთმო, სამაგიეროდ, უკან დაიბრუნა ყირიმის ნახევარკუნძული ზავის პირობებითვე, ოსმალურმა ჯარმა დატოვა აფხაზეთისა და სამეგრელოს ტერიტორიები.

- *რა შედეგები მოუტანა ყირიმის ომმა საქართველოს?*

სამეგრელოს სამთავროს გაუქმება

დასავლეთ საქართველოსა და რუსეთის იმპერიის დადებითი ურთიერთობა 1853 წლიდან იცვლება, როდესაც სამეგრელოს ტახტზე **ეკატერინე ჭავჭავაძე** ადის და ყირიმის ომი იწყება.



ეკატერინე ჭავჭავაძე (1816-1882)

სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი. პოეტისა და რუსეთის არმიის გენერლის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული. დიდი პატივით მიიწვიეს ალექსანდრე II-ის მეფედ კურთხევის ცერემონიაზე 1856 წელს. ეკატერინე ჭავჭავაძემ შემოგვინახა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებისა და პოემა „ბედი ქართლისას“ ხელნაწერი რვეული.

ყირიმის ომმა სამეგრელოს ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან დაამძიმა. დაზარალებულმა თავადაზნაურობამ დანაკლისის ანაზღაურება გლეხთა ექსპლუატაციის გაძლიერებით გადაწყვიტა. არაადამიანურმა პირობებმა აქაურ გლეხობას ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებისკენ უბიძგა. აჯანყებულთა საერთო რაოდენობამ ოცი ათას კაცს მიაღწია. 1857 წლის შემოდგომისთვის, მას შემდეგ, რაც სამეგრელოს ტერიტორიაზე დამატებითი ჯარები შეიყვანეს, რუსულმა ხელისუფლებამ აჯანყების ჩახშობა შეძლო.

დედოფალ ეკატერინეს შესთავაზეს, მთავრის ტახტის მემკვიდრის, ნიკოლოზ დადიანის სრულწლოვნებამდე, მისთვის სათანადო განათლების მიცემის მიზნით, რუსეთში გადასულიყო საცხოვრებლად. ნიკოლოზ დადიანის ტახტზე ასვლამდე სამეგრელოში შემოღებული იქნებოდა დროებითი მმართველობა. ეკატერინე ჭავჭავაძე იძულებული გახდა, დასთანხმებოდა ამ წინადადებას.



ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი (1847-1903)

დედის, ეკატერინე ჭავჭავაძის, გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით დიდი ქონება მიიღო. ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. 1885 წელს პირადი ბიბლიოთეკა უსასყიდლოდ გადასცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. გახსნა რამდენიმე კლინიკა და სკოლა, რომლებიც სამეგრელოს უქონელ მოსახლეობას ემსახურებოდა და ხელს უწყობდა ქართული ენის შენარჩუნებას, რადგან რეგიონში რუსული ენა სულ უფრო მეტად დომინირებდა.

მიუხედავად ამისა, 1867 წლამდე სამეგრელოს მთავრად ნიკოლოზ დადიანი მიიჩნეოდა. ერთი წლით ადრე იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ნიკოლოზ დადიანს დაჟინებით მოსთხოვა, უარი ეთქვა სამეგრელოს ტახტზე. სანაცვლოდ შესთავაზა ადგილი იმპერიის არისტოკრატიულ საზოგადოებაში და ტიტული „მისი ბრწყინვალება სამეგრელოს პრინცი“. 1867 წელს ნიკოლოზ დადიანი ამ წინადადებას დასთანხმდა და უარი თქვა მთავრის უფლებებზე. სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს.

სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების გაუქმება

სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, აღარ მოეცადა და სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროებიც რუსეთის შემადგენლობაში შეეყვანა. იმპერიის პოლიტიკის მარტივად განხორციელებას თავად სვანები უწყობდნენ ხელს. სამთავროს მმართველი გვარის, **დადეშქელიანების** ორი შტო ერთმანეთს სამთავროს მმართველობისთვის უპირისპირდებოდა. რუსეთის მთავრობამ დადეშქელიანთა სამთავროს ორად გაყოფა ოფიციალურად ცნო და თითოეული ცალ-ცალკე მფლობელად აღიარა. 1857 წელს სვანეთის საშინაო საქმეების მოსაწესრიგებლად სამთავროს ტერიტორიაზე რუსული ჯარი შევიდა. იმავე წელს სიკვდილით დასაჯეს მთავარი **კონსტანტინე დადეშქელიანი**, რომელმაც ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი მთავრის რუსეთში გადასახლების გადაწყვეტილების გამო სასიკვდილოდ დაჭრა. 1859 წელს რუსული ხელისუფლების ზეწოლით სვანეთის მთავრის ტიტულზე უარი თქვა **თენგიზ დადეშქელიანმაც**. 1857 წელს ფაქტობრივად გაუქმებული სვანეთის სამთავრო 1859 წელს იურიდიულადაც გაუქმდა.

რაც შეეხება აფხაზეთს, XIX ს-ის დასაწყისისთვის აფხაზეთის მოსახლეობა ორად იყო გაყოფილი – პროოსმალური და პრორუსული ორიენტაციის მომხრეებად. მიუხედავად პრორუსული ორიენტაციის გამარჯვებისა, რაც იმით გამოიხატა, რომ 1810 წლის ოქტომბერში აფხაზეთის მთავრად ქრისტიანი **გიორგი შარვაშიძე** გამოაცხადეს, აფხაზეთის ტერიტორიის შემოსაერთებლად იმპერიას, უპირველესად, ოსმალური გარნიზონები უნდა დაემარცხებინა, რომლებიც სტრატეგიულ ობიექტებზე იყვნენ განლაგებულნი.



გიორგი შარვაშიძე (1846-1918)

ბრწყინვალედ იცნობდა საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას, აფხაზეთის ისტორიასა და ფოლკლორს. წერდა, უმთავრესად, ქართულად, ასევე, აფხაზურად და რუსულად. იყო თერგდალეულების თანამოაზრე და მათთან ერთად იბრძოდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის, საერთო-ეროვნული ფასეულობების, ენისა და კულტურის გადარჩენა-განვითარებისთვის, ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის ფალსიფიკაციის ფაქტების გამოვლენისთვის. ამასთან, აქტიურად მოღვაწეობდა თეატრალურ სფეროში. 1881 წელს თბილისში დაიდგა მისი პიესა „მომაკვდავნი სურათნი“, 1915 წელს – „გიორგი მესამე“. აქვეყნებდა ლექსებს, პუბლიცისტურ წერილებსა და თეატრალურ რეცენზიებს.

ყირიმის ომის დროს აფხაზეთის სამთავრო რუსეთის ერთგული მოკავშირე იყო. ცხადია, რუსეთი დიდხანს არ მოითმენდა ამ სამთავროს გარეგნულ დამოუკიდებლობას, მით უმეტეს, რომ ამავე პერიოდში მიმდინარეობდა ომი ჩრდილოეთ კავკასიაში, **შამილის** აჯანყების ჩასახშობად.

შამილის ბრძოლა აფხაზებისთვის ერთგვარი იმედის ნაპერწკალი იყო, რომელიც მათ რწმენას მატებდა, რომ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას შეძლებდნენ, თუმცა სამეგრელოსა და სვანეთის სამთავროების გაუქმებამ აფხაზეთი იზოლაციაში მოაქცია და დამოუკიდებლობის შენარჩუნება გაურთულა. 1863 წელს **მიხეილ შარვაშიძემ** თხოვნით მიმართა რუსეთის ხელისუფლებას – მისი შვილი, მთავრის ტახტის მემკვიდრე გიორგი სოხუმში დაებრუნებინათ, რათა მართვა-გამგეობა მისთვის გადაებარებინათ. ამით მიხეილ შარვაშიძე მთავრის ხელისუფლების გახანგრძლივებას ცდილობდა. თუმცა რუსებმა გიორგი სოხუმში არ დააბრუნეს და 1864 წელს, კავკასიის მეფისნაცვალ **მიხეილ რომანოვის** ბრძანებით, მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთის სამთავროს ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს. 1866 წელს აფხაზეთში აჯანყებულებმა 20 წლის გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად გამოაცხადეს, მაგრამ აჯანყება მალე დამარცხდა და აფხაზეთის სამთავროც ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შეიყვანეს.

1. გაკვეთილის ტექსტისა და წყაროების მეშვეობით წერილობით ჩამოაყალიბე ამ ომების დადებითი და უარყოფითი შედეგები საქართველოსთვის.
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის 9.1 სავარჯიშო რუსეთის ომებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ.
3. შეასრულე მოსწავლის რვეულის 9.2 სავარჯიშო: შეადგინე რუკა სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგების შესახებ.

61 რა მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის ომს საქართველოსთვის?

წინა გაკვეთილებში ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიის პროცესს გაეცანი. როგორც იქ ითქვა, ეს პროცესი პირდაპირ უკავშირდებოდა საგარეო და საშინაო ფაქტორებს, ერთ-ერთი საკვანძო საკითხი კი იყო „კავკასიის ომი“ – რუსეთის იმპერიის ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიის საბოლოო დამორჩილებისთვის. ახლა სწორედ ამ მოვლენის შესახებ ვისაუბრებთ.

XVIII ს-ის პირველი ნახევრიდან რუსეთის იმპერიამ ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე, რომელთაგან ყველაზე ძლიერები და გავლენიანები ჩერქეზთა ტომები, ჩეჩნები და დაღესტნელები იყვნენ. ამ შეტევებმა სისტემატური ხასიათი ეკატერინე II-ის (იმპერატორი 1762-1796 წლებში) მმართველობის დროიდან მიიღო, თუმცა XIX ს-ის მეორე ნახევრამდე რუსეთის იმპერიამ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა საბოლოოდ მაინც ვერ დაიმორჩილა.

წყარო ა **ჩრდილოეთ კავკასია 1740-1760 წლებში**



საბრძოლო მოქმედებების გააქტიურება ჩრდილოეთ კავკასიაში

მას შემდეგ, რაც 1801-1829 წლებში რუსეთმა სამხრეთ კავკასია დაიპყრო და სპარსეთ-ოსმალეთთან რამდენიმე ომი გამართა, ის კავკასიის მთიანეთის დამორჩილებას შეუდგა. გამოიკვეთა მთიელთა წინააღმდეგობის ორი ძირითადი ცენტრი – ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში (ჩეჩნები და მთიანი დაღესტნის ტომები) და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში (ჩერქეზები, უბიხები და ზოგიერთი აფხაზური ტომი).

XIX ს-ის 20-იან წლებში ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო – **იმამათი**, რომლის სათავეში ადგილობრივ მუსლიმთა სულიერი წინამძღოლები – იმამები იდგნენ. კავკასიის ომის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩეჩნეთ-დაღესტნის მესამე იმამმა – **შამილმა**, რომელიც 25 წელი (1834-1859) მეთაურობდა მთიელი ხალხების ანტიკოლონიურ ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

მართალია, ჩრდილოეთ კავკასიაში ერთიანი სახელმწიფო არ შექმნილა, მაგრამ აქაური ხალხები და ტომები მოკავშირეობის საფუძველზე ეხმარებოდნენ ერთმანეთს რუსეთის იმპერიის ჯარებთან ბრძოლაში.

წყარო ბ **იმპერატორ ნიკოლოზ I-ის (1825-1855) წერილი კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდალ ივანე პასკევიჩს (1820-იანი წლების ბოლო):**

ერთი სახელოვანი საქმის დამთავრების შემდეგ (იგულისხმება ოსმალეთის დამარცხება) თქვენ გელით მეორე, ჩემი აზრით, არანაკლებ სახელოვანი, საერთო სარგებლიანობის თვალსაზრისით კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საქმე – მთიელი ხალხების საბოლოო დამორჩილება ან ურჩების ამოწყვეტა.

- *შენი აზრით, რატომ ანიჭებს იმპერატორი ნიკოლოზ I ასეთ დიდ მნიშვნელობას ჩრდილოკავკასიელი ხალხების საბოლოო დამორჩილებას?*



შამილი (1797-1871)

ჩრდილოკავკასიელი ხალხების ეროვნული გმირი. 25 წლის განმავლობაში ებრძოდა რუსეთის იმპერიის ჯარებს. 1859 წლიდან იმპერატორის ტყვეა. ეპყრობოდნენ დიდი პატივით და ცხოვრობდა საკმაოდ კარგად. გარდაიცვალა ქალაქ მედინაში (თანამედროვე საუდის არაბეთში).

წყარო გ **ამონარიდი პოლკოვნიკ მილიუტინის მიერ შედგენილი გამოცემიდან „ჩრდილოეთ დაღესტანში 1839 წლის საბრძოლო მოქმედებების აღწერა“, 1850:**

მიუხედავად უცილობელი დაღუპვისა, მთიელებს არაფრის დიდებით არ სურდათ დანებება და თავგადაკლულად იცავდნენ თავს: ქალები და ბავშვები, ქვებით ან ხანჯლებით ხელში, ხიშტებზე ეცმებოდნენ ან, სასოწარკვეთილები, ხრამში ხტებოდნენ. რთულია, აღწერო ამ საშინელი ფანატიკური ბრძოლის ყველა სცენა: დედები საკუთარი ხელებით კლავდნენ შვილებს, რათა ისინი რუსებს არ ჩაეგდოთ ხელში.

წყარო დ **გენერალ გრაბეს ანგარიშიდან გენერალ გოლოვინისადმი, 1839 წლის 24 აგვისტო:**

ბრძოლა იყო საშინელი (იგულისხმება ახულგოზე იერიში). ქალები მასში ყველაზე საქმიან მონაწილეობას იღებდნენ იარაღით ხელში. ბავშვები ქვებს აყრიდნენ მოიერიშე ჯარისკაცებს. ქალები ბავშვებით ხრამში ხტებოდნენ, რათა ტყვედ არ ჩავარდნილიყვნენ. დანდობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა... კაპიტულაციის შეთავაზებაზე შაშხანებიდან სროლითა და ხანჯლების დარტყმით პასუხობდნენ.

წყარო ე **„მთიელები აულს ტოვებენ რუსეთის ჯარის მოახლოებისას“, პეტრე გრუზინსკი, 1872, რუსული მუზეუმი, სანკტ-პეტერბურგი**



წყარო 3 **ახულგოს იერიში (1839 წლის 12 ივნისი – 22 აგვისტო), ფრანც რუბო, 1888, დაღესტნის ნატიფი ხელოვნების მუზეუმი, მაჰაჩყალა, რუსეთი**

კავკასიის ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო ეპიზოდი იყო შამილის გამაგრებული აულის – ახულგოს (ახლანდელი უნცუყულის რაიონი, დაღესტანი) – დასაუფლებლად რუსეთის იმპერიის არმიის მიერ 1839 წლის ივნის-აგვისტოში ჩატარებული სამხედრო ოპერაცია. თითქმის 80-დღიანი ალყისა და ხუთი იერიშის შემდეგ რუსეთის ჯარმა აული აიღო და დაანგრია, თუმცა შამილი გაიქცა და ბრძოლა არ შეუწყვეტია.

აული – კავკასიის მთიანი რეგიონების მცხოვრებთა ტრადიციული სოფელი. ჰქონდა თავდაცვითი დანიშნულება.



წყარო 6 **ბრძოლა რუსეთის იმპერიის ჯარებსა და ჩერქეზებს შორის დაღესტნის სოფ. ახატლასთან (1841 წლის 8 მაისი), გრიგორი გაგარინი, 1841, რუსული მუზეუმი, სანკტ-პეტერბურგი**



- *გაიხსენე წინა გაკვეთილები. სამხრეთ კავკასიის რომელ რეგიონში ჰქონდა გართულებული მდგომარეობა რუსეთის იმპერიას და რა გავლენა შეიძლება მოეხდინა ამ გარემოებას ჩრდილოკავკასიელებთან ბრძოლის მსვლელობაზე?*

როგორ გამოიყენა შამილმა ყირიმის ომი თავის სასარგებლოდ?

შამილი, ბუნებრივია, ყირიმის ომის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ეცდებოდა. იგივე სურდათ ოსმალეთსა და მის მოკავშირეებსაც – საფრანგეთსა და ინგლისს. ვნახოთ, როგორ განვითარდა მოვლენები კავკასიის ფრონტზე, ყირიმის ომის პარალელურად.

დასავლელი მოკავშირეებისა და ოსმალეთის ვარაუდი იმაზე იყო გათვლილი, რომ სამხრეთ კავკასიაში შამილი ზურგში დაარტყამდა რუსულ ჯარებს, რაც მათ თავიანთ ფრონტზე მდგომარეობას შეუმსუბუქებდა. ოსმალეთის სულთანმა შამილს „ჩერქეზული და ქართული არმიების გენერალსიმუსის“ წოდებაც კი მიანიჭა.

1855 წლიდან ოსმალეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით გააქტიურდნენ და ოზურგეთიც კი აიღეს. იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველოში ქართული და რუსული ჯარები გამალებით იბრძოდნენ *ასკერთა* წინააღმდეგ, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი კახეთში, შამილის რაზმები შემოიჭრნენ. მათ დაარბიეს ალაზნის მხარე, ტყვედ იგდეს მშვიდობიანი მოსახლეობა, გაძარცვეს წინანდალი და მალევე გაბრუნდნენ უკან. მცირე ხნის შემდეგ შამილის რაზმები ისევ შემოიჭრნენ საქართველოს საზღვრისპირა ადგილებში და ქვეყნის სიღრმეში შეჭრაც განიზრახეს, თუმცა, მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ჯარების მდგომარეობა დამძიმდა, შამილმა უკან დახევა გადაწყვიტა.

ასკერი – თურქი ჯარისკაცი.

წყარო 01 **ჰაჯი-ალი, „თვითმხილველის მონათხრობი შამილზე“, 1873:**

მე ვიყავი შამილთან მდივნად და ვაწარმოებდი ანგარიშს ყველა შემოსავლისა და გასავლის შესახებ. ყველაზე დიდ შემოსავალს შამილი დაღესტნის მაღალმთიანი სიმაგრეებიდან, ირიბიდან და ულუკალედან იღებდა, სადაც ***მუჰაჯირები*** ცხოვრობდნენ, რომლებიც საქართველოს პერიოდულად არბევდნენ, [ნადავლის] მეხუთედს კი შამილს აძლევდნენ.

ცნობა 1 **ვინ იყვნენ კავკასიელი მუჰაჯირები და რუსეთის რომელი გეგმის განხორციელებისას გაჩნდნენ ისინი?**

მუჰაჯირი არაბულად ემიგრანტს, გადასახლებულს ნიშნავს. 1864 წელს კავკასიის მთიელი ხალხების დამარცხების შემდეგ რუსეთის მთავრობა ადრე შემუშავებული გეგმის განხორციელებას შეუდგა. ის გულისხმობდა მთიელთა განდევნას მშობლიური მიწა-წყლიდან, განსაკუთრებით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან. ამ დროიდან მოყოლებული, 700 ათასამდე ჩერქეზი, უბიხი, აფხაზი, ჩეჩენი, დაღესტნელი და სხვა მთიელი აიძულეს, ოსმალეთში გადასულიყვნენ. სამშობლოდან 1864 წელს გადასახლებულ მუჰაჯირთა შორის აფხაზთა რაოდენობა 20 ათასს აღემატებოდა. დაახლოებით ამდენივე აფხაზი გადასახლდა ოსმალეთში 1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ხოლო 1877 წლის აჯანყების შემდეგ აფხაზეთი კიდევ 30-40 ათასმა ადამიანმა დატოვა. ივარაუდება, რომ ოსმალეთში გადასახლებული აფხაზებისა და აბაზების საერთო რაოდენობა 135 ათასი იყო. ამრიგად, რუსეთის აფხაზეთში გაბატონებისა და აფხაზთა შეიარაღებული წინააღმდეგობის შედეგი აფხაზური ეთნოსის დიდი ნაწილის სამშობლოდან გაძევება იყო. საზღვარგარეთის დღევანდელი აფხაზური *დიასპორა*, ძირითადად, XIX ს-ის მუჰაჯირთა შთამომავალია.

დიასპორა (ბერძნ. – გაფანტვა) – ერის ნაწილი, რომელიც მშობლიური ქვეყნის გარეთ გადასახლდა.

ყირიმის ომის პარიზის ზავით (1856 წლის 30 მარტი) დასრულებამ შამილი რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. ამ წლისთვის რუსეთის იმპერიის ჯარისკაცების რაოდენობამ კავკასიაში 356 ათასს მიაღწია, საიდანაც დაახლოებით 200 ათასი იმამათის წინააღმდეგ მოქმედებდა. ამას დაემატა ისიც, რომ, პარიზის ზავის პირობების თანახმად, ოსმალეთი ვეღარ შეძლებდა, ვერც პირდაპირ და ვერც ირიბად დახმარებოდა შამილს. რუსებმა თანდათანობით შეავიწროეს შამილი, ბოლოს კი დაღესტნის სოფელ ღუნიბში შემოარტყეს ალყა და უიმედო წინააღმდეგობის შემდეგ იგი ტყვედ დანებდა.

წყარო 0 იმამ შამილის შეხვედრა კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკისთან 1859 წელს, ალექსეი კივშენკო, 1880, სანკტ-პეტერბურგის სამხედრო-საზღვაო მუზეუმი, რუსეთი



იმამათის განადგურებისა და ჩეჩნეთისა და დაღესტნის დაპყრობის შემდეგ, რუსეთის სარდლობამ მთავარი ყურადღება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაზე გადაიტანა, სადაც კიდევ ხუთი წელი გრძელდებოდა აქტიური სამხედრო მოქმედებები. რუსებმა საქმე აქაც ბოლომდე მიიყვანეს. მთიელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა – სოფელი გბაადა (თანამედროვე კრასნაია პოლიანა) იმპერიის ჯარებმა 1864 წლის 21 მაისს დაიკავეს. ეს თარიღი კავკასიის ომის დასასრულად ითვლება.

კავკასიის ომის შედეგები

კავკასიის ომი ყველაზე ხანგრძლივი სამხედრო დაპირისპირება იყო რუსეთის იმპერიის ისტორიაში. მან უდიდესი მსხვერპლი და ზიანი მოუტანა როგორც კავკასიის მთიელ ხალხებს, ისე თვით რუსეთს. მთელი ომის განმავლობაში იმპერიამ ასობით ათასი ჯარისკაცი დაკარგა, ომის დასკვნით ეტაპზე კი რუსეთის იმპერია კავკასიაში სამხედრო მოქმედებებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ მესამედს ხარჯავდა.

კავკასიის ომის დასრულების შემდეგ ასობით ათასმა მთიელმა გადაწყვიტა, სამშობლოდან წასულიყვნენ, რათა რუსეთის მორჩილებაში არ აღმოჩენილიყვნენ. მათ გადასახლება დაიწყეს ოსმალეთის იმპერიაში, რომლის მესვეურებს იმედი ჰქონდათ, რომ ბრძოლებში გამოცდილი კავკასიელებისგან ძლიერ სამხედრო რაზმებს ჩამოაყალიბებდნენ. ოსმალეთში გადასახლდა ასობით ათასი ჩერქეზი, უბიხი, აფხაზი, ჩეჩენი, დაღესტნელი და სხვა მთიელი. მთლიანობაში ოსმალეთში გადასახლებული მუჰაჯირი აფხაზების რაოდენობამ 80 000-ს გადააჭარბა. მართალია, გადასახლებულთა ნაწილი (დაახლ. 15 000 კაცი) მალევე უკან დაბრუნდა, თუმცა უმრავლესობა ოსმალეთში დარჩა.

კავკასიის ომში დამარცხების მიუხედავად, მთიელი ხალხების ბრძოლა რუსეთის მიერ დამყარებული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ არ შეწყვეტილა. უკვე XIX ს-ის 60-70-იან წლებში მოხდა ახალი აჯანყებები და სახალხო გამოსვლები. აფხაზთა უკანასკნელი, 1880 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის მთავრობამ სამშობლოში დარჩენილი აფხაზების დასჯა გადაწყვიტა და ისინი **„დამნაშავე მოსახლეობად“** გამოაცხადა. ამასთან, მნიშვნელოვნად შეიზღუდა აფხაზთა უფლებები: მათ ჩამოერთვათ მიწაზე საკუთრების უფლება და აეკრძალათ აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე, მაღალმთიან ზოლში, სოხუმის მიდამოებში – ქალაქიდან 25 კილომეტრის რადიუსში – ცხოვრება. „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსი აფხაზებს რუსეთის იმპერიულმა ცენტრმა მხოლოდ 1907 წელს მოუხსნა.

● *შენი აზრით, რატომ აუკრძალა იმპერიულმა ცენტრმა აფხაზებს ზემოთ ჩამოთვლილ ადგილებში ცხოვრება?*

1. შექმენი „დროის ხაზი“ და მასზე დაიტანე ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმების თარიღები, ასევე, კავკასიის მასშტაბით იმავე პერიოდში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები და თარიღები.

2. იმსჯელეთ კლასში XIX ს-ის კავკასიაში წარმოებული ომების შესახებ და იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინეს მათ საქართველოზე.

62/63 როგორ გატარდა ალექსანდრე II-ის რეფორმები საქართველოში?

XIX ს-ის პირველმა ნახევარმა რუსეთის იმპერიის მესვეურებს დაანახვა, რომ ქვეყანა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ეს განსაკუთრებით ცხადი გახადა დღითიდღე მზარდმა გლეხთა ანტიბატონყმურმა გამოსვლებმა და ყირიმის ომში დამარცხებამ. იმპერატორი ალექსანდრე II ხვდებოდა, რომ ძირეული ცვლილებები იყო საჭირო. ამ გაკვეთილიდან გაიგებ, რას ისახავდა მიზნად იმპერატორის რეფორმები, როგორ გატარდა ისინი იმპერიაში და რა შედეგები გამოიღო საქართველოში.



ალექსანდრე II განმათავისუფლებელი (1855-1881)

რუსეთის იმპერატორი. წინამორბედებთან შედარებით, ლიბერალი მმართველი იყო. მის სახელს უკავშირდება მრავალი რეფორმის გატარება. მიუხედავად ამისა, 1881 წელს მის მიმართ მოწყობილმა მეშვიდე ტერაქტმა შედეგი გამოიღო და *„ნაროდნაია ვოლიამ“* იმპერატორის მოკვლა მოახერხა. 1870-იანი წლების ფოტო.

შენიშვნა: „ნაროდნაია ვოლია“ *(რუს. „ხალხის ნება“) – რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაცია რუსეთის იმპერიაში, რომელიც 1879 წელს შეიქმნა და მიზნად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქონდა დასახული.*

ალექსანდრე II-ის რეფორმატორული პოლიტიკა და ბატონყმობის გაუქმება რუსეთის იმპერიაში

იმპერიაში შექმნილმა რთულმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ რუსეთის საიმპერატორო კარი აიძულა, ქვეყანაში ძირეული ცვლილებები გაეტარებინა. 1856 წელს, ყირიმის ომის დასრულების შემდეგ, იმპერატორმა ალექსანდრე II-მ საჯაროდ ისაუბრა ბატონყმობის გაუქმების შესახებ. თავად-აზნაურებთან შეხვედრისას მან პირდაპირ განაცხადა, რომ „გლეხებისთვის თავისუფლების მიცემა“ სურდა. ბუნებრივია, თავადაზნაურობა ამას სიხარულით ვერ შეხვდებოდა. ბატონყმობის გაუქმების შესახებ პროექტის შემუშავება იმპერატორმა თავად რუსეთის თავადაზნაურობას დაავალა. გამოიკვეთა სამი, თავ-თავიანთ პროექტზე მომუშავე, ჯგუფი, თუმცა სამივე პროექტს ერთი მთავარი პირობა აერთიანებდა – **მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნება**.

- *რატომ ცდილობდა თავადაზნაურობა მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნებას?*
- *შენი აზრით, რატომ დაევალა პროექტის შედგენა თვით თავადაზნაურობას, რომელიც იმპერატორის იდეას ეწინააღმდეგებოდა?*

მიუხედავად იმისა, რომ თავადაზნაურობა ძირეულ ცვლილებებს ეწინააღმდეგებოდა, გეზი ბატონყმობის გასაუქმებლად უკვე აღებული იყო. შეიქმნა საგუბერნიო კომისიები, რომლებსაც, თავ-თავიანთი გუბერნიების მდგომარეობის გათვალისწინებით, რეფორმის შესაფერისი პროექტები უნდა შეემუშავებინათ. შეკრებილი ინფორმაცია მთავარ კომიტეტს უნდა განეხილა, შეეჯერებინა და ერთი საერთო პროექტი გამოეყვანა. პროცესი 1861 წლის იანვრამდე გაგრძელდა. საბოლოო რედაქცია სახელმწიფო საბჭომაც მოიწონა. 19 თებერვალს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა **„ბატონყმური დამოკიდებულებიდან გამოსული გლეხების შესახებ დებულებასა“** და **„მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ“**. დებულებისა და მანიფესტის გამოქვეყნებას ერთი თვე მოუნდა. ცხადია, ცვლილებები უმალ არ დაწყებულა, მათ განხორციელებას რამდენიმე წელი დასჭირდა.

რეფორმის შედეგად, ყმა-გლეხი მოქალაქე ხდებოდა. მას შეეძლო თავისი სახელით გამოსულიყო სასამართლოში, გაეფორმებინა სხვადასხვა სახის ხელშეკრულება, გაეხსნა სამრეწველო საწარმო და სავაჭრო დაწესებულება; ხოლო მიწის ნაკვეთი – ***ნადელი***, რომლითაც გლეხი ბატონყმობის გაუქმებამდე სარგებლობდა, მემამულისგან გამოსყიდვის შემდეგ მისი პირადი საკუთრება გახდებოდა. გამოსყიდვის საბოლოო პროცესი 1885 წელს დასრულდა.

ნადელი – რეფორმამდელ რუსეთში მიწის მცირე ზომის ნაკვეთი, რომელსაც გლეხსა და მის ოჯახს დროებითი საკუთრების სახით აძლევდნენ.

● *იმსჯელე, რა მნიშვნელობა ექნებოდა, შენი აზრით, ბატონყმობის გაუქმებას გლეხისთვის.*

ბატონყმობის გაუქმების გარდა, ალექსანდრე II-ის სახელს სხვა რეფორმებიც უკავშირდება: ფინანსური და უმაღლესი განათლების (1863), სასოფლო და სასამართლო (1864), საქალაქო თვითმმართველობის (1870), საშუალო განათლებისა (1871) და სამხედრო რეფორმები (1874).

ბატონყმობის კრიზისი და მისი გაუქმება საქართველოში

ბატონყმობის გაუქმების წინა ხანებში საქართველოშიც შეინიშნება გლეხთა მოძრაობის გაძლიერება. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ გურიისა და სამეგრელოს გლეხთა გამოსვლებზე. 1858-1859 წლებში გლეხთა გამოსვლა მოეწყო ქართლში, ხოლო 1866 წლის აფხაზეთის გლეხთა აჯანყებაში 20 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. ყველა ეს გამოსვლა სოციალურ-ეკონომიკურ ნიადაგზე წარმოიშვა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი ქვეყნის განაპირა მხარეებში რეფორმის გატარებას არ ჩქარობდა, ბატონყმობის კრიზისის პირობებში ჩამოყალიბებას იწყებდა ანტიბატონყმური იდეოლოგია.

წყარო ა **1857 წელს *რაფიელ ერისთავმა*, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების უშუალო შთაბეჭდილებით, დაწერა ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, რომელშიც დაგმობილია ბატონყმური ურთიერთობები. ლექსის ბოლო სტროფში ასეა ასახული ბატონისგან დაჩაგრული შვილის უმწეობა:**

ამ დროს მიჰხედა შვილსა დედამა,
თვალს უშვრებოდა, უქნევდა ხელსა,
ჩემთან მოდიო, მას ანიშნებდა,
ცრემლს კი ვერ ჰღვრიდა გულის შემწველსა.
შვილსა, შემკრთალსა ბატონისაგან,
ვერა ვხედავდი დედისკენ მსვლელსა,
რომ მისულიყო, გადაეკოცნა,
დედაშვილურად ჰხვევოდა მკერდსა!



რაფიელ ერისთავი (1824-1901)

დრამატურგი, პოეტი, მთარგმნელი და პუბლიცისტი. იმყოფებოდა სახელმწიფო სამსახურში. ხელმძღვანელობდა საგლეხო რეფორმის გატარებას სამეგრელოში.



დანიელ ჭონქაძე (1830-1860)

მწერალი, მთარგმნელი. იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მხატვრულ ლიტერატურაში ასახა ბატონყმური უღლის სიმძიმე.



ილია ჭავჭავაძე (1837-1907)

მწერალი, საზოგადო მოღვაწე. 1860-იანი წლებიდან ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური ლიდერი.

ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **დანიელ ჭონქაძის** მოთხრობას „სურამის ციხე“, რომელიც 1859-1860 წლებში ჟურნალ **„ცისკარში“** გამოქვეყნდა. ბატონყმური ურთიერთობების არაადამიანური ხასიათი მთელი სიმწვავით

ამხილა **ილია ჭავჭავაძემ** თავის ნაწარმოებებში: „გუთნის დედა“, „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ.

სამხრეთ კავკასიაში რეფორმისთვის მზადება 1861 წლის მარტში დაიწყო და სამ წელს გაგრძელდა. ამ დაგვიანებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა:

- ქვეყანა იმყოფებოდა კოლონიურ მდგომარეობაში;
- კავკასიის ადმინისტრაცია არ იყო მზად ბატონყმობის გასაუქმებლად;
- უნდა ჩატარებულიყო წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები – გამიჯნულიყო თავად-აზნაურთა სამფლობელოები, დადგენილიყო მიწებისა და ყმების რაოდენობა.

გამოიკითხა ქართველი თავადაზნაურობის 240 წარმომადგენელი. შემუშავდა ორი პროექტი – უმრავლესობისა და უმცირესობის.

უმრავლესობის პროექტი **დიმიტრი ყიფიანის** მიერ იყო შედგენილი და მას 536-მა მემამულემ დაუჭირა მხარი. მათი აზრით, მიწის ის ნაკვეთი, რომელიც გლეხს ბატონყმობის დროს ეკავა, რეფორმის შემდეგ მისთვის ხელუხლებლად უნდა დაეტოვებინათ, თუმცა საკუთრების უფლებით არ გადაეცემოდა – მასზე საკუთრება მემამულეს რჩებოდა. შესაბამისად, გლეხს ამ მიწით სარგებლობისთვის საფასური უნდა გადაეხადა.

ცნობა 1 **გლეხთა უმიწოდ გათავისუფლების აუცილებლობას უმრავლესობა შემდეგი გარემოებებით ხსნიდა:**

• იშვიათად თუ მოიძებნებოდა მიწა, რომელზედაც დავა არ ყოფილიყო. თუ მემამულე დავას წააგებდა, იგი უმიწოდ დარჩებოდა;

• ზოგი მემამულე იმდენად მცირემიწიანი იყო, რომ გლეხებისთვის მიწის დათმობის შემდეგ იგი სრულიად უმიწოდ დარჩებოდა;

• გლეხები მემამულეთა საუკეთესო მიწებით სარგებლობდნენ. თუ ისინი ამ მიწებს საკუთრების უფლებით მიიღებდნენ, მემამულეები უმიწოდ დარჩებოდნენ;

• თუ მიწები გლეხებს საკუთრებაში გადაეცემოდათ, მაშინ მემამულეებს სხვა არაფერი დარჩებოდათ, გარდა იმისა, რომ აეღოთ მოგზაურის ჯოხი და ასე ეძებნათ პური არსებობისთვის.



კონსტანტინე მამაცაშვილი (1818-1900)

რუსული არმიის ქართველი გენერალი. ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე. 1884 წელს თავი დაანება სამხედრო სამსახურს და ქვეყნის კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაერთო. მონაწილეობდა სხვადასხვა ეროვნულ საქმეში, როგორებიცაა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსება, „სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის“ შექმნა და სხვ.

უმცირესობის პროექტი, რომელსაც 16 მემამულე უჭერდა მხარს, არსებითად არ განსხვავდებოდა უმრავლესობის პროექტისგან, თუმცა ის საცხოვრებელ სახლსა და სამეურნეო ნაგებობებზე, სასოფლო-სამეურნეო იარაღზე, შინაურ საქონელზე გლეხების სრულ უფლებას აღიარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ორი იყო, ამ საკითხზე უფრო მეტი განსხვავებული აზრი არსებობდა. მაგალითად, განსხვავებული შეხედულება ჰქონდა გორელ თავადს, **კონსტანტინე მამაცაშვილს**. იგი მოითხოვდა, გლეხობისთვის ის მიწები გადაეცათ საკუთრებაში, რომლებსაც ისინი ბატონყმობის გაუქმებამდე ფაქტობრივად ფლობდნენ. ამასთან, იგი მემამულური მიწისმფლობელობის ხელუხლებლად დატოვების მომხრე იყო.

საგლეხო რეფორმის შესახებ „კრიტიკულ შენიშვნებში“ თავისი აზრი გამოთქვა ნიკო ჭავჭავაძემაც. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ის ფსევდონიმითაა დაწერილი და რეალური ავტორი ილია ჭავჭავაძეა. ავტორი გლეხობისთვის მიწის საკუთრებაში დამტკიცებას ემხრობა. ის მთელი კატეგორიულობით გმობდა ყველანაირ იძულებას გლეხის მიმართ.

წყარო ბ რამდენიმე ფრაგმენტი ნიკო ჭავჭავაძის „კრიტიკული შენიშვნებიდან“:

მემამულის უფლება, მიწიდან აეყარა გლეხები, ყველაზე საშინელი და ყოვლად გაუმართლებელი უფლებაა, რომელიც მემამულეს ეძლევა. რაკი ასეთი საბაბი ექნება, მემამულე არ მოასვენებს გლეხს, აქაოდა ჩემი მეურნეობისა და კარ-მიდამოს კეთილმოწყობა და გაფართოება მსურსო. იგი დღენიადაგ იმას ეცდება, რომ აჰყაროს გლეხი საცხოვრებელი ადგილიდან, ან გაუდიდოს ბეგარა... თუკი რაიმე მიგიციათ გლეხისათვის, ნუღარ აწუხებთ მას, დაე, თავის ნებაზე მოიხმაროს, რაც მიგიციათ... მიეცით გლეხს იმედი, რომ იცხოვროს უშფოთველად, უდრტვინველად, ძალმომრეობის გარეშე. ასეთი იმედი თუ არა აქვს გლეხს, იგი ვერ იქნება ბედნიერი, მას არ ექნება თავისი ყოფა-ცხოვრების, თავისი მეურნეობის გაუმჯობესების ხალისი...

გლეხთა საკითხის გადაწყვეტა სულ სხვა საწყისს უნდა დაეფუძნოს – სახელდობრ, გლეხისა და მემამულის ინტერესთა საბოლოო გათიშვის საწყისს: მათ შორის უნდა გაწყდეს ყველა ძაფი, რომელიც ნაბატონარსა და ნაყმევს იძულებით ერთმანეთს აკავშირებს... [სხვა შემთხვევაში] ეს იქნება მხოლოდ გაგრძელება, ოღონდ სახეშეცვლილი ფორმით, იმავე ბატონყმური მდგომარეობისა...

- *შეადარე ერთმანეთს საქართველოში ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებული მოსაზრებები. რომელი უფრო სასარგებლო იქნებოდა გლეხებისთვის? რატომ?*

რუსეთის ხელისუფლებამ ქართველი თავადაზნაურობის მიერ შედგენილი ყველა პროექტი უარყო. 1864 წლის 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება თბილისის გუბერნიაში გლეხთა გათავისუფლების შესახებ, რომელიც ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში შეიმუშავეს. ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა, გურია) ბატონყმობა 1865 წელს გაუქმდა, სამეგრელოში – 1866 წელს, აფხაზეთში – 1870 წელს, ხოლო სვანეთში – 1871 წელს. ზოგან საგლეხო რეფორმის გატარება ათწლეულის განმავლობაშიც კი გაგრძელდა.

დებულების მიხედვით, გლეხს მიწა არა საკუთრებად, არამედ „მუდმივ სარგებლობაში“ მიეცა. ამასთან, გლეხი მიწის პატრონს იმავე გადასახადებს უხდიდა, რასაც რეფორმამდე. მხოლოდ მემამულის თანხმობის შემთხვევაში შეეძლო გლეხს, მიწის სრულფასოვანი მესაკუთრე გამხდარიყო. მიწის გამოსყიდვამდე იგი დროებით ვალდებულ გლეხად იწოდებოდა, მაგრამ რაკი გამოსყიდვა სავალდებულო არ იყო, დროებითმა ვალდებულებამ მუდმივი ხასიათი მიიღო და კანონით მხოლოდ 1912 წელს გაუქმდა.

მართალია, გლეხებმა პირადი თავისუფლება მიიღეს, მაგრამ მათი მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, არამედ ზოგან გაუარესდა კიდეც. საქმე ისაა, რომ წვრილი მებატონეები – ასეთები კი ბევრნი იყვნენ – საერთოდ გათავისუფლდნენ გლეხებისთვის მიწის ნაკვეთის მიცემის ვალდებულებისგან. 11 ათასი კომლი (დაახლ. 45 ათასი სული) გლეხი სრულიად უმიწაწყლოდ დარჩა.

- *იმსჯელე იმპერიული ცენტრის მიერ შემუშავებული საგლეხო რეფორმის მოდელის შესახებ და შეადარე ის ქართველი თავადაზნაურობის მიერ შემუშავებულ პროექტებს.*

1860-70-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმები

რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმებას XIX ს-ის 60-70-იან წლებში სასოფლო და საქალაქო მმართველობის, სასამართლოსა და სამხედრო რეფორმები მოჰყვა. შეიქმნა ერობები.

ერობები. ერობა იყო არაწოდებრივი არჩევითი ორგანო, რომლის გამგებლობაში შედიოდა კულტურულ-საგანმანათლებლო, ასევე სანიტარული და სამედიცინო საქმეები. ერობა ვერ ჩაერეოდა მაზრის უფროსისა და გუბერნატორის საქმიანობაში, რომლებსაც შეეძლოთ, ერობის გადაწყვეტილება შეეჩერებინათ და გაეუქმებინათ. ერობების მნიშვნელობას აკნინებდა ისიც, რომ ისინი მხოლოდ რუსეთში შეიქმნა. ქართველთა წარმომადგენლებმა კი სთხოვეს ალექსანდრე II-ს ერობების შემოღება, მაგრამ მან მათი თხოვნა არ გაითვალისწინა, ასე რომ, საქართველოს ტერიტორიაზე ერობები არ შექმნილა.

- *გამოთქვი ვარაუდი: რა მნიშვნელობა ექნებოდა ერობებს საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის?*
- *შენი აზრით, რატომ არ შეიქმნა ერობები რუსეთის იმპერიის კოლონიებში, მათ შორის საქართველოში?*

სასოფლო მმართველობის რეფორმა. ბატონყმობის გაუქმებისთანავე ქართულ სოფლებში ადგილობრივი გამგებლობის ორგანოების ჩამოყალიბება დაიწყო. ამ ორგანოების კომპეტენციაში შედიოდა სოფლის სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმეების მართვა, ბეგარა-გადასახადების აკრეფა; განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვა და სხვ. ცხადია, ახალი დაწესებულებების ხელმძღვანელობა მხოლოდ გლეხებს ეკისრებოდათ.

საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლესი განმკარგველი ორგანო სოფლის ყრილობა იყო, ხოლო აღმასრულებელი ფუნქცია 3 წლის ვადით არჩეულ მამასახლისებსა და მათ მოადგილეებს – ნაცვლებს – ეკისრებოდათ. არჩევნების შედეგები გუბერნატორს უნდა დაემტკიცებინა. სოფლის მამასახლისზე დიდ გავლენას ინარჩუნებდა მაზრის უფროსიც.

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან დაიწყო საზოგადოებრივი მმართველობის გამსხვილების პროცესი. თითოეული მმართველობა 15-20 სოფელს აერთიანებდა, რის გამოც საქმეთა დიდი ნაწილის შესრულება მამასახლისებს უწევდათ.

- *რამდენად პროგრესულად გეჩვენება სასოფლო მმართველობის რეფორმა? პასუხი დაასაბუთე.*

მიუხედავად რეფორმებისა, გლეხობის სოციალური მდგომარეობა უკეთესობისკენ დიდად არ შეცვლილა. სოფლად მცხოვრები ადამიანების უმთავრეს ქონებას ადგილ-მამულის სიდიდე განსაზღვრავდა, მაგრამ სხვადასხვაგვარი იყო მათი მდგომარეობა. მართალია, მათ უკვე საშუალება ჰქონდათ, მიწის გარკვეული ნაწილი შეეძინათ, თუმცა მაინც ხშირად გადიოდნენ „გარე სამუშაოზე“, ასევე, დროებით ან მუდმივად გადასახლდებოდნენ ხოლმე ქალაქში. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს შვიდი მაზრიდან 1892 წელს გარე სამუშაოებზე დაახლ. 21 000 კაცი გავიდა, ხოლო 1897 წელს – 35 000.

სასამართლო რეფორმა. რეფორმამდე ყველა საქმის გამოძიებას პოლიცია და **ჟანდარმერია** აწარმოებდა. ამასთან, ძიებაც და სასამართლოც ფარულად მიმდინარეობდა. რეფორმის შემდეგ სასამართლო პროცესი საჯარო გახდა, ბრალდებულის ინტერესებს ადვოკატი (ვექილი). ამასთან, განაჩენი გამოჰქონდა არა მოსამართლეს, არამედ ნაფიც მსაჯულებს, რომელთა განაჩენის შეცვლა მხოლოდ იმპერატორს შეეძლო.

საქართველოში სასამართლოს რეფორმა 1868 წელს გატარდა. გაუქმდა წოდებრივი სასამართლო. მაზრებში დაარსდა მომრიგებელი განყოფილებები *მომრიგებელი მოსამართლეებით*, ხოლო გუბერნიებში საოლქო სასამართლოები ჩამოყალიბდა. კავკასიის უმაღლესი პალატა – სასამართლო პალატა – თბილისში ფუნქციონირებდა.

საქართველოში სასამართლოს რეფორმა შეზღუდულად გატარდა. არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩევითობა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. სასამართლო კვლავინდებურად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ამრიგად, სასამართლომ საქართველოში დამოუკიდებლობა ვერ მოიპოვა, იგი ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში დარჩა.

შენიშვნა: მომრიგებელი მოსამართლე *– სასამართლოს წესით წვრილ-წვრილი საქმეების გამრჩევი მოხელე მეფის რუსეთში.*

- *შენი აზრით, რატომ არ გატარდა საქართველოში სრულფასოვნად სასამართლო რეფორმა?*

მიუხედავად ამგვარი რეფორმებისა, იმპერიული ცენტრი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, ბუნებრივია, თავის ნებაზე ვერ მიუშვებდა, ამიტომ 1866 წელს შეიქმნა ე. წ. „დამცველი განყოფილება“ – *ოხრანკა*.

- *შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა მეფის რუსეთში „ოხრანკის“ ფუნქციონირებას?*

ჟანდარმერია (ფრანგ. – შეიარაღებული ხალხი) – საფრანგეთში, ავსტრიასა და ზოგ სხვა ქვეყანაში – სამხედრო წყობის პოლიცია; მეფის რუსეთში – სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით არსებული განსაკუთრებული პოლიციური ქვედანაყოფი, პოლიტიკური პოლიცია.

ოხრანკა (რუს. – „დამცველი განყოფილება“) – მეფის რუსეთში საიდუმლო პოლიციის ორგანო, რომელსაც მხოლოდ პოლიტიკური სიტუაციის კონტროლი ევალებოდა; რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ პროვოკაციული მეთოდებით იბრძოდა.

საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა. 1840 წელს ქ. თბილისი თვითმმართველობის უფლებით აღიჭურვა და კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენცია გახდა. თბილისის საქალაქო მმართველობის დებულების მიხედვით, მოქალაქეთა ზედა ფენას უფლება მიეცა, შეექმნა საქალაქო სათათბირო. ამ პერიოდიდან ქალაქს მართავდა ქალაქის თავი და 6 ხმოსანი (2 მსხვილი მესაკუთრე, 2 ვაჭარი და 2 ხელოსანი). 1840 წლიდან 1870 წლის ჩათვლით ქალაქის თავები არაქართველები იყვნენ. 1870 წელს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა დებულებას, რომლის ძალითაც, იმპერიის დიდ და საშუალო ქალაქებს თვითმმართველობა მიენიჭა. საქალაქო მმართველობის ორგანო სათათბირო იყო. ხმოსანთა (ე. ი. დეპუტატთა) არჩევნებში მონაწილეობა ქალაქის ყველა იმ მკვიდრს შეეძლო, ვინც გადასახადს იხდიდა.

საქართველოში საქალაქო რეფორმა პირველად თბილისში, 1874 წელს გატარდა. არჩევნების შედეგად დაკომპლექტებულ სათათბიროში 75 ხმოსანი შედიოდა. მათ მუშაობას უძღვებოდა გამგეობა, ქალაქის თავის (დღევანდელი ტერმინოლოგიით – მერის) თავმჯდომარეობით. სათათბიროს უმთავრესი ფუნქციები იყო: კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, გადასახადების აკრეფა, ქალაქის გარეგნულ იერსახეზე ზრუნვა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა, განათლების კერების, სამკურნალო დაწესებულებების გახსნა და სხვ.

1875-1876 წლებში საქალაქო თვითმმართველობის ორგანოები აირჩიეს ქუთაისში, გორსა და ახალციხეში, 1882 წელს – ფოთში, 1888 წელს – ბათუმში. უფრო გვიან თვითმმართველობები მიიღეს: თელავმა, სიღნაღმა, დუშეთმა, ახალქალაქმა, ოზურგეთმა და სოხუმმა.

წყარო 8 ამონარიდი თედო სახოკიას მოგონებებიდან სოხუმის თვითმმართველობის არჩევნების შესახებ:

ქ. სოხუმში მცხოვრებთ ეღირსათ საქალაქო თვითმმართველობის შემოღება. დავტრიალდით, ვისაც ბედმა წილად გვარგუნა, საქალაქო არჩევნებს სათავეში ჩავდგომოდით, და ხმოსნების არჩევის დროს ავირჩიეთ 24 კაცი ქართველი, ხოლო ჩვენ წინააღმდეგ არჩეულ იქნენ 8 *შავრაზმელი* ნიკოლოზ II-ისა...

ჩაგვეწვეთა ყურში *ალექსანდრე სარაჯიშვილის* ქება და სასურველობა მისი არჩევისა სოხუმის ქალაქის თავად. ყველამ ერთხმად აქო ალ. სარაჯიშვილი და მოგვიწონა არჩევანი...

დადგა არჩევნების დღე. შავრაზმელთა კანდიდატს, ბერენსს, ამოუვიდა 8 თეთრი და ჩვენს კანდიდატს – 24 ხმა.

არჩევნების შედეგები გადაგზავნილ იქნა ქუთაისში, გუბერნატორთან, დასამტკიცებლად, მაგრამ ამას შავრაზმელებმა სოხუმიდან თან გააყოლეს ათასგვარი დაბეზღების წერილი. გუბერნატორმა, რა თქმა უნდა, პირველი არჩევანი სოხუმელთა არ დაამტკიცა. მაშინ სოხუმელთა მეორე კანდიდატი გამოძებნეს – განჯის სასამართლო პალატის წევრი ნ. აბულაძე. არჩევით ავირჩიეთ ისიც, მაგრამ გუბერნატორმა აღარც მისი, როგორც ქართველის, დამტკიცება ინება.

საქალაქო დებულების თანახმად, როცა გუბერნატორი ორი არჩევნების შედეგებს არ ამტკიცებდა, თავისი ნებით ირჩევდა ქალაქისთავს, ხოლო ხმოსნებს ატყობინებდა: მავანი დაგინიშნეთ ქალაქის თავადაო...

ქალაქის თავად დაგვინიშნეს ბერენსი, ის ბერენსი, რომელიც პირველ არჩევნებზე ასე დემონსტრაციულად გააშავეს...

შენიშვნები: შავრაზმელი *– მეფის რუსეთში უკიდურესი რეაქციონერი, შოვინისტი, მონარქისტი.*

ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი (1851-1914) *– ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პირველი მკვლევარი. ქშწკგ საზოგადოების გამგეობის წევრი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი ხაზინადარი, მუზეუმ-წიგნთსაცავის გამგე. 1902-1903 წლებში გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი.*

- *გაკვეთილის ტექსტისა და წყაროს მიხედვით, ჩამოაყალიბე, რა ბერკეტებით ცდილობდა იმპერია, გარკვეული დემოკრატიული ცვლილებებისთვის კვლავაც თავად გაეწია კონტროლი?*

მართალია, საქალაქო თვითმმართველობების საქმიანობაში მუდმივად ერეოდნენ სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლები, უნარიანმა და საქმის მცოდნე ქალაქის თავებმა (მაგალითად, თბილისში – დიმიტრი ყიფიანმა, ფოთში – **ნიკო ნიკოლაძემ**) მაინც ბევრი გააკეთეს ქალაქებისა და მისი მცხოვრებლების საკეთილდღეოდ.

თვითმმართველობის არჩევნების წესის მიხედვით, ქალაქებში ჩამოყალიბდა სამი თანრიგი: 1. მსხვილი მესაკუთრეები, 2. საშუალო შეძლების მოქალაქეები და 3. გადასახადების

გადამხდელი წვრილი მესაკუთრეები. ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის დებულება მნიშვნელოვნად ზღუდავდა და ადმინისტრაციის კონტროლს ამყარებდა თვითმმართველობათა საქმიანობაზე. ქალაქის თვითმმართველობასა და საგუბერნიო ხელისუფლებას შორის ურთიერთობის მოწესრიგებისა და თვითმმართველობათა მუშაობის კონტროლისთვის ყალიბდებოდა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულო. ქალაქის თვითმმართველობას უმაღლეს მთავრობასთან მიმოწერა უნდა ეწარმოებინა გუბერნატორის მეშვეობით; თვითმმართველობის ყველა დადგენილების ასლი დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა გუბერნატორს. 1879 წელს შედგენილი სიის მიხედვით, თბილისში ხმის უფლებით სარგებლობდა 4494 კაცი (მოსახლეობის 4%). პირველი თანრიგის ამომრჩეველთა სიაში იყო 45 კაცი, მეორე თანრიგში გაერთიანებული იყო 221, ხოლო მესამეში – 4228 ამომრჩეველი. პირველი და მეორე თანრიგის ამომრჩევლები ირჩევდნენ 48 ხმოსანს, ხოლო მესამე თანრიგის ამომრჩევლები – 24-ს. იქიდან გამომდინარე, რომ მსხვილ ფინანსებს არაქართული ეთნოსის წარმომადგენლები ფლობდნენ, სათათბიროში, უმთავრესად, არაქართველები ჭარბობდნენ. თბილისის სათათბირო „ქართველობისთვის“ ბრძოლის ასპარეზად იქცა.

● *რამდენად სწორად მიგაჩნია, რომ არჩევნებში მოსახლეობის მხოლოდ 4% იღებდა მონაწილეობას? პასუხი დაასაბუთე.*

კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში

ბატონყმობის გაუქმებისა და სხვა რეფორმების გატარების შემდეგ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარება, წინა ათწლეულებთან შედარებით, გაცილებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ბატონყმური ურთიერთობებისგან თავდახსნილი გლეხობის სახით კაპიტალისტურმა წარმოებამ თავისუფალი მუშახელი მიიღო.

სოფლის მეურნეობა. საქართველოს სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი **მარცვლეულ კულტურებს** ეკავა. აღმოსავლეთ საქართველოში უხვად ითესებოდა პური და ქერი, დასავლეთ საქართველოში – სიმინდი. მარცვლეული კულტურა საქართველოში ისეთი დიდი რაოდენობით მოჰყავდათ, რომ მოწეული მოსავლის ნაწილი საზღვარგარეთაც კი გაჰქონდათ. სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი **მევენახეობა-მეღვინეობა** იყო. ღვინის დიდი ნაწილი საქართველოდან რუსეთში გაჰქონდათ. მთიან რეგიონებში **მეცხოველეობა** იყო წამყვანი დარგი.

XIX ს-ის მეორე ნახევარში საქართველოში დიდ აღმავლობას მიაღწია **მეთამბაქოეობამ**. შემოდის ჩაისა და ციტრუსების კულტურები. ეტაპობრივად, გლეხთა დიდი ნაწილი აქტიურად ჩაება ქალაქთან სავაჭრო ურთიერთობაში.

მრეწველობა. 1861 წლის რეფორმების ეკონომიკური ნაწილი უცხოური კაპიტალის მოზიდვას, მისთვის შეღავათებისა და პრივილეგიების მიცემასაც გულისხმობდა, რათა რუსეთის იმპერიაში ფესვგადგმული ფეოდალიზმი მალე მორღვეულიყო და ქვეყანა სწრაფად დასდგომოდა კაპიტალისტური განვითარების გზას. ამიტომ იყო, რომ იმპერიაში, მათ შორის საქართველოშიც, სხვადასხვა სახის მსხვილი და წვრილი სამრეწველო დაწესებულებები, უმეტესწილად, უცხოელებს ეკუთვნოდათ. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ექსპლოატაციაში შევიდა ბაქოს ნავთობისა და ჭიათურის მანგანუმის საბადოები. ამასთან, სპილენძის უმდიდრესი საბადოები აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და სხვ.

ბატონყმობის გაუქმების შემდგომ პერიოდში საქართველოში სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობის სხვადასხვა დარგი. ამ ყველაფერს განსაკუთრებით შეუწყო ხელი **რკინიგზის მშენებლობამ**. XIX ს-ის მეორე ნახევრიდან რკინიგზამ გამორჩეული ადგილი დაიკავა რუსეთის სატრანსპორტო სექტორში და, შესაბამისად, იმპერიის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტი გახდა. ჯერ კიდევ 1857 წელს ექსპერტებმა კავკასიის არმიის მთავარ შტაბს შესთავაზეს ფოთიდან თბილისამდე რკინიგზის გაყვანის იდეა და ასაბუთებდნენ, რომ გარდა ვაჭრობის განვითარებისა, ეს სამხედრო თვალსაზრისითაც ხელსაყრელი იქნებოდა. თავად ქართველ საზოგადოებას რკინიგზის გაყვანა მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა იმის გამო,

რომ ეს გაამარტივებდა ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის კომუნიკაციას, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის კონსოლიდაციას შეუწყობდა ხელს.

1872 წელს დასრულდა რკინიგზის ხაზის მშენებლობა ფოთსა და თბილისს შორის, ხოლო 1883 წელს – თბილისსა და ბაქოს შორის. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზის ამოქმედებასაც. ბათუმის სამრეწველო ცენტრად გადაქცევა კი დიდწილად **ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის** ამოქმედებამ განაპირობა.

წყარო დ ლუდვიგ ნობელის წერილიდან პეტერბურგში მყოფი ძმებისადმი:

ბაქოდან ნავთობის ტრანსპორტირების ყველა შესაძლო მარშრუტს [გულისხმობს ჩრდილოეთის მარშრუტს] შორის აჯობებს აირჩიოთ საქართველოზე გამავალი მარშრუტი, ვინაიდან ამ ორ ქვეყანას [იგულისხმება აზერბაიჯანი და საქართველო] ერთმანეთთან სიახლოვე და მეგობრობა აკავშირებს. ჩვენთვის, უცხოელებისთვის, ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ყველა სხვა მარშრუტი დიდ რისკებთან არის დაკავშირებული.



ლუდვიგ ნობელი (1831-1888)

ლუდვიგ იმანუილ ნობელი – შვედური წარმოშობის რუსი ინჟინერი, გამომგონებელი, მეწარმე, ვაჭარი და მეცენატი; ნობელის პრემიის დამფუძნებელ ალფრედ ნობელის ძმა; ნავთობის მრეწველობის შემქმნელი რუსეთის იმპერიაში. ძმებთან, ალფრედსა და რობერტთან, ერთად ბაქოში დააფუძნა რუსეთის იმპერიაში ყველაზე მსხვილი ნავთობკომპანია.

- *რა ფუნქცია შესძინა საქართველოს მისმა გეოგრაფიულ-პოლიტიკურმა მდებარეობამ საერთაშორისო ინდუსტრიული პროექტების განხორციელებაში?*

წყარო ე კავკასიის მხარის სარკინიგზო ქსელი XX ს-ის დასაწყისში



- *რატომ გახდა პრიორიტეტული ტყიბულსა და ჭიათურაში რკინიგზის გაყვანა?*
- *რატომ შეიძინა ბათუმმა განსაკუთრებული ფუნქცია რუსეთის იმპერიაში?*

- *თანამედროვე პერიოდში რომელი საერთაშორისო პროექტები დაეფუძნა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენს და რა როლს ასრულებს ეს პროექტები სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში?*
- *ეთანხმები მოსაზრებას, რომ რკინიგზის ხაზების დაქსელვამ ხელი შეუწყო ქართველი ერის კონსოლიდაციას? პასუხი დაასაბუთე.*

წყარო 3 **ამიერკავკასიის რკინიგზა, მოლითის სადგური, დღევანდელი ხარაგაულის მუნიციპ., 1880-იანი წლები, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო**



წყარო 4 **ციხისძირის გვირაბის მშენებლობა, დღევანდელი ქობულეთის მუნიციპ., 1880-იანი წლები, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო**



წყარო 5 **არჩილ ჯორჯაძე რკინიგზის მნიშვნელობის შესახებ:**

ჩვენში ამ გარემოებას [რკინიგზის გახსნას] დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველად ჩნდებიან თბილისში იმერლები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ვაჭრობასა და მრეწველობას, და ეროვნულადაც გაამაგრეს ჩვენი ქალაქი. რკინიგზა, მადნეულის აღმოჩენა [იგულისხმება ჭიათურის მანგანუმი], ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება დიდი ცენტრებისაკენ იზიდავდა ქართველობას. აქ უნდა გამოჩეკილიყო ახალი სოციალური კლასი ქართველ ვაჭარ-მრეწველებისა, და ასეც მოხდა.

- *შენი აზრით, რატომ ანიჭებს არჩილ ჯორჯაძე რკინიგზას საქართველოს სამრეწველო განვითარებისათვის ორმაგ დატვირთვას? რა სახის ცვლილებებს ელოდებოდა იგი ვაჭრობითა და მრეწველობით ქართველების დაინტერესებაში?*

ცნობა 2 **ნიკო ნიკოლაძის როლი საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში**

ნიკო ნიკოლაძე XIX ს-ის II ნახევარში განხორციელებულ მრავალ პროექტში მონაწილეობდა, რომელთა ნაწილის ინიციატორი თავადვე იყო. ესენია:

- თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შექმნა;
- ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება, რითაც ხელს უწყობდა კაპიტალიზმის დანერგვას;

- ერობის, ანუ თვითმმართველობის შემოღება;
- უმაღლესი სასწავლებლების გახსნა საქართველოში – იყო ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების მომხრე;
- პრესის განვითარების ხელშეწყობა;
- ტყიბულის ქვანახშირის საბადოს განვითარება;
- რკინიგზის გაყვანა – ჯერ ფოთიდან თბილისამდე, შემდეგ კი ბაქოდან ბათუმამდე, თბილისის გავლით;
- წყალმომარაგების პრობლემის მოგვარება – ნიკო ნიკოლაძის ძალისხმევით ჯერ ავჭალაში მოეწყო წყალსადენი, შემდეგ კი – წალკისა და ნატახტარ-ბულაჩაურის წყაროებზე;
- თბილისში სადეზინფექციო კამერის აშენება და სანიტარული ექიმის დანიშვნა;
- ე. წ. „ბოინის“ (ცხოველთა სპეციალური სასაკლაოს) შექმნა – ცხოველების დაკვლა მხოლოდ ცალკე არსებულ სასაკლაოზე გახდა ნებადართული. ამით სანიტარული პრობლემები მოგვარდა;
- დედაქალაქში კანალიზაციის ქსელის მოწყობა;
- ფოთისა და თბილისის ქუჩების განათება;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება – მისი დაჟინებული თხოვნით შემოიღეს ცხენის ტრამვაი – კონკა.

ვაჭრობა. საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერიამ დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლო აქაური ბაზრის ვერც ფულით და ვერც საქონლით უზრუნველყოფა. ბევრი პროდუქტი კვლავაც ირანიდან და ოსმალეთიდან შემოდიოდა. კავკასიის დაპყრობა რუსეთის იმპერიისთვის სამხრეთის სავაჭრო გზების ხელში ჩასაგდებად იყო მნიშვნელოვანი. ამის გამო იმპერიამ განსაკუთრებული ყურადღება რეგიონში ვაჭრობის გააქტიურებას მიაქცია, თუმცა ეს რიგ სიძნელეებთანაც იყო დაკავშირებული.

ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდი საქართველოში საგარეო და საშინაო ვაჭრობის განსაკუთრებული აღმავლობის ხანაა.

რუსეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ საფეიქრო ნაწარმი, ხორბალი, შაქარი, რკინის ნაკეთობანი და სხვ., ევროპიდან კი – სხვადასხვა ქსოვილი, ფოლადის ნაწარმი, მინა, ასანთი, შაქარი. საქართველოდან რუსეთისა და ევროპის ბაზარზე გადიოდა: მატყლი, მანგანუმი, ხეტყე, მარცვლეული, ღვინო და კონიაკი.

ბატონყმობის გაუქმებამ და ბურჟუაზიულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო საშინაო და საგარეო ვაჭრობას. ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ სოფელი და ქალაქი უფრო მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს. ამან კი საქალაქო ცხოვრების აღმავლობა დააჩქარა. ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად სოფელსა და ქალაქს შორის სასაქონლო ბრუნვაც მნიშვნელოვნად იზრდებოდა. მთავარ სავაჭრო ცენტრად თბილისი მიიჩნეოდა, სადაც თავმოყრილი იყო მრავალი სავაჭრო დაწესებულება. თბილისის შემდეგ მსხვილ სავაჭრო ცენტრად ბათუმი მიიჩნეოდა.

კაპიტალიზმის განვითარებამ თავისი კვალი ქალაქების განაშენიანებასაც დააჩნია. შეიქმნა სამრეწველო უბნები, ახალი დასახლებები. თბილისში, რკინიგზის სადგურის მახლობლად აშენებულმა რკინიგზის მთავარმა სახელოსნოებმა მახლობელ ტერიტორიებზე სოფლიდან ჩამოსული მოსახლეობის უნებართვო დასახლებების ჩამოყალიბება განაპირობა (დღევანდელი „ნაძალადევი“, რომელსაც ხალხში „ნახალოვკასაც“ უწოდებენ, რუსული სიტყვიდან нахал – თავხედი, კადნიერი). სწორედ ამიტომ გახდა მოგვიანებით ეს ადგილი მუშათა სოციალური მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი.

საქართველოში ვაჭრობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ქალაქ ფოთის განვითარებამ და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო ცენტრად ქცევამ. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ნიკო ნიკოლაძეს. ფოთის პორტის მშენებლობისას მან 8-ჯერ იმოგზაურა ევროპაში და ჩრდილოეთ აფრიკის 12 სხვადასხვა საპორტო ქალაქი მოიარა სრულყოფილი პროექტის შესადგენად. ნიკოლაძის ინიციატივით, ფოთში სამი ხიდი აიგო, რომლებიც ქა-

ლაქსა და დიდ კუნძულს ნავსადგურთან აკავშირებდა; ასევე, ერთი მალთაყვაზე, რომელიც ფოთს გურიასთან აკავშირებდა. ჭაობების დაშრობის მიზნით ქალაქსა და მის განაპირა უბნებში წყალსაწრეტი არხები გაიყვანეს. ნიკო ნიკოლაძე კარგად იაზრებდა ფოთის ეკონომიკურ პოტენციალს, სწორედ ამიტომ დიდი ყურადღება დაუთმო ნავსადგურის გაფართოებისა და კეთილმოწყობის საქმეს: „ბუნებამ თითქოსდა შექმნა რიონის დელტა საქონელის აღმოსავლეთიდან დასავლეთში გასატანად. ახლა რიგი სამეწარმეო ინიციატივაზეა, რომ ამ ადგილას შეიქმნას შავ ზღვაზე პირველი პორტი“. ნიკო ნიკოლაძეს, ასევე, ჰქონდა გეგმები ფოთში თევზჭერისა და თევზის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების კუთხითაც.



წყარო 0 თათრის (დღევანდელი ვახტანგ გორგასლის) მოედანი თბილისში



წყარო კ მშრალი ხიდიდან მიხეილის (დღევანდელი ზაარბრიუკენის) ხიდისაკენ მიმავალი გზა და მის გასწვრივ განლაგებული სავაჭრო დუქნები თბილისში

კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებები საქართველოში. კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, თან სდევდა ორი ახალი კლასის – ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის – ჩამოყალიბება. ამ პროცესს საქართველოში მნიშვნელოვანი თავისებურებები ახასიათებდა.

საქმე ისაა, რომ კაპიტალიზმის განვითარების პირველსავე ეტაპზე კაპიტალი ხელთ იგდეს უცხოელებმა, ძირითადად, სომხებმა. მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები სწორედ მათ გახსნეს. მსხვილ საწარმოებს საქართველოში, აგრეთვე, ხსნიდნენ რუსი, ევროპელი და

ამერიკელი კაპიტალისტები. სუსტი და მცირერიცხოვანი ქართული ეროვნული ბურჟუაზია უცხოურ კაპიტალს კონკურენციას ვერ უწევდა.

თავისებურება შეინიშნებოდა საქართველოში მუშათა კლასის ჩამოყალიბებაშიც. ქალაქებში, კაპიტალისტურ წარმოებაში დასაქმებული მუშები კავშირს არ წყვეტდნენ სოფელთან. სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი მათთვის არსებობის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა. ასეთ მუშებს ფსიქოლოგიაც თავისებური ჰქონდათ, რადგან ისინი სრულად არც მუშათა კლასს განეკუთვნებოდნენ და არც გლეხობას.

- *შენი აზრით, რა განაპირობებდა იმას, რომ მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები საქართველოში, ძირითადად, უცხოელებმა ჩამოაყალიბეს და არა თვით ქართველებმა?*

კაპიტალისტური განვითარების პროცესი საქართველოს სოფელში წინააღმდეგობებით იყო აღსავსე. საქმე ისაა, რომ ახალ, კაპიტალისტურ მეურნეობაზე გადასვლა ყველა მემამულემ ვერ შეძლო. ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლებს ეთაკილებოდათ საკუთარ მამულში კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი საწარმოო ურთიერთობების დანერგვა და არ ავლენდნენ ინტერესს სიახლეებისადმი. ამის გამო დიდმა ნაწილმა უბრალოდ მიწის გაყიდვით „უშველა თავს“. შედეგად, მიწა ვაჭრობის მსხვილ საგნად იქცა.

ცნობა 3 ხელფასები და ფასები საქართველოში XIX-XX სს-ების მიჯნაზე

თუ სოფლად მცხოვრები გლეხობა თავს, ძირითადად, თავისივე წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით ირჩენდა, ქალაქში დასაქმებული ადამიანისა და მისი ოჯახის ცხოვრების დონე უმთავრესად ფულად შემოსავალზე იყო დამოკიდებული. თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მუშის დღიური ხელფასი 50 კაპიკიდან 2 მანეთსა და 50 კაპიკამდე მერყეობდა, ბორჯომის მინის ქარხნის მუშისა კი თვეში 15 მანეთს არ აღემატებოდა. თბილისის ობსერვატორიის რიგითი თანამშრომელი თვეში 25 მანეთს და დამატებით 197 მანეთს წლიურად ე. წ. „სადილის ფულს“ იღებდა, მაშინ როცა ობსერვატორიის დირექტორი თვეში 205 მანეთს იღებდა და „სადილის ფული“ წლიურად 686 მანეთს შეადგენდა. მუშათა მრავალი გაფიცვა სწორედ ხელფასის მომატებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით იყო გამოწვეული.

მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა რომ წარმოვიდგინოთ, მნიშვნელოვანია მაშინდელი ფასების ცოდნაც, მაგალითად:

- 1900 წელს 1 კგ ხორცი დაახლოებით 1 მანეთი და 8 კაპიკი ღირდა;
- იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქში ჯერ კიდევ არ არსებობდა წყალგაყვანილობა, წყალს ე. წ. თულუხჩები ყიდდნენ. ერთი ვედრო წყალი 1-3 კაპიკი ღირდა და ფასი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა სიშორიდან და მტკვრის რომელი ნაპირიდან იყო აღებული წყალი;
- ერთი ბოთლი „ბორჯომის“ ფასი 12-18 კაპიკი იყო;
- ცხენის ყიდვა 100-160 მანეთის ფარგლებში შეიძლებოდა.

წერილობით წარმოადგინე ბატონყმობის გაუქმების დადებითი შედეგები ქართველი გლეხობისთვის.

3.2 საქართველო თერგდალეულთა მოღვაწეობის პერიოდში



განსხვავებული სიტუაცია გვაქვს XIX ს-ის მეორე ნახევრიდან. რუსეთის იმპერიაში 1861 წელს, ხოლო საქართველოში 1864 წელს ბატონყმობა გაუქმდა. გარდა ამისა, გატარდა ძირეული რეფორმები. ამით იწყება ახალი ეტაპი რუსეთის იმპერიისა და საქართველოს ისტორიაში. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან მოღვაწეები, რომელთა საქმიანობა ქართველი ხალხისა და საქართველოს კეთილდღეობისკენ იყო მიმართული.

ამ ქვეთემიდან გაიგებ, ვინ გაერთიანდა XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორი გეგმები და შეხედულებები ჰქონდათ მათ ქვეყნის განვითარებაზე, მის გათავისუფლებაზე; რა გახდა მათ შორის დაპირისპირების მიზეზი; როგორ შემოდიოდა ახალი დასავლური იდეოლოგიები საქართველოში და როგორ ვრცელდებოდა ისინი ხალხში; რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ პროცესებში პრესას.

რუსეთის იმპერიაში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური მოვლენების დაგვირგვინება იყო 1905-1907 წლების რევოლუცია, რომელიც არა მარტო უშუალოდ რუსეთის, არამედ საქართველოს, როგორც მისი გუბერნიის ტერიტორიაზეც საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობდა. ამ ქვეთემიდან გაიგებ, რა სიტუაცია იყო ამ პერიოდში საქართველოში, როგორ იყვნენ ჩართულნი პოლიტიკური პარტიები რევოლუციის მსვლელობაში და რა მიზნები და გეგმები ჰქონდათ მათ.

საკითხი 11. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები და მოვლენები საქართველოში XIX ს-ის მეორე ნახევარში



კომპლექსური დავალება 11

სამიზნე ცნებები

- ძალაუფლება
- დრო

წარმოიდგინე, რომ ხარ XIX ს-ის მეორე ნახევრის ევროპელი ჟურნალისტი, რომელიც ჩამოდის საქართველოში, რათა გაეცნოს ამ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების საქმიანობასა და პროგრამებს.

საკითხის შესწავლის შემდეგ ევროპელი მკითხველისთვის უნდა გააკეთო **გაზეთის სპეციალური ნომერი**, რომელშიც მიმოიხილავ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობას – რამდენად და როგორ შეიცვალა XIX ს-ის მეორე ნახევარში საზოგადოებრივი აზრი და იმპერიულ ცენტრთან ბრძოლის მეთოდები, XIX ს-ის პირველ ნახევართან შედარებით.

ნაშრომში ნათლად წარმოაჩინე შემდეგი საკითხები:

- რა იდეოლოგიის მატარებლები იყვნენ საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები?
- საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად რომელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები ძალაუფლების რა ინსტრუმენტებს იყენებდნენ?
- როგორ შეცვალა ქართული გაზეთების გამოცემამ საზოგადოებრივი აზრი საქართველოში?
- რით განსხვავდებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნული მოძრაობის მიზნები და საშუალებები იმავე საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნული მოძრაობის მიზნებისა და საშუალებებისგან?

64/65 ვინ იყვნენ თერგდალეულები და რა მიზნები ჰქონდათ მათ?

XIX ს-ის მეორე ნახევარი საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების ხანაა. ამ პერიოდის მოღვაწეები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში იყვნენ ჩაბმულნი, უმთავრესად იმით განსხვავდებოდნენ იმავე საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მესვეურებისგან, რომ მათ უარი თქვეს შეიარაღებულ გამოსვლებზე და უმთავრესი ყურადღება განათლებას მიაპყრეს.

ალექსანდრე II-ის რეფორმებამდე საქართველო დამარცხებული ქვეყანა იყო: საუკუნის პირველ მესამედში დამოუკიდებლობისთვის წარმართული ბრძოლები და მოძრაობა წარუმატებლად დასრულდა. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სათავეში პატრიოტულ-კონსერვატიული მიმართულების წარმომადგენლები იდგნენ. ისინი ხელმძღვანელობდნენ სამეურნეო, საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებებს; განსაზღვრავდნენ საზოგადოების ინტელექტუალურ ორიენტაციასაც. ესენი იყვნენ: ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანები, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, დიმიტრი ყიფიანი და სხვ. მათი მსოფლმხედველობა სამ ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა: 1. პატრიოტიზმს; 2. რუსეთის იმპერატორის ერთგულებასა და 3. ძველი ბატონყმური სისტემის შენარჩუნებისკენ სწრაფვას. ეს ჯგუფი ჟურნალ „ცისკართან“ იყო ასოცირებული და მკითხველს ნაკლებად სთავაზობდა არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს. სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე „პატრიოტ-დემოკრატთა დასი“ (თერგდალეულები) გამოვიდნენ.

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ქართველი ახალგაზრდობა უმაღლეს განათლებას, უმთავრესად, რუსეთის იმპერიის ქალაქებში – მოსკოვსა და პეტერბურგში – იღებდა. შემდეგ მათი ნაწილი ცოდნის გასაღრმავებლად ევროპაში მიდიოდა, ნაწილი კი სამშობლოში ბრუნდებოდა. სწორედ ეს თაობა გამოდის ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე და ცდილობს, ქვეყანაში არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობა გააუმჯობესოს. მათი წარმომადგენლები სწავლობდნენ მოწინავე რუსი და ევროპელი მოაზროვნეების შეხედულებებს სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობისა და საზოგადოების სოციალური თავისუფლების შესახებ; თვალყურს ადევნებდნენ იმჟამინდელი მსოფლიოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებსა და მათ გამოცდილებას საკუთარი სამშობლოს მდგომარეობას უსადაგებდნენ. მათ სახელს უკავშირდება ქართველთა სააზროვნო სივრცეში ისეთი ტერმინების შემოტანა და დანერგვა, როგორებიცაა: ლიბერალიზმი, დემოკრატია, ერი (ნაცია), პარლამენტარიზმი და სხვ.



გიორგი ერისთავი (1813-1864)

ქართველი დრამატურგი, პოეტი, ქართული თეატრის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი. იყო პირველი ქართული სალიტერატურო ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი და რედაქტორი (1852-1853 წლებში).

ცნობა 1 კრიტიკოსი და პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე (1928-1999) ტერმინ „თერგდალეულების“ შესახებ:

ტერმინი მომდინარეობს **გიორგი ერისთავის** კომედიიდან „გაყრა“. მწერალმა თერგდალეული უწოდა პოლონეთში განათლებამიღებულ ივანე დიდებულიძეს. ამის შემდეგ ეს ტერმინი ორი მნიშვნელობით გამოიყენებოდა – ერთი, როგორც მეტსახელი იმ ახალგაზრდებისა, რომელნიც XIX ს-ის 50-იანი წლების II ნახევარში რუსეთში წავიდნენ განათლების მისაღებად. რაკი მათ დარიალის ხეობაში საქართველოს საზღვარი და მდინარე თერგი გადალახეს, ხუმრობით „თერგდალეულნი“ შეარქვეს; მეორე, რაც უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია, „თერგდალეული“ სახელია XIX ს-ის 60-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრისა.

ცნობა 2 **XIX ს-ის 60-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობისთვის დამახასიათებელი ფაქტორები, რითაც ის განსხვავდებოდა იმავე საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისგან:**

- ეროვნული მოძრაობა იყო არა ლოკალური (ადგილობრივი სოციალური პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული), არამედ საერთო-ქართული;
- ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა კონკრეტული მიზნები, რომელთა ეტაპობრივ განხორციელებასაც ქართველი ხალხი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე უნდა მიეყვანა;
- ეროვნული მოძრაობის სათავეში, უმთავრესად, ქართველი არისტოკრატია იდგა, თუმცა ის ორიენტირებული არ ყოფილა ხალხის რომელიმე ფენასა თუ წოდებაზე. ის საზოგადოების ყველა ფენისა და წოდებისთვის თანაბრად აპირებდა ბრძოლას;
- ეროვნული მოძრაობა მიზნად არ ისახავდა საერთო-ქართული აჯანყების დაწყებას რუსეთის წინააღმდეგ.

XIX ს-ის 60-იანი წლების ეროვნული მოძრაობა – „თერგდალეულები“

60-იანი წლების ახალგაზრდა თაობამ რამდენიმე უმთავრესი მიზანი დაისახა, თუმცა მათი განხორციელება რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში ძალიან ძნელი იყო. საიმპერატორო კარი და კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია ყოველნაირად ეცდებოდა, წინ აღსდგომოდა მათ ეროვნულ საქმიანობას.

თერგდალეულობა არ ყოფილა განსაზღვრული წესდებისა თუ პროგრამის საფუძველზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური გაერთიანება. მას არ ჰქონია არც კონკრეტულად გაწერილი სამოქმედო პროგრამა. სათქმელის პირდაპირ გადმოცემის საშუალებას მათ ცენზურა არ აძლევდა. ამიტომაც ბევრი რამ ავტორებს შეფარვით ან მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟთა პირით აქვთ ნათქვამი. „სამოციანელების“ (თერგდალეულებს მეორენაირად ასეც ვუწოდებთ) ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისთვის ერთდროულად ეფუძნებოდა ეროვნული და პიროვნული თავისუფლების იდეებს. მათ შეგნებული ჰქონდათ, რომ ფეოდალურ წოდებებად დაყოფილი, ეკონომიკურად ჩამორჩენილი და უსწავლელობით დაბეჩავებული ქართველი ხალხისთვის სოციალური იდეების განმარტების, მომავლის რწმენის ჩანერგვის, სამშობლოს განცდის გაჩენისა და გაღვივების მისია სწორედ მათ ეკისრებოდათ. თერგდალეულების ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება გენდერული თანასწორობის მიღწევა იყო. ისინი ბევრს მსჯელობდნენ ქალთა ემანსიპაციის საკითხზე. ილია ჭავჭავაძე 1877 წელს წერდა ქალთა უფლებების შესახებ და ინგლისის მაგალითზე განიხილავდა ამ საკითხს. აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო ამ მიმართულებით საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება. ეს პროცესი საქართველოში ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა. XIX ს-ის 70-იან წლებში უკვე ბევრი ქართველი ქალი სწავლობდა ევროპის სასწავლებლებში. 1873 წელს შვეიცარიაში მყოფმა ქართულმა ემიგრაციამ შექმნა საზოგადოება „უღელი“, რომლის წევრები, მამაკაცებთან ერთად (ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი,) ქალებიც იყვნენ: ოლღა გურამიშვილი (ნიკო ნიკოლაძის მეუღლე), ოლიმპიადა და ეკატერინე ნიკოლაძეები, ეკატერინე მიქელაძე და სხვები. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ყველა ეს ახალგაზრდა აქტიურად ჩაერთო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამგვარი აზროვნების შედეგი კი ის იყო, რომ, მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, სამოციანელები უფროსი თაობისგან (პატრიოტ-კონსერვატორებისგან) გაუცხოვდნენ. ამ დაპირისპირების გამოხატულება იყო ე. წ. **„მამათა და შვილთა ბრძოლა“**. დაპირისპირება ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე დაიწყო. ილია ჭავჭავაძემ გააკრიტიკა თავად შალვა ერისთავის მიერ რუსულიდან შესრულებული ერთი ლიტერატურული თარგმანი, რაც, ფაქტობრივად, მთელი კონსერვატიული დასის წინააღმდეგ მიმართული წერილი გამოდგა. როგორც მოგვიანებით არჩილ ჯორჯაძე წერდა: „ამ წერილს ისეთი გამოხმაურება ჰქონდა ქართველ მწერალთა წრეებში, თითქოს კარგად გატენილი ყუმბარა გასკდაო, ჯერ გააქცია, მერე შეაჯგუფა ხალხი ყუმბარის მსროლელის დასაჭერად და მის დასასჯელად“. დაპირისპირების პირველ ეტაპზე პუბლიცისტური პოლემიკა მიმდინარეობდა ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, თუმცა, ცოტა მოგვიანებით, იდეოლოგიური სახე მიიღო. „მამათა“ თაობის (გრიგოლ ორბელიანი, ანტონ

ფურცელაძე, ბარბარე ჯორჯაძე და სხვ.) მხრიდან ილიას გაკრიტიკებას „შვილთა“ მხრიდან ილიას დაცვა მოჰყვა: ილიას გამოექომაგნენ: აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ. იმის გამო, რომ ჟურნალ „ცისკარის“ მსოფლმხედველობა ამ ახალი ჯგუფისთვის მიუღებელი იყო, მათ ახალი ჟურნალის გამოცემაზე დაიწყეს ფიქრი. შეძლეს კიდეც – 1863 წლის თებერვალში გამოვიდა ახალი სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელიც შინაარსის, იდეური მიმართულებისა და გარეგნული გაფორმების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

ამავე პერიოდში თაობათა უთანხმოება განაპირობა ბატონყმობის გაუქმების საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობამ, ხოლო 1871 წელს – იმპერატორ ალექსანდრე II-ის საქართველოში ვიზიტის დროს – უნივერსიტეტის გახსნის საკითხმა. საქმე ისაა, რომ უფროსი თაობა საჭიროდ მიიჩნევდა სამხედრო სასწავლებლის გახსნას, ხოლო თერგდალეული ახალთაობელები ფიქრობდნენ, რომ საჭირო იყო უნივერსიტეტის გახსნა. საბოლოოდ, უფროსი თაობის საიმპერატორო მოღვაწეებთან ახლო ურთიერთობამ განაპირობა ის, რომ გაიხსნა კადეტთა კორპუსი.

წყარო ა „ცისკრის“ ზოგიერთი ავტორის შეხედულება საზოგადოების საჭირბოროტო საკითხების შესახებ

1. ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869), ნაწყვეტი 1859 წლის „ცისკარში“ გამოქვეყნებული წერილიდან „უწინდელი დროის ბატონყმობა“: უწინდელ დროს გარეშე კაცი იმას ეძებდა, მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოვო, ამისთვის რომ მებატონე თავის ყმასა შვილივით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისთვის.

2. მიხეილ თუმანიშვილი (1818-1875): მტერი ვერა ჰბედავს ჩვენს შევიწროებას, ვინაიდან გვიცავს უძლიერესი ორთავიანი ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისა... ჩვენი ენა, რომლისთვისაც ცდილობს უმაღლესი ჩვენი მთავრობა, გვაძლევს ყოველივე შემწეობას და არარას ზოგავს ჩვენთვის, ჩვენის კეთილ მდგომარეობისთვის. ამისთანა მყუდრო მდგომარეობაში, კაცს არ შეეძლოს თავისი ენის მოხმარება უბედურება არ არის?

3. ბარბარე ჯორჯაძე (1811-1895): ყოველთა ამათ [ავტორი გულისხმობს გრამატიკის კანონებს] განხილვა, გამოძიება და ახალთა კანონთა დადება ჩუჱნი საქმე არ არის, რადგანაც ყოველი ესე არის მოყვანილი ცნობაში ჩუჱნზედ ადრე. ბუნება გვეუბნება თქუ ქუაო და არა ქვაო; ბუნება გვამხილებს თქუ ჩუჱნო და არა ჩვენო.

შენიშვნები: ჩრდილოეთის ორთავიანი არწივი *– გამოსახული იყო რუსეთის იმპერიის სახელმწიფო გერბზე. დღეს იგივე სიმბოლო გამოსახულია რუსეთის გერბზე.*

მიხეილ თუმანიშვილი (1818-1875) *– პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, თეატრის კრიტიკოსი და ეთნოგრაფი. გიმნაზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად მონაწილეობდა პოეზიის ანთოლოგიის შედგენაში. მისი ფელეტონები იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში“. ითვლება ქართული თეატრის პირველ კრიტიკოსად. როგორც ეთნოგრაფი, მონაწილეობდა კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტისა და რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მუშაობაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მის მიერ შეგროვილი ხევსურული სამოსი და იარაღის კოლექციები.*

ბარბარე ჯორჯაძე (1811-1895) *– მწერალი, რაფიელ ერისთავის და. თავის დროზე პოპულარული იყო მისი ნაწარმოებები, თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკართან“. სამოციან წლებში დაწყებულ „მამათა და შვილთა ბრძოლაში“ მამების პოზიციებს იცავდა.*

- *ქვეთავის „XIX ს-ის 60-იანი წლების ეროვნული მოძრაობა – ‘თერგდალეულები’“ და წყარო ა-ს მიხედვით უპასუხე შეკითხვებს:*
- *რატომ მიიჩნევდა „მამათა თაობა“ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნას საქართველოს კეთილდღეობის გარანტად? რა არგუმენტები შეგიძლია დაუპირისპირო ამ მოსაზრებას?*
- *რატომ იცავდა „მამათა თაობა“ არსებულ სოციალურ წყობილებას და რატომ ეწინააღმდეგებოდა სხვადასხვა სფეროში რეფორმების გატარებას?*

საადგილმამულო ბანკის დაარსება. როგორც წინა გაკვეთილიდან გაიგე, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხების მდგომარეობა უმეტეს შემთხვევაში გაუარესდა. იგივე ბედი ელოდათ თავადაზნაურობის წარმომადგენლებსაც. მათი შემოსავლის უმთავრესი წყარო მიწა იყო და მხოლოდ მცირე ნაწილი საზრდოობდა სახელმწიფო სამსახურიდან მიღებული შემოსავლით. უსახსროდ დარჩენილი ქართველი არისტოკრატია სომეხი ბურჟუაზიისგან

ფულის სესხებით ცდილობდა თავის გადარჩენას. მათი დიდი ნაწილი ვალს ვერ აბრუნებდა და მიწის გაყიდვით მიღებული შემოსავლით ცდილობდა მის დაფარვას. შესაბამისად, ისინი მაინც უმიწოდ რჩებოდნენ. ამ ზარალის საკომპენსაციოდ, თავადაზნაურობა ყოველ გათავისუფლებულ გლეხზე მიიღებდა 25 მანეთს. ცნობების თანახმად, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა დასაკმაყოფილებლად დაახლოებით 2 მილიონი რუსული მანეთი გამოიყო. სწორედ ამიტომ **დიმიტრი ყიფიანმა** სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების უმთავრეს ამოცანად ამ პრობლემის გადაჭრა დასახა. ის ქართველ თავადაზნაურობას შემდეგს სთავაზობდა: „მე მხოლოდ ამას გირჩევთ, გთხოვთ და გევედრებით, რომ ერთი მეხუთედი მაინც გადასდეთ საკუთრად და უშორეს შთამომავლობისათვის.“ ამ იდეამ ქართველ თავადაზნაურთა შორის დიდი დაინტერესება გამოიწვია, თუმცა ბანკის დაარსების საქმე რუსული ბიუროკრატიზმის გამო ჭიანურდებოდა. საჭირო გახდა დიდი და ძლიერი ჯგუფის შეკრება საიმისოდ, რომ ბანკის დაფუძნების იდეა განხორციელებულიყო.

წყარო ბ **ილია ჭავჭავაძე სათავადაზნაურო ბანკის შესახებ:**

ტფილისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკის ნიშანდობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისგან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, გარდა, რაც სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ხმარდება *ამერეთის* არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი, თავად-აზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის.

შენიშვნა: ამერეთი *– აღმოსავლეთ საქართველო.*

- *შენი აზრით, რატომ უნდოდათ სათავადაზნაურო ბანკის დამფუძნებლების ნაწილს, რომ ბანკი მოგებაზე ორიენტირებული არ ყოფილიყო?*

წყარო გ **თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრები. ცენტრში ზის ილია ჭავჭავაძე.**



წყარო დ **ამონარიდი ნიკო ნიკოლაძის წერილიდან „ჩემ პოლიტიკაზე“:**

რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა 1871-1873 წწ., რამდენ ყმაწვილს რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ *ილია ჭავჭავაძისთვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინებინა*, ბანკის დაარსება იერიშით აგველო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებინა.

შენიშვნა: ილია ჭავჭავაძისთვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინებინა – *ილია ჭავჭავაძე საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1874 წლამდე, დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა.*

1875 წელს, ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, შეიქმნა საადგილმამულო ბანკი, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა. ამიერიდან, ქართველი თავადაზნაურობა, რომლისთვისაც მიწის გაყიდვა შემოსავლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა, მიწას უცხოური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს კი არ მიჰყიდდა, არამედ გარკვეულ საფასურად დააგირავებდა. ამდენად, თავადაზნაურობა მიწაზე საკუთრების უფლებას აღარ დაკარგავდა – ბანკიდან სესხად მიღებული თანხის დაბრუნების შემდეგ ბანკში დაგირავებული მიწა კვლავ ძველ მფლობელს უბრუნდებოდა; ხოლო თუ ვერ გადაიხდიდა, მიწა აუქციონზე იყიდებოდა.

თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკების შემოსავლის ნაწილი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ხმარდებოდა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (აბრევიატურა – ქშწკგ). იმისათვის, რომ განათლებისთვის ბრძოლა უფრო მასშტაბური გაეხადათ, სამოციანელებმა 1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (შემოკლებით – ქშწკგ საზოგადოება) დააარსეს, რომლის პირველი თავმჯდომარეც დიმიტრი ყიფიანი იყო.

წყარო ე **ილია ჭავჭავაძე 1879 წელს ქშწკგ საზოგადოების შესახებ გაზეთ „ივერიაში“ წერდა:**

საზოგადოების პროგრამა ფრიად დიდ ღვაწლს გვიქადის მომავალში... ეს საზოგადოება თავის დანიშნულებას მოჰკიდებს ხელს არა მარტო სასოფლო სკოლების გამართვით, არამედ დააარსებს, აგრეთვე, სახალხო სამწიგნობროებს (ბიბლიოთეკებს), მასწავლებლებს გამოზრდის, გამართავს ლექციებს ხალხისათვის... ეს ჩვენი საკუთარი სასწავლებელი შეიქმნება ჩვენი ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებული სწავლისა და განათლების შესაძენად. ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ ჩვენს საკუთარ ქართველ ინტელიგენციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველი ხალხის განვითარებისა და წარმატებისა.

საზოგადოების საქმიანობაში დიდი წვლილი მიუძღვით: ილია ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, იაკობ გოგებაშვილს, გიორგი ქართველიშვილს, ძმებ ზუბალაშვილებს, დავით და ალექსანდრე სარაჯიშვილებს, ნიკო ცხვედაძესა და ბევრ სხვა ქართველ მოღვაწეს. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 1885 წლიდან გარდაცვალებამდე (1907) ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. ცარიზმის ხელისუფალთა წინააღმდეგობის მიუხედავად, საზოგადოებამ დიდი მიზნები დაისახა და მრავალი მათგანი განახორციელა კიდეც.

განათლებისა და ქართული ენის საკითხები

ქართველი „სამოციანელების“ საქმიანობის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხი ქართული ენისა და განათლების პრობლემები იყო.

ქართული ენის დევნის პირობებში ქშწკგ საზოგადოება ქართულ სკოლებს არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის იმპერიის იმ ქალაქებშიც ხსნიდა, რომლებშიც ქართველები კომპაქტურად სახლობდნენ (ვლადიკავკაზი, ბაქო, ნალჩიკი და სხვ.). ქართულ ენაზე განათლების ორგანიზებისა და ქართული ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებაში შეუდარებელი

წვლილი შეიტანეს **იაკობ გოგებაშვილის** სახელმძღვანელოებმა, განსაკუთრებით კი მისმა **„დედა ენამ“** (1876). საზოგადოება დიდ სამსახურს სწევდა საისტორიო საქმეშიც. აგროვებდა და ცდილობდა, დაკარგვისგან გადაერჩინა ძველი ქართული ხელნაწერები, ფოლკლორული და ნუმიზმატიკური მასალები, რომლებიც გაბნეული იყო ოჯახებში, ეკლესია-მონასტრებსა და სხვა ადგილებში. საზოგადოება, ასევე, აქტიურად უწყობდა ხელს ქართული წიგნის გამოცემასა და პოპულარიზაციას. ყველაფერ ამისთვის გასაწევ ხარჯებს კი ქართველი საზოგადოება არ იშურებდა. გარდა საწევრო თანხისა, რომელიც ქშწკგ საზოგადოების წევრებს უნდა შეეტანათ, საზოგადოებას ხშირად უმართავდნენ ხელს მეცენატები. მრავალჯერ მომხდარა, რომ პიროვნებას ანდერძში მოუხსენიებია ქშწკგ საზოგადოება და ქონება, სრულად თუ არა, მისი სოლიდური ნაწილი მაინც, მისთვის დაეტოვებინა..

წყარო 3 არჩილ ჯორჯაძე სამოციანელთა საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ:

ხალხში კითხვის სურვილის გაღვიძება და სახალხო სკოლის რაციონალურ ნიადაგზე დაყენება იყო საჭირო. საჭირო იყო სისტემატური, რეგულარული გაწვრთნა ხალხის გონებისა სკოლის საშუალებით. სწორედ ამ სატკივარს დაადო მალამო იაკობ გოგებაშვილმა. და დღეს (საუკუნის ბოლოს), თუ ჩვენებურ დაბა-სოფლებში დედა ენას 30 ათასი მკითხველი ჰყავს, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ სწორედ მათგან ივსება ქართული გამოცემების მკითხველთა რიცხვი, მათგან გამოდის ის ელემენტი, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი მომავალი და რომლის საასპარეზოდ გამოსვლამ სამუდამოდ მისცა ქართულ ინტელიგენციას მტკიცე ხასიათი დემოკრატიული ინტელიგენციისა.

წყარო 4 იაკობ გოგებაშვილი იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა რუსულმა მმართველობამ ქართულ ენაზე:

მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ურიცხვნი მტერნი სულ იმასა ცდილობდნენ, რომ სარწმუნოება წაერთმიათ ჩვენთვის და თავის რჯულზე გადავეყვანეთ. ჩვენი ენის წართმევაზე კი, მის აღმოფხვრასა და გაუქმებაზე არამც თუ არა ფიქრობდნენ, პირიქით, თვითონაც სწავლობდნენ. ჩვენი სარწმუნოების დევნით სავსებით სავსეა საქართველოს წარსული, მაგრამ დიოგენეს ფარნითაც ვერ მიაგნებ იქ ენის დევნას. ამის გამო ჩვენნი წინაპარნი იბრძოდნენ მხოლოდ სარწმუნოებისათვის და ამ ბრძოლაში უკანასკნელ ხარისხამდე გაიწვრთნენ და სიმტკიცე ფოლადისა მოიპოვეს. ენისათვის ბრძოლა კი მათ სრულიად არ იცოდნენ, რადგანაც ამ ეროვნულ საუნჯეს არავინართმევდა, არავინ ჩაგრავდა... რუსეთთან შეერთების შემდეგ *სარწმუნოება უზრუნველყოფილ იქნა*, მაგრამ ბევრი ქართველი ვერა გრძნობს, ვერ ამჩნევს ხიფათსა და განსაცდელს, რომელიც მოევლინა დედა-ენას...

ჩვენში, ქართველებში, სარწმუნოებას მეტად ასუსტებს ის გარემოებაც, რომ საღმრთო სჯული ყველა სასწავლებელში ისწავლება არა დედა-ენაზე, არამედ რუსულზე. უმაგალითოა ასეთი დაბრიყვება ქართველობისა... ამ დაბრიყვებას დიდი ვნება მოაქვს: სარწმუნოებრივი გრძნობა ქართველ მოსწავლეს არამცთუ არ უვითარდება, არამედ უსუსტდება და უჭკნება. ეს იმიტომ, რომ სარწმუნოება გულის სფეროა, ხოლო გულზე მოქმედებს მარტო დედა-ენა. ყოველი უცხო ენა აქ, როგორც *ენა მეხსიერებისა*, უძლურია. როგორც პოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე სარწმუნოებრივი გრძნობა...

შენიშვნები: სარწმუნოება უზრუნველყოფილ იქნა *– იგულისხმება, რომ, ვინაიდან რუსეთის იმპერია მართლმადიდებელი ქვეყანა იყო, საქართველოშიც, როგორც მის კოლონიაში, ადვილი შესანარჩუნებელი გახდა ქრისტიანული რწმენა.*

მეხსიერების ენა *– იაკობ გოგებაშვილი ასე უწოდებს უცხო ენას, რომლის შესასწავლად მეხსიერებაა საჭირო.*

- *როგორ გამოიყენა იმპერიულმა ცენტრმა ქრისტიანული ეკლესია ენობრივი პოლიტიკის გატარებისას?*
- *შენი აზრით, რის მანიშნებელია გოგებაშვილის შეშფოთება: „ბევრი ქართველი ვერ გრძნობს ხიფათს“?*
- *შეეძლო თუ არა იმდროინდელი ქართული განათლების სისტემას, კონკურენცია გაეწია რუსული სისტემისთვის? პასუხი დაასაბუთე.*

ცნობა 3 „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ სასოფლო სკოლებისთვის განკუთვნილი სასკოლო სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე შესაქმნელად, გაზეთი დროება, 1880, №48:

„საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართველობა აცხადებს, რომ ის უნიშნავს ოთხ ჯილდოს იმათ, ვინც შეადგენს შემდეგ სახელმძღვანელოებს სასოფლო სკოლებში გამოსაყენებლად:

1) 150 მანეთს ელემენტარული არითმეტიკის შემდგენელს;
2) 300 მანეთს პირველდაწყებითი გეოგრაფიის კურსის შემდგენელს;
3) 300 მანეთს საქართველოს ისტორიიდან ადვილად საკითხავი ამბების შემდგენელს;
4) 300 მანეთს ბუნებისმეტყველებიდან ადვილად საკითხავი ამბების შემდგენელს.

შემდგენელები არ უნდა დაბრკოლდნენ ამ სახელმძღვანელოებში გამოსაყენებელ სურათებთან დაკავშირებით, რადგან მმართველობა თვითონ იკისრებს ამ სურათების დაბეჭდვას.

ჯილდოს მიღება ვისაც სურს, თავისი სახელმძღვანელო უნდა წარმოადგინოს 1881 წლის 1 თებერვლამდე; ... ჯილდო მიეცემა იმ ავტორს, რომლის თხზულება სხვებზე უკეთესი აღმოჩნდება.

- *იმსჯელეთ კლასში – ამ კონკურსის გამოცხადებით რა ფუნქციას იღებდა საკუთარ თავზე საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ორგანიზაცია „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“? რატომ არ ასრულებდა ამავე ფუნქციას ან რატომ ცდილობდა განსხვავებული პოლიტიკის გატარებას რუსეთის იმპერიის ხელისუფლება?*
- *როგორ ფიქრობ, რატომ იყო მოსალოდნელი, რომ იმპერიული ცენტრი ადრე თუ გვიან მტრულად შეხვდებოდა ქართველი საზოგადოების ამგვარ ინიციატივებს?*

1881 წელს რუსეთის იმპერატორი **ალექსანდრე III** გახდა. მან ქვეყანაში რევოლუციური ძალების განადგურება და ოპოზიციური აზრის ჩახშობა განიზრახა. მომდევნო წელსვე, კოლონიური პოლიტიკის უფრო ეფექტურად გატარების მიზნით, შეიცვალა კავკასიის მმართველობის სისტემა – მეფისნაცვლის მაგივრად კავკასიას სათავეში კვლავ მთავარმართებელი ჩაუდგა. კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება, პირველ ყოვლისა, ქართული ენის დევნასა და შევიწროებაში გამოიხატა.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, **კირილე იანოვსკის**, მიერ 1881 წელს შედგენილი ახალი სასწავლო გეგმისა და ცირკულარის მიხედვით, ყველა ტიპის სკოლაში დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება, ხოლო ქართული ენის სწავლება არასავალდებულო გახდა. 1885 წელს გამოქვეყნებული ცირკულარით კი უკვე სრულებით აიკრძალა ქართული ენის სწავლება სკოლაში და დედაენის შესწავლა „საოჯახო საქმედ“ გამოცხადდა. იანოვსკიმ, აგრეთვე, მოითხოვა, რომ დაწყებით კლასებში რუსული ენის არმცოდნე ბავშვებისთვის მასწავლებლებს ჟესტების ენაზე, „მუნჯური მეთოდით“ აეხსნათ გაკვეთილი, ისე, რომ ქართულად ერთი სიტყვაც არ წამოსცდენოდათ. ქართული სკოლა ქართველი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან, ფაქტობრივად, დაიცალა.

წყარო 07 ინფორმაცია გაზეთ „დროებიდან“ იმის შესახებ, თუ როგორ დარჩა უკმაყოფილო იმპერიული ცენტრის განათლების სფეროს წარმომადგენელი რუსული ენის სწავლების გადავადებით ახალსენაკის სკოლაში, 1880:

ამ მოკლე ხანში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი ყოფილა ახალსენაკში და დაუთვალიერებია იქაური სასოფლო სასწავლებელი. სხვათა შორის, რუსულად დაუწყია ლაპარაკი სკოლაში ახლად შემოსულ შეგირდებთან. ბავშვებს, რასაკვირველია, მისი საუბარი ვერ გაუგიათ.

– რატომ არ იციან რუსული? – უკითხავს ბატონ იანოვსკის სკოლის მასწავლებელ ბატონ ლომინაძისთვის.

– წელს, სექტემბერში შემოვიდნენ ესენი სკოლაში, ჯერ ქართულს ვასწავლი და შემდეგ რუსული უნდა დავაწყებინო, – უპასუხია მასწავლებელს.

ამ პასუხს ძალიან გაუჯავრებია ბატონი იანოვსკი:

– როგორ თუ ქართულს ასწავლით? მე შევნიშნე, რომ თქვენ, ქართველები, რაღაც სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიურს, თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსულისა!..



წყარო 0 გერმანული წარმოშობის ქართველი კარიკატურისტის, ოსკარ შმერლინგის, კარიკატურა „მასწავლებლის გაჭირვება მუნჯური მეთოდის წყალობით“, „საისტორიო მოამბე“, 1950, N5

კარიკატურა კირილე იანოვსკის „მუნჯურ მეთოდს“ მიეძღვნა, თუმცა ცენზურის გამო თავის დროზე ვერ გამოქვეყნდა. მინაწერი კარიკატურაზე: „ბავშვებს უნდა აუხსნას: 1. ძაღლის ყეფა; 2. ყირამალა გადასვლა; 3. ტანისამოსის გახდა; 4. დაწოლა; 5. წყლის გადასხმა; 6. თავის ჩამოხრჩობა.“

- *შენი აზრით, რას გულისხმობდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი თავისი ნათქვამით, რომ ქართველები რაღაც სხვა მიზანს მისდევენ და არა პედაგოგიურს?*

გარდა ენის დევნისა, ცენზურის ქვეშ მოექცა ქართული პრესაც. შევიწროების მსხვერპლი გახდა ქართული ეკლესია – საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ თბილისის სასულიერო სემინარიაში აკრძალა ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება. სასულიერო სასწავლებლებში ქართველი მასწავლებლები რუსებით ჩაანაცვლეს.

რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა გაზეთმა „დროებამ“ და მისმა რედაქტორმა **სერგეი მესხმა**. მას გამოექომაგნენ: ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი და სხვ. ამას ოკუპანტი რეჟიმისგან საპასუხო რეაქცია მოჰყვა – დაიწყო ეროვნული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეების დევნა და შევიწროება. ამ მიზნით ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის, დეკანოზ ჩუდეცკის მკვლელობა სემინარიის ყოფილი სტუდენტის, იოსებ ლაღიაშვილის მიერ. მის დაკრძალვაზე ეგზარქოსმა პავლემ საჯაროდ დაწყევლა საქართველო და ქართველები. ამ ფაქტს კრიტიკული წერილით გამოეხმაურა დიმიტრი ყიფიანი, რომელიც ეგზარქოსისგან მოითხოვდა, თანამდებობა დაეტოვებინა. ამის გამო, იმპერატორის ბრძანებით, დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც 1887 წელს ვერაგულად მოკლეს.



სერგეი მესხი (1845-1883)
პუბლიცისტი, მწერალი, ჟურნალისტი. გაზეთ „დროების“ რედაქტორი. აქვეყნებდა წერილებს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე.

წყარო 2 დიმიტრი ყიფიანის ბარათიდან საქართველოს ეგზარქოს პავლესადმი (1886):

თქვენო აღმატებულებავ! მოიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება, თუ გატაცებული დაუჯერებელი ხმებით ვცოდავ თქვენ წინაშე, მაგრამ, ამბობენ, რომ თქვენ დაწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც თქვენ მოწოდებული ხართ სამწყსოდ და რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან მარტოოდენ სიყვარულსა და სათნოებას... თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა მხოლოდ შეიძლება იმით, რომ შემჩვენებელი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან.

წოდებათა შერიგება – საერთო ნიადაგის შექმნა

XIX ს-ის 60-იანი წლების დამდეგისათვის ქართველი ერი რამდენიმე წოდებად, სოციალურ ფენად იყოფოდა (თავადები, აზნაურები, სამღვდელოება, გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები). ყველა სოციალურ ფენას თავისი მისწრაფება ჰქონდა, რაც აძნელებდა მათ გაერთიანებას.

წყარო ლ **ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილიდან „ზოგიერთი რამ“, რომელშიც ავტორი წუხილს გამოხატავს იმის გამო, რომ მისი თანამემამულეები ქართველობას კარგავენ:**

ქართველები არ არიან, მაშ, რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურს – თავადი, გლეხსა – ორივე; ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთი დედის – საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი სათავადოა, აზნაურის – საazნაურო, გლეხის – საგლეხო, ვაჭრისა – სავაჭრო; ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთი თესლიდან აღმოცენებულნი?

- *შენი აზრით, რის გამოძახილია ილია ჭავჭავაძის წუხილი? რატომ მიაჩნია მას, რომ ქართველი საზოგადოება დანაწევრებულია? ავტორის აზრით, რა ტიპის ერთიანობა აკლია მას? რატომ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ეს ვითარება იმპერიული ცენტრის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგი იყო?*

წოდებათა, სოციალურ ფენათა დაპირისპირებას ობიექტური მიზეზები განსაზღვრავდა. ამ მიზეზების მოსპობა, ცხადია, ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს არ შეეძლოთ. სამაგიეროდ, ილია დარწმუნებული იყო, რომ ქართველი ერის ყველა წოდებისა და სოციალური ფენის გაერთიანება, შელახული ეროვნული ღირსების დასაცავად, მხოლოდ ეროვნული ცნობიერების ამაღლების საფუძველზე გახდებოდა შესაძლებელი.

წყარო მ **1888 წელს ილია გაზეთ „ივერიაში“ წერდა იმის შესახებ, თუ რა განაპირობებს ერის წარმატებას:**

ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ის ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი და გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად, ერთიანი მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს, ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდან ყველამ ერთად და საყოველთაოდ.

ამ კუთხით, უმთავრესი მნიშვნელობა თავადაზნაურობისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხს ენიჭებოდა, რომელთა სოციალური გათანაბრება და ერთმანეთთან შეკავშირება რთული საკითხი იყო. ამას ისიც ართულებდა, რომ ეროვნული მოძრაობის შიგნით განსხვავებული პოლიტიკურ-ეკონომიკური შეხედულებები ჩნდებოდა და აზრთა სხვადასხვაობა მატულობდა.

1. ისაუბრეთ კლასში ილია ჭავჭავაძის პიროვნების მნიშვნელობაზე XIX ს-ის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.
2. იმსჯელეთ კლასში – შეადარეთ ერთმანეთს რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ მიმართული XIX ს-ის პირველი ნახევრისა და XIX ს-ის 60-80-იან წლების წინააღმდეგობები, რომლებსაც ქართველი საზოგადოება საკუთარი თვითმყოფადობისა და ეროვნული უფლებების შესანარჩუნებლად სწევდა.

66 როგორ და რა მიზნით აშუქებდა ქართული პრესა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს?

ქართულმა პრესამ დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის ერთი მიზნისთვის დარაზმვის საქმეში. პრესის ფურცლებზე ფართოდ აისახებოდა ეროვნული მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები, იბეჭდებოდა საგანმანათლებლო შინაარსის წერილები, ყალიბდებოდა საზოგადოებრივი აზრი. ამ გაკვეთილიდან გაიგებ, თუ როგორ იყენებდნენ ეროვნული მოძრაობის წევრები პრესას ანტიკოლონიური მიზნებით.

ეროვნული ცნობიერების ამაღლების, ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისთვის ბრძოლაში ქართულ პერიოდულ გამოცემებს – ჟურნალებსა და გაზეთებს – დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. რუსეთის კოლონიური უღლის ქვეშ მყოფი ქართველი ხალხისთვის ყოველი პერიოდული გამოცემა იმაზე მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ჟურნალი ან გაზეთი. პრესაში მუშავდებოდა საზოგადოებრივი აზრი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ და ის საკითხები განისაზღვრებოდა, რომელთა გადაჭრას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისთვის. ეს ყოველივე მხატვრული ნაწარმოებებისა და პუბლიცისტური წერილების საშუალებით ხდებოდა. ლეგალურ გამოცემებში სიმართლისა და არსებული რეალობის წარმოჩენა მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი.

ქართული ბეჭდური პრესა XIX ს-ში

საქართველოსა და მთელ კავკასიაში პირველი გამოცემა – **„საქართველოს გაზეთი“** 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა. მასში, ძირითადად, საიმპერიო ხელისუფლებისა და ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის ბრძანება-განკარგულებები, განცხადებები, უცხოეთის ქრონიკა, პოპულარული რუსული მოთხრობების ნაწყვეტები და მსგავსი მასალები ქვეყნდებოდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე ქართულ გაზეთს – **„ტფილისის უწყებანი“** და მის დამატებას – **„სალიტერატურნო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“**. ამ პერიოდულ გამოცემებს სათავეში 1832 წლის შეთქმულებითი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, სოლომონ დოდაშვილი ედგა. სულ 5 ნომერი გამოიცა.

წყარო ა საქართველოში გამომავალი პირველი გაზეთის გვერდი

1820 წლიდან „ქართული გაზეთი“ ერქვა. გამოიცემოდა ყოველკვირეულად. ტირაჟი იყო 150–200 ცალი. 1821 წელს დაიხურა.



1855-1865 წლებში, ალექსანდრე II-ის მმართველობის დროს განხორციელებული რეფორმების შემდეგ, რუსეთის იმპერიაში ფართოდ გავრცელდა პრესა – გამოსვლა დაიწყო ბევრმა ახალმა დამოუკიდებელმა გაზეთმა და ჟურნალმა.

XIX ს-ის 50-იან წლებში ერთადერთი ქართული გამოცემა იყო ჟურნალი **„ცისკარი“**. ის ლიტერატურული ორგანო იყო და განსაზღვრული პოლიტიკური მიმართულება არ ჰქონია. ამ ჟურნალის ფურცლებზე იხილა მკითხველმა პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ქმნილებები, დიმიტრი ბაქრაძის საისტორიო ნარკვევები. მიუხედავად ამისა, როგორც წინა პარაგრაფიდან შეიტყვე, ახალთაობელებმა ამ ჟურნალთან თანამშრომლობა ვერ შეძლეს და საკუთარი ორგანო – „საქართველოს მოამბე“ დააარსეს.

წყარო ბ **პირველი ქართული სალიტერატურო ჟურნალის, „ცისკრის“ გარეკანი და სატიტულო გვერდი**

1852 წელს ვორონცოვის ხელშეწყობით თბილისში გამოვიდა ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“, რომლის რედაქტორი იყო გიორგი ერისთავი. 1857 წლიდან აღდგენილი „ცისკრის“ რედაქტორია ივანე კერესელიძე. ახალი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართული ჟურნალის გარშემო თავი მოიყარეს თავადაზნაურული ინტელიგენციის მაშინდელი თაობის წარმომადგენლებმა: ბარბარე ჯორჯაძემ, ალექსანდრე ორბელიანმა, რევაზ ერისთავმა და სხვ. „ცისკრელებს“ გამორჩეული ლიდერები არ ჰყავდათ, მაგრამ მათი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები იყვნენ დიმიტრი ყიფიანი და გრიგოლ ორბელიანი.


ცისკარი.


ცისკარი

ქართული

სალიტერატურო ჟურნალი

გამოიცემის ივ. კერესელიძის მიერ.

ტომი.

წელიწადი მეხუთე.

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1861

თერგდალეულებმა და მათმა თავკაცმა, **ილია ჭავჭავაძემ** იმპერატორის რეფორმებით ისარგებლეს და ჟურნალი **„საქართველოს მოამბე“** დააარსეს. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ამ პერიოდში მეფისნაცვლის მოვალეობებს **გრიგოლ ორბელიანი** ასრულებდა. ჟურნალის საპროგრამო წერილში ილია ჭავჭავაძე წერდა: „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის... იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“.

„საქართველოს მოამბე“ „თერგდალეულების“ მთავარ ორგანოდ იქცა, თუმცა დიდხანს ვერ იარსება – მხოლოდ 12 ნომერი გამოიცა.

წყარო გ **1. „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის სატიტულო გვერდი, 1863; 2. ჟურნალის ერთ-ერთ გვერდზე განთავსებული რუსულენოვანი წარწერა ცენზურის მიერ ჟურნალის დაშვების შესახებ**



1



2

1. ამ ჟურნალში გამოქვეყნდა ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა: ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“; ასევე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, გიორგი ერისთავის, გიორგი წერეთლის, კირილე ლორთქიფანიძის, დიმიტრი ყიფიანისა და პეტრე ნაკაშიძის ნაწარმოებები. უცხოელი ავტორებიდან – ვიქტორ ჰიუგოს, მიხეილ ლერმონტოვისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმანები. ლიტერატურული ნაწილის გარდა, ჟურნალს ჰქონდა სექცია „სხვა და სხვა ამბავი“, რომელშიც ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სიახლეები იბეჭდებოდა.
2. ცენზურის მიერ დაშვების შესახებ ტექსტის თარგმანი: „ნებადართულია ცენზურის მიერ. 1863 წლის 30 აპრილს. ქ. ტფილისი.“

- *შენი აზრით, რატომ შემოიღეს ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ნუმერაცია და როგორ შეცვლიდა ეს ფაქტი ამ ეპოქის ადამიანის დროის აღქმას?*

წყარო დ **ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე (1853-1931) „საქართველოს მოამბის“ შესახებ:**

„საქართველოს მოამბე“ გახდა ჩვენს გლეხკაცთა ცხოვრებისა და ტანჯვის მოამბედ. ამ ჟურნალში თავი მოიყარა ილია ჭავჭავაძის ყველა საუკეთესო მეგობარმა. ყველა ესენი საუკეთესოდაც უნდა ყოფილიყვნენ დარაზმულნი, ამის ცხადად დამამტკიცებელია ჟურნალის მიმართულება და ხასიათი.

- *როგორ გესმის ფრაზა „გლეხკაცთა ცხოვრებისა და ტანჯვის მოამბედ“?*

ჟურნალის პირველივე ნომერს ცენზურა დაატყდა თავს და ნომრის გამოცემა გაჭიანურდა. ვინაიდან გამოცემის ერთადერთი პირობა ის იყო, რომ მასში არ იქნებოდა „არავითარი პოლიტიკური ამბები და მსჯელობანი“, ცენზორის დაეჭვება განაპირობა ილია ჭავჭავაძის ვრცელმა წერილმა, სათაურით „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება (დობროლიუბოვის თხზულებიდამ)“. მიუხედავად შეფერხებისა, ილიამ მაინც შეძლო, დაერწმუნებინა ცენზორი, რომ წერილი არ შეიცავდა რაიმე სახის პოლიტიკურ შინაარსს. ეს იყო ცნობილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი პუბლიცისტის, **ნიკოლაი დობროლიუბოვის** წერილი, რომელიც ილიამ რუსულიდან თარგმნა. წერილი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეხება პოპულარულ იტალიელ ბერს, **ალექსანდრე (ალესანდრო) გავაცის**, რომელმაც სახელი იტალიის თავისუფლების მტრების წინააღმდეგ გამოსვლებით გაითქვა და **ჯუზეპე გარიბალდის** ერთგული თანამებრძოლი იყო.



ნიკოლაი დობროლიუბოვი (1836-1861)

რუსი კრიტიკოსი, პუბლიცისტი და მწერალი. აქვეყნებდა მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის წერილებს.



ალესანდრო გავაცი (1809-1889)

იტალიელი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე. ჯუზეპე გარიბალდის თანამებრძოლი.



ჯუზეპე გარიბალდი (1807-1882)

XIX საუკუნის იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

ჟურნალის ახალგაზრდა რედაქტორის მიერ ასეთი პიროვნების შესახებ წერილის გამოქვეყნება თავისთავად ძალიან გაბედული ნაბიჯი იყო და არა მხოლოდ ცენზურის, არამედ, ზოგადად, იმპერიული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლადაც შეიძლება აღვიქვათ. „საქართველოს მოამბე“ (და შემდეგში უკვე გაზეთი „ივერია“) იტალიელი ხალხის გმირული ბრძოლის მხარდაჭერას გამოხატავდა და ამით ქართველ საზოგადოებას მის სანუკვარ ოცნებასა და მიზანს – ეროვნულ თავისუფლებას შეახსენებდა.

დობროლიუბოვის ზემოაღნიშნული ნაწარმოების საშუალებით ახალგაზრდა ილიამ ეროვნული ერთიანობის აუცილებლობის პრინციპი წამოაყენა. ალესანდრო გავაცის სიტყვების ქართულად გამოქვეყნებით ილია, ფაქტობრივად, ქართველ საზოგადოებასაც იმავე სათქმელით მიმართავდა: „საჭიროა ყველა შევერთდეთ ერთი ნაციონალური გრძნობით, ხოლო ჩვენი ნაციონალური გრძნობა მდგომარეობს ამ ლოზუნგში: „იტალია თავისუფალი ალპებიდან ლილიბეამდე... მთელი იტალია“. საერთო საქმე ჩვენთვის ყველასათვის ერთია. ჩვენ გვინდა აღვადგინოთ იტალია! მაშ, ერთ პირზე დავდგეთ ყველანი, შევადგინოთ ერთი ხალხი!“

ქართულ-ევროპული სტილის პირველ გაზეთად **„დროება“** იქცა (1866-1885). გაზეთმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დასავლური იდეების გავრცელებას. ამასთან, დაარსების პირველსავე წელს ჟურნალში ქვეყნდებოდა ცნობები თავად გარიბალდისა და იტალიაში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. გარიბალდის დიდ ადგილს უთმობს ჟურნალი „ცისკარიც“, რომელშიც, ანტონ ფურცელაძის ავტორობით, გამოქვეყნდა „გარიბალდის ცხოვრება“.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ილია ჭავჭავაძემ გაზეთი **„ივერია“** დააარსა. გაზეთმა 1877-1906 წლებში იარსება და 1886 წლიდან ყოველდღიური გაზეთის სახით გამოდიოდა.

- *რატომ იყო მნიშვნელოვანი გაზეთის ყოველდღიურად გამოცემა?*
- *რა მნიშვნელობა აქვს გაზეთის ტირაჟს?*
- *შენი აზრით, რა განაპირობებდა იმას, რომ ერთი და იმავე საკითხის შესახებ მასალები იბეჭდებოდა როგორც ახალთაობელთა, ისე ძველთაობელთა ჟურნალ-გაზეთებში?*

„ივერია“ ქართული ეროვნული მოძრაობის უპირველესი ორგანო იყო. საუკუნის მეოთხედის განმავლობაში გაზეთი გეზს აძლევდა მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას და ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისთვის ბრძოლის მთავარ მიმართულებას განსაზღვრავდა. მიუხედავად ამისა, მისი გამოცემის იდეას კრიტიკით შეხვდა „დროების“ ჯგუფი, რომელმაც მოახერხა, საზოგადოება უარყოფითად განეწყო ილია ჭავჭავაძის ახალი ინიციატივის მიმართ. ნიკო ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ ეს გაზეთი ილიას ბანკის მმართველის პოზიციის მოსაპოვებლად სჭირდებოდა. სერგეი მესხი, მართალია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალი გაზეთის გამოცემას, თუმცა იქვე დასძენდა თავის ეჭვს, რომ ილიას ეს წამოწყება ბანკების საქმეს ეხებოდა.

ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთებთან ერთად, ეროვნულ მოძრაობას დიდი სამსახური რუსულენოვანმა გაზეთებმაც გაუწიეს – ესენი იყო ნიკო ნიკოლაძის **„ობზორი“** და გიორგი თუმანიშვილის **„ნოვოე ობოზრენიე“**.

- *რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ეროვნულ ნიადაგზე არსებული გაზეთები რუსულ ენაზეც გამოიცემოდა?*

საზოგადოებრივი მოძრაობები და ქართული პრესა

საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის მიმდევრები რუსეთსა და საქართველოში, ისევე, როგორც იმპერიის სხვა მხარეებში, უმთავრესად ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და თავად გაზეთის ფურცლებზე იყრიდნენ თავს. ისინი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ხასიათის მიმდინარეობებს აყალიბებდნენ, რადგან თვითმპყრობელური მონარქია მათ პოლიტიკური შეხედულებების თავისუფალი გავრცელების შესაძლებლობას არ აძლევდა.

XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დასაწყისში სოციალისტური მოძრაობისა და რევოლუციების მსოფლიო ტალღამ საქართველოსაც გადაუარა. მრავალი ისეთი ორგანიზაცია თუ ერთობა იქმნებოდა, რომლებიც ხალხის უფლებებისა და თავისუფლებისთვის იბრძოდნენ. თუმცა, არაერთი მსგავსი ორგანიზაციის საქმიანობამ, ეტაპობრივად, კრიმინალური ელემენტებიც შეიძინა, ზოგმა დაჯგუფებამ კი ტერორისტულ საქმიანობასაც მიჰყო ხელი. ხალხის მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად ორგანიზაციებს რევოლუციის შესახებ ინფორმაციის სწრაფი გავრცელება სჭირდებოდათ, რასაც ქალაქებში არალეგალური სტამბების დაარსება მოჰყვა. ქართული პერიოდული გამოცემების ისტორიაში ახალი ეტაპი გაზეთ **„კვალის“** (1893), ჟურნალ **„მოამბისა“** (1894) და გაზეთ **„ცნობის ფურცლის“** (1896) გამოცემით დაიწყო. „კვალი“ მალევე იქცა **სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის** ორგანოდ, ხოლო „ცნობის ფურცლისა“ და „მოამბის“ ბირთვს **სოციალისტ-ფედერალისტები** შეადგენდნენ.

ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემასთან ერთად ფეხს იდგამდა ქართული *პუბლიცისტიკაც*, რომლის სათავეებთან ილია ჭავჭავაძე, ივანე კერესელიძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი იდგნენ; შემდეგში კი – ნოე ჟორდანია, კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე და მრავალი სხვა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მოღვაწეებს მეფის რუსეთის *რეაქციის* პირობებში იდეალად ჰქონდათ წარმოდგენილი სხვა ხალხების გმირული ბრძოლის მაგალითები. ქართულ პრესაში იბეჭდებოდა პუბლიკაციები სხვადასხვა ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების შესახებ. ქართველ საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიდნენ ბალკანეთის ხალხების ბრძოლის შესახებ ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ, იტალიელთა ბრძოლაზე დამოუკიდებლობისთვის, ირლანდიელთა აჯანყებებზე ბრიტანელთა ბატონობის დასაძლევად და გერმანიის იმპერიის ხელისუფლების პოლონელთა ჩაგვრაზე.

პუბლიცისტიკა – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე.
რეაქცია – აქ: ღონისძიებები, რომლებიც 1905 წლის რევოლუციას მოჰყვა – იმპერიული ცენტრის მიერ რევოლუციის ჩახშობის მცდელობა.

წყარო 3 **ისტორიკოსი ვარლამ დონაძე თერგდალეულებისა და იმდროინდელი ქართველი ახალგაზრდების ეროვნული იდეალებისა და საბრძოლო განწყობის შესახებ:**

ბობოქარი იტალია, გმირულად რომ იბრძოდა ეროვნული გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისთვის; მებრძოლი უნგრეთი, ავსტრიელთა უღლის დასამხრობად რომ აღდგა მშფოთვარე 1848-1849 წლებში; ან სხვა მსგავსი საბრძოლო მაგალითები მოწინავე ქართველ საზოგადოებაში მხურვალე აღტაცებას იწვევდა. „ხალხთა ბორკილის მტვრევის ხმა“, მსოფლიოს რომ მოედო, აღაფრთოვანებდა ქართველ მოწინავე ახალგაზრდობას და მის იდეურ-პოლიტიკურ ბელადებს. ეს ხმა ამხნევებდა და განაწყობდა მათ ბრძოლისკენ ცარიზმის კოლონიური უღლის წინააღმდეგ, მშობლიური ქვეყნის სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად.

განსაკუთრებული ყურადღება თერგდალეულებმა ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ირლანდიელი ხალხის გმირულ ბრძოლას მიაპყრეს. ამ მოვლენას ქართული საზოგადოებრივი აზრის თითქმის ყველა დიდი წარმომადგენელი გამოეხმაურა: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, არჩილ ჯორჯაძე და სხვები. ქართველი მოაზროვნეები ბრიტანეთის იმპერიასთან ირლანდიელთა ბრძოლას უკავშირებდნენ რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ქართველთა აჯანყებებს. თუმცა, რუსეთის იმპერიის ცენზურის პირობებ-

ში ანტირუსული აჯანყებებისა და გამოსვლებისკენ მოწოდება იკრძალებოდა, ამიტომ ქართულ პრესაში გამოსავალი იპოვეს და სხვა ხალხების ბრძოლის წარმოჩენით აღვივებდნენ ეროვნულ გრძნობებსა და ბრძოლის სურვილს.

იაკობ გოგებაშვილი გაზეთ „კვალში“ დიდ შეფასებას აძლევდა **უილიამ გლადსტონს**, რომელიც ირლანდიისთვის თვითმმართველობის მინიჭების მომხრედ გამოდიოდა.



უილიამ გლადსტონი (1809-1898)

ბრიტანელი პოლიტიკოსი. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მინისტრის თანამდებობა ეკავა. ოთხჯერ იყო პრემიერმინისტრი. ირლანდიელთა დასახმარებლად მისი ინიციატივით შემოიღეს სავალდებულო განათლებისა და ირლანდიის თვითმმართველობის შესახებ კანონები. დააფუძნა პირველი უნივერსიტეტი ირლანდიაში.

წყარო 3 ილია ჭავჭავაძე ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულების შესახებ:

1800 წელს ირლანდია ინგლისმა სრულიად დაიმორჩილა და თავისთან შემოიერთა, პარლამენტიც გააუქმა და თვითმმართველობის ყველა ნიშანწყალი. უნიის დამყარების შემდეგ ინგლისმა ირლანდიაში თითქმის სრულად გაანადგურა ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობა და ეს ქვეყანა მისი მეურნეობის დანამატად და გასაღების ბაზრად გადააქცია.

წყარო 4 არჩილ ჯორჯაძე ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულებაზე:

ირლანდია დაეთანხმა და ინგლისთან დადო ხელშეკრულება. 1901 წლის 1 იანვრიდან დიდ ბრიტანიისა [ანუ დიდი ბრიტანეთის] და ირლანდიის სახელმწიფოები სამუდამოდ ერთ სამეფოში ერთდებიან და დაერქმევათ *შეერთებულ დიდ-ბრიტანიის და ირლანდიის ხელმწიფობა.*

შენიშვნა: შეერთებულ დიდ-ბრიტანიის და ირლანდიის ხელმწიფობა *– იგულისხმება დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფო.*

წყარო 5 თანამედროვე ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე ილია ჭავჭავაძის მიერ უცხოეთის ამბების გაშუქების შესახებ:

ილია ჭავჭავაძე საზღვარგარეთის ქვეყნებისადმი მიძღვნილ მიმოხილვებსაც საშინაო მოხმარების მიზნით წერდა. ის ხშირად მიმოიხილავდა ინგლის-ირლანდიის ურთიერთობას და სიმპათიას ვერ მალავდა ინგლისის პრემიერ გლადსტონის მიმართ. საქმე ის გახლდათ, რომ ლიბერალი გლადსტონი იყო დიდი მომხრე იმისა, რომ ირლანდიისთვის საკუთარი პარლამენტის ყოლის უფლება მიენიჭებინათ. ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ გლადსტონის პროექტი ირლანდიის პარლამენტის შესახებ საკაცობრიო მნიშვნელობის საქმე იყო, რადგან ეს იქნებოდა სამართლიანობის ნიმუში.

- *რატომ აშუქებდნენ ევროპაში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობებს და, განსაკუთრებით, ინგლის-ირლანდიის ურთიერთობებს ქართველი საზოგადო მოღვაწეები?*
- *რა მიზეზების გამო არ შედიოდა XIX ს-ის II ნახევრის ქართველი საზოგადო მოღვაწეების გეგმებში ბრძოლა რუსეთის იმპერიისგან საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის?*

1. იმსჯელეთ კლასში, რა როლს ასრულებდა პრესა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში? დღეს რა ფაქტორები ახდენს გავლენას საზოგადოებრივ აზრზე?
2. შეასრულე მოსწავლის რვეულის მე-11 სავარჯიშო XIX ს-ის ქართული ბეჭდური პრესის შესახებ.
3. შეადარე მაშინდელი და დღევანდელი პრესა თავისუფალი აზრის გამოხატვის თვალსაზრისით.
4. რატომ არის XIX ს-ის ქართული ბეჭდური პრესა მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო საქართველოს ამ პერიოდის ისტორიის შესასწავლად?

67 როგორ დაუბრუნდა აჭარა საქართველოს და როგორ იქცა ბათუმი პორტო ფრანკოდ?

როგორც უკვე იცი, ყირიმის ომში რუსეთის იმპერიამ გამარჯვება ვერ შეძლო. იმავე ხანებში იმპერიაში დაწყებული რეფორმები კი რევანშის აღებას შეუძლებელს ხდიდა. რუსეთის იმპერია პარიზის ზავის პირობებს არ ეგუებოდა და მისი გადასინჯვის გზებს ეძებდა. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ წარიმართა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და რა შედეგი გამოიღო მან საქართველოსთვის.

საერთაშორისო პოლიტიკა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე

საფრანგეთ-პრუსიის ომმა (1870-1871) ძირფესვიანად შეცვალა ძალთა განლაგება საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთის წინააღმდეგ წარმოქმნილი ინგლის-საფრანგეთ-პრუსიის კავშირი, რომელიც ყირიმის ომის პირობებში შეიქმნა, საბოლოოდ დაიშალა. ოსმალეთი რუსეთის იმპერიის პირისპირ მარტო რჩებოდა.

1870 წელს რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ალექსანდრე გორჩაკოვმა** პარიზის საზავო ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მთავრობებს საგანგებო ნოტით აცნობა რუსეთის გადაწყვეტილება შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმების თაობაზე, მომდევნო წელს გამართულ ლონდონის კონფერენციაზე კი შავი ზღვის ნეიტრალიტეტი გაუქმდა. რუსეთმა შავი ზღვის სანაპიროებზე სამხედრო სიმაგრეების მშენებლობისა და ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება მიიღო.

იმავე პერიოდში გართულდა ოსმალეთის მდგომარეობა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სადაც რუსეთის იმპერიის წაქეზებით, ქრისტიანი მოსახლეობა (ბულგარელები, სერბები, ბოსნიელები, ჰერცოგოვინელები) ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებებს აწყობდა. 1877 წლის 12 აპრილს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის შესახებ. ომი ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და სამხრეთ კავკასიის ფრონტებზე წარიმართა.

წყარო ა **„შურისმაძიებელი“ – რუსეთ-ოსმალეთის ომის ალეგორიული რუკა, ლონდონი, 1877**



ეს რუკა ასახავს „დიდ აღმოსავლურ კრიზისსა“ და მის შემდგომ 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომს. რუსეთი წარმოდგენილია, როგორც პროგრესის ალეგორიული ფიგურა, რომელიც სჯის ოსმალეთს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის (იგულისხმება 1876 წლის „ბულგარული სისასტიკეები“). რუკაზე, აგრეთვე, გამოსახულია ევროპის დანარჩენი სახელმწიფოების რეაქცია ამ ფაქტთან დაკავშირებით.

- *რით განსხვავდება ალეგორიული ომის რუკა ლეგენდებით შექმნილი რუკისგან?*
- *შეაფასე, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ ტიპის რუკას?*

აჭარის („ოსმალოს საქართველოს“) საკითხი ქართველ საზოგადოებაში

„ოსმალეთის საქართველოს“ საკითხით ქართველი საზოგადოება უფრო ინტენსიურად XIX ს-ის 60-70-იან წლებში დაინტერესდა. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ, კავშირი აღედგინათ ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრებ გამუსლიმებულ ქართველებთან. ომის დაწყებამდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს დიმიტრი ბაქრაძემ, ივანე კერესელიძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა. ომის შემდეგ კი ამ ადგილებში ზაქარია ჭიჭინაძემ იმოგზაურა, შეაგროვა ზეპირი გადმოცემები ქართველთა გამუსლიმებასთან დაკავშირებით. მან ეს მასალები გაზეთების ფურცლებზე და რამდენიმე წიგნად გამოაქვეყნა.



დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890)

ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი. სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში (გურია, აჭარა, შავშეთი, არტაანი, კლარჯეთი და სხვა). მოგზაურობის შედეგი იყო ნაშრომები „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, „შენიშვნა ბათუმის ოლქის შესახებ“, „ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი“ და სხვ. აქტიურად მონაწილეობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ჩამოყალიბებაში. წერდა ნარკვევებს საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე და აქვეყნებდა ძველ წიგნებს.

ქართველი საზოგადოების ყურადღება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსადმი გაიზარდა 1875 წელს, როდესაც ოსმალეთის სულთანმა აჭარლებს ბალკანეთში აჯანყებული სლავების წინააღმდეგ საომრად წასვლა მოსთხოვა. აჭარლებმა უარი განაცხადეს და აჯანყდნენ. ამ ამბავს საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა.

> **წყარო ბ** **ილია ჭავჭავაძე – „ოსმალოს საქართველო“, გაზეთი „ივერია“, 1877:**
>
> არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთ, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულ ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსან და ლმობიერ გულზე ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა?!

- *ქართველ საზოგადოებას, ბეჭდური პრესის გარდა, ჰქონდა თუ არა კიდევ სხვა რაიმე პლატფორმა ეროვნული ინტერესების დასაცავად? პასუხი დაასაბუთე.*

საომარი მოქმედებები სამხრეთ კავკასიაში

საომარი მოქმედებები კავკასიის ფრონტზე 1877 წლის 30 აპრილს დაიწყო. ქართული სახალხო ლაშქრის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ომის პერიოდში სახალხო ლაშქარში 38 ათასზე მეტი ადამიანი გავიდა. მაისში რუსებმა ბაიაზეთი (ქალაქი აღმ. თურქეთში) და არტაანი აიღეს. თავდაპირველი წარმატების მიუხედავად, ომი გარდამავალი უპირატესობებით გაგრძელდა. რუსული არმიის შემდგომ წარუმატებლობას ისიც განაპირობებდა, რომ შავ ზღვაში მას ფლოტი ჯერ კიდევ არ ჰყავდა.

რთული მდგომარეობა იყო აფხაზეთშიც. რუსულმა არმიამ აფხაზეთის ტერიტორია დატოვა და იგი ოსმალებმა დაიკავეს. ამას ანტირუსული აჯანყება მოჰყვა და რუსული არმია იძულებული გახდა, კვლავ შესულიყო აფხაზეთში.

ოსმალეთის, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის სარდლობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბათუმსა და მის შემოგარენს ანიჭებდნენ. რუსული არმია მზად იყო, ახალციხის მხრიდან შესულიყო აჭარაში, თუმცა აჭარელი ბეგების პოზიციის გაგებამდე იგი ამ გადაწყვეტილების მიღებას ერიდებოდა. ასეთ ვითარებაში **შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა** რუსებს აჭარაში შესვლა სთხოვა.



წყარო გ **ქართველი მეომრები რუსეთ-თურქეთის ომში ბათუმთან, დაახლ. 1879 წ.**

● *შენი აზრით, რატომ არ აპირებდა რუსეთის სარდლობა აჭარაში შესვლას, ბეგების პოზიციის გაგებამდე?*



შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი (1833-1892)

დიდი თავადი, აჭარის მმართველი, გენერალ-მაიორი, საზოგადო მოღვაწე. ბათუმისთვის ბრძოლაში აჭარის ბეგების პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ შორის ყველაზე ძლიერი – შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი – მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციასა და აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას.

წყარო დ **რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომი და აჭარის დაბრუნება**



კავკასიის ფრონტზე წარმატების პარალელურად, რუსული არმია ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც ჯაბნიდა ოსმალეთს და სტამბოლსაც კი მიუახლოვდა.

1878 წლის მარტში ოსმალეთსა და რუსეთის იმპერიას შორის მიმდინარე ომი სან-სტეფანოს ზავით დასრულდა, თუმცა ზავის პირობები ხელს არ აძლევდა ევროპის სახელმწიფოებს. მათ შეძლეს, რომ სან-სტეფანოს ზავი ბერლინის კონგრესზე გადაესინჯათ (1878 წლის ივლისი). ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი. ევროპის ქვეყნებს რუსეთისთვის ბათუმის გადაცემა არ სურდათ.

- *შენი აზრით, რატომ ანიჭებდნენ ასეთ დიდ მნიშვნელობას ევროპის სახელმწიფოები ქალაქ ბათუმს და რატომ არ სურდათ მისი რუსეთისთვის გადაცემა?*

რუსეთის იმპერია იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო, რის შემდეგაც ბათუმი *პორტო ფრანკოდ*, ე. ი. ღია ნავსადგურად გამოცხადდა. იმავე წლის აგვისტოში რუსული არმია და ქართული სახალხო ლაშქარი ბათუმში შევიდა.

- *რატომ არ სურდა რუსეთის იმპერიას ბათუმის პორტო ფრანკოდ გამოცხადება?*

პორტო ფრანკო (იტალ. – თავისუფალი პორტი) – თავისუფალი ეკონომიკური ზონა; ქალაქი, ზღვისპირა ოლქი, პორტი, რომლის საზღვრებში ნებადართულია უცხოური საქონლის თავისუფალი, უბაჟო შემოტანა და გატანა.

აჭარის შემოერთებას ქართველების ოსმალეთში გადასახლება (მუჰაჯირობა) მოჰყვა, რადგან აჭარის მუსლიმ მოსახლეობას რუსებმა აუტანელი პირობები შეუქმნეს. მუჰაჯირობას ხელს უწყობდა ოსმალეთის აგენტურაც, რომელიც მოსახლეობას მოუწოდებდა, რუსეთის შემადგენლობაში გადასული ტერიტორია დაეტოვებინათ. ამ ომის შემდეგ, მუჰაჯირობის პერიოდში, აჭარა დაახლოებით 30 ათასმა ქართველმა მუსლიმმა დატოვა.

- *შენი აზრით, რატომ ცდილობდა ოსმალეთის იმპერია აგენტურის გზით მუჰაჯირობის ხელშეწყობას?*

წყარო ე 1. აჭარლები, XIX ს-ის 70-იანი წლების ფოტო, 2. ბათუმის ნავსადგური, XIX ს-ის 80-იანი წლები


1


2

ქართველი ერის კონსოლიდაცია

ქართველი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა აჭარის შემოერთებას. 1878 წლის ნოემბერში თბილისში აჭარის დეპუტაცია ჩამოვიდა. ქართველი საზოგადოების სახელით, მათ გრიგოლ ორბელიანმა, დიმიტრი ყიფიანმა, აკაკი წერეთელმა და სხვა მოღვაწეებმა უმასპინძლეს.

XIX ს-ის დამდეგიდან დაწყებული, რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის ომების შედეგად, 1878 წლისთვის ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოების შემადგენლობიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ისტორიული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გადავიდა. მთელი ქართველი მოსახლეობა, მართალია, დაპყრობილი, მაგრამ მაინც, ენის, ტერიტორიის, ეკონომიკისა და კულტურის ბაზაზე ერთიანდებოდა და ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესიც დაიწყო.

ამის მიუხედავად, ეს პროცესი სრულყოფილი არ იყო. სოფელი და ქალაქი ერთ ორგანიზმად ვერ იქცა და ვერც ქართველი ხალხი იქცა თავისი ეკონომიკის პატრონად. ამას დაემატა ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო პოლიტიკური რეაქციის პროცესი, რომლის მიზანი იყო ბრძოლა ქართული ცნობიერების დაკნინებისთვის, ქართველი ერის დაქუცმაცება-დანაწილებისა და მისი ასიმილაციისთვის. საქართველოს ბედიც ამ ბრძოლის შედეგზე გახდა დამოკიდებული.

ბათუმი – პორტო ფრანკო

ომის დამთავრებისა და ბათუმის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ქალაქის ეკონომიკური და სამრეწველო ზრდა-განვითარება სწრაფი ტემპით წარიმართა. ამაში დიდი როლი ითამაშა სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ (1883), რომლის საშუალებითაც ბაქოს ნავთობს ბათუმის გავლით გზა გაეხსნა ევროპისკენ. ბათუმის პორტის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. პორტი მოსახლეობის გამდიდრებისა და ქალაქის ინტენსიური ზრდის უმთავრესი ფაქტორი იყო.

წყარო 3 **„ნობელის ქალაქი“ ბათუმში, 1. გადაღებულია 1896 წლამდე, 2. დაახლ. 1913**

ნობელებმა ბათუმში ააშენეს ნავთობის უზარმაზარი ტერმინალი, ე. წ. „ნობელის ქალაქი“. იმდროინდელი რამდენიმე ავზი დღემდე დგას ბათუმში.


1


2

სანაპიროსთან ახლოს მდებარეობდა საპორტო სამმართველო, სამხედრო გუბერნატორის კანცელარია და სხვადასხვა საწყობი. ქალაქში სწრაფად იზრდებოდა საზღვარგარეთული ფირმების ქარხნების რიცხვი. გარდა ნავთობისა, ბათუმის გავლით მსოფლიო ბაზარზე გადიოდა მარგანეცი და სხვა ნედლეული.

წყარო ზ **ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა წლების მიხედვით**

წელი	მოსახლეობის რაოდენობა
1878	3 000
1882	8 670
1890	18 113
1897	28 156

- *ცხრილის მონაცემებსა და გაკვეთილის შინაარსზე დაყრდნობით, უპასუხე შეკითხვას: რა ფაქტორებმა გამოიწვია ბათუმის მოსახლეობის ზრდა?*
- *იმსჯელე, როგორ შეუწყო ხელი ბათუმის პორტო ფრანკოდ გამოცხადებამ ხელი ბათუმის სოციალურ-ეკონომიკურ აყვავებას?*

მიუხედავად ამ დადებითი მოვლენებისა, 1886 წლისთვის მოსახლეობის უკმაყოფილება ქალაქის პორტო ფრანკოს სტატუსთან დაკავშირებით გაიზარდა.

ქალაქის გარშემო 12 საგუშაგო იყო, სადაც ყოველი შემსვლელ-გამომსვლელი იჩხრიკებოდა. ეს იმიტომ გახდა საჭირო, რომ გადატანილ ნავაჭრ საქონელზე, სავალდებულო იყო ბაჟის გადახდა. მოსახლეობა ცდილობდა, ბათუმში შეძენილი საქონელი ბარგში ჩაემალა და ასე გაეტანა, ზოგიერთნი სხეულზე იხვევდნენ ევროპულ მაქმანებსა და ბაფთებს. მსგავსი ფაქტების გამო საგუშაგოზე მდგომი ჯარისკაცები ბარგის ჩხრეკის დროს თვითნებობდნენ, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ამასთან, მოსახლეობის უკმაყოფილების საბაბი საგუშაგოზე არსებული კორუფცია და მექრთამეობაც იყო.

წყარო თ **ბათუმის საბაჟო, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, დაახლ. 1901**

ფოტოს მარცხენა მხარეს საბაჟოს შენობის ნაწილი ჩანს.



წყარო ი **ამონარიდები XIX ს-ის მეორე ნახევრის პრესიდან ქალაქ ბათუმის შესახებ:**

გაზეთი „დროება“, 1883: ბათუმი უსიამოვნო სურათს წარმოუდგენს მაყურებელს, როცა რომელიმე აჭარელი მოდის *დამოჟნის* პორტის უფროსთან და ეხვეწება: „შენი თავ-ფეხის ჭირიმე, ეს ერთი *ადლი* ჩითი გამატანე, ბაღნები ტიტვლები მყავს და უნდა შევუკერო“. მაგრამ ვინ არის გამგონი ამ მუდარისა.

გაზეთი „ივერია“, 1886: ბათუმი პორტო-ფრანკოა, ისეთი ქალაქი, სადაც უბაჟოდ ყოველიფერს შეიტანენ, მხოლოდ იქედან თუ გამოიტანენ, ბაჟი უნდა მისცე. ძალიან შეავიწროვა ხალხი ამგვარმა საქმის მდგომარეობამ. ეს არის მიზეზი, რომ ბათუმის მაზრამ მიართვა არზა უმაღლესს მთავრობას, რომ პორტო-ფრანკო მოისპოს. უეჭველია, უმაღლესი მთავრობა ხალხის სურვილს პატივს სცემს. მაშინ მთავრობას ექნება საქმე პირდაპირ უცხოელთა *სოვდაგრებთან*, რომელთაც თვითონ გადაახდევინებს ბაჟს.

შენიშვნა: დამოჟნა *(რუს.* таможня*)* *– საბაჟო.*

ადლი – სიგრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში, დაახლოებით, 102 სმ.

სოვდაგარი (სპარს. სავდა – გაცვლა-გამოცვლა, ვაჭრობა) – დიდი ვაჭარი.

წყარო კ **მწერალი დავით კლდიაშვილი, რომელიც იმ პერიოდში ბათუმში ცხოვრობდა, იგონებდა:**

მაშინ რკინიგზა არ იყო დამთავრებული და მისვლა-მოსვლა წარმოებდა ზღვით; ფოთიდან კვირაში რამდენჯერმე პატარა გემები დადიოდა და გადაჰყავდა მიმსვლელი და მომსვლელი... რაკი ბათუმი პორტო-ფრანკო იყო, ყოველი მგზავრის ბარგი ბათუმიდან გამგზავრების დროს უნდა გაეჩხრიკათ საბაჟოში და ხელმეორედ ფოთში მისვლისას. ეს იმისთვის, რომ კონტრაბანდით არ გამოეტანათ რამე ბათუმიდან. ბევრ არასასიამოვნო შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ბევრი სასაცილო ამბავიც მომხდარა. ნამეტურ ქალები აწარმოებდნენ კონტრაბანდისტობას, ბევრს იჭერდნენ, მაგრამ ბევრს ისე გაჰქონდა კონტრაბანდა, რომ საოცარი იყო მათი ამბავი.

როგორც ზემოთ ვთქვით, ბათუმის პორტო ფრანკოდ გამოცხადებას რუსეთის იმპერია ეწინააღმდეგებოდა. მოსახლეობის, მათ შორის რუსების უკმაყოფილება იმპერიისთვის სათანადო საბაბად იქცა და 1886 წელს ალექსანდრე III-მ საერთაშორისო ხელშეკრულება ბათუმის პორტო ფრანკოდ ცნობის შესახებ ცალმხრივად შეწყვიტა.

1. იმსჯელეთ კლასში: რა მნიშვნელობა აქვს ერის კონსოლიდაციას ქვეყნის კეთილდღეობისთვის ბრძოლაში?
2. იმსჯელეთ კლასში – რა სარგებელი ჰქონდა სხვადასხვა ქვეყანას (დასავლეთის სახელმწიფოებს, რუსეთის იმპერიას, თავად საქართველოს) ბათუმის პორტო ფრანკოდ გამოცხადებით? იმსჯელე, ჰქონდა თუ არა ერთნაირი სარგებელი სახელმწიფოსა და ხალხს?

68/69 როგორ იქმნებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები საქართველოში?

მიუხედავად იმისა, რომ თერგდალეულები ქართველი ხალხის საერთო იდეის გარშემო დარაზმვას ცდილობდნენ, XIX ს-ის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ცხადი გახდა, რომ ერთიანი ქართული ეროვნული მოძრაობის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ამ გაკვეთილიდან გაიგებ, თუ როგორ ვრცელდებოდა პოლიტიკური იდეები საქართველოში და როგორ შემოიკრიბა მათ გარშემო ცალკეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფები.

XIX ს-ის 80-90-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის მოღვაწეთა განსხვავებული მსოფლმხედველობის გამო, ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში რამდენიმე მიმდინარეობა ჩამოყალიბდა. საზოგადოების ამგვარ ***დიფერენციაციას*** ხელს ისიც უწყობდა, რომ ბურჟუაზიული რეფორმებისა და საერთო განვითარების შესაბამისად, ქართველი საზოგადოება წოდებრივად ბევრად მრავალფეროვანი გახდა.

დიფერენციაცია – ერთმანეთისგან გამოყოფა, დანაწევრება.

ცნობა 1 **ყველა ფენას საკუთარი ინტერესები გააჩნდა და საკუთარი პრობლემები აწუხებდა:**

- თავადაზნაურობას – რაც შეიძლება მეტი წოდებრივი პრივილეგიის შენარჩუნება;
- ბურჟუაზიას – თავისუფალი კონკურენცია და ქვეყნის მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება;
- მუშათა კლასს – მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან თავის დახსნა;
- გლეხობას კი – უქონლობა მიწისა, რომელიც ხელისუფლებამ ძველი პატრონის – თავადაზნაურობის საკუთრებაში დატოვა.

დემოკრატიული თავისუფლებების მქონე ქვეყნებში მოსახლეობის ინტერესებს პოლიტიკური პარტიები გამოხატავდნენ. თუმცა, რუსეთის იმპერია ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგაც თვითმპყრობელურ მონარქიად რჩებოდა. პოლიტიკური პარტიების წარმოქმნას აქ არავინ დაუშვებდა, რის გამოც ეს პროცესი რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური პარტიების საქმიანობა იკრძალებოდა.

XIX ს-ის II ნახევრის საქართველოში პარტიების ფუნქცია საზოგადოებრივმა ჯგუფებმა, მიმდინარეობებმა და არალეგალურმა ორგანიზაციებმა იკისრეს. ეს იყო პოლიტიკური პარტიების წარმოქმნის წინა საფეხური. ყველა ეს ჯგუფი საკუთარი პერიოდული გამოცემის გარშემო იყრიდა თავს.

აზრთა სხვადასხვაობა თერგდალეულთა შორის

ქართველ სამოციანელთა ერთობა ნელ-ნელა დაიშალა, რაც სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებების არსებობამ განაპირობა. თავდაპირველად აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სათავადაზნაურო ბანკის დანიშნულების განსაზღვრამ. ნიკო ნიკოლაძე ნაადრევად მიიჩნევდა ბანკების დაარსებას და ფიქრობდა, რომ ქართველი თავადაზნაურობა ვერ მოახერხებდა ბანკით სარგებლობას. მისი მტკიცებით, ვერც ქართველი აზნაური და ვერც გლეხი შეძლებდა აუქციონზე გამოტანილი მამულების შეძენას. სათავადაზნაურო ბანკების დაარსების წინააღმდეგი იყო გიორგი წერეთელიც და მიიჩნევდა, რომ უმჯობესი იქნებოდა მცირე ბანკების შექმნა, რომლებიც სამრეწველო ინიციატივებს შეუწყობდა ხელს. ორივე მოღვაწე შიშობდა, რომ გასაყიდად გამოტანილი მამულები უცხოური ბურჟუაზიის ხელში აღმოჩნდებოდა. უთანხმოება სამოციანელთა ბანაკში გაღრმავდა ეროვნული მოძრაობის პროგრამაში ***სოციალური საკითხის*** ასახვის თემაზე.

შენიშვნა: სოციალური საკითხი/პრობლემა *– ვითარება, რომელიც ნეგატიურად ზემოქმედებს ინდივიდების პიროვნულ ან სოციალურ ცხოვრებაზე, საზოგადოებაში არსებულ თემთა ან უფრო დიდი ჯგუფების კეთილდღეობაზე და რომლის ირგვლივაც, ჩვეულებრივ, არსებობს საზოგადოებრივი უთანხმოება მის ბუნებასთან, მიზეზებთან ან გადაწყვეტის გზებთან მიმართებით.*

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ეროვნულიდან სოციალურ საკითხზე აქცენტის გადატანა დააზიანებდა ეროვნულ მოძრაობას, გათიშავდა ერს და დაასამარებდა სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის ***საერთო ნიადაგის*** *შექმნის თეორიას.* ამის საპირისპიროდ, 1870-იანი წლებიდან „თერგდალეულთა“ ერთმა ნაწილმა, კერძოდ, **გიორგი წერეთელმა**, **ნიკო ნიკოლაძემ** და **სერგეი მესხმა** საქართველოს აღორძინება-განვითარების საკუთარი კონცეფცია წარმოადგინეს. მათ გაზეთ „დროების“ გარშემო მოიყარეს თავი და აუცილებლად მიიჩნიეს სოციალური საკითხისადმი მეტი ყურადღების დათმობა.

შენიშვნა: საერთო ნიადაგის შექმნის თეორია *– იგივეა, რაც „წოდებათა შერიგება“, „კლასობრივი თანამშრომლობა“ და „ერთნებობა – თანადგომა“. ამ ტერმინებს ილია ჭავჭავაძე იყენებდა იმის გამოსახატავად, რომ საზოგადოების ყველა ფენა ერთი იდეისთვის, ერთი საქმისათვის უნდა გაერთიანებულიყო. XX ს-ის დასაწყისიდან იმავე მნიშვნელობის გამომხატველად თანდათანობით გავრცელდა **„საერთო ნიადაგი“**. ამის უმთავრესი ინიციატორი ქართველი სოციალისტ-ფედერალისტი არჩილ ჯორჯაძე გახდა.*



გიორგი წერეთელი (1842-1900)
მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. გაზეთ „დროების“ პირველი რედაქტორი. მოღვაწეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში.

- *გამოთქვი შენი მოსაზრება თერგდალეულთა შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობასთან დაკავშირებით: რომელ მხარეს ეთანხმები? პასუხი დაასაბუთე.*

გარდა ამისა, ამ ორ მხარეს განსხვავებული შეხედულება ჰქონდა ეროვნულ მოძრაობაში ბურჟუაზიის როლისა და ქართველი ერისათვის სანიმუშო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის განსაზღვრის შესახებ. ისინი ერთმანეთს საჯაროდ და კატეგორიულად არასდროს დაპირისპირებიან და არც მათი ცალ-ცალკე მიმდინარეობებად მოხსენიება იქნება სწორი. გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი ფიქრობდნენ, რომ ეროვნული ბურჟუაზიის ჩამოყალიბება და გაძლიერება საქართველოს ეკონომიკური და კულტურული მორჩილებიდან გამოიყვანდა.

● *გაიხსენე განვლილი მასალა და იმსჯელე, რას შეცვლიდა ეროვნული ბურჟუაზიის გაძლიერება საქალაქო თვითმმართველობაში?*

სოციალისტური იდეების გავრცელება საქართველოში

XIX ს-ის 70-90-იან წლებში საქართველოში პირველად გავრცელდა იდეოლოგიები, რომელთა მიზანი იყო, რევოლუციის გზით დაემყარებინათ სოციალური თანასწორობა.



ეგნატე ნინოშვილი (1859-1894)

XIX ს-ის ქართველი მწერალი. ნამდვილი გვარი ინგოროყვა. თანამშრომლობდა სხვადასხვა გაზეთთან. ავტორი ისტორიული რომანისა „ჯანყი გურიაში“, რომელშიც გურიის 1841 წლის აჯანყებაა აღწერილი.

წყარო ა ქართველი ანარქისტი, გიორგი (კომანდო) გოგელია საქართველოში სოციალიზმის გავრცელების შესახებ, 1908

საქართველოში სოციალისტურმა იდეებმა ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში შემოაღწია. პირველად მარქსიზმის იდეა, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური არსი საკმაოდ ბუნდოვანი ფორმით გაჟღერდა – იმ წელს გარდაცვლილი ახალგაზრდა ბელეტრისტის, **ნინოშვილის (ინგოროყვას)** დასაფლავების სიტყვაში. ნინოშვილი მარქსისტული მიმდინარეობის ლიტერატურული გამომხატველი იყო. იგი ნათელ ლიტერატურულ ფორმებში ხატავდა იმ ძლიერ გარდატეხებს, იმ საშინელ *პერტურბაციას* სოციალურ ურთიერთობებში, რომლებიც პატრიარქალურ საქართველოში პირველად შემოჭრილმა კაპიტალიზმმა წარმოშვა. ნინოშვილის ნაწარმოებები პირველი შეძახილი იყო ქართველი საზოგადოების მისამართით, რომელსაც „ოჯახური იდილია“ დაურღვია.

შენიშვნა: მარქსიზმი *– იგულისხმება გერმანელი ფილოსოფოსისა და ეკონომისტის, კარლ მარქსის, იდეების საფუძველზე განვითარებული პოლიტიკური ფილოსოფია.*

პერტურბაცია – მოვლენათა ჩვეულებრივი მსვლელობის მოულოდნელი დარღვევა; არევ-დარევა, წესრიგის მოშლა.

● *რატომ მიიჩნევს ავტორი, რომ სოციალიზმის გავრცელების იდეა ქართულ საზოგადოებას „ოჯახურ იდილიას ურღვევდა“?*

ხალხოსნობა საქართველოში. პირველი ფარული ხალხოსნური ორგანიზაციები XIX ს-ის 70-იან წლებში რუსეთის დიდ ქალაქებში შეიქმნა. მათი მიზანი გლეხურ-მუშური რევოლუციის მომზადება და ამ გზით რუსეთის თვითმპყრობელური მონარქიის დამხობა იყო. რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი პირველი ხალხოსნური ორგანიზაციის მთავარი ორგანიზატორები ქართველები იყვნენ: **ივანე ჯაბადარი**, **გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილი**, **მიხეილ ჩიკოიძე** და **ალექსანდრე ციციშვილი**.

წყარო ბ ქართველი ხალხოსანი ივანე ჯაბადარი (1852-1913) ხალხოსნების ბრძოლის შესახებ:

ორგანიზაციაში მონაწილე ჩემი არც ერთი თანამემამულე არ ფიქრობდა სეპარატიზმზე, არამედ იღწვოდა რუსეთის სოციალური რევოლუციის გამარჯვებისთვის. მხოლოდ ამას შეეძლო, მიეცა თავისუფლება რუსეთის ყველა ხალხისათვის, მათ შორის, ჩვენთვის, ქართველებისთვისაც.

● *შენი აზრით, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო ხალხოსნებისთვის: ეროვნული თუ სოციალური საკითხი? პასუხი დაასაბუთე.*

იმავე პერიოდიდან ხალხოსნური ორგანიზაციები საქართველოს ტერიტორიაზეც შეიქმნა. ამ მხრივ ქალაქები: გორი, ქუთაისი, თელავი და ოზურგეთი გამოირჩეოდა.

საქართველოში ხალხოსანთა მოღვაწეობას ჟანდარმერიამ მალევე მოუღო ბოლო. რამდენიმე ათეული ხალხოსანი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. მათ შორის იყვნენ: **ეგნატე იოსელიანი, ისიდორე ქიქოძე, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი** და სხვა. ფართოდ გავრცელების მიუხედავად, ხალხოსნურმა სოციალიზმმა მოსახლეობაში მყარი საფუძველი ვერ იპოვა და რუსეთის იმპერიაში მისი არსებობა მინელდა.

წყარო გ ქართველი ხალხოსნების მიზნები და ამოცანები ჟანდარმერიის მონაცემების მიხედვით:

საზოგადოების წევრები იზიდავენ მოზარდ თაობას და ცდილობენ, შთაუნერგონ მას სიძულვილი მთავრობისა და არსებული წყობილებისადმი; არწმუნებენ, რომ თვითმპყრობელი მონარქიული მთავრობის შემდეგ ყველა თანასწორი იქნება და ყოველგვარი ქონება თანაბრად განაწილდება. სახელმწიფო გადასახადი – როგორც ფულადი, ისე ნატურალური, მოისპობა; აღარ იქნება ხელმწიფე, არ იქნება მთავრობა და კანონები. მაშინ ყველა უფლებრივად გათანაბრდება, გადასახადს ძალით არავინ გადაახდევინებს, ხალხის საჭიროებისთვის შეიქმნება საერთო თანხა, საიდანაც ის დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას. ამიტომ ხალხის საბედნიეროდ აუცილებელია მონდომება და იმისთანა წყობილების განხორციელება, რომლის დროსაც მშრომელი თვითნ იქნება ბატონ-პატრონი თავის ნაოფლარისა. მღვდლები სცრუობენ, როცა გვეუბნებიან, თითქოს მეფე ღვთისგან იყოს დადგენილი, თითქოს ხალხის ბედ-იღბალი მისთვის განგებას ჩაებარებინოს, რათა იგი უსიტყვო მორჩილებასა და მუდმივ ტანჯვა-წამებაში იყოლიოს.

წყარო დ მწერალი და ხალხოსანი სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925) ხალხოსნებისადმი გლეხობის დამოკიდებულების შესახებ:

ხალხოსნური მოძრაობა თავდაპირველად ინტელიგენციამ და სტუდენტობამ გაიზიარა. ხალხი ჩვენ არ გვიკარებდა, განსაკუთრებით გლეხობა... ქართლ-კახეთში გლეხი ერთობ გულჩათხრობილია... ერთხელ ჩემი სოფლის მცხოვრებლებს, რომელთაც ხუთი თითივით ვიცნობდი, მიტინგი გავუმართე, გავუბი ლაპარაკი, რომ მიწა მშრომელი გლეხისაა, რომ მეფემ გლეხი უმიწოდ გაათავისუფლა და ამიტომ ისინი ისევ ბატონყმობას განიცდიან, უფრო უარეს ყოფაში ჩაცვივდნენ, რომ მეფემ მხოლოდ ძვალი გადაუგდო მათ, როგორც მოჩხუბარ ძაღლებსა, რომ ამისთანა მთავრობა დასაგმობია, მას ძალა-უფლება უნდა წაერთვას და ხალხს გადაეცეს. გლეხებმა ამაზე ასე მიპასუხეს: ხელმწიფის ორგულობა როგორ შეიძლება, შენი ჭირიმე, ღვთისგან დაყენებული კაცია. ბატონყმობა გუშინ იმან არ გადააგდო, მაშ, ვინა? მართალია, მიწა არა გვაქვს, მაგრამ რა ვქნათ, როგორც იქნება, შევისყიდით... არა, ძმაო, ხელმწიფეს ვერ ვუღალატებთ... როგორ იქნება!

- *გამოთქვი მოსაზრება, რატომ არ გავრცელდა ფართოდ ქართველ გლეხებში ხალხოსნური იდეები?*

მუშათა მოძრაობის დასაწყისი საქართველოში

XIX ს-ის მეორე ნახევარში, კაპიტალიზმის განვითარების კვალდაკვალ, ქვეყანაში გაძლიერდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ბრძოლა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. 80-90-იან წლებში ასპარეზზე ახალი სოციალური ძალა გამოვიდა – ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები, რომელთაც სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლის ახალი საშუალებები შემოიტანეს: გაფიცვა, მიტინგი, მანიფესტაცია, დემონსტრაცია. მუშათა მოძრაობას ეკონომიკური ხასიათი ჰქონდა. ბრძოლის ძირითადი სახე იყო გაფიცვა. კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოს მუშათა კლასი შემატა. ის, ძირითადად, სოფლიდან ქალაქში წამოსული, უმიწოდ ან მცირე მიწის ამარა დარჩენილი გლეხებისგან შედგებოდა. მათ მძიმე პირობებში უწევდათ მუშაობა. დაბალ ხელფასს ისიც ემატებოდა, რომ ზოგჯერ ანაზღაურებას სრულადაც ვერ იღებდნენ – ათასგვარი ჯარიმები და დაქვითვები ეკისრებოდათ. არ არსებობდა შრომის კანონმდებლობა. ხშირი იყო უბედური შემთხვევებიც.

წყარო ე **1897 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის:**
1. სოციალური შემადგენლობა; 2. პროფესიული შემადგენლობა





● *წყარო ე-ს საფუძველზე დაახასიათე XIX ს-ის საქართველო ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით: ა) მიუთითე მეურნეობის წამყვანი დარგი/დარგები; ბ) განსაზღვრე ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური ჯგუფი; გ) მიახლოებით განსაზღვრე, რომელი სოციალური ჯგუფი რა პროფესიას მისდევდა.*

განსაკუთრებით დიდი პრობლემები შეუქმნა მმართველობას ამიერკავკასიის რკინგიზის ტფილისის მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვამ. გაფიცვა რამდენიმე დღეს გაგრძელდა და ფაბრიკა-ქარხნებიც მოიცვა. რკინიგზელებს შეუერთდნენ თამბაქოსა და ბამბის ფაბრიკების მუშები, აგრეთვე, მანქანათმშენებელი და ტყავის ქარხნების მუშებიც. მთლიანად, გაფიცვებში, დაახლოებით, 4000-ზე მეტი მუშა მონაწილეობდა. რკინიგზელები მოითხოვდნენ იმას, რაც დასავლეთ ევროპაში მუშებს უკვე ბევრგან ჰქონდათ მოპოვებული. ეს იყო: 8-საათიანი სამუშაო დღე, ხელფასების მომატება, ჯარიმების გაუქმება და სამუშაო პირობების გაუმჯობესება. მუშებსა და არმიას შორის შეტაკებაც მოხდა. მთავრობა დათმობაზე წავიდა და იძულებული გახდა, მუშათა მოთხოვნები ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა.

● *შენი აზრით, რატომ გაუწია ანგარიში მთავრობამ რკინიგზის მუშების მოთხოვნას?*

პოლიტიკური პარტიები საქართველოში XX ს-ის დასაწყისში

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბება. 90-იანი წლებიდან საქართველოში მუშების საპროტესტო მოძრაობას სათავეში მარქსისტები, ანუ სოციალ-დემოკრატები ჩაუდგნენ. 1892-1893 წლებში მარქსისტულად განწყობილი ქართველი ახალგაზრდების ჯგუფმა – ეგნატე ნინოშვილის, ნოე ჟორდანიას, ისიდორე რამიშვილის, სილიბისტრო ჯიბლაძისა და სხვათა შემადგენლობით, პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შექმნა საქართველოში. სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები სხვადასხვა ქარხანა-ფაბრიკაში იწყებდნენ მუშაობას და სოციალისტურ იდეებს ავრცელებდნენ მუშებში.



ნოე ჟორდანია (1868-1953)

ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი, თეორეტიკოსი, პუბლიცისტი, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ყველაზე გამორჩეული და პოპულარული პოლიტიკოსი.

წყარო 3 ანარქისტი გიორგი გოგელია ქართველ სოციალ-დემოკრატებზე, 1908:

მუშათა საკითხის არსებობაზე საქართველოში სოციალ-დემოკრატთა გამოჩენამდე არავინ ეჭვობდა. ქართველმა მწერლებმა, ჟურნალისტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, ცხადია, იცოდნენ, ევროპაში ამგვარი საკითხის შესახებ, მაგრამ საქართველოში მას არავინ იმჩნევდა. როგორიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი შეხედულება სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველობასა და ტაქტიკაზე, მასაც საკმარისი სამართლიანობით უნდა მოვეკიდოთ და უსიტყვოდ ვაღიაროთ, რომ საქართველოში მუშური საკითხის პირველად დასმის პატივი (დღევანდელი გაგებით) მას და მხოლოდ მას ეკუთვნის. მან პირველმა მიუთითა ქართველი საზოგადოების განხეთქილებისა და რღვევის იმ თავისებურებაზე, წინააღმდეგობის სპეციალურ თვისებაზე, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს.

შენიშვნა: მუშათა საკითხი *– ავტორი გულისხმობს მუშათა კლასის სოციალური ყოფის გამოსწორებისა და მათი უფლებებისთვის ბრძოლის საკითხს.*

ცნობა 2 ამონარიდი თედო სახოკიას წიგნიდან „ჩემი საუკუნის ადამიანები“, სადაც აღწერილია სოციალისტთა პროპაგანდის ერთ-ერთი მაგალითი:

მიხა ცხაკაია შეუდგა დავით სარაჯიშვილის ქარხანაში მუშაობას. პირველი დღე თავისი ახალი თანამდებობის გაცნობას მოანდომა და ამ დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. მშვიდობიანადვე გაიარა მეორე დღემაც. თითქოს ებევრა მიხას დროის დაკარგვა. მიხას არ ახსოვდა, ოდესმე ასე „უსაქმოდ“ მჯდარიყო, ე. ი. არ ექადაგა ახალი მიმართულების – სოციალიზმ-კომუნიზმის აზრები, მდაბიო ხალხი არ ეზიარებინა ახალ მიმართულების მოძღვრებას...

მესამე დღეს განზე გადადო კალამი და საანგარიშო, დასვენების დროს ჩაუჯდა მუშებს და პირდაპირ შეუდგა საქმეს. დაიწყო პოლიტიკური ეკონომიის პოპულარიზაციიდან; განსაკუთრებით აუხსნა ზედმეტი ღირებულება, ანუ წყარო კაპიტალისტის გამდიდრებისა. უთხრა ისიც, რომ ეს ქარხანა თქვენის სისხლითა და ოფლითაა აშენებული, თქვენ რომ არა, სარაჯიშვილს არაფერი ექნებოდაო... სამართალით ამ ქარხნის პატრონი თქვენ უნდა იყოთ და არა თქვენი სისხლის მწოველი სარაჯიშვილიო!..

მუშების ნაწილს ეს მოძღვრება ჭკუაში დაუჯდა, ნაწილმა კი დავით სარაჯიშვილს ეს ამბები აცნობა. პროპაგანდამ ამ შემთხვევაში შედეგი ვერ გამოიღო.

შენიშვნა: მიხა ცხაკაია *(1865-1950) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი.*

წყარო 8 **ქართველი სოციალ-დემოკრატების იდეურ ხელმძღვანელად ნოე ჟორდანია იქცა. ქართველი სოციალ-დემოკრატების პროგრამა მან შემდეგი პუნქტების სახით წარმოადგინა:**

- ეკონომიკური კეთილდღეობა ადამიანთა ბედნიერების უმთავრესი პირობაა, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიზანია ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა;
- ბურჟუაზიული წყობილების დამყარება, ფეოდალიზმთან შედარებით, დიდი პროგრესული მოვლენა იყო;
- მიუხედავად პროგრესულობისა, ბურჟუაზიულ წყობილებას ახასიათებს წინააღმდეგობები სხვადასხვა კლასსა და სოციალურ ჯგუფებს შორის;
- სოციალ-დემოკრატიის მიზანია მესამე წოდების ინტერესების დაცვა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში;
- ეროვნული თავისუფლება სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი პირობაა და მისი მიღწევა სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი უახლოესი მიზანია;
- პიროვნების თავისუფლება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობისა;
- სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა ეკონომიკური კეთილდღეობისთვის, ერისა და პიროვნების თავისუფლებისთვის; უკანასკნელი არ გულისხმობდა ბურჟუაზიული წყობილების მოსპობას რევოლუციის გზით.

1903 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატია ორად – მენშევიკებად და ბოლშევიკებად – გაიყო. დაიწყო ცხარე და დაუსრულებული ფრაქციული ბრძოლები. ამრიგად, საქართველოში ერთის ნაცვლად, ორი სოციალ-დემოკრატიული პარტია შეიქმნა. მენშევიკები საკუთარ ბრძოლას პუბლიკაციებით ეწეოდნენ მაშინ, როცა ბოლშევიკები ტერორისტულ აქტებსა და ძარცვას მიმართავდნენ (ამ უკანასკნელს ისინი *ექსპროპრიაციად* მოიხსენიებდნენ).

ექსპროპრიაცია (გვიანდ. ლათ. expropriare – ქონების ჩამორთმევა) – სახელმწიფოს ან ხელისუფლების ორგანოს ქმედება, რომელიც გულისხმობს მფლობელის ქონების ჩამორთმევას საზოგადოებრივი გამოყენებისთვის ან სარგებლისთვის, როგორც წესი, მფლობელისთვის ფულადი კომპენსაციის გადახდით.

- *საიდან მომდინარეობს ტერმინი „მესამე წოდება“ და რომელი სოციალური ჯგუფების ინტერესებს იცავდა წარმოდგენილი პროგრამა?*
- *ეთანხმები თუ არა თეზისს „პიროვნების თავისუფლება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობისა“. დაიცავი შენი პოზიცია.*
- *შენი აზრით, რამდენად პროგრესული ნაბიჯი იყო მუშათა საკითხის შეტანა პროგრამაში და რატომ არ იყო ის პრიორიტეტული თერგდალეულებისთვის?*
- *შენი აზრით, რამდენად ქმედითი იარაღი იყო ცარისტული სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლშევიკების მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტები?*
- *იმსჯელეთ კლასში: რამდენად გამართლებულია, მორალური თვალსაზრისით, ტერორისტული აქტებითა და ექსპროპრიაციებით სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა?*

სოციალისტ-ფედერალისტები. საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შექმნის იდეა XIX ს-ის 90-იანი წლების ბოლოს გაჩნდა. პარტიის შექმნის მომხრე ახალგაზრდობა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გარშემო შემოიკრიბა. ძირითად ჯგუფს **არჩილ ჯორჯაძე**, **გიორგი ლასხიშვილი**, **გიორგი დეკანოზიშვილი** და სხვ. წარმოადგენდნენ. 1900 წელს „ცნობის ფურცელში“ საპროგრამო წერილი გამოქვეყნდა. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფმა თავი ქართველ სამოციანელ თერგდალეულთა მემკვიდრედ გამოაცხადა და სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობას გაერთიანებისკენ მოუწოდა.

არჩილ ჯორჯაძემ ქართველი საზოგადოების წინაშე წამოაყენა ხუთი პრობლემური საკითხი, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარებულიყო: 1) სავალალო მდგომარეობა ქართული ენისა, რომელიც განდევნილი იყო სკოლიდან, სასამართლოდან, ადმინის-

ტრაციიდან და ა. შ., რაც ქართულ კულტურას, ხელოვნებასა და ლიტერატურასაც მძიმე მდგომარეობაში ამყოფებდა; 2) ვაჭრობა-მრეწველობის სფეროში გაბატონებული იყო უცხოური ბურჟუაზია; 3) ქართველ ხალხს ხელიდან ეცლებოდა მამული; 4) განათლების სისტემა ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე; 5) თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების თვითმმართველობათა უმრავლესობას არაქართველები წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ასეთი მწვავე საკითხების წამოჩენისა, ლეგალურ გაზეთში პოლიტიკურ მიზნებზე საუბარი სათანადოდ მაინც ვერ ხერხდებოდა. პარტიის ჩამოყალიბებამდე ჯგუფმა საკუთარი პერიოდული ორგანო – გაზეთი „საქართველო“ დააარსა, რომელიც ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოდიოდა პარიზში. ახლა სოციალისტ-ფედერალისტების ჯგუფს თავისუფლად შეეძლო, საკუთარი იდეების პროპაგანდა გაეწია. გაზეთის პირველ ნომერში სოციალისტ-ფედერალისტები წერდნენ: „ჩვენ გვსურს, დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა, ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს, ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“.

გაზეთ „საქართველოს“ აზრით, საქართველოში არსებული ეროვნული, რევოლუციური და ლიბერალური მიმართულების პოლიტიკური ძალები უნდა გაერთიანებულიყვნენ. პარტია რამდენიმე მიმართულებისგან შედგებოდა – თავად სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალ-დემოკრატები, შემდგომში ეროვნულ-დემოკრატები და ანარქისტები.

1904 წლის აპრილში ჟენევაში გაიმართა კონფერენცია, რომელზეც „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ შექმნა გაფორმდა. კონფერენცია პირველივე დღეს დატოვეს სოციალ-დემოკრატებმა, ხოლო სხვა მიმართულების წარმომადგენლები რამდენიმე ხანს რჩებოდნენ პარტიაში.

სურვილის მიუხედავად ერთიანობა ვერ შენარჩუნდა. სოციალისტ-ფედერალისტებს ჯერ ეროვნულ-დემოკრატები გამოეყვნენ, ხოლო შემდეგში პარტია ანარქისტებმაც დატოვეს.

ანარქისტები. ქართველმა ანარქისტებმა პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება ვერ შეძლეს. ანარქიზმი საქართველოში მხოლოდ პოლიტიკურ ჯგუფს წარმოადგენდა. მათი საქმიანობა, ძირითადად, პუბლიცისტურ ხასიათს ატარებდა, ტერორისტულ საქმიანობას ისინი არ ეწეოდნენ. ცხარე კამათი ჰქონდათ სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთასთან. ანარქისტების აზრით, ყველა პარტია ყოველთვის საკუთარი მიზნების მისაღწევად იბრძვის, მათ შორის, სოციალ-დემოკრატებიც. ანარქისტთა შორისაც ორი მიმართულება არსებობდა: პირველი მათგანი გამორიცხავდა სახელმწიფოსა და მთავრობის არსებობას, ეროვნულ მომენტს და უმთავრეს ყურადღებას სოციალურ საკითხს აქცევდა. მიაჩნდათ, რომ პროფესიული გაერთიანებების (სინდიკატების) შექმნა სოციალურ პრობლემებს მოაგვარებდა. ამისთვის კი საჭირო იყო, მოეხდინათ სოციალური რევოლუცია, რის შედეგადაც, როგორც ანარქისტები წერდნენ: „მიწა, სამრეწველო ქარხნები და ფაბრიკები მუშათა თავისუფალ კავშირთა ხელში იქნება. აღარ იქნება არც მძარცველები და მგლეჯელები, აღარც სახელმწიფო, ჯარი, პოლიცია, საპყრობილე“. ამ ფრთას წარმოადგენდნენ ძმები შალვა და გიორგი გოგელიები; მეორე ჯგუფი კი, ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მიხაკო წერეთლის მონაწილეობით, ეროვნულ ფაქტორს სოციალურზე წინ აყენებდა და ქართული სახელმწიფოს აღდგენას შესაძლებლად მიიჩნევდა.

> **წყარო 01 ანარქისტი გიორგი გოგელია სოციალ-დემოკრატების შესახებ, 1908**
>
> სოციალ-დემოკრატებმა *თავისუფლების დღეებში* სარკინიგზო სადგური ჩაიგდეს ხელში და საქალაქო დაცვა ჩამოაყალიბეს. სოციალ-დემოკრატიის შეიარაღებული რაზმელები ძლევამოსილად დადიოდნენ ქუჩებში და, ვინაიდან ყოველგვარი ძალაუფლება, თავისი არსით, რეაქციული და ტირანულია, სოციალ-დემოკრატიული ძალაუფლებაც ტირანული და რეაქციული აღმოჩნდა. სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები განსაკუთრებული ვაგონებით დადიოდნენ, უფრო ხშირად – საკურიერო მატარებლებით, ნიკოლოზ II-ისა და მისი მინისტრების მსგავსად, ხოლო სხვა რევოლუციონერებს სარკინიგზო სადგურზე გამოჩენასაც კი უკრძალავდნენ, არ აძლევდნენ საშუალებას, შეეკავშირებინათ თავიანთი საბრძოლო ძალები.



ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925)

მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი ანარქისტი. მრავალი წლის განმავლობაში ემიგრაციაში, ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ცხოვრობდა. წერილებს რუსულ, ქართულ და სხვაენოვან პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდა. 1907 წელს ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას წარუდგინა ქართველი ხალხის პეტიცია, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები, ქალები, კაცები, ვაჭარ-მრეწველები, მუშები, თავადაზნაურობა, გლეხობა, სასულიერო პირები, მასწავლებლები აწერდნენ ხელს. ისინი რუსეთის მიერ, 1783 წელს დადებული გიორგიევსკის ტრაქტატის დარღვევით, საქართველოს ანექსიას აპროტესტებდნენ. ხელმომწერნი დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდებდნენ, შეეჩერებინათ დასავლეთ საქართველოში (გურიის ტერიტორიაზე) რუსეთის მიერ წარმართული ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა და ტრაქტატის პირობების შესრულებით მოითხოვდნენ საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებას. დოკუმენტს 3 000-ზე მეტი ხელმოწერა ერთვოდა.

წყარო 0 **სოციალისტ-ფედერალისტები და ანარქისტები, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო**

დგანან: ალექსანდრე გაბუნია, გიორგი (კომანდო) გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი. სხედან: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, მიხაკო წერეთელი



ცნობა 3 **ჰააგის II საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია და საქართველოს საკითხი**

ჰააგის I და II სამშვიდობო კონფერენციები 1899 და 1907 წლებში გაიმართა რუსეთის იმპერატორის, **ნიკოლოზ II-ის** ინიციატივით. მათი მიზანი იყო „ყველა ხალხისთვის რეალური და ხანგრძლივი მშვიდობის სიკეთით სარგებლობის ყველაზე ეფექტური საშუალებების ძიება, შეიარაღების პროგრესული განვითარება“. II კონფერენციაში 44 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ქართველმა მოღვაწეებმა გადაწყვიტეს, სპეციალური პეტიციით მიემართათ კონფერენციისთვის. პეტიციის ტექსტი ვარლამ ჩერქეზიშვილმა, გიორგი გვაზავამ და მიხაკო წერეთელმა მოამზადეს და მას „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“ ერქვა. პარალელურად, ინგლისში შეიქმნა „საქართველოს დახმარების ინგლისური კომიტეტი“, რომლის მეშვეობითაც „მემორანდუმი“ ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას გადაეცა. „მემორანდუმის“ ტექსტი დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის წამყვანმა გაზეთებმა სწორედ იმ დღეს გამოაქვეყნეს, როცა ჰააგის სამშვიდობო კონფერენცია გაიხსნა. თუმცა, ევროპული სახელმწიფოები რუსეთის იმპერიის გაღიზიანებას მოერიდნენ და „მემორანდუმი“ სამშვიდობო კონფერენციის დღის წესრიგში არ შეიტანეს. ამის მიუხედავად, ამ დოკუმენტმა საფუძველი ჩაუყარა ქართული სახელმწიფოს აღდგენისთვის სამართლებრივ ბრძოლას ევროპაში და ეს პროცესი შემდგომ წლებშიც გაგრძელდა.



ნიკოლოზ II (1894-1917)

რუსეთის ბოლო იმპერატორი. მისი მმართველობა 1917 წელს რუსეთის რევოლუციით დასრულდა, რის შემდეგაც ის და მისი ოჯახი ბოლშევიკებმა დახვრიტეს.



მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1878-1965)

ქართველი პოლიტიკოსი. თავდაპირველად – ანარქისტი, შემდეგ – ეროვნულ-დემოკრატი. მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში.

სოციალური მოძრაობა საქართველოში 1900-1904 წლებში

საქართველოში სოციალური მოძრაობა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პროცესებმა განაპირობა. თუმცა, ამ მოძრაობაზე გავლენას ახდენდა მოვლენათა განვითარება თავად რუსეთში, სადაც 1900 წლიდან ეკონომიკური კრიზისით განპირობებული ძლიერი სოციალური მოძრაობა დაიწყო.

სოციალური მოძრაობა საქართველოში მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის დაპირისპირებაში გამოიხატებოდა და წმინდა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი ჰქონდა (ძირითადი მოთხოვნები: სამუშაო დღის შემცირება, ხელფასის გაზრდა, სოციალური გარანტიები და სხვა).

მუშების მოძრაობასა და პროტესტს აქტიურად უწყობდნენ ხელს და აქეზებდნენ სოციალ-დემოკრატები. 1902 წელს იოსებ ჯუღაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა ბათუმში მუშებსა და ჯარს შორის შეტაკების პროვოცირებაც შეძლეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. ამით ეკონომიკურ ნიადაგზე დაწყებულმა მუშათა გამოსვლამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ეკონომიკური გამოსვლები თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით ხდებოდა. მეწარმეებმა გაფიცული მუშების *შტრაიკბრეხერებით* ჩანაცვლება დაიწყეს, თუმცა სოციალისტებმა შეძლეს, რომ გავლენა ასეთ მუშებზეც მოეხდინათ და მუშაობაზე უარი ეთქმევინებინათ, რის შედეგადაც, ზოგიერთი გაფიცვის დროს საწარმოს მფლობელებს წარმოების სრულად გაჩერება უწევდათ.

შტრაიკბრეხერი (გერმ. Streik – გაფიცვა და brechen მსხვრევა) – პირი, რომელიც გაფიცვაში მონაწილეობას არ იღებს და სამუშაოდ გამოდის, – გაფიცვის ჩამშლელი; მუშათა ინტერესების გამყიდველი.



წყარო 3 მრეცხავი ქალები მტკვრის სანაპიროსთან, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, დაახლოებით 1900

თბილისში მრეცხავი ქალები აბანოთუბანში, კერძოდ კი ლელვთახევში ან იქვე, მტკვრის პირას იყრიდნენ თავს, სადაც გოგირდის თბილი წყლით რეცხავდნენ სარეცხს. ისინი მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად მუშაობდნენ, რაშიც მიზერულ ანაზღაურებას იღებდნენ.

1. გამართეთ დისკუსია კლასში – შეადარეთ ერთმანეთს თერგდალეულთა და ხალხოსანთა პოლიტიკური შეხედულებები, საქმიანობა და ბრძოლის მეთოდები. ჩამოაყალიბე პოზიცია – რომელი საზოგადოებრივი მოძრაობა მოიცავდა საკუთარ თავში ეროვნულ მოძრაობას? რატომ ფიქრობ ასე?
2. მოაწყვეთ კლასში პოლიტიკურ პარტიათა იმიტირებული ყრილობები. დაიყავით რამდენიმე ჯგუფად და წარმოადგინეთ თქვენ მიერ შერჩეული პოლიტიკური პარტიის ან საზოგადოებრივი ჯგუფის პოლიტიკური პროგრამა/თეზისები. შეიმუშავეთ თქვენი პოლიტიკური პარტიის/ორგანიზაციის პარტიული ჰერალდიკა, სიმბოლოები და განმარტეთ მათი მნიშვნელობა.

70 რამ გამოიწვია და როგორ დასრულდა 1905-1907 წლების რევოლუციური მოვლენები საქართველოში?

რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია რუსეთის იმპერიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების კანონზომიერი შედეგი იყო – ქვეყნის განვითარებას შეუზღუდავი მონარქია აფერხებდა. ბატონყმობის გაუქმებამ ქვეყანაში მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა. ვითარება ნახევარი საუკუნის განმავლობაში მწვავდებოდა, ხოლო XX ს-ის დასაწყისისთვის იმპერია მეტისმეტად დასუსტდა და რევოლუციის წინაპირობები გაჩნდა. ამ გაკვეთილიდან გაიგებ, როგორ დაიწყო რევოლუცია რუსეთის იმპერიაში და როგორ წარიმართა ის საქართველოში.

რევოლუციის მიზეზები და დასაწყისი

რევოლუცია რუსეთის იმპერიაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მწიფდებოდა. მის დაწყებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა რუსეთ-იაპონიის ომმა (1904-1905), რომელშიც რუსეთის იმპერია დამარცხდა. ამ ომმა რუსეთში არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წინააღმდეგობები განსაკუთრებულად გაამწვავა. ბურჟუაზიისთვის ცხადი გახდა, რომ მონარქია ვეღარ ახერხებდა სახელმწიფოს ინტერესების დაცვას, რაც, საბოლოოდ, ბურჟუაზიის ეკონომიკურ მისწრაფებებს ლახავდა. ომი ძვირად დაუჯდა გლეხობასა და მუშათა კლასს. ათიათასობით მოკლული და დასახიჩრებული, ეკონომიკური სიდუხჭირე, რასაც მუშა და გლეხი ისევ ომს უკავშირებდა, უკვე ქმნიდა საფუძველს დიდი სოციალური ამბოხებისათვის.

ცნობა 1 რუსეთ-იაპონიის ომი, 1904-1905 წლები

რუსეთ-იაპონიის ომი XX ს-ის პირველი დიდი ომი იყო. ის იაპონიამ დაიწყო და 1904 წლის 8 თებერვლიდან 1905 წლის 5 სექტემბრამდე მიმდინარეობდა. ომი მანჯურიისა (ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთი) და კორეის ტერიტორიებზე ბატონობისთვის დაიწყო და პორტსმუთის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა. მისი ძალით, რუსეთმა იაპონიას დაუთმო კუნძულ სახალინის სამხრეთი ნაწილი, გადასცა საიჯარო უფლებები კვანტუნის ოლქზე – ციხესიმაგრე პორტ-არტურით. რუსეთის იმპერიამ კორეა იაპონიის გავლენის სფეროდ ცნო.

1905 წლის 9 იანვარს, კვირადღეს, სანქტ-პეტერბურგში მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენების მშვიდობიანი დემონსტრაცია გაიმართა, რომელსაც მღვდელი გიორგი გაპონი მიუძღოდა. ხელისუფლებამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ჯარი გამოიყვანა და მათ ცეცხლი დაუშინა. ეს დღე რუსეთის ისტორიაში „სისხლიანი კვირის“ სახელწოდებით შევიდა. ამის შემდეგ საპროტესტო მოძრაობები მთელ იმპერიას მოედო, ამიტომაც 1905 წლის 9 იანვარი რევოლუციის დასაწყისადაა მიჩნეული.



გიორგი გაპონი (1870-1906)

რუსი სასულიერო პირი. მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 9 იანვრის ამბების შემდეგ ემიგრანტად მიემგზავრება ევროპაში და ურთიერთობას ამყარებს იქ მყოფ რევოლუციურ მოღვაწეებთან. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ბრუნდება იმპერიაში. მოლაპარაკებებს აწარმოებს როგორც ხელისუფლებასთან, ისე ოპოზიციურ პარტიებთან. 1906 წლის მარტის ბოლოს მას გაურკვეველ ვითარებაში მოკლავენ. გავრცელებული მოსაზრებით, ის ფარულად თანამშრომლობდა მეფის „ოხრანკასთან“, რის გამოც ოპოზიციურმა პარტიებმა (ანარქისტებმა, ესერებმა) გადაწყვიტეს, დაესაჯათ და მოკლეს.



წყარო ა **რუსეთ-იაპონიის ომის თემაზე შექმნილი კარიკატურა, ღია ბარათი, 1905**

მარცხნივ – იაპონიის იმპერატორი მუცუჰიტო, მარჯვნივ – რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II, ცენტრში – აშშ-ის პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი

- *კარიკატურის მიხედვით იმსჯელე, რა შედეგით დასრულდა ომი? რატომაა მასზე გამოსახული ამერიკის პრეზიდენტი? რა მოვლენაზე მიანიშნებს კარიკატურაზე დატანილი თარიღი – 1905?*

ცნობა 2 **1905 წლის 9 იანვარი**

მღვდელ გიორგი გაპონის ხელმძღვანელობით, მუშათა ნაწილმა გადაწყვიტა, იმპერატორისთვის პეტიცია წარედგინა. პეტიციაში ისინი საკუთარ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს აღწერდნენ: იმას, თუ როგორ იჩაგრებოდნენ მფლობელთა მიერ, იმ აუტანელ პირობებს, რომელშიც მუშაობა უწევდათ.

9 იანვრის დილას, პეტერბურგის სხვადასხვა რაიონებიდან ათიათასობით ადამიანი (მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცები) ზამთრის სასახლისკენ დაიძრა. მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრაცია მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, საიმპერატორო კარს წინა დღით უკვე გადაეწყვიტა, რომ დემონსტრანტები სასახლის მოედანზე არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ, თუნდაც ამისთვის ნებისმიერი ძალის გამოყენება დასჭირვებოდათ. ამგვარად, სასახლეს მიახლოებულ მოსახლეობას არმიამ ცეცხლი გაუხსნა. სხვადასხვა მონაცემით, ამ დღის მოვლენებს დაახლოებით 5 000-მდე ადამიანი ემსხვერპლა.



წყარო ბ **1905 წლის 9 იანვრის მანიფესტაციის დახვრეტა, ივან ვლადიმიროვი, 1940**

რევოლუციის მიმდინარეობა საქართველოში

„სისხლიან კვირას“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში. იანვარში გაიფიცნენ თბილისის მუშები. გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირზე მიმავალი დემონსტრაცია ჯარმა და პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა. დიდი დემონსტრაციები გაიმართა თელავში, ჭიათურაში, ხაშურში, სოხუმში, გორსა და სხვა ქალაქებში.

პარალელურად ძლიერდება გლეხთა მოძრაობაც. გამოსვლები განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა გორის, თბილისის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში. ზოგიერთ რეგიონში საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელისუფლებამ სრულიად დაკარგა კონტროლი და შეიქმნა ადგილობრივი მთავრობები.

გარდა სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნებისა, მუშათა და გლეხთა პროტესტებში პოლიტიკურმა ფაქტორმაც დიდი ადგილი დაიჭირა.

წყარო ბ თანამედროვე მკვლევარი ირაკლი მახარაძე გურიის რესპუბლიკის შესახებ:

[რევოლუციის დასაწყისიდან] მალევე გლეხთა მოძრაობას საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ითავა. დაარსდა „გლეხთა კომიტეტები“, რომლებიც თავიდან მთავრობას ბოიკოტს უცხადებდნენ, შემდეგ კი ქმნიდნენ საკუთარ ადმინისტრაციებს, შეიარაღებულ რაზმებს, რომლებსაც წითელი რაზმები ეწოდებოდა, სასამართლოებს, იარაღის სახელოსნოებს, სტამბებს, განაგებდნენ სასკოლო განათლებას, აწესებდნენ გადასახადებს, ფასებს და სხვ. მსგავს დაუმორჩილებლობას მთავრობა ვერ აიტანდა და 1905 წლის თებერვალში გურულებთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა *სულთან კრიმ-გირეი*. გლეხებმა მას საკუთარი მოთხოვნები წაუყენეს. ისინი მოითხოვდნენ საბატონო, საეკლესიო და სახელმწიფო ბეგარის გაუქმებას, დრამის გადასახადის გაუქმებას, წოდებათა გაუქმებას, საუფლისწულო, საეკლესიო-სამონასტრო და სანადელო მიწების უსასყიდლოდ გადაცემას გლეხობისთვის, სიტყვის, კრების კავშირებისა და გაფიცვის თავისუფლებას.

გურულებს ჰყავდათ თავიანთი პრეზიდენტიც – *ბენია ჩხიკვიშვილი*, რომელიც გურიის დროებითი პარლამენტის თავმჯდომარე იყო. საბოლოოდ, გურულმა მეამბოხეებმა ვერ შეძლეს უზარმაზარ პოლიციურ სახელმწიფოსთან მარტო გამკლავება და დამარცხდნენ, თუმცა გურიის რესპუბლიკა იყო უნიკალური მოვლენა გლეხთა მოძრაობის ისტორიაში, როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

შენიშვნა: სულთან კრიმ-გირეი (1876-1918) *– სამხედრო. რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე.*

ბენია ჩხიკვიშვილი (1880-1924) *– ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სხვადასხვა მაღალი თანამდებობა ეკავა. დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობის გამო.*

სიტუაცია განსაკუთრებით 1905 წლის ზაფხულიდან დაიძაბა. გახშირდა ჯარის გამოყენება და მანიფესტაციების დარბევა. პოლიციამ და ჯარმა თბილისის თვითმმართველობის შენობაში კრებაზე მისული ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენლები დახვრიტა.

წყარო დ შეტაკება თბილისის საბჭოში 1905 წლის ოქტომბერში, იტალიელი მხატვრის, აკილე ბელტრამეს ილუსტრაცია, დე აგოსტინის სურათების ბიბლიოთეკა, ნოვარა, იტალია



1905 წლის ოქტომბერში თვით რუსეთში მიმდინარე მასობრივმა გაფიცვებმა სერიოზულად შეაშფოთა საიმპერატორო კარი. ნიკოლოზ II-მ დათმობა არჩია და 17 ოქტომბერს რუსეთის იმპერატორმა გამოსცა „უმაღლესი მანიფესტი“, რომლის ძალითაც პარტიებს ლეგალური საქმიანობის უფლება მიეცათ. უმთავრესი დაპირება სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა იყო. სათათბიროს უნდა განეხილა ყველა ის საკითხი, რომლებიც რევოლუციამ წამოჭრა და რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის სახელმწიფოსთვის. მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა. გარდა ამისა, მანიფესტი ხალხს ჰპირდებოდა დემოკრატიული რეფორმების გატარებას, სიტყვის, შეკრების, პრესის თავისუფლებას.

● *შენი აზრით, რა გავლენას იქონიებდა რევოლუციაზე დაპირება სათათბიროს შესახებ და შემდგომში ამ დანაპირების განხორციელება?*



წყარო 3 ქართველი დეპუტატები რუსეთის პირველ სათათბიროში, სანკტ-პეტერბურგი, 1906, კარლ ბულას ფოტო

სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: იოსებ ბარათაშვილი, ნოე ჟორდანია, სერგი ჯაფარიძე, ისიდორე რამიშვილი. დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: ივანე გომართელი, სიმონ წერეთელი.

პირველმა სათათბირომ ცოტა ხანს იმუშავა. უფრო ხანმოკლე გამოდგა ქართველ დეპუტატთა მოღვაწეობა სათათბიროში. საქმე ისაა, რომ კავკასიაში არჩევნები დაგვიანებით ჩატარდა და, როდესაც დეპუტატები პეტერბურგში ჩავიდნენ, სათათბიროს მუშაობა უკვე დაწყებული ჰქონდა. სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) და სოციალისტ-ფედერალისტმა დეპუტატებმა მალევე მიიპყრეს სხვა დეპუტატებისა და საზოგადოების ყურადღება. მათ პირველივე დღეს ამხილეს მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლება და მიუთითეს, რომ ხელისუფლება რუსეთის მოქალაქეთა უფლებებს არღვევდა (ადმინისტრაციის წარმომადგენლები სჩადიოდნენ უკანონო დანაშაულებს ხალხის სიცოცხლის, სინდისის, ქონების ხელყოფით. მათი თქმით, მთავრობის აგენტები პოლიტიკური მიზნით სისტემატურად მიმართავდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევებს, მკვლელობებს, ძალადობას, სახლ-კარის გადაწვას). პარტიების აქტიურობას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია, რადგან იმპერიულმა ცენტრმა სათათბირო მალევე დაითხოვა. მეორე სათათბირო 1907 წელს აირჩიეს და კავკასიელი რვა დეპუტატიდან ყველა სოციალ-დემოკრატი იყო. მანაც პირველი სათათბიროს ბედი გაიზიარა და 1907 წლის 3 ივნისს იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ, მეფის ოჯახის წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით.

ცნობა 3 იარაღის შემოტანის მცდელობა საქართველოში

1905 წელს, რევოლუციის მსვლელობის დროს, ევროპაში მყოფმა რევოლუციურმა ძალებმა გიორგი დეკანოზიშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოში იარაღის შემოტანა სცადეს. მათ იარაღი იაპონიის მთავრობის ფულით შეიძინეს. პირველი პარტია გემ „ჯონ გრაფტონის“ მეშვეობით ბალტიის ზღვაში გავიდა. იარაღის მცირე ნაწილი ფინელებმა მიიღეს, ნაწილი გემის დაზიანების გამო დაიკარგა, ნაწილი კი რუსეთის სპეცსამსახურებს ჩაუვარდათ ხელში. მეორე გემი „გარსია“ რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა.

ასეთ დროს გიორგი დეკანოზიშვილმა ყველა ზომა მიიღო საიდუმლოს შესანახად. მან 8 000 თოფისა და მილიონზე მეტი ვაზნის შესყიდვა მოახერხა და საფრანგეთში მყოფ იაკობ ზუბალაშვილის დაფინანსებით შეიძინა გემი „სირიუსი“. დაიქირავა კაპიტანი, ასევე, ეკიპაჟი, რომლებმაც არ იცოდნენ, რა გადაჰქონდათ. რუსეთის „ოხრანკამ“ ვერანაირად მოახერხა გაეგო, რომელი გემითა და რა გზით წავიდოდა იმპერიაში იარაღი. ნოემბრის თვეში „სირიუსი“ ფოთს მიადგა. იარაღის გადმოტვირთვა გაძნელდა, გემს არ დახვდა საკმარისი რაოდენობის ნავი, ამიტომ იარაღის ნაწილი ზღვაში ჩაყარეს, ნაწილი კი რუს ჯარისკაცებს ჩაუ-

ვარდათ ხელში. მოხდა შეტაკებაც. იარაღის გარკვეული რაოდენობა მოსახლეობამ დაიტაცა. გიორგი დეკანოზიშვილის მიერ შესანიშნავად დაგეგმილი საქმე საქართველოში არცთუ კარგად დააგვირგვინეს.

შენიშვნა: იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი (1876-1942) *– მეცენატ ძმებ ზუბალაშვილთაგან ერთ-ერთი. ქშწკგ საზოგადოების საპატიო წევრი და დიდი შემწე. ფულადი სახსრებით ეხმარებოდა მრავალ ეროვნულ საქმეს.*

● *იმსჯელე, რაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ გიორგი დეკანოზიშვილმა იარაღი იაპონური ფულით შეიძინა?*



გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი (1837-1916)

რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. კავკასიის მეფისნაცვალი 1905-1916 წლებში.

წყარო 3 **ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის წერილი იმპერატორ ნიკოლოზ II-ს. 1905 წლის 7 ნოემბერი:**

თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ, მძვინვარე პერიოდი გადავიტანეთ კავკასიაში.

ბომბები და სროლა ტფილისის ქუჩებში, იგივე – ბაქოში, არეულობები გროზნოში, ეკატერინოდარში, არმავირში, დროდადრო გრძელდება ხოცვა-ჟლეტა განჯისა და ერევნის გუბერნიებში და ქუთაისის მოსალოდნელი აჯანყება. აი, უმთავრესი, რასთანაც მოგვიხდა გამკლავება.

კავკასიის დამშვიდებისთვის აუცილებელი პირობაა თქვენი უდიდებულესობის მიერ 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებული საწყისების მკაცრი დაცვა. ყოველგვარი მინიშნება ამ პრინციპების დარღვევაზე აღაგზნებს ადამიანებს ძალმომრეობის ახალი გამოვლინებებისადმი – გაფიცვების, ქუჩის არეულობებისა და პოლიტიკური მკვლელობებისკენ მიდრეკილს გახდის მათ. მთელ ჩვენს იმედს სახელმწიფო დუმასა და ცენტრის წარმომადგენლებზე ვამყარებთ.

რამდენიმე დღე მეტად აღელვებული ვიყავი. ქუთაისიდან ყოველგვარი შეტყობინება შეწყდა. შემოვლითი გზებით მოდიოდა ძალზე საგანგაშო ხმები ღია აჯანყებაზე, ასეულობით მოკლულ *პლასტუნზე*, ხელისუფლების აბსოლუტურ არცნობაზე.

გადავწყვიტე, გამეძლიერებინა გუბერნიაში ჯარის პირადი შემადგენლობა და დავძარი განსაკუთრებული რაზმი **ალიხანოვის** მეთაურობით, რომელსაც შეეძლო დამოუკიდებლად ემოქმედა და ჩაექრო მოსალოდნელი – ბევრის აზრით კი, უკვე მიმდინარე – აჯანყება.

ეჭვი არ მეპარება, რომ ნაწილობრივ ჯარის, უმთავრესად კი მანიფესტის წყალობით, მხარეში პოლიტიკური მოძრაობის სათავეში მდგომმა გურულებმა გადაწყვიტეს, აღარ გამოუცხადონ ბოიკოტი ხელისუფლებას. თუ რუსეთში დაიწყება რეპრესიული რეაქცია და მიიღებენ ისეთ ზომებს, რომლებიც არ იქნება მანიფესტის სიტყვების შესატყვისი, უეჭველია, ამას კავკასიაში გამოხმაურება მოჰყვება დიდი არეულობით.

შენიშვნა: პლასტუნი *– შავი ზღვისა და ყუბანის კაზაკთა ჯარის განსაკუთრებული ქვეითი ნაწილების ჯარისკაცი.*

● *იმსჯელე, რატომ ანიჭებდა კავკასიის მეფისნაცვალი ასეთ დიდ მნიშვნელობას 17 ოქტომბრის მანიფესტს და მის რეალურ აღსრულებას?*



მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი (1846-1907)

რუსი გენერალი, კავკასიის კაზაკთა პოლკის მეთაური.
სხვადასხვა დროს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნატორი.
მის სახელთანაა დაკავშირებული დასავლეთ საქართველოში მიმდინარე რევოლუციური პროცესების სისხლში ჩახშობა.

ეროვნული მოძრაობა რევოლუციის წლებში

1906 წლიდან იწყება **რეაქცია** – პერიოდი, როდესაც იმპერიული ცენტრი ახერხებს რევოლუციის ლოკალურ დამარცხებას. რევოლუცია კვდომის გზას დაადგა.

მიუხედავად ამისა, მაინც შესამჩნევია ეროვნული მოძრაობის აღმავლობა. ამის დადასტურებაა საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის მცდელობა. 1905 წელს ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა სცადეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. თუმცა ამ პერიოდში შემუშავებული პროგრამა საფუძვლად დაედო შემდგომში, 1917 წელს, დაარსებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.

საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა თავის პროგრამაში ჰქონდა სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას. სოციალ-დემოკრატიული პარტია კი, პირიქით, ეწინააღმდეგებოდა ავტონომიის იდეას.

ეროვნული მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო ქართველი სამღვდელოების, ე. წ. **ავტოკეფალისტთა მოძრაობა**, რომელსაც მიზნად ჰქონდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. მოძრაობაში საერო საზოგადოებაც აქტიურად იყო ჩართული. მათ წინააღმდეგ ხელისუფლებამ არაერთხელ მიმართა რეპრესიულ ღონისძიებას, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათი ბრძოლა მაინც გრძელდებოდა.

- *ისაუბრე ავტოკეფალისტური მოძრაობის მნიშვნელობაზე.*

ეროვნული მოძრაობის კულმინაცია იყო **„ქართველი ხალხის პეტიცია ჰააგის საერთაშორისო კონფერენციისადმი“**.

წყარო 8 ნაწყვეტი ქართველი ხალხის პეტიციიდან ჰააგის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციისადმი (1907 წლის 18 ივნისი):

ჩვენი ქვეყანა კი, მრავალ საუკუნეთა დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებისა და ქრისტიანული ცივილიზაციის შემდეგ, რაც იგი შეუერთდა ნებით რუსეთის იმპერიას იმ იმედით, რომ განათლებულ ევროპას დაახლოებოდა, იმის მაგივრად, რომ მოეპოვებინა წინსვლა და მშვიდობიანი განვითარება, არის ახლა დანგრეული: ჩვენი ეროვნული, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრება – სისტემატურად გაჭყლეტილი და ჩვენი მისწრაფებანი უწყალოდ მომსპარი.

ასეთი არის მდგომარეობა, შექმნილი საიმპერიო მთავრობის მიერ, წინააღმდეგ ყველა წმიდა ხელშეკრულებისა, რომელთაც ჩვენ წარვადგენთ განათლებული მსოფლიოს სახელმწიფოთა წინაშე, შეკრებილთ ბრწყინვალე კონფერენციაზე, რათა მოიპოვონ კანონი და სამართალი, იმ იმედით, რომ ჩვენს საკითხში თქვენი თანაგრძნობის გამოწვევა დაგვეხმარება, რომ ჩვენი უფლებები აღდგენილ იქნეს 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გარანტიას იძლევა ჩვენი ტერიტორიის მთლიანობისთვის და ეროვნული ავტონომიისათვის რუსეთის იმპერიის მფარველობაში.

მიეცეს საქართველოს... ავტონომიური მმართველობა, მეთაურობით წარმომადგენლობითი კრებულისა. ეს კრებული უნდა არჩეულ იქნეს საქართველოს ყველა მცხოვრებთაგან, განურჩევლად წოდებისა, სქესისა, სარწმუნოებისა და მოდგმისა.

საქართველოს ავტონომიურ მმართველობას ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს შინაურ საჭიროებათა წრის საქმეები და ამ საქმეებისთვის კანონმდებლობა და გამგეობა...

- *იმსჯელე: რატომ ექცეოდა პეტიციაში დიდი ყურადღება 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს?*

იმსჯელეთ კლასში რევოლუციის დაწყებისა და დამარცხების მიზეზებზე.

დანართები

დანართი №1 მსოფლიოს პოლიტიკური რუკა



რუკაზე ციფრებით აღნიშნულია

1	კუბა	16	სენეგალი	31	მალავი
2	იამაიკა	17	გამბია	32	ზიმბაბვე
3	ჰაიტი	18	გვინეა-ბისაუ	33	სვაზილენდი
4	დომინიკელთა რესპუბლიკა	19	სიერა ლეონე	34	ლესოთო
5	ბელიზი	20	ლიბერია	35	დანია
6	გვატემალა	21	კოტ-დივუარი	36	დიდი ბრიტანეთი და ჩრდ. ირლანდია
7	სალვადორი	22	ბურკინა ფასო	37	პორტუგალია
8	ჰონდურასი	23	ტოგო	38	ნიდერლანდი
9	ნიკარაგუა	24	ბენინი	39	ბელგია
10	კოსტა რიკა	25	ეკვატორული გვინეა	40	ლუქსემბურგი
11	პანამა	26	ცენტრ. აფრიკის რესპუბლიკა	41	შვეიცარია
12	სურინამი	27	ერითრეა	42	ავსტრია
13	გვიანა (საფრ.)	28	უგანდა	43	უნგრეთი
14	ეკვადორი	29	რუანდა	44	ჩეხეთი
15	ურუგვაი	30	ბურუნდი	45	სლოვაკეთი



46	სლოვენია	57	ლიეტუვა	69	გაერთიანებული არაბული საამიროები
47	ხორვატია	58	ბელარუსი	70	ყირგიზეთი
48	ბოსნია და ჰერცეგოვინა	59	მოლდოვა	71	ტაჯიკეთი
49	სერბეთი	60	საქართველო	72	თურქმენეთი
50	მონტენეგრო	61	სომხეთი	73	ბუტანი
51	ალბანეთი	62	აზერბაიჯანი	74	ბანგლადეში
52	ჩრდ. მაკედონია	63	ლიბანი	75	ჩრდილოეთ კორეა
53	საბერძნეთი	64	ისრაელი	76	სამხრეთ კორეა
54	ბულგარეთი	65	იორდანია	77	კამბოჯა
55	ესტონეთი	66	ქუვეითი	78	ბრუნეი
56	ლატვია	67	ბაჰრეინი		
		68	კატარი		

0 1000 კმ

დანართი №2 კავკასიის ფიზიკური რუკა




რუსეთის ფედერაცია
თერგი
-25
სუნჯა
გროზნო
მაგასი
დიკავკაზი
მაჰაჩყალა
კასპიის ზღვა
5033
არღუნი
სულაკი
ყოისუ
ცხინვალი
მტკვარი
იორი
ალაზანი
დერბენდი
თბილისი
ფელავი
რუსთავი
შირაქის ტაფობი
სამური
ყუბა
შაქი
მინგაჩევირის წს
სუმგაითი
მინგაჩევირი
განჯა
აზერბაიჯანი
ბაქო
აფშერონის ნკ
მტკვარ-არაქსის დაბლობი
ერევანი
სევანის ტბა
არტაშატი
ხანკანდი (სტეფანაკერტი)
სომხეთი
ნეფთჩალა
(აზერ.) ნახჩივანი
არაქსი
ლაფანი
ლანქარანი
თალიში
ჰოი
ქარადაღი
ირანი
არდაბილი

დანართი №3 საქართველოს ზოგადგეოგრაფიული რუკა




44°
45°
46°
43°
42°
41°
პროხლადნი
მოზდოკი
ბაქსანი
ნალჩიკი
რუსეთის ფედერაცია
გროზნო
ბესლანი
მაგასი
სუნჯა
ვლადიკავკაზი
არდონი
გუაძდონი
ურუხი
არღუნი
აქსაი
სულაკი
ანდის ყოისუ
ჩერეკი
3461
4462
3609
2820
2995
3820
1930
2379
3842
5033
4471
4493
4285
3294
2926
3578
2363
2758
2454
3285
3300
1848
1635
1874
1991
1248
999
სტეფანწმინდა
ცხინვალი
ახალგორი
დუშეთი
თიანეთი
გორი
ქარელი
ხაშური
ჯავა
საჩხერე
ახმეტა
თელავი
ყვარელი
კასპი
მცხეთა
თბილისი
საგარეჯო
გურჯაანი
ლაგოდეხი
ბელაქანი
ზაქათალა
სიღნაღი
რუსთავი
გარდაბანი
დედოფლისწყარო
მარნეული
თეთრი წყარო
წალკა
ბოლნისი
დმანისი
ალავერდი
ყაზახი
თოვუზი
სომხეთი
აზერბაიჯანი
XIII

დანართი №4 II–VIII ჯვაროსნული ლაშქრობები



დანართი №5 ქართული წელთაღრიცხვის სისტემა

მსოფლიოს ყველა ხალხს ისტორიული მოვლენების დათარიღების საკუთარი სისტემა აქვს. თავდაპირველად დათარიღება მეფეთა ზეობის მიხედვით ხდებოდა. თუ საქართველოში სპარსელები ბატონობდნენ, თარიღიც ამა თუ იმ შაჰის გამეფებიდან იანგარიშებოდა, თუ ბიზანტიელები – ბიზანტიის იმპერატორის ზეობიდან.

გაქრისტიანების შემდეგ შეიცვალა წელთაღრიცხვის სისტემა. ქრისტიანული დღესასწაულების განსაზღვრის აუცილებლობამ, რომლებიც იანგარიშებოდა ხან მზის, ხან მთვარის მიმოქცევის მიხედვით, მოითხოვა კალენდრის მოწესრიგება და სტაბილურობა. მზისა და მთვარის მიმოქცევაზე ხანგრძლივი ასტრონომიული დაკვირვებით დადგინდა, რომ კვირის დღეებისა და თვეთა რიცხვების თანმიმდევრობა ზუსტად მეორდება მხოლოდ 532 წლის (მთვარის 19-წლიანი და მზის 28-წლიანი ციკლების ნამრავლი) შემდეგ. **ამ 532-წლიან ციკლს ეწოდა მოქცევა**. მოქცევის შიგნით თითოეულ წელს ეწოდებოდა **ქრონიკონი**. მოქცევა იწყებოდა ქრონიკონ ერთით და მთავრდებოდა ქრონიკონ ხუთას ოცდათორმეტით.

ქრისტიანულ ქვეყნებში, ჩვეულებრივ, წელთაღრიცხვას იწყებდნენ „სამყაროს გაჩენიდან“. „სამყაროს გაჩენის“ ბიბლიური ლეგენდა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ესმოდათ და მასზე დაფუძნებული დათარიღებაც განსხვავებული იყო. ქართული ტრადიციით, **ღვთის მიერ სამყაროს შექმნიდან ქრისტეს შობამდე გავიდა 5604 წელი**. მთელი პერიოდი, სამყაროს შექმნიდან მოყოლებული, დაიყო 532-წლიან ციკლებად, ანუ მოქცევებად. ახ. წ. 248 წელს დამთავრდა XI მოქცევა (248+5604=532X11). მეთორმეტე მოქცევა დამთავრდა 780 წელს (248+532=780), მეცამეტე – 1312 წელს (780+532=1312), ხოლო მეთოთხმეტე – 1844 წელს (1312+532=1844).

თუ წყაროში მითითებულია, რომ ამბავი მოხდა ქრონიკონს ამა და ამას, ვიცით, დაახლოებით, რომელი მოქცევის ფარგლებში მოხდა ის, მაშინ ამ მოქცევის დასაწყისს (780-ს ან 1312-ს) მივუმატებთ ქრონიკონის რიცხვს და მივიღებთ ახალი წელთაღრიცხვით დათარიღებას. მაგალითად, „ქრონიკონსა 15“-ს ახალი წელთაღრიცხვით შეესაბამება 795 (780+15=795) ან 1327 (1312+15=1327) წელი. ქართული ისტორიული თხზულებები ძირითადად XII და XIII მოქცევებს იყენებენ. თუ ისტორიული წყარო XVI ს-ზე ადრინდელია, მას ემატება 780, თუ XVI ს-ზე გვიანდელი – უმატებენ 1312-ს.

საქართველოში წელთაღრიცხვის ქრისტიანული სისტემა პირველად გამოიყენა VIII ს-ის ჰაგიოგრაფმა ავტორმა იოანე საბანისძემ „აბოს წამებაში“. XI ს-ის ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე პირველია, ვინც დათარიღებისას ციფრების ნაცვლად ქართული ანბანის ასოები გამოიყენა.

ასევე, ქართულ წყაროებში **ინდიქტიონით** წელთაღრიცხვაც გვხვდება. ინდიქტიონი (ლათ. indictio – გამოცხადება) რომის იმპერიაში 15-წლიანი ციკლის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ქართულ ნარატიულ თუ ეპიგრაფიკულ წყაროებში მეფეთა ტახტზე ასვლიდან I, II და ა. შ. წლებს ინდიქტიონით აღნიშნავდნენ. მაგალითად, ბაგრატ IV-ის დროინდელ ლიხნის წარწერაში „მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიქტიონსა ლჩ (ე. ი. 38)“ ბაგრატის გამეფებიდან, 1027 წლიდან 38-ე ინდიქტიონი (1027+38) უდრის 1065 წელს.



1. ქართული ასომთავრული (V ს.),
2. თანამედროვე მხედრული ანბანი,
3. საერთაშორისო ტრანსკრიფცია,
4. ანბანის ასოს რიცხვითი მნიშვნელობა

დანართი №6 ამონარიდები გიორგი V ბრწყინვალის დროს მიღებული სამართლის წიგნიდან „ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ“, 1334-1335

ადაპტირებული წყარო

18. თუ ოთხი, ხუთი ძმაა და [ერთმანეთისგან] გაყოფით ცხოვრობენ, [მოკლულის სხვაზე მეტად] ახლობელმაა სისხლის საზღაური აიღოს და მისი სულის ცხონებას მოახმაროს; და თუ ამ მოკლულ მამაკაცს ცოლი დარჩა და არ გათხოვდა, მოკლული კაცის სისხლის საზღაური[1] მას მიეცეს საქმის ვითარების შესაბამისად. და თუ სამეფო საბჭოსგან დადასტურება შეეფერებათ, იკითხონ საბჭოში და დარბაზის, ანუ საბჭოს დადგენილებით მიიღონ საზღაური. და თუ არ შეეფერებათ, ერისთავმა და მმართველმა დაუდგინონ და მიიღოს [დაზარალებულმა მხარემ] სისხლის საზღაურის მეათედი.

21. თუ მამაკაცი მიატოვებს ცოლს, უდანაშაულოსა და მის წინაშე უცოდველს, და გაეყრება, ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ნახევარი საზღაური გადაუხადოს როგორც იმ ქალის გვარს [ანუ, გვარიშვილობას] შეეფერება.

22. თუ მამაკაცი მამაკაცს ცოლს წაართმევს, ის ცოლწართმეული კაცი ვისაც რას დაუშავებს ერთი წლის განმავლობაში – დაწვას, მოტაცებას, დარბევას – არ ჩაეთვალოს როგორადაც წაართმევს დანაშაულზე მეტს; და ერთი წლის შემდეგ რასაც დაუშავებს, ის ჩაეთვლება: მართებს დანაშაულის საზღაურის გადახდა მათი გვარისთვის ცოლის წართმევის გამო და გადახდად ჩაეთვლება; რასაც მტრობით მოკლავს, ერთი წლის განმავლობაში საზღაური არ გაუბათილდება, გარდა დამსხმელისა, ისე როგორც ქვემოთ დაგვიდგენია.

23. თუ მამაკაცი ჯვარდაწერილ ცოლს მოსტაცებს, თუ არ შეირთავს, ნახევარი საზღაური გადაიხადოს მათი საგვარეულოს წინაშე.

24. თუ მამაკაცი სხვის მიერ დანიშნულ, ანუ ჯვარგაცვლილ ცოლს მოსტაცებს, დანაშაულისთვის დადგენილი საზღაურის მეექვსედს გადაიხდის მათი საგვარეულოს [ანუ, ფეოდალური სახლის] წინაშე.

25. ვინც უდანაშაულო ცოლს მიატოვეს და გაირკვევა, რომ [ქალს] არაფერი შეუცოდავს, [მამაკაცი] ასეთ უდანაშაულოს გაეყარა, დანაშაულის საზღაურის ნახევარი გადაიხადოს მისი დანაშაულისთვის დადგენილი წესის მიხედვით.

26. თუ მამაკაცი მამაკაცს ცოლს მოსტაცებს, ის ცოლწართმეული კაცი როგორ დაემტერება, ზემოთაა დადგენილი და თუ თავს დაესხმევა ისე, რომ არც დაზავებულები იყვნენ, არც შერიგებულები, არც სისხლის საზღაური იყოს გადახდილი, თავდამხსმელად არ ჩაითვლება, არც მოიკვლევა საზღაური; ორივე საზღაური ერთმანეთს გადაებმევა და ასეთს მოკლავენ და წირვაზე კათალიკოსი და ეპისკოპოსი დაუდგენენ [სასჯელს]; და თუ ქალი მეომარი იქნება[2], აბჯრიანი, და მოკვდება, გაუქმდება იმ ქალის საზღაური; და თუ უდანაშაულოს მოკლავენ, ორი საზღაური გადაიხადონ ქალის გამო; და ჭრილობისთვის გასაცემი საზღაური თანაბარია ყველასთვის – მონაზვნისთვის, ხუცესისთვის, შემწირველისა და ქალისთვის; და თუ არაა მწირველი, არ შემოვა ორ სისხლად და დანაშაულიც თანაბარია; მონაზონთა, შემწირველთა, ხუცესთა და ქალთა საზღაური ორმაგია. ბრალის გარეშე დაუმიზნოს და მოკვდეს ან დაიჭრან, მისი გვარიშვილობის წესის შესაბამისად იზრუნონ [საზღაურზე]; თუ მომრიგებლად მონაზონი, ან მწირველი მღვდელი, ან ქალი მივა ისე, რომ არ იყოს შეიარაღებული და ასეთი მოკლან, მკვლელმა ორმაგი საზღაური გადაიხადოს, მისი გვარიშვილობის შესაბამისად.

---

1. სისხლის დანაშაულისათვის დადგენილი გადასახადი.

2. აქ უნდა იგულისხმებოდეს შებრძოლებასა თუ თავდასხმაში შეიარაღებული ქალის მეორე მხარედ მონაწილეობა.

დანართი №7 ნაწყვეტი დოკუმენტიდან „ხელმწიფის კარის გარიგება“, XIV ს.

ადაპტირებული წყარო

სავაზირო კარის თათბირის შესახებ

ახლა შევეხოთ მეფის შემოსვას და აღვნიშნოთ [მოხელეთა მოვალეობები] მეფის შემოსვის დროს: ტაშტი მსახურთუხუცესს უნდა ეკავოს, პირსახოცი – მესაწოლეთუხუცესს[1], წყალი მოლარეთუხუცესმა[2] უნდა დაუსხას, ტანისამოსი მსახურთუხუცესმა ჩააცვას, ღილი მესაწოლეთუხუცესმა უნდა შეუკრას, ქუდი მოლარეთუხუცესმა მიაწოდოს მუხლის მოდრეკით.

36. თუკი თათბირი გაიმართება, მათ მოახსენონ ჭყონდიდელსა და ათაბაგს, ამირსპასალარს, მეჭურჭლეთუხუცესს, მსახურთუხუცესსა და ამილახორს[3]. ფარეშთუხუცესმა[4] უნდა დააფინოს ხალიჩა და ზედ დადოს ბალიში. მასზე დაჯდება მეფე. მოიტანენ სუფრის ნოხს და ირგვლივ დააფენენ პირისპირ. სუფრის ნოხის თავში დადგამენ სკამებს. მსახურთუხუცესი წარმოთქვამს: „ბრძანეთ“.[5] სამეფო ოჯახის წევრები დარბაზიდან გავლენ. ჭყონდიდელი ნოხთა პირისკენ მიბრუნდება; ათაბაგს, ამირსპასალარს მიმართავენ, [ისინიც] მიბრუნდებიან; ასევე, მეჭურჭლეთუხუცესიც. ჭყონდიდელი მეფის მამაა[6], ათაბაგი ახალია[7]. ჭყონდიდლის მწიგნობრობა დადგინდა და არის მწიგნობართუხუცესობა ჭყონდიდლისა. გახდა ათაბაგი დიდი საპატიო [მოხელე] და იშვიათად თუ მოხდება, რომ ჭყონდიდლის ქვემოთ, ნოხზე, ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდნენ. ამირსპასალარი საპატიო ვეზირი და ლაშქრის მეთაურია და მის გარეშე არც მიწა გაიცემა და არც არავის შეიწყალებენ მამულის [მისაღებად]. მისი და მანდატურთუხუცესის პატივი თანაბარია, თანასწორია [ორივე სახელო[8]] და ასეც ხდება, რომ ორივე სახელოს ერთი პირი ფლობს. უფრო შანშეთ სახლისთვისაა[9] დამახასიათებელი, რომ ორივე ტიტული ერთ [პირს] ეპყრას. მეჭურჭლეთუხუცესი ძველი საპატიო ვეზირია. და ზოგი ამას ამბობს: მსახურთუხუცესი მანაველი[10] ვაჩნაძე რუსუდან მეფეს შეუყვანია სავეზირო კარშიო.

---

1. მესაწოლეთუხუცესი – მეფის კაბინეტისა და სამყოფლის, ანუ აპარტამენტების დაცვაზე პასუხისმგებელი მოხელე.

2. მოლარეთუხუცესი – მეფის სამდივნოს მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი, მას ებარა სახელმწიფო ბეჭედი.

3. ამილახორი, იგივე ამილახვარი – სამხედრო უწყების მაღალი მოხელე, განაგებდა სამეფო კარის ცხენების თავლას, ასევე, მეფის ცხენოსან ჯართან დაკავშირებულ საჯინიბოებსა და სამხედრო აღჭურვილობის საცავებს.

4. ფარეშთუხუცესი – სავაზირო დარბაზის განათების, გათბობის, მორთვის, მაგიდაზე ნოხის გადაფარების პასუხისმგებელი პირი.

5. თათბირის, ანუ ბჭობის დაწყების ნიშანია.

6. იგულისხმება მისი საგანგებო უფლებამოსილება სავაზირო კარზე.

7. იგულისხმება, რომ სავაზირო კარზე ათაბაგის უფლებები შედარებით ახალგაფართოებული იყო.

8. სახელო – თანამდებობა.

9. სავარაუდოდ, იგულისხმება დინასტია მანდატურთუხუცეს შანშე (შაჰანშა) მხარგრძელისა (XIII ს), რომლის მამა ზაქარია ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესის სახელოს ფლობდა.

10. მანაველი – წარმოშობით მანავიდან.

37. კარის თათბირზე მსახურთუხუცესი მეჭურჭლეთუხუცესის გვერდით ზის; ამილახორს მათ უკან უდგას საგანგებო სკამი და თათბირს ისმენს. თავად იგი, რასაც არ ჰკითხავენ, იმის შესახებ არაფერს ამბობს; და როდესაც კითხვით მიმართავენ, მხოლოდ მაშინ უპასუხებს.

38. საწოლის მწიგნობარი ჭყონდიდლის მხარეს დგას, კედლის ქვემოთ, საკუთარი კალამ-მელანი აქვს; ამირეჯიბი[11] შუაშია; ამილახორი ცალკე დგას, ხელთ კვერთხი[12] უპყრია; მესაწოლეთუხუცესი დგას სალაროს, ანუ ხაზინის კარის გამოსასვლელთან, გარეთ. და შემდეგ – მეაბჯრეთუხუცესს[13], განმგეთუხუცესს[14], საჭურჭლის ნაცვალს[15], მესტუმრეს[16], ზარდახანის მწიგნობარსა[17] – ამათგან რომელი მოხელეც დასჭირდებათ სამოციქულოდ, შეიყვანენ [თათბირზე] და გაგზავნიან [შესაბამისი დავალების შესასრულებლად]. ასევე, მწიგნობარს ჭყონდიდელი ავალებს და აღაწერინებს და ზრუნავენ, რაც საზრუნავია, იმაზე. საწოლის მეკარე გარეთ დგას, ზურგით კარისკენ, ან აღებს [კარს], ხელთ კვერთხი უკავია, ქვემოთ ზის და, ვისაც უბრძანებენ, მას შემოიყვანს. მერიგე[18] მოშორებით დგას და მანდატურებიც ირგვლივ, მაგრამ მოშორებით დგანან. და ვისზედაც არ უბრძანებენ, მათ არც კი მოუშვებენ სიახლოვეს.

---

11. ამირეჯიბი – დიდი მოხელე, ევალებოდა სამეფოში წესრიგის დაცვა, შეთქმულების აღკვეთა და სხვ.

12. კვერთხი – საგანგებო ჯოხი, რომელიც ხელთ ეპყრა თანამდებობის პირს.

13. მეაბჯრეთუხუცესი –ამირახორის თანაშემწე, ევალებოდა ზარდახანის, ანუ იარაღის საწყობის, მოვლა-პატრონობა.

14. განმგეთუხუცესი – სახელმწიფოს შემოსავალსა და სამეფო მეურნეობაზე პასუხისმგებელი მოხელე.

15. საგანძურსა და ხაზინაზე პასუხისმგებელი პირი, ვეზირის მოადგილე.

16. მესტუმრე – მოციქულების, სხვა ქვეყნის წარმომადგენლების, სტუმრების მიღებაზე პასუხისმგებელი მოხელე.

17. ზარდახანის მწიგნობარი – მოხელე, რომელსაც ევალებოდა სამეფო კარის ქონების აღრიცხვა.

18. მერიგე – ამირეჯიბის (სასახლის ცერემონიალის გამგებლის) ხელქვეითი.

სახელმწიფოს მმართველობისთვის მიძღვნილი სოლომონ იმერეთის მეფისათვის თავად ალექსანდრე ამილახვრის მიერ

(ამონარიდები)

მეფეთა მმართველობისათვის

ნეტარი არის ერი, რომელსაც ბრძენი მეფე ჰყავს, და ნეტარი არის მეფე, რომელსაც ჰყავს მორჩილი ერი. უამისოდ ბედნიერი ვერცერთი იქნება...

როგორი სანატრელია მეფე, რომელსაც ესმის თავისი ვალდებულება, აცნობიერებს გვირგვინის ტარების სიმძიმესა და პასუხისმგებლობას. ვისაც არ ჰგონია, რომ ეს უღელი მსუბუქია... ვინც იცის, რომ მეფის ძალაუფლება არ არის უსაზღვრო და თავის თანასწორად მიაჩნია ის ხალხი, რომელმაც მისცა მას ხელმწიფება; როცა იგი იქცევა უფროსი ძმის მსგავსად, ვიდრე თავის თავზე შეყვარებულ მეფესავით, და რომელიც სიცოცხლესაც კი არ დაიშურებს ხალხის მშვიდობისათვის... მე მეფის ძალაუფლებასა და დიდებას არ ვერჩი, ეს მათ მდგომარეობას შეეფერება, მაგრამ ეს ძალით კი არ უნდა იყოს მითვისებული, არამედ ღირსებით უნდა იყოს მოპოვებული.

სამეფოს თავადებისა და მთავრების შესახებ

... სამეფო კარზე რჩეული ადამიანები უნდა იყვნენ, რათა მათმა უწესო საქციელმა მეფე უმოქმედოდ არ აქციოს... თუ ისინი გულგრილნი არიან სამართლის მიმართ და მეფემდე არ მიაქვთ ამბავი, ამით მეფეს წარმოადგენენ უფსკრულად, რომელსაც ვერაფერს გააგონებ, რომელიც ვერ გრძნობს მათ ჭირს, ვერ ისმენს დაზარალებულთა ხმას. თუ ასეთი ხალხი არ ჩამოაშორე სახელმწიფოს, ისინი მას, ადამიანის სხეულის მსგავსად, სასიკვდილო სენით დააავადებენ.

ჯარისა და მხედართმთავრების შესახებ

ჯარის გარეშე არ შეიძლება სახელმწიფოს არსებობა არც სამეფოს მტრების, არც მეზობლების გვერდით – უხელო კაცის მსგავსად, რომელიც ვერც მტერს მოიგერიებს და ვერც მეზობელს დაეხმარება.

მხედართმთავარი უნდა იყოს კაცი ბრძენი და მხნე. მისდამი დაქვემდებარებული მხედრებიც თავისი მეთაურის ბრძანების მორჩილები უნდა იყვნენ, სიყვარულითა და ერთგულებით... არა შიშით და რისხვით... ერთი მეორეს უნდა ედგეს გვერდში და ორივემ ერთად მამული დაიცვას.

მეფემ დიდი სიფრთხილით უნდა შეარჩიოს მხედართმთავრები როგორც ბრძოლაში გამოცდილების, ისე ერთგულების ნიშნით და მამულის ჭეშმარიტი სიყვარულის მიხედვით...

ვაჭრების შესახებ

არ არსებობს სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძლიერების იმაზე მეტი ძალა, ვიდრე ვაჭრების სიმრავლე... ამიტომ მათი მომრავლება და მათი საქმის წახალისება უნდა მოხდეს. არავინ უნდა შეურაცხყოს ისინი სახელმწიფოში.

გლეხებისა და მიწათმოქმედთა შესახებ

მართალია, ისინი სახელმწიფოში ყველაზე დაბლა მდგომებად მიიჩნევიან, მაგრამ... თუ კარგად გამოვიძიებთ, ყველანი თანასწორად დაბადებულნი ვიყავით, არცერთი არა ვართ სხვაზე უკეთესი ან უარესი. ყველანი ერთი მთლიანი სხეულის ნაწილები ვართ. ბედნიერია ის ერი, სადაც ეს იციან და ამას აცნობიერებენ.

საკანონმდებლო საქმის შესახებ

ყველა კეთილგონიერმა კანონმდებელმა, სანამ კანონს დაწერს, შემდეგი სამი რამ უნდა გააკეთოს: 1. გაითვალისწინოს ის დრო და ვითარება, რომლის დროსაც კანონს წერს; 2. გაითვალისწინოს ერის წეს-ჩვეულებები; 3. გაითვალისწინოს, თუ რამდენად გამოცდილია ეს კანონები ცხოვრებაში.

უამისოდ მომზადებული კანონები ერში ურჩობასა და არეულობას გამოიწვევს.

მეცნიერებისა და ხელოსნობის სწავლის შესახებ

მეცნიერება არის ადამიანების თვალებისა და გონების განათების გზა... სწავლა არის დღის სინათლის მსგავსი – როდესაც არ გჭირდება ლამპრის შუქის გამოყენება, როდესაც ღამის სიბნელეში ადამიანი დაუბრკოლებლად ივლის... რაც მეტი იქნება ნასწავლი ხალხი, მით უფრო შემსუბუქდება მეფის მმართველობის უღელი, ვინაიდან ნასწავლი ადამიანი ერთი სიტყვით გაიგებს ნათქვამს, ხოლო უსწავლელს ასი განმარტება დასჭირდება.

რაც შეეხება ხელოსნებს, სხვებზე ნაკლებად სახელმწიფოს არც ისინი ეხმარებიან. მათი ცოდნით ყოველი გამოსაყენებელი ნივთი ქვეყანაში საკუთარი გექნება და აღარ დაგჭირდება სხვა ქვეყნებიდან მათი შემოტანა. რაც ძვირი ღირდა, ხელოსნების დახმარებით იაფად გაკეთდება. სხვა ქვეყანაში დამზადებულზე ცოტა ძვირიც რომ დაგიჯდეს, ამის ფასი შენს ქვეყანაში დარჩება და ამით შენი ერი ისარგებლებს.

დანართი №9 საქართველოს მოსახლეობა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით 1800-1897

ეთნიკური ჯგუფი	1800		1832		1865		1886		1897	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ქართველები	622 600	79,4	677 100	75,9	950 600	73,8	1 188 100	72,4	1 331 300	69,4
სომხები	47 000	6,0	84 000	9,4	122 600	9,5	172 900	10,5	197 000	10,3
რუსები	-	-	-	-	25 900	2,0	42 500	2,6	101 000	5,3
ოსები	29 300	3,7	32 300	3,6	45 500	3,6	71 000	4,3	81 500	4,2
აზერბაიჯანელები	30 000	3,8	27 000	3,0	51 500	4,0	62 600	3,8	81 100	4,2
აფხაზები	52 000	6,6	56 600	6,3	60 000	4,6	38 000	2,3	42 600	2,2
ბერძნები	500	0,1	7 000	0,8	12 000	0,9	28 800	1,8	38 500	2,0
ებრაელები	3 300	0,4	4 000	0,5	7 800	0,6	11 700	0,7	17 200	0,4
გერმანელები	-	-	-	-	4 200	0,3	5 500	0,3	7 400	0,4
სხვა	-	-	4 100	0,5	9 100	0,7	20 800	1,3	21 800	1,1
სულ	784 700		892 100		1 289 200		1 641 900		1 919 400	